საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სერგი დურმიშიძე

ვუძღვნი ახალგაზრდობას

ზოგი რამ წარსულიდან

„მეცნიერება"
თბილისი
1985

83. 3 Гр
დ 926

ნაშრომში გადმოცემულია ავტორის — ბავშვობისა და ყრმობის საინტერესო მომენტები, მისი ცხოვრება, მისი ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებთან, აღწერილია ნ. მუსხელიშვილის, ი. ვეკუას, ი. ბერიტაშვილის, ნ. კეცხოველის, გ. ძოწენიძის, ე. თაყაიშვილის, თ. დავითაიას, ა. ოპარინის, ს. ბუაძის, ა. კურსანოვის, ა. ჯანელიძისა და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი.

ავტორის მოგონებები ეხება გ. ტაბიძეს, გ. ლეონიძეს, ი. გრიშაშვილს, ვ. ანჯაფარიძეს, გ. რჩეულიშვილს და სხვ. წარმოდგენილია შთაბეჭდილებები მსოფლიო სამეცნიერო ფორუმებზე, რომლებიც ჩატარდა ვენაში, ბორდოში, ტოკიოში, მონრეალში, ნიუ-იორკში, მადრიდში, მოსკოვში, რიგაში, თბილისში, ვარნაში და სხვ. ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით, განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

დ $\frac{1402000000}{607(06)-85}$ 66—85

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1985

ოჯახსა და სკოლაში

დაუვიწყარი დღეები

1

აკაკი წერეთლის საუფლოში მის მშობლიურ საჩხერეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მგოსანი. აქ ყველას და ყველაფერს აკაკის სული დასტრიალებდა; არ იყო ოჯახი, სადაც აკაკის წიგნი და სურათი არ ჰქონოდათ. ამოიდგამდა თუ არა ბავშვი ენას, პირველად აკაკის ლექსს ასწავლიდნენ. მოხუცები აკაკის პოემების ზეპირ ცოდნაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. აკაკის გამოჩენა საჩხერეში სახალხო ზეიმს ჰგავდა. ათასი ლეგენდა დადიოდა მისი ცხოვრების შესახებ...

აკაკის სიყვარული და თაყვანისცემა ჩვენ ოჯახშიც იყო დამკვიდრებული, მამას ახლო ნათესავებს პირადი ურთიერთობა ჰქონდათ მგოსნის ოჯახთან. მამაჩემის დედა აბდუშელიშვილის ქალი იყო და პოეტის მოურავს კოტე აბდუშელიშვილს ენათესაეებოდა. მამას ბიძაშვილი — დავით აბდუშელიშვილი (აბდუშელი) აკაკის პირადი მსახური იყო. 1905 წელს შვილისადმი პარიზში გაგზავნილ წერილში მგოსანი წერს: აქ ისეთი არეულობაა, რომ „ჩემმა დათიკომაც კი მიმატოვაო“ (დავითი შემდგომში აკაკის გავლენით და დახმარებით ცნობილი მსახიობი და რეჟისორი გახდა). ბიძია დათიკო ლამაზი, მოხდენილი ვაჟკაცი იყო. მან ბევრი ლექსი და ზღაპარი იცოდა. მისი და ჩვენი ოჯახის სხვა წევრების ზეგავლენით აკაკი წერეთლის სახე ჩემს მეხსიერებაში ადრეულად შემოიჭრა.

1915 წლის თებერვალში, როდესაც ხუთი წლის ვიყავი, ჩვენებისაგან გავიგე აკაკი ავად არისო. ყველა შეწუხებული იყო, ყველას ღმერთის იმედი ჰქონდა. დედამ ხატის წინ სანთლები აანთო და

ძილისწინა ლოცვისას („დავწვები დამეძინება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოსი თავით დამესვენება...") მთხოვა: ღმერთს ბიძია აკაკის კარგად ყოფნა შესთხოვეო. შენ ანგელოზი ხარ და გაგიგონებსო...

რამდენიმე დღის შემდეგ ატირდა ჩვენი ოჯახი, ჩვენი ეზო, ჩვენი ქუჩა, საჩხერე და, როგორც შემდეგ გავიგე, სრულიად საქართველოც: გარდაიცვალა ხალხის უსაყვარლესი მგოსანი — აკაკი.

იმ დღეებში მამა გვიან მოდიოდა შინ. დედამ გვითხრა: ბევრი ხალხია ჩამოსული, აკაკი თბილისში უნდა წაასვენონო.

დადგა ბიძია აკაკისთან გამოთხოვების დღეც. დედამ ჩვენი მეზობლის დათა დევიძის სახლში წამიყვანა. მეორე სართულის აივანი ხალხით იყო სავსე. ყველანი ქუჩას გადაჰყურებდნენ. დამიდგეს სკამი და მეც აივანს გადავეკიდე. რაც მაშინ დავინახე, ახლაც თვალწინ მიდგას: ქვაფენილი აღარ ჩანდა; ადამიანთა ურიცხვი თავები ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილიყვნენ და, როგორც ერთი ადამიანი, ნელა მოძრაობდნენ. მათ ზემოდან, ცასა და მიწას შორის, მინის სახურავიან კუბოში მშვიდად ეძინა მამა-ღმერთს — ბიძია აკაკის...

საღამოს უცხო სტუმრები გვეწვივნენ. ხშირად ისმოდა სიტყვები: „არ მომკვდარა", „ცოცხალია"... ღამით ჩემს დიდ მეგობარს და მესაიდუმლეს ბაბუა ილარიონს ვკითხე: ღმერთს რომ ყველამ ერთად ვთხოვოთ, ბიძია აკაკის არ გააცოცხლებს-მეთქი. ბაბუამ დამიყვავა, მომეფერა: ახლა დაიძინე. მოვა დრო და ყველაფერს გაიგებო...

2

1917 წლის თებერვლის ბოლო დღეებში ბაბუა ილარიონმა მოგვახარა: მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს, საქართველოს ეშველებაო. იმ დღეს მასწავლებლებიც ერთმანეთს ულოცავდნენ, კოცნიდნენ, მღეროდნენ.

პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები ჩვეულებრივ ერთ საკლასო ოთახში ვისხედით. შემოვიდა სკოლის გამგე და დიდხანს გვესაუბრა, ხშირად იმეორებდა სიტყვა რევოლუციას. ბავშვებმა ბევრი ვერაფერი გავიგეთ, მაგრამ მისი ნათქვამიდან ორი რამ კარგად დავიმახსოვრეთ: „ამიერიდან მეფის სურათს ვეღარ ნახავთ და მღვდელი მასწავლებლად არასოდეს აღარ გეყოლებათო". ამ უკანასკნელმა ცნობამ დიდად გაგვახარა.

ჩვენი მამაო ივლიანე შემოვიდოდა თუ არა ოთახში, იმწამსვე მაგიდას მიუჯდებოდა, გვერდზე თავის ასკილის ჯოხს მოიდებდა და ლოცვების კითხვას შეუდგებოდა. ვისაც ლოცვა შეეშლებოდა

ან ვინც ამხანაგს გადაელაპარაკებოდა, თავზე ჯოხი არ ასცდებოდა. ყველას გვიკვირდა: სად მონახა მამაო ივლიანემ ასეთი გრძელი ასკილის ჯოხი, ოთახის ბოლომდე რომ სწვდებოდა!

შესვენების დროს, როგორც უფროსი კლასის მოსწავლეებმა დაგვარიგეს, ყველა ერთხმად გავყვიროდით: ძირს მეფე, ძირს მამაო ივლიანე, გაუმარჯოს ხალხს!

მეორე გაკვეთილზე ჩვენი საყვარელი მასწავლებელი ეკატერინე იოსელიანი შემოვიდა და დაგვარიგა: მამაო ივლიანე თქვენი მასწავლებელია და როგორ შეიძლება ყვიროდეთ „ძირს მამაო ივლიანეო“. თქვენ ახალ თავისუფალი სამშობლოს შვილები ხართ და ღმერთის მსახურებს უფრო მეტი პატივი უნდა სცეთ. მამაო ივლიანე მომავალშიც თქვენი მასწავლებელი იქნებაო. ბიჭებმა ყურები ჩამოვყარეთ. შესვენებაზე ერთმანეთს შევჩიოდით: აბა რა თავისუფლებაა, თუ მამაო ივლიანემ ისევ თავში უნდა გვიკაკუნოსო. მეფის სურათი, რომელიც სამასწავლებლოდან გამოიტანეს, ჩვენ არაფერს არ გვიშავებდა. ბოლოს და ბოლოს, სურათის გადაგდება ადრეც შეიძლებოდა, ვინ რას გაიგებდა?!

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, შინ, რომ დავბრუნდი, ისეთი მხიარულება დამხვდა, როგორიც აღდგომას, შობას ან ახალ წელს მინახავს ხოლმე. მეზობლები მამასთან მოსალოცად მოსულიყვნენ და დედას სუფრა გაეშალა. დიდხანს იყვნენ, ბევრს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ; ხშირად ისმოდა „საქართველო“,

საღამოს თოვლი დადო და ჩვენი ეზოს მცველს ყურშას გზა გავუკვალე; შემოსასვლელიდან ეზოს ბოლომდე გაჭიმულ მავთულზე ჯაჭვით მიბმული ყურშა დინჯად სეირნობდა; ციოდა, მაგრამ თავის პატარა ქოხში მაინც არ შედიოდა. გვიან ღამით ყურშა აყეფდა; ჩვენთან სტუმრად ურიადნიკი ლევანი მოვიდა. ის და მამა ერთხანს ხმადაბლა საუბრობდნენ. შემდეგ მამამ სუფრასთან მიიპატიჟა, არაყი და შავი ქლიავის ჩირი შესთავაზა. ურიადნიკ ლევანს მეც ვიცნობდი; როდესაც ბავშვებს ეკლესიაში გვაზიარებდნენ, ის ყოველთვის გვესწრებოდა. ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილი ლამაზი კაცი იყო. განსაკუთრებით მომწონდა მისი ხის ბუდეში ჩასმული რევოლვერი. რამდენჯერ მინატრია: ნეტავი ამნაირი რევოლვერი მეც მომცა-მეთქი. ურიადნიკმა ლევანმა წასვლის წინ მამას რაღაც ფუთა გადასცა და დააყოლა: — ვასიკო, ეს ნივთები მომიბარებია, შემინახე. მე საჩხერიდან მივდივარ და დიდხანს ალბათ ვეღარც განახავო. ყურშა მოულოდნელად გაავდა და სტუმარს ეზოდან აღარ უშვებდა. მე დიდხანს ვბორგავდი ლოგინში, გვიან ჩამეძინა. ივლიანე მღვდელი და ურიადნიკი ლევანი სიზმარში ერთმანეთში მერეოდა...

მეორე დღეს ხალხის სიხარული კიდევ უფრო გაძლიერდა, გაიზარდა, ყველას დაეუფლა. მთელი დაბა დღესასწაულობდა. ახალგაზრდა ყმაწვილები წითელი დროშებით ქუჩაში დარბოდნენ, რაღაც სიტყვებს ყვიროდნენ და მღეროდნენ. უფროსებმა აგვიხსნეს: ეს სიმღერა აქამდე აკრძალული იყო. ჩემი და ჩემი ტოლების დიდი გაოცება გამოიწვია ამ ამბავმა. ვერ გაგვეგო, ვის და რატომ უნდა აეკრძალათ ადამიანებისათვის სიმღერა...

ამ დღეს სკოლას ვიღაც უცხო ქალები და კაცები ესტუმრნენ. მოსწავლეები ერთ ოთახში შეგვიყვანეს, ყველანი ფეხზე ვიდექით. უცხო პირებმა სიტყვებით მოგვმართეს. რას გველაპარაკებოდნენ, კარგად აღარ მახსოვს. ერთი მაღალი, გამხდარი ქალის სიტყვები კი მტკიცედ ჩამეჭედა მეხსიერებაში: „ბავშვებო, გილოცავთ ტყვეობიდან ქართული ენის განთავისუფლებას. აბა, თქვენ იცით, რა კარგად ისწავლით მშობლიურ ენასო“.

რამდენიმე დღეში ზეიმი მიწყნარდა. მამაო ივლიანე ისევ დაგვიბრუნდა სკოლაში. ასკილის ჯოხი ახლა უფრო მწარე და აუტანელი გახდა. ჩვენთვის თითქოს ყველაფერი ძველებურად დარჩა, მაგრამ მე და ჩემ მეგობარ ბიჭებს მაინც გაგვიჩნდა ახალი მიზანი: გვინდოდა, რაც შეიძლება მალე გაგვეგო, როდის და როგორ დაატყვევეს ქართული ენა და ვინ იხსნა იგი.

8

1918 წლის შემოდგომის ერთ ღამეს დედამ გამაღვიძა: შვილო, შენი სკოლის მახლობლად ცეცხლი გაჩნდა. ადექი, მამა უკვე წავიდა, ვინ იცის, რაში ვიქნებით საჭიროო. ყველა ეზოში გამოვიდა. ცას ცეცხლი ეკიდა. მოდინახეს კალთები ალისფრად კიაფობდა. საშინელი გუგუნი ისმოდა. ხალხის ყვირილი და ძაღლების ყმუილი ერთმანეთში არეულიყო. ყველა ხანძრის ადგილისაკენ გარბოდა, ჩვენც მათ მივყევით...

ცეცხლის ჩაქრობა არ ხერხდებოდა. დაბას არც წყალი გააჩნდა და არც ცეცხლის მქრობელი რაზმი ჰყავდა. ხალხს მხოლოდ ერთი საზრუნავი დარჩენოდა: არავინ დაღუპულიყო, ბავშვების გამოყვანა მოესწროთ, ხანძართან პატარები არ მიეშვათ. ენით აუწერელი მდგომარეობა იყო შექმნილი: იდგა ხალხი უმწეოდ და მოთქვამდა...

ცეცხლის ალში თურმე პირველად მერაბ და ბართლომე კაპანაძეების სახლი გაეხვია. იმ ღამით ქარი ბობოქრობდა, რის გამოც ხანძარი ყველა მიმართულებით სწრაფად გავრცელდა. ერთ ღამეში საჩხერის ცენტრალური სავაჭრო უბანი მთლიანად გადაიწვა. დაი-

ფერფლა თეთრუაშვილის, ქებაძის, დუშუაშვილის, კალოვის, კაპანაძეების, ხოჯაშვილის, მიროტაძის, ბაბელაშვილების, კახნიაშვილის, კაჭკაჭიშვილის, ბეგალოვის, კალმახელიძის, ანასაშვილის, ჭეიშვილების, ხვთისიაშვილის, ყაზაროვების, გამყრელიძეებისა და სხვათა სახლ-კარი. დაიწვა საჩხერის აფთიაქი და საქსართულიანი თეატრის შენობაც. მოისპო ერთი კილომეტრის სიგრძის ქუჩის ორივე მხარე.

შემდეგში უფროსები იგონებდნენ: როგორ უეცრად, სულ რამდენიმე საათში შთაინთქა ამდენი სიმდიდრე, როგორ ერთბაშად გაღატაკდნენ გუშინდელი მილიონერები! როგორ ერთი კაცივით ებრძოდა ამდენი ხალხი სხვადასხვა ეროვნების ადამიანის უბედურებას!

ხანძარი, როგორც იქნა, დილით დააოკეს; რამდენიმე სახლი დაანგრიეს და ცეცხლის ენები შემდეგ მსხვერპლს ვეღარ გადასწვდა.

დაზარალებული ოჯახები მეზობლებმა, მეგობრებმა, ნათესავებმა შეიფარეს. მამამაც მოიყვანა სახლში ჩემი ტოლი ბავშვები. თითქოს ყველა ერთმანეთს ჰგავდა: ხმას არ იღებდნენ, დიდრონი თვალებით შემოგეცქეროდნენ და კანკალებდნენ. ჩვენ ყველანი ვცდილობდით, რომ ის ბავშვები გაგვეთბო და დაგვეწყნარებინა.

მეორე დღეს გადამწვარი ქუჩის ორივე მხარეს მხოლოდ ქვითკირის გარუჯული, შიშველი კედლები ატუზულიყო, ნანგრევებში უხვად ეყარა კრამიტის წითელი ნამსხვრევები და ათასნაირი ჭურჭლის ნამტვრევები. დროდადრო ძლიერი აფეთქების ხმა ისმოდა და ნანგრევები ხელახლა ინგრეოდა; თურმე მედუქნეებს დინამიტი და თოფის წამალი ჰქონდათ გასაყიდად შემონახული. ირგვლივ ყველაფერი რუხი ფერფლით იყო დათოვლილი.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო და დამწუხრებული საუბრობდა. ვიღაცა თავგამოდებით ამტკიცებდა: ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ ურევია, ხატებს რომ ძალა ჰქონდეთ, თავის თავს მაინც მოუვლიდნენ, ისინი მაინც გადაურჩებოდნენ ხანძარსო.

სკოლაში სწავლა შეწყდა. უმცროსი კლასის მოსწავლეებმა განსაკუთრებით ყაზაროვის საფუნთუშეს დაწვა განვიცადეთ; ჩვენ ხომ ყოველ ცისმარე დღეს ძია დარჩოს სტუმრები ვიყავით.

დიდხანს, ძალიან დიდხანს უბინაო ბავშვებთან ერთად გვეძინა, მათთან ვთამაშობდით და ვსწავლობდით, ხელიხელგადახვეული ნასახლარებში დავეხეტებოდით. ბავშვური საერთო კაეშანი და წმიდა ურთიერთგატანა მთელი სიცოცხლე გაგვყვა. გადიოდა დრო. ვვაჟკაცდებოდით და თავიდან მაინც არ გვშორდებოდა ის ალისფერი, მაგრამ საოცრად ბნელი ღამე...

ოციან წლებში ზემო იმერეთის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრს საჩხერე წარმოადგენდა. აქ ჩამოდიოდნენ იმერეთის, რაჭის, ქართლისა და ზოგიერთი სხვა კუთხის მცხოვრებლები. ბაზრობა კვირაში ორჯერ იმართებოდა — კვირას და პარასკევს. კვირაობით ბაზარზე ყველაფერი იყიდებოდა, პარასკევობით უპირატესად პირუტყვით, ფრინველითა და ღვინით ვაჭრობდნენ. სახელგანთქმული მევენახეები, მეღვინეები, მებაღეები, მებოსტნეები, მესაქონლეები ყიდდნენ თავიანთ პროდუქციას. აქ აღებ-მიცემობას, გარდა ეკონომიკური ურთიერთობისა, შრომისადმი პატივისცემის ელფერიც დაჰკრავდა; ახალგაზრდობას აინტერესებდა სახელმოხვეჭილი მეურნეების გაცნობა.

ბაზრის ხშირ სტუმართა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ძველი მევენახე და მეღვინე ჩიხელი გლახუა — მაღალი, წელში გამართული, ნაცრისფერჩოხიანი თეთრწვერა მოხუცი. მისი დამზადებული მაჩანოურის საფერავი ახლომახლო სოფლებში ზედაშედ იყო მიჩნეული. ხმა გავარდა თითქოს ეპიფანე მღვდელი ზიარებისათვის მხოლოდ გლახუას წითელ ღვინოს იყენებსო.

ჩემი ბავშვობისას ბიძია გლახუა უკვე ღრმა მოხუცი იყო, თვალში ძლივს იხედებოდა და ბაზარზე შვილიშვილებს ჩამოჰყავდათ. მას ღვინო ჩვეულებრივ ერთი ან ორი სამლიტრიანი დოქით გამოჰქონდა. შვიდი კილომეტრი ფეხით უნდა გამოეევლო, რომ თავისი ნახელავის მომხმარებელს პირისპირ შეხვედროდა. ზოგიერთს უკვირდა კიდეც: — რა გახდა, რას წვალობს ეს მოხუცი, ამ თავის ღვინოს ერთიანად ვერ გაყიდისო?

გლახუა კი ღვინოს ობლის ლუკმასავით ანაწილებდა, ღვინის გასაღებას ახანგრძლივებდა, ხალხთან ურთიერთობას საკუთარ სიცოცხლესავით უფრთხილდებოდა, მათთან კავშირის დაკარგვა ეძნელებოდა. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ იყო მისი ხელის დამცველი.

— ღვინო ისეთ კაცს უნდა დაუთმო (არ უყვარდა სიტყვა „გაყიდვა"), ვინც მისი ყადრი იცის; საქმე საფასურის აღება ხომ არ არის, კაცი ფულს რა საშუალებით არ იშოვის, მაგრამ ეს არაა მთავარიო, — იტყოდა ხოლმე ქართულ ვაზსა და ღვინოზე მლოცველი მოხუცი.

ჩიხელ გლახუას მამაჩემიც მიაკითხავდა ხოლმე.

— ვასიკო, როგორ გამახარე რომ მოხვედი. ვიცი, შენ საკუთარი მამულის ღვინო არ გაკლია, მაგრამ მაინც ჩემი ღვინის პატივისმცე-

მელი ხარ; იცოდეს ყველამ: გლახუა და მისი საყვარელი საქმე ცოცხლობს, ქართული ვაზი და ქართული ღვინო ყოველთვის დაამშვენებს ჩვენს ბოდგმასო, — მიმართავდა მამაჩემს გლახუა.

— რა ვუყოთ, რომ ჩვენ ოჯახს ღვინო არ ესაჭიროება. მოხუცს რომ პირი შევუბრუნოთ და მისი ღვინო აღარავინ შევიძინოთ, ის საკუთარი თავის რწმენას დაკარგავს, ცხოვრებას მისთვის აზრი აღარ ექნება და სულ მალე დაიღუპება. სხეულთან ერთად ადამიანის სულსაც უნდა გაფრთხილებაო, — გვიხსნიდა ოჯახის წევრებს მამა.

საჩხერის ძირითად მოსახლეობას ქართველები, სომხები და ებრაელები შეადგენდნენ. სამივე ეროვნების ხალხს ერთმანეთთან მშვიდი, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. სავაჭრო ცენტრი უმეტესად სომხებსა და ებრაელებს ეკავათ. დაბის მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველი გლეხები — სოფლის მეურნენი და ხელოსნები შეადგენდნენ. მათ შორის მრავლად იყვნენ ქვით ხუროები, დურგლები, ხაბაზები, მეწაღეები, მექუდეები, თერძები, მჭედლები, დალაქები, ოქრომჭედლები და სხვ.

საჩხერის ქუჩებში ცხოვრება სჩქეფდა: მათ არ აკლდათ არც მყიდველი და გამყიდველი, არც შემკვეთი და შემსრულებელი. გამუდმებით ისმოდა ურისა და გრდემლის ომახიანი ხმა. დაბის ერთ-ერთი თავისებურება იყო დაძონძილი, უსახლკარო ქუჩის ბინადარნი. მათხოვრული ყოფის გამო მათი გვარი და სახელი ხალხს კარგა ხანია დავიწყებული ჰქონდა და ახლა მხოლოდ შერქმეული სახელებით იხსენიებდა მათ: ილიკო-სანსალა, ოტია-რაკუნა, იორდანე-კურო, გრიგოლა-ბარტყა, აროონა-ჩურჩა, რეკე-ამბარცუმა და სხვ. არავინ იცოდა, სად ჰქონდა ამ ხალხს ოჯახი. ზოგიერთ მათგანზე ხალხში არაკად დადიოდა, თუ როგორ უღალატა ცოლმა, როგორ დაეწვა სახლ-კარი, ან როგორ ჩაუძვრა „ავი სული“ სხეულში...

ესენი მთელ დღეს ქუჩაში ატარებდნენ: მოჰქონდათ სასმელი წყალი, ჰგვიდნენ ქუჩებს, ასუფთავებდნენ დუქნებს, ტვირთს ეზიდებოდნენ, ფქვავდნენ სიმინდს და ათას სხვა წვრილმან დავალებას ასრულებდნენ. მთელი დღის შრომის საფასურად მხოლოდ იმ დღის სამყოფ ლუკმაპურს ძლივს შოულობდნენ. ზოგიერთი მათგანი დამატებით შაურსაც მოიპოვებდა, თუ თავის მოსარჩლეს როგორმე გაართობდა, გააბხიარულებდა. ამისათვის თითოეულ მათგანს საკუთარი „საესტრადო ნომერი“ ჰქონდა დამუშავებული. ჩვენ, ბავშვები, ავედევნებოდით ხოლმე ამ მოხეტიალე მოქალაქეებს და დიდი ინტერესით ველოდით, თუ რა „სასწაულს“ მოახდენდნენ ისინი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ილიკო-სანსალა — მაღალი, მხარბეჭიანი,

ძონძებში გახვეული შუახნის გოლიათი, რომელიც ფქვილით სავსე ტომრებს იღლიაში ამოიჩრიდა და ისე დაჰქონდა. „დამატებითი შემოსავლისათვის“ ეს უზარმაზარი კაცი მაღლა ისარივით აიჭრებოდა და უჩვეულო შეძახილით ქოლგასავით გაშლილი ძონძებით ძირს დაეშვებოდა. „ნომერი“ ორ შაურად ფასობდა. ეს ილეთი, ალბათ, დიდ ენერგიას მოითხოვდა, იმიტომ, რომ ილიკო მას დღეში მხოლოდ ერთხელ ასრულებდა.

ერთ დღეს ილიკომ წისქვილიდან შინ საფქვავი მოგვიტანა. დედამ სთხოვა ჩვენთან დაესვენა და საჭმელი გამოუტანა. მან ჯერ უარი თქვა, — არა მშიაო. მერე თეფში სწრაფად მოასუფთავა და გაზეთის ქაღალდში გახვეული წეკო გააბოლა. მე დრო ვიხელთე და იქვე მყოფ მამას ვთხოვე: მამა, ორი შაური მომეცი, ილიკო-სანსალას უნდა ვაჩუქო. ნახავ, რა სიმაღლეზე ახტება-მეთქი.

მამა ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ ჯიბიდან ერთი მანეთი ამოიღო, მომცა და მითხრა:

— ეს ძია ილიკოს მიეცი და სთხოვე: ათი დღის განმავლობაში, ვინც არ უნდა შეეხვეწოს, სურვილი არ შეუსრულოს, სიმაღლეზე არ ახტეს; სხვები მას ორ შაურს ხტომაში აძლევენ, შენ კი იმაში გადაუხადე, რომ, რაც არ სურს, არ გააკეთოს, მშვიდად იშრომოს.

მე მაშინ კარგად მაინც ვერ გავიგე, ერთი მანეთი ილიკოსათვის რატომ უნდა მიმეცა, მაგრამ მამის დიდი ხათრი მქონდა და მისი ნათქვამი უსიტყვოდ შევასრულე.

ილიკომ ჩვენი საუბარი მოისმინა, ფული გამომართვა, მამას მადლობა გადაუხადა და ზლაზვნით გაუყვა ქუჩას.

დედამ ჩუმად გაგვანდო, ილიკო-სანსალა სადღაც მთის სოფელში ხუთ შვილს ზრდისო....

იმავე საღამოს სკოლის მეგობრებმა შემომიარეს, ყვირილაში ანკესები უნდა დაგვეგო... მე მათ ყველაფერი ვუამბე. გადავწყვიტეთ: ამიერიდან ილიკოს ქუჩაში აღარ ავდევნებოდით და აღარ გვეყვირა: სანსალა, სანსალა, სანსალა...

6

1921 წელს საჩხერის მოსახლეობას ტიფი დაერია. ამ სენს ვერც ჩვენი ოჯახი გადაურჩა; მამა 40 დღე ებრძოდა სენს. როგორც იქნა, სიცოცხლემ გაიმარჯვა და შემოდგომის ერთ მზიან დღეს მამა ეზოში გამოიყვანეს: ჩვენი მამიკო იყო კიდეც და არც იყო; ასხმულ ჩონჩხს ჰგავდა, თვალები გადიდებოდა... დედამ გვთხოვა წესიერად

მოვქცეულიყავით და მამა გაგვერთო; თვითონ სანოვაგის ჩანთით ხელში ეზოდან გავიდა. მამას ყველაზე მეტად ჩემი ძმის ანდროს ტიტინი ართობდა და ისიც ათას მართალსა და შეთხზულ ამბავს უყვებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ დედა დაბრუნდა, ბეზობლისაგან სიმინდის ფქვილი ესესხნა. მამა დაინტერესდა, თუ ვის დაესესხა და რატომ, ნუთუ სიმინდი აღარ გვაქვსო ოჯახში?!

— რამდენიმე ჯამი ფქვილი „გიგას მოწმისაგან“ ვისესხე, სიმინდი ვერავის დავაფქვევინე, — აუხსნა დედამ. მამა შეცბა და დედას დაავალა: — პოლინა, მეცი პატივი, მოიკრიფე ძალა და „გიგას მოწმეს“ ფქვილი დაუბრუნე, თუ გინდა, ბოდიშიც მოუხადე: ჩემს მაზლს გამოუგზავნია და აღარ გვჭირდება-თქო. დედამ არაფერი უპასუხა, ხელჩანთა უკანვე წაიღო. მე ამ დროს უკვე თერთმეტი წლისა ვიყავი და მამასთან ხშირად ვსაუბრობდი ხოლმე. ახლაც გავბედე და ვკითხე, ნასესხები ფქვილი რატომ გაატანე-მეთქი დედას უკან. მამას საუბარი უჭირდა, მაგრამ მაინც მიამბო:

— საწერეთლოში მიწის ყიდვა-გაყიდვასა და მიწასთან დაკავშირებული დავა ხშირად ირჩეოდა სასამართლოში. ზოგიერთი სადავო საკითხის განხილვა განგებ წლობით ჭიანურდებოდა. ამ საქმიანობაში არც ისე იშვიათად ერია ერთი აზნაური, სახელად გიგა. მას ხშირად ეხმარებოდა ცრუ მოწმე, სწორედ ის მეზობელი, ვისთანაც დღეს დედა იყო. მიწის ნამდვილი პატრონი იძულებული იყო გიგასა და მისი მოწმისათვის გარკვეული რაოდენობის ფული გადაეხადა, რომ მათ თავიანთი საჩივარი სასამართლოდან გამოეტანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწის ყიდვა-გაყიდვა ვერ გაფორმდებოდა. ამის გამო ხალხმა ეს ჩვენი მეზობელი აითვალწუნა, საკუთარი სახელი დაუკარგა და „გიგას მოწმე“ შეარქვა. ამ დროიდან მასთან ურთიერთობას ყველა ერიდებოდა, თუმცა ერთმანეთთან ამაზე არავითარი შეთანხმება არა ჰქონიათ. დამნაშავე თუ სასამართლოს გადაურჩება, ხალხმა მაინც არ უნდა დატოვოს დაუსჯელი. „გიგას მოწმეს“ ჩვენც ისე უნდა მოვექცეთ, როგორც სხვები. მან უნდა გაიგოს თავისი დანაშაულის სიმძიმე და გონს მოეგოს, შვილები მაინც გაზარდოს წესიერადო, — დაამთავრა მამამ.

იმ დღეს ბავშვები გვიან გვასადილეს... „გიგას მოწმეზე“ საუბარი საღამოსაც გაგრძელდა.

რუხი მგლისათვის ჩვენს წკიპურტს რა მნიშვნელობა აქვს, ამბობდა დედა. მამას კი სჯეროდა: ყველას წკიპურტი ერთად მგელსაც მოდრეკს და ვეფხვსაცო.

ზაფხულის ერთ საღამოს ჭიათურიდან ტექნიკოსი იონა ბელიაშვილი* გვესტუმრა. მას ახლახან რაღაც მძიმე დაავადება გადაეტანა და მამასთან მადლობისათვის იყო მოსული:

— ბატონო ვასილ, მე საიქიოდან ახლად დაბრუნებული კაცი ვარ. რა მეშველებოდა, თქვენ რომ საყინულე არ გქონოდათ! ჩემი ოჯახის წევრებს თურმე მთელი თვის განმავლობაში ყოველდღე მოჰქონდათ თქვენგან ყინული. ღმერთმა გადაგიხადოთ სამაგიერო. საოცარია, რამ ჩაგაგონათ ასეთი ღვთისნიერი საქმეო, — მიმართა მამას ბატონმა იონამ.

დედამ ეზოში კაკლის ძირას სუფრა გაშალა და სტუმარი მიიწვია. მე კარგა დიდი ბიჭი ვიყავი და მშობლებმა ნება დამრთეს სტუმართან დავრჩენილიყავი. ბიძია იონა მომეწონა: საშუალო ტანის, დინჯად მოსაუბრე, ლამაზად ჩაცმული, თხელი და მოძრავი კაცი იყო.

— იონა ბატონო, მთელი საწერეთლოს თავად-აზნაურობა თქვენ გაალატაკეთ: რაც მიწები ჰქონდათ, ყველა თქვენ აუზომეთ და ჩამოართვით. მიკვირს, ამდენ გენერალს და ჩინიან ხალხს როგორ გადაურჩით, — გაეხუმრა მამა.

საუბრისას ბევრი რამ გაიხსენეს. ჩანდა, რომ ძველი ნაცნობ-მეგობრები იყვნენ.

ბატონმა იონამ სთხოვა, რომ საყინულე ეჩვენებინა და, თუ შეიძლებოდა, მისი აშენების ისტორია მოეთხრო. მამამ ჯერ საყინულე დაათვალიერებინა და შემდეგ უამბო:

— 1912 წელს მეორე ვაჟი შემეძინა, დავითი დავარქვით. ბავშვი სამი წლისა იყო, როდესაც ტვინის ანთებით გაგვიხდა ავად. ხსნის ერთადერთ საშუალებად ექიმებმა ყინულით მკურნალობა მიიჩნიეს. თოვლი რაჭის მთიდან უნდა ჩამოგვეტანა, სხვა გამოსავალი არ იყო. აგვისტო იდგა და ავადმყოფის ყინულით უზრუნველყოფა იოლი არ აღმოჩნდა. მე ყოველთვის მორწმუნე კაცი ვიყავი და ჩვენს ყველაზე ცნობილ სალოცავზე — გორიჯვარზე ფეხშიშველი ავედი, ხატის წინაშე დავემხე და შევევედრე ჩემი დათო გადაერჩინა; იქვე აღვუთქვი, რომ საყინულეს აუცილებლად ავაშენებდი. ჩვენი მხარის ბავშვებს, თუ კი ასეთი დაავადება შეხვდებოდათ, არასოდეს არ უნდა დატყდომოდათ თავს უბედურება ყინულის უქონლობის გამო. რაჭიდან თოვლმა ვერ ჩამოუსწრო, ვაჟი დამეღუპა.

---

* მწერალ აკაკი ბელიაშვილის მამა.

— გავიდა რამდენიმე თვე, — განაგრძო მამამ, — და მე ჩემი დაპირების შესრულებას მაინც შევუდექი. მამაღმერთს იქნებ გვიან მივმართე და ამიტომაც იყო, რომ ვერ დამეხმარა! საყინულე ჭიათურაში მომუშავე ბერძენმა ინჟინერმა დააპროექტა, მანვე ააშენა. ამ მიწისქვეშა ნაგებობას ორი წელი ვაშენებდი. როგორც ნახეთ, სულ თლილი ქვითაა ნაგები. მისი მოცულობა 80 კუბური მეტრია. ამ დროს საკუთარი საცხოვრებელი სახლი ჯერ კიდევ არ გამაჩნდა და, თუ რაიმე დანაზოგი მქონდა, მთლიანად მას მოხმარდა. ყინულის შენახვის ტექნოლოგიაც საკმაოდ რთული გამოდგა. „გოდაბრელიძეების ტბიდან“ და ყვირილას ნაპირებიდან მოგვქონდა ყინული. საყინულეში მას რკინიგზის ვაგონების გადაჭრილი ბუფერებით შაქარივით ვფშვნიდით. მთელი დღის ნაგროვებ დაფშვნილსა და დატკეპნილ ყინულს ღამით წყალს ვასხამდით, რომ გაყინულიყო. ასე გრძელდებოდა ყოველ დღე-ღამე, ვიდრე სათავსო მთლიანად მრგვალი თაღის დასაწყისამდე არ გაივსებოდა და ერთ მთლიან ყინულად არ გარდაიქმნებოდა. ზოგჯერ ეს პროცედურა მთელი თვე გრძელდებოდა. ბოლოს თაღისქვეშა ნაწილი ნახერხით ამოივსებოდა და მთელი შენობა ჰერმეტულად იხურებოდა. საყინულედან ყინულის გამოსატანად წინასწარ მიწისქვეშა ორ ოთახში უნდა გაგვევლოთ. რომ ძირითად ნაწილში ტემპერატურა ადვილად არ შეცვლილიყო. ზაფხულში ყინული დილით ადრე ან ღამით გამოგვქონდა. ყინულის ის ნაწილი, რომელიც შენობის კედლებს ესაზღვრებოდა, ნაწილობრივ დნებოდა, მაგრამ წყალი ყინულის მთავარ მასას სპეციალურად მოწყობილი დრენაჟით შორდებოდა. ყინულის შენახვა, მოვლა და გაცემა საკმაო რაოდენობის ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ არც ის სულიერი კმაყოფილება იყო მცირე, რასაც მე და ჩემს ოჯახს ხალხის უსასყიდლო სამსახური გვანიჭებდა; ყველა ავადმყოფის პატრონს ყინული, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ ეძლეოდა. ახლა შეგვიძლია დარწმუნებით ვაღიაროთ, რომ ჩემი პატარა დათოს სახელზე აშენებული საყინულე ხალხს გამოადგა. იონა ბატონო, თქვენც ხომ დღეს ჩემი პატარა ბიჭის სტუმარი ბრძანდებით..., — დაამთავრა მამამ თხრობა.

მე ყოველთვის ვმონაწილეობდი ყინულის შენახვაში, მოვლასა და გაცემაში, მაგრამ საყინულის ისტორია ამ დღეს პირველად მოვისმინე.

გავიდა დრო. მამა ცოცხლებში აღარ იყო, მაგრამ მისდამი მადლიერების გრძნობას ხალხი დროდადრო გამოხატავდა (იხ. ს. კაპანაძე, „ქველმოქმედება“, საჩხერის რაიონული გაზეთი „ახალი ცხოვრება“, 1970 წ. 10 ნოემბერი).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საჩხერეში მხოლოდ რვაწლიანი სკოლა იყო. მოწაფეები ოთხგანყოფილებიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას ოთხკლასიან სკოლაში აგრძელებდნენ. საჩხერის სკოლაში სწავლობდა როგორც დაბის, ისე მისი ახლომახლო სოფლების — დუნთის, ბაჯითის, სხვიტორის, ჩიხის, ორღულის, სარეკის, ჭორვილის, საირხის, მოძვის, არგვეთის, მერჯევის, ქორეთის, კალვათის, გორისის, ივანწმინდის, სავანის, ჭალის ახალგაზრდობა. მოსწავლეები სკოლაში რვა-ათი კილომეტრის მანძილზე ყოველდღე ფეხით დადიოდნენ. მოსახლეობა ამ პერიოდში დიდ გაჭირვებას განიცდიდა. მდიდრად ის ოჯახი ითვლებოდა, ვისაც საკმარისი სიმინდი და ლობიო ჰქონდა. ყველა მოსწავლეს შინნაქსოვი ტანსაცმელი ეცვა.

დაწყებითი სკოლის გამგე ანეტა იურკევიჩი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რუს-იმერლის ქალიშვილი იყო. იურკევიჩებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აკაკი წერეთელთან. მათი ოჯახი საქართველოს კეთილდღეობისათვის თავდადებულად იღვწოდა. მაღალი, გამხდარი, ფიზიკურად სუსტი ქალბატონი ანეტა უდიდესი სულიერი სიძლიერის პიროვნება იყო. მას უსაზღვრო გავლენა ჰქონდა მოსწავლეებზე. სკოლის ხელმძღვანელს მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდა მასწავლებლები თამარ ქავთარაძე და თამარ ღოღობერიძე. მოწაფეები შეყვარებული ვიყავით ჩვენს მასწავლებლებზე და მათთან ყოფნა და სწავლა ნამდვილ დღესასწაულად მიგვაჩნდა. ჩვენი მშობლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სკოლის ცხოვრებაში. თავის მხრივ, მასწავლებლებიც მუდამ თვალყურს ადევნებდნენ მოწაფეთა ცხოვრებას და სწავლას ოჯახებში. ჩვენ, ბავშვებმა, ერთმანეთის ყველაფერი ვიცოდით, ერთად ვხარობდით და ბაღ-ბოსტნებშიაც ერთად ვშრომობდით.

1920 წლის შემოდგომაზე მამაჩემი დაბრუნდა უცხოეთიდან და საჩუქრად ქ. სტამბოლის პანორამა და ტყავის ფეხსაცმელები ჩამომიტანა. პანორამა მეორე დღესვე სკოლაში გავაქანე. ყველა დიდი ინტერესით ათვალიერებდა. სხვა საჩუქარზე სკოლაში კრინტიც არ დამიძრავს. მინდოდა ფეხსაცმელები საახალწლოდ გამომეჩინა.

დეკემბრის თვე მიილია. ახალი წლის წინა დღეებში მამა სკოლაში ყოფილიყო და მშობელთა საბჭოს სხდომას დასწრებოდა. იქიდან დაბრუნებულმა დედას და ბაბუა ილარიონს (ასე ვეძახდით ბავშვები დეიდის ქმარს) თავისი მოსაზრება გაუზიარა:

— სკოლაში თითქმის ყველას ქალამანი აცვია, მხოლოდ ორიოდე მოწაფეს აქვს ტყავის ჩუსტი; რას ივარგებს, რომ სერგო ჩაცმულობით თავისი ამხანაგებისაგან გამოირჩეოდეს, იქნებ საახალწლოდ ქალამნები ავუსხათ, უცხოურ ფეხსაცმელს კი მერეც გამოიყენებსო.

გულდაწყვეტილმა დედამ უცხოური ფირმის ფეხსაცმელები სკივრში ჩაკეტა დიდი ხნით...

ბაბუა ილარიონი იმავე დღეს შეუდგა საქალამნე ტყავის დალბობას. ახალწლის წინა ღამეს მე უკვე მქონდა ახალი, თუშურად ასხმული ქალამნები. სკოლაში ჩემმა მეგობრებმა ერთხმად აღიარეს, რომ ქართლურ ქალამანზე უფრო ლამაზია თუშური, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას შიგ ალპური ბალახი აქვს ჩაფენილი.

9

1918 წლის ივნისში საჩხერის მხარის გლეხთა შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა. 28 ივნისს დილის 9 საათზე საჩხერის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომლის პირველი ბრძანება რევოლუციური წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდებდა ხალხს. საჩხერეში რამდენიმე დღე ბოლშევიკური ხელისუფლება იყო. აჯანყებულებს ვიღაც ვიგინდარები მიეტმასნენ და ხალხს ძარცვავდნენ. ბოლშევიკმა მეთაურებმა მოძრაობასთან მზაკვრულად მიტმასნილი პირების გასამართლება მოაწყვეს.

შემდეგ რაიონს მენშევიკების დამსჯელი რაზმი შემოესია და ახლომახლო სოფლებში ცეცხლის ალი ავარდა — აჯანყებაში მონაწილეთა სახლ-კარი იწვოდა... ეკლესიის სამრეკლოდან ტყვიამფრქვევი კაკანებდა, ღამღამობითაც ხშირად ისმოდა სროლის ხმა.

მამას ბოლშევიკურ გამოსვლებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ერთ ღამეს ჩვენც აგვაწიოკეს, აგვატირეს და მამა წაიყვანეს. კარგად მახსოვს, მამას ცარცის ფერი ედო... რამდენიმე წუთის შემდეგ ეზოში თოფმა იგრიალა და დედამ შეჰკივლა. ბავშვები კიდევ უფრო ძლიერად ჩავეკარით ერთმანეთს...

დილით მამა დაბრუნდა, ყველამ გავიხარეთ. ის ორი შეიარაღებული კაცი, ვინც თავს დაგვესხა, თურმე მძარცველები ყოფილან და მამასთვის ყველაფერი წაურთმევიათ, რაც თან ჰქონდა. მეორე დღეს ბიძაჩემი ალექსანდრე ჰყვებოდა:

— ყველა საეჭვო პირი რევოლუციურ კომიტეტში მიუყვანიათ. ვისაც ხალხი ამოიცნობს და დანაშაულს დაუმტკიცებს, გაასამართლებენო.

დამნაშავეების დასადგენად სხვებთან ერთად მამაჩემიც წაიყვანეს. ოჯახის წევრებს, მეზობლებს, ყველას ძალიან ეწყინა, რომ მამამ თავდამსხმელთაგან ვერცერთი ვერ შეიცნო.

გავიდა წლები. 1918 წლის ამბები თითქმის დავიწყებას მიეცა. ცხოვრება აეწყო. ბავშვები დავიზარდეთ; ზოგნი ვმსახურობდით, ზოგი უმაღლესში ვსწავლობდით. მამის თხოვნით, ჩვენი ოჯახის წევრები ყოველ ახალ წელს საჩხერეში ერთად ვხვდებოდით.

1935 წლის უკანასკნელი დღე იწურებოდა. ღამდებოდა. მიწას ზანტად მოფარფატე თოვლის ფანტელები ეფინებოდა... ეზოში რამდენიმე იმერული აჩაჩა ურემი შემოვრიალდა. შეშა მოიტანეს. მეურმეები ჩქარობდნენ, ახალ წელს ოჯახებში უნდა შევხვდეთო. მამამ ისინი თითო ჭიქა ღვინოზე მიიპატიჟა. ერთმა თმაშეევერცხლილმა კაცმა, ეტყობოდა ის უნდა ყოფილიყო მეურმეთა მეთაური. მამას მიმართა:

— ბიძია ვასიკო, წელს 17 წელი შესრულდა, რაც ჩემი ნათლია ბრძანდებით. თუ შეიძლება ჩემი ვაჟი თქვენს შვილებს გააცანით.

მამამ სამივე წარგვადგინა და საჩუქრისათვის დიდი მადლობა გადაუხადა. სუფრასთან ცოტა ხანს დარჩნენ, დაგვლოცეს და გზას გაუდგნენ. ჩვენ მივხვდით: მამა ამ საახალწლო ნობათს არ მოელოდა, ისიც ჩანდა, რომ მისთვის ძღვენს მატერიალურ ღირებულებაზე გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მამა შეგვპირდა, თუ მოთმინებას გამოვიჩენდით, მომავალი წლის პირველსავე დღეს ყველაფერს გვიამბობდა. რამდენიმე საათის შემდეგ მართლაც შემოვუსხედით 1936 წლის 1 იანვრის სუფრას და მანაც დანაპირები შეგვისრულა.

— 1918 წლის მარტში, როდესაც მენშევიკების დამსჯელი გვარდიის პირველი ყუმბარა ჩვენს ეზოში ჩამოვარდა, შენ, სერგო, 8 წლის შესრულდი, ანდრო 3 წლისა იყო, კოტე, შვილო, შენ კი 10 დღისა იყავი. მაშინ ჩვენს რაიონში რა ამბებიც დატრიალდა, ახლა თქვენ სამივემ კარგად იცით. და აი, იმ უჩვეულო კვირის ერთ დღეს გვარდიელების სახელით ორმა შეიარაღებულმა პირმა ჩვენს ოჯახს მოაკითხა. დედა ისევ ლოგინად იყო. სერგოს ახსოვს კიდეც. ალბათ, — განაგრძო მამამ. — წამიყვანეს ყვირილის პირისკენ და გამძარცვეს; თან რაც მქონდა, ერთმა, ასაკით უფროსმა, წაიღო და წავიდა. ღამის სიბნელეში მისი გარეგნობა ვერ გავარჩიე. მეორემ, რომელიც იარაღით ხელში თავს მადგა, ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი მომთხოვა, საიდანღაც გაეგო, რომ მე მას ვატარებდი ხოლმე. დილამდე მისი თხოვნის შესრულება არ შემეძლო, რადგან რევოლვერი სხვენში მქონდა დამალული.

დილით ადრე უკანვე სახლში მომიყვანა და მე მას ბრაუხინგი ჩამოვუტანე. მასთან საუბარში დავრწმუნდი, რომ ეს უწვერულვაშო უბირი ჭაბუკი ჯერ კიდევ არ იყო საზოგადოებისათვის დაკარგული. ვთხოვე ეს რევოლვერი ჩემგან საჩუქრად მიეღო. წისვლისას დამპირდა: ცუდი საქმისათვის არ გამოვიყენებო. ამ შეხვედრიდან ორი დღის შემდეგ შენიშნულ დამნაშავეთა შორის რაზმელებს ისიც ჰყავდათ დაპატიმრებული. დილით ადრე, როცა ჩვენი ეზოდან გადიოდა რევოლვერით ხელში, მეზობელს დაენახა. როდესაც მასთან მიმიყვანეს, ის ყმაწვილი, რა თქმა უნდა, შეხვედვისთანავე ვიცანი, ვერხვის ფოთოლივით თრთოდა, მაგრამ კომისიას მტკიცედ განვუცხადე, ამ კაცს პირველად ვხედავ-მეთქი. რადგანაც მას სხვა ბრალმდებელი არავინ ჰყავდა, იგი გაათავისუფლეს. მეორე მძარცველი არ იყო, თუ ვერ ვიცანი, ვერ გეტყვით. ერთი წლის განმავლობაში მისი ასავალ-დასავალი არ გამიგია.

1919 წლის მაისში ჭაბუკი გამომეცხადა და ბრაუნინგი მომიტანა. მე არ გამოვართვი, გავახსენე, რომ მე მას რევოლვერი ვაჩუქე და დამნაშავედაც ამიტომ არ ჩავთვალე. 1920 წელს კვლავ მომაკითხა, ახალგაზდა გოგონა მოიყვანა და ჩემი თავი გააცნო — ჩემი ნათლიაო. ასე გამიჩნდა ახალი ნათლული! კიდევ ერთი წელი გავიდა და ნებართვა მთხოვა — ვაჟი შემეძინა და თუ შეიძლება ვასიკოს დავარქმევო. დღეს თქვენ ეს ვასიკოც გაიცანით და მამამისიც. ელიზბარი შესანიშნავი კაცი დადგა. მიხარია, რომ მის აღზრდაში მეც მიმიძღვის მცირე წვლილი. შვილებო, გთხოვთ თქვენც იმეგობროთ მათთან, კარგი ხალხია... ახალი წლის წინა დღეს ზოგჯერ გამიხსენებს ხოლმე. დღეს ამ ამბავს თქვენც შეესწარით. — დაამთავრა მამამ ეს დიდი ხნის ისტორია.

სუფრასთან შვილებსა და მამას შორის კამათი გაიმართა... სწორად მოიქცა კი მამა? სად არის იმის გარანტია, რომ დანაშაულის დაფარვა ყოველთვის დადებით შედეგს გამოიღებს?!

1922 წელს ზაფხულზე მდინარე ყვირილა უჩვეულოდ ადიდდა. ყველა ჯებირი გადალახა და ხალხს დიდი ზიანი მიაყენა. მოაღწია თუ არა წყალდიდობის ამბავმა ჩვენამდე წაღვერში, დედამ ვეღარ მოისვენა: „ოჯახს უნდა მივხედოო და საჩხერეში წავიდა, თან 3 წლის ვაჟი წაიყვანა. უფროსი შვილები მამასთან დავრჩით. დედას, როდესაც შორაპანში ჩავიდა, საჩხერე-შორაპნის რკინიგზა მოშლილი. დახვდა, მატარებლით მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. რას იზამდა ბავშვით ხელში

რამდენიმე ათეული კილომეტრი ფეხით უნდა გაევლო. პატარა შოთა დიფტერიით იყო ავად და გზაში გარდაიცვალა... ოჯახის დანარჩენმა წევრებმა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოვახერხეთ შინ დაბრუნება. დედა მძიმე ავადმყოფი დაგვხვდა, რამდენიმე თვე ებრძოდა სიკვდილს. წლის ბოლოს, ზამთრის პირას, ცოტა მომჯობინდა.

1923 წლის ზამთარიც უხვთოვლიანი აღმოჩნდა. რამდენიმე დღეს გადაუღებლად ბარდნიდა და ყველაფერი თოვლმა დაფარა. მოდინახის ტყიანი ფერდობებიდან გარეულმა ცხოველებმა დაბას მოაშურეს: კურდღელსა და მელას ქუჩებშიაც შეხვდებოდით. ჩვენი სახლის ახლო გორაკების ბუჩქნარი ფრინველებით აივსო. ისინი დამშეულნი იყვნენ და ფრენა აღარ შეეძლოთ. განსაკუთრებით ბევრი იყო ჩხიკვი. ბავშვები ფრინველებს კალათებში ვაგროვებდით და გამოსაზამთრებლად ბინებში მიგვყავდა. ოცამდე ჩხიკვი მეც მოვიყვანე შინ. ფრთებდამძიმებული და მობუზული ჩხიკვები ისხდნენ ბუხრის წინ და ხორბალს კენკავდნენ. რამდენიმე დღეში ისინი მოშინაურდნენ და ახლა ერთთავად დედას ლოგინთან ბორიალობდნენ. ოჯახის ახალი წევრებით დედამ უზომოდ გაიხარა, მათი მოვლითა და მოფერებით ერთობოდა კიდეც.

თოვლი სკოლის ცხოვრებაშიც ძლიერ შემოიჭრა. მოწაფეები დასვენებაზე, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ გაუთავებლად ვგუნდაობდით, თოვლში ვჭიდაობდით, თოვლის სახლებს ვაშენებდით. ერთ დღეს ჩემი ნასროლი გუნდა ამხანაგებს ასცდა და სკოლიდან მოულოდნელად გამოსულ კატუშა მასწავლებელს თვალში მოხვდა. იგი დაუყოვნებლივ ექიმთან წაიყვანეს. ქალბატონი კატუშა (ეკატერინე) აბაშიძე ჩვენი უსაყვარლესი მასწავლებელი იყო და მისი დაშავება მთელმა სკოლამ ძლიერ განიცადა. ჩემი მდგომარეობა მეტად მძიმე აღმოჩნდა. ჯერ სკოლის დირექტორმა ვანო წერეთელმა დამტუქსა, შემდეგ გოგონები დამესივნენ და საყვედურებით ამავსეს. მე, როგორც შემდეგში მითხრეს, თურმე გულამოსკვნით ვტიროდი. შინ კიდევ უარესი მდგომარეობა დამხვდა: ერთ ჩემს ამხანაგს დედისათვის ამბავი მოეტანა — სერგომ კატუშა მასწავლებელს თვალი გამოთხარაო და დედას გრძნობა დაეკარგა. აღარ ვიცოდი, რა მექნა: აქეთ დედა, იქით მასწავლებელი...

რამდენიმე დღის შემდეგ სამასწავლებლოში დამიძახეს, უკვე გაერკვიათ თუ როგორ უცაბედად მოხდა ყველაფერი. ჯერ გამიწყრნენ, შემდეგ კი დამარიგეს და გამამხნევეს: კატუშა მასწავლებელს თვალი უკეთ აქვს, მალე სკოლაშიაც დაბრუნდებაო. ეს დროც დადგა. გაიღო კარები და თვალახვეული კატუშა მასწავლებელი საკლასო ოთახში შემოვიდა. მთელი ჯგუფი სულგანაბული ელოდა, თუ რა მოხდებოდა. ქალბატონი ეკატერინე პირდაპირ ჩემთან მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა, გულში ჩამიკრა და მოწაფეებს მიმართა: „ხომ დარწმუნდით, თუ რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს გაუთავებელ უგონო გუნდაობას. აწი მაინც მოიქეცით წესიერად". მე ოცნებით უკვე დედასთან ვიყავი, ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მალე გაეგო მას, რომ კატუშა მასწავლებელი უვნებელია და რომ მაპატია მან დანაშაული.

ამას წინათ ქალბატონმა ეკატერინემ ჩემი დაბადების 75 წელთან დაკავშირებით ბინაზე დამირეკა, მომილოცა და შემახსენა — „გახსოვს სერგო, თვალი რომ კინაღამ ამომიგდე, შენი გაოგნებული სახე ახლაც თვალწინ მიდგას; რა ვაჟკაცი, როგორ ტიროდი!"

11

ჩემი ბავშვობისას საჩხერეში ორი ტბა იყო, რის გამოც დაბაში ერთხანს მალარია გავრცელდა. დაავადებას ვერც მე გადავურჩი და ორი წლის მანძილზე ციებ-ცხელება დროდადრო მესტუმრებოდა ხოლმე. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, როგორც იქნა, მალარიას თავი დავაღწიე, მაგრამ ჯანმრთელობა შემერყა, საერთო სისუსტე დამჩემდა. ჩვენი ოჯახის მეგობარი ცნობილი ექიმი სევერიანე ჭოღოშვილი ყოველთვის მაიმედებდა, ნუ გეფიქრება, გამოჯანსაღდები, მთავარი ჰაერზე ყოფნაოო. თვალყურს მადევნებდა სკოლის ექიმი ანდრია გამრეკელიც, ხშირად მარიგებდა: ყველაფერი კეთდებაო.

1926 წლის თებერვლის პირველ დღეებში ჭიათურის სრული საშუალო სკოლის ყველა მოსწავლის ჯანმრთელობა შეამოწმეს და შედეგები 7 თებერვალს გამოგვიცხადეს. ყველაზე მკაცრი განაჩენი წილად მე და სტეფანე პაპიჯანაშვილს გვერგო, სწავლას დროებით თავი უნდა დაანებოთ, თქვენ ფილტვებს ცოტა უჭირს, სკოლაში თქვენი სიარული არ არის სასურველიო. სკოლის დირექტორი მო-

გვეფერა, დაგვაიმედა, მალე გამოკეთდებით და სწავლას კვლავ გააგრძელებთო, ორივემ იმავე დღეს დავტოვეთ სკოლა.

ჭიათურაში ამხანაგებთან ერთად კერძო ბინაში ვცხოვრობდი, ერთ პატარა ოთახში სამნი ვიყავით. საღამოს ჩვენთან სხვა ამხანაგებიც მოვიდნენ და შეიქნა ბჭობა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ჩემი სკოლიდან დათხოვნა ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩვენს უჩვეულო ხმაურზე სახლის პატრონი სეითი (გვარი აღარ მახსოვს) გამოვიდა, საქმის ვითარებაში მალე გაერკვა და დასკვნაც მკაფიოდ ჩამოაყალიბა:

— საეჭვო არაფერია, ბიჭს ჭლექი ჭირს, ბინა ხვალვე უნდა დამიცალოთ, ჩემს მდგომარეობაშიც შედით, პატარა ბავშვების პატრონი ვარ.

ჩემმა მეგობრებმა სახლის პატრონი დაამშვიდეს:

— სერგო დღეს ღამის მატარებლით საჩხერეში მშობლებთან მიდის, ჩვენ კი ხვალვე მოვძებნით სხვა ბინას.

ბიძია სეითი დაწყნარდა და „მომეფერა“:

— ნუ გეშინია, ახლა თებერვლის დასაწყისია, ჭლექიანებს განსაკუთრებით მარტის თვეში უჭირთ, მანამდე კიდევ ბევრი დროა.

ამხანაგებმა ჩამსვეს მატარებელში და აღმითქვეს, რომ ხშირად მომინახულებდნენ.

ყოველივე ელვისებური სისწრაფით მოხდა, ვერაფრის მოფიქრება ვერ მოვასწარი. მამა შინ არ დამხვდა, დედას ყველაფერი ვუამბე.

ის მისმენდა და ჩუმად ტიროდა. მამაჩემი გვიან დაბრუნდა, დილით სამუშაოდ არ წავიდა და ჩემთან ერთად ისაუზმა, ყველაფერი გამომკითხა და მირჩია საღამოს ბიძია სევერიანესთან გადავსულიყავი, დაწვრილებით მეამბნა რაც იყო. მამამ წასვლის წინ ჩემი პატარა და ცუფა მუხლზე დამისვა და დამიბარა: ლექსები ასწავლე, ეთამაშე, მაგრამ არ გაასულელოო. დედამ ბავშვები სკოლაში არ გაუშვა, ოთხივე მე მეხვეოდა, არ იცოდნენ რა მოხდა, რა უნდა გაეკეთებინათ.

საღამოს ბატონ სევერიანეს მივაკითხე. ვღელავდი. მის ხელში დავიბადე, როგორც იტყვიან, მან „ამიყვანა“ და საბოლოო განაჩენიც

მას უნდა გამოეტანა. მომისმინა, დიდხანს მსინჯა და მშვიდად დაასკვნა: — ახალი არაფერია. აბა გაიხსენე რამდენჯერ გქონია ოცდაცხრამეტი-ორმოცი გრადუსი სიცხე. რაც ახლა შენი ფილტვებიდან ისმის, ეს არც მოულოდნელია და არც საშიში. ექიმი გამრეკელი სწორად მოიქცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. დაისვენე, ყვირილას პირას ხშირად იარე, დროზე და კარგად იკვებე, მალე მომჯობინდები.

არ ვიცი, რა მომივიდა, მაგრამ ჩემთვის სათაყვანებელი ადამიანის სიტყვა ამჯერად გულს არ მომკარებია. სადღაც შორს ვიყავი წასული. მხოლოდ ერთი სიტყვა „სიკვდილი“ მიტრიალებდა თავში. ჩვენს ოჯახში სიკვდილს ორჯერ შევესწარი, როდესაც სამი წლის ძმა, პატარა შოთიკო დავკარგეთ და როცა ბაბუა ილარიონი გარდაიცვალა. მაშინ დიდხანს ვფიქრობდი, თუ რა არის სიკვდილი, რა უნდა ჩვენგან, მაგრამ ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივდიოდი. ახლა უფრო გაოგნებულ კაცს ვგავდი; ხელში მეკავა ფანქარი და დაუსრულებლად გამომყავდა კითხვის ნიშნები.

ადამიანის სიცოცლეზე ფიქრი ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ სიკვდილის აჩრდილი ასე მკაფიოდ და ახლოს ადრე არასოდეს არ შემინიშნავს.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას მე და ჩემი ამხანაგები ძირითადად არჩილ ჯორჯაძის ნაწერებით ვიცნობდით, ზოგჯერ მის პოლემიკურ წერილებს ვკითხულობდით ხოლმე. ამ აფორიაქებულ მდგომარეობაში კვლავ ჩავუჯექი მის ნაწერებს, საოცრად მოერგო იმდროინდელ ჩემ სულიერ განწყობილებას არჩილ ჯორჯაძის „წერილები იტრიის წისქვილიდან“ („იმა ქვეყანათა ხელშეხება“)*. ავტორის აზრით, ადამიანის სიცოცხლე დღესაც ორი ბნელი უფსკრულის წინაშე დგას; დასაწყისიც და დასასრულიც წყვდიადით არის მოცული... და სწორედ ამ აზრით არის გამსჭვალული სოლომონ მეფის საფლავის წარწერაც: „განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველი საფლავსა ამასა შინაო“.

თითქმის ორი კვირა გავატარე არჩილ ჯორჯაძის ფიქრთა სამყაროში. დავეწაფე მის სხვა წერილებსაც ლიტერატურაზე, რელიგიაზე... შეეეცადე გამეგო, თუ რატომ ეძებდა ლევ ტოლსტოი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე სიცოცხლის აზრს; რა შეეძლო

---

* თხუზულებანი არჩილ ჯორჯაძისა. წიგნი მესამე. ნაბეჭდი. ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია, 1911, თბილისი.

მოეცა რელიგიას. ვერ გავერკვიე, გონება მუხრუჭებში მომექცა, სულიერი აარტოობის შემეშინდა, მოქმედება მომინდა.

მეგობრებს მივაშურე და მოულოდნელად თავი სკოლაში ამოვყავი. ბიჭები შემომეხვივნენ, მეფერებოდნენ, მემუქრებოდნენ — სკოლიდან აღარ გაგიშვებთო, ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდნენ. რამდენიმე წუთში ჩემი დაავადება სულ გადამავიწყდა, ჩემთვის უკვე სკოლა იყო ყველაფერი. როდესაც ქალების ჯგუფიც გარს შემომეხვია, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უეცრად მათ შორის „ისიც“ შევნიშნე. თავი ვერ შევიკავე და ხელებგაშლილი გავქანდი; მისი გამოჩენის დროს მე ყოველთვის ვწითლდებოდი. გაწვდილი ხელები ჰაერში დამრჩა. გოგონამ ორივე ხელი ზურგსუკან დაილაგა და დინჯად მომმართა: — არ გეწყინოს, ხელს ვერ ჩამოგართმევ, მეშინია,.. — ადგილზევე გავშეშდი, გონება დამებინდა და იმავ წუთში იქაურობა დავტოვე. საღამოს უკვე შინ ვიყავი.

ძველებურად ჩემს ოთახში ჩავიკეტე. სულიერი ღელვა ვერ დავიოკე. მოგვიანოდ ჩემი ციხესიმაგრე ისევ პატარა ოქროსკულულებიანმა ცუფამ აიღო; ორივემ ერთად ვისწავლეთ ლექსი.

მეორე დღეს მეგობრებმა მომაკითხეს. შეწუხებულნი იყვნენ „მისი“ მოქცევით. დიდხანს ვიმსჯელეთ, რა უნდა მეღონა. არც ერთმა არ ვიცოდით, რა მოუხდებოდა ჩემს აფორიაქებულ სულს, გაღიზიანებულ ფსიქიკას, რით უნდა მომეცილებინა თავიდან ამდენი კითხვის ნიშანი. ერთი რამ ცხადი გახდა: ავადმყოფობა არ გაძლიერებულა და აჯობებდა შინ მაინც მემეცადინა, გამოცდებისათვის მოვმზადებულიყავი. მე ხომ რამდენიმე თვეში საშუალო სკოლა უნდა დამემთავრებინა!

ოთხმა ამხანაგმა შევკარით ჯგუფი და საღამოობით დავიწყეთ მეცადინეობა მათემატიკაში ტერენტი ტყემალაძის ხელმძღვანელობით. რაც უფრო მეტად ვიყავი დაკავებული და მოვუმატე სწავლას, მით უფრო დამეუფლა სიმშვიდე. ახლა, თითქმის ექვსი ათეული წლის შემდეგ, როდესაც ვათვალიერებ ჩვენს მაშინდელ სქელტანიან რვეულებს, მიკვირს, როგორ ამოვხსენით 4 თვის განმავლობაში ამდენი მაგალითი და ამოცანა ალგებრაში, ტრიგონომეტრიასა და გეომეტრიაში!

დადგა მაისის ბოლო. აშკარა იყო, რომ სულიერი კრიზისი გადავიტანე. სკოლაში გამოცდების ჩასაბარებლად დავბრუნდი.

ყველა კარგად მექცეოდა, განსაკუთრებული ყურადღებით მასწავლებლები მეპყრობოდნენ. ივნისში სიმწიფის ატესტატი გადმომცეს.

ის, რაც 7 თებერვლიდან 25 ივნისამდე გადამხდა, უფრო სიზმარს ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. მას შემდეგ ხშირად მიფიქრია: ნეტავ რამ გადამარჩინა?! ალბათ, ოჯახის, ექიმის, მეგობრების შეხმატკბილებულმა ზემოქმედებამ და შრომისადმი ჩემმა დამოკიდებულებამ.

12

საჩხერის ახალგაზრდობა ზაფხულობით ხშირად იკრიბებოდა დავით მაჩიტიძის ეზოში, ლენინის ქუჩაზე. დავითი ჭიათურაში მუშაობდა შავი ქვის მტვირთავად, ამასთანავე, ჭიათურის მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობდა. დავითის მამა — იორდანე — კუნთმაგარი, სახეზე მუდამ კეთილი ღიმილგადაფენილი, ახოვანი ვაჟკაცი იყო; დედა — ირინე ქართველიშვილი ნაზი, სათნოებით სავსე ქართველი ქალის განსახიერებას წარმოადგენდა. დავითის მშობლებს თავისი ახალგაზრდობა თავად ამირიდონ წერეთლის სამსახურში გაეტარებინათ და ახლა, მოხუცებულობის დროს, მის მიერ ნაბოძებ ადგილზე ცხოვრობდნენ. სამი ადამიანი და ორი წაბლა ხარი ერთოთახიანი პატარა სახლის ბინადარნი იყვნენ: ხარები ხის მორებზე იდგნენ, ადამიანებს კი მიწით მოფენილი იატაკი რგებოდათ... იორდანე ყოველდღიურ ლუკმაპურს მეურმეობით შოულობდა, რკინიგზის სადგურიდან დაბაში ტვირთს ურმით ეზიდებოდა.

სახლთან, მწვანე ბალახით დაფარულ ეზოში, დიდი თუთის ხე იდგა. ამ ხის ფართო ჩრდილში ახალგაზრდები ვიკრიბებოდით ხოლმე და სხვადასხვა საკითხებზე ვმსჯელობდით. დაბის მოსახლეობამ მაჩიტიძეების ეზოში ჩვენს თავშეყრას „მაჩიას აკადემია" უწოდა, ხოლო დავითი „აკადემიის პრეზიდენტად" იქნა აღიარებული.

„მაჩიას აკადემიას" საფუძველი 1925 წელს ჩაეყარა და მისი ზემოქმედება ჩვენს გონებაზე 7 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. პირველი სამი წელი უმაღლესისათვის მზადების საკითხებს მიეძღვნა, შემდეგი დრო კი სტუდენტობის დროინდელ პრობლემებს. კორპორაციის წევრები იყვნენ: ამბერკი გაჩეჩილაძე, სიმონ და გუგულა შათაშვილები, გრიგოლ გრძელიშვილი, ამბროსი და გენადი სადუნიშვილები, იროდიონ თუშიშვილი, გიორგი და სიმონ ღუღუნიშვილები, ბორის წერეთელი, გოგიტა საყვარელიძე, დავით ფანჩულიძე, გიორგი კალმახელიძე, შალვა კევლიშვილი, სტეფანე და ვლადიმერ კალოვები, ალექსანდრე კაპანაძე, დავით მაისურაძე, გიორგი აბჟანდაძე, ილია აბრამიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

თანამეგობრობის წევრთა ასაკი „აკადემიის" დაარსებისას 15-დან 21 წლამდე იყო. არც ერთ ჩვენთაგანს საშუალო სკოლა ჯერ კიდევ არ

ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ყველანი უმაღლესი განათლების მიღებაზე ვოცნებობდით. უმრავლესობა ჭიათურაში სწავლობდა, რამდენიმე ახალგაზრდა — თბილისსა და ქუთაისში. ჩვენი მსჯელობის უპირველესი საგანი იყო, თითოეულ ჩვენთაგანს რა სპეციალობა აერჩია, რა კუთხიდან ჩავმდგარიყავით ჩვენი ქვეყნის სამსახურში. დაუსრულებელი კამათის შემდეგ მხოლოდ ერთში შევთანხმდით: მოვმზადებულიყავით ყველა საგანში თანაბრად, ძლიერად. მათემატიკაში ჩვენი მუდმივი კონსულტანტი და დამხმარე ტერენტი ტყემალაძე იყო, შემდეგში ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. უმაღლესში ჩასაბარებელ დანარჩენ საგნებს დამოუკიდებლად ვსწავლობდით და დროდადრო ერთად ვიმეორებდით, ერთმანეთს ვაკონტროლებდით და ვეხმარებოდით კიდეც.

სავალდებულო საკითხების გარდა, მუდამ გვქონდა საპაექრო პრობლემები. კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ფართოა ახალგაზრდობის ინტერესები. უფრო ხშირად ვმსჯელობდით საქართველოს ისტორიულ წარსულზე, პიროვნების როლზე ისტორიაში, სამყაროს დასაბამსა და დასასრულზე, სიცოცხლის რაობაზე, სიყვარულზე, სარწმუნოებაზე, სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის მომავალ ბედზე, ქართულ თეატრზე, ქალთა ემანსიპაციაზე და სხვ. იმ დროს სკოლებში გავრცელებული იყო ლიტერატურული გასამართლებები. ჩვენს სკოლაში ყველაზე პოპულარული იყო აკაკის „გამზრდელის“ და გიორგი სააკაძის გასამართლება. ამ საკითხებისათვის არც ჩვენ აგვიხვევია გვერდი. ლიტერატურული თემები ამბერკი გაჩეჩილაძის მეთაურობით მუშავდებოდა, ბუნებისმეტყველებაში პირველი სიტყვა დავით მაჩიტიძეს ეკუთვნოდა, მათემატიკოსებად სიმონ შათაშვილი და გენადი სადუნიშვილი ითვლებოდნენ. უმრავლესობა არც „მთის“ ვიყავით და არც „ბრის“, ხან ერთ საგანში გავივაკებდით და ხან მეორეში.

ორი წლის დაძაბული შრომის შემდეგ თითქმის ყველანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით. თითოეული ჩვენთაგანის სწავლის სფერო გაირკვა და ახლა უკვე ჩვენი მომავალი სპეციალობის პოზიციებიდან ვსაუბრობდით. „მაჩიას აკადემია“ ღია ცის ქვეშ მოქმედ ახალგაზრდების კლუბს დაემსგავსა. საზაფხულო შეკრებების გავლენის სფერო გაიზარდა. რაიონის მრავალმა ახალგაზრდამ მოისურვა ჩვენთან დაკავშირება, ახალი წევრები შემოგვემატა. თანამეგობრობის წევრთა ურთიერთობა კიდევ მეტად მჭიდრო და მრავალმხრივი გახდა. „მაჩიას აკადემიის“ „გაძსვლელობსესიები“ ყვირილის პირას სპირიას წისქვილთან იმართებოდა. მეწის-

ქვილე სპირია ზამბახიძე ბევრი რამის მომსწრე იყო და მის ცხოვრებისეულ სიბრძნეს სიამოვნებით ვისმენდით.

ისმის კითხვა: მაინც რამ მიგვიზიდა ასე ძლიერად დავით მაჩიტიძესთან, რამ დაგვაკავშირა ახალგაზრდები ასე მჭიდროდ ერთმანეთთან? ხალხის მიერ არჩეული ჩვენი „პრეზიდენტი“ პატიოსნებითა და სიკეთით სავსე, ბუნებით სათნო, შრომისმოყვარე პიროვნება იყო. თავისი ასაკისათვის ფართო განათლება ჰქონდა. განსაკუთრებით კარგად იცნობდა საბუნებისმეტყველო ლიტერატურას. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში დავითს ბუნებისმეტყველებას არჩილ ავალიშვილი ასწავლიდა, შესანიშნავი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. დავითის დაწერილი რეფერატი „ჩარლზ დარვინი და ბუნებისმეტყველების განვითარება“ ჭიათურის ყველა სკოლის მოსწავლეთა ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგში დავითი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ხანგრძლივ გაჭირვებას მის თვალებში ნაღველი ჩაესახლებინა, მაგრამ იუმორის გრძნობა და სიცოცხლის წყურვილი მასში შადრევანივით ამოხეთქავდა ხოლმე. დავითი არასოდეს არავის არაფერს სთხოვდა, თავის შეხედულებას არავის არასოდეს თავს არ მოახვევდა. და მაინც მის აზრს ყველა დიდ ანგარიშს უწევდა, აზროვნების ორიგინალობით ყველასაგან გამოირჩეოდა.

ალბათ მაჩიტიძეების მთელი ოჯახის სისპეტაკე და პატიოსანი შრომა, დავითის უზადო მორალი, სულიერი სიმდიდრე და ნათელი გონება, შეუცნობელის შეცნობისადმი მუდმივი ლტოლვა, სხვებისათვის თავდადება და სამშობლოს დიდი სიყვარული იყო ჩვენი მისდამი უკიდეგანო პატივისცემის საძირკველი. დავითი ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, დუხჭირმა ცხოვრებამ და წიგნმა იგი ადრე დააბრძენა. რაც შეეხება თანამეგობრობის წევრთა მტკიცე ურთიერთკავშირს, ამას მნიშვნელოვნად აპირობებდა კორპორაციის ნებაყოფლობითი ხასიათი და იდეალთა, ინტერესთა ძირეული ერთიანობა.

„მაჩიას აკადემია“, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა, ყოველი ჩვენთაგანის მოქმედებასაც აძლევდა სათანადო შეფასებას. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს.

ერთხელ სრულიად მოულოდნელად ერთმა ადგილობრივმა ხელმძღვანელმა სამ ჩვენგანზე მიიტანა ეჭვი, რომ კადრების ფურცლების შევსებისას ანკეტებში თითქოს ყალბი ცნობები ჩავწერეთ და მოითხოვა სამივეს დასჯა. უფროსი თაობის სხვა წარმომადგენლებმა, არ დაიჯერეს ჩვენი დანაშაული და აქტიურად ჩაერივნენ სიმართლის დადგენაში; დაბაში ხომ ყველანი კარგად ვიცნობდით ერთმანეთს! მალე გაირკვა, რომ ერთ-ერთ ჩვენი წრიდან გარეთ მდგომ ახალგა-

ზრდას. ზედმეტ სახელად „ენუქარს“, თავისი ხელით შეეტანა ყალბი ცნობები სამივეს პირად ფურცელში და ხელიც ჩვენს მაგივრად მოეწერა. დამნაშავე მოიძებნა, ჩვენ გავმართლდით, მაგრამ სიყალბის ჩამდენი არავინ არ დასაჯა! როდესაც ჩვენს განცხადებას ადმინისტრაციულ ორგანოებში არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, მაშინ მივმართეთ საკუთარ „ხევისბერს“ — დავითს: ვთხოვეთ საქმე მოღალატისა ხევის ადათის მიხედვით გაერჩია. „თემის ყრილობა“ მდინარე ყვირილას პირას, ე. წ. კეხთან მოეწყო. საბრალდებო სიტყვა ა. გ-ძემ წარმოთქვა, საქართველოში მოღალატის დასასჯელად განკუთვნილი ყველა კანონი გაგვაცნო და სასჯელის უმაღლესი ზომა მოითხოვა. გაცხარებული კამათი გაიმართა. „ყრილობამ“ „ენუქარს“ სიკვდილი მიუსაჯა. დადგა დადგენილების „შესრულების“ დრო: პიტალო ქვას მივაკარით „ენუქარის“ სურათი და წვრილი ქვით დავცხრილეთ, შემდეგ მსხვილი ქვებით ჩავქოლეთ... „სისხლი“ ყვირილაში განვიბანეთ და სულიერად განწმენდილნი საღამოს სახლებში დავბრუნდით.

ამ აქტმა ახალგაზრდების ფიცხი გონება უჩვეულოდ აანთო; პირობითი, იმპროვიზებული სიკვდილით დასჯა და ნამდვილი სიკვდილით დასჯა ერთმანეთში აურიეს. ხმა გავარდა, რომ ტოლებმა გამცემი ამხნაგი ყვირილის პირას მოკლეს და მდინარეში გადააგდესო. მრავალი ახსნა-განმარტების მიცემა დაგვჭირდა, ძლივს დავარწმუნეთ ზოგიერთი უფროსი, რომ არაფერი უწესო არ ჩაგვიდენია. ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ და ახლაც ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცით. უნამუსო ხალხის წინააღმდეგ ყველამ ის იარაღი უნდა გამოიყენოს, რაც მოეპოვება და რისი ხმარების უფლებაც აქვს.

შვიდი წელიწადი იარსება „მაჩიას აკადემიამ“, შვიდი წელიწადი ვუდექით ერთმანეთს მხარში, შვიდი ზაფხული გავატარეთ ერთად ძიებაში, სწავლასა და ოცნებაში. ალბათ ნაყოფიერი იყო ჩვენი ზიარი სულიერი ცხოვრება, ალბათ ბევრი რამ კარგი შევძინეთ ერთმანეთს, რომ ჩვენი თანამეგობრობის ყველა წევრი წესიერი მოქალაქე დადგა, ხოლო უმრავლესობა ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გახდა.

1984

მასწავლებელი

ჰიათურის ცხრაწლიანი სკოლის დირექტორი ცნობილი ლიტერატორი და კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგავა იყო, მას შესანიშნავი მასწავლებლები ჰყავდა გარს შემოკრებილი. მათი უმრავლესობა მოწოდე-

ბით პედაგოგები იყვნენ. მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის კარგი დამოკიდებულება სუფევდა და მოსწავლეთა უმრავლესობას სკოლის ვარეშეც ჰქონდა მათთან ურთიერთობა.

მოსწავლეები ორ ჯგუფად ვიყავით გაყოფილი: „ლიტერატორები“ და „მათემატიკოს-ფიზიკოსები“; სკოლაში ორი კერპი გვყავდა: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იპოლიტე ვართაგავა და მათემატიკის ახალგაზრდა პედაგოგი ტიტე ბერიშვილი. ისინი ერთმანეთს ყოველთვის დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, ჩვენ კი გაუთავებელი დავა გვქონდა. თუ ვისი ღვთაება და მიმართულება იყო ამაღლებული და უკეთესი. ბოხდა „სასწაული“ და 1924 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში ორივე მასწავლებელმა ერთი და იგივე ჟურნალის წაკითხვა დაგვავალა. გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი „ქარი“ და მოსე გოგიბერიძის წერილი ალბერტ აინშტაინის რელატივობის თეორიაზე „მნათობის“ ერთ ნომერში იყო გამოქვეყნებული. ახალი პოეზიისა და ახალი ფიზიკის პრობლემებმა ერთად შემოანათა სკოლის ცხოვრებაში. ოცნება და სინამდვილე სულისა და სამყაროს საზღვრებსა და უსაზღვროებაზე ახალგაზრდობამ სწრაფად აიტაცა. ამ დროიდან მრავალი ჩვენგანისათვის სათაყვანებელი შეიქნა ორივე წმინდა საწყისი: ლიტერატურული და მეცნიერული.

მასწავლებელთა შორის განსაკუთრებით პოპულარული იყო ტიტე ბერიშვილი. იგი გამოირჩეოდა შინაგანი დისციპლინით და საგნის ღრმა ცოდნით, მოწაფეთა მიმართ სიმკაცრითა და სამართლიანი მომთხოვნელობით, კეთილი ბუნებითა და შრომის დიდი უნარით. შესახედავადაც მომხიბლავი იყო. ვაჟკაცური იერის ახალგაზრდა ათლეტი ჩვენს წარმოდგენაში მათემატიკაზე შეყვარებულ რაინდს წარმოადგენდა. დაფასთან ხომ თავისი საქმის ნამდვილი ხელოვანი იყო. რკინისებრი ლოგიკითა და ულამაზესი ნაწერით განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მოწაფეებზე. ერთი სიტყვით, გვიყვარდა, ნამდვილად გვიყვარდა „ჩვენი ტიტე“, როგორც ჩვენ მას ვუწოდებდით.

ტიტე ბერიშვილის გავლენა მოსწავლეებზე უსაზღვრო იყო. მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად დებდნენ ფიცს, რომ უეჭველად მათემატიკას აირჩევდნენ სალოცავ ხატად. უმრავლესობა მათემატიკას მართლაც კარგად სწავლობდა. ბატონი ტიტე გრძნობდა, რომ ჩვენზე დიდი გავლენა ჰქონდა და ყოველთვის მოკრძალებულად გვაფრთხილებდა:

— ნუ აჩქარდებით, კარგად აწონ-დაწონეთ, იფიქრეთ სხვა დისციპლინების გამოყენებაზეც და სპეციალობა შემდეგ აირჩიეთ. არც

ისე იოლია თავისთავის მონახვა, როგორც ეს თქვენ ახლა გეჩვენებათო.

ჩვენი სკოლის პირველი ლიდერი, რა თქმა უნდა, იპოლიტე ვართაგავა იყო. იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. თუ ახალგაზრდა ბერიშვილი დიდ იმედებს იძლეოდა, ბატონი იპოლიტე უკვე სახელმოხვეჭილი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ და მის მიმართ ჩვენი პატივისცემა და რიდი მის წარსულსაც ეკუთვნოდა და აწმყოსაც. დირექტორის მიმართ ჩვენს სიმპათიებს ისიც აძლიერებდა, რომ ცნობილი იყო მისი მამაშვილური დამოკიდებულება ჰაბუკ ბერიშვილთან და საერთოდ ახალგაზრდა მასწავლებლებთან.

სკოლაში მოსწავლეთა განსაკუთრებულ ასპარეზობად ითვლებოდა წერა ალგებრასა და ქართულ ლიტერატურაში. ეს დღეები სადღესასწაულო შეჯიბრებებს ჰგავდა. ამ წერისათვის მასწავლებლებიც და მოწაფეებიც საგულდაგულოდ ვემზადებოდით. ყველა ნამუშევარი ხუთბალიანი სისტემით ფასდებოდა. მასწავლებელი საუკეთესოსა და სუსტ ნაწარმოებს გაკვეთილზე მოწაფეების წინ არჩევდა. ყველას კარგად უნდა გაეგო, რატომ იყო ესა თუ ის ნაწერი საუკეთესო და რაში გამოიხატებოდა რომელიმე ნამუშევრის სუსტი მხარეები.

1926 წელი ჩემი და ჩემი ამხანაგებისათვის დამამთავრებელი წელი იყო და მასწავლებლები გამოსაშვები გამოცდებისათვის გვამზადებდნენ. საკონტროლო წერის მთელი სერიები ტარდებოდა. დადგა ნანატრი დღე და ორი გადაბმული გაკვეთილი ალგებრის წერას დაეთმო. დაფაზე მკაფიოდ გამოისახა ამოცანის მოცემულობანი და მაგალითები. ყველას სიხარულის გრძნობა დაგვეუფლა: მაგალითები ტიპიური ჩანდა, ამოცანა კი მარტივად და იოლად გადასაწყვეტი მოგვეჩვენა. მეორე გაკვეთილის დამთავრებისას ზოგიერთმა მოწაფემ ოვეული ჩააბარა. უმრავლესობა კი განკუთვნილ დროში ვერ ჩაეტია. მასწავლებლის განაჩენს რამდენიმე დღე გულისფანცქალით ველოდით.

ერთ დღეს ჩვენს კლასში მათემატიკის მეორე მასწავლებელი ერმილე კალანდაძე შემოვიდა და ორი მოსწავლე, მე და ილო აბრამიშვილი, მიგვიხმო, გვთხოვა, რომ გაკვეთილის დამთავრების შემდეგ სამასწავლებლოში ავსულიყავით. ზარი დარეკეს თუ არა, ჩვენც იქ გავჩნდით. მაგიდასთან ტიტე ბერიშვილი და იპოლიტე ვართაგავა ისხდნენ. წინ რვეულები ელაგათ და ჩაფიქრებული დასცქეროდნენ. შეგვამჩნიეს თუ არა, ორივენი გვერდზე, აქეთ-იქით მოგვისვეს. მათემატიკის მასწავლებელმა მოგვმართა:

— ამოცანა მხოლოდ თქვენ ორს გაქვთ სწორად გადაწყვეტილი; როგორც ჩანს, წინასწარი მასალა და ახსნა-განმარტებები მე ვერ მოგაწოდეთ ისე ცხადად, როგორც საჭირო იყო. თქვენზე ნაკლები მოსწავლეები არ არიან კაპანაძე, გრძელიშვილი, გუდაძე, ქამუშაძე, და, ხედავთ, ყველას ერთნაირი შეცდომა აქვს დაშვებული.

— რას გვირჩევთ, როგორ მოვიქცეთ. გამოსაშვებ გამოცდებამდე თვენახევარი დარჩა. ბატონი იპოლიტე ბრძანებს, რომ ახლა ყველაზე მეტად საკუთარი ძალების რწმენაა საჭიროო. რას იტყოდით, რა გავაკეთოთ ამისათვის?

ჩვენ ორივენი ვდუმდით. ვერ მივმხვდარიყავით, თუ რა სურდათ და რას ელოდნენ ჩვენგან.

— თუ თქვენ დამეთანხმებით, — განაგრძო ბატონმა ტიტემ, — რვეულებს ჯგუფში მე არ დავარიგებ. გამოვაცხადებ, რომ ამოცანა ვერავინ ვერ გამოიყვანა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არა ვართ სათანადოდ მომზადებული-მეთქი და საჭიროა დამატებითი მეცადინეობა. თქვენ ორივეს დაფასთან გამოგიძახებთ და ყველა საკითხი დაწვრილებით გავარჩიოთ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დავეთანხმეთ, მაგრამ ვერ გაგვეგო. რატომ სჭირდებოდა ტიტე მასწავლებელს თავისი მოქმედებისათვის ჩვენი დასტური. კიბემდე გამოგვაცილა, მოგვეფერა და გვთხოვა, რომ ეს „შეთქმულება“ საიდუმლოდ შეგვენახა.

ერთი კვირის განმავლობაში გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ამოცანების გამოყვანაში ვვარჯიშობდით.

გამოსაშვებ გამოცდებზე ალგებრის წერით სამუშაოში უმრავლესობამ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასება მიიღო. ზეპირი გამოცდების დროს ბატონმა ტიტემ ცარცის „ჭამას“ უმატა, რაც იმას ნიშნავდა. რომ კმაყოფილი იყო. გამოცდებმა სხვა საგნებშიც ნორმალურად ჩაიარა. დადგა გამომშვიდობების დრო. წლების მანძილზე და-ძმასავით შესისხლხორცებული ახალგაზრდები ერთმანეთს ვშორდებოდით. ყველანი ვღელავდით, რაღაც უცნობი გრძნობები დაგვეუფლა. ზოგი ხმამაღლა ოცნებობდა, ზოგი კი გულჩათხრობილი დადიოდა, განიცდიდა სკოლასთან დაშორებას. ყველა ცდილობდა, რომ გამზრდელ სკოლასთან რაღაც უხილავი ძაფებით კვლავ ყოფილიყო დაკავშირებული.

საზეიმო ვითარება და ჟრიამული მივატოვე და ვაშაძეების უბანში ჩემს პატარა ოთახში განვმარტოვდი. იმავე დღეს საღამოს ჩემთან ბავშვობის ორი მეგობარი მოვიდა: ილო აბრამიშვილი და დავით მაჩიტიძე. მათ ტიტე ბერიშვილის ორი სურათი მოიტანეს. ორივეზე ბატონ ტიტეს მიერ წარწერილი მოძღვნა იყო, დავით მაჩიტიძე მუშათა

ფაკულტეტზე სწავლობდა. მის კუთვნილ სურათზე ეწერა: „საყვარელ მოწაფესა და მეგობარს“. ისინი ასაკით თითქმის ტოლები იყვნენ და მათი მეგობრული ურთიერთობა ჭიათურაში ცნობილი იყო. ჩვენ ორისათვის განკუთვნილ სურათს ეწერა: „პატარა მათემატიკოსებს და დიდ მესაიდუმლეებს სახსოვრად ტიტე ბერიშვილისაგან“.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უკეთეს საჩუქარს ვერცერთი ჩვენთაგანი ვერ ინატრებდა.

1980

ოცნების სამყაროში

1914 წელს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე-9 ნომერში შალვა დადიანმა გამოაქვეყნა „სია იმ პირთა, რომელნიც შეიძლება დღესდღეობით ქართული სცენის მსახიობებად ჩაითვალონ“. შალვა დადიანს სრულიად საქართველოში მხოლოდ 103 კაცი მიაჩნდა მსახიობის სახელის ღირსად! აღიარებულ მსახიობთა შორის ორი ჩემი ოჯახის ახლობელი ნათესავიც იყო: დედის მხრიდან გიორგი გურული, ხოლო მამისა — დავით აბდუშელიშვილი (აბდუშელი). ჩემი გულმხურვალე დამოკიდებულება თეატრისადმი განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა განაპირობა. იმდროინდელი ჭიათურა და საჩხერე, სადაც მე ვიზრდებოდი და ვსწავლობდი, საკმაოდ გამოკვეთილი თეატრალური მხარე იყო და მეც ბიძია დათიკოს წყალობით ხშირად ვიყავი თეატრალური სანახაობებით მონუსხული და აღტაცებული. თეატრის სიყვარული აქამდე შემომრჩა და იგი ერთ-ერთ ჩემ ბედნიერებად მიმაჩნია.

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრებიდან განსაკუთრებით ზოგიერთი წელი მომაგონდება ხოლმე. მათ შორის არის 1925 წელიც. ამ დროს გორში დაიღუპა გორის თეატრის რეჟისორი და მსახიობი დავით აბდუშელი, ჩემი უსაყვარლესი ადამიანი. ამავე წელს ჭიათურაში საგასტროლო რეპერტუარით ჩამოვიდა რუსთაველის სახელმწიფო თეატრი. ძნელია ახლა იმის გადმოცემა, რაც მაშინ ჭიათურაში ხდებოდა რუსთაველის თეატრის ჩამოსვლის გამო.

მე ამ დროს ჭიათურაში ვსწავლობდი და ქვეყანას 16 წლის მეოცნებე ჭაბუკის თვალით ვუცქეროდი. ჩემთვის და ჩემი ტოლებისათვის რუსთაველის თეატრის გასტროლები ახალი, ამაღლებული იმედით სავსე სამყაროს აღმოჩენა იყო. ჭიათურის სახელოვანი მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია, მაღაროს მუშები, მოსამსახურენი, უფროსი კლასის მოსწავლეები ხარბად დაეწაფნენ რუსთაველელთა სპექტაკლებს. საჩხერიდან, ჭიათურის ახლო სოფლებიდან განუწყვეტლივ

მოედინებოდა მაყურებელთა ნაკადი. დიდი აკაკის მხარე თეატრის სიხა-
რულით სუნთქავდა.

ჭიათურაში რუსთაველის თეატრის გასტროლები მთელი რაიონის სახალხო დღესასწაულად გადაიქცა, დღესასწაულად ხელოვნებისა, ხალხისა, თეატრისა და მაყურებლისა. გათავდა გასტროლები, მაგრამ მისი სულიერი გავლენა არ შენელებულა.

ახლაც თვალწინ მიდგას უშანგის ჰამლეტი; ახლაც მესმის ყურში მისი გულის სიღრმემდე ჩამწვდომი და სულის შემძრავი ხმა. ასე მგონია, მხატვარი რომ ვყოფილიყავი, უშანგი ჩხეიძის ყოველ მოქმედებას ისე გადავიტანდი ტილოზე, რომ მისი სუნთქვაც კი აღექვათ მნახველებს.

სპექტაკლი დამთავრდა და დარბაზიდან არავინ გადიოდა, არავის არ სურდა უშანგის, ვერიკოს, აკაკის, შალვას... დატოვება! თქვენ უნდა გენახათ მაყურებლების გამომეტყველება?! ადამიანებს ასეთი სახეები ალბათ მხოლოდ მაშინ აქვთ, როდესაც უდიდესი რწმენით ევედრებიან ღმერთებს, რომ ქვეყანას სიკეთე არ მოაკლონ, რომ ადამიანები ბედნიერების მწვერვალიდან ქვირს აღარ დაუშვან!

მე და ჩემი მეგობრები თეატრის შენობიდან უკანასკნელნი გამოვედით. შუაღამე გადასულიყო. არ ვიცოდით, სად უნდა წავსულიყავით; ვერ გავრკვეულიყავით, თუ რა მოხდა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში! იპოლიტე ვართაგავამ ზოგადი წარმოდგენა შექსპირის „ჰამლეტზე", როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ადრევე მოგვცა. ყველაფერი უცხო და ახალი არ იყო ჩვენთვის. მაგრამ თურმე სულ სხვა ყოფილა სცენის, სიტყვისა და მართალი განცდის ძალა!

ადგილზე, ჭიათურაში დარჩენა არცერთ ჩვენთაგანს აღარ უნდოდა. რამდენიმე მოწაფე ყვირილას პირას, საჩხერისაკენ მიმავალ გზას გავუყევით. ყველა სდუმდა. როდესაც ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა გოგია აბჟანდაძემ ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნა" წამოიწყო, ყველა ერთად მივცვივდით და ისე გავაჩუმეთ, რომ ბიჭი კინაღამ არ გავგუდეთ. საჩხერეს გამთენიისას მივაღწიეთ. ვიღაცის წინადადებით ყველამ ერთად ჩვენი საიდუმლოების მოზიარეს, ყვირილას მივაშურეთ...

რუსთაველის თეატრის მეორე სპექტაკლი, რომელმაც „ჰამლეტივით" საფუძვლიანად, მაგრამ სხვა ასპექტით შემძრა, ლავრენიევის „რღვევა" იყო. სპექტაკლს ახლა უკვე თბილისში — რუსთაველის თეატრში ვესწრებოდი. უფრო მოწიფულიც გახლდით. ამ სპექტაკლის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიაში საყოველთაოდ არის ცნობილი. მე მხოლოდ იმდროინდელ პირად შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ. რა თქმა უნდა, როგორც მრავალი სხვა, მეც აღტაცებული ვიყავი აკაკი ხორავას (კაპიტანი ბერსენევი),

უშანგი ჩხეიძის (გოდუნი), აკაკი ვასაძის (ბოცმანი შვაჩი) და სხვა მონაწილეთა აქტიორული ოსტატობით. ბაგრამ ყველაზე მეტად მე მაინც კაპიტანმა ბერსენევმა მიმიზიდა.

ხორავა — ბერსენევს, ადამიანს, რომელიც მთელი გულით მიენდო რევოლუციას, ცილი დასწამეს, გამცემად მონათლეს; საჭიროა სასწრაფოდ თავის მართლება, სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, ერთი წუთიც და უკვე გვიან იქნება! ამაყად გარინდული უტყვი კაპიტანი მეზღვაურებმა ხელში აიტაცეს და ის იყო კრეისერის გემბანიდან ზღვაში უნდა გადაეშვათ, რომ გოდუნმა მოუსწრო... კაპიტანს წარბიც არ შეუხრია, მხოლოდ ერთს ფიქრობდა: როგორ გაბედეს და მოღალატედ ჩათვალეს, არაფერს არ იტყვის, სიმართლეს შემდეგ ხომ მაინც გაიგებენ!

ნახევარი საუკუნე გავიდა და ახლაც მხიბლავს კაპიტანი ბერსენევი. ნუთუ აუცილებლად უნდა დაიჩოქო და ისე სცე პატივი სხვას! დიდი პეტივისცემის ღირსნი არიან მტკიცე და ამაყი სულის ადამიანები!

და იმ დღიდან ჩემთვის აკაკი ხორავა კაპიტან ბერსენევად გადაიქცა, ბერსენევის ყველა თვისება პირადად მას მივაწერე და ფარულად მისი პიროვნების დიდი თაყვანისმცემელი შევიქენი.

თეატრს მას შემდეგაც მრავალჯერ გადავუსახლებივარ ოცნების სამყაროში.

1984

ქალბატონი ანიკო

ცოლ-ქმარმა ანიკო თარხნიშვილმა და კოტე აბდუშელიშვილმა, როგორც ცნობილია, თვალისჩინივით მოუარეს აკაკის პირად ნივთებს, სახლ-კარსა და მამულს; საფუძველი ჩაუყარეს აკაკის ახლანდელ სახლ-მუზეუმს. ქალბატონი ანიკო ამ ეროვნულ საქმეს ათეული წლების განმავლობაში თავდადებულად ემსახურებოდა. მუდამ მზად იყო ყველასათვის ყველაფერი ეჩვენებინა და დაუღალავად ეამბნა აკაკის შესახებ. ქალბატონ ანიკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას ოდესმე ვინმე სპეციალურ ნაშრომს მიუძღვნის. მე კი ამ მცირე მოგონებაში მისი ცხოვრებიდან მხოლოდ ისეთ ორ მომენტს მინდა შევეხო, რომელთა შესახებაც ქალბატონი ანიკოსაგან მე უშუალოდ მომისმენია.

ანიკო მრავალი კარგი საქმის მოთავე და მონაწილე ბრძანდებოდა. მან თავისი პირადი მაგალითით დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ მოსწავლეთა სულიერ ცხოვრებაზე.

საჩხერის რაიონის ყველა სკოლის მოსწავლეები მორიგეობით მიჰყავდათ აკაკის სახლ-მუზეუმში. აკაკის ცხოვრების ეპოპეა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩვენზე. საუბრის დასასრულს თვალებანთებული თარხნიშვილის ქალი იდგა მოციქულივით აკაკის სარეცელთან და ჩვენ თვალნათლივ ვხედავდით პოეზიის ზეგსის ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს. მაშინ, როცა მონუსხულივით ვიდექით აკაკის ოთახში, ქალბატონმა ანიკომ მოულოდნელად მოგვმართა თხოვნით:

— იქნებ რომელიმე თქვენთაგანს სურს მგოსნისადმი თავისი განცდა, ოცნება თუ სიყვარული გამოთქვას ლექსად. მე გთხოვთ ეს აქვე, აკაკის ჭერქვეშ შეასრულოთ. ერთ ლექსს, თქვენ ნაწარმოებთა შორის საუკეთესოს, დაკიდებთ აქ. აკაკის ოთახში...

1923 წელს, როდესაც მე პირველად მოვისმინე ქალბატონი ანიკოს ეს უჩვეულო თხოვნა, აკაკის ოთახის კედლებზე უკვე რამდენიმე ათეული ლექსი ბინადრობდა. ამან გამოიწვია საჩხერის რაიონის თითქმის ყველა სკოლაში მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალების მომრავლება. მოწაფეები გამალებით სწავლობდნენ აკაკის მემკვიდრეობას და თხზავდნენ ლექსებს. გაჩნდნენ ქალბატონი ანიკოს „ლაურეატებიც“. ხშირად ისმოდა პატარა მეოცნებეთა პოეტური ტიტინი...

აკაკი წერეთლის მოურავი კოტე აბდუშელიშვილი და მამაჩემი მეგობრები იყვნენ. აბდუშელიშვილების ოჯახში მე ხშირად ვყოფილვარ, როგორც სტუდენტობის დროს, ისე შემდეგაც, როდესაც ბატონი კოტე უკვე აღარ იყო. ქალბატონ ანიკოს ყოველთვის უყვარდა ძველი ამბების მოყოლა, განსაკუთრებით იმ ამბის მოგონებას განიცდიდა, რომელსაც ახლა მე თქვენ გადმოგცემთ.

როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, 1918 წ. აჯანყებამ იფეთქა და რამდენიმე დღის განმავლობაში რაიონი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. მდგომარეობა მალე კვლავ შეიცვალა და მენშევიკთა დამსჯელმა სამხედრო რაზმებმა სოფლებში თარეში დაიწყეს. მათ სხვა საეჭვო პირებიც შეუერთდნენ და მოსახლეობას ძარცვავდნენ. ერთ საღამოს სამი ასეთი მძარცველი სხვიტორში აკაკის სახლსაც მიადგა. ბატონი კოტე აბდუშელიშვილი საჩხერეში საქმეზე იყო წასული, ოჯახის დანარჩენი წევრები მეზობლებთან გადაპულიყვნენ და სახლში ანიკოსთან ერთად მხოლოდ პატარა ბიჭი და ერთი შუახნის ქალი იყო. კარგა შეღამებულზე ავაზაკებმა მეორე სართულზე იმ ოთახს მიაშურეს, საიდანაც სინათლე აშუქებდა. ქალბატონი ანიკო მათ

მალე მიუხვდა განზრახვას და დიდ დარბაზში შეიყვანა. დაუპატიჟებელ სტუმრებს იგი რაც შეიძლებოდა მშვიდად და დაწვრილებით უყვებოდა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს სასახლე, ვინ ცხოვრობდა მასში, რა მნიშვნელობა ჰქონდა აქ დაცულ ნივთებს. „სტუმრებმა“ ერთხანს უსმინეს და შემდეგ პირდაპირ მიმართეს:

— ჩვენ გაგვიგონია, რომ თქვენ შენახული გაქვთ თავადის ნაქონი ძვირფასი ნივთები. ეს ძვირფასეულობა უნდა გვიჩვენოთო.

მეტი გზა არ იყო. ანიკო შეიარაღებულ ავაზაკებს იმ ოთახში შეუძღვა, სადაც აკაკი დაიბადა და გარდაიცვალა. სამივენი სდუმდნენ, ეტყობოდა არ მოეწონათ, რომ მათთვის საკბილო არაფერი ჩანდა. ერთმა მათგანმა აკაკის ფეხსაცმელი აიღო ხელში, დაათვალიერა და უკანვე დადო. მეორემ, უფრო მაღალმა და გამხდარმა, მგოსნის პალტო მხრებზე მოიგდო და ისე სინჯავდა, ანიკო არ დაიბნა და შეეხვეწა:

— ამას ნუ წაიღებთ, თქვენ არ გამოგადგებათ, ჩვენთვის კი დიდი დანაკლისი იქნება. ეს ძველი პალტო დამიტოვეთ და სამაგიეროდ ახლავე ჩემი მეუღლის სრულიად ახალ ქურქს მოგართმევთო.

ანიკოს თანამდგმურმა ქალმა ქვედა სართულიდან კოტეს ქურქი ამოიტანა. აკაკის პალტოში გამოწყობილმა აბრაგმა ქურქი მას ხელიდან გამოსტაცა, ანიკო წინ გაიგდო და ქვედა სართულისაკენ გასწია. დანარჩენებიც მას გაჰყვნენ. რაც მოეწონათ, მოაგროვეს. კოტეს რაჭული ხურჯინი გატენეს და ის იყო წასვლას აპირებდნენ და აკაკის პალტოც და ქურქიც მიჰქონდათ, რომ ცხენის ფეხის ხმა გაისმა. ანიკო მიხვდა, რომ მისი მეუღლე მოვიდა. მას კიდევ უფრო მეტად შეეშინდა და ამ ვიგინდარებს მუხლმოდრეკით ევედრებოდა, რომ ოჯახის მეთაურისათვის არაფერი ევნოთ და აკაკის პალტო დაეტოვებინათ. ეზოში პატარა ბიჭს კოტესთვის ყველაფერი უკვე ემცნო და იგი ოთახში ფრთხილად შემოვიდა.

კოტე ახოვანი, ლამაზი, დინჯი, ცხოვრებისაგან გამობრძმედილი, განათლებული, ჭკვიანი და საქმიანი კაცი იყო. ოთახში შემოსვლისთანავე მათ მიესალმა და აკაკის პალტოში გამოწყობილ აბრაგს მიმართა:

— თქვენ ალბათ გაგიგონიათ, თავად აკაკი წერეთელს მე დიდხანს ვემსახურებოდი მოურავად და სახსოვრად მხოლოდ მისი ნაქონი ნივთები და ეს პალტო დამიტოვა. ამ პალტოს ჰაერი მოხვდება თუ არა, მთლიანად დაიშლება, ძალიან ძველია, თქვენ ის არ გამოგადგებათ. ეს ქურქი კი, თქვენ ხელზე რომ გაქვთ გადაკიდებული, სრულიად ახალია, თქვენი იყოს, ჩაიცვით, მე მგონია კარგად გექნებათ. დამატებით აი კიდევ ესეც მიჩუქნია.

ბატონმა კოტემ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი მოიხსნა და დაბალ ტანის ავაზაკს მიაწოდა. კოტეს ვაჟკაცურმა იერმა და საუბრის კილომ მათზე იმოქმედა და რამდენიმე წუთში აკაკის პალტო თავის მუდმივ სამყოფელ ოთახს დაუბრუნდა, ხოლო მძარცველებმა ღამის წყვდიადს მისცეს თავი.

მეორე დღეს აბდუშელიშვილების ოჯახში დიდი ზეიმი იყო... სამი ქალი გათენებიდან დაღამებამდე წმენდდა აკაკის პალტოს უწმინდურობისაგან.

ეს ამბავი ქალბატონმა ანიკომ ოცი წლის შემდეგ, 1938 წელს მიამბო და თხრობა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

— მე მხოლოდ მათი მგლის თვალები ჩამრჩა მეხსიერებაში; თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემაზრზენად კიაფობდნენ ისინი სანთლის შუქზეო.

1980

უმაღლეს სასწავლებელში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო, აგრონომიულ და სამედიცინო ფაკულტეტებზე 1928 წელს მისაღები გამოცდები 8 საგანში ბარდებოდა. ცალ-ცალკე ბარდებოდა ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომეტრია. ცოდნის შეფასება ჩვეულებრივი ხუთბალიანი სისტემით ხდებოდა, მაგრამ ნიშნის ნახევრებიც იწერებოდა, მაგალითად, სამნახევარი, ოთხნახევარი. გამოცდებს იბარებდნენ როგორც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ისე მოწვეული სპეციალისტები. გამოცდებს ფაკულტეტების მიხედვით დეკანები ხელმძღვანელობდნენ. უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სია გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდებოდა.

სამივე ფაკულტეტის სტუდენტებს პირველ კურსზე ქიმია, ფიზიკა და ბოტანიკა ერთად ეკითხებოდა. ლექციები, სავალდებულო საგნებს გარდა, არასავალდებულო საგნებშიც ტარდებოდა. მაგალითად, აგრონომიული ფაკულტეტის პირველ კურსზე არასავალდებულო საგნები იყო უმაღლესი მათემატიკის შესავალი და გეოდეზია. ლექციებზე დასწრება სავალდებულო არ იყო, მხოლოდ პრაქტიკულ მეცადინეობებში მონაწილეობა მოწმდებოდა. აუდიტორია სტუდენტებით იმ მასწავლებლების ლექციებზე ივსებოდა ხოლმე, რომელნიც თავის საგანს საინტერესოდ და შინაარსიანად გადმოსცემდნენ.

1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩამრიცხეს, მაგრამ შემდეგ აგრონომიულ ფაკულტეტზე გადავედი.

პირველ კურსზე სწავლა საინტერესო და ძიმზიდველი აღმოჩნდა. შესანიშნავი იყო პროფესორ იასონ მოსეშვილის ლექციები ქიმიაში, პროფესორ ზაქარია ყანჩაველის ლექციები ბოტანიკაში. ასევე საინტერესო ლექციები ჰქონდათ ფიზიკაში — დოცენტ მიხეილ კუკავაძეს, გეოდეზიაში — პროფესორ ანდრია ბენაშვილს. უმაღლესი მათემატიკის შესავალი არ მომისმენია, რადგანაც ეს კურსი მათემატიკოს ტერენტი ტყემალაძის გავლენითა და დახმარებით უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე მქონდა შესწავლილი. ლექციები არაორგანულ ქიმიასა და ფიზიკაში ყოველთვის უხვად იყო ილუსტრირებული სალექციო ცდებით. სტუდენტთა ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ, თუ ადრე არ ძიხვიდოდი, აუდიტორიაში ადგილს ვერ იპოვიდი. სტუდენტობის დიდი ნაწილი ფეხზე იდგა და ისე უსმენდა ლექციას. ამ საგნებში პრაქტიკული მეცადინეობები მაღალ დონეზე ტარდებოდა. ცოცხლად და ლაღად მიმდინარეობდა ლექციები ბოტანიკაშიც. ზაქარია ყანჩაველს მსმენელი მუდამ ბევრი ჰყავდა. პირადად მე ყველაზე მეტად ბატონი იასონის ლექციებმა მიმიზიდა. მისი ლექციები გამოირჩეოდა ისტორიული მიდგომით და ლაკონიურობით, ლოგიკური და მკაფიო მსჯელობით, ზუსტად გამიზნული ექსპერიმენტით.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლისთანავე სტუდენტის წინაშე ახალი პრობლემა დგება: დარგის ფარგლებში რა ვიწრო სპეციალობა უნდა აირჩიოს, მომავალში პრაქტიკულად სად იმუშაოს. ამ საკითხის გადაწყვეტაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა გავლენას, მათ ერუდიციას, სტუდენტებთან ურთიერთობას.

დადგა დრო და შედგა პირველი სემინარი არაორგანულ ქიმიაში. იასონ მოსეშვილმა დასვა კითხვა ნივთიერებათა აღნაგობის შესახებ: ვის სურს გასცეს პასუხიო. მსურველი არ ჩანდა. ბატონმა იასონმა კითხვა გაიმეორა, მაგრამ აუდიტორია დუმდა. სტუდენტებმა ილია ჭუმბაძეს მიაპყრეს მზერა, იგი საერთო განათლებით ჩვენს შორის გამოირჩეოდა. როდესაც პროფესორმა მესამედ მოგვმართა, დაფასთან მე აღმოვჩნდი, ავიღე ცარცი და, ის-ის იყო ფორმულა უნდა დამეწერა, სტუდენტებმა ერთხმად გაიცინეს, ხელმძღვანელსაც გაეღიმა. გაოგნებულმა ცარცი თავის ადგილზე დავდე და მერხისკენ გავემართე. გზა პროფესორმა გადამიღობა და მთხოვა საკითხის თაობაზე მესაუბრა. ახლოს მოვიდა, თვალებში ჩამხედა და და-

მარიგა: ჯერ ავოგადრო-ჟერარის კანონი გაარჩიე და შემდეგ ნივთიერებათა სხვა თვისებებზე იმსჯელეო. უეცრად დამავიწყდა, რაც მოხდა, და შეძლებისდაგვარად ყველა დასმულ კითხვას გავეცი პასუხი. აკადემიური საათი ამოიწურა და ბატონმა იასონმა მადლობა გადამიხადა. მოუსვენრობამ შემიპყრო: ერთი სული მქონდა, გამეგო რა მოხდა, ასე გულიანად ყველანი რატომ იცინოდნენ. ასეთი მხიარულება თურმე ჩემმა ჩაცმულობამ გამოიწვია. როგორც ამხანაგებმა მითხრეს, „ბუტილკა“ შარვალსა და უზარმაზარ სახელოებიან ხალათში სასაცილოდ გამოიყურებოდიო.

დადგა პირველი სემესტრის საგნების ჩაბარების დრო. უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით, თუ რომელიმე საგანში ჩაიჭრებოდი, იმავე სასესიო გამოცდაზე მეორედ გასვლა მხოლოდ 20 დღის შემდეგ შეიძლებოდა. სესიები კი 25 დღე გრძელდებოდა .ამის გამო ზოგიერთი სტუდენტი ცდილობდა ბედი სესიის პირველ ხუთ დღეში ეცადა და გამოცდებზე ჩასაწერად რიგში წინა ღამით დგებოდა. უნივერსიტეტის ეზოში ღამის გათევა აკრძალული იყო. სტუდენტობა ცოცხალ რიგს ქმნიდა და ღამეს ათევდა უნივერსიტეტის ეზოს გარეთ, იქ, სადაც ახლა ჩაის სახლია. იმ დროს ვარაზისხევი არ იყო ამოვსებული და ცეცხლის დასანთებად ხევიდან ამოგვქონდა ხის უუთები, საშშენებლო ნარჩენები, ღობის ფიცრები. ჩვენი ღამის თევა იანვრის ცივ ღამეში ჭიაკოკონას უფრო ჰგავდა. დილით, როდესაც უნივერსიტეტის კარი გაიღებოდა, მწყობრად შევდიოდით და წინა დღით დაწესებული რიგის მიხედვით საგამოცდო სიებში ვეწერებოდით.

პირველმა სემინარმა გზა გამიხსნა ქიმიისაკენ და იანვრის სესიაზე არაორგანული ქიმია ფრიადზე ჩავაბარე. პროფესორმა ი. მოსეშვილმა ჩემი ცოდნა ფრიადზე რომ შეაფასა საკუთარი თავისადმი რწმენა გამიძლიერდა.

გამოცდამ ფიზიკაშიც „ორიგინალურად“ ჩაიარა, ბატონმა მიხეილ კუკავაძემ თითოეულს სამ-სამი კითხვა ჩამოგვიწერა. ჯერ ყველას პირველ კითხვაზე მოგვთხოვა პასუხი, შემდეგ ორ კითხვას თავი დაანება და ფიზიკის მომავალზე გაგვიბა საუბარი; დაგვისახელებდა რომელიმე გამოჩენილ რუს ფიზიკოსს და გვეკითხებოდა — თუ იცით, რა მონოგრაფია აქვს დაწერილიო. მე სერგეი ვავილოვი შემხვდა და იღბლად მასზე ზოგი რამ ვიცოდი. ბოლოს ასე მოგვმართა: ახლა თქვენ დასვით კითხვები; რა გაინტერესებთ ყველაზე მეტად ფიზიკაში, რა ვერ გაიგეთ ჩემს ლექციებში. გულწრფელად მითხარით. იცოდეთ, თქვენი ცოდნის შეფასება თქვენს გულწრფელობაზეც არის დამოკიდებულიო. გამოცდის ეს ნაწილიც საინტერესო გა-

შოდა. სტუდენტ ილია მირილაშვილის შეკითხვებმა ბატონი მიხეილი აღაფრთოვანა: მხოლოდ ამ შეკითხვებისათვის გეკუთვნის ფრიადიო. ჩემს მიერ დასმული კითხვებიც მოიწონა და ორივეს მატრიკულში ფრიადი ჩაგვიწერა.

1928 წელს უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი შეიქმნა და ახლა მე უკვე ამ ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი.

მეორე კურსზე ჩემი გონება გენეტიკამ დაატყვევა. კურსის ხელმძღვანელი დავით აგლაძე მომხიბლავი პიროვნება იყო და ლექციებსაც შესანიშნავად კითხულობდა. გენეტიკის სემინარმა მუშაობა დაიწყო და მეც ჩავები მასში. სემინარის აქტიური წევრები იყვნენ: გიორგი პაპალაშვილი (შემდეგში გენეტიკის პროფესორი), მარიამ ნიჟარაძე, თამარ დოლონაძე, თამარ ივანიცკაია და სხვ. სემინარზე, როგორც წესი, სტუდენტები მოხსენებებით გამოდიოდნენ. ერთი მოხსენება მეც გავაკეთე. ბატონი დავითი, ვგონებ, კმაყოფილი დარჩა ჩემი მოხსენებით.

სწავლის მხრივ ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ მყარი ეკონომიური მდგომარეობა არ მქონდა. მამას 8 შვილი ჰყავდა და ყველას ვერ წვდებოდა... ერთ დღეს უმუშევართა ბირჟიდან (ბირჟა იმ შენობაში იყო, სადაც ახლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაა) გამომიძახეს და სოლოლაკის ერთ-ერთ საპარიკმახეროში მოლარედ გამამწესეს. გამოვცხადდი დანიშნულების ადგილზე და მუშაობას შევუდექი. რამდენიმე დღის შემდეგ დავრწმუნდი, რომ პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სემინარებზე დასწრება გამიჭირდებოდა, საპარიკმახერო დღეში 10 საათს მუშაობდა. ერთი კვირა ისე გავიდა, რომ ვერ გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი. ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში გახლდით, როდესაც საპარიკმახეროში ჩემი მასწავლებელი დავით აგლაძე შემოვიდა; პირი გაიპარსა და ფულის გადასახდელად ჩემთან მოვიდა. მე უკვე ორი სემინარი გაცდენილი მქონდა და თავი უხერხულად ვიგრძენი. ბატონმა დავითმა ფული გადაიხადა და სხვათა შორის მკითხა: შალვა, აქ რა გაქვს თვიური ხელფასიო. სემინარებზე თავიდანვე შალვას მეძახდა და როგორღაც ვერ შევკადრე, რომ შალვა არ მერქვა. როდესაც გაიგო, რომ მოლარის თვიური ხელფასი 45 მანეთია, მითხრა ასეთ გასამრჯელოს მეც გადაგიხდი, ხვალ 8 საათზე მეცხოველეობის კათედრაზე მოდი: შენ თუ აქ დარჩი, ვეღარ ისწავლიო. მეორე დღეს მე უკვე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის პრე-

პარატორი ეიყავი. ერთხანს მეგონა, რომ დავით აგლაძე სოლოლაკის საპარიკმახეროში შემთხვევით მოხვდა, მაგრამ შემდეგ მეგობრებმა ყველაფერი მიამბეს.

— სემინარზე რომ არ იყავი, ბატონმა დავითმა იკითხა, შალვა რატომ არ არისო. წამოსტა შენი მეტოქე, თინას სიყვარულში რომ გეცილება, და ყველას გასაგონად განაცხადა: ის ყმაწვილი, ბატონო, სოლოლაკში რომ პირველხარისხოვანი საპარიკმახეროა, იქ ბრძანდება მოლარედო. ამაზე ზოგიერთმა გაიცინა, ხელმძღვანელს კი არაფერი უთქვამს. ეტყობა, მაშინ გადაწყვიტა შენთან მოსვლაო.

ბატონ დავითთან, რამდენიმე თვე ვიმუშავე ცნობილი მეცნიერის ჯვაბე იოსელიანის მიერ შეჯვარებული ცხვრის მატყლის მიკროსკოპულ ანალიზზე. მთელი მეორე კურსი გენეტიკის იდეების გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი.

მესამე კურსზე დოცენტმა ვარლამ ღვალაძემ დუღილების ქიმია წაგვიკითხა. კვლავ განახლდა ჩემი ინტერესი ქიმიისადმი, პასტერისადმი, ბიოლოგიური ქიმიისადმი. ბატონ დავითს გავუზიარე ჩემი სურვილი და პატიება ვთხოვე, რომ მისგან წასვლას ვაპირებდი. მან არა თუ მაპატია, გამაცნო კიდეც ბატონი ვარლამი და სთხოვა ჩემთვის ეპატრონა; დასაკარგი სტუდენტი არ არისო.

ვარლამ ღვალაძეს მალე დავუახლოვდი და მისი ხელმძღვანელობით ენოქიმიის ლაბორატორიაში დავიწყე მუშაობა. წინ კვლავ ჩემი შრომითი მოწყობის საკითხმა წამოიწია. ბატონმა ვარლამმა გამაცნო პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი, არაორგანიკოსი, და სთხოვა დამხმარეობდა სამუშაოს მონახვაში. ბატონმა ალექსანდრემ შემომთავაზა კერძო გაკვეთილები კომუნისტური უნივერსიტეტის იმ მსმენელებთან, რომლებსაც ზოგადი ქიმიის სწავლა უჭირდათ. კურსის ხელმძღვანელი თვითონ იყო და დაწვრილებით ამიხსნა, თუ რა და როგორ უნდა მესწავლებინა მათთვის. ეს დავალება, როგორც ალექსანდრე ცაგარელი შემდეგში აღნიშნავდა, პირნათლად შევასრულე. შემოდგომაზე, როდესაც სწავლა განახლდა, პირველი კურსის სტუდენტებთან არაორგანული ქიმიის სემინარებში ერთ-ერთი ასისტენტი შევცვალე.

გავიდა ერთი წელი და ქიმიის კათედრაზე ასპირანტურაში დამტოვეს ორგანულ ქიმიაში მოსამზადებლად.

უმაღლესი სკოლის მასწავლებლების — იასონ მოსეშვილის, დავით აგლაძის, კონსტანტინე მოდებაძის, ვარლამ ღვალაძისა და ალექსანდრე ცაგარელის ჩემდამი გულითადმა დამოკიდებულებამ განაპირობა ჩემი მეცნიერული მომავალი.

ასტრონომ-გეოდეზისტი

1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველ კურსზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი არასავალდებულო საგანი იკითხებოდა: უმაღლესი მათემატიკის შესავალი და გეოდეზია. სტუდენტობას განსაკუთრებით უკანასკნელი საგანი იზიდავდა; გეოდეზიას პროფესორი ანდრია ბენაშვილი კითხულობდა. მე და ჩემი ამხანაგებიც დავინტერესდით, რომ რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტისათვის მოგვესმინა. აუდიტორიაში შემოვიდა ევროპულად ლამაზად ჩაცმული შუახნის კაცი: ხშირი წარბები, მოზრდილი ბულანჟე, წვერზე გადაფარებული მსხვილი ულვაშები, რბილი გამოხედვა. მტკიცე ნელი ნაბიჯი, დინჯი, სასიამოვნო საუბარი... სამხედრო ჩინის არავითარი ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. სალექციო გარემოც შესაფერი ჰქონდა: ხელსაწყო-იარაღები ბრწყინავდა, მაგიდა და დაფა კრიალებდა. ასისტენტ ქავთარაძეს (სამწუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს) ყოველთვის თან ჰქონდა პატარა შავი ყუთი, რომელშიაც ელაგა ლურჯი მაუდის ნაჭერი, კურდღლის თათი და საუკეთესო ხარისხის ცარცი. პროფესორის მიერ დაფაზე შესრულებული ყოველი ნახაზი მხატვრის ხელით მოხაზულ ესკიზს ჰგავდა.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ გენერალ-ლეიტენანტის მხოლოდ რამდენიმე ლექციას მოვისმენდით და შემდეგ ჩვენს საავალდებულო საგნებს მივხედავდით. ბატონმა ანდრიამ ისე „შეგვიტყუა" თავის სამყაროში, რომ არც ერთი ლექცია არ გაგვიცდენია, პრაქტიკულები უკლებლივ დავამუშავეთ და, ნაცვლად იმისა, რომ საგანი 8 სემესტრის მოსმენის შემდეგ ჩაგვებარებინა, მეორე სემესტრის ბოლოს ჩავაბარეთ.

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, მაგრამ ანდრია ბენაშვილის ლექციების მიმზიდველობა და მისი პიროვნების ზოგიერთი თავისებურება ახლაც ღრმად მაქვს ჩამჯდარი მეხსიერებაში. განსაკუთრებით სამი შემთხვევა დამამახსოვრდა.

1928 წლის შემოდგომაზე მთავრობის დადგენილებით ქალაქის ცენტრში ადრე აგებული სობორო დაანგრიეს. სობორო იმ ადგილზე იდგა, სადაც ახლა მთავრობის სასახლეა. ქალაქში სობოროს დანგრევის გამო გაუთავებელი მითქმა-მოთქმა იყო: უნდა დაენგრიათ თუ არ უნდა დაენგრიათ, კარგია რომ ანგრევენ, თუ შეცდომაა? პროფ. ა. ბენაშვილი ცნობილი იყო, როგორც პრინციპული კაცი, თავისი მოსაზრებების გაბედულად მთქმელი. ამიტომაც აინტერესებდა სტუდენტობას მისი აზრი, როდესაც ვკითხეთ, რა აზრის

იყო სობოროს თაობაზე, მან თავისი შეხედულება დაახლოებით ასე ჩამოაყალიბა. — სობოროს დანგრევა არ არის შეცდომა, შეცდომა მისი აშენება იყო; ვახტანგ გორგასალის ქალაქის შუაგულში აბა რა უნდოდა არაქართულ ნაგებობას. თქვენ მადლობა უნდა მოახსენოთ ქალაქის მმართველობას, რომ ქაშვეთის ეკლესიას თავისუფალი სუნთქვის საშუალება მისცა, ყველა ადამიანი უნდა იცავდეს თავისი ქალაქის ეროვნულ სახეს, ეროვნულ არქიტექტურას. მე რომ პირადად ეიცნობდე იმ პირს, ვინც სობოროს დანგრევის დიდი ხნის წინანდელი იდეა განახორციელა, მადლობას მოვახსენებდი.

გეოდეზიაში ლექციები იკითხებოდა სარდაფის ამფითეატრში მთავარი შემოსასვლელის პირდაპირ. ეს დარბაზი შემდეგ წლებში ფიზიკური კულტურის კათედრას ეკავა. აუდიტორია ხშირად იყო მსმენელებით სავსე. ერთხელ სტუდენტი ქალი ლექციას ფეხზე მდგომი უსმენდა. ვიღაცას მ-სთვის გარედან სკამი შემოეტანა. მაგრამ იგი არ ჯდებოდა. ჩანდა, რომ თავისუფალი სკამი საეჭვო სისუფთავისა იყო, პროფესორმა შენიშნა ეს. ლექცია შეწყვიტა. გოგონასთან მივიდა, ამოიღო ჯიბიდან დიდი, თეთრი ქათქათა ცხვირსახოცი, გადააფარა სკამს და სთხოვა სტუდენტს დამჯდარიყო. როდესაც გოგონამ სკამი დაიკავა. ბატონმა ანდრიამ ლექცია განაგრძო. შემდეგში ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიგონებდით ხოლმე, როგორი სირცხვილი გვაჭამა ჯენტლმენმა პროფესორმა.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი გამოცდებს არსენალის მთაზე, ყოფილი სემინარიის შენობაში იბარებდა. ჩვენც, სამი სტუდენტი, იქ მივედით. წინასწარ ვიცოდით, რომ პროფესორი გამოცდების დროს არავის არ აჩქარებდა, თითოეულ სტუდენტს შეეძლო იმდენი დრო დაეხარჯა პასუხების მოსამზადებლად, ნახაზების შესასრულებლად, რამდენიც მოესურვებოდა. თვითონაც მეტად მშვიდად, მეგობრულად ეექცეოდა გამოცდებზე მოსულ სტუდენტებს. სტუდენტის მომზადების გამოსამეღავნებლად უკეთესი პირობების შექმნა ძნელი წარმოსადგენი იყო. მოაღწია ჩემი გამოკითხვის დრომ და ბატონ ანდრიასთან პირისპირ აღმოვჩნდი. ნახაზებს დიდხანს ათვალიერებდა. სავალდებულო ნახაზებს სახაზავი რვეულია 10-მდე ფურცელი დასჭირდა. ამ დროს მე მხოლოდ ერთი ფიქრი მქონდა: გადაისვამდა თუ არა ბატონი ანდრია ხელს ულვაშებზე: სტუდენტები „ამტკიცებდნენ“, თუ გამოცდების დროს ულვაშებზე ხელი გადაისვა, მაშინ ყველაფერი რიგზეა, თუ არა — საქმე დაღუპულიაო. როგორც იქნა, თავი მაღლა ასწია, თვალებში შემომხედა, გამიღიმა და მომმართა: ნახაზები სწორია, თანაც ლამაზად არის შესრულებული, ყველაზე მეტად კი სახაზავი ქაღალდის ხარისხი მაკვირვებს,

სად იშოვეთ ასეთი ქაღალდი? დიდი ხანია ასეთი სახაზავი ქაღალდი აღარ მინახავს, ძველ დროში ჩვენ შესანიშნავი ხარისხის ქაღალდზე ვმუშაობდით! თუ ასეთი ქაღალდი კიდევ გაქვთ, უბრალოდ ნუ დახარჯავთ, საცოდაობაა, შეინახეთ, დაგჭირდებათ და კვლავ დაგატკბობთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი ზემოქმედება აქვს მასალებსა და საერთოდ უსულო საგნებს ადამიანებზეო... ულვაშებზე ხელი არ გადაუსვია, მაგრამ სამივე სტუდენტის ცოდნა ფრიადზე შეაფასა. კარებამდე მიგვაცილა, საგნისადმი პატივისცემისათვის მადლობა გადაგვიხადა.

პროფ. ანდრია ბენაშვილი დიდად პატივსაცემი, გამორჩეული პედაგოგი და პიროვნება იყო.

1984

ახალი წიგნი და ძველი ღვინო

საქართველოში მეცნიერული მევენახეობის ფუძემდებელია აკადემიკოსი სოლომონ ჩოლოყაშვილი. მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო მეცნიერული მევენახეობის განვითარებას და მეცნიერული კადრების აღზრდას საქართველოში. იგი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის პირველი გამგე, საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი ქართველი ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი აკადემიკოსი მევენახეობაში. ბაკურციხის მკვიდრს უმაღლესი განათლება ავსტრიაში ჰქონდა მიღებული. მეცნიერული განსწავლის შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაში მუშაობდა.

მე ბატონ სოლომონ ჩოლოყაშვილს სტუდენტობის დროიდანვე დიდ პატივს ვცემდი, როგორც ჩემს საყვარელ პროფესორს. იგი ფართო ერუდიციის პიროვნება იყო და მისი ლექციები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. სოლომონ ჩოლოყაშვილი ერთი იმათთგანი იყო, ვინც რეკომენდაცია გამიწია ასპირანტურაში დასატოვებლად, თუმცა მან კარგად იცოდა, რომ მე ქიმია მიზიდავდა. ჩემი სტუდენტობის დროს ორგანიკოს-ქიმიკოსების დიდი ნაკლებობა იყო. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩემი თაობის სტუდენტებმა ორგანული ქიმია ყველაზე ბოლო საგნად ჩავაბარეთ, რადგანაც არ გვყავდა მასწავლებელი. როდესაც გადაწყდა და მე ასპირანტურაში მოსამზადებლად დამტოვეს, სწავლის დაწყების პირველსავე დღეს ყველა იმ პროფესორს მივაკითხე, რომელთა რეკომენდაციითაც ვიყავი

დატოვებული. ყველაზე მეტხანს ბატონმა სოლომონმა გამაჩერა, მიყვებოდა ასპირანტურაში ჩემს უშუალო ხელმძღვანელ პროფესორ მიხეილ შალამბერიძეზე — რომელ მეცნიერებთან მუშაობდა იგი გერმანიაში. რა ხასიათის პიროვნება იყო და როგორი ურთიერთობა უნდა მქონოდა მასთან. გახსოვდეს, მეცნიერებას შემთხვევითი ხალხი არ უყვარს, მათ მეცნიერების ბობოქარი მდინარე, როგორც უცხო სხეულს, მაინც გარიყავსო. მომხიბლა მისმა ჩემდამი ყურადღებამ.

შემდგომში ყოველთვის ვცდილობდი ბატონი სოლომონის შეგონება ჩემს სულიერ მოთხოვნათა რკალში მომექცია. მალე ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა ერთი გარემოების გამო. რამდენიმე თვის შემდეგ მან ახლად გამოსული მეევნახეობის სახელმძღვანელო მაჩუქა. მას ბაბოსა და მახის სახელმძღვანელო გადმოექართულებინა და განეახლებინა, ქართული მასალებით შეევსო. პირველი წყარო გერმანულ ენაზე იყო და თარგმანი ქართული ტერმინოლოგიის შესამოწმებლად მიხეილ შალამბერიძისათვის გადაეცა. როდესაც წიგნს დაწვრილებით გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ზოგიერთი ქიმიური ნაერთის სახელწოდება ქართულად არასწორად იყო თარგმნილი. განსაკუთრებით სამწუხარო ის იყო, რომ ცხრილებში მეტალების ჟანგეულებისა და მეტალების სახელწოდებები ზოგჯერ ერთმანეთში იყო არეული. რამდენიმე დღე ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი; რომ ვერ გადავწყვიტე, რჩევისათვის ახალგაზრდა დოცენტს — ვარლამ ღვალაძეს მივმართე. ყველა შენიშვნა ჩამოწერილი მქონდა გვერდების მიხედვით — რა ეწერა და როგორ უნდა ყოფილიყო. მან ჩემი ნაწერი გადაათვალიერა და მირჩია ბატონი სოლომონისათვის პირადად გადამეცა. თუ იგი მოითხოვდა, უფრო ვრცლადაც განმემარტა.

რამდენიმე დღე კიდევ ვითრიე ფეხი და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე.

პროფესორი თავის სამუშაო ოთახში მარტო იჯდა, ჟურნალებს ათვალიერებდა. ჩემს დანახვაზე წამოდგა და მიმიპატიჟა. მე უკვე გარკვევით მესმოდა ჩემი გულისცემა... როგორც იქნა, ჩემი გაჭირვება გადავეცი. გავაგებინე. ჯერ უსმოდ დამაკვირდა, შემდეგ უეცრად სავარძელზე გადაიწია და გადაიხარხარა.

— აი, მოწაფე! იმ ბებერმა ალბათ ვინმე უცოდინარს მიანდო შემოწმებაო.

— შენ ხომ გჯერა, რომ შენს მასწავლებელს მიხეილ შალამბერიძეს ასეთი შეცდომა არ მოუვიდოდაო, მან გერმანულიც შესანიშნავად იცის და ბრწყინვალე მოქართულეც არისო.

მე გაკვირვდი, მეგონა მისთვის მთავარი ის იქნებოდა, რომ მის მიერ გამოცემულ წიგნში უზუსტობანი აღმოჩნდა, ის კი მე მარწმუნებდა, რომ ჩემი მასწავლებელი ამ საქმეში არაფერ შუაშია და მე მისი მუდამ უნდა მწამდეს და მჯეროდეს...

დამამშვიდა, შენიშვნებიანი რვეული გამომართვა, მადლობა გადამიხადა და დამპირდა, რომ შემდეგ გამოცემაში გაასწორებდა. ცოტა ხანს მიყურა, როდესაც მიხვდა, რომ ვეღარ ვდგებოდი, ამაყენა, ხელი მომხვია და დერეფნის ბოლომდე გამომაცილა.

შემდგომში ხშირად მეკითხებოდა ხოლმე:

— სერგო, როგორაა შენი და მიხას ურთიერთობა?

გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ხმა გავარდა, სოლომონ ჩოლოყაშვილი ავად არისო. ამბის გასაგებად პროფესორ კონსტანტინე მოდებაძეს მივაშურე. მან აღმითქვა, რომ ამ დღეებში სოლოს სანახავად წავიდოდა და მეც წამიყვანდა. ეს დღეც დადგა და მის მეგობრებთან ერთად მოვინახულეთ ბ-ნი სოლომონი. ოდნავ ფერი შეცვლოდა, სხვამხრივ ძველი სოლომონი იყო, თუმცა ავადმყოფობა როგორ უნდა შეტყობოდა როცა მუდამ ისეთი გამხდარი იყო, რომ კიდევ უფრო გახდომა ალბათ შეუძლებელიც იყო.

თავისი ტოლ-მეგობრების მისვლა გაეხარდა. ყველა მოგვიკითხა. განსაკუთრებით უყვარდა სიტყვიერი კენწლაობა და შაირი კონსტანტინე მოდებაძესთან. მათ ტრადიციას არც ახლა უღალატეს და მალე ყველანი გაემხიარულდით. ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენი ავადმყოფი ლოგინს დიდხანს ვერ შეეგუებოდა. ავადმყოფის საწოლთან მეუღლემ მშვენიერი სუფრა გაშალა და თამადობა მასპინძელმა იკისრა, თუმცა ღვინოს არ სვამდა. ის-ის იყო უნდა წამოვსულიყავით, რომ სასთუმალთან პატარა კარადაში ხელი შეყო და ერთი ბოთლი ძალიან ძველი ღვინო გამოიღო.

— მოდი, როგორც ყველაზე ახალგაზრდას, სერგოს დავავალოთ ამ ბოთლის გახსნა და პირველი სადღეგრძელოო, — ბრძანა მასპინძელმა. ბოთლი წესისამებრ გავხსენი და ღვინო სპეციალურად ამ შემთხვევისათვის მოტანილ ჭიქებში ჩამოვარიგე. ახლა საჭირო იყო სადღეგრძელო შემეთავაზებინა. ვიფიქრე, ავადმყოფს ჯანმრთელობას ვუსურვებ-მეთქი და ორიოდე სიტყვით ბატონ სოლომონს მოვეფერე. სადღეგრძელო ყველამ მომიწონა, ყველამ მხარი დამიჭირა და შვებით ამოვისუნთქე. სუფრა კვლავ მხიარულად გაგრძელდა. როდესაც სოლომონი სადღეგრძელოს ამბობდა, შენიშნა, რომ ჩემი ჭიქა სავსე იყო, ხელუხლებლად იდგა. ეს როგორ მოხდა, არ მახსოვს.

— თამადა, რა მოგვიდა, ღვინოს რატომ არ მიირთმევო, — მომმართა მასპინძელმა.

კიდევ ერთხელ ვუსურვე დღეგრძელობა ბატონ სოლომონს, მზეგრძელობა და ჭიქა დავცალე. ვაი, შენს მტერს, მე რომ დღე დამადგა. ავადმყოფმა უეცრად ლოგინზე წამოიწია და შეჰყვირა:

— ყმაწვილო, ეს რა ჰქენი, ღვინო ასე როგორ დალიე. ვინა ხარ, სად გაიზარდე, ეს ღვინო ათი წელი იმიტომ ძველდებოდა, რომ კახური არაყივით გადაგეკრა?!.. — ამის თქმა იყო და ფერი კიდევ უფრო მეტად წაუვიდა, ბალიშზე მიესვენა და თვალები დახუჭა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ვერაფერი გავიგე. როდესაც გაწყრომას მოველოდი, მაშინ არაფერი უთქვამს, პირიქით, მომეფერა. ახლა კი რა მოხდა ისეთი, რა უბედურება ჩავიდინე.

სიჩუმე კონსტანტინე მოდებაძემ დაარღვია.

— სოლო, ვაპატიოთ! რა ქნას. მამამისს ათი შვილი ჰყავს, ბავშვებს ქვევრის ნარეცხს ასმევენ და ძველი ღვინის ყადრი საიდან ეცოდინებაო.

ყველანი წავიდნენ. მე კი ბატონმა სოლომონმა კარგ ხანს არ გამიშვა. დიდხანს მიხსნიდა, რას წარმოადგენს ღვინო, მით უმეტეს, ძველი ღვინო და როგორ უნდა შესვას იგი კულტურულმა კაცმა. თან ერთი შეგონებაც დაურთო: ღვინო ისე და იმდენი უნდა დალიო, რომ გონებას ბრწყინვალება, ენას სიმახვილე და ხასიათს კაცთმოყვარეობა შეემატოსო.

1980

ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲬᲘᲚᲘ

1931 წელს ქ. თბილისში დაარსდა საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1932 წელს ინსტიტუტი თელავში გადაიტანეს. აქ თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის გამოჩენილმა მეცნიერებმა — მევენახეობის, მეღვინეობის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის, აგროქიმიისა და ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ენოქიმიის, კლიმატოლოგიის, მცენარეთა დაცვისა და სხვა დარგების სპეციალისტებმა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ფართოდ მიიზიდა ახალგაზრდობაც. 1932 წლის ივლისში მეც ვიყავი მიწვეული უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. პირველსავე წელს მუშაობა საკმაოდ ინტენსიურად გაიშალა, ყველანი თავდადებულად შრომობდნენ. ენოქიმიის ლაბორატორიაში ექვსი თანამშრომელი ვიყავით: ლაბორატორიის გამგე პროფესორი ვ. ღვა-

ლაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. ბურჯანაძე, უმცროსები ტ. პოლიტოვა და ამ სტრიქონების ავტორი, ასპირანტი ა. ლაშხი და ლაბორანტი ტ. შიუკაშვილი. პირველ ხანებში ჩვენს მთავარ ამოცანას ლაბორატორიის მოწყობა წარმოადგენდა. გვიან ღამემდე ისმოდა ხერხისა და გაზქურის, ქლიბისა და ჩაქუჩის ხმაური. ჩვენი მთავარი რეჟისორი და კონსტრუქტორი ვალიკო ბურჯანაძე იყო. მას ნათელი გონება და, როგორც იტყვიან, ოქროს ხელი ჰქონდა. რას არ გააკეთებდა და რას არ გაგვაკეთებინებდა, ხელოსანიც იყო და ხელოვანიც. ერთმანეთთან მეგობრულად ვიყავით. შრომის ასეთმა წესმა თავისი დადებითი შედეგი გამოიღო და წლის ბოლოს ენოქომიის ყველა ლაბორატორიული ოთახი მზად იყო. ახლა პროფესორ ვ. ღვალაძის დავალებით კვლევის ანალიზური მეთოდების შეთვისებას შევუდექით. ამ საქმეშიაც ჩვენი უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელი ვალიკო ბურჯანაძე გახდა. ერთი წლის შემდეგ პროფესორმა ვარლამ ღვალაძემ ყველა ჩვენთაგანს მეცნიერული კვლევის საკუთარი უბანი ძიუჩინა და ლაბორატორიაში გაჩნდნენ „ღამის მლოცველნი“ და „ღამის მთეველნი“. მე ადრეც ლაბორატორიაში ვათევდი ღამეს, რადგანაც დირექცია უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს ბინას არ აძლევდა, კერძო ბინები კი მეტად ძვირად ფასობდა და ჩემი ხელფასის მქონე კაცისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. ლაბორატორიის თანამშრომელთაგან ნორმალური საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები მხოლოდ ვალიკო ბურჯანაძეს ჰქონდა. მისი მეუღლე, ქალბატონი მარო შესანიშნავი ადამიანი იყო და ლაბორატორიის თანამშრომლებს ყოველთვის დიდი სიხარულით და სიყვარულით გვღებულობდა საკუთარ ოჯახში. ვალიკო უბადლო მეოჯახე იყო და ოჯახიც ბრწყინვალე ჰქონდა. ცოლ-ქმარი ბურჯანაძეები ხელგაშლილად გვხვდებოდნენ, გულს გაგვიხსნიდნენ, მოგვეფერებოდნენ, დაგვაპურებდნენ და ასე გამოგვისტუმრებდნენ სამუშაოზე.

ჩვენი კოლექტივი შრომის ორგანიზაციითა და მეცნიერული მიღწევებით ერთ-ერთი სამაგალითო გახდა ინსტიტუტში. ამ გარემოებამ თანამშრომლები კიდევ უფრო დაგვაახლოვა და ერთ მტკიცე კონად შეგვკრა.

ვალიკო ბურჯანაძე ადრე ურიათუბნის (შემდგომში ვაზისუბნის) მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში მუშაობდა და კახეთსა და მის მევენახეობა-მეღვინეობას კარგად იცნობდა. ჩვენ, თელავში ახლად ჩამოსულ ახალგაზრდებს, ყველაფერი გვაინტერესებდა. ადრე რამდენი გვიოცნებია, რომ დიდი ილიასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის კარ-მიდამოში მოვხვედრილიყავით. სამწუხაროდ, იმ დროს (1932—1935 წწ.) ჯერ კიდევ არ იყო გახსნილი ილია ჭავჭა-

ვაძის სახლ-მუზეუმი ყვარელში და ალექსანდრე ჭავჭავაძისა — წინანდალში. მათ მიერ კახეთში გატარებულ დღეთა ერთადერთი მემატიანე და მოამბე ჩვენთვის ვალიკო ბურჯანაძე იყო. ზოგჯერ, როდესაც მისი საუბარი მეტად გაგვიტაცებდა, შეგვატყობდა, რომ ახლა ჩვენი მიტოვება ცოდვა იყო, ღამითაც დარჩებოდა ხოლმე ჩვენთან ლაბორატორიაში.

დრო გადიოდა და ჩვენ თანდათან უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს. ვალიკო ჩემზე ათი წლით უფროსი იყო, მაგრამ მისი ემოციური ბუნება ამ ზღვარს შეუმჩნეველს ხდიდა. ჩვენ ორივეს გვიყვარდა სხვადასხვა ამბების თხრობაც და მოსმენაც.

შემოდგომის პირი იყო და ლაბორატორიებში ციოდა. ოფიციალური სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ვალიკომ კედლის ღუმელი შეანთო და ოთახის გასაშუქებლად ღუმელის კარი გამოაღო. ინსტიტუტში ელექტროქსელი ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი. ორივენი ღუმელს მივუსხედით. სიჩუმე ვალიკომ დაარღვია.

— სერგო, შენ მალე 23 წლის გახდები, თუ მეგობრად მთვლი, მომიყევი ყველაზე ღიდი საშინელება, რაც შენ აქამდე განგიცდია. თუ შენმა ნაამბობმა ხასიათი არ შემიცვალა, მაშინ მეც მოგიყვები ჩემს ერთ თავგადასავალს. რომელიც დღემდე მტანჯავსო.

ჩემთვის ასეთი შეკითხვა უჩვეულო იყო და ვთხოვე ჯერ მას მოეთხრო, მე ამასობაში მოვიგონებ-მეთქი. იწყინა, ისეთი ამბავი, რომლის გახსენებას ფიქრი სჭირდება, რა საინტერესოა! მე ისეთი მაინტერესებს, სულ მუდამ რომ გახსოვსო. მე დავიწყე თხრობა:

1918 წელს საჩხერეში ბოლშევიკურმა აჯანყებამ იფეთქა. რვა წლის ბავშვმა პირველად ვნახე ბრძოლაში დაღუპული ადამიანები. ღამით ორი დაჭრილი ახალგაზრდა ჩვენს ეზოში შემოიყვანეს. დილით დედაჩემი ცხარე ცრემლით ტიროდა:

— ვაი, თქვენს უბედურ დედებს, შვილებო... — მიცვალებულები ერთად ესვენა, პირტიტველა ბიჭები იყვნენ. მათი საოცრად მშვიდი და გაკვირვებული სახეები შემდეგშიც ხშირად მედგა თვალწინ.

— ღმერთმა ქნას, რომ, რაც ახლა მოჰყევი, შენს ცხოვრებაში ყველაზე დიდ საშინელებად ეს დაგრჩეს. აბა, ახლა ძე დამიგდე ყური, — მომმართა ვალიკომ.

— ჩემი ბავშვობა ობჩაში გავატარე, ჩვენები იქ ცხოვრობდნენ. პატარაობიდანვე მიზიდავდა ფიზიკური ვარჯიში, განსაკუთრებით ჭიდაობა მომწონდა. მე და ჩემი ტოლები ახალგაზრდა მოჭიდავე კოლია ქვარიანზე ვიყავით შეყვარებულნი. თუ კი რამე იყო მასზე დაწერილი, ყველაფერი მქონდა შეგროვებული. სასირცხოდ მიმაჩნ-

და, რომ იგი ჯერ კიდევ არ მენახა და ამხანაგებს მრავალ შეთხზულ ამბავს ვუყვებოდი. ყველამ იცოდა ჩემი დამოკიდებულება მისდამი. დაბაში ერთხელ ხმა გავარდა, ქუთაისიდან ობჩაში კოლია ქვარიანი ჩამოდის და დიდი ჭიდაობა გაიმართებაო. დილიდანვე ცაში დავფრინავდი, ათასგვარ გეგმებს ვაწყობდი. ამისრულდა დიდი ხნის ოცნება და კოლია ქვარიანი ვნახე. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მისმა სილამაზემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ობჩაში ჩამოსვლის წუთიდანვე ჩრდილივით ავედევნე, არავის არ მივეცი საშუალება, რომ მისთვის რაიმე მომსახურება გაეწია. რამდენიმე საათის განმავლობაში არ მოვშორებივარ: საითაც გატრიალდა, მეც იქით მივყევი; აზიური ჩექმები ჩემი ხელით გავხადე; რაც დასჭირდებოდა, უმალვე ვაწოდებდი. მგონი თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებაც კი არ მივეცი. ღმერთო, რა ბედნიერი ბიჭი ვიყავი მაშინ! ვიღაც უფროსმა მხარზე ხელი დამადო და მთხოვა, კარავი დამეტოვებინა, უძლეველმა ფალავანმა ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოსო. სწრაფად დავტოვე ისინი და კარვის გარეთ ჩავჯექი. ახლა უკვე ლოდინს ვეღარ ვითმენდი; მინდოდა რაც შეიძლება მალე შენახა, როგორ გააკრავდა ჭიდაობის ჯადოქარი მინდორს ღირსეულ მოწინააღმდეგეს და წინასწარ წარმოვიდგინე, სიხარულისაგან როგორ ავღრიალდებოდი. ოცნებაში მე უკვე ჭიდაობას ვუცქეროდი, რომ ერთბაშად თავბრუ დამესხა და გული შემიღონდა. კოლია ქვარიანი იქ მყოფთ აფრთხილებდა:

— კარავში ვინმე დატოვეთ, ეს ბიჭი საეჭვოდ იქცევა. ხომ ხედავთ, ჩამოსვლისთანავე გვერდით ამეტუზა და მას შემდეგ ერთი წამითაც არ მომშორებია.

გონება დავკარგე. კარგახანს არაფერი მესმოდა. გონს როდესაც მოვედი, ჭიდაობის პირველი წრე უკვე დამთავრებულიყო და ვიღაც ცეკვავდა. მე კარვის ძირში იმავე ადგილზე ვიჯექი, სადაც პირველად ჩავიმუხლე. ვერ გავერკვიე, რა მოხდა... ასე ამისრულდა ახალგაზრდობის ოცნება! მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი და აბა, თუ შეგიძლია, წარმოიდგინე ჩემი განცდა, — დაამთავრა თხრობა ვალიკომ.

კარგა ხანს ორივენი ვდუმდით. მერე პატიება მთხოვა, რომ ასეთი უნიშვნელო ამბის გახსენებით შემაწუხა.

მეორე დღეს პირობა ჩამომართვა, რომ მის ნაამბობს არასოდეს არავის არ მოვუყვებოდი, შენი ტკივილი სხვას არ უნდა მოახვიოო. დამნაშავე მე ვარ, სიყვარულის გამოხატვასაც, ალბათ, თავისი საზოგადოებრივი ნორმები აქვსო.

გავიდა წლები... ვალიკო ბურჯანაძე სახელმოხვეჭილი მეცნიერი გახდა. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს მევენახეობისა და

მეღვინეობის განვითარებას; ამ დარგის აღიარებული ავტორიტეტი შეიქნა, მაგრამ ბავშვობისას მიყენებული გულისტკივილი სიკვდილამდე შემორჩა.

1980

ანდერძი

ოცდაათიან წლებში ასპირანტურის კურსი უფრო მეტი საგნების ჩაბარებას ითვალისწინებდა, ვიდრე ახლა არის მიღებული. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის წინ ექვსი საგნის ჩაბარებამ მომიწია. საგნებს რესპუბლიკის სხვადასხვა ინსტიტუტში ვაბარებდით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ინსტიტუტი რომელ მეცნიერულ დისციპლინაში ითვლებოდა წამყვან დაწესებულებად. მეღვინეობის ტექნოლოგია ქ. თელავში საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩავაბარე. საგამოცდო კომისიაში შედიოდნენ მიხეილ ალექსანდრეს ძე გერასიმოვი, ალექსანდრე ლაზარეს ძე შატსკი და ლეონიდ ვლადიმერის ძე სერგეევი. სამივე საბჭოთა კავშირში ცნობილი მეცნიერი. თავმჯდომარე მ. გერასიმოვი იყო. თითოეულ მათგანს მრავალი წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული, ყველას მეტად საინტერესო და მდიდარი მეცნიერული ბიოგრაფია ჰქონდა. ლ. სერგეევმა და ა. შატსკიმ ჯერ კიდევ მეფის დროინდელ რუსეთში მოიხვეჭეს სახელი, მ. გერასიმოვი შედარებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირში მეღვინეობას ის მეთაურობდა.

გამოცდები 1934 წლის ზაფხულში შედგა. ყველა მიხეილ გერასიმოვის კაბინეტში შეიკრიბა. აღმოჩნდა, რომ გამოცდებისადმი სამივეს განსხვავებული მიდგომა ჰქონია: მიხეილ გერასიმოვი ნედლეულის ტექნოლოგიური გადამუშავების მეცნიერულ დასაბუთებას ანიჭებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას, ლეონიდ სერგეევი მთავარ ყურადღებას ქიმიურ აზროვნებას აქცევდა, ალექსანდრე შატსკისათვის კი ზოგადი განათლება იყო ყველაფერი. მათ წინასწარ შედგენილი ბილეთები არ გამოუყენებიათ; ვისაც რა სურდა, იმას მეკითხებოდა. გამოცდა ორ საათამდე გაგრძელდა. პასუხების შეფასებაზე ჩემი თანდასწრებით მსჯელობდნენ და მე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ნიშანზე ვერ შეთანხმდნენ. კომისიის თავმჯდომარე წინააღმდეგი იყო, რომ ჩემთვის ტექნოლოგიაში ფრიადი დაეწერათ. ლეონიდ სერგეევი გაღიზიანდა:

— მიშა, აბა, დამატებით ჰკითხე რაც გინდა, ერთი ნახე, როგორ იცის ქიმია.

გერასიმოვმა მისი თხოვნა უხალისოდ შეასრულა.

— სერგეი ვასილის ძევ, მოგვიყევით რა არის აქტუალური მეავიანობა და თუ წაგიკითხავთ ამის შესახებ ჩემი წიგნი.

შეძლებისდაგვარად განვმარტე, თუ რა და როგორი მეავიანობა არსებობს, როგორ გამოიხატება თითოეული მათგანი და გავჩუმდი. მიხეილ გერასიმოვს ერთი თავისებურება ახასიათებდა: საუბრის დროს პირდაპირ სახეში არასოდეს არ შემოგხედავდა, გვერდზე იყურებოდა, თითქოს სხვას ელაპარაკებაო, მოხდა სასწაული. მე პირდაპირ თვალებში შემომაჩერდა და გაიღიმა.

— ასეთი პასუხი არ გეპატიებათ. ხვალ დისერტაცია უნდა დაიცვათ და ფუნდამენტურ შრომებს კი არ იცნობთ.

საფეთქლებში სისხლი მომაწკა და გულის სიღრმეში რაღაც ამეწვა. მოფიქრება კარგად ვერც კი მოვასწარი, რომ გამოუსწორებელი შეცდომა ჩავიდინე:

—შონის ცნობილ მონოგრაფიას „დუღილის პრობლემები“ თანდართული აქვს ცალკე თავი „აქტუალური მეავიანობა“. თქვენ ეს დამატება ცალკე წიგნად გამოეცით, როგორც თქვენი საკუთარი ნაწარმოები.

უხერხულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მ. გერასიმოვი გაფითრდა, ა. შატსკი ფეხზე წამოდგა, ხოლო ლ. სერგეევმა გადაიხარხარა.

ა. შატსკიმ მთხოვა ოთახი დამეტოვებინა და დერეფანში მომეცადა. მათი ბჭობა კარგა ხანს გაგრძელდა. პირველი ა. შატსკი გამოვიდა, ხელი მომკიდა და ინსტიტუტის ხეივანში გამატარა. მე უკვე ვიცოდი, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცი, მაგრამ რას ვიზამდი, გვიანღა იყო თითზე კბენანი.

— სერგეი, შენ ტექნოლოგიაში ხუთი დაგიწერეთ, თუმცა, სიმართლე რომ გითხრა, ახლა უკვე მე ვიყავი წინააღმდეგი. — მომმართა ა. შატსკიმ.

მე ისეთ სულიერ დეპრესიას განვიცდიდი, რომ მის ნათქვამზე არავითარი რეაგირება არ მომიხდენია.

— ჩემო ძვირფასო, ყური კარგად დამიგდე. ჩემზე უფრო ავყია კაცი ალბათ ძნელი წარმოსადგენია. არ მახსოვს, რომ ერთსა და იმავე ქალაქში სამ წელზე მეტი მემსახუროს. ყველა სამსახურს იძულებით მატოვებინებდნენ, მაგრამ ასეთი რამ, დღეს რომ გავიგონე, არასოდეს მომისმენია. ჩემი მოქმედების გეოგრაფიული არეალი შენს საშობლოსთან შედარებით მეტად დიდია, მუშაობა შორეულ აღმოსავლეთში დავიწყე და ახლა აქა ვარ. უკან რომ იმავე გზით გავბრუნდე, რა გზითაც მოვედი, მარტო რუსეთი მეყოფა კი-

დევ ას წელიწადს და მაინც მე იმას არ ჩავიდენდი, რაც შენ გააკეთე. რა თავში ვიხლი ასეთ ხუთიანს, შენ რომ დღეს მიიღე. ლეონიდ ვლადიმერის ძემ რომ გადაიხარხარა, იმან არ შეგაცდინოს. მას ბრწყინვალე გერმანული და რუსული სკოლა აქვს გავლილი, ემილ ფიშერის ლაბორატორიაში წლების მანძილზე მუშაობდა, მაგრამ ისე მოხუცდა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის არცერთი კაცი არ გაუზრდია. და იცი რატომ? იმიტომ, რომ თავისთავის გარდა, არასოდეს არავინ ჰყვარებია. მაგისი აღდგომა მაშინაა, როდესაც ვინმეს გულსა და სულს ჩაუწყვეტს, ადამიანის ყველაზე უარყოფით მხარეს გამოამზეურებს. მე აქედან მალე წავალ. თქვენ ყველას მალე დაგავიწყდებათ არყის ხესავით აზიდული, მოქანავე ალექსანდრე შატსკი, მაგრამ მე მომწონს შენი სულიერი სამყარო. ბიბლიოთეკაში რუბინამ მიჩვენა სია, თუ რა წიგნებს კითხულობ შენ! ვინ იცის, იქნებ სასარგებლო კაცი გამოხვიდე. ამიტომ მინდა ანდერძად ერთი შეგონება დაგიტოვო: ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი მაინც ადამიანია. ნუ მიაქცევ ყურადღებას მის მცირე ნაკლს. თუ კი საშუალება გექნება, ადამიანს მოეხმარე, მის სულს შეეფერე. რაც დღეს გააკეთე, ამას ამხანაგებთან ნუ მოყვები, არავის არ უთხრა, რომ ადამიანს სული შეურყიე. თუ ვინმეს დანაშაულზე წაასწრო, საქვეყნოდ ნუ გამოიტან, ფეხს გულზე ნუ დააჭერ. გაინაპირე, პირისპირ მარტო შეხვდი და ეცადე საკუთარ სულში ჩაახედო. მე ვიცი, რომ ეს ძნელი გზაა, მაგრამ ამ გზაზე დამარცხება გერჩიოს დღევანდელ შენს გამარჯვებას.

ხვალ დილით, შემოდი და გაფორმებული ცნობა საგნის ჩაბარების შესახებ მე მექნება, — დაამთავრა თავისი შეგონება ალექსანდრე ლაზარეს ძე შატსკიმ.

მეორე დღეს ყველა მილოცავდა საგნის „ფრიადზე" ჩაბარებას, მაგრამ უკვირდათ, რომ უგუნებოდ ვიყავი.

1980

მცნობი

თუშთ არ იციან, ვითარცა,
ვინ არის მონა, ბატონი,
თავად არიან თავისი
მბრძანებელი და პატრონი.

ხალხური

1943 წელი იდგა. რადიო და ფოსტა ჯერ კიდევ ხშირად იყვნენ ავის მაუწყებელნი. ყველა ოჯახი გულის უხილავი ძაფებით იყო ფრონტთან დაკავშირებული. ჩემი უმცროსი ძმა კონსტანტინე 1941

წლის 29 ივნისს ფრონტზე გავაცილე. ამ დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვმუშაობდი და პასტერის ქუჩაზე შვიდ ნომერში ვცხოვრობდი. ამ შენობაში მხოლოდ ინსტიტუტის თანამშრომლები ბინადრობდნენ. ბევრი მათგანის ოჯახის წევრი სამამულო ომში მონაწილეობდა. ფოსტალიონის მოსვლის დროს მცხოვრებთა უმრავლესობა შენობის მთავარ კიბესთან იყრიდა ხოლმე თავს, ბინებში ვეღარ იცდიდნენ. ერთხანს მეც მათთან ერთად ველოდი ბედის განაჩენს, მაგრამ არსაიდან არაფერი არ ჩანდა. გაწვრილდა გული და ადრე თუ ფოსტალიონის გამოჩენისას გარეთ ვიდექი, ახლა, პირიქით, ოთახში შევდიოდი, მეგონა უბედურებისაგან ეს დამიცავდა.

ერთ დღეს ჩემმა კარის მეზობელმა თარხან ჯაყელმა უხმოდ გადმომცა ფრონტიდან მოსული ბანდეროლი. ყველაფერი ნათელი იყო. თარხანი გვერდით მომიჯდა. ამანათის გახსნას არც ერთი არ ვჩქარობდით. მეზობლებში ხმა სწრაფად გავრცელებულიყო და სხვებიც შემოვიდნენ...

— რას იზამ, მარტო შენ ხომ არა ხარო, — მეტი რა გზა მქონდა, კონვერტი უნდა გამეხსნა... წერილმა, მე რომ ველოდი, იმაზე არანაკლები უბედურება გვაუწყა. კონვერტში დაღუპული უფროსი ლეიტენანტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტის ფორე ცისკარიშვილის სამხედრო საბუთი და პატარა ბარათი იდო.

„როცა ფრონტზე მაცილებდი, მარწმუნებდი კვლავ შეეხვდებითო. ხომ შეგისრულე! შენი თუში მეცხვარე („მცნობი“)“.

ფორე 1942 წელს დაღუპულიყო. როსტოვის მეორედ დატოვებისას დაჭრილს ვეღარ გამოეღწია და გერმანელებს ჩავარდნოდა ხელში...

ფორე ცისკარიშვილი ფრონტისაკენ 1941 წლის აგვისტოში გავაცილე. ჯარში გაწვევას მეც მალე ველოდი და ერთმანეთს იმ იმედით დავშორდით, რომ ბედი სადმე ფრონტზე კვლავ ერთად შეგვყრიდა. როდესაც მანქანა დაიძრა და მისი ვაგონი საკმაოდ დამცილდა, ფორემ ფანჯრიდან გადმომძახა: „თუ დავიღუპო და ოდესმე გაგახსენდე, ჩემი ცხვრის ფარა არ დაივიწყოო“.

მისი მეუღლე და ორი პატარა ვაჟი პასტერის ქუჩაზე ჩემი მეზობლები იყვნენ, ერთ სახლში ვცხოვრობდით. ფორეს ვაჟებს ჩვენმა ქვეყანამ უპატრონა და კარგი ვაჟკაცები დაიზარდნენ; უმაღლესი განათლება მიიღეს, მეცნიერი მუშაკები გახდნენ, დაცოლშვილდნენ. მეუღლე 1969 წელს გარდაიცვალა. ფორეს და ნინოს ახლა ხუთი შვილიშვილი ეზრდებათ...

გავიდა წლები და მე ჩემი მეგობრის თხოვნა აქამდე ვერ შევასრულე: ვერც მას და ვერც მის ცხვრის ფარას ვერცერთი სტრიქონი ვერ მივუძღვენი. იქნებ ახლა მაინც შევასრულო მისი ანდერძი და ამ პატარა მოსაგონარში გაგაცნოთ, თუ ვინ იყო ფორე ცისკარიშვილი — ერთი იმ ვაჟკაცთაგანი, ვინაც სიცოცხლე თავის სამშობლოს შესწირა, ვისი იმედებიც ულმობელმა სინამდვილემ ბედის სავალის ყოველ უღელტეხილზე უნდობლად ამსხვრია.

ფორე მათეს ძე ცისკარიშვილი 1907 წლის სექტემბერში სოფელ გურგალჭალაში დაიბადა. ამჟამად ეს სოფელი აღარ არსებობს. ამ სოფლიდან და სხვა ახლოს მდებარე პატარა სოფლებიდან ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში თუშები ალვანის მინდორზე გადასახლდნენ. შეიქმნა ახალი დიდი სოფელი — ზემო ალვანი. ფორეს მამა მათე ცისკარიშვილი ხელმოკლედ ცხოვრობდა და უფროსი ვაჟი ფორე ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ თელავის სკოლიდან გამოიყვანა. 11 წლის პატარა ბიჭს სოფლის ძროხები ჩააბარეს სამწყემსად. ოთხი წლის შემდეგ კი მოჯამაგირედ დაუყენეს ჯერ ზაქარია ცისკარიშვილს, ხოლო შემდეგ ილიკო იმედაძეს. ამ მძიმე წლებმა ახალგაზრდა მწყემსში წარუშლელი კვალი დატოვა. ფორე თავისი შრომით, ნიჭითა და პატიოსნებით მთელ ალვანში გახდა ცნობილი. იმ დროს ალვანელთა მთელი ცხვარი ძირითადად რამდენიმე კაცს ეკუთვნოდა, სოფლის დანარჩენი მცხოვრებნი კი მოჯამაგირეები იყვნენ.

ფორემ რვა წლის დაუღალავი შრომითა და თავდადებით რამდენიმე ასეული ცხვარი მოაგროვა და უკვე საკუთარ ცხვრის ფარაზე ოცნებობდა, როდესაც ერთი სუსხიანი ზამთრის რამდენიმე კვირამ სიმწრით შეკოწიწებული ფარა თითქმის მთლიანად ამოუწყვიტა. 21 წლის ჭაბუკი ულუკმაპუროდ დარჩა, მაგრამ მთელი თავისი შინაგანი სულიერი ცხოვრება მაინც სამუდამოდ დაუკავშირა თუშური ცხვრის ფარას, მეცხვარეობას; ბოლომდე დარჩა მშობლიური იალაღების თავდავიწყებამდე მოსიყვარულე. იტყოდა ხოლმე, ჩემამდე რომ არავის ენატრა, მე მაინც უეჭველად ვინატრებდიო:

ნეტავი მომკლა ამ მთებზე,
აქვე დამასამარა,
აქვე ამიგონ ანდერძი,
დამტოვა მთების ამარა.

ალვანელმა მეგობრებმა ფორეს ურჩიეს, რომ მეცხვარეობა არ მიეტოვებინა და ოჩხარის წესისათვის მიემართა: რომელიმე მეგობარი ან ნათესავი შეძლებულ მეცხვარეებს დაპატიჟებდა; შეკრების მი-

ზანი ყველამ კარგად იცოდა და იქვე პურობისას გამოცხადდებოდა, თუ დაზარალებულ მეცხვარეს ვინ რამდენი ცხვარი შესწირა. ზოგჯერ ოჩხარის დროს ოთხასი-ხუთასი ცხვარი შეგროვდებოდა და მეცხვარე კვლავ ფარის პატრონი ხდებოდა. ფორემ მეგობრებს დახმარებაზე უარი განუცხადა.

— მე ხომ ვიცი, რას ნიშნავს ცხვრის გამრავლება, გაზრდა, მოვლა, პატრონობა, რა სინდისით მივითვისო სხვისი შრომა, ამას ვერ გავაკეთებო.

ყოფილმა მწყემსმა 1933 წელს ენისელის მევენახეობა-მეღვინეობის ტექნიკუმი დაამთავრა, როგორც პირველმა მოწაფემ. ამავე ტექნიკუმის ადრინდელმა დირექტორმა, ცნობილმა მევენახემ სიკო ლომკაცმა ფორე იმავე წელს მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის განყოფილებაში ლაბორანტად მოაწყო. მე ამ დროს ამავე ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად ვმუშაობდი. ჩვენ მალე დავმეგობრდით.

ფორე თავისი კუთხის ნამდვილი შვილი იყო: მტკიცე, შეუდრეკელი ნებისყოფის, პირდაპირი, უაღრესად მორიდებული, ბუნებისა და ადამიანის დიდი ტრფიალი. ყველაფერს ადვილად ითვისებდა, დღედაღამ გადაბმულად შეეძლო ეკითხა, ლაბორატორიაში ემუშავა. უყვარდა განვლილი ცხოვრების მოგონება, თუმცა მწყემსობის დროს ბევრი გაჭირვება ჰქონდა გადატანილი.

— თერთმეტი წლისა ვიყავი, როდესაც ზემო ალვანელები მცნობად მთვლიდნენ, ათას ცხვარში გამოვარჩევდი რომელი ბატკანი რომელი დედისა იყო, — გვიყვებოდა ხოლმე.

მცნობი რა იყო — მანამდე არც გამეგონა. მცნობი ის მწყემსია, რომელსაც თანდაყოლილი აქვს დიდი ხედვითი მეხსიერება; იგი ერთი შეხედვით ცნობს, რომელი ბატკანი (ომელი დედისაა და ათას ბატკანს სწრაფად და შეუცდომლად დედებს შორის ანაწილებს. მცნობს ბატკნებს 4—5 კაცი აწოდებს. როდესაც დედაცხვარს მოშივდება ან რაიმე მიზეზის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ან ცუდი ამინდია, მაშინ ცხვარი თავის ბატკანს ვერ ცნობს და, თუ ამ საქმეში მცნობი არ ჩაერია, ბატკნები დაიხოცებიან. ზოგიერთი დედაცხვარი საერთოდ ვერ ცნობს თავის ბატკანს. მცნობის ნიჭით დაჯილდოებული მწყემსები იშვიათია. სადაც მცნობი არ არის, იქ დედასა და შვილს ერთგვარ ნიშანს ადებენ საღებავით და თითოეულ მათგანს მწყემსი დღეში ორჯერ მაინც ეძებს. ამ შემთხვევაში საქმე საკმაოდ გართულებულია. ამიტომ იყო, რომ ყველა ფარის პატრონი მცნობს ეძებდა და მას, ჩვეულებრივ მწყემსთან შედარებით, მეტ გასამრჯელოს აძლევდა.

მცნობის შესახებ საინტერესო შემთხვევა მიამბო ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა მიხეილ რჩეულიშვილმა.

— ომის დროს ქვემო ალვანის კოლმეურნეობიდან ლეკებმა ხუთასი ყოჩი იყიდეს. ყველა სათითაოდ ამოარჩიეს. ამ გარიგებას შეც დავესწარი. ყიდვისთანავე წაყვანა არ შეეძლოთ და ვთხოვეთ დაენიშნათ.

— არ არისო საჭირო, ახლავე ჩვენი მცნობი ნახავსო, — გვიპასუხეს. მათ ჯგუფს ერთი შუახნის კაცი გამოეყო, ფარა დაათვალიერა, ყოჩებს ალბათ სულ 5—10 წუთი დასცქეროდა და გვითხრა — შეგიძლიათ გარეკოთო. ლეკები ორი კვირის შემდეგ ჩამოვიდნენ. მე ვთხოვე კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს, რომ განგებ სამი ყოჩი შეეცვალათ. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ის გამოცვლილი ყოჩებიც იქვე გვყავდა, რომ ლეკებს ჩვენი ხუმრობა ადვილად გაეგოთ. გამოეფინენ თუ არა ცხვრები, მცნობი მიუახლოვდა ფარას. ერთხანს დუმდა. როგორც მერე გვითხრა, თურმე მერყეობდა: სამ ყოჩს როგორ გამოცვლიდნენ, ალბათ შემეშალაო, მაგრამ შემდეგ მტკიცე ნაბიჯით შევიდა ფარაში და სხვადასხვა ადგილიდან სამი ყოჩი გამოიყვანა — ესენი ჩვენი არ არისო. სიმართლე გითხრათ, ხომ ამდენი რამ მჭონდა მოსმენილი მცნობზე, მაგრამ მაინც გამიკვირდა. სამივე გამოცვლილი ყოჩი რომ იქვე გვყავდა, ლეკებს ძალზე გაეხარდათ, მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, და ახლა თავი კიდევ უფრო თავმომწონედ ეჭირათ.

ფორეს მწყემსობის პერიოდის თავგადასავლის მოსმენა ყოველთვის ამაღელვებელი იყო. რა არ შეხვედრია, რა პირობებში არ უცხოვრია, რა ძალას არ შეჭიდებია: მრავალდღიანი გადაუღებელი წვიმა და თქეში, უკუნი ღამეები და ჭექა-ქუხილით ჩამონგრეული ცა, სეტყვა, მოულოდნელი ყინვა და სულისშემხუთავი ქარბუქი, კვირაობით მაღალი სიცხე. ყაჩაღების თავდასხმა და ცხვრის მოწყვეტა, თვეობით სულიერი სიმარტოვე, ძაღლის გაბმული ყმუილი, ცხვრის დაავადება, უკუღმართი დოღი, ადამიანის ღალატი და, ვინ იცის, კიდევ რა! ყოველ ცისმარე დღეს ებრძოდა იგი ცხელს ბუნებას, მთელს სამყაროს, რომ ბატკანი გაეზარდა, ცხვარი მოემრავლებინა.

და მაინც ნამდვილი მწყემსის მთავარ მამოძრავებელ ძალად მგოსნისეული სული და მგოსნის სამყარო მიაჩნდა. ესაა, რომ მწყემსებს უძლეველს ხდის, შეუძლებელს შეაძლებინებს, არაადამიანურ ტკივილსა და გაჭირვებას გადაატანინებსო.

— რა დიდებულია იალაღებზე ღრუბელივით შეფენილი ათასობით თეთრი სიცოცხლე! როგორ უცემს ახალდაბადებულ ბატკანს

გული! შეციებულ ბატკანს რომ გულში ჩაიკრავ და მოეფერები, როგორი ნაღვლიანი, წმინდა, ანგელოზური თვალებით შემოგყურებს! მწყემსს რკინის მკვნეტელის ჯანი და ბავშვის უფაქიზესი გული უნდა ჰქონდესო, — დაასკვნიდა ხოლმე ფორე (ჩემო ფორე, ნეტავ დაგანახვა ელგუჯა ამაშუკელის პოეტური ქმნილება: დაჩოქილი ნიკო ფიროსმანი გულში ჩახუტებული ღვთის კრავით!).

ერთ დღეს, როდესაც ჩემთან ლაბორატორიაში ვიყავით, ფოსტალიონმა წერილი შემოიტანა. სტუდენტობის ამხანაგი ილო მირილაშვილი მწერდა:

— ძმაო სერგო, შენი წინადადება მომეწონა, თანახმა ვარ, უყოყმანოდ დავტოვებ ფოთის რაიმიწგანს და სამუშაოდ თელავში გადმოვალ, მხოლოდ უნდა გარკვევით ვიცოდე: რამდენ ხანს ვიქნები რიგითი ჯარისკაცი, როდემდე უნდა ვატარო უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის სამხრეები და საერთოდ რა მელის...

მეგობრის ასეთი პასუხი გამიკვიდრა და წერილი ფორესაც წავაკითხე, თანაც ვუამბე, რომ ილუშა მირილაშვილი ინსტიტუტში შესანიშნავად სწავლობდა, რომ ჩვენ კარგი მეგობრები ვიყავით და ამას წინათ, როდესაც ხელმძღვანელმა ვინმე ნიჭიერი, შრომისმოყვარე ახალგაზრდის მონახვა მთხოვა, მე წერილი მასთან ფოთს ვაფრინე.

ფორემ წერილი რამდენჯერმე ხმამაღლა გადაიკითხა და დადუმდა. პასუხი ვერცერთმა ვერ მოვიფიქრეთ.

მეორე დღეს ლაბორატორიის გამგეს ვარლამ ღვალაძეს მივმართეთ; ილუშა სამსახურში ხომ მაინც მას უნდა მიეღო. ვარლამმა წერილი წაიკითხა, გაიცინა და მტკიცედ დამავალა:

— აცნობე, რომ ლაბორატორიაში გენერლის ადგილი თავისუფალია, თუ მეთაურობა შეუძლია, დაუყოვნებლივ ჩამობრძანდეს: ჩვენ მზად ვართ დავემორჩილოთ, მისი ხმალი და ჩვენი კისერი!

ამ შემთხვევამ ორივენი აგვაფორიაქა, აგვალაპარაკა, დაგვაფიქრა და, რაც მთავარია, ერთმანეთთან კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ამის შემდეგ ჩვენი „ქიმიური კავშირი“, როგორც ჩვენს ამხანაგობას მაშინ ფორე უწოდებდა, კიდევ უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. გავიდა რამდენიმე თვე და ფორე ჩვენთან სამუშაოდ გადმოვიდა. ბატონ ვალიკოს წინაშე ორივემ ერთად დავდეთ პირობა, რომ ნამდვილი ჯარისკაცები ვიქნებოდით. ჩვენს ფიცზე მან გულიანად გადაიხარხარა და აღგვითქვა:

— ასე გატაცებით თუ იმუშავებთ, პირობას გაძლევთ, სულ მალე ნამდვილი გენერლები გახდებითო.

1933 წლის შემოდგომაზე მე და ფორე უკვე განუყრელი მეგობრები ვიყავით. ყოფილმა მწყემსმა მტკიცედ შეაბიჯა ნივთიერებათა აღნაგობის ზღაპრულ სამყაროში. უკვირდა, რომ მეცნიერულ კვლევას ამდენი ოცნება და თვალით უხილავის გონებით ხილვა ესაჭიროებოდა.

— ლაშარის ჯვარს ვფიცავ, რომ ნამდვილი ოცნება თუშის საქმეა; თუშეთის ამდენ ნანგრევებს აბა რა გააცოცხლებს, ან ერთ სულ ცხვარს ასიათასად რა გახდის, თუ დედამიწას ზოგჯერ მაინც ფეხს არ მოსწყვეტო, — იტყოდა ხოლმე ზეზვა გაფრინდაულის ნაშიერი.

ორი წლის ერთად ყოფნამ ფორე ცისკარიშვილი ჩვენი კოლექტივის საყვარელ და განუყრელ წევრად აქცია. მის გონებაში ახლა უკვე ორი კერპი ებრძოდა ერთმანეთს: თუში მეცხვარე და ქიმიკოსი-ორგანიკოსი. თუ პირველი მხოლოდ მოგონებებით საზრდოობდა და სინამდვილეს თანდათან შორდებოდა, მეორის ასპარეზი დღითიდღე ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა.

დაუღალავმა შრომამ და დიდმა გატაცებამ თავისი გაიტანა, ჩვენი მისწრაფებები თანდათანობით სინამდვილედ იქცა. ფორე 1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, 1939 წელს კი ორივენი ერთად ვმუშაობდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე.

პროფ. ვ. ღვალაძე სათავეში ჩაუდგა ბიოქიმიის საცდელი სადგურისა და ბიოორგანული ქიმიის კათედრის მუშაობას და მთელი ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდული ენთუზიაზმით შეუდგა ორგანული მჟავების პრობლემის კვლევას. მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობა ისე იყო ერთმანეთთან შერწყმული, რომ განცალკევება ვერ წარმოგვედგინა. ვსწავლობდით და ვასწავლიდით. ღამეებს ვათენებდით და ცდებს ცდებზე ვაყენებდით. ყოველ მონაცემს მთელი კოლექტივის თანდასწრებით საჯაროდ ვიხილავდით. ძლიერად ღვივოდა შემოქმედებითი ცეცხლის ნაკვერცხალი...

ფორე ჩვენი ლაბორატორიული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. 1939—1940 წლებში ჩვენ ერთად ორი პრაქტიკული სახელმძღვანელო შევადგინეთ: ბიოქიმიის პრაქტიკუმი და ორგანული ქიმიის მცირე პრაქტიკუმი. ამავე პერიოდში მრავალი ათეული ცდა დავაყენეთ ქარვამჟავას გენეზისის შესასწავლად. სამუშაო მეტად შრომატევადი იყო. განსაკუთრებით დიდ დროს ქარვამჟავას განსაზღვრა მოითხოვდა. ფორე მუდამ გვერდში მედგა და მოუთმენლად ველოდით, გამართლდებოდა თუ არა ჩვენი ხელმძღვანელის თეორიული შეხედულებები. კვლევის ობიექტს საფუარი წარმოად-

ვენდა. ჩვენი მოვალეობა იყო დაგვედგინა, თუ რა როლი ჰქონდა ჟანგბადს ქარვამჟავას წარმოქმნაში.

ჩვენი მთავარი მიზანი ორგანულ მჟავათა წარმოქმნის რეგულირების გზების გამოვლენა იყო. ჩვენს პირობებში ცდების ერთი სერიის დაყენებასა და მის სრულ ანალიზს დაახლოებით სამი თვის მუშაობა ესაჭიროებოდა. ასე რომ, ცოცხალი საფუარისათვის წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ შეგვეძლო შეკითხვა მიგვეცა, თუ რას „ფიქრობდა“ იგი ჟანგბადის როლზე. ამის გამო ფორე ზოგჯერ ამიმხედრდებოდა ხოლმე:

— უცადე თვეობით ახლა ამ თვალით უხილავ ერთუჯრედიან მიკროორგანიზმებს, როდის გამრავლდებიან და როდის მოისურვებენ რომელიმე ნივთიერების წარმოქმნას. ვაქკაცი თუ ხარ, ისეთი ქიმიური რეაქცია უნდა აღმოაჩინო, რომ ქვეყანას სრულიად ახალი სასარგებლო ნივთიერება მისცე.

ლაშარის ჯვარის ძველ მლოცველს ბიოქიმიური ხედვა და გემოვნება თანდათანობით და საფუძვლიანად უვითარდებოდა, თუმცა თავისი იალაღები და ცხვარი მთლიანად მაინც ვერ დაევიწყებინა. წუხდა ხოლმე:

— თუში გლეხკაცი ისე ვერ ცხოვრობს, როგორც მის შრომას შეეფერება. არავინ იცით, მწყემსი რა გაჭირვებაშია. თქვენ მწყემსი მხოლოდ მშრალი ნაბადითა და მორაკრაკე სალამურით გყავთ წარმოდგენილი.

საკამათოსა და საზრუნავს ჩვენ რა გამოგვილევდა. ბევრი ზამთრის გრძელი ღამე გაგვითენებია ერთად თუშურ ხალიჩაზე.

ალვანიდან ისე არ ჩამოვიდოდა, რომ თუშური ყველი არ ჩამოეტანა. როდესაც ლაბორატორიის საერთო საუზმეზე თუშური ყველით პირველად გაგვიმასპინძლდა, საშინელი დღე დაგვაყარა:

— კულტურული ხალხი გქვიათ და არც ყველს და არც მის გამკეთებელს არავითარ პატივს არ სცემთ; ვის გაუგონია კაცი ამდენ ყველს ჭამდეს, ლამისაა პურის მაგივრადაც ყველი მიირთვათ. თუშები რომ ასე იქცეოდნენ, საქართველოში თუშური ყველი არ იქნებოდა. მწყემსების შრომას თუ პატივს სცემთ, ყველი მაინც გამოიზოგეთ. აბა დახედეთ როგორია!

მართლაც, შესანიშნავი რამ იყო! ვიღაცას თითქოს ფუტკრის ფიჭასავით აეშენებინა და ყოველ უჯრედში სურნელოვანი წარმონაქმნი შეენახა; არომატი, ფერი და გემოც ზღაპრულად შეეზავებინა.

ფორე უაღრესად მორიდებული და მოსიყვარულე ადამიანი იყო. უკვე კარგა ხნის ახლო მეგობრები ვიყავით, როდესაც შემ-

თხვევით გავიგე, რომ მას ერთი კი არა, ორი ვაჟი ჰყავდა. მეწყინა და შესაფერი ტონით მივმართე:

— ეს ალბათ სახელგანთქმული თუშური მეგობრობაა, არა?!

ფორე ჩემს გაღიზიანებას არ აჰყვა, ხელი მომხვია და ამიხსნა:

— როდესაც პირველად ჩემი ოჯახის ამბებს გიყვებოდი და გითხარი, უფროს ვაჟს ლაშა ჰქვია-მეთქი, შენ ისე გაგეხარდა და იმდენი ქება შემასხი ამ სახელის შერქმევისათვის, რომ აბა რა ღმერთი გამიწყრებოდა და როგორ გავბედავდი მეთქვა, რომ მეორე ჩემს ვაჟს შამილი დავარქვიო.

— მერე, რა, შამილი ხომ საინტერესო, ნიჭიერი, თავისუფლებისათვის მებრძოლი კაცი იყო. ახლა მთავარია პატარა შამილის პოზიცია; იქნებ მან მაინც დაგვიბრუნოს ნაწილი იმ ქონებისა, რაც მისი სახელის დიდი მოზიარის ნაიბებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სასახლიდან გაიტაცეს-მეთქი, — ფორე ასეთ „ღალას“ სიამოვნებით შეეგება.

განვლილ მძიმე ცხოვრებას ჩემს მეგობარზე თავისი დაღი დაესვა. განსაკუთრებით ქარაგმული ლაპარაკი და გადაჭარბებული ხუმრობა არ მოსწონდა. კაცი ვერ გაგიგებთ, რას რა აზრით ლაპარაკობთო.

ერთი ასეთი ხუმრობა საკმაოდ ძვირად დამიჯდა. ზოგიერთი ცდა და მისი სრული ანალიზი, როგორც უკვე ითქვა, რამდენიმე თვე გრძელდებოდა. პროფესორთან შეთანხმებული ვიყავით, რომ ანალიზის უკანასკნელი ეტაპი ზოგჯერ მასთან ერთად უნდა შეგვესრულებინა. ჩვენი სამუშაო ჰიპოთეზა საკვლევ ნიმუშებში წარმოქმნილი ნალექის რაოდენობის მიხედვით მოწმდებოდა. კულები თეორიული მოსალოდნელობის მიხედვით ლაგდებოდა და ნალექის წარმოსაქმნელად საჭირო რეაქტივი შემდეგ ემატებოდა. ფინალი ყოველთვის ამაღელვებელი იყო.

და, აი ერთხელ, როდესაც ჩვენს სამუშაო ჰიპოთეზას მესამედ ვამოწმებდით, ფორემ განალაგა საანალიზო ნიმუშებიანი კულები, მოიმარჯვა რეაქტივის ხსნარი დასამატებლად და საზეიმო ტონით მომმართა:

— ბატონო სერგო, რას გვიბრძანებთ, ახლა რა გავაკეთო?

— ბატონო ფორე, გთხოვთ გააღოთ ფანჯარა და ნიმუშები გადაყაროთ! — მოფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, რომ მან ფანჯარა გააღო და ელვისებური სისწრაფით ოცდახუთივე კულა მეოთხე სართულიდან ძირს გადაუშვა.

არავინ ადგილიდან არ განძრეულა, არც ხმა არავის ამოუღია. კარები გაიღო და ისე მოულოდნელად, როგორც ზღაპრებშია ხოლ-

მე, პროფესორი ვარლამ ღვალაძე შემოვიდა ჩვენთან. მას ყველაფერი დოცენტმა ბორის ივანოვმა უამბო.

ვარლამი ფორესთან მივიდა, გაუღიმა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ყველას გვითხრა დავმსხდარიყავით.

მასწავლებელმა განაჩენი იმავე წუთს გამოიტანა:

— ცდებს სერგო გაიმეორებს, ანალიზებზედაც მარტო ის იმუშავებს: ფორე ამიერიდან ჯერ კარგად წარმოიდგენს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს დავალების დაუფიქრებლად შესრულებას და შემდეგ იმოქმედებს.

დავალების შესრულებას იმავე დღეს შევუდექით. საღამოს, როცა ლაბორატორიაში მარტონი დავრჩით, ფორემ პატიება მთხოვა და აღმითქვა, რომ ყველაფერში მომეხმარებოდა.

მეცნიერული კვლევის პერსპექტივამ ფორე ძლიერ გაიტაცა. ლაბორატორიაში დასმული პრობლემა ძალიან მოსწონდა. მისი ფართო სამოქმედო პროგრამა შესასწავლ საკითხებს კარგად მიესადაგა. დიდძალი ლიტერატურა დაამუშავა და საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტები შემოგვთავაზა, სამეცნიერო მუშაობის გეგმა კიდევ ერთხელ დააზუსტა და ასფურცლიან რვეულში კალიგრაფიულად გადაწერა. გეგმა ყველას მოეწონა; მიზანი, ამოცანები, ავტორის მეცნიერული შეხედულებები, მოსალოდნელი სიძნელეები, ექსპერიმენტები — ყველაფერი ნათლად იყო წარმოდგენილი. მხოლოდ ერთმა გარემოებამ მიიპყრო ყველას ყურადღება: თემას სათაური არ ჰქონდა. როდესაც ხელმძღვანელმა ჰკითხა, ეს რას ნიშნავსო, ფორე ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი ხალისიანად უპასუხა:

— ბატონო ვალიკო, თქვენ მაგაზე ნუ შეწუხდებით, მე და სერგო დღესვე მოვნათლავთ, უსახელოდ არ დავტოვებთო.

პროფესორისადმი მიცემული პირობის შესრულება ადვილი არ აღმოჩნდა. მე ზოგადი სახელწოდების მომხრე ვიყავი, ის კი უფრო კონკრეტულ თემებს აძლევდა უპირატესობას. არც დამითმო და არც ჩემი წყენა სურდა. უცებ სახე გაებადრა და მივხვდი, რომ რაღაც საინტერესო აზრი მოუვიდა:

— ამ რვეულში ხომ ასი ფურცელია. მოდი, ჩემს პირველ დამოუკიდებელ თემას „ასფურცელას ზღაპარი“ დავარქვათ.

ვიგრძენი, რომ ფორეს რაღაც სხვა ფიქრებმა მოაკითხა და თანხმობის ნიშნად ორივე ხელი ავწიე.

პირობა დავდეთ, რომ ამის შესახებ არავის არაფერი ეცოდინებოდა. მწვანეყდიანი საერთო რვეულის თავფურცელზე ფორემ მსხვილი, ენერგიულად მოხაზული ასოებით დააწერა: „ასფურცელას ზღაპარი“

დადგა 1941 წლის ივნისი. ღამეებს კვლავ ლაბორატორიაში ვათენებდით. თავისუფალ დროს ძველებურად საუბარში ვატარებდით. მას ზემო იმერეთის, საწერეთლოს ამბები აინტერესებდა, მე კი თუშეთის, თუშების... ამ დღეებში, არ ვიცი რატომ, და ძირითადად ხალხის ზნე-ჩვეულებებზე ვმსჯელობდით, ფორეს თუშების ზნე-ჩვეულებების მიმართაც თავისებური დამოკიდებულება ჰქონდა.

— ჩვენებური დღეობები არ მიყვარს. ამ დროს ყველა ცხვარს კლავს, კლავს და მერე როგორ! ყელგამოღადრულ სულთმობრძავ ჰედილას ჯერ წმინდა ადგილის კედელს რამდენჯერმე შეაჯახებენ და შემდეგ კი რაც შეუძლიათ შორს გადააგდებენ! წმინდანი რომ ამ მოქმედებას მოგიწონებს, იმისი რაღა უნდა გჯეროდეს! — ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე ფორე.

როგორ გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალექსანდრე ნესმეიანოვი ხორცს არ ჭამდა და არც არასდროს ეჭამა. კაციც ეგა ყოფილაო!

ყოველთვის და ყველაფერში ჩანდა ცოცხალი სამყაროს შეცნობის ფორესეული იშვიათი თვისებები. ფორე სიცოცხლის ნამდვილი მცნობიც იყო და მისი მოციქულიც.

დასრულდა ჩვენი ერთად ყოფნის ბრწყინვალე და განუმეორებელი დრო. დადგა უდიდესი განსაცდელის წლები და დღეები. ისპობოდა მილიონობით სიცოცხლე სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის.,.

იწვა დონის ველებში ღონემიხდილი თუში მეცხვარე და ოცნებისაგან ანთებული სიყვარულით დასტრიალებდა თავის სათაყვანებელ სამშობლოს...

1980

მეცნიერთა სამყაროში

პირველი პრეზიდენტი

(დაბადების 90 წლისთავის გამო)

მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა ნიკო მუსხელიშვილთან. აქედან თექვსმეტი წლის განმავლობაში (1955—1971) თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი მას, როგორც აკადემიის აკადემიკოს-მდივანი. რა არ გადაგვხდენია თავს ამ ხნის მანძილზე, რა სიტუაციაში არ მოვხვედრილვართ! დროდადრო საუბრისას მე მას შეკითხვებით მივმართავდი და პასუხებსაც იქვე, მისი თანდასწრებით ვიწერდი ხოლმე.

ჩვენი აკადემიის პირველი პრეზიდენტი დიდი პიროვნება გახლდათ და მასზე სპეციალური მონოგრაფიები დაიწერება. მე კი ამ ჩემი მცირე მოგონებით მინდა პატივი ვცე მის ხსოვნას.

კითხვა-პასუხი

I

— ბატონო ნიკო, ერთხელ, დიდი ხნის წინათ, გკითხეთ: თქვენს ცხოვრებაში როდის იგრძენით ყველაზე დიდი სიხარული-მეთქი. თქვენი მაშინდელი პასუხი ჩაწერილი მაქვს, თუ გნებავთ, წაგიკითხავთ. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. იქნებ ერთხელ კიდევ მიპასუხოთ იმავე შეკითხვაზე?

— წაკითხვა არ არის საჭირო. მე მაინც ძველებურად გიპასუხებთ: ყველაზე დიდი სიხარული მაშინ განვიცადე, როდესაც პეტროგრადში ამხანაგებმა მამცნეს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე ვარ დატოვებული. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნე-

ლი იყო და ამიტომ უდიდეს ბედნიერებად ჩავთვალე მაშინ და ვთვლი ახლაც. ყველაფერი, რაც მას შემდეგ მოხდა, ჩემს უნივერსიტეტში დატოვებას მოჰყვა და. ამდენად, მოულოდნელი არ იყო.

2

— თქვენს ხანგრძლივ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ვისი გავლენა განიცადეთ?

— მათემატიკას მამის გავლენით მოვკიდე ხელი. მან ბავშვობიდანვე შემაყვარა ეს მეცნიერება, თუმცა მას პირდაპირ არასოდეს ურჩევია, რა სპეციალობისათვის მომეკიდა ხელი. სხვა პირთა გავლენა რატომღაც არ მაგონდება.

3

— საკავშირო აკადემიის პრეზიდენტმა მსტისლავ კელდიშმა საერთო კრებაზე განაცხადა, რომ თქვენ მისი მასწავლებელი ბრძანდებით. ჩვენ ყველა ძალიან გაგვახარა თქვენდამი მისი პატივისცემის ასეთმა გამოხატულებამ.

— ეს, რა თქმა უნდა, ჩემი დაფასებაა და მისი დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ მსტისლავ ვსევოლოდის ძემ, მე მგონია, თავის თავსაც არანაკლები პატივი სცა!

4

— თქვენ ხშირად ახსენებთ ბატონ ივანე ჯავახიშვილს. მასთან დაკავშირებით რა გაგონდებათ უფრო მეტად?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონმა ივანემ მომიწვია, ეს დიდი დაფასება და დიდი ვალდებულებაა დაკისრება არასოდეს დამავიწყდება. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ მის კატეგორიულ მოთხოვნას, რაც შეიძლება ჩქარა და საფუძვლიანად შემესწავლა ქართული ენა. მე ხომ საშუალო და უმაღლესი განათლება ქართულ ენაზე არ მიმიღია. ბატონმა ივანემ დინჯად და მტკიცედ განმიცხადა: „ახლავე შეუდექით ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას. ამ საკითხზე მეტს ნუ ვიმსჯელებთ“. ახლა ნათლად ვხედავ, თუ რა დიდი დახმარება გამიწია მან! რომ ბატონი ივანე არა, მე ქართული ენის ყველა სიკეთეს ვერ ვეზიარებოდი.

5

— თქვენი ქართულ ენაზე გამოსვლის ტექსტი ყოველთვის თქვენივე ხელით გაქვთ გადაწერილი: ხელწერა მსხვილი, ლამაზი ასოებითაა შესრულებული. რატომ აკეთებთ ასე?

— როდესაც მანქანაზე დაბეჭდილი ქართული ტექსტი მაქვს თვალწინ, მაშინ მშობლიურ ენას ისე კარგად ვერ ვგრძნობ, როგორც ხელნაწერში. მართალია, ჩემი ხელნაწერი ჩვეულებრივზე უფრო მსხვილი ასოებითაა გამოყვანილი, მაგრამ ეს მე მამშვიდებს, იმის შიშისაგან მათავისუფლებს, რომ წაკითხვისას რომელიმე სიტყვა შემეშლება. ამას ისე მივეჩვიე, რომ თვით გადაწერის პროცესიც დიდ სიამოვნებას მგვრის, თითქოს ბავშვობისდროინდელ ხარვეზებს ვივსებდე.

6

— რა მიგაჩნიათ თქვენი მეცნიერული მუშაობის ძირითად თავისებურებად?

— დამოუკიდებელი მუშაობა, თანაავტორების გარეშე, ერთი მიმართულებით დიდხანს ფიქრი და ჩემი მოსაზრებებისა და შედეგებისადმი უაღრესად კრიტიკული მიდგომა. მე ძალიან „ნელი ტემპის“ მუშაკი ვარ. ჩვეულებრივ დღეში ერთ გვერდზე მეტს არ ვწერ. ჩვენ ამაზე ადრეც გვქონდა საუბარი: ჩემი მეცნიერული ავტორიტეტის შექმნა ნახევარზე მეტად შეიძლება ჩემი წერის მანერას მიეწეროს. ის მეცნიერები, რომელთა თეორიულ მოსაზრებებს მე ვეხები, მარწმუნებენ, რომ მათი კვლევის შედეგები ჩემს წიგნებში უფრო სადად და გასაგებად არის გადმოცემული.

— ზოგჯერ თქვენ და ბატონი ივანე ბერიტაშვილი ერთმანეთთან საათობით საუბრობთ ხოლმე. რა არის თქვენი საუბრის მთავარი თემა, თუ, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლოებას არ წარმოადგენს?

— ჩვენ ძველი მეგობრები ვართ. ერთმანეთს ყოველთვის დიდი პატივისცემით ვეექცეოდით და ვეექცევით, ერთმანეთის მეცნიერულ მიღწევებსაც დიდად ვაფასებთ. ჩვენ ვმსჯელობთ მხოლოდ იმის თაობაზე, თუ ვისი გზა იყო უფრო სწორი: მე ჩემი დროის დიდი ნაწილი მეცნიერების ორგანიზაციას მოვახმარე, ივანე კი უფრო მეტად უშუალოდ მეცნიერულ კვლევას მისდევდა. საინტერესოა, რა შედეგებს მივიღებდით, თავიდანვე რომ „დატვირთვები“ გაგვეცვალა. ორივეს

გვაქვს რაღაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა; მეტი გვინდოდა გაგვეკეთებინა, ვიდრე გავაკეთეთ. შეიძლება თქვენ გიკვირთ კიდეც, რომ ახლა ამაზე ვმსჯელობთ, მაგრამ ზოგჯერ ხანდაზმულ ადამიანებსაც გვეუფლება ახალგაზრდული სურვილები.

8

— ამას წინათ თქვენ აკადემიის საერთო კრებაზე სიტყვა უნდა მიგეცათ რესპუბლიკის ხელმძღვანელისათვის. თქვენ კი გამოაცხადეთ „სიტყვა ეძლევა გიორგი ნიკოლაძესო". დარბაზში ხმაური ატყდა. თქვენ მალე გამოერკვიეთ და შეცდომა გაასწორეთ. რატომ მოგვიდათ ეს?

— ასეთი შეცდომები მე ახალგაზრდობაშიც მომსვლია. ზოგჯერ ფიქრი გამექცევა და სულ სხვაგან აღმოვჩნდები. რას იზამ, ეს ჩემი ნაკლია. რაც შეეხება გიორგი ნიკოლაძეს, ის დიდი ადამიანი იყო. რომ ეცოცხლა, საქართველოს ბევრ დიდ სასარგებლო საქმეს გაუკეთებდა. მე ვგრძნობ, როგორ აკლია გიორგი ჩვენს ქვეყანას, რა გოლიათური გონების, ენერგიისა და ნებისყოფის ახალგაზრდა დავკარგეთ! იმ დღეს დილითვე ეს ფიქრები ამეკვიატა, შემდეგ თითქოს დამავიწყდა მისი არყოფნა და, როგორც შენ თქვი, უეცრად მას, როგორც ცოცხალს, ისე მივეცი სიტყვა. ბევრმა გაიცინა, ჩემთვის კი ეს სულ სხვა რამ იყო...

9

— ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიას უარი უთხარით თქვენი სამუშაო ოთახიდან რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ტელეფონით დაკავშირებოდა. ამავე დროს მე გამაფრთხილეთ: თუ კონსტანტინე იმაღე თხოვნით მომმართავდა, ნება დამერთო. თქვენ მას ყოველთვის დიდ პატივს სცემდით და ასე რატომ მოიქეცით?

— კონსტანტინეს ჩვენ ყველანი დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ხომ იცი, თავისებური კაცია, მისი მართვა თითქმის შეუძლებელია. მე არ მინდოდა კონსტანტინეს შექმნოდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ, როცა კი მოისურვებდა, ყოველთვის შეეძლებოდა თხოვნით მიემართა რესპუბლიკის ხელმძღვანელებისათვის ჩემი სამუშაო ოთახიდან. თქვენ კი მაშინ იმიტომ გთხოვეთ დახმარება, რომ მის ვაჟს უჭირდა და ხელის გაწოდება ესაჭიროებოდა. მე კი, რა თქმა უნდა, ამ დახმარების მომხრე ვიყავი.

10

— ჩვენს წრეში ხშირად მსჯელობენ, თუ როგორ შევარჩიოთ ახალგაზრდები მეცნიერებისათვის. თქვენ რა აზრისა ბრძანდებით?

— ახალგაზრდებში მომავალი მეცნიერის გამოცნობა მეტად ძნელი საქმეა. მე არ მჯერა ეგრეთწოდებული ნიჭიერთა სკოლებისა. ახალგაზრდასთან უნდა დავამყაროთ სისტემატური კონტაქტები, უნდა ვეცადოთ ნიჭიერ ახალგაზრდებს სხვადასხვაგვარ სიტუაციაში გავეცნოთ. ამიტომ მე უპირატესობას ვანიჭებ ახალგაზრდების უნივერსიტეტში სწავლის დროს შერჩევას კათედრების მიერ და შემდეგ კათედრაზე აღსაზრდელად დატოვებას. მე არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ყველას და ყველა დარგში ერთნაირ დროს ვაძლევთ მეცნიერული მომზადებისათვის.

11

— თქვენ უკმაყოფილებას გამოთქვამდით ერთ-ერთი მეცნიერის სადოქტორო ნაშრომის გამო. მახსოვს, მაშინ ბრძანეთ, რომ მოსკოვში ამ დისერტაციის დამტკიცება შეიძლება გაძნელდესო. ასეც მოხდა. შემდგომ თვითონ თქვენ დაეხმარეთ მას ამ საქმეში. ამჟამად კი ემხრობით იმავე პიროვნების აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევას. ეს როგორ უნდა გავიგოთ! დისერტაციის დაცვიდან მხოლოდ სამი წელი გავიდა და მას, მგონი, ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია!

— რაც თქვით, ყოველივე მართალია, სადოქტორო დისერტაციის დაცვა მას შეიძლება ახლაც გაუჭირდეს, სხვადასხვა პრობლემას ეჭიდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ უაღრესად ორიგინალური მოაზროვნეა, მისი მიხვედრები და მოსაზრებები შესაძლოა მრავალი გამოკვლევის საგანი გახდეს. აკადემიაში ასეთი ადამიანებიც უნდა იყვნენ. ამიტომაა, რომ მე ამ მეცნიერს აქტიურად ვუჭერ მხარს, თუმცა ზოგიერთი ჩემი კოლეგა ამ საკითხში მე არ მეთანხმება. ახალი იდეა, ხომ იცით, მრავალ შესანიშნავ შრომას დაედება საფუძვლად.

12

— სამი წლის განმავლობაში (1956—1958) შვიდი ინსტიტუტი დავაარსეთ. ახალი ინსტიტუტის დაარსებას წინათ თქვენ კრიტიკულად ეკიდებოდით. ახლა რა მოხდა, ხომ არ ავჩქარდით?

— არა მგონია! ძირითადი კადრის გარეშე არც ერთი ინსტიტუ-

ტი არ შეგვიქმნია. ყველა მათგანს აქვს აგრეთვე წინარე მეცნიერული ისტორიაც. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს თანაბარი მეცნიერული დონე არ გააჩნდა, არც შეიძლება ჰქონდეს! ინსტიტუტების ახალი მეთაურებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განირჩევიან. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ ვინ ან რომელი ინსტიტუტი გაგვიმართლებს, მაგრამ ამ გაბედვის გარეშე არ შეიძლება წინსვლა. ახალი მიმართულებები აკადემიაში ყოველთვის უნდა ნახულობდეს გასაქანს. აკადემიის გადაქცევა მხოლოდ რამდენიმე გამოკვეთილი მეცნიერების სამყაროდ — არ მიმაჩნია სწორად. ხვალ რომელ დარგში იფეთქებს ნიჭი, ვინ იცის! აკადემია მხოლოდ დღევანდელი დღის ამოცანებით ვერ შეიზღუდება, ვერ იარსებებს...

13

— ჩვენ დიდი საშიშროების წინაშე ვართ: აკადემიამ შეიძლება რამდენიმე ინსტიტუტი დაკარგოს, რადგანაც გამოყენებითი დარგის ინსტიტუტები გადააქვთ რესპუბლიკური აკადემიებიდან. განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნების მოსაზრებით, ერთადერთი გამოსავალია ინსტიტუტებისათვის სახელწოდებების ფორმალურად შეცვლა, თეორიული მიმართულებების გამომსახველი სახელწოდებების დარქმევა.

— გავაკეთოთ ისე, როგორც მათ მიაჩნიათ საჭიროდ, გაბედულად გავაკეთოთ, ბოლოს და ბოლოს. ყველაფერში მთავარი შინაარსია. ინსტიტუტებს რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც უკანვე არავინ დაგვიბრუნებს, სახელწოდება კი ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს.

14.

— თქვენ ყოველივე იღონეთ, რათა აკადემიიდან გარიცხული ერთი აკადემიკოსი და ორი წევრ-კორესპონდენტი აღგვედგინა. ამ საქმის გამო სათანადო დაწესებულებებში ოფიციალურად ყოველთვის მე მგზავნიდით, რამაც ზოგიერთ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქოს თქვენ მათი აღდგენისათვის აქტიურად არ მოქმედებდით. რატომ არ გინდოდათ, რომ ამ საქმისადმი თქვენი ნამდვილი დამოკიდებულება გამომჟღავნებულიყო და ყველასათვის ყოფილიყო ცნობილი?

— აკადემიის საერთო კრებას, რომელმაც ისინი გარიცხა, მე ვხელმძღვანელობდი. არსებული წესის მიხედვით, ისინი ისევ საერთო კრებას უნდა აღედგინა და, რა თქმა უნდა, თავმჯდომარე კვლავ მე უნდა ვყოფილიყავი. ასეთი საქმე არც ისე იოლია ჩემთვის, როგორც

შეიძლება ზოგიერთი ფიქრობდეს! აბა მოიგონე 1960 წლის ის საერთო კრება, რომელზედაც ჩვენ ისინი აღვადგინეთ, რა მკითხეს მაშინ მე და რა ვუპასუხე! მე იძულებული ვიყავი მეთქვა, რომ მე არც მაშინ, გარიცხვისას, ვიცნობდი საქმეს ისე ღრმად, როგორც საჭირო იყო, და არც ახლა აღდგენისას, ვარ-მეთქი მთლიანად საქმის კურსში. თქვენ გგონიათ, მე არ მესმის, თუ რას ნიშნავს ეს?! ბაგოავ ერა უშავს, საქმე ხომ გავაკეთეთ!

15

— გუშინ საჩხერიდან დავბრუნდი. ამომრჩევლებთან მქონდა შეხვედრა კორბოულის საარჩევნო ოლქში. იქ ერთი საოცრება ვნახე და მინდა ეს გიამბოთ. ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგ ერთ ოჯახში მიმიპატიჟეს. სოფლის თავკაცები მოგროვილ ყვნენ. შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა. რაზე არ ვისაუბრეთ. რა არ გავარჩიეთ... ის-ის იყო სუფრიდან უნდა ავმდგარიყავი. რომ ღრმად მოხუცებულმა, ას წელს მიღწეულმა მასპინძლის პაპამ სიტყვა მოითხოვა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის — ნიკო მუსხელიშვილის სადღეგრძელო შესვა. რა თქმა უნდა, ყველამ უყოყმანოდ და სიამოვნებით დაუჭირა მხარი. ახლა ჩემს ოთახში შემოიხედეთო, გვთხოვა იმ მოხუცმა.

ბატონო ნიკო, ოთახი სულ თქვენი სურათებით იყო სავსე. აკადემიის დაარსებიდან 24 წლის განმავლობაში რა სურათიც კი გაზეთში ან ჟურნალში დაბეჭდილა, მას ყველა ამოეჭრა და თეთრი ქაღალდის ჩარჩოებში მოთავსებული კედელზე ჩამოეკიდა. საოცარი სანახაობა იყო!

— ამის მსგავსი რამ სხვა დროსაც გამიგონია, მიკვირს! მე არა მაქვს ისეთი დამსახურება, რომ ხალხი ასეთ პატივს მცემდეს: როგორც ჩანს, ჩვენს ერს, ჩვენს ხალხს ვერ წარმოუდგენია, რომ სახალხო საქმეს სათავეში სახალხო გმირი არ ჰყავდეს. ჩემზედაც, ალბათ, ასე ფიქრობენ. ეს ართულებს ჩემი მუშაობის პირობებს. ილიკო ვეკუა ხშირად მახსენებს ხოლმე, რომ მე ვალდებული ვარ ჩემს საქმიანობას ამ პოზიციიდან შევხედო! თქვენმა კორბოულელმა მასპინძელმა რომ ახლოს გამიცნოს, ჩემზე შეხედულება უეჭველად შეეცვლებოდა.

16

— ზოგჯერ, როდესაც თქვენთან სამუშაო ოთახში შემოვდივარ, ხელთ ტელეფონის ყურმილი გიჭირავთ და ნელა ატრიალებთ, ზონარს

აკვირდებით. რაშია საქმე? თუ რამეა გასასწორებელი, მე მითხარით და ოსტატს გამოვუძახებ.

— არა, აქ საქმე ცოტა უფრო რთულად არის. მე ასე მგონია, რომ ყურმილს ყოველთვის ერთნაირად ვიღებ, ვცდილობ ზონარი არ დაიხვეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მაინც ღაგრეხილია და მე ახლა ყურმილს საწინააღმდეგო მიმართულებით ვატრიალებ. გრეხვის პროცესები მე მაინტერესებს ჩემი თეორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დრეკადობის თეორიის პოზიციებიდან. ტელეფონის ზონარის დახვევა მასალების პლასტიკურობის გამოვლინებაა, ძალ-წირების დაფარული მოქმედებაა. მოკლედ რომ მოვჭრათ, არავითარი ოსტატის გამოძახება არაა საჭირო. ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზიის საქმეა.

17

— ცნობილია, რომ თქვენ ლამაზი ქალის ტრფიალი ბრძანდებით. განსაკუთრებით მაინც რა გიზიდავთ ქალში?

— სანდომიანი გარეგნობა, ქალური სინატიფე და ძლიერი, მამაკაცური გონება. მაგალითისათვის შემეძლო ერთი ჩვენი საერთო მეგობარი დამესახელებინა (გახსოვთ, აკადემიკოს კელდიშს მან რა სიტყვა უთხრა!), მაგრამ არ ივარგებს, მე და თქვენ ხომ ვიცით: „სიყვარულსა მალვა უნდა“...

18

— თქვენ ყოველთვის ფულით ეხმარებით ერთ ხანდაზმულ კაცს. ვინ არის ის?

— ის კაცი პენსიონერია, მოხუცია. ერთხელ დახმარებისათვის მომმართა. მომეწონა და ვთხოვე, რომ ხელფასის აღების დღეს მოსულიყო ხოლმე ჩემთან. ამის შემდეგ მე მას ყოველთვის ვაძლევდი მცირე თანხას, როგორც მამაჩემის სახელობის პენსიას.

19

— ჩემი ნახვა გსურდათ, რა გნებავდათ?

— მოსაცდელში სამი პიროვნება ზის. მათ საკმაო „დამსახურება“ მიუძღვით ჩემსა და ილიკოს მიმართ. ალბათ გახსოვთ, რა დღეში ჩაგვაგდეს? მე მათ ახლავე ვთხოვ, რომ შემობრძანდნენ, რაც არ უნდა გვთხოვოს თითოეულმა მათგანმა, შესაძლებლობის ფარგლებში აუცილებლად შევუსრულოთ! ყველა თხოვნა პრაქტიკულად, ალბათ, თქვე-

ნი მოსაგვარებელი იქნება და მე გთხოვთ, რაც კი შეიძლება, ყველაფერი იღონეთ! მათ არ უნდა იფიქრონ, რომ ჩვენ შეგვიძლია გაკეთება და არ ვუკეთებთ.

რამდენიმე დღეში სამივე „დავაპურეთ“.

20

— ერთხელ რაფიელ დვალმა და მე გთხოვეთ ჩვენთან, პრეზიდიუმში მომუშავე ერთი ძველი თქვენი ნაცნობი თანამდებობიდან გაგეთავისუფლებინათ, როგორც სამუშაოსათვის შეუფერებელი პიროვნება. თქვენ გაეცანით ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალებს და გვთხოვეთ, რომ ეს საქმე არ გაგვეხმაურებინა. დაგვპირდით, ორ დღეში იგი საკუთარი სურვილით დატოვებდა სამუშაოს. ეს მართლაც ასე მოხდა. რატომ მოიქეცით ასე?

— ის შუახნის კაცია, ჩვენთან არ გამოდგა, შეიძლება სხვაგან გამოდგეს. ისეთი არაფერი ჰქონდა ჩადენილი, რომ აუცილებლად დაგვესაჯა. მე მისთვის არაფერი არ დამიმალავს, ყველაფერი ვუამბე, რაც საჭირო იყო. ამით, მე მგონია, საკმაოდ დავსაჯე კიდეც. ახლა, როგორც ამბავი მომდის, მისთვის შესაფერის ადგილზეა მოწყობილი.

21

— პრეზიდიუმის ერთი წევრი მთხოვს, შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ რაც შეიძლება ნაკლები პირადი, საქმიანი შეხვედრები ჰქონდეს მთხოვნელებთან, — მე ადრე სხვა ქალაქში ვმუშაობდი და ჯერჯერობით ადგილობრივ ხალხს ნაკლებად ვიცნობ, მუშაობა მიჭირსო! როგორ მოვიქცე?

— ეს ადვილი საქმეა! აკადემია იმ ქალაქში გადავიტანოთ, სადაც მას ყველაზე მეტი ნაცნობები ჰყავს...

22

— არც თუ ისე იშვიათად მშობლები ცდილობენ შვილის შემოქმედებითი ინტერესები თავისას დაუკავშირონ და ამგვარად მას გზა გაუკვალონ, ამის გამო აკადემიაში ზოგჯერ გაკვირვება გამოუთქვამთ, რომ თქვენი ვაჟი მათემატიკოსი არ არის.

— ყოველმა ადამიანმა თავისი მეცნიერული მიმართულება თვითონვე უნდა აირჩიოს. მე გურამისათვის არასოდეს არ დამიძალებია მათემატიკა. ის თავისი მიდრეკილებითა და ინტერესით უფრო ახლო-

ხაა ბიძამისთან — გიორგი ნიკოლაძესთან, ვიდრე ჩემთან. ვფიქრობ, არც ერთი ჩვენთაგანი არ შემცდარა.

23

— თქვენი მძღოლი ალიოშა ქობულია აკადემიის ზოგიერთ თანამშრომელს არ მოსწონს, განათლებული კაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებს და პრეზიდენტს არ შეეფერებაო...

— ალიოშა კარგი მძღოლია. მე მიყვარს, რომ იგი ძველებური თბილისური ყარგონით მესაუბრება; ბევრ რამეს მაგონებს... და რაც ყველაზე მთავარია, გულწრფელი ადამიანია. ამავე დროს, მეტად ორიგინალური აზროვნების კაცია. რასაც ის გაბედავს და მეტყვის, იმას ვერავისგან ვერ მოვისმენ!

24

— რამდენი წლის იყო გურამი, დედა რომ გარდაეცვალა, ხომ არაფერს მოიგონებდით ქალბატონ თამარზე?

— გურამი 15 წლისა იყო, დედა რომ დაკარგა, მე და თამარს დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. თამარისათვის მე მთელ სამყაროს წარმოვადგენდი: როცა მასთან ვიყავი, თავს უბედნიერეს ადამიანად თვლიდა. მეც ყოველთვის ვცდილობდი, რომ მის სიმაღლეზე ვმდგარიყავი. ეს კი მეტად ძნელი იყო!

25

— საღამოობით იშვიათად სეირნობთ. თქვენ ხომ ნადირობა გიყვართ და სუფთა ჰაერის ყადრიც იცით. რა გიშლით ხელს?

— სეირნობის დროს ფიქრი მიყვარს, ამას კი არავინ მაცლის. რამდენჯერმე ვცადე კიდეც ბაღში გასეირნება, მაგრამ არ გამომივიდა: ან ჩემთან მოდიან და მესაუბრებიან, ანდა თვალს ისე დაჟინებით მადევნებენ, რომ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. შეიძლება ქალაქგარეთ გასეირნება, მაგრამ ამასაც ვერ ვახერხებ. როგორც ხედავთ, ჩემი ერთადერთი ხსნა ნადირობაა...

26

— დავალება შეგისრულეთ: თქვენ რომ შექეიფიანებისას სუფრასთან დაამღერებთ ხოლმე:

„ნუ, ნუ სტირი, რისთვის ჰგოდებ, გენაცვა,
შენც მიყვარხარ, განა არ მებრალები?
მაგრამ ახლა ავირჩიე მე სულ სხვა —
სად შენი და სად იმისი თვალები!“

იოსებ გრიშაშვილის ლექსის „გარეუბნელი ბიჭის სიმღერებიდან“ პირველი ტაეპია, ლექსი კი სულ 19 ტაეპიანია.

— გმადლობთ, მაგრამ საიდუმლო უნდა შემინახოთ. მე ეს დიდი ხნის წინათ ახალგაზრდობაში ჩემს მეგობრებთან თბილისში ქეიფის დროს ვისწავლე. სოსოსთან კი ნათქვამი მაქვს, რომ მისი ლექსია ჩემი მუსიკალური შთაგონების წყარო. სულ მეშინოდა არ ეკითხა — რომელი ლექსიო და ჩემი შეცოდება არ გამქღავნებულიყო.

27

— თქვენ ამ რამდენიმე დღის წინ მკითხეთ, თუ რა ურთიერთობა მაქვს აკადემიკოს ალექსანდრე ოპარინთან. იმ დღეს ჩვენ საუბრის გაგრძელების საშუალება არ გექონდა. რატომ დაინტერესდით ოპარინის პიროვნებით?

— გასულ თვეს მოსკოვში ხელმოსაწერად მომიტანეს ოპარინის საწინააღმდეგოდ შედგენილი წერილი. მას რამდენიმე გამოჩენილი მეცნიერი აწერდა ხელს. სამწუხაროდ, მათ შორის მათემატიკოსებიც იყვნენ. ეს მოხდა ოპარინისათვის სახელმწიფო პრემიის მინიჭების საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი იყო მისი წიგნი „სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე“. მე გავერკვიე საქმის ვითარებაში და ამ დოკუმენტს ხელი არ მოვაწერე. ვფიქრობ, რაც ლისენკომ გააკეთა, მას ნაწილობრივ და, რა თქმა უნდა, უსამართლოდ, ოპარინს მიაწერენ. ოპარინმა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი აკადემიკოსი ორბელი შეცვალა. მე ის დადებით მოვლენად მიმაჩნდა. იმ პირობებში, როგორც ამბობენ, ოპარინი ზომიერად მოქმედებდა. ვინ იცის, სხვა როგორ მოიქცეოდა!

28

— თქვენ კარგად ხედავთ, რომ პრეზიდიუმის ორ წევრს შორის დამოკიდებულება თანდათან რთულდება, ერთმანეთს ვეღარ იტანენ. ასე რომ გაგრძელდეს, არ ივარგებს. ამას წინათ, ალბათ, გახსოვთ კიდეც, ერთი რომ მსჯელობდა, მეორემ, მგონი, შემთხვევით ჭერში აიხედა. ეს უსიტყვო ჟესტი უდიდესი უსიამოვნების საფუძველი გახდა. იქნებ იღონოთ რამე, ბატონო ნიკო.

— მათი ასეთი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. აქ საქმის ერთადერთი წამალი ის იქნება, თუ ჩვენ თითქოს ვერ შევნიშნავთ მათ ასეთ დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებას და არ ჩავერევით ამ ურთიერთობაში. დანარჩენს დრო თვითონვე მოაგვარებს.

20

— 1955 წელს სულ რამდენიმე თვის მოსული ვიყავი აკადემიაში, როდესაც ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც ფინანსებს განაგებდა, თქვენ ლაბორანტის ერთი საშტატო ერთეული სთხოვეთ, მე კი ორი — ბიოქიმიაში რომ დამეწყო მუშაობა. ვიცე-პრეზიდენტმა ორივეს უარი გვითხრა: ამდენი ხელფასის ფონდი არა მაქვსო. თქვენ გაიცინეთ და არაფერი თქვით, მე კი სახტად დავრჩი: მე არ მაძლევს-არ მაძლევს, მაგრამ პრეზიდენტს უარს როგორ უბედავს-მეთქი! მეორე დღეს საფინანსო ნაწილის უფროსმა კოტე მაჩაბელმა საშტატო ერთეულები გამომიყო. რაში იყო საქმე, რატომ იქვე არ გაუსწორეთ, თუ იცოდით, რომ აკადემიას საშტატო ერთეულები ჰქონდა?

— ვიცე-პრეზიდენტი, ჯერ ერთი, ახალი არჩეული იყო და ჩვენი ურთიერთობები კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი; მეორეც, მე, როგორც პრეზიდენტს, მაჩვენა თავისი „პრინციპულობა“ და, ბოლოს, კოტე მაჩაბლის ტირილი: „რა ვქნათ, ბატონო, აკადემიას ხელფასის ფონდი სრულებით არ გააჩნიაო“ არ იცოდა სინამდვილეში რას ნიშნავდა! მე მას ცალკე განვუმარტე, რომ თქვენ ბიოქიმიური ლაბორატორიის შექმნაზე ოცნებობთ და ჩვენ ვალდებული ვართ ამ საქმეში ყოველმხრივ შეგიწყოთ ხელი.

30

— დღეს ასე რატომ გაგვიჯავრდით, თქვენ მართალი არ ბრძანდებით. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უნდა ჰქონდეს მათემატიკის ინსტიტუტის ახალი შენობა. მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ახლა მტკიცდება და, თუ ინსტიტუტის მშენებლობას ახლა არ შევიტანთ გეგმაში, მერე ვინ იცის, საქმე როგორ წავა!

— მე განა მათემატიკის ინსტიტუტის მშენებლობის წინააღმდეგი ვარ. მაგრამ უხერხულად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტმა თავისი დარგის ინსტიტუტი მაშინ ააშენოს, როდესაც ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტებმა არ იციან თანამშრომლები სად დასვან! მე ყველას მადლობელი ვარ, მადლობელი ვარ ილია ვეკუასი, რაფიელ

ლვალისა, რომ მათემატიკის ინსტიტუტის შენობაზე ამდენს ფიქრობენ, მაგრამ, ნება მიბოძეთ, ჩემს პოზიციებზე დავრჩე ბოლომდე...

31

— ამას წინათ ფიზიკის ინსტიტუტის ათი წლისთავი გადაიხადეს. თქვენი დავალებით საზეიმო სხდომას მე და პრეზიდიუმის სწავლული მდივანი დავით ფურცელაძე დავესწარით. დირექტორმა თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ინსტიტუტისა და აკადემიის პრეზიდიუმის ურთიერთობას დაუთმო. მისი მთავარი თეზისი იყო, რომ ინსტიტუტის დირექცია ყველაფერს თვითონ აკეთებს, ინსტიტუტი რომ მხოლოდ აკადემიას დაყრდნობოდა, ახლა, ალბათ, არაფერი არ ექნებოდა. მოხსენების დანარჩენი ნაწილი მეცნიერულ მიღწევებს შეეხებოდა და ბრწყინვალე იყო.

— მოხსენების პირველი ნაწილიც შესანიშნავი ყოფილა. ყველა ინსტიტუტის დირექტორი ასე უნდა მოიქცეს. აკადემიის პრეზიდიუმი ძიძის როლში არ უნდა გამოდიოდეს. პრეზიდიუმმა დირექტორს გამოუცხადა ნდობა და მიანდო ინსტიტუტის ხელმძღვანელობა. ეს ცოტაა?! ინსტიტუტის ძირითადი მამოძრავებელი, მაორგანიზებელი ძალა დირექტორი უნდა იყოს.

32

— თქვენი აზრით, რა განაპირობებს მეცნიერის საყოველთაო აღიარებას, ავტორიტეტს?

— რთული საკითხია, მაგრამ მე მაინც შევეცდები ჩემი აზრი გადმოგცეთ. მეცნიერის საყოველთაო აღიარება და მისი მეცნიერული დამსახურება უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს შეესატყვისება. და მაინც მეცნიერის საყოველთაო აღიარების ძირითად საფუძველს მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა წარმოადგენს, ხალხის ინტერესებისადმი დამოკიდებულება, ხალხთან ურთიერთობა განსაზღვრავს. არსებობს აგრეთვე მთელი რიგი „დამატებითი ფაქტორები", რაც ხელს უწყობს მეცნიერის პოპულარობას, მაგრამ ამაზე, ალბათ, არც ღირს საუბარი...

33

— თქვენ სახელოვანი ცხოვრების გზა განვლეთ და მაინც — თუ გწყდებათ რაიმეზე გული?

— სახელოვანი გზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გაცილებით მეტი

რომ უნდა გამეკეთებინა, ეს ჩემთვის ცხადია. განსაკუთრებით ვნანობ, რომ ცოტა დავწერე, შემეძლო რამდენიმე მონოგრაფია კიდეე დამეწერა.

34

— მახსოვს, ამერიკელმა მეცნიერებმა იქ გამოცემული თქვენი ორი მონოგრაფია რომ ჩამოიტანეს და ავტოგრაფი გთხოვეს. თქვენ იხუმრეთ კიდეც: „ორივე წიგნი მგონი ათი კილოგრამია და თავი ასე რატომ დაისაჯეთო!“ თქვენი მონოგრაფიები მრავალ ენაზეა თარგმნილი და თუ ხართ კმაყოფილი?

— ასე კითხვის დასმა არ იქნებოდა სწორი. ჩემი აზრით, მთავარია ადამიანმა თავისი შესაძლებლობები მთლიანად გამოიყენოს. გამოვიყენე კი მე ჩემი ცოდნა, გამოცდილება, წერის უნარი მთლიანად?! აი, რაში მეპარება ეჭვი!

35

— შარშან თქვენს კაბინეტში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად სურათი გადავიღეთ. როცა ფოტოგრაფი „გვასწორებდა“, თქვენ იხუმრეთ: „ჩვენ ახლა გალაკტიონთან ერთად სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარეთო“.

გალაკტიონმა ჩვეულებისამებრ ჩაიქირქილა და მოგვმართა: „ძამიკოებო, ხომ დამემოწმებით, რომ პრეზიდენტი არასოდეს არ ცდებაო!“ ბატონო ნიკო, როგორია თქვენი აზრი პოეტისა და მეცნიერის როლის და დაფასების თაობაზე. აკადემიაში ახლა პოეტებიც არიან!

— პოეტსა და მეცნიერს მხოლოდ ერთი მაჩვენებლით შევადარებდი: ორივე შემოქმედია. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მეცნიერებაც და პოეზიაც დიდ სულიერ საზრდოს აძლევს ადამიანს. რაც შეეხება სახელს, ეს უკვე შეუდარებელია. სამი ან ოთხი ბრწყინვალე ლექსის ავტორი შეიძლება უფრო პოპულარული იყოს, ვიდრე ათეული საუკეთესო მეცნიერული შრომის ავტორი. მე ეს კანონზომიერ მოვლენად მიმაჩნია. პოეზია მილიონების გულს სწვდება, მეცნიერება კი ერთეულების ინტერესში შედის. ასე რომ, მე და შენ მომავალში იქნებ მართლაც გალაკტიონთან ერთად სურათის გადაღებამ გადაგვარჩინოს დავიწყებას.

36

— ბატონო ნიკო, ასეთი გაღიმებული არასოდეს არ შემხვედრიხართ. რამ შეგიქმნათ ამგვარი ამაღლებული განწყობილება?

— მე და ჩემი შვილიშვილი გულკა დიდი მეგობრები ვართ. როგორც კი დროს იშოვის, სულ ჩემთან თამაშობს, ხშირად წიგნებსაც ვუკითხავ ხოლმე. ამაზე სერიოზული საქმე, აბა, რა შეიძლება მქონდეს! ერთხელ გამომიცხადა, ბებიას ქურქი ძალიან მომწონსო. საპასუხოდ ჩემი მეუღლე გულკას მოეფერა და აღუთქვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ქურქი მას დარჩებოდა. ამის შემდეგ პატარა გულკა ყოველ ცისმარე დღეს გვეკითხებოდა: „ბებია არ მომკვდარა? რა მოსდის, რატომ არ კვდებაო?!“ თქვენს შემოსვლამდე ჩემთან ერთი მათემატიკოსი იყო და მოიარებით მეკითხებოდა იმის თაობაზე, თუ როდის დავტოვებდი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის პოსტს! რას იზამ, ზოგჯერ ვერც სრულწლოვანები იკავებენ თავს...

1981

მეცნიერის თანაბრძნობა და ამაგი

1943 წლის გაზაფხული იყო. ყველასა და ყველაფერს აჩნდა ომის მსახვრალი ხელი. სამეცნიერო დაწესებულებებსაც შესცვლოდა იერი, აქაც იგრძნობოდა ომის ჭირ-ვარამი.

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის კადრების გადანაწილება მიმდინარეობდა. მე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან გადამიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში, რომლის ადგილსამყოფელი მაშინ თელავი იყო.

ახალ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამომიძახეს. ბიუროს მოსაცდელ ოთახში დამხვდნენ აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი ნიკო კეცხოველი. ნიკო მუსხელიშვილი პირველად აქ გავიცანი. შეხვედრისთანავე ვიგრძენი, რომ ბატონი ნიკო ჩემს ნაცნობთა შორის არავის ჰგავდა. შევერცხლილი თმა ქართულ სახეს ზომიერად შემოფარგვლოდა, მხოლოდ საგვირგვინესთან თმის მცირე ნაწილი უწესრიგოდ ყალყზე შემდგარიყო. წარბების ხშირი საფარიდან თაფლისფერი თვალები დაჟინებით მიცქეროდა, თითქოს რაღაც დაუნახავსაც ხედავდა და ჩემს იდუმალ ფიქრებსაც სწვდებოდა. მისი სათვალის ფართო მინები უფრო მეტად მე მიცავდა გაშიშვლებისაგან, ვიდრე პატრონს ესაჭიროებოდა ხედვისათვის.

გარემოსადმი პირადი დამოკიდებულებაც, უპირველეს ყოვლისა, მის გამოხედვაში მჟღავნდებოდა. თვალებში ანთებული იუმორი, ღიმილი თუ სევდა დინჯად ეფინებოდა პირისახეს და მჭიდროდ მოკუმულ მსხვილ ტუჩებთან ქრებოდა.

ცელივით მოხრილ მკლავებსა და ძლიერ ხელებს თავისი ადგილი ვერ მოენახათ და მოუსვენრად მოძრაობდნენ.

მარჯვენა ხელის თითებში ქარვის მოკლე მუნდშტუკი ჰქონდა გაჩრილი. სიგარეტისა თუ პაპიროსის ორი მესამედი უკვე დაფერფლილიყო, მაგრამ ნამწვს არც ფორმა ჰქონდა შეცვლილი და არც ფერფლი სცვიოდა, თუმცა მისი მფლობელი უძრავად ერთ ადგილზე რამდენიმე წუთსაც კი არ ჩერდებოდა.

ნაბიჯი მოკლე, მტკიცე და ენერგიული ჰქონდა. სიარულს ანაზდეულად იწყებდა და მოულოდნელად ჩერდებოდა.

ზოგჯერ სწრაფად მივიდოდა იგი საფერფლესთან, ახალანთებულ სიგარეტს სწრაფად ჩააქრობდა და უმალვე სხვას ანთებდა. ყოველი დაუმთავრებელი სიგარეტი რომელიღაც აზრის დამთავრებას ეწირებოდა.

საუკუნის მეოთხედზე მეტი გავიდა ამ დღიდან და ბატონი ნიკო ჩემს თვალში დღესაც ისეთივეა, როგორიც მაშინ, იმ პირველი შეხვედრისას ჩანდა.

ახალგაზრდა ქალმა ჩვენი გვარები ამოიკითხა და მიგვიწვია. ბიუროს სხდომათა დარბაზში რამდენიმე წუთი დავყავით. ყველაფერი სწრაფად. თითქმის უსიტყვოდ დამთავრდა.

იქიდან გამოსვლისთანავე ბატონმა ნიკო კეცხოველმა ინსტიტუტის დირექტორობა მომილოცა, გამამხნევა და დახმარება აღმითქვა. პრეზიდენტი დიდხანს დუმდა. განშორებისას მან ნიკო კეცხოველს მიმართა: ეს ახალგაზრდა რა კარგი ყმაწვილი ყოფილა, თავის საქმეს რატომ მოვაშორეთ, რატომ დავღუპეთო.

გადიოდა წლები და პრეზიდენტის „განაჩენის“ ზემოქმედება ჩემზე თანდათან მატულობდა, ძლიერდებოდა ჩემში მეცნიერული კვლევის უსაზღვრო წყურვილი.

ქვეყანა ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს თანდათან იშუშებდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტიც წამოდგა ფეხზე. შემექმნა რწმენა, რომ ამ ახალ ვითარებაში მეც მქონდა უფლება დროებით დამეტოვებინა ინსტიტუტი და ჩემი საკვალიფიკაციო შრომის დასასრულებლად მოსკოვში მემუშავა.

ჩემს თხოვნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში გაგზავნის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების ბიურომ მხარი არ დაუჭირა და საკითხი აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე იქნა გატანილი, მაგრამ აქაც უარი მითხრეს. მოტივირება ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო: დირექტორის ხანგრძლივი მოშორება ინსტიტუ-

ტიდან არაა სასურველი, ხოლო სადოქტორო დისერტაცია თელავშიაც შეიძლება დამუშავდესო.

პრეზიდიუმის სხდომა დამთავრებული იყო და ჩემთვის ყველაფერი გადაწყვეტილად ითვლებოდა, მაგრამ მე მაინც მინდოდა კიდევ ერთხელ შემეჩივლა ჩემი გაჭირვება პრეზიდენტისათვის და ახლა უკვე მე მეთქვა, რატომ დამღუპეთ-მეთქი.

ჩვენს შეხვედრას სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. ბატონმა ნიკომ შემომთავაზა, რომ საღამოს მასთან ბინაზე მივსულიყავი და იქ უფრო მშვიდ გარემოში განგვესაჯა ჩემი მომავალი მუშაობის გეგმა.

იმავე საღამოს ვეახელი სახლში. მან არაჩვეულებრივად თბილად მიმიღო. სუფრასთან მიმიწვია და თავაზიანად გამომკითხა ჩემი წყენის მიზეზი. განსაკუთრებით აინტერესებდა, რა უნდა გამეკეთებინა მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტში, ვინ უნდა ყოფილიყო ჩემი კურატორი და მტკიცედ მქონდა თუ არა არჩეული საკუთარი კვლევის გზა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც გამოსამშვიდობებლად წამოვდექი და წასვლის ნებართვა ვითხოვე, მან მოსკოვში წასაღები ერთი ბარათი გადმომცა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი სთხოვდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს სერგეი ვავილოვს, რომ მას პირადი განკარგულებით დავეშვი ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე სადოქტორო დისერტაციის გეგმის დასაცავად და დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში ჩავერიცხე დოქტორანტურაში.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ბატონ ნიკოს ჩემი გაოგნება არც გამოჰპარვია და არც გაჰკვირვებია. ღიმილნარევი იუმორით მამშვიდებდა; მე, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობათა გარდა, კიდევ მაქვს რაღაც სხვა უფლება-მოვალეობანი; რა ვუყოთ, ყველაფერი ხომ აკადემიის წესდებაში არ ეწერებაო.

აკადემიკოს სერგეი ვავილოვს წერილი უშუალოდ გადავეცი. ბატონი ნიკოს პირადმა თხოვნამ მოქმედების ფართო გზა გამიხსნა და ერთ თვეში მე უკვე დოქტორანტი ვიყავი.

1954—1955 წლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე მომიხდა მუშაობა, შეთავსებით კვლავ ვითვლებოდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის თანამშრომლად, მაგრამ მეცნიერულ მუშაობას არსებითად ჩამოშორებული ვიყავი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან სასტუმრო „მოსკოვში“ ვბრუნდებოდი. შემთხვევით გავიგე, რომ ამავე სასტუმროში ნი-

კო მუსხელიშვილი ცხოვრობდა. საღამოს ბატონ ნიკოს ვეწვიე, ერთ-მანეთი მოვიკითხეთ, დიდხანს ვისაუბრეთ და ორი ბოთლი წინან-დალიც დავცალეთ.

ამ დროს მე იგი უკვე კარგად მიცნობდა, იცოდა ჩემი ავიცა და კარგიც. განშორების დროს დამპირდა, რომ ერთხელ კიდევ შეეცდე-ბოდა ჩემს ჩაგდებას ძველ კალაპოტში.

ოთახიდან გამოსვლისას მკითხა: მაინც ყველაზე პატარა თანამდე-ბობა, რომელზედაც მე აკადემიაში დავბუნდებოდი, რა შეიძლება ყო-ფილიყო. ვიცოდი რა მისი ხუმრობის სტილი, მე დაუყოვნებლივ ვუ-პასუხე, რომ თანახმა ვარ დავიკავო აკადემიის მთავარი შენობის კომენ-დანტის პოსტი-მეთქი. მან მეტად სერიოზული სახე მიიღო, თავი ჩვეულებისამებრ გაიქნ-გამოიქნია და უარი მტკიცა:

— არა, ეს შეუძლებელია, არ ივარგებს, შეუფერებელი იქნებოდა. მე ვაფასებ თქვენს ნიჭსა და გამოცდილებას და ამიტომ გავბედავ მო-გიწვიოთ ... უფროსი კომენდანტის თანამდებობაზე.

ასეთი სწრაფი დაწინაურებისათვის დიდი მადლობა მოვახსენე და გამოვეთხოვე.

პრეზიდენტმა დაპირება შეასრულა და 1956 წლის დასაწყისში მე უკვე ჩვენი აკადემიის აკადემიკოს-მდივნად ვმუშაობდი.

მაშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მცენა-რეთა ბიოქიმია არ იყო წარმოდგენილი. საჭირო იყო ახალი ტიპის ლაბორატორიის შექმნა. აკადემიას, სამწუხაროდ, სათანადო სახსრე-ბი და საშუალებები არ გააჩნდა. რა უნდა გვექნა. პირველი მოთხოვნა ერთი პატარა ოთახითა და ორი ლაბორანტით განისაზღვრა. ვიცე-პრე-ზიდენტმა ლაბორანტის ორი საშტატო ერთეული გამონახა, მაგრამ ოთახი არსად ჩანდა.

იმ ხანებში ერთ-ერთი ინსტიტუტის ახალი ხუთსართულიანი შე-ნობა დამთავრდა და მე დახმარებისათვის პრეზიდენტს მივმართე, რომ ამ შენობაში ერთი ოთახი დროებით დაეთმოთ ბიოქიმიისათვის. ბა-ტონი ნიკო პასუხის გაცემას არ ჩქარობდა. ერთი კვირის შემდეგ მირ-ჩია, რომ ინსტიტუტის დირექტორთან მე თვითონ მივსულიყავი და ჩემი თხოვნა წერილობით გადამეცა.

კანცელარიის გამგეს საუკეთესო ქაღალდი გამოვთხოვე, განცხა-დება ლამის კალიგრაფიულად დავწერე და ინსტიტუტში ფეხით წავე-დი, რომ ჩემს თვალშივე ჩემს თხოვნას მეტი ფასი მისცემოდა.

დირექტორმა შესანიშნავად მიმიღო, მითხრა, რომ პრეზიდენტი ამის შესახებ უკვე მესაუბრაო და დახმარება აღმითქვა.

პასუხს კარგა ხანს ვუცადეთ. ბატონი ნიკო ხშირად მეკითხებო-და, რა ქენიო. როდესაც ზრდილობის დაუწერელი კანონით გათვა-

ლისწინებული მთელი დრო ამოიწურა, დირექტორის მოადგილეს ვთხოვე დირექციის გადაწყვეტილება ეცნობებინა.

ჩემი განცხადება დირექტორს ინსტიტუტის საბჭოზე გაეტანა განსახილველად. საბჭოს წევრებს ემსჯელათ და უარი დაედგინათ. შეხვედრისას დირექტორმა ამომწურავი განმარტება მომცა: რა ვქნა, მე დემოკრატიის პრინციპის წინააღმდეგ ვერ წავალო.

პრეზიდენტის განაწყენებამ მოლოდინს გადააჭარბა. ვწუხდი, რომ ან საქმეში ბატონი ნიკო გავრიე.

ამ ამბიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც იმავე ინსტიტუტს მოულოდნელად ფინანსური დახმარება დასჭირდა. დირექციას აკადემიის პრეზიდიუმის გარეშე წარმოებისათვის რამდენიმე დანადგარი შეეკვეთა და მათი გამოსყიდვისათვის საჭირო თანხა არ გააჩნდა.

პრეზიდენტმა დირექციის მოხსენებითი ბარათი დიდი ყურადღებით წაიკითხა და მომმართა: როგორ მოვიქცეთ, საკითხი პრეზიდიუმზე დავსვათ თუ ჩვენ გადავწყვიტოთო. მაგრამ იგი ჩემს პასუხს არც დაელოდა და სწრაფად თვითონვე დასძინა: მოდით ვიყოთ ბოლომდე „ორიგინალურნი" და პასუხისმგებლობა თვითონვე ვიკისროთო.

ინსტიტუტმა ფინანსური დახმარება დაუყოვნებლივ მიიღო.

მეორე დილით, როდესაც პრეზიდიუმზე გასატან მასალებს ვიხილავდით, ბატონმა ნიკომ მისთვის ჩვეული იუმორით მკითხა: როგორ ფიქრობ, ყველაზე დიდებული აღმოჩენა, ურომლისოდაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ იმუშავებდა, რა არისო. როცა შემატყო, რომ პასუხი ვერ გამომეძებნა, თავის კითხვას თვითონვე უპასუხა:

— ყველაზე დიდებული აღმოჩენა რეზოლუციაა, უამისოდ რამდენ რამეს ვერ გავაკეთებდით!

მე მოკრძალებით მოვახსენე: დიდებულ აღმოჩენას არანაკლებ დიდებული პატრონი უნდა ჰყავდეს-მეთქი.

ბატონმა ნიკომ გაიცინა, ხელები გვარიანად მოიფშვნიტა, თვალებში გამჭოლი მზერა ჩამასო და ღიმილით მითხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, ერთ მშვენიერ დღეს ეს აღმოჩენა თავისას მოიტანს და მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორიასაც ჩაუყრის საფუძველსო.

1971

ორი დღე თელავში

ნიკო მუსხელიშვილი და დავით ფურცელაძე 1946 წლის შემოდგომაზე თელავში გვესტუმრნენ. მათი ჩაცმულობა და „შეიარაღება" ამეღავნებდა, რომ სანადიროდ იყვნენ ჩამოსული; ძაღლი არ წამოეყვანათ. ბატონმა ნიკომ გვითხრა:

— ჩემი რექსი მწყერებზეა გაწვრთნილი, აქ შემირცხვებოდა, კახელ მონადირეთა მეძებრები კი სიზმრებშიაც ხოხბებს ხედავენო.

რაიონის ხელმძღვანელობამ ნადირობა ჩინებულად მოაწყო. ორ საუკეთესო თელაველ მონადირეს — ბესო მწყერაძესა და ვახტანგ როსტომაშვილს სთხოვა ნიკოს „ექსპედიციაში“ მონაწილეობა მიეღოთ.

თელაველები მოითხოვდნენ სანადიროდ დილაადრიან წასულიყვნენ. პრეზიდენტი არ დაეთანხმა. დილით მეევნახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ესტუმრა. ომის დროს ინსტიტუტის, საცდელი ნაკვეთები მოუვლელი იყო, გამწევი ცოცხალი ძალა და სატრანსპორტო საშუალებები ინსტიტუტს არ მოეპოვებოდა... მიუხედავად მძიმე პირობებისა, ინსტიტუტის კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. ეს ბატონმა ნიკომ შეამჩნია და ინსტიტუტის ცხოვრებით კიდევ უფრო დაინტერესდა. დაათვალიერა განყოფილებები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სარდაფი, ჯიშნარი, მუშათა საცხოვრებელი. დაწვრილებით გაეცნო საქართველოსა და საფრანგეთის ვაზის ჯიშებს, ღვინის დაყენების წესებს, კუპაჟის მათემატიკურ ფორმულებს.

— როდესაც მე და ჩემი მეუღლე თამარი საფრანგეთში ვიყავით, — გვიყვებოდა ბ-ნი ნიკო, — იქ გავიცანი ჩემი სიმამრის ნიკო ნიკოლაძის ერთი მეგობარი, რომელმაც საქართველოსა და მისი სოფლის მეურნეობის შესახებ ბევრი რამ იცოდა. ამის გამო ჩემი გაკვირვება მისთვის არ დამიმალავს. ფრანგმა თანამოსაუბრემ გაიცინა და მითხრა: ბატონ ნიკო ნიკოლაძის ნიჭსა და ენერგიას შეუძლია რამდენიმე საათში თქვენი მიზანდასახულობაც კი შეგაცვლევინოთო.

პრეზიდენტს მოეწონა, რომ ჩვენ ფრანგული პერიოდიკა სრულად გვქონდა გამოწერილი. როდესაც მარტონი დავრჩით, მირჩია, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი თანამშრომლებისათვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიმეცა, მეცნიერების მომავალი მათ ფრთაგაშლილ მუშაობაზეა დამოკიდებულიო.

ინსტიტუტიდან მონადირეთა კოჰორტა ენისელისაკენ გაემართა ნიკოს მშრალზე ნადირობა სურდა.

— ჭანჭრობში მხოლოდ მამალი ხოხობი იცის, მშრალზე კი მამალიცაა და დედალიც. ჩვენს მასპინძლებს მგონი ეშინიათ კიდეც, რომ მამალმა ხოხობმა თავისი ომახიანი აფრენით არ დამაფრთხოსო, — ხუმრობდა პრეზიდენტი.

ალაზნის ნაპირებზე ნადირობა ყველა დაკანონებული წესის მიხედვით მოეწყო. სახოხბე ძაღლები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ; ნიკოს ჩანთა ხუთმა ხოხობმა დაამშვენა.

ბატონმა ნიკომ თავის მეინახეებს მიმართა:

— როგორ მოგეწონათ დავით ფურცელაძე, ხომ კარგი მონადირეა! ჩემი თანაშემწე და მეგობარიც არის. ჯერ მარტო ჩემთან ნადირობაში რამდენი ფრინველი დაუხოცავს. აბა ერთი უთხარით — ქათამი დაკლას! უეჭველად უარს გეტყვით. მას თავის დღეში ქათამი არ დაუკლავს. უმწეო ფრინველს ყელს ვერ გამოვჭრი, აფრენილი სხვაა; ხოხობს რომ ცაში შევატრიალებ, ეს სულ სხვაა, იტყვის ხოლმე.

ღამე ჩვენმა მონადირეებმა სასტუმროში გაატარეს.

მეორე დღეს კვირა იყო და ნიკო თავისი ამალით მზის ამოსვლას ალაზნის ნაპირებზე შეხვდა, როდესაც ხოხბები საკენკად ტყიდან მინდვრებზე გამოდიოდნენ. ამჯერადაც წარმატებით ინადირა. ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ჩაიმუხლეს და ფრინველიც განაბული ელოდა აგრილებას.

საღამო ხანს ნიკომ აღარ მოისურვა სანადიროდ გასვლა. კვლავ ინსტიტუტში დაბრუნდა. ახლა თანამშრომელთა ურთიერთდამოკიდებულებით დაინტერესდა, ღვინის ნიმუშები დააჭაშნიკა, დიდხანს გვესაუბრა. ბევრ რამეს მოგვიყვა პეტერბურგში გატარებული დღეების შესახებ. განსაკუთრებით ნაღვლიანად იგონებდა თავის თანაკურსელ თელაველ თუშს ბუქურაულს; მათემატიკაში ის პირველი იყო, მე — მეორე. ბედმა არ გაუმართლა, ოჯახური პირობების გამო მიატოვა სწავლაო.

საღამოს პრეზიდენტის პატივსაცემად შევიკრიბეთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნიკო სუფრასთან შეუდარებელი იყო, ყოველთვის სხარტად და მოხდენილად ხუმრობდა, ზომიერად ბახუსსაც თავისას მიუზღავდა. სუფრასთან საუბრის ძირითადი თემა ლერმონტოვი და საქართველო იყო. პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა, რომ ლერმონტოვთან დაკავშირებული მასალების შეგროვებასა და დაცვას თავის დროზე ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა.

სუფრის ერთმა წევრმა ნიკოს მიმართა:

— გუშინ და დღეს ყველაზე მეტი ხოხობი თქვენ დახოცეთ. რით უნდა აიხსნას ეს? მართალია თუ არა, რომ თქვენ თოფის დამიზნებისას მათემატიკური ფორმულებით სარგებლობთ? მე ამის შესახებ ერთ-ერთ ჩვენს ჟურნალში წავიკითხე.

ნიკომ გაიღიმა და მრავლისმეტყველად განაცხადა:

— ჩემი თოფის სროლის ამბავი სახელმწიფო საიდუმლოებაა და ჯერჯერობით ვერ გავამხელო.

მესამე დღეს დილით სტუმრები თბილისისაკენ ცივ-გომბორის გზით გავაცილეთ. უკან დაბრუნებისას თელაველი მონადირეები სიტყვაგადაკრულად იმეორებდნენ — პრეზიდენტის უბადლო სროლა სა-

ხელმწიფო საიდუმლოებაა. რამდენჯერმე ვკითხე, თუ რას გულისხმობდნენ, მაგრამ ვერაფერი ვათქმევინე.

გავიდა წლები და მე აკადემიაში პრეზიდენტის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გავხდი. ერთხელ, საუბრისას მოვაგონე თელავში სტუმრობა, ინსტიტუტი, თელაველი მონადირეები და ვთხოვე გულახდილად ეთქვა, თუ რა საიდუმლოება იფარებოდა ნადირობის დროს სროლის ამბავში.

— ხოხობზე ნადირობისას ოთხი-ხუთი მონადირე ერთმანეთისგან 10—15 მეტრის დაშორებით ერთ ზოლზე მიდის. წინ ძაღლები მიუძღვიან, მინდორს აქეთ-იქით ძებნით სერავენ, ბუჩქებს ზვერავენ. როცა ძაღლი ხოხობის სიახლოვეს შეიყნოსავს, სვლას ანელებს და ფრინველს ფეხაკრეფით უახლოვდება, ეშინია, უდროოდ არ შევაფრთხოვო. ამ დროს მონადირე უბრძანებს: „მიდი“, „ეცი“-ო და ძაღლის ნახტომს ხოხბის აფრენა მოჰყვება. ხოხობს ის მონადირე ესვრის, ვის წინაც იგი აფრინდება. თელავში ნადირობისას ყველაფერი ასე იყო, გარდა ერთი „სიახლისა“ — ადგილობრივი მონადირე ვახტანგ როსტომაშვილი ფეხდაფეხ მომდევდა და ჩემთან ერთად ისროდა თოფს! მე მივხვდი, რომ მას ჩემი დახმარება ჰქონდა დავალებული. როსტომაშვილი იმავე ხოხობს ესვროდა, რომლისთვისაც მე უნდა მესროლა. თუ მე ავაცდენდი, ის ხომ უეჭველად ჩამოაგდებდა. როგორც ხედავ, თელაველმა მეგობრებმა გადაწყვიტეს — პრეზიდენტი უეჭველად საუკეთესო მონადირე უნდა იყოსო, და ყველა ზომა იხმარეს ამისთვის. ამ გარემოებამ ჩემს წინაშე ახალი ამოცანა წამოჭრა: ხომ შეიძლებოდა ორივეს დაგვეცილებინა, მაშინ რაღა გვეშველებოდა ან მას, ან მე?! ალბათ ამიტომ მოხდა, რომ მაშინ მე ჩვეულებრივზე მეტად ვცდილობდი და შედარებით უკეთეს მონადირედ გამოვიჩინე თავი. ესაა ჩემი თელავში ნადირობის საიდუმლოება.

უნდა გენახათ თელაველი მონადირეების გაკვირვება, აღტაცება და ერთგვარი სინანული, როდესაც მე მათ ბატონი ნიკოს მონაყოლი ვუამბე...

1981

მეცხრე ათწლეულის პირველი დილა

1971 წლის 16 თებერვალი გათენდა. წყნარი და თბილი ამინდი იყო. ბატონ ნიკოს დავურეკე. კითხვა არც კი დამაცალა, ისე მიპასუხა:

— მოვდივარ, რამდენიმე წუთში აკადემიაში ვიქნები.

ყველაფერი ჩვეულებრივად, თითქოს გუშინდებურად დაიწყო,

მაგრამ დღევანდელი დილა მაინც განსაკუთრებული იყო; რამდენიმე საათის წინ ნიკო მუსხელიშვილს 80 წელი შეუსრულდა, აკადემიის პირველი და უცვლელი პრეზიდენტი ოთხმოცი წლის ასაკში პირველად მოდიოდა სამსახურში.

საიუბილეო ზეიმი სექტემბრისათვის იყო გადატანილი და აკადემიის ხელმძღვანელთაგან არავის აზრად არ მოგვსვლია, რომ ეს დღე როგორმე აღგვენიშნა.

ბატონი ნიკოს მოსვლას რამდენიმე წუთიღა აკლდა. მოულოდნელად აკადემიის პრეზიდიუმის შენობა ხალხით აივსო. თანამშრომლები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თავისი სურვილით მოსულიყვნენ. პრეზიდენტის მოსაცდელში მიხაკების ზვინები იდგა.

მალე დერეფნიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობი, მტკიცე ნაბიჯის ხმა გაისმა და ოთახში ტაშმა იგრიალა. პრეზიდენტი კარებშივე შედგა, სახეზე სიხარულისა და გაკვირვების ღელვა დატყობოდა. ოდნავ შეცბა. მოსაცდელიდან ხალხი უმალვე კაბინეტში შეჰყვა და გარს შემოერტყა. ყველანი ერთად ულოცავდნენ, ერთიან გუგუნად გაისმოდა:

— იცოცხლეთ, დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო ნიკო!

მოულოდნელად ერთმა ახალგაზრდა ქალმა პრეზიდენტის წინაშე მუხლი მოიყარა და ხელზე ეამბორა.

ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის ტალღა კიდევ უფრო გაძლიერდა.

პრეზიდენტი დიდხანს ართმევდა ხელს თავის ძველსა და ახალ თანამშრომლებს და სიხარულით აკიაფებული თვალებით უხდიდა მათ მადლობას გულითადი გრძნობისათვის.

ყველასათვის ძნელი აღმოჩნდა სულიერი ღელვის ამ ატმოსფეროსათვის თავის დაღწევა.

ბატონმა ნიკომ, როგორც იქნა, იპოვა თავისი „დაკარგული“ სიგარეტი და კაბინეტში დარჩენილ რამდენიმე კაცს მოგვმართა:

— რა მოხდა, მე ამ ხალხს რა გავუკეთე ასეთი?!

დაძაბულობა რომ ოდნავ მაინც შენელებულიყო, მოკრძალებით ვკითხე:

— ბატონო ნიკო, როგორ შეხვდით დღევანდელ დილას, რა ფიქრებმა შეგიპყროთ?

იგი კარგა ხანს დუმდა, ისეთი არაფერი ყოფილაო. შემდეგ კი სახეზე მცირე ნაღველი წამოეფარა და გაგვენდო:

— ამ დილით ჩემი გიმნაზიის ერთ-ერთი ძველი მეგობარი გამახსენდა. 1937 წელს, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, თელავში ამომრჩევლებს ვხვდებოდი. შეხვედრის შემდეგ გულუხვი კახური სუფრა გაიშალა და სტუმარ-მასპინძელნი

ლაღად ვილხენდით. შუა პურის ჭამაშიაც არ ვიქნებოდით, რომ დარბაზში ვიღაც ფარაჯიანი კაცი გამოჩნდა. იგი დაჟინებით მოითხოვდა ჩემთან მოსვლას, მაგრამ არ უშვებდნენ, სთხოვდნენ, იქაურობა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა. უცხო გლეხკაცი მალე შევიცანი. იგი ჩემი სიყრმის მეგობარი ილო ბუქურაული იყო, დიდი ხანია არ მენახა, საოცრად შეცვლილიყო. გიმნაზიაში ჩვენ, ორივენი, პირველ მათემატიკოსებად ვითვლებოდით. მასწავლებლები, მეგობრები ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ერთმანეთი მოვიკითხეთ, რამდენიმე სიტყვით ერთმანეთს ყველაფერს მივუხვდით, ორივენი ავტირდით.

ილოს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ დიდი სიყვარული სწვევია. წერილიც მომწერა მაშინ ახალგაზრდული ოცნებით სავსე.

— უბედნიერესი კაცი ვიყავი, ნანატრი მეგობარი გვერდში მყავდა, გამალებით ვემზადებოდი პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ბედმა მალე მიმუხთლაო, — მიამბობდა ილო.

შეყვარებულის ღალატმა გამტეხა, სიყვარულის, ნდობისა და იმედის დამსხვრევას ვერ გავუძელი და ხალხი დავტოვე, ცხვარში წავედიო, — ტკივილით იგონებდა იგი.

იმჟამად მეგობართაგან გვერდში არავინ ჰყოლია და კაცი მარტო დარჩენილა. საზოგადოებრივ ყურადღებას მოკლებული მთის შვილი გამტყდარა, ხალასი მათემატიკური ნიჭი დაკარგულა!

— აი, ამ დილით, როდესაც ჩემი გიმნაზიის წლები გამახსენდა და თვალწინ ილო ბუქურაულის ცხოვრებამ გაიელვა, გავიფიქრე: ადამიანს ხალხის სიყვარული, ნდობა და მხარდაჭერა ყოველთვის სჭირდება. უამისოდ რამდენი ტალანტი დაღუპულა!

სიჩუმე ჩამოვარდა. ბატონმა ნიკომ კოლოფში სიგარეტები გადათვალა, 11 საათისათვის უკვე სამი ცალი მოეწია. ექიმებისაგან დადგენილი დღიური ნორმა მხოლოდ ხუთი იყო. სიგარეტებიანი კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და მოსაწევად სიგარეტი რაფიელ დვალს გამოართვა. აგვიხსნა: „გამოთვლის“ ამ ხერხის წყალობით, მეუღლე რომ შინ სიგარეტებს შემიმოწმებს, თამაქოს მოწევის ნორმა „მათემატიკური“ სიზუსტით იქნება დაცულიო.

1984

კამა

უკვე მოგახსენეთ, რომ ბატონ ნიკოს ძალიან უყვარდა ნადირობა. სტუდენტობის დროსვე შეიძინა ორლულიანი თოფი და თავის დედუ-

ლეთში სოფელ მაწევანის მიდამოებში ნადირობდა. ეს გატაცება ხანდაზმულობამდე შერჩა. პრეზიდენტობის პერიოდში მას ზაუერის მარკის ეგრეთ წოდებული „სამრგოლიანი“ უჩახმახო თოფი ჰქონდა. სანადიროდ ხშირად თავის მეგობარ დავით ფურცელაძესთან ერთად დადიოდა. ნადირობდნენ უმეტესად მწყერზე, იშვიათად კაკაბზე, ხოხობსა და კურდღელზე. მათი სანადირო ადგილები იყო მანგლისის მინდვრები, მუხრანის ველი, ალაზნის ნაპირები... ორმოციან წლებში ნადირობისას ბატონ ნიკოს მუდამ თან ახლდა ინგლისური სეტერი — ლავერაკი „რექსი“. რექსი პატრონის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მას მუსხელიშვილების ბინაში აივანზე საგანგებოდ მოწყობილი კუთხე ჰქონდა მიჩენილი. რვა წელზე მეტს ემსახურა იგი პრეზიდენტს და სწორედ მაშინ, როდესაც უერთმანეთოდ ყოფნა უკვე უჭირდათ, რექსი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ბატონმა ნიკომ მისი დაკარგვა ძლიერ განიცადა.

გავიდა რამდენიმე წელი და ნიკოს ოჯახში ისევ გაჩნდა სეტერი, კვლავ ლავერაკი, სახელად „კამა“. ბატონ ნიკოს პირველი შვილიშვილი გულკა (ოლღა) რომ შეეძინა, კამა დიდ სასტუმრო ოთახში ბალიშებზე ნებივრობდა. გულკა და კამა ერთად იზრდებოდნენ, დამეგობრდნენ კიდეც. რამდენიმე წელიწადში კამას უკვე ორი ერთგული მეგობარი ჰყავდა: პაპა და შვილიშვილი. პრეზიდენტიც მათ, როგორც მეგობრებს, ხშირად ერთად მოიხსენიებდა. კამა ოჯახში მეტად დარბაისლურად იქცეოდა, კარგად იცოდა, რა დროს რა გაეკეთებინა. როდესაც ბატონი ნიკო გულკასათვის სათამაშოებს თავისი ხელით აკეთებდა, კამა იმ დროს ჩაცუცქდებოდა და პრეზიდენტის დურგლობას „ამოწმებდა“, თვალყურს ადევნებდა.

— კაცო, რა ნახა პრეზიდენტმა ამ ძაღლში ასეთი, ზოგს ადამიანი არ უყვარს და ბატონი ნიკო ლამისაა კამას გადაჰყვეს, — იტყოდა ბოლმე მისი მძღოლი ალიოშა ქობულია.

რვა წელიწადი ცხოვრობდა კამა მუსხელიშვილების ოჯახში.

— კამა თავისი საქმის უბადლო ოსტატია. თუ კარგად დააკვირდები, უსიტყვოდაც მიხვდები, რა უნდა მოხდეს სანადირო ველზე, — ამბობდა ბატონი ნიკო.

ერთ დღეს პრეზიდენტმა აკადემიის საქმეთა მმართველი გიორგი კავკასიძე დაიბარა და მეგობრულად სთხოვა კამასათვის წამლები ეშოვა — ძლიერ ავად არისო! ბატონი ნიკო ისეთ გუნებაზე იყო, რომ თანამშრომლები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ: ალბათ გულკა თუა ავადო. რა არ იღონეს, მაგრამ კამას სიცოცხლე ვერ შეუნარჩუნეს.

კამას სიკვდილის დღეს ჩემთან ალიოშა ქობულია შემოვიდა და გაოცებულმა ფული მაჩვენა.

— აი, შეხედე, პრეზიდენტმა რამდენი ფული მომცა! კამასათვის კარგი ფარდაგი იყიდე, ისეთი უნდა იყოს, რომ კამა მასში რამდენჯერმე გაეხვიოსო, მანგლისში დამარხე, მე საფლავის სანახავად რამდენიმე დღის შემდეგ ავალო. — ბატონო სერგო, ღმერთი არ არის, რად უნდა კამას ფარდაგი, გვერდები გაუციედება თუ რა....

კარგა ხანს ვისაუბრეთ და, როგორც იქნა, დავითანხმე ალიოშა, რომ ყველაფერს ისე გააკეთებდა, როგორც ბატონმა ნიკომ უთხრა.

კამას დასაფლავების დღეს ნიკო აკადემიიდან ადრე წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ალიოშამ წაგვიყვანა და კამას საფლავი გვაჩვენა. ბატონი ნიკო დიდხანს იდგა საფლავთან დადუმებული.

1981

საბოლოო გადაწყვეტილება

1971 წლის 9 ოქტომბერს ბატონმა ნიკომ თავისთან, ბინაზე დამიბარა. საღამოს 8 საათზე მივედი. საწოლ ოთახში მიმიღო — შეუძლოდ იყო. მშვიდად იწვა; გადაფითრებულ სახეზე ოდნავ ღელვა ემჩნეოდა. რამდენჯერმე იხუმრა კიდეც, მაგრამ ეს გახუმრება მის ჩვეულებრივ გონებამახვილობას არ ჰგავდა.

— სერგო, ჩემი მეუღლე მირჩევს, რომ პრეზიდენტობაზე ხელი ავიღო, ვიდრე ასაკმა გონება არ შემილახა. არ მომერიდო და მითხარი, რას ამბობენ ჩემს ახლანდელ მუშაობაზე მეგობრები, კოლეგები და ან შენ თვითონ რას ფიქრობ ამაზე!

მე ვიცოდი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, პრეზიდიუმის, ჩვენი აკადემიის სხვა წევრების შეხედულება და ცოლ-ქმარს დაწვრილებით ვუამბე, თუ რა აზრი არსებობდა ბატონ ნიკოს ხელახალი არჩევის შესახებ, რომ არავინ არ ელის მის შეცვლას, ყველანი მზად არიან იმდენჯერ აირჩიონ პრეზიდენტად, რამდენჯერაც თვითონ მიიჩნევს საჭიროდ.

ბატონ ნიკოს ესიამოვნა, ეტყობოდა, სხვაგვარ ინფორმაციას არც მოელოდა ჩემგან. ახლა მეუღლეს მიმართა, რომ ჩემთვის გაეზიარებინა ის აზრი, რასაც ამ ბოლო დროს ხშირად უმეორებდა.

ქალბატონმა რუზანამ მითხრა:

— დიდი ხნის წინათ ჩვენ ორივენი ერთად ვიყავით მოსკოვში. ვესწრებოდით ერთ-ერთ შეკრებას, სადაც საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი კომაროვიც იყო. დამბლას იგი მეტისმეტად მოეტეხა, სახეც მთლიანად შეცვლილი ჰქონდა. დამსწრენი მხოლოდ მასზე საუბრობდნენ, მის ახლობლებს ჰკიცხავდნენ: ნუთუ ვერ ხედავენ, რა მდგომარეობაშია, რატომ აწვალებენო?! იმ საღამოს

ნიკომ პირობა ჩამომართვა: თუ დიდხანს იცოცხლებდა და თანამდებობაზე ხელის აღება გაუჭირდებოდა, მე უნდა დავხმარებოდი ამ საკითხის გადაწყვეტაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი პრეზიდენტობიდან წასვლის დრო დადგა და ჩემს პირობასა და ვალდებულებას ვასრულებ. თქვენ, მის მეგობრებსა და კოლეგებს, გთხოვთ, რომ სინამდვილეს თვალი გაუსწოროთ და ხელი არ შეუშალოთ ნიკოს ისე მოიქცეს, როგორც მის ვაჟკაცობას შეშვენის. იგი სადაცაა 81 წლის გახდება, თქვენს მომავალ არჩევნებამდე თითქმის ნახევარი წელიწადია. თქვენ ამ ხნის განმავლობაში ყველა საორგანიზაციო საქმის მოგვარებასაც მოასწრებთ. ამ საქმეში მე სულაც არ ჩავერეოდი, მაგრამ ჩვენთან ხშირად მოდიან მისი მეგობრები და დაჟინებით ურჩევენ, რომ კვლავ იყაროს კენჭი.

ნიკო დანაღვლიანებული უსმენდა... ბოლოს სიჩუმე მანვე დაარღვია:

— რუზანა, იმასაც ხომ მოფიქრება უნდა, თუ ვინ იქნება ჩემი შემცვლელი, მე ხომ ამაზედაც მომეთხოვება პასუხი. შენ მთხოვ, რომ ახლავე წამოვიდე აკადემიიდან. იქნებ არჩევნებს ჩაევლო, ერთ-ორ წელიწადში საპრეზიდენტო კანდიდატი შეგვერჩია და თანამდებობა ახალი ვადის გასვლამდე მისთვის გადამელოცა.

მეუღლე ბატონ ნიკოს არ დაეთანხმა.

— ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, იუბილეს შემდეგ უნდა წამოსულიყავი აკადემიიდან, ეს უფრო სასახელო იქნებოდა. ახლა ხალხისათვის შენზე უფრო შენი თანამდებობაა საჭირო. შენ მომავალი პრეზიდენტის დარდი ნუ გაქვს, ეს უშენოდაც გადაწყდება ალბათ.

ნიკოს სახეზე შეეტყო, რომ ბოლო ნათქვამი არ მოეწონა, მაგრამ არაფერი თქვა.

ზარი დაირეკა და რუზანა ოთახიდან გავიდა.

— სერგო, ახლა მარტონი ვართ. შენ რუზანას აზრი ადრეც იცოდი, ჩემი გურამიც აკადემიიდან ახლავე წამოსვლას მირჩევს. გულწრფელად მითხარი, რას ფიქრობ.

— ბატონო ნიკო, არ ვიცი რა გითხრათ, მიჭირს, ძალიან მიჭირს; თექვსმეტი წელია თითქმის ყოველდღე ერთად ვართ, რა არ გადაგვხვდენია, რა არ განგვიცდია; აბა ყველაფერს ამას ასე უცებ როგორ შეველიოთ?!

ნიკოს უნდოდა საპასუხო რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს რუზანამ სინით ხილი და ღვინო შემოიტანა. მასპინძელი გამხიარულდა:

— აი, შენი და ჩემი საყვარელი „წინანდალი". მე რუზანას დაუწერელი კანონის მიხედვით უფლება მაქვს დღეში ხუთი ცალი პაპიროსი მოვწიო და სადილად ორი ჭიქა ღვინო დაველიო. ვისარგებლოთ

ამ „კანონით“. როგორც ვიცი, შენი ნანა რუზანაზე ნაკლები „მტარვალი“ არ უნდა იყოს!

ერთ-ორ ჭიქა ღვინოსაც გეახელით. საუბარში ნიკომ კვლავ აკადემიკოსი კომაროვი გაიხსენა:

— ბოლო დროს მართლაც შესაბრალისი სანახავი იყო, ვერავინ ეს ხმამაღლა ვერა თქვა, სანამ იგი შემთხვევით სტალინმა არ ნახა და არ გაწყრა — ამ ადამიანმა რა დაგიშავათ, რად ამყოფებთ ასეთ სათაკილო მდგომარეობაში, ახლავე გაათავისუფლეთო!

იმ დღიდან აკადემიამაც მოიპოვა ახალი პრეზიდენტი და აკადემიკოსმა კომაროვმაც მოისვენა.

— რუზანა, ძვირფასო, შენ, ალბათ, მართლაც მატყობ რაღაც ცვლილებებს, თორემ მე რომ კიდევაც გაგეწირე, ჩემს ჯამაგირს ასე ადვილად ხომ არ შეელეოდი!

რუზანას გულიანად გაეცინა და მოეფერა:

— ახლა კი ძველებური ნიკო ხარ, ასეთი მიყვარხარ და მინდა ყოველთვის ასეთი იყო.

ათი საათი იქნებოდა, როცა მუსხელიშვილებს გამოვეთხოვე. მოვდიოდი და ვგრძნობდი, რომ მათთან გატარებულ ორ საათში ჩემი სიცოცხლის რაღაც დიდი ნაწილი მომაკლდა.

მეორე დღეს ბატონმა ნიკომ ტელეფონით მამცნო:

— გადაწყდა, აკადემიას თავს ვანებებ...

არ ვიცოდი, რა მეპასუხა! თვითონვე მიხსნა:

— სერგო, ამ საღამოსაც გამოიარე, ახლა უკვე ახალ პრობლემებზე ვისაუბროთ და, რაც მთავარია, შენ როცა აქ იქნები, რუზანა ღვინის ულუფას ისე მკაცრად აღარ შემიზღუდავს. იცოდე, გელი...

1981

მათემატიკის კიდევ ერთი ბურჯი

ილია ვეკუა 1947 წელს ნიკო კეცხოველმა გამაცნო.

— ილიკო, ეს მეევნახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორია. სერგი, შენ იცი, ვინც არის ილია, ჩემსავით რბილი კაცი არ გეგონოს, მაგარი მომთხოვნია და ფრთხილად იყავი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების დაწყებას ვუცდიდი და ვფიქრობდი: თუ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე ნიკო კეცხოველი რბილი ხელმძღვანელია, როგორი უნდა იყოს ილია ვეკუა?!

საერთო კრების დამთავრების შემდეგ პრეზიდენტმა ილია ვეკუა, ნიკო კეცხოველი და მე თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია. მოისმი-

ნეს ჩემი მოკლე ინფორმაცია ინსტიტუტში არსებული მდგომარეობის თაობაზე. მათ აინტერესებდათ: მოიშუშა თუ არა ინსტიტუტმა ომის დროინდელი იარები, მოისპო თუ არა თანამშრომელთა შორის დაჯგუფებები, რა მდგომარეობაშია ლაბორატორიები, ექსპერიმენტული ბაზა, საცდელი ვენახები, რატომ გადავწყვიტე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში ჩარიცხვა. ნიკო კეცხოველმა პრეზიდენტსა და აკადემიკოს-მდივანს შეახსენა, თუ რა მდგომარეობაში ჩავიბარე 1943 წელს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი თელავში. სიტყვა შემდეგი ფრაზით დაამთავრა: — საქმის კიდევ უფრო მეტად გაფუჭება შეუძლებელი იყო.

— ბატონო სერგი, თქვენ რომ საქმე კიდევ უფრო მეტად გაგეფუჭებიათ აი, ეს იქნებოდა ორიგინალური და საინტერესო, — მომმართა ნიკო მუსხელიშვილმა.. ყველამ გაიცინა.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში ჩემი ჩარიცხვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნებართვისა და შუამდგომლობის გარეშე შეუძლებელი იყო. ამიტომ მინდოდა მეჩვენებინა, რომ ინსტიტუტში ნორმალური მდგომარეობაა და შეიძლებოდა დირექტორის ორი წლით მოსკოვს მივლინება.

— ილიკო, შენ რას იტყვი, რას გვირჩევდი? — ჰკითხა პრეზიდენტმა აკადემიის აკადემიკოს-მდივანს. ილია ვეკუამ მე შემომხედა: ორბის გამოხედვა ჰქონდა, ცალი თვალი ოდნავ მოეჭუტა და დაჟინებით მომჩერებოდა.

— თუ საქართველოს მევენახეობა ისეთ მდგომარეობაშია, როგორც აქ დურმიშიძემ დაგვიხატა, რა დროს დოქტორანტურაში ჩარიცხვაა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ დოქტორანტურაში გაგზავნილ კაცს ხელფასი ენახება. საიდან მისცემთ ხელფასს დროებით დანიშნულ დირექტორს? დოქტორანტურაში უნდა გაიგზავნოს არა ადმინისტრაციის წარმომადგენელი, არამედ სამეცნიერო დანაყოფების ხელმძღვანელები, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები. განყოფილებამ თავი უნდა გაანებოს ინსტიტუტის დირექტორის საქმეებში ჩარევას. მე ისიც მითხრეს, რომ დურმიშიძეს ინსტიტუტის გადასაბარებლად კეცხოველი და ჩოლოყაშვილი გაჰყვნენ. რა დროს ძიძაობაა?! დავნიშნეთ კაცი. გავიდა წლები, კეთილი ინებოს და, თუ შეუძლია, გონივრულად გაუძღვეს საქმეს, მეცნიერული კვლევაც აწარმოოს და ინსტიტუტსაც გაუძღვეს: თუ ინსტიტუტში კიდევ არიან ხელშემშლელი პირები, თვითონვე მოუაროს, არავის შებრალება და მოფერება არაა საჭირო, ნოსტალგია საქმე; ვინც ხელს უშლის ინსტიტუტის მუშაობას და უპერსპექტივოა, უნდა მოიშოროს. თუ დურმიშიძეს ასე მუშაობა არ შეუძლია და ადმინისტრაციული მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა, არც

უნდა დაგენიშნათ. თქვენ, ამხანაგო სერგი, არ გეწყინოთ, რომ ჩემს მოსაზრებებს პირდაპირ მოგახსენებთ, ყველაფერი თავიდანვე უნდა იყოს გარკვეული.

ასეთი იყო დაახლოებით ილია ვეკუას პასუხი პრეზიდენტის შეკითხვაზე.

ნიკო მუსხელიშვილმა ხელები მოიფშვნიტა, ღიმილით შემომხედა და დამარიგა: — თქვენ განაგრძეთ აქტიურად მუშაობა ისე, როგორც აქამდე მუშაობდით; ვინ იცის, იქნებ როდისმე მართლაც გაგაგზავნოთ მოსკოვს. ახლა კი, ხომ ხედავთ, ილიკო ამბობს არ შეიძლებაო.

წამოვიშალეთ. ნიკო კეცხოველმა მხარზე ხელი დამარტყა და მანუგეშა:

— სერგი, ნუ გეშინია, როგორც ქუხს, ისე არ წვიმს ხოლმე.

პრეზიდენტის ოთახიდან უხალისოდ გამოვედი... ამის შემდეგ ილია ვეკუასთან შეხვედრას ვერიდებოდი, ვცდილობდი ყველაფერი განყოფილებაში, ნიკო კეცხოველთან გადამეწყვიტა, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობის წლიურ ანგარიშებს სად გავექცეოდი? ეს საქმე ხომ აკადემიის აკადემიკოს-მდივნის ხელში იყო?!

დადგა შემოდგომა და არსებული ტრადიციის მიხედვით სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრები სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თელავში მივიწვიე. როდესაც აკად. ვასილ გულისაშვილს ვთხოვე აუცილებლად ჩამოსულიყო, მან მეგობრულად მირჩია:

— სერგოჯან, ილიაც მოიწვიე. შენ არ იცი, რა ვაჟკაცი კაცია; იმის მკვახე ლაპარაკს გულთან ნუ მიიტან. ახლოს გაიცნობ და მერე შოგაგონდება ჩემი სიტყვებიო.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გავბედე და ილია ვეკუას შევთავაზე თელავში წამოსვლა ინსტიტუტის მუშაობის გასაცნობად. ჩემი წინადადება მიიღო და დამპირდა — აუცილებლად ჩამოვალ, მაგრამ თუ რაიმე არ მომეწონა, თქვენი თანამშრომლების თანდასწრებით გაგაკრიტიკებო.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომამ საინტერესოდ, საქმიანად ჩაიარა. მე ჩემს მოხსენებაში აკადემიის ხელმძღვანელობაც გავაკრიტიკე. ამას, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ი. ვეკუა არ მოელოდა. მან ჩვენი შენიშვნები გაიზიარა, მაგრამ ჩვენც სამართლიანად გაგვაკრიტიკა. აშკარად იგრძნობოდა მისი მეცნიერული და სახელმწიფოებრივი მიდგომა. მნიშვნელოვანი ამოცანები დაგვისახა და დახმარებასაც დაგვპირდა. სამეცნიერო საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ ინსტიტუტმა ბანკეტი გამართა. ილია ვეკუა აქ უკვე ყველას მიმართ თავაზიანი და ყურადღებიანი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო კეცხოველმა გარდაბანში გამიწვია, ზოგადი მიწათმოქმედების ინსტიტუტის წლიური ანგარიშის განხილვაში უნდა მიმეღო მონაწილეობა. ილია ვეკუა ამ ინსტიტუტშიაც დაესწრო სამეცნიერო საბჭოს სხდომას და აქაც მეტად საინტერესო შენიშვნები გამოთქვა.

რაც დრო გადიოდა, ჩემი უკმაყოფილება მის მიმართ თანდათან მცირდებოდა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ილია ვეკუა 1947—1950 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების მუშაობაში, ხშირად ეწვეოდა ხოლმე განყოფილების ინსტიტუტებს და დიდ დახმარებას უწევდა მათ. ილია ვეკუა და განყოფილების ხელმძღვანელი ნიკო კეცხოველი ყოველმხრივ შეთანხმებულად მუშაობდნენ.

1950 წელს ილია ვეკუამ მონოგრაფიისათვის „ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები" საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიიღო. ილიას უმაღლეს მეცნიერულ ჯილდოს მრავალი ამხანაგი და მეგობარი ულოცავდა. მეც მივედი მისალოცად. მადლობა გადამიხადა და მთხოვა, სამსახურის დამთავრების შემდეგ არსად წახვიდეთ, დღეს ჩემთან ოჯახში ვისადილოთ; ჩვენს გარდა მხოლოდ ბატონი ნიკო მუსხელიშვილი და მისი მეუღლე იქნებიანო.

დანიშნულ დროზე შინ ვეახელი. სუფრა მხიარულად წარიმართა. ორივენი — მასწავლებელი და მისი მოწაფე, ნიკო და ილია, უაღრესად ბედნიერები იყვნენ. ილია ბატონ ნიკოს უდიდესი მოწიწებით და პატივისცემით ექცეოდა. კარგად შევქეიფიანდით და ბატონმა ნიკომ თავისი საყვარელი სიმღერა „სად შენი და სად იმისი თვალები..." იმღერა. ნიკომ სიტყვა სთხოვა თამადას, მასპინძელს:

— ილიკო, სოფელ შეშელეთიდან ჩამოსულმა ახალგაზრდამ მეცნიერების მწვერვალს მიაღწიე. შენი დიდი გამარჯვებით დღეს მრავალია გახარებული, მაგრამ ბუნებრივი იქნება ისიც, რომ ეს შენი წარმატება ზოგს არ უხაროდეს; შენ ესეც ნორმალურ მოვლენად უნდა ჩათვალო. სერგი, დავლიოთ კიდევ ერთხელ ილიკოს სადღეგრძელო და ვუსურვოთ მუდამ ჰქონოდეს ასეთი შემოქმედებითი შემართება.

ილიამ გაიცინა, ბატონი ნიკო დაამშვიდა: — ჩემზე ნუ ფიქრობთ, ყველაფერი რიგზე იქნება; მე ორივე ფეხით მიწაზე ვდგავარ და არაფერი არ გამიკვირდება. და მაინც არა მგონია, რომ რაიმე არასასიამოვნო მოხდეს.

ილია ვეკუას სიცოცხლის დიდმა ნაწილმა ჩემს თვალწინ გაიარა და ახლა ვფიქრობ, რომ ის დღე ილიას ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო; თავის მასწავლებელთან და მეგობართან ერთად

ქართული მათემატიკური სკოლის კიდევ ერთ გამარჯვებას გულით ზეიმობდა.

რამდენიმე თვეში მართლაც დატრიალდა არასასიამოვნო ამბები. გაზეთში წავიკითხე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ დაუშვა შეცდომები და მის გამოსასწორებლად მიღებულია სათანადო ზომებიო. ამის შემდეგ მალე, რამდენიმე დღეში, ილია თელავში ჩამოვიდა. დასვენების დღე იყო.

— სერგი, თუ არ გეზარება, სადმე გავიაროთ. შენგან გამიგონია ყადორის გადასასვლელი ულამაზესი ადგილიაო. გინდა იქით გავსწიოთ. ერთი სიტყვით, შენ საითაც გინდა, მხოლოდ ქალაქს, ოჯახს გავცილდეთ.

სახის გამომეტყველება ჩაფიქრებული, მაგრამ მკაცრი და შეუპოვარი ჰქონდა, უგუნებობა ეტყობოდა; ჩვეულებრივი ილია არ იყო. მაჩქარებდა წასვლას, მალე შუადღე იქნებაო. გზაზე გრემში ასვლა მოისურვა: აქ მრავალჯერ ვყოფილვარ, მაგრამ შესანიშნავი გადასახედია და ცოტა ხნით შევჩერდეთო. როდესაც გრემის ეკლესიასთან მივედით, ყადორზე ასვლა გადაიფიქრა, თუ გინდა აქ ვიყოთ, დიდი ილიას ალაზნის ველი რა შესანიშნავიაო. მოვკალათდით. მოკლედ გამაცნო საქმის ვითარება.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს გაურჩევია საკითხი საქართველოს წამყვან მათემატიკოსთა შორის შექმნილი არაჯანსაღი ურთიერთობის გამომწვევი მიზეზების, ამ ურთიერთობის ნორმალიზაციის საშუალებათა და თბილისის მათემატიკური კოლექტივის მომავალი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ. ოფიციალური პრესა იუწყებოდა: „...ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში წამყვან მეცნიერ მათემატიკოსთა შორის წარმოებს ყრუ ბრძოლა, რომელსაც მეცნიერების განვითარების ინტერესებთან საერთო არა აქვს რა“. ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუასათვის ბრალი დაუდვიათ კადრების აღზრდისა და დაწინაურების არასწორი ორგანიზაციის გამო. ყველაფერ ამას, როგორც უსამართლობას ილია მძიმედ განიცდიდა.

გრემიდან ვაზისუბანში წავედით. იქ მეევნახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს საცდელი სადგური ჰქონდა. ილია აქ ადრეც ყოფილა; ვიცოდი, რომ შენობა, ადგილმდებარეობა, გარემო მოსწონდა და ვფიქრობდი: იქნებ უფრო გაერთოს-მეთქი. საცდელი სადგური სულხან ჭავჭავაძის ყოფილ სასახლეში იყო მოთავსებული და მისი ვერანდებიდან კავკასიონი და ალაზნის ველი შესანიშნავად მოჩანდა. მეორე სართულის აივანზე პატარა სუფრა გაგვიშალეს. მასპინძელთან ბოდიში მოვიხადე და ვთხოვე მარტო დავეტოვებინეთ. ილიამ ღვინოს პირი არ დააკარა; იგონებდა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მომ-

ხდარ ამბებს და ასკვნიდა — ვერ გამიგია, როდის, ან რისთვის დავიმსახურეთ ბატონმა ნიკომ და მე პარტიული სასჯელიო, ნუთუ ჩვენი მეცნიერული შედეგები სადავოა? ვის შევუშალეთ ხელი მეცნიერულ წინსვლაში?

ილია ძლიერი ბუნების კაცი იყო და მისთვის რაიმე შემამსუბუქებელი სიტყვის თქმა შეუძლებელი შეიქნა, ნუგეში მხოლოდ გაღიზიანებდა. ამიტომ შევეცადე საუბარი სხვა სფეროში გადამეტანა და ვკითხე, თუ რას აპირებდა მომავალში, როგორი გეგმები ჰქონდა.

— უპირველეს ყოვლისა, ამ გარემოს უნდა გავეცალო, უსამართლობას ვერ დავემორჩილები, ეს მე არ შემიძლია; რომ მოვინდომო, არც გამომივა. შემდეგ ვნახოთ, როგორ აეწყობა საქმე. ერთი ცხადია: რაც ახლა მოხდა, ეს უეჭველად დაასვამს უარყოფით დაღს ქართველ მათემატიკოსთა მომავალ მუშაობას.

ასეთი ილია ვეკუა არასოდეს — არც მანამდე, არც მას შემდეგ არ მინახავს. იგი უფრო ძლიერი და უფრო მიზანსწრაფული ჩანდა. არც ერთი სიტყვა შურისძიებაზე. „კიდევ განახვებთ, რისი გაკეთება შეუძლია შეშელეთელ ახალგაზრდასო“, — ასეთი იყო ახლა მისი მტკიცე გადაწყვეტილება.

ვაზისუბანში დილამდე დავრჩით. მეორე დღეს თბილისამდე გავაცილე.

1951 წლის შემოდგომაზე ილია ვეკუა საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. აკადემიკოსმა სერგეი ხრისტიანოვიჩმა მიიწვია ცენტრალური აეროდინამიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. აქედან დაიწყო მისი ცხოვრების ახალი ხანა. 14 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა იგი მოსკოვსა და ციმბირში. აკადემიკოსი ანდრია ბიწაძე წერს: „ილია ვეკუას მოღვაწეობის მოსკოვის პერიოდი მისი მეცნიერული დამსახურების საერთაშორისო აღიარებაა“. საყოველთაოდაა ცნობილი მისი ღვაწლი ციმბირის რეგიონში. იგი 1959 წლიდან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ამავე წელს ილია ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველ რექტორად დანიშნეს. 1963 წელს მონოგრაფიისათვის „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ ლენინური პრემია მიენიჭა. ილია ვეკუა მრავალი ქვეყნის აკადემიისა და საერთაშორისო საზოგადოების წევრად აირჩიეს...

მოსკოვსა და ციმბირში მუშაობის პერიოდში მას არ გაუწყვეტია კავშირი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, ქართულ მათემატიკურ სკოლასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს საზოგადოებრიობასთან.

1955 წელს ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას წინადადებით, აკადემიის აკადემიკოს-მდივნად ამირჩიეს. ამ დროიდან კიდევ

უფრო გაფართოვდა ჩემი საქმიანი ურთიერთობა ილიასთან. ილია ვეკუა საქართველოში 1965 წელს დაბრუნდა, მაგრამ არც მანამდე ყოფილა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პასიური წევრი; აკადემიის ყოველ საერთო კრებაზე ჩამოდიოდა და მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ერთხელ, აკადემიის საერთო კრების დამთავრების შემდეგ (მაშინ ილია ჯერ კიდევ ციმბირში იყო), სიცილით მითხრა:

— ამხანაგო აკადემიკოსო-მდივანო, თქვენ რას ფიქრობთ, ვინც თქვენამდე იყო ამავე პოსტზე, მას პარტიული სასჯელი როდემდე უნდა ჰქონდეს, პარტიული მუშაობის წესი „თქვენში" დაივიწყესო?! — უხერხულობა ვიგრძენი. მართლაც, ყველას გადავიწყებოდა, რომ ნიკო მუსხელიშვილს და ილია ვეკუას დიდი ხნის წინათ პარტიული სასჯელი ჰქონდათ დადებული. იმავე დღეს მივმართე სათანადო პირებს, მოვაგონე ეს ძველი ამბავი და დახმარება ვთხოვე. ყველაფერი მალე მოგვარდა. ნიკოს და ილიას სასჯელები მოეხსნათ.

1963 წელს. როდესაც აკადემიის აკადემიკოს-მდივნად მესამედ ამირჩიეს, ილია გამინაწყენდა: — არჩევნების დროს რომ ყველამ ხმა მოგცა, ეს შენ სასარგებლოდ არ ლაპარაკობს; საქმისთვის კაცი არაფერს არ უნდა მოერიდოს. რა კაცია ის კაცი, ვისაც მოწინააღმდეგე არა ჰყავსო. იქვე იდგა ბატონი ნიკო მუსხელიშვილი და დამიცვა: — ილიკო, არც ასეა საქმე. ამას წინათ ადგილკომის გამგეობაში გვირჩევდნენ მე და სერგის; ჩვენ ორივემ ორ-ორი შავი ხმა მივიღეთ, ე. ი. ჩვენ კარგი მუშაკები ვართ. ილიას გაეცინა და ბატონ ნიკოს არაფერი შეჰკადრა.

1964 წლის 23 ნოემბერს ილია ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, თბილისში საცხოვრებლად კი, როგორც აღვნიშნე, 1965 წელს დაბრუნდა. აკადემიაში მოსვლის პირველსავე დღეს ბატონ ნიკოსთან ერთად შევედით. შევაღეთ თუ არა კარები, ნიკო წამოდგა, ილიას შემოეგება და მიესალმა:

— ილიკოს გაუმარჯოს! — ბატონი ნიკო ილიას ყოველთვის ილიკოს ეძახდა. ილიამ ხელი ჩამოართვა, მოიკითხა. სამივენი მაგიდას მივუსხედით. წამიერი დუმილის შემდეგ ილიამ ნიკოს მიმართა:

— მოსკოვში გავიგე, რომ მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების თავმჯდომარედ აკად. ვ. კუპრაძე აგირჩევიათ. განყოფილების სხდომის დროს მე უცხოეთში ვიყავი და ამიტომ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მივიღე. თქვენი ეს ნაბიჯი მეტად გონივრული და უეჭველად გამართლებულია. ქართული მათემატიკური სკოლის წინსვლას რაც შეეშალა ხელი, ისიც საკმარისია, ახლა ყველას მთავარი ამოცანაა

უფრო მაღლა ავწიოთ მეცნიერული კვლევის დონე მათემატიკაში. ამის შესახებ ჩვენ მოსკოვშიაც გვქონდა მსჯელობა. სერგი იქაც ესწრებოდა ჩვენს საუბარს და მანაც კარგად იცის ჩემი შეხედულებები. მათემატიკის მდგომარეობა საქართველოში, კერძოდ მათემატიკის ინსტიტუტში, ის არაა, რაც უნდა იყოს და რაც შეგეფერებათ თქვენ, ნიკო! თუ შეასრულებთ დაპირებას და მე მომანდობთ მათემატიკის ინსტიტუტს, მე მას მოვუვლი, გამოვაცოცხლებ, ახალგაზრდობას მივხედავ, კარგად იცით, რასაც გავაკეთებ, მე იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დავიკავო, მადლობა ღმერთს, საორგანიზაციო სამუშაო არასოდეს დამკლებია. ახლა ყველაფერი თქვენზეა, ნიკო. ერთი კი გარკვევით უნდა იცოდეთ: მე ყველა ჩემს მეგობარს და არა მეგობარს, ძველსა და ახალ „ოპონენტს“ მოვექცევი ერთნაირად, ერთი და იგივე მიდგომით, მხოლოდ საქმის პოზიციიდან. მაპატიეთ, რომ პირველი შეხვედრისთანავე ასე გელაპარაკებით, მაგრამ აბა გაიხსენეთ რამდენჯერ ბრძანეთ — „ილიკო, გადმოდი და ჩაუდექი მათემატიკის ინსტიტუტს სათავეშიო“. გარკვევით გამაგებინეთ თქვენი საბოლოო გადაწყვეტილება. თუ ეს არაა შესაძლებელი, მაშინ საქართველოში მათემატიკური კვლევის გასაძლიერებლად მე სხვა გზას უნდა მივმართო.

ბატონი ნიკო პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. მათ შორის ასეთ საუბარს მესამედ ვესწრებოდი. მოსკოვში ამ საკითხზე მსჯელობას მსტისლავ კელდიშიც ესწრებოდა და ილიას მოსაზრებას უჭერდა მხარს.

პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტის მიერ დასმულ კითხვას ფაქტიურად არაფერი უპასუხა.

— ილიკო, დაისვენე, ბინის საკითხი საბოლოოდ მოაგვარე; აკადემიაში ახლებურად ერთად ვიმუშაოთ და ყველაფერი თავის დროზე მოგვარდებაო.

გადიოდა თვეები და ილია ამაოდ უცდიდა საკითხის გადაწყვეტას. ნიკო არც ჰოს ამბობდა, არც არას. მათემატიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტის დატოვება მათემატიკის მეცნიერებიდან მოწყვეტად მიაჩნდა და არ ეთმობოდა. ზოგჯერ იტყოდა ხოლმე: იქნებ სჯობს პრეზიდენტის პოსტი დავტოვო, ვიდრე ინსტიტუტის დირექტორისაო. ეს მდგომარეობა 1966 წლის დასაწყისში ძირფესვიანად შეიცვალა. ილია ვეკუა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს. აქ ილია მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას. სულ მალე უნივერსიტეტთან გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი შექმნა. შემდეგში ილია ხუმრობდა ხოლმე: — გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი მე კი არა, ნიკო მუსხელიშვილმა დააარსაო.

1972 წელს ნიკო მუსხელიშვილმა 81 წლის ასაკში თავისი სურვილით დატოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტი. აკადემიაში ყველა მოელოდა, რომ ილია ვეკუას პრეზიდენტად არჩევა არავითარ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა. ასე არ მოხდა. გამოჩნდნენ ძალები, რომლებმაც გაართულეს პრეზიდენტის არჩევის საქმე, ილიას წინააღმდეგ წავიდნენ. დამიბარეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში და დამავალეს: მოვთათბირებოდი წამყვან, ცნობილ მეცნიერებს იმის თაობაზე, თუ ვინ შეიძლება შეცვალოს ნიკო მუსხელიშვილი, და მათი აზრი მომეხსენებინა რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის. ილია ვეკუა კი ავადმყოფობს და დავასვენოთო. მე, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ილია ვეკუას მივაშურე. მან დინჯად მომისმინა, გამამეორებინა ჩემი ინფორმაცია, შემთხვევით არაფერი გამოგრჩესო, და დაბეჯითებით მირჩია:

— ნახე ევგენი ხარაძე. მოელაპარაკე. თუ დათანხმდება, შემდეგ შეატყობინე რესპუბლიკის ხელმძღვანელებს. მე ყველაზე შესაფერ კანდიდატად ევგენი მიმაჩნია.

იმავე დღეს ვეახელი ბატონ ევგენის ბინაზე და ყველაფერი ვუამბე. შექმნილი მდგომარეობა არ მოეწონა. მტკიცედ და საკმაოდ ნაწყენი ტონით დამაბარა:

— გადაეცით იმ პირებს, ვინც თქვენ მეცნიერებთან მოთათბირება დაგავალათ, რომ ილია ვეკუა საქართველოშია და მუსხელიშვილის შემდეგ უეჭველად ის უნდა იყოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ხელმძღვანელმა ამხანაგებმა მოისმინეს ჩემი ინფორმაცია და საკითხის გადაწყვეტა დროებით გადადეს. პრეზიდენტის კანდიდატის გამოძებნა გაჭიანურდა. ამასობაში საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში ჩაერია საქმეში და ნიკო მუსხელიშვილი ილია ვეკუამ შეცვალა.

1972 წლის 3 მაისს ილია ვეკუა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად იქნა არჩეული; ნიკო მუსხელიშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტად ავირჩიეთ. ვიცე-პრეზიდენტებად ევგენი ხარაძე, ალექსანდრე ფრანგიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი იქნენ არჩეული.

მეცნიერების მართვის ზოგიერთ საკითხზე ძველსა და ახალ პრეზიდენტს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ. ნიკო მუსხელიშვი-

ლის თვალსაზრისი დაახლოებით ასეთი იყო: მეცნიერება ბუნებით ნიჭიერ, ერუდირებულ, შრომისმოყვარე, გამბედავ პიროვნებას მიჰყავს წინ. მეცნიერული მიღწევების ზუსტად წინასწარ დაგეგმვა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ აკადემიის ხელმძღვანელობის ძირითადი მოვალეობაა გულისყურით უსმინოს ყველა მეცნიერულ კოლექტივს, შეამჩნიოს ორიგინალურად მოაზროვნე მეცნიერი მუშაკები და, უპირველეს ყოვლისა, მათ დაეხმაროს, უკიდურეს შემთხვევაში, ხელი მაინც არ შეუშალოს, ესეც დიდი საქმე იქნება. ხელმძღვანელობის ზედმეტი ჩარევა საქმეს აფუჭებს. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მეცნიერება ფაქიზი ნაგებობაა და მას ნატიფი მშენებელი ესაჭიროება. როდესაც ინსტიტუტებს ჩვენს განკარგულებებს, ბრძანებებს და დადგენილებებს ვუგზავნით, არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი შესრულება ისე ადვილად მოხდება, როგორი სიადვილითაც ისინი ჩამოვაყალიბეთ, დავწერეთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეცნიერებაში დიდი ნაბიჯები ცალკეული ადამიანის ტვინში მომხდარი „აჯანყებების“ შედეგია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. მივცეთ გასაქანი, მეტი თავისუფლება ნიჭიერ შემოქმედთ.

ამ მოსაზრებათა გამო ბატონი ნიკოს პრეზიდენტობის პერიოდში აკადემიის ინსტიტუტების დირექტორები შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ; ინსტიტუტებს უშუალო კავშირი ჰქონდათ მინისტრთა საბჭოსთან, სამინისტროებთან, უწყებებთან. ამ მიმართულებით პრეზიდენტს განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწია ვიცე-პრეზიდენტმა გიორგი ძოწენიძემ. იგი მოითხოვდა, რომ ინსტიტუტის დირექტორს არ ჰქონოდა უფლება უშუალოდ, თავისით მიემართა მთავრობისათვის. ვიდრე ნიკო მუსხელიშვილი აკადემიას მეთაურობდა, აკადემიის ინსტიტუტების დამოუკიდებლობა არ შეზღუდულა.

ილია ვეკუამ მეცნიერების მართვაში დიდი ყურადღება დაუთმო გეგმიურობას. მისი პრეზიდენტობა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც გაძლიერდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა და დახმარება აკადემიისადმი, საერთოდ მეცნიერებისადმი. პრეზიდენტის მუშაობის სტილი სრულიად ესადაგებოდა იმ ახალ მოთხოვნებს, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა აყენებდა მეცნიერების წინაშე. საქართველოს მეცნიერების წინსვლის მთავარი შტაბი აკადემიის პრეზიდიუმი უნდა ყოფილიყო. ილია არ უარყოფდა ინსტიტუტებისა და ცალკეული მეცნიერების როლს, მაგრამ მოითხოვდა ყველა მეცნიერული კვლევის, ყველა სამუშაოს დაგეგმვას, სახელმწიფოებრივი გეგმების შემუშავებას ყოველ დარგში. გვისაყვედურა, რომ პრეზიდიუმი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა ლენინურ პრემიაზე წარსადგენ

გამოკვლევებს, შრომებს; ხშირად არც კი ვიცით, რაზე მუშაობენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერებიო.

ილიამ წინ წამოწია ისეთი პრობლემების მეცნიერული კვლევა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საქართველოს სს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლხეთის პრობლემას და საქართველოს მთიანეთს, შექმნა ე. წ. სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისია და მის მუშაობას თვით ჩაუდგა სათავეში. შემოიარა კოლხეთი და სვანეთი.

თუ ნიკო მუსხელიშვილის ყურადღება ძირითადად ფუნდამენტური გამოკვლევებისადმი იყო მიპყრობილი, ილია ვეკუამ ფუნდამენტურ გამოკვლევებთან ერთად ყურადღების ცენტრში მოაქცია აგრეთვე დანერგვითი სამუშაოები, ისე როგორც ამას პარტია მოითხოვდა. გაძლიერა კონტროლი ინსტიტუტების მიმართ; ხშირად იყო ინსტიტუტებში და ყველაფერს ადგილზე ეცნობოდა. დირექტორებს აეკრძალათ უშუალოდ მიმართვა ზემდგომ ინსტანციებში. ყველა საკითხი ჯერ აკადემიის ხელმძღვანელობაში უნდა გადაწყვეტილიყო და შემდეგ მოხსენდებოდა რესპუბლიკურ თუ საკავშირო მთავრობას.

აკადემიის მთელმა კოლექტივმა აქტიურად დაუჭირა მხარი ილია ვეკუას ახალ წამოწყებებს და აკადემია შედარებით მოკლე დროში კიდევ უფრო ახლოს მივიდა რესპუბლიკის პრაქტიკულ საქმიანობასთან, წარმოებასთან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია მხარში ამოუდგა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ახალ ხელმძღვანელობას.

ილია ყოველ ახალ წამოწყებას საპატიო პრეზიდენტს, ბატონ ნიკოს მოახსენებდა ხოლმე; თითქმის ყოველ საღამოს მასთან იყო და მეორე დღეს ჩვენთან საუბარს ასე იწყებდა: — გუშინ ბატონ ნიკოს გავაცანი ჩვენი ახალი გეგმა, მოგვიწონა. ახლა საქმე ჩვენზეა, თუ როგორ გავაკეთებთ, რამდენი ხნის განმავლობაში და რა დონეზე შევასრულებთ.

აკადემიის პრეზიდიუმის ყველა წევრი, ინსტიტუტების კოლექტივები გრძნობდნენ, რომ ილია ვეკუა საქართველოში დაბრუნდა როგორც დიდი გამოცდილების მქონე, თავისი დანიშნულებისა და მიზნების ზედმიწევნით მცოდნე, -მასშტაბური და პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის, ენერგიული ხელმძღვანელი. ყველას გვაფრთხილებდა:— ყველაზე მეტად გულგრილობას ვერ ვიტან. მირჩევნია წინააღმდეგობა გამიწიოთ, ვიდრე უხმოდ დამეთანხმოთ და შემდეგ გულგრილად ადევნებდეთ თვალს, თუ რა მოხდებაო.

ვარჩევდით ერთ-ერთი ინსტიტუტის მუშაობას; ინსტიტუტის დირექტორს დიდი ფინანსური დარღვევები ჰქონდა, მისი თვითნებობა

ზღვარს იყო გადასული. პრეზიდენტმა მცირე პრეზიდიუმის ყველა წევრს სთხოვა აზრი გამოეთქვა. საუბარი მკაცრ ფორმებში მიმდინარეობდა. იყო ისეთი მომენტიც, როდესაც პრეზიდენტი უჩვეულოდ აღელდა და სათვალე მაგიდაზე დაანარცხა. მეტი დაძაბული მდგომარეობის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო. ამ ვითარებაში ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა თავი დიპლომატიურად შეიკავა, არაფერი თქვა, არც დირექტორს მიემხრო და არც მცირე პრეზიდიუმს. როდესაც თათბირი დამთავრდა და ინსტიტუტის წარმომადგენლები წავიდნენ, ილიამ გვთხოვა დავრჩენილიყავით.

— არასოდეს არ იფიქროთ, რომ თქვენ ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე წინდახედული კაცი ბრძანდებით და სხვები კი სულელები არიან, — მიმართა პრეზიდენტმა მას, ვისაც თათბირზე ხმა არ ამოუღია. — ეს თქვენც დაგღუპავთ და საქმესაც. რას ჰგავდა დღეს თქვენი მოქმედება? განა ეს კოლეგიალობაა, განა ეს საქმის სიყვარულია?! თუ სხვა დროსაც თქვენ ასე მოიქცევით, ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ. იქნებ ჩვენი აზრის წინააღმდეგი იყავით? ბრძანეთ, ვინ გიშლით? ეს იქნებოდა წესიერი მოქმედება თქვენი მხრივ. — ასე გაჯავრებული ბატონი ილია არც მინახავს.

ილია ვეკუა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევას, უდიდეს საპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივ, ეროვნულ საქმედ მიაჩნდა აკადემიის შევსება ახალი მეცნიერული ძალებით. არჩევნების პრაქტიკული მხარე მე მქონდა მონდობილი და სისტემატურად მთხოვდა მასალებს კანდიდატებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდა გამოჩენილ მეცნიერებზე; დიდ ყურადღებას აქცევდა კანდიდატების შესახებ გავრცელებულ საზოგადოებრივ აზრს, პრინციპული ხასიათის საკითხებს უთანხმებდა ჩვენს გამოჩენილ მეცნიერებს — აკაკი შანიძეს, ივანე ბერიტაშვილს, გიორგი ახვლედიანს, ალექსანდრე ჯანელიძეს და სხვებს; მათი მოთხოვნის საფუძველზე ითვალისწინებდა არჩევნებს მეცნიერების ახალ მიმართულებებში.

ახალმა პრეზიდენტმა განსაკუთრებით გააძლიერა ყურადღება ჰუმანიტარული დარგებისადმი.

— ისტორიკოსობა მინდოდა და ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა არ დამრთო ნება, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე დამტოვა. ახლა მაინც მივიღო აქტიური მონაწილეობა ჩვენი ეროვნული დარგების განვითარებაში, — იტყოდა ხოლმე.

ილიას არასწორად მიაჩნდა, რომ აკადემიას ჩამოაშორეს სასოფლო-სამეურნეო დარგის ინსტიტუტები და რესპუბლიკისათვის მეტად

საჭირო ერთ-ერთი მოქმედი სამეცნიერო განყოფილება დახურეს. დიდხანს ფიქრობდა როგორ მოვქცეულიყავით. ბოლოს გადაწყვიტა:

— აღვადგინოთ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება იურიდიულად. გადვცეთ დროებით ბიოლოგიური განყოფილებიდან ბოტანიკური ბაღები; იქაც ხომ არის სოფლის მეურნეობისათვის სასარგებლო მეცნიერული კვლევები?! იქნებ შემდეგში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რამდენიმე ინსტიტუტი მაინც დაგვიბრუნოს. რატომ არ უწევენ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ, როდესაც დარგობრივი ინსტიტუტები ფუნდამენტური კვლევის ინსტიტუტების გვერდით მუშაობენ, ეს მათ მეცნიერულ დონეს მაღლა სწევს, ხოლო თეორიული კვლევის ინსტიტუტები გულთან უფრო ახლოს მიიტანენ ჩვენი რესპუბლიკისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პრობლემებზე მუშაობას.

ილიას მუშაობას დიდი ხალისი და გასაქანი შემატა მისი დიდი ხნის სურვილის შესრულებამ: პირველ ვიცე-პრეზიდენტად არჩეულ იქნა ევგენი ხარაძე. თითქოს ყველაფერი შესანიშნავად აეწყო; გაძლიერდა მეცნიერული კავშირები რესპუბლიკის შინ და გარეთ, მეცნიერება დაუახლოვდა წარმოებას, დაისახა ფართო მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის გეგმები.

ილიას უყვარდა ქალაქგარეთ, როგორც თვითონ იტყოდა, ბუნებაში გასვლა. განსაკუთრებით ხშირად ვიყავით ხოლმე კოჯრის ტყეებში. გადაწყვეტილი ჰქონდა მეცნიერთა დასასვენებელი სახლის აშენება კოჯრის მისასვლელთან; ადგილიც ამოარჩია და აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს აჩვენა. ბოლო წლებში, როდესაც შედარებით შეუძლოდ იყო, უფრო ქვევით ჩამოინაცვლა და ოქროყანის გადასახვევთან რომ ახალგაზრდა წიწვნარია, იქ დადიოდა. — აქედან მზის ჩასვლა კარგად ჩანს, თანაც რა შესანიშნავი ჰაერია, რა არომატია. ახალგაზრდა ყველაფერი კარგიაო, — გვეტყოდა ხოლმე.

ერთხელ შემოდგომაზე კოჯრის ახლოს, იქ სადაც მეცნიერთა დასასვენებელი სახლი უნდა აშენებულიყო, მინდორზე წამოწვა; ერთი მტკაველი მიწა შემოხაზა და დათვალა, თუ რამდენი სხვადასხვა მცენარე იყო ამ ფართზე. აღმოჩნდა რამდენიმე ათეული.

— რამ განაპირობა ამდენი სხვადასხვა მცენარის თანამეგობრობა; ვინ გადაწყვიტა, რომ ეს მცენარეები ერთმანეთის გვერდით ყოფილიყვნენ, რაშია საქმეო, — მეკითხებოდა. ბიოლოგიის მიმართ მისი ინტერესი ჩემთვის ადრევე იყო ცნობილი. მთხოვდა ხოლმე მომეთხრო, თუ რა აქვს საერთო ადამიანს მცენარესთან, მიკროორგანიზმებთან; სიცოცხლის ის მხარე აინტერესებდა, რაც საერთო იყო ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის. უნდოდა გარკვევით სცოდნოდა, თუ რას

წარმოადგენდნენ მეცნიერული თვალსაზრისით ბოშიანი, ლეპეშინსკაია, ლისენკო; მათი წიგნებიც ჰქონდა შეძენილი.

— ჩვენი წამყვანი მეცნიერების ბრალია, რომ წლების მანძილზე „მეცნიერული" ვიგინდარები ბატონობდნენ ნამდვილ მეცნიერებზე, როგორ მოითმინეთ ამდენი „მეცნიერული ნაგვის" თავზე დაყრა; გაცილებით უფრო ენერგიულად უნდა გებრძოლათ მათ წინააღმდეგ. თქვენც, ჩვენც, ყველა დამნაშავე ვართო, — გამოჰქონდა განაჩენი.

— სხვათა შორის, სერგი, ჩვენ, მათემატიკოსებმა შენი მასწავლებლის და მეგობრის ოპარინის წინააღმდეგ საკმაოდ მაგარი არზა გავაგზავნეთ ლენინური პრემიების კომიტეტში. ოპარინმა, ნაცვლად იმისა, რომ ლისენკოს შებრძოლებოდა, მშვიდად დაიკავა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელის, აკადემიკოს ორბელის ადგილი. მე სიმართლეს სიცოცხლის ფასადაც არ დავთმობდი. იქნებ ოპარინს მართლა ეკუთვნის მეცნიერული დამსახურებისათვის ლენინური პრემია, მაგრამ მე, სობოლევმა, ლავრენტიევმა და სხვა მათემატიკოსებმა ოპარინის წინააღმდეგ იმიტომ მივეცით ხმა, რომ იგი ლისენკოს მხარეზე იყო. ბატონმა ნიკომ ეს აქტი არ მოგვიწონა და არც ხელი მოგვიწერა, აბა თქვენ საიდან იცით, ბიოლოგიაში რა ხდებაო.

მე არ მინდოდა, რომ ილიას ალექსანდრე ოპარინზე, ამ ბრწინვალე მეცნიერსა და ადამიანზე არასწორი წარმოდგენა ჰქონოდა და დაწვრილებით მოვუყევი მისი ცხოვრებისა და მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამბებს. გავიდა დრო და ილიამ შეხედულება შეიცვალა:

— შენი ოპარინი ახლოს გავიცანი, საინტერესო პიროვნება ყოფილა. როგორც ჩანს, მე მართალი არ ვიყავი, როდესაც მის საწინააღმდეგოდ შედგენილ წერილზე ხელი მოვაწერე. შეგვეძლო და ჩვენს უფლებებში შედიოდა, მივცემდით თუ არა ლენინურ პრემიას, მაგრამ ჩვენს მიერ მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი დახასიათება რაღა საჭირო იყოო, — აკრიტიკებდა თავის მოქმედებას.

ილიას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევდნენ. ამომრჩევლებს წინასწარ უნდა შეხვედროდა თიანეთში. წინასაარჩევნო კომპანიის დროს დეპუტატობის კანდიდატებს ხშირად ახლავთ ხოლმე ახლობლები, მეგობრები და ჩვენც რამდენიმე კაცი — შ. ძიძიგური, მე და სხვები, გავყევით ილიას. შეხვედრებმა ბრწყინვალედ ჩაიარა. საქმიანი და ღრმა შინაარსიანი იყო ყველა შეხვედრა; ირგვლივ სიყვარულისა და პატივისცემის ატმოსფერო სუფევდა. ერთი დღის განმავლობაში სამჯერ მოვისმინეთ ილიას სიტყვა და სამივე შესანიშნავი, მაგრამ სრულიად სხვადასხვა შინაარსის. ილიას განსაკუ-

თრებით მოეწონა მასწავლებელი ქალის წიკლაურის გამოსვლა, რომელმაც ილიას ასეთი ფრაზით მიმართა: „მთაში ხალხი მკაცრია, მაგრამ სიყვარული ნამდვილი იციანო“. ილიას თავადაც უყვარდა მსგავსი აზრის გამოთქმა: „მაგარი ნებისყოფის კაცი სულ სხვაგვარ სითბოს გამოსცემსო“.

საღამოს სუფრასთან მიგვიპატიჟეს. იმდენი ლექსი და თქმულება მოვისმინეთ, რომ თავი ხალხური პოეზიის საღამოზე მეგონა. სიტყვა ადათზე ჩამოვარდა და ერთმა რესპუბლიკის დამსახურებულმა პენსიონერმა მასწავლებელმა ქალმა შემდეგი ამბავი გვიამბო:

მთის სახალხო პოეტსა და მთქმელს ღამით სტუმარი სწვევია. ოჯახში მხოლოდ სტუმრის თანატოლი ვაჟი ყოფილა, დანარჩენები სხვა სოფელში დღეობაზე იყვნენ წასული. ახალგაზრდა მასპინძელს სცოდნია, რომ სტუმარი გამოქცეული პოლიტიკური პატიმარი იყო და, თუ გაირკვეოდა მან პატიმარი შეიკედლა, დასჯა არც მას არ ასცდებოდა. რა უნდა ექნა?! ბავშვობა მათ ერთად ჰქონდათ გატარებული, ტოლები იყვნენ, ერთად უოცნებიათ, საჯიხვეებშიაც ერთად უვლიათ... მასპინძელმა სტუმარი შეიკედლა, დააპურა და მოასვენა. სტუმარი დილით ადრე გაშორდა იქაურობას, მაგრამ ყველაფერი მაინც ცნობილი გახდა; მასპინძელი დააპატიმრეს. სოფლის თავკაცები თბილისს გაგზავნეს — იქნებ აპატიონ, ხომ იციან მთის ადათი როგორია, მასპინძელი დამნაშავე არ არისო. რამდენიმე თვის შემდეგ ორივენი დასაჯეს.

შეიქნა მსჯელობა: სწორად მოიქცა თუ არა მასპინძელი. ყველას ილიას აზრი აინტერესებდა.

— მე ხალხის ადათს დიდ პატივს ვცემ, ადათი საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა; მასში ხალხის ძალა და სიბრძნეა ჩაქსოვილი. მე უყოყმანოდ მოვიქცეოდი ისე, როგორც ის ახალგაზრდა მასპინძელი მოიქცა. შემდეგ რაც მოხდა, ეს სულ სხვა საქმეა. ადათის დაცვამ შეიძლება მსხვერპლიც მოითხოვოს, მაგრამ ხალხის მორალი მასზე მაღლა უნდა დავაყენოთ; როგორ გინდათ გაზარდოთ ახალგაზრდობა? — გამოთქვა თავისი მოსაზრება დეპუტატობის კანდიდატმა. ამომრჩევლები დიდად კმაყოფილნი იყვნენ, რომ მათი მომავალი დეპუტატი, გარდა იმისა, რომ დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეა, დიდი ვაჟკაციც ყოფილა.

თიანეთიდან გვიან ღამით წამოვედით. გზა ტყეში გადიოდა და ილია მისი სილამაზით აღტაცებული იყო, — ნეტავ ჩვენი მგზავრობა არ გათავდებოდესო.

ილია ადათს დიდ მოთხოვნებს უყენებდა: ადათი ხალხის გაკეთილშობილებას უნდა ემსახურებოდესო. აღელვებდა ზოგიერთი ჩვენი

ზნე-ჩვეულების გადაგვარება. მისი ვიცე-პრეზიდენტობის დროს ჩეხოსლოვაკიის აკადემიამ მიგვიპატიჟა ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, რაფიელ დვალი და მე მეუღლეებითურთ. მიგვიღეს შესანიშნავად. ყველანი ჩვენ-ჩვენი სპეციალობის ინსტიტუტების მუშაობას გავეცანით. ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ოფიციალური მიღების შემდეგ ქალაქგარეთ, მონადირეთა სახლში სადილი გაგვიმართა. სუფრაზე ყველაფერი უხვად იყო. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თითოეულ ჩვენთაგანს თითო შემწვარი ხოხობი მოგვართვეს. ჩეხოსლოვაკური ხოხობი გაცილებით უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ქართული ხოხობია. ილიამ ჩეხოსლოვაკიის აკადემიის პრეზიდენტს ჰკითხა:

— ბატონო პრეზიდენტო, რა ხდება, რატომ მხოლოდ სტუმრებს მოგვართვეს ასეთი რაოდენობით შემწვარი ხორცი?

პრეზიდენტმა თავის თანმხლებ პირებს გადახედა და ილიას უპასუხა:

— ჩემი მეგობრები თქვენთან თბილისში იყვნენ და, როდესაც დაბრუნდნენ, გაკვირვებით ჰყვებოდნენ: ქართველები უზომო რაოდენობის ხორცს ჭამენ, მათ სუფრაზე ხორცეული სართულებად არის დალაგებულიო. ამიტომ მოგართვით სათითაოდ ჩვენს ტყეში გამოზრდილი ჩვენებური ხოხბები. თუ რამეში შევცდით, გვაპატიეთ, თქვენს აქ ყოფნაშივე გამოვასწორებთო.

საღამოს სასტუმროში ილია ამბობდა:

— ხომ ხედავთ, ჩვენმა გადაგვარებულმა ზნე-ჩვეულებამ აქ, ჩეხოსლოვაკიაში რა მდგომარეობაში ჩაგვაყენა. აკადემიამ ჩვენს ზნე-ჩვეულებებსაც უნდა მიხედოსო.

ილია მკაცრი, მაგრამ მგრძნობიარე, ადამიანის მოყვარული კაცი იყო. მრავალი შემთხვევა მქონია ამაში დავრწმუნებულიყავი. უყვარდა ხალხში ყოფნა, ხალხთან ურთიერთობა. აფხაზეთში მოგზაურობისას სხვა ამხანაგებთან ერთად შოთა ძიძიგური და მეც ვახლდით. წარმოუდგენელი ზეიმითა და პატივისცემით მიიღო ილია ვეკუა აფხაზეთის მოსახლეობამ. მას აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიანიჭეს. ლიხნში სახალხო ზეიმი გაუმართეს. განუწყვეტლივ მოდიოდნენ სხვადასხვა სოფლის წარმომადგენლები და ადგილობრივი ადათის მიხედვით ასრულებდნენ ყველა პატივსაცემ ცერემონიალს; ჩვენ მათი ზნე-ჩვეულების მიხედვით თითქმის სულ ფეხზე ვიდექით. ეს უჩვეულო ზარ-ზეიმი რამდენიმე დღე გაგრძელდა. ხარობდა ხალხი და დიდად კმაყოფილი იყო თვითონ ილია.

კიდევ ერთი პატარა ამბავი. აკადემიას მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში ესტუმრა სხვა მეცნიერებთან ერთად. ისინი საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი ინსტიტუტების მუშაობას გაეცვნენ. ბოლო დღეს ილიამ დამიძახა და გამაფრთხილა: — არსად წახვიდე, კელდიშს სურს ქაშვეთის ეკლესიაში ლადო გუდიაშვილისეული მოხატულობა ნახოსო.

სამივენი წავედით, საღამო ხანი იყო და სანთლების შუქზე კედლის მხატვრობა შორიდან კარგად არ მოჩანდა. ამიტომ მსტისლავ ვსევოლოდის ძემ მოისურვა საკურთხეველში შესვლა. მივედი მღვდელმთავართან, ნებართვა ვთხოვე. უარი მითხრა. მოვიშველიე ჩემი თანამგზავრების მეცნიერული და საზოგადოებრივი ტიტულები, მაგრამ არც ამან გაჭრა. საუბარი რომ გაგვიგრძელდა, ილია მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თვითონაც ეახლა, შეეხვეწა. მღვდელმთავარმა არც მას მისცა დასტური. კელდიშმა დამშვიდება დაგვიწყო: — არა უშავს, რაც ვნახეთ, ესეც დიდებულიაო. ის-ის იყო უნდა გამოვსულიყავით ეკლესიიდან, რომ მსტისლავ ვსევოლოდის ძემ ჩვენს პრეზიდენტს დაუძახა: ილია ნესტორის ძევ, აქეთ მობრძანდით. ნახეთ, კარების ზემოთ როგორი მოხატულობააო. მღვდელმთავარმა გაიგონა თუ არა „ილია ნესტორის ძე“, ჩემთან მოვარდა — „ვინ ილიაა ეგ კაციო“.

— ილია ვეკუა, ხომ გითხარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია-მეთქი.

ჩემი ბოლო სიტყვები მას ალბათ არც გაუგონია. ეცა პირდაპირ ილიას და ორივე მხარზე ეამბორა. — ილია ბატონო, თქვენ წმიდა კაცი ბრძანდებით, თქვენთვის ეკლესიის არც ერთ ადგილას მისვლა არაა აკრძალული; წამოიყვანეთ ეგ თქვენი სტუმარიცო. — გაოგნებული იდგა კელდიში და არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა. წაგვიძღვა წინ მღვდელმთავარი და შევედით საკურთხეველში, ყველაფერი დავათვალიერეთ. კელდიში აღტაცებაში მოვიდა მხატვრობით.

— ილია ნესტორის ძევ, გუდიაშვილზე ნაკლებ საინტერესო არ იყო ამ მღვდლის დამოკიდებულება შენდამი; შენ სიცოცხლეშივე ჩაგრიცხეს წმინდანებშიო, — ხუმრობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ილიას საბედისწერო დაავადება თანდათან გაძლიერდა, ხმა დაუსუსტდა და საჯარო გამოსვლები უჭირდა. თავს მაინც არ ზოგავდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქმეს მისი შეუძლოდ ყოფნა არ დასტყობოდა. მხოლოდ ორ მაგალითს დავასახელებ.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის მუშაობის განხილვისას რამდენიმე წინადადებით ამიხსნა, თუ რა აზრის გამოთქმა უნდოდა და მთხოვა მის მაგიერ გამოვსულიყავი, მისი აზრები გამეშალა. დავალება შევასრულე, მაგრამ ილიას ჩემი სიტყვა არ მოეწონა;

როგორც შემდეგში ამიხსნა, ყველაფერი ისე არ მითქვამს, როგორც მას სურდა. ილია იძულებული გახდა, თვითონაც წარმოეთქვა სიტყვა. თავს ძალა დაატანა და მთავარ სარედაქციო კოლეგიას მუშაობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები შესთავაზა.

ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მისი მოსაზრებების მიხედვით ჩემი გამოსვლა დამაკმაყოფილებლად მიუჩნევია.

ორი დღე მიმდინარეობდა აკადემიაში კოლხეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი ფართო სამეცნიერო სესია. მრავალი მეცნიერი და სოფლის მეურნეობის პრაქტიკული მოღვაწე, ორგანიზატორი მონაწილეობდა სესიის მუშაობაში. ყველა დიდი ინტერესით ელოდა, რას იტყოდა შემაჯამებელ სიტყვაში პრეზიდენტი. ილიას თავისი სიტყვის თეზისები ჩამოწერილი ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ წუთებში ყელმა უღალატა და მთხოვა მისი თეზისების მიხედვით სიტყვა მე მეთქვა, ამ მდგომარეობიდან როგორმე უნდა გამოვიდეთო. ჩემმა გამოსვლამ დაკმაყოფილა და სესია დამშვიდებულმა დახურა. სესიის ყველა მონაწილე მიხვდა, რაც მოხდა, ყველას გაჰყვა ერთგვარი სევდა...

ილია საოპერაციოდ მოსკოვს გაემგზავრა. რამდენიმე კვირის შემდეგ საავადმყოფოში ვინახულე. იჯდა მშვიდად და თავის ახალ მონოგრაფიაზე მუშაობდა. ყველაფერი დაწვრილებით მომაყოლა. ისეთივე ინტერესი ჰქონდა აკადემიის საქმეებისადმი, როგორიც ადრე, დაავადებამდე. წამოსვლის წინ ქალბატონმა თამარმა მისი მკურნალი ექიმი გამაცნო. მკურნალი ქალი გოცებული იყო: რამდენი წელია ილია ნესტორის ძის მკურნალი ვარ და არ მახსოვს ეკითხოს ჩემთვის, რა დაავადება აქვს და რას უნდა ელოდეს. ჩემს ხანგრძლივ საექიმო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა ჯერ არ მქონია.

საავადმყოფოდან ხშირად იწერებოდა წერილებს კონკრეტული დავალებებით. გვთხოვდა იმასაც, რომ აკადემიის საქმიანობის ანგარიშის შედგენისას მისთვის განსაკუთრებული ადგილი არ მიგვეჩინა. გაეგო, რომ აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს პრეზიდიუმისათვის მიემართა თხოვნით გაეთავისუფლებინათ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან — ადმინისტრაციული სამუშაო მეცნიერულ მუშაობაში ხელს მიშლისო. სასწრაფოდ მოგვწერა წერილი, რომ მცირე პრეზიდიუმს აკად. ა. ბარამიძის თხოვნა არ დაეკმაყოფილებინა. ვრცლად ახასიათებდა ბატონ ალექსანდრეს მოღვაწეობას და ინსტიტუტის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად მიაჩნდა, რომ ასეთი გამოჩენილი მეცნიერი ედგა ინსტიტუტს სათავეში. ამგვარი ხასიათის წერილებს ხშირად ვღებულობდით. ბატონი ევგენი ხარაძე, რომელიც მას ცვლიდა, ყოველთვის ცდილობდა მისი მოსაზრე-

ბები პრაქტიკულად განხორციელებინა. ილიას, ვიდრე ცოცხალი იყო, აკადემიასთან საქმიანი კავშირი არ გაუწყვეტია.

მოახლოვდა ილიას დაბადების 70 წლისთავი. შოთა ძიძიგური და მე მისალოცად შინ ვეახელით. ცოტა ხნის შემდეგ ილიას ესტუმრა საქართველოს ტელევიზიის მეცნიერების განყოფილების გამგე მედეა ლორთქიფანიძე. ქალბატონმა მედეამ ილიას სთხოვა ზოგიერთი მასალა იუბილესთან დაკავშირებით და ბოდიშის მოხდით გააცნო ღონისძიებები, რომელთა შესრულებასაც ტელევიზია აპირებდა. ბატონმა ილიამ ყურადღება მიაქცია გამომსვლელთა სავარაუდო სიას, რომელშიაც ჩვენც აღმოვჩნდით. იუბილარმა ქალბატონ მედეას სთხოვა ღონისძიებათა შემცირება და, სხვათა შორის, გამოთქვა მოსაზრება — ახლო მეგობრების გამოსვლა, ჩემი აზრით, არ არის აუცილებელი, უხერხულადაც კი მიმაჩნიაო. — ამ დროს ილია უკვე ვეღარ ლაპარაკობდა და ყველაფერი ეს ფიქალის დაფაზე დაგვიწერა.

ილიას დაბადების 70 წელთან დაკავშირებული ღონისძიებები ფართოდ ჩატარდა აკადემიაში, უნივერსიტეტში, მათემატიკურ ინსტიტუტებში. მათემატიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ილია ვეკუას მეცნიერული მიღწევების პროპაგანდასა და უმაღლეს შეფასებებში.

ილიას უყვარდა წარსულის გახსენება, ძველი ამბების მოყოლა; იგონებდა თავის ბავშვობას, ბავშვობის მეგობრებს, მშობლებს, თავის სოფელს, თანასოფლელებს.

ილია ნათესავების, მეგობრების დიდი მოყვარული და პატივისმცემელი იყო.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როდესაც სამუშაო ოთახიდან სასტუმრო ოთახში გადმოინაცვლა, თავის მეუღლეს, ქალბატონ თამარს სთხოვა:

— ჩემი მშობლების სურათი კაბინეტიდან გადმოიტანეთ და ისე დაკიდეთ ჩემი საწოლის პირდაპირ კედელზე, რომ გამუდმებით ვუცქიროო...

გავიდა შვიდი წელი ილიას გარდაცვალებიდან და მის მიერ ავადმყოფობის პერიოდში შექმნილმა მონოგრაფიამ — „გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდი“ — მიიღო სსრ კავშირის 1984 წლის სახელმწიფო პრემია.

1984

პატრიარქი

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სახელოვანი მოწაფე, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ფიზიოლოგი პროფესორი ქუჯი ძიძიშვილი თავის შესანიშნავი მონოგრაფიის „ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძის“ დასასრულს წერს: „...არ გადაშენდება ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა, თუ კვლავაც გვეყოლებიან ივანე ბერიტაშვილის დარნი; ალალნი და გულმართალნი, პირდაპირნი და უშუალონი, უმწიკვლონი და პრინციპულნი, ყველა მათი შემრისხავნი, ვინც მეცნიერებას პირადი კეთილდღეობისა და ფუფუნების საწყაულად მიიჩნევს; არ გადაშენდება ჩვენი შთამომავლობა, თუ კვლავაც დაიზრდებიან მისებრ გამრჯელნი და ნიადაგ მშრომელნი, მისებრ ქედუხრელნი და უდრეკი ნების ადამიანები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ ამბავს, რომ იყო ამ სოფლად კაცი, ვისაც მეცნიერებით ედგა სული, ვინც ერისა და კაცობრიობის სასიკეთოდ იღვწოდა და რომ ეს კაცი ივანე ბერიტაშვილი იყო“.

ბატონი ივანეს პორტრეტი დიდებულად არის დახატული, ჩვენი ეს პატარა მოგონებები მას ვერაფერს ვერ შემატებს. ჩვენ მხოლოდ მისი გახსენება გვსურს, გვინდა პატივი ვცეთ მის ხსოვნას და მოვიგონოთ რამდენიმე· მომენტი მისი ცხოვრებიდან,

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი უნდა აერჩიათ, ადგილი ვაკანტური იყო. ასარჩევთა შორის კულუარებში ვის არ ასახელებდნენ. წინასაარჩევნო ვნებათა ღელვას ყველა მოეცვა. ამბობდნენ, ახალი აკადემიკოს-მდივანი ბიოლოგიური მეცნიერების წარმომადგენელი იქნება, ტ. ლისენკო ამ მნიშვნელოვან პოსტს საკუთარი ლოცვისა და კურთხევის გარეშე არავის დაუთმობსო.

ბიოლოგიური მეცნიერების ადრინდელი ჭრილობა გაღრმავდა. ჩუმად ლუღლუღებდნენ: აკადემიკოს-მდივნად რომელიმე ლისენკოელის არჩევა მეცნიერულ ატმოსფეროს კიდევ უფრო ჩამოაბნელებსო. აკადემიის პრეზიდენტმა შესანიშნავად იცოდა საქმის ნამდვილი ვითარება, მაგრამ. როგორც მაშინ ამბობდნენ, აბა, მას რა შეეძლო. და მაინც ეძებდნენ კაცს, რომელიც ტროფიმ დენისის ძე ლისენკოსთან კარგ დამოკიდებულებაში იყო და არც კლასიკური ბიოლოგიის მიმართ იქნებოდა მტრულად განწყობილი. ყველანი დიდი ინტერესით ელოდნენ ამ ყველასათვის მისაღებ კანდიდატს...

დაასახელეს: ნორაირ მარტიროსის ძე სისაკიანი. დარბაზში მრავალმა დამსწრემ შვებით ამოისუნთქა; ცხოვრებაში თუ კი არსებობს

ოქროს შუალედური ხაზი, ამ შემთხვევაში სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. ნ. სისაკიანი ჭკვიანი და გამოცდილი, კარგი მეცნიერი და ორგანიზატორი იყო, მას ბიოლოგიური მეცნიერების ორივე ბანაკთან შეეძლო თანამშრომლობა.

პრეზიდენტმა ნესმეიანოვმა მომავალი აკადემიკოს-მდივანი შესანიშნავად დაახასიათა. დარბაზი სულგანაბული უცდიდა შემდეგ გამოსვლებს. მსურველები არ ჩანდნენ. ის-ის იყო კანდიდატისათვის კენჭი უნდა ეყარათ, დარბაზში ივანე ბერიტაშვილი წამოდგა. ყველა ერთი მოძრაობით შეირხა და დარბაზს კვლავ სიჩუმის ზეწარი გადაეფარა. ბატონმა ივანემ დამსწრეთ დინჯად მიმართა:

— მე ნორაირ მარტიროსის ძე სისაკიანს პატივს ვცემ, მისი პიროვნების, როგორც მეცნიერის, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მაგრამ თქვენ, ამ უზარმაზარ მეცნიერთა არმიას ნუთუ არ შეგიძლიათ იყოთ უფრო პრინციპული, ნუთუ არ შეგიძლიათ ისეთი კაცი დაასახელოთ. რომელიც ადვილად არ დაექვემდებარება დაუსაბუთებელ ნათქვამს და გაბედულად იბრძოლებს სიმართლისათვის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება ამ სიმართლის წინააღმდეგი, დიდი თუ პატარა მეცნიერი. მე პირდაპირ გეტყვით, აკადემიკოს-მდივნად შესანიშნავი იქნება აკადემიკოსი ანდრია ლვოვის ძე კურსანოვი. იგი აქ მგონი ყველაზე მაღალია და ეს კიდევ უკეთესია, შორიდანაც კარგად ჩანს.

ბატონი ივანე ცოტახნით გაჩერდა, პრეზიდიუმისაკენ დაჟინებით გაიხედა და დაამთავრა:

— მე გატყობთ, რომ ჩემი სიტყვა არ მოგეწონათ. იყოს ასე, მით უარესი თქვენთვის,

აკადემიკოს-მდივნად ნორაირ სისაკიანი აირჩიეს. იგი ამ პოსტზე სიკვდილამდე მუშაობდა. შემდგომში ხშირად იგონებდა ხოლმე:

— ბატონმა ივანემ მე მაშინ დიდი ვალი დამდო, ყოველთვის ვცდილობდი, რომ მისი მაშინდელი გამოსვლა ჩემი მოქმედების ძირითადი პრინციპი ყოფილიყო. მართლაც, ჭეშმარიტი მეცნიერი ისეთი პირუთვნელი და პრინციპული უნდა იყოს, როგორც ივანე სოლომონის ძეა.

ბატონი ივანე და აკადემიკოს-მდივანი ნორაირ სისაკიანი ერთმანეთს ყოველთვის დიდი პატივისცემით ექცეოდნენ და თავისი კეთილი საქმიანი ურთიერთობით გამოირჩეოდნენ.

* * *

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე გასული წლის მუშაობის ანგარიში ირჩეოდა. აკადემიის ყველა დაწესებულებას, ყველა მეცნიერს წარმოედგინა წლის მოსავალი. მონაწილენი გააკვირვა ივანე ბერიტაშვილის უხვმა შემოდგომამ. 80 წელს გადაცილებული მეცნიერის მიერ ერთი წლის მანძილზე შექმნილი ამდენი ნაშრომი, ასეთი მონოგრაფიები! რამდენიმე დამსწრე მეცნიერმა თავისი გაკვირვება ხმამაღლა გამოთქვა. ერთ-ერთმა აკადემიკოსმა იხუმრა:

პრეზიდენტს ვთხოვოთ, რომ დაწერილი მონოგრაფიების მიხედვით დადგინდეს ხოლმე ავტორის წლოვანება. მაშინ აქ ყველაზე ახალგაზრდა ივანე სოლომონის ძე აღმოჩნდებაო.

აკადემიის საერთო კრების შემდეგ, როდესაც თბილისში დავბრუნდით და ბატონი ივანე აკადემიის პრეზიდიუმში მობრძანდა, კვლავ გავაგრძელეთ საუბარი შრომების გაფორმებისა და მონოგრაფიების წერის შესახებ: გვინდოდა გაგვეგო მისი გონებრივი შრომის თავისებურებანი. ბატონმა ივანემ თავისი შეხდულებები ასე ჩამოაყალიბა:

— კვლევის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მე ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია ყოველდღიური კითხვა და წერა და უწყვეტი ექსპერიმენტი. ყოველთვის, როდესაც მე სტატიას ან წიგნს ვწერ, თვალწინ მყავს მსოფლიოში რამდენიმე გამოჩენილი ფიზიოლოგი-მეცნიერი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მე მათთვის, მათ დონეზე. მათი გემოვნებისა და მიმართულებების გათვალისწინებით ვწერ. სხვადასხვა წიგნის წერის დროს, რა თქმა უნდა, ეს ნიშანსვეტები სხვადასხვაა: რას იზამ, ზოგი მეცნიერი წინ მიდის, ზოგი უკან. რაც შეეხება იმას, თუ სად უნდა დაბეჭდო, გამოაქვეყნო სტატია, ამაზეც მე ჩემი საკუთარი შეხედულება მაქვს, თქვენ ალბათ მას არ გაიზიარებთ, ჩემთვის სულერთია, თუ რომელ პერიოდულ ჟურნალში ან რომელ კრებულში დაიბეჭდება ჩემი შრომა. თქვენ სადაც გინდათ იქ დაბეჭდეთ, მხოლოდ მე მომეცით კარგად გაფორმებული ასი ან ორასი ეგზემპლარი. ამონაბეჭდებს მე თვითონვე გავუგზავნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე გამოჩენილ მეცნიერებს და ჩვენ საქმიანობასთან ახლო მყოფ მეცნიერულ სკოლებსა და ჯგუფებს. ასეთი წესი მნიშვნელოვნად აჩქარებს კიდეც ინფორმაციის შეღწევას საჭირო მეცნიერულ ცენტრებში. ახლა ხომ ამის გარეშე მეცნიერული კვლევა შეუძლებელია.

ბატონ ივანეს თავისი შრომის პრინციპისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია. მეცხრე ათეული წელიც ისეთივე ნაყოფიერი იყო მისთვის, როგორც წინა ათეული წლები. მის გარდაცვალებამდე თერთმეტი დღით ადრე მივიღე მისი მონოგრაფია: „ხერხემლიანთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა“ (რუს. ენაზე) წარწერით: „ფრიად პატივცემულ სერგო დურმიშიძეს ვუძღვნი ჩემ ახალ შრომას. აკად. ი. ბერიტაშვილი. 18.XII.1974“.

* * *

ერთ დღეს ბატონი ივანე ჩვეულებრივზე უფრო ჩაფიქრებული მობრძანდა აკადემიაში, შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში, ჩაჯდა სავარძელში, ორივე ხელით დაეყრდნო ხელჯოხს და დაიწყო:

— ამ ცოტა ხნის წინათ გურჯაანელებმა დამპატიჟეს. ჩემთან ერთად სხვაც ბევრი იყო მიწვეული. ბევრი მათგანი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი შვილია. შეხვედრამ ძალიან კარგად ჩაიარა. გამოვიდნენ მოგონებებითაც. მეც გავიხსენე ჩემი ბავშვობა და სიყრმის დროის ამბებსაც მოვყევი. მე ხომ ვეჯინიდან ვარ. სხვათა შორის მოვიგონე რევოლუციური პერიოდიც და გავიხსენე, თუ როგორ ვავრცელებდი მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს და ის ამბავიც მოვაყოლე, თუ როგორ გადამარჩინა ერთმა გურჯაანელმა გლეხმა პოლიციელის ცემისაგან. სხვაც ბევრი რამ იყო ნათქვამი. ხალხმა დიდი პატივი გვცა. ყველაფერი ძალიან მომეწონა და გურჯაანიდან მეტად ნასიამოვნები დავბრუნდი. ამ ერთი კვირის წინათ მოვიდა ერთი გურჯაანელი ახალგაზრდა და განმიცხადა:

— პაპა ივანე, მე იმ კაცის შვილიშვილი ვარ, ვინც თქვენ ახალგაზრდობისას პოლიციის გამათრახებას გადაგარჩინათ და მომეხმარეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდე. აგერ მესამე წელია მისაღებ გამოცდებს ვაბარებ და ვერ იქნა და ვერ მოვაგროვე ქულების საჭირო რაოდენობაო.

—სერგო, შენ ხომ იქ ასწავლი. გაიგე ერთი, რაშია საქმე და. იმ ბიჭს მოეხმარე. მე გაფრთხილებული მყავს და ამ დღეებში თვითონ მოვა შენთან,

მე ამ დროს უკვე აღარ ვმუშაობდი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მაგრამ ბატონ ივანეს აბა ამას როგორ გავუბედავდი. შემატყო, რომ ჩავფიქრდი და საუბარი გააგრძელა:

— მე ვიცი ახლა შენ რასაც ფიქრობ, მაგრამ რას ვიზამთ. სამჯერ ხომ იყო გამოცდებზე, ეტყობა სწავლა მართლა უნდა. თუ შეგიძლია კაცს დაეხმარო, უარი რატომ უნდა უთხრა. ძველი ამბავი რომ არ მომეგონებინა, ეს ბიჭი ხომ ვერ მომნახავდა; ჩემს მეზობლებში

ჩემი ბავშვობის ნაცნობებსა და ამხანაგებს რომ შევხვდი, წარსულის ამბები თვალწინ დამიდგა და ნამდვილად მომინდა ბევრი რამის ხმამაღლა მოგონება. — დაამთავრა ბატონმა ივანემ.

ახალგაზრდა გურჯაანელი კარგი ბიჭი აღმოჩნდა. სათანადო კონსულტაციებისა და ორი თვის მეცადინეობის შემდეგ მისაღები გამოცდები კარგად ჩააბარა.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი, როგორც პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, სხდომებზე ყოველთვის თავის დროზე მოდიოდა, ზოგჯერ ადრეც გამოცხადდებოდა და ნიკო მუსხელიშვილთან ერთად ჩაიკეტებოდა. თუ პრეზიდენტს მოულოდნელად რაიმე საქმეზე გამოიძახებდნენ, მაშინ ბ-ნი ივანე ჩემს სამუშაო ოთახში უცდიდა ხოლმე მას.

ერთხელ ფიზიოლოგიის პატრიარქი ადრე მობრძანდა, საზაფხულო ლაბადა ჩემთან დატოვა და ბატონ ნიკოსთან შევიდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კვლავ მომაკითხა. ჩაფიქრებული იყო. როდესაც ლაბადა ჩაიცვა და ოთახიდან უნდა გასულიყო, შევნიშნე, რომ ჩემი საზაფხულო პალტო ეცვა. მოკრძალებით შევკადრე:

— ბატონო ივანე, თქვენ ჩემი ლაბადა გაცვიათ, თქვენი კი აი აქ არის-მეთქი, — ვაჩვენე. შემობრუნდა. ჯერ პალტოს დახედა და შემდეგ მე დამაკვირდა,

— შენ რა ხუმრობის ხასიათზე ხარ, ასეთი რა მოხდაო, — მითხრა და კარებში გავიდა.

რა მექნა არ ვიცოდი, უხერხული იყო, აშკარად ეტყობოდა, რომ თავისი პალტო არ ეცვა. ამ დროს ბატონი ნიკო შემოვიდა. მომისმინა და დამაიმედა:

— არა უშავს რა, შინ მანქანით წავა, იქ კი ოლღა ანტონის ასულს ეგ არ გამოეპარება. ახლავე გარაჟიდან მანქანა გამოიძახე და საკუთარი ლაბადა სახლში გაუგზავნე.

დარეკვა ვერც კი მოვასწარი, რომ კარებში პირმოცინარი ბატონი ივანე შემოვიდა და მე მომმართა:

— შენ მართალი ყოფილხარ. პირველ სართულზე რომ ჩავედი, გარდერობში მომუშავე ქალმა შემამჩნია:

— ბატონო ივანე, თქვენ სხვისი ლაბადა გაცვიათო.

ბატონმა ნიკომ სიცილით ჰკითხა:

— ივანე სოლომონის ძეე, ჩვენს აკადემიკოს-მდივანს შენთან რატომ არა აქვს ავტორიტეტი?

— ნიკოლოზ ივანეს ძევ, თქვენ ხომ იცით, რომ ყველა კაცს თავისი ავტორიტეტის ზონა აქვს! აბა, დურმიშიძემ ტანსაცმლისა რა იცის! გარდერობის მუშაკი აქ აკადემიკოს-მდივანიც არის და პრეზიდენტიც.

ივანე ბერიტაშვილი 30 წელზე მეტი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. განსაკუთრებით აქტიური იყო, როდესაც მსჯელობა ბიოლოგიისა და მედიცინის პრობლემებს ეხებოდა. პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა, რომ ფიზიკის ინსტიტუტთან რეაქტორი აეშენებინათ. საჭირო იყო რეაქტორის მშენებლობისათვის ადგილის შერჩევა მცხეთის რაიონში. ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა რეაქტორისათვის მუხათგვერდი შეარჩია და სთხოვა პრეზიდენტს ადგილის შესამოწმებლად კომისია გამოეყო. რეაქტორისათვის შესაფერი ადგილის შესარჩევად მუხათგვერდში გაემგზავრნენ ივანე ბერიტაშვილი, გიორგი ძოწენიძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი, პრეზიდიუმის სწავლული მდივანი დავით ფურცელაძე, აკადემიის მშენებლობის უფროსი გოგი ჯანდიერი და ამ სტრიქონების ავტორი.

მუხათგვერდი ყველას მოეწონა; ნავარაუდევი ფართობი ყოველმხრივ მისაღები აღმოჩნდა, ელეფთერ ანდრონიკაშვილის წინადადებას ერთხმად დაეთანხმნენ. უკან დაბრუნებისას ჩემი წინადადებით მტკვრის პირას სასაუზმეში შევედით. ბუნების წიაღში ყოფნამ და პერსპექტიული საქმის საფუძვლის ჩაყრამ ყველას გუნება-განწყობილება გაუხალისა. თამადად ერთხმად ბატონი ივანე ავირჩიეთ. ფიზიოლოგიის პატრიარქი ამ საქმეშიაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, შესანიშნავად თამადობდა, სუფრა ბრწყინვალედ მიჰყავდა, თუმცა მუკუზნურ ღვინოსთან მხოლოდ სიმბოლური ურთიერთობა ჰქონდა. ისეთ საინტერესო ამბებს გვიამბობდა, დაშლა აღარ გვინდოდა.

მეორე დილით ბატონმა ნიკო მუსხელიშვილმა გამომიძახა და შეწუხებულმა მომმართა:

— რა მოხდა, გუშინ სად იყავით, ივანე ბერიტაშვილი წუხელ ავად გამხდარა.

ხომ წარმოგიდგენიათ, ამის გამგონეს რა მომივიდოდა! საყვედურს ყველა მე მეუბნებოდა და ჭკუას გულუხვად მარიგებდა:

— ეს როგორ გაბედეთ, ბატონი ივანე სად შეგიყვანიათ, მერე თამადადაც რომ აგირჩევიათ? თქვენში დამჯდარი ჭკუისა არავინ იყო?!

რა მექნა, აღარ ვიცოდი. არაფრის თქმა არც შემეძლო და არც მორალური უფლება მქონდა. ძლივს-ძლივობით დავაღამე.

მესამე დღეს დილით სახლში ტელეფონის ზარი შემომესმა. არ გინდა აიღო და მოისმინო... ვინ იცის, როგორ არის ბ-ნი ივანე! ყურმილთან ივანე ბერიტაშვილი იყო.

— დურმიშიძე, როგორა ხარ? მართალი მითხარი, ხომ კარგი თამადა ვიყავი, შენ არავის არაფერი დაუჯერო. მცხეთაში ჩვენი მოგზაურობა შესანიშნავი იყო, ყველაფერი მომეწონა — მუხათგვერდიც და ჩვენი სუფრაც. თუ ვინმენ გკითხოს, რატომ იყო ივანე თამადაო, აუხსენი, რომ ძველ საქართველოში თამადობა სასახელო საქმე იყო, თამადობას ყველას არ მიანდობდნენ, თამადას აზრი და ჭკუა მოეთხოვებოდა. ქართული სუფრა ღრეობის ადგილი სულაც არ იყო-თქო.

— აბა, მოიფიქრე, შემდეგ სად წავიდეთო, — ლაღად და გემრიელად იცინოდა ბატონი ივანე.

ბატონ ივანეს ახალგაზრდული ინტერესი და ოცნების უნარი, უშრეტი ენერგია და ნათელი გონება სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შერჩა. გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე აკადემიის პრეზიდენტი ილია ვეკუა და მე ბატონ ივანეს ოჯახში ვესტუმრეთ. მისალმებაც კი ვერ მოვასწარით, რომ მან საუბარი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მომავალ დირექტორზე დაიწყო: დირექტორს არჩევის ვადა გაუვიდა და საჭირო იყო ხელახალი არჩევა. ბატონი ივანე მისთვის ჩვეული პირდაპირობით ახასიათებდა თითოეულ მოსალოდნელ კანდიდატს. ძლივს დავარწმუნეთ, რომ ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ ვიყავით მისული. მისი რეაქცია არ იყო გასაკვირი; საქმე ხომ მის მიერ დაარსებული და დავაკაცებული ინსტიტუტის მომავალ ბედიღბალს ეხებოდა. როგორც თვითონ ამბობდა, ასეთ საქმეში შეცდომა, სულ მცირე, მეცნიერთა სამ თაობას მაინც დაუჯდებოდა ძვირად.

როდესაც დარწმუნდა, რომ, ვინც მას არ სურდა, იმისი დირექტორად დანიშვნა აკადემიის ხელმძღვანელობას არც კი უფიქრია, მაშინ მოგვიკითხა, როგორა ხართო და დისციპლინის რა ახალი ფორმა გამოიგონეთ, რომ მეცნიერს მუშაობა არ დააცალოთო. ბატონი ილია, როგორც ყოველთვის, ახლაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა:

— ჩვენ ახლა დისციპლინის ახალ ეტაპზე ვიმყოფებით, მეცნიერ თანამშრომლებს არავითარ მუშაობას აღარ ვთხოვთ, მხოლოდ ჯამაგირის აღებაა მისთვის სავალდებულო.

საუბარი ნორმალურ კალაპოტში მოექცა და ბატონი ივანეს მეუღლემ, ქალბატონმა ოლღამ, სუფრასთან მიგვიწვია. ჩვენ, სტუმრებს, გვაინტერესებდა ბატონი ივანეს ცხოვრების რეჟიმი და კითხვა-კითხვაზე ვაყრიდით.

— მე ვცხოვრობ ოლღა ანტონის ასულის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. იმას ჰკითხეთ, რა მეცნიერული დებულებებით სარგებლობს, არ ვიცი, — გვიპასუხა ბატონმა ივანემ.

როდესაც აღარ მოვეშვით, ზოგი რამ მაინც გვითხრა:

—კვებაში მთავარია ზომიერება; ჭამეთ ყველაფერი, მხოლოდ ცოტ-ცოტა. ადამიანის მთავარი მტერია ძღომა, შიმშილი კი უახლოესი მეგობარი.

— სერგო, შენ თუ ჯანმრთელობაზე ზრუნავ, არ უნდა იარო მოხრილი. არც შენი ჯდომა მომწონს. ახლა რომ ასე ხარ, ჩემი ხნისა რას დაემგვანები. ხომ ხედავ, ილია როგორ ალვის ხესავით არის, ამას უნდა მიბაძო. მე ზოგჯერ ზურგით კედელს ავეკრობი და ისე ვისვენებ. თუ დაკვირვებიხარ, ამას დროდადრო პრეზიდიუმის სხდომებზეც ვაკეთებ. თუმცა რას გიხსნი, ბიოქიმიკოსები რას გაიგებთ, თქვენ ხომ ერთ უჯრედს ჩაჰკირკიტებთ. — დაასრულა შეგონება ბატონმა ივანემ.

დერეფანში „შვედური კედელი" ჰქონდა გამართული. შეამჩნია, რომ მას ვათვალიერებდი და განმარტა:

— დიდებულია, უკეთესი სავარჯიშო ბუნებაში მაიმუნებსაც კი არ გააჩნიათ.

ბატონმა ილიამ საუბარი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მომავალ შენობაზე გადაიტანა; ბატონ ივანეს ეს საკითხი ყოველთვის აღელვებდა. ისინი თანდათან საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საქმიანობის განხილვაზე გადავიდნენ. წამოსვლის წინ ბატონ ივანეს კიდევ ერთი შეკითხვა შევაპარე:

— როგორ ფიქრობთ, სადილის შემდეგ ძილი სასარგებლოა თუ არა?

— ალბათ სასარგებლოა, ასე რომ არ იყოს, ცხოველები გამოკვების შემდეგ არ დაიძინებდნენ. საერთოდ გახსოვდეს: თუ მრჩეველი არ გეყოლება, ცხოველების მოქმედებას დააკვირდი, მათგან ბევრს ისწავლი. ჩვენ, ფიზიოლოგები ცხოველებისაგან საკმაოდ ვართ დავალებულნი. თუმცა შენ რას გაიგებ, გამოუსწორებელი მემცენარე ხარ. — ღიმილით მიპასუხა ბატონმა ივანემ.

აკადემიაში დაბრუნებისას პრეზიდენტი აღტაცებული იყო:

შესანიშნავად არის, ეჭვი არ არის, რომ ბატონ ივანეს კიდევ მრავალი წლის სისხლსავსე სიცოცხლე უწერია!

1980

ერის მეჯურჭლეთუსუცესი

„საფლავი შენისთანა კაცისა
სალოცავია მამულისა".

აკაკი

1953 წლის 21 თებერვალს, ოთხმოცდაათი წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი. 24 თებერვალს იგი მიწას მიაბარეს ვაკის სასაფლაოზე, ქართველ მეცნიერთა განსასვენებელში.

ათი წლის შემდეგ, მისი დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით, მადლიერმა სამშობლომ მას მუდმივ ადგილსამყოფელად დიდუბის ქართველ მოღვაწეთა სავანე მიუჩინა.

წყნარი და ნათელი იყო 1963 წლის 10 მარტის დილა. ამ დღეს ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი საქართველოს მწერალთა კავშირსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დიდუბის პანთეონში უნდა გადაესვენებინა. გადაწყდა გადასვენების ცერემონიალი უხმაუროდ მომხდარიყო. მიცვალებულის თანხლება მხოლოდ ოთხ კაცს ხვდა წილად: აკაკი შანიძეს, ირაკლი აბაშიძეს, ისიდორე დოლიძეს და ამ სტრიქონების ავტორს.

ჩვენს მისვლამდე კუბო საფლავიდან უკვე ამოეღოთ. ნეშტის ახალ კუბოში გადატანა საჭირო აღარ შეიქნა, კარგად იყო შენახული.

ბატონმა აკაკიმ მოითხოვა, რომ კუბო აგვეხადა, მიცვალებული გვენახა.

— ერის წინაშე პასუხს ვაგებთ, რაიმე გაუგებრობა არ მოხდის. ვიცოდეთ, ვისი ნეშტი გადაგვაქვსო.

კუბოს მოწიწებით ავხადეთ თავი... გულის ბაგაბუგი და საფეთქლებში ეროს ცემა ერთდროულად ვიგრძენი... ვეღარაფერი გავარჩიე

ბატონი აკაკი დაღვრემილი და ოდნავ წელში მოხრილი დიდხანს დაჰყურებდა ნეშტს.

მეც ზოგი რამ ცხადად და გარკვევით დავინახე. ფიჯაკის ყველა ღილი შეკრული იყო. კუბოს შიგნით გამოკრული თეთრი ქსოვილი მიცვალებულის სამოსელს მკვეთრ ელფერს აძლევდა. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი კარგად შენახულიყო.

აკაკი შანიძე კვლავ კარგახანს იდგა მიცვალებულთან და სდუმდა.

ნელი სვლით წავედით დიდუბისაკენ. იქ ექვთიმეს რამდენიმე ნათესავი დაგვხვდა. როდესაც კუბო ახლად გათხრილი საფლავის პირას დავასვენეთ, ბატონმა აკაკიმ ერთხელ კიდევ ისურვა ეხილა ნეშტი, ისე დაიხარა, თითქოს საიდუმლოდ ებაასებოდა მას. მე მომეჩვენა, რომ ექვთიმეს ხორცი შესხმოდა და მადლიერი თვალებით შესცქეროდა აკაკის. ყველა ჩვენთაგანი ფიქრებს სადღაც შორს წაეღო. ეს უსიტყვო, თავისებური გლოვა ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ მესაფლავემ მოგვმართა:

— ბატონო, ასე რამდენხანს ვიდგეთო!

ექვთიმე თაყაიშვილის ნეშტი ნელა ჩაეშვა მუდმივ სამყოფელში, რბილად მიეყარა მისი სათაყვანო ქართული მიწა.

უკანასკნელად გამოვეთხოვეთ ასი წლის მოხუცს. „ერის მეჭურჭლეთუხუცესი“ სამუდამოდ მიებარა დიდუბის მიწას.

დავტოვეთ ახალმიწამიყრილი საფლავი და ექვთიმეს ძმისშვილს ნუნუ თაყაიშვილს და მის მეუღლეს პეტრე დემეტრაძეს ვესტუმრეთ. ყველა გრძნობდა, რომ ჩვენი უსიტყვოდ. უთქმელად დაშორება დღეს შეუძლებელი იყო!

მოზღვავებულმა გრძნობამ ექვთიმესეულ ოჯახში გარდასულ დროთა ამბები გააცოცხლა. რა არ ითქვა ექვთიმეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე...

ერთხანს მოგონებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავსახლდით.

ძნელია წარმოიდგინო ის ატმოსფერო, რაც ექვთიმე თაყაიშვილთან შეხვედრისას უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში სუფევდა.

ჩვენს თვალწინ წლების, შრომისა და გაჭირვებისაგან დამზრალ მოცახცახე სხეულიდან უდიდესი სულიერი ენერგია ჩქეფდა. მისი ანთებული თვალები იმედითა და აღტაცებით იცქირებოდა დარბაზისაკენ. ყველას უჭირდა მოჭარბებული გრძნობების დაოკება, ყველა ღელავდა...

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი იდგა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე და გონების თვალი ჯერ კიდევ ვერ გაეს-წორებინა იმ ცვლილებებისათვის, რაც ოცდახუთი წლის მანძილზე ქართულ უნივერსიტეტს, ქართულ კულტურას განეცადა.

იმ დაუვიწყარ დღეს ნიკო კეცხოველის წყალობით მეც მხვდა წილად ახლოს ვმდგარიყავი ლეგენდარულ მოხუცთან.

ექვთიმე ორჯერ შეეკითხა რექტორს:

— ნიკო, ვინ არის ეს ხალხი? — თითქოს სურდა მრავალჯერ დამტკბარიყო სინამდვილის მოსმენით.

— მეცნიერები, უნივერსიტეტის მასწავლებლობა, ასპირანტები, სტუდენტობა, — მრავლისმთქმელი ღიმილით უპასუხებდა ნიკო კეცხოველი.

ექვთიმე ხელებით კათედრას დაეყრდნო, თითქოს შინაგანი ღელვის დაფარვა სურსო, მაგრამ სხეული კიდევ უფრო ძლიერად აუთრთოლდა. მცირე შესავალი სიტყვის შემდეგ მან აკაკის ლექსით მოგვმართა:

ეა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო,
დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ —
შენს მიწას მიმაბარეო.

ამ შეხვედრის მონაწილენი ახლაც ირწმუნებიან, რომ კვლავ ესმით ყურში მოხუცის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები.

დარბაზში ამ დროს, ალბათ, არავინ არ სუნთქავდა!

სუფრასთან მსჯელობა გაიმართა — კიდევ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო მისი სახელის უკვდავსაყოფადო. ერთი რამ ყველას სწამდა — ექვთიმე თაყაიშვილის სიყვარული სამშობლოსადმი იმდენად დიდი და უმწიკვლო იყო, რომ იგი საქართველოს ყოველი კუთხის მიწას მთაწმინდად ჩათვლიდა.

შინ წასვლა არავის არ სურდა, ათი წლის წინანდელი ჭრილობა გაიხსნა და ეტყობოდა ძნელი იყო მისი ასე მალე მოშუშება.

დიდი ხანი გავიდა, — თითქმის თორმეტი წელი, და ერთხელ აკაკი შანიძეს მოკრძალებით შევბედე:

— ბატონო აკაკი, რატომ აგვახდევინეთ ექვთიმე თაყაიშვილის კუბო რამდენჯერმე, რატომ დასცქეროდით ასე ხანგრძლივად მის ნეშტს-მეთქი.

— დიდ, ძალიან დიდ ადამიანს, დიდ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ვემშვიდობებოდით, ვემშვიდობებოდით ყველას მაგიერ და ეს იოლი საქმე არ იყოო, — მიპასუხა ბატონმა აკაკიმ.

დროდადრო მოსვენებას არ მაძლევდა აკვიატებული აზრი: როგორი იყო და სად ინახებოდა ოთხმოცდაათი წლის მოხუცის ტვინი.

რამდენიმე ათეული წელია, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრასთან შეიქმნა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების თავის ტვინის მუზეუმი. აქ ყოველი თავის ტვინი ჰერმეტულად დახურულ მინის ქილაშია მოთავსებული. თითოეულ ქილას მრავლისმეტყველი ორ-ორი სიტყვა აწერია: ნიკო ნიკოლაძე, ანდრია რაზმაძე, ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავა-

ხიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, შალვა დადიანი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი...

ღირსეულთა რა დიდებული კრებულია!

რა მცირეა აზრთა ამ სამეფოების მიერ დაკავებული სივრცე! ყველას ერთად სრულად დაფარავდა თამარ მეფის მიერ ნაქარგი დაფარნა*.

დგახარ ამ საოცარ გარემოცვაში და სული შფოთავს, გული ღელავს და მთელი არსებით თრთი, გეუფლება ფიქრი — ვინ მოგცა უფლება, რომ ხელით ეხები ამ მაღალ ღმერთებს, იქნებ ისინი მთლიანად, განუყოფელად აქ არიან და არა იქ — საძვალეში.

საოცარია, როგორ იბადება, ვაჟკაცდება და ისადგურებს ყოველ ამ ორ პეშვ ტვინის ქსოვილში უსაზღვრო ოცნება თუ მისწრაფება, მწუხარება და სიხარული, ეჭვი და იმედი, სიყვარული თუ შემოქმედება...

კათედრის გამგე პროფესორი თამარ დეკანოსიძე და აკადემიკოსი ირაკლი ტატიშვილი მოწიწებით იღებენ ხელში ქილას, რომელშიც ექვთიმე თაყაიშვილის ტვინია მოთავსებული და ახასიათებენ მას. „მიუხედავად ზოგიერთი შესამჩნევი ცვლილებებისა, მხცოვან მეცნიერს თავის ტვინის სისხლით კვება ნორმაში ჰქონდაო", — ასკვნის ქალბატონი თამარი.

ექვთიმე თაყაიშვილის გვამის პათოლოგ-ანატომიური გამოკვლევა ვლადიმერ ჟღენტს, ირაკლი ტატიშვილს და ლუარსაბ შარაშიძეს შეუსრულებიათ.

აქ, კათედრაზე, თითოეული მოღვაწის თავის ტვინის შესახებ მრავალი ცნობა მოიპოვება. სათანდაო აქტებშია ჩაწერილი ტვინის წონა, მოცულობა, ფორმა, ვიზუალური დახასიათება.

ტვინის წონა და ზომა... ეპატიოს მეცნიერებას ეს „კადნიერება".

რაზე უნდა მიგვანიშნოს ამ ლიტონმა მაჩვენებლებმა, თუ კი ტვინის დიდი ნახევარსფეროების მხოლოდ ქერქში თითხმეტ მილიარდამდე ნერვული უჯრედია, ხოლო კაპილარული ბადის საერთო სიგრძე ათას ორას კილომეტრს აღწევს!.

ბუნების რა დიდი საიდუმლოებებია ჯერ კიდევ ამოუცნობი!

ერთდროულად გვეუფლება აღტაცება და სევდა, როდესაც უსმენ ჩვენს მეცნიერებს, რომ ივანე ჯავახიშვილის ტვინს არ ემჩნევა არავითარი ასაკობრივი ცვლილებები, მიუხედავად იმ ტიტანური შრომისა, რაც მან თავის სიცოცხლეში გასწია.

---

* „სიწმინდის საფარებელი" (სამ.).

და თუ ბატონი ივანე სიცოცხლის ბოლო წლებში მაინც ხანდაზმულ კაცს ჰგავდა, ბაირონის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი „დაბერდა დიდთა საქმეთაგან და არა წლებით“.

როდესაც აკადემიკოს ირაკლი ტატიშვილსა და პროფესორ თამარ დეკანოსიძესთან ერთად მინის წმინდა ქილებს კვლავ თავის ადგილზე ვალაგებდით, უმალ აზრი დამებადა — ამიერიდან ამ ეროვნულ საგანძურს „ქართველი მოღვაწეების ტვინთა სავანე“ ეწოდოს... ხოლო მასში ივანე ჯავახიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის აზროვნებათა სამფლობელოებს გვერდი-გვერდ მიეჩინოს ადგილი.

ეს ორი ადამიანი თბილისის უნივერსიტეტის საძირკველთანაც ხომ ერთად იდგა!

1977

ყურძნის მტევანი

დიმიტრი უზნაძე თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფსიქოლოგიას კითხულობდა. ზოგჯერ ზაფხულობით აქეე ისვენებდა ხოლმე. უყვარდა მეეენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემოვლა და ჩვენი მუშაობის გაცნობა. ბავშვობა ქვემო საქარაში ჰქონდა გატარებული და დასავლეთ საქართველოს მეეენახეობა-მეღვინეობას საფუძვლიანად იცნობდა. განსაკუთრებით კარგად ვაზის ჯიშები იცოდა. დიმიტრი უზნაძე და ივანე ბერიტაშვილი რამდენჯერმე ერთად გვეწვივნენ. ბატონ ივანეს განსაკუთრებით უყვარდა თელავში ყოფნა. იგი ხომ აქ სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ეკუთვნოდა ღა ჩვენი სახელოვანი მეცნიერები თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ დაგვხმარებოდნენ. ბ-ნი ივანე იმხანად სოხუმში თავის აგარაკზე ვაზის გაშენებას აპირებდა და მეეენახეობით იყო გატაცებული, ჯიშებს არჩევდა და მათ აგროტექნიკას ეცნობოდა.

მათთან საუბარი საინტერესოც იყო და საფრთხილოც. დიმიტრი უზნაძე არავითარ შემთხვევაში არ გაპატიებდა ქართული სიტყვის არასწორად გამოთქმას, ივანე ბერიტაშვილი კი შენიშვნებს ისეთი პირდაპირობით და სიმკაცრით იძლეოდა, რომ მათი მონელება არც ისე ადვილი იყო. ორივე დიდად იყო დაინტერესებული ვაზისა და ღვინის კოლექციებით, ყურძნის გადამუშავების, ღვინის ტექნოლოგიის ქართული წესებით. მათი დიდი სურვილი იყო ქართული მეეენახეობისა და მეღვინეობის მაღალმეცნიერულ დონეზე განვითარება.

თელავში ორივენი ოჯახებით ცხოვრობდნენ ხოლმე და უყვარდათ ბაზარზე გამოსვლა, გლეხებთან საუბარი. ერთხელ, კვირა დილით, თელავის ბაღთან შეეხვდი დიმიტრი უზნაძის მეუღლეს ქალბატონ შუშა-

ნას. იგი ბაზრიდან ბრუნდებოდა, თან სიძე — პროფესორი მიხეილ შიშნიაშვილი ახლდა და, შემნიშნა თუ არა, პირდაპირ ჩემთან მოიჭრა და აღელვებულმა მომმართა:

— ბატონო სერგო, ეს რასა ჰგავს, აკადემიას აქ ათეული ჰექტარობით ვენახები აქვს და ჩვენ კი ყურძენს მტევნობით ბაზარზე ეყიდულობთ. ნუთუ არ შეიძლება, რომ თქვენთან სახელმწიფო ფასით შევიძინოთ. გვეცოდინება მაინც, რას ვეპამთ. თქვენ ვალდებული ხართ ამ საქმეს დროულად მიხედოთ!

ბატონ დიმიტრის მეუღლეს მე არ ვიცნობდი და მისმა აგრესიულმა კილომ დამაბნია. ვიდრე პასუხს მოვახერხებდი, მან კალათიდან ლეღვის ფოთოლში გახვეული სამი მტევანი ამოიღო, გამომიწოდა და კვლავ შემომიტია:

— აბა შეხედეთ, რა ყურძენია, განა ეს შეიძლება ბავშვებს აჭამო!

ხელი გაშლილი ჰქონდა და ჩემგან პასუხს მოითხოვდა. მიხეილ შიშნიაშვილმა, რომელიც სიდედრის ზურგსუკან იდგა, რაღაც მანიშნა, მაგრამ ვერ გავიგე.

ის იყო ქ-ნ შუშანას ყურძენი უკანვე კალათაში უნდა ჩაედო, რომ მივწვდი ერთ მტევანს: მიწდოდა გამეგო. თუ რამდენად მწიფე იყო. რაღაც უცნაური ჯიშისა ჩანდა. ორი მარცვალი მოვწყვიტე თუ არა, ბატონი დიმიტრის მეუღლე უეცრად მოტრიალდა და ენერგიული ნაბიჯით გამშორდა. ყველაფერი ისეთი ელვისებური სიჩქარით მოხდა, რომ ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოვასწარი. მეპირა ხელში ყურძნის მტევანი და მიხეილს შეეცქეროდი.

— ეს რა ჰქენი?! — მომახალა მიშამ და სიდედრს დაედევნა.

ყურძნის მტევანი შინ წამოვიღე. მთელი საღამო უგუნებოდ ვიყავი. ვერ გავიგე, რა მომივიდა. ხომ უნდა განმემარტა, რომ ჩვენი საადრეო ჯიშები ჯერ არ იყო მწიფე და, როდესაც დამწიფდებოდა, რა თქმა უნდა, მივართმევდი. ღამე რამდენჯერმე დავაწყვე გეგმა. თუ როგორ ავუხსნიდი ბატონ დიმიტრის ყველაფერს და როგორ მოვიხდიდი მასთან ბოდიშს. დილით არც ერთი ვარიანტი არ მომეწონა. ინსტიტუტში შინაგანად გამოცარიელებული წავედი.

დღის 12 საათი იქნებოდა, როდესაც შემატყობინეს, რომ ინსტიტუტის ეზოში დიმიტრი უზნაძეაო. შენობის მთავარ შესასვლელთან შევეგებე. იგი ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა, ღიმილით მომესალმა და წყნარად მომმართა:

— თქვენთან იმისათვის მოვედი, რომ ბოდიში მოგიხადოთ. ვწუხვარ, რომ ჩემმა მეუღლემ თქვენ ასეთ დღეში ჩაგაგდოთ; მასაც და მეც უნდა გვაპატიოთ. დიასახლისის როლი და პოზიცია რამდენადმე თავისებურია ყოველთვის.

მხრებზე ხელი დამადო, გულიანად გაიცინა და მითხრა:

— თუ მართალია, რომ სამი მტევნიდან ერთი, ყველაზე უკეთესი, თქვენ აირჩიეთ და უსიტყვოდ დაიწყეთ მისი დამარცვლა, ეს ბრწყინვალე საპასუხო რეაქციაა, შესანიშნავი ფაქტია! ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი ოჯახი გიხდით ბოდიშს. იმედია, გაგვიგებთ.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. რას მოველოდი და როგორ შემიტრიალა ყველაფერი ბატონმა დიმიტრიმ.

იმ დღეს იგი დიდხანს დარჩა ჩვენთან, ინსტიტუტში. ბიბლიოთეკას ახალი მიღებული ჰქონდა უცხოური ლიტერატურა და ვაჩვენე. გაიცნო ცნობილი გოლიცინის ქალიშვილი, რომელიც ჩვენ დროებით თბილისიდან ჩამოვიყვანეთ ასპირანტების მასწავლებლად ფრანგულ ენაში. მათ მალე აღმოაჩინეს საერთო ნაცნობები და საუბარი მეტად საინტერესო აღმოჩნდა. განსაკუთრებული გულდასმით გერმანულ და ფრანგულ სპეციალურ ლიტერატურას ათვალიერებდა. გვესაუბრა, სწამდა, რომ მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიკაში დიდი როლის შესრულება შეეძლო. გაცილებისას გვისაყვედურა:

— ეს როგორ მოგვიდათ, რომ საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში დაარსდა და თქვენ იგი რამდენიმე წელში ხელიდან გაუშვით, სხვა რესპუბლიკას გადაულოცეთ. ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის რომ მეტი ყურადღება მიგექციათ, ეს არ მოხდებოდა. მე განსაკუთრებით სოლო ჩოლოყაშვილისაგან მიკვირს, მას არც განათლება აკლია, არც ცხოვრების გამოცდილება და არც ნამდვილი პატრიოტიზმი, თუ ჩვენი ვაზი და ღვინო მსოფლიოში საუკეთესოა, ამ დარგის მეცნიერებაც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში უნდა ვითარდებოდეს.

ბატონ დიმიტრისთან საუბრისას, მასთან ყოფნისას რაღაც სულიერი სიმშვიდე, მომავლის იმედი გეუფლებოდა.

როდესაც დაგვემშვიდობა, ისევ ღიმილით მომმართა:

— ხომ გვაპატიეთ, მე მგონია კვლავ მეგობრები დავრჩებით!

და მე მაინც მანამდე ვერ მოვისვენე, ვიდრე ქალბატონ შუშანას არ შევხვდი და ჩემი უცნაური საქციელისათვის ბოდიში არ მოვუხადე.

1980

ორი ეპიზოდი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შალვა ნუცუბიძის ბოსვლა არ გამკვირვებია. ამ შეხვედრას კარგა ხანია ველოდი: გარეუბნის რაიაღმასკომმა დადგენილება გამომიგზავნა შ. ნუ-

ცუბიძისათვის გლდანში მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის შესახებ, მისი სისრულეში მოყვანა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ევალებოდა.

შალვა ნუცუბიძის საჯარო გამოსვლები მრავალჯერ მომისმენია, შეც აღტაცებულვარ მისი დიდი ნიჭითა და მახვილგონიერებით, მაგრამ პირადად მას მანამდე არ შევხვედრივარ. ბატონი შალვა აღელვებული ჩანდა, საუბრის დაწყებისას კიდევ უფრო მეტად აინთო. — ბატონო სერგი, ვწუხვარ, რომ სრულიად უბრალო საქმეზე უნდა შეგაწუხოთ. თქვენ კულტურული კაცი ბრძანდებით და, რა თქმა უნდა, იცით, რომ მე ფილოსოფოსი ვარ. მოხდა ისე, რომ ამ ბოლო ხანს მე შემოქმედებითი მუშაობის უფლება შემეზღუდა, ახლა „ღმერთების“ ნაცვლად მიწას ვებრძვი! რამდენიმე წლის წინათ გლდანში მომცეს რიყითა და ჯაგნარით დაფარული მიწის ნაკვეთი. მე და ჩემმა მეუღლემ ხანგრძლივი, თავდაუზოგავი შრომის შედეგად შესანიშნავი ვენახი, ბაღი და ყვავილნარი გავაშენეთ, რომ ნახოთ გაგეხარდებათ, ნამდვილი წალკოტია. და აი, ერთ დღეს მობრძანდა ვიღაც პრიმატების ჯგუფის „ინსერტე სედის“ წარმომადგენელი და გამოგვიცხადა — „თქვენ ბაღი ჩამოგერთვათ, აქაურობა უნდა დატოვოთო!“ რა მოხდა ისეთი, რომ თოხითა და ბარით შრომა ამეკრძალოს?! იქნებ მიწა გაქლიათ? ჩვენი ბაღის ირგვლივ, რამდენიც გნებავთ, იმდენი რიყე და ჯაგნარია და, რაც მთავარია, გლდანის ნაკვეთი ჩემთვის მხოლოდ ჩვეულებრივი ბაღი არ არის! იქ დაკრძალულია ჩემი პატარა ვაჟი, იქაა აგრეთვე ჩვენი გამოჩენილი მეცნიერების მიერ დარგული სამახსოვრო ხეები. რატომ ან ვისთვისაა საჭირო, რომ ჩემი ბაღი კვლავ მიწის უვარგის ნაკვეთად გადაიქცეს?! მრავალჯერ დავსჯილვარ უსამართლოდ, მაგრამ ეს მეტისმეტია! გთხოვთ გააუქმოთ უკანონო გადაწყვეტილება.

დიდხანს ვისაუბრეთ. გამოვიღე სეიფიდან გარეუბნის რაიაღმასკომის დადგენილება და ვაჩვენე. გაუკვირდა — არ მეგონა, თუ ასე ენერგიულად იბრძოდნენ ჩემს წინააღმდეგო. შევთანხმდით, ყველაფერს გავარკვევდი და შედეგს შევატყობინებდი. გამომშვიდობებისას გამაფრთხილა, ერთი კვირის შემდეგ კვლავ მოგაკითხავთო.

რაიაღმასკომის დადგენილება იურიდიულად სწორი აღმოჩნდა, მისი შეცვლა შეუძლებელი შეიქნა. როგორ უნდა მოექცეულიყავით?! საქმის ასეთი მდგომარეობა გავაცანი საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ამხანაგებს და ვითხოვე სიტყვიერი ნებართვა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გლდანის რაიაღმასკომის აღნიშნული დადგენილება არ მოეყვანა სისრულეში. შალვა ნუცუბიძის მრავალმხრივი დამსახურება მათ კარგად იცოდნენ და დამთანხმდნენ: თქვენს „უკანონო“ მოქმედებას ჩვენ არ გავარჩევთ, ბაღი შ. ნუცუბიძეს დარჩება, მაგრამ თუ საქმე რესპუბლიკის გარეთ გახმაურდება, მაშინ, რა

თქმა უნდა, თქვენ დასჯა არ აგცდებათო, — ასე გამაფრთხილეს ხელ-მძღვანელმა მუშაკებმა.

დათქმული დროც მოვიდა და ბატონი შალვა სამინისტროში კვლავ მობრძანდა. ყველაფერი დაწვრილებით და შეულამაზებლად ვუამბე. დინჯად მომისმინა, ჩაფიქრდა და მკითხა — თქვენ როგორ ვარაუ-დობთ, რამდენ ხანს დაგტოვებენ ამ პოსტზე? რაც შემეძლო, დავამშვი-დე ბატონი შალვა; დავპირდი, რომ, ყოველ შემთხვევაში, კიდევ ერთი სოფლის მეურნეობის მინისტრი, რომელიც მე შემცვლიდა, არ შეეხე-ბოდა მის ბაღს გლდანში.

— ბატონო სერგი, ახლა 1955 წელია, ღმერთმა დიდხანს კარგად გამყოფოთ, მაგრამ მაინც უნდა გითხრათ: ვაი თუ თქვენი მინისტრობა შაგრენის ტყავივით შემომადნეს ხელში, მაშინ?!

იმავე წლის ბოლოს მართლაც დავტოვე სამინისტრო. სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გადამიყვანეს. სოფლის მეურ-ნეობის მინისტრად დანიშნეს ვალერიან ქერშაძე. სამინისტროს საქმეე-ბის გადაბარებისას. სეიფის გასაღები და გლდანის რაიაღმასკომის და-დგენილება ერთად გადავეცი და პირობა ჩამოვართვი, რომ შალვა ნუ-ცუბიძის ნაკვეთს ხელს არ ახლებდა. ასეც მოხდა, შალვა ნუცუბიძეს ბაღი საბოლოოდ შეუნარჩუნეს.

გაღიოდა წლები და ბატონ შალვას აკადემიაში სულ უფრო ხში-რად ვხვდებოდი. 1959 წლის გაზაფხულის ერთ დღეს მომინახულა და მთხოვა მასთან ერთად პრეზიდენტთან შევსულიყავი. ნიკო ჩემი ძველი მეგობარია, მაგრამ თქვენ, როგორც აკადემიკოს-მდივანი, უეჭველად უნდა დაესწროთ საუბარს, ჩემი პირადი საკითხი უნდა დავსვაო.

ნიკო მუსხელიშვილმა შალვა ნუცუბიძე თბილად მიიღო, გამოკი-თხა. როგორ ცხოვრობდა და იმჟამად რაზე მუშაობდა. საუბარში ეტ-ყობოდათ, რომ ერთმანეთის კარგიც იცოდნენ და ავიც.

— ნიკო, შენ ჩემი საქმიანობა კარგად მოგეხსენება. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მონაწილე ვარ. 1921 წელს სამ-შობლო არ მიმიტოვებია, ენერგიულად ვიღვწოდი, არა ერთი და ორი მონოგრაფია და სახელმძღვანელო შემიქმნია; ქართული ფილოსოფი-ური აზროვნების სამრეკლოში მეც ჩამომიკრავს ზარი! ამ ცხოვრების გზაზე არც მეგობარი მომკლებია და არც მტერი. თუ კი ვინმეს გა-მოუცდია, რას ნიშნავს „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“, ეს ნამ-დვილად მე ვარ! 1941 წელს, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შეიქმნა, არავის გავახსენდი. ღმერთმა შეგინდოსთ! მართა-ლია, აკადემიაში 1944 წელს ამირჩიეს, მაგრამ თქვენი „ყურადღება“ არც შემდეგში მომკლებია. 5 წლის შემდეგ ფილოსოფიის ინსტიტუტი-დან გამანთავისუფლეს, ხოლო 1953 წელს აკადემიის ნამდვილი წევრის

წოდება ჩამომართვეს. ახლა, მადლობა ღმერთს, კვლავ ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელი მაინც ვარ. ნიკო, ხომ არ დადგა დრო, რომ უფრო გაბედულად მოიქცე და დააყენო საკითხი ჩემი აკადემიაში აღდგენის შესახებ? მე მოწყალებას არ მოვითხოვ, შენ იცი. რომ მე მწარე ბედი ვერ მერევა, ჩემი ვარსკვლავი ჯერ არ ჩამქრალა, ისევ ბრწყინავს. მე მოვითხოვ „ჩემი საკითხის" კვლავ გარჩევას, აკადემიის მიერ მის გადასინჯვას. შენი პასიურობა მაკვირვებს, მოგჩერებივარ და ვერ გამიგია, ბოლოს და ბოლოს, რა ნიშნის მიხედვით ხარ პრეზიდენტი?!

ნიკომ პაპიროსი ჩააქრო, შალვას თვალებში ჩახედა და აუღელვებლად უპასუხა:

— შალვა, შენი მოქმედების ასპარეზი ყოველთვის ისეთი ფართო და არაჩვეულებრივი იყო, რომ მე მიჭირდა შენთვის თვალყურის დევნება, არასოდეს არ მესმოდა, თუ რა ხდებოდა შენს ირგვლივ და რატომ ხდებოდა! მართალი გითხრა, არც ახლა ვიცი, რა უნდა მოვიმოქმედო. ეს შენ უნდა გვითხრა, შენ უნდა გვიკარნახო. რაც შეეხება ჩემი პრეზიდენტობის ნიშან-თვისებებს, ადრე ამაზე არასოდეს მიფიქრია, ახლა მხოლოდ ერთს გეტყვი: ალბათ რაღაც მაქვს ისეთი, რაც შენი თვალთახედვის არეში ამჟამად არ ხვდება. რას ვიზამთ, ახალ არჩევნებამდე მაინც უნდა შეეგუო არსებულ ვითარებას. აკადემიის ნამდვილ წევრად შენი აღდგენის საკითხის განხილვას უეჭველად დავუჭერ მხარს. პრაქტიკულად ეს საქმე აკადემიკოს-მდივანს ეხება და ამას სერგი მოუვლის!

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ნიკო მუსხელიშვილი და შალვა ნუცუბიძე ერთმანეთს კეთილად დაშორდნენ.

გავიდა რამდენიმე კვირა და პრეზიდენტმა დავალება მომცა: პრაქტიკულად შეუდექით შ. ნუცუბიძის აკადემიის ნამდვილ წევრად აღდგენის საქმესო. ეს ამბავი ბატონ შალვას სასწრაფოდ ვაცნობე. საკითხის განხილვა ერთ წლამდე გაგრძელდა. სხვადასხვა ინსტანციაში წარსადგენი მასალის შედგენაში თვითონ ბატონი შალვა დაგვეხმარა.

1960 წლის აპრილში მივიღეთ მითითება, რომ მოგვეწვია საერთო კრება და დაგვესვა „ნუცუბიძის საკითხი". 14 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე ერთხმად აღადგინა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ერთი კვირის შემდეგ შალვა ნუცუბიძე აკადემიაში მოვიდა და კვლავ მთხოვა ნიკო მუსხელიშვილთან ერთად შეესულიყავით.

— ნიკო, შენი მადლობელი ვარ, ყველა იმათიც, ვინც სიმართლე დაიცვა. მზად ვარ შევასრულო ყველა დავალება, რაც საქართველოს მეცნიერების წინსვლას შეუწყობს ხელს, რაც ქართველი ხალხის უკ-

ვდავებას რასმე კიდევ შემატებს. შენ იცი, მე მშიშარა კაცი არასოდეს ვყოფილვარ, რაც დავიბადე, სულ მძაფრ ბრძოლაში ვარ, ყოველთვის გამიტანია ლელო, ახლაც ისევ ის ძველი შალვა ვარ.

ნიკომ სავარძელში ოდნავ უკან გადაიწია და ღიმილით ჰკითხა: — ჩემს პრეზიდენტობას რაღა ვუყოთ, ხომ არ გექნება რაიმე წინადადება? შალვა არც დაფიქრებულა, ისე მიაგებს: ისევ შეჩვეული „ჭირი" გვირჩევნია, იყოს რაც არისო. ორივემ გაიცინა.

იმ დღეს აკადემიიდან შალვა ნუცუბიძე ძველებურად მტკიცე ნაბიჯით, თავაწეული წავიდა, კვლავ ლაღი, ენერგიული და შემართებული.

1984

იუბილარი

კორნელი სამსონის ძე კეკელიძე საქართველოს სსრ მეცხიერებათა აკადემიის დაარსების დროს (1941 წ. 22 თებერვალი) სამოცდაორ წელს იყო მიღწეული. მას საქართველოს თხუთმეტ სხვა გამოჩენილ მეცნიერთან ერთად წილად ხვდა ისტორიული მისია — გამხდარიყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნამდვილი წევრი. ამ დროიდან ოცდაერთი წლის განმავლობაში აქტიურად ჟუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში როგორც მკვლევარი, პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე. დიდხანს იყო აგრეთვე შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. ამავე დროს წარმატებით განაგრძობდა თავის სისხლსავსე მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის დიდად აფასებდნენ აკადემიისა და უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის კორნელი კეკელიძის ღვაწლს ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაერთიანებულ სხდომებზე ორჯერ აღნიშნეს კორნელი კეკელიძის დაბადების საიუბილეო თარიღები.

1954 წლის 24 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული სხდომა მიეძღვნა კორნელი კეკელიძის დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს. იუბილარის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ალექსანდრე ბარამიძემ. თემაზე „კორნელი კეკელიძე და ქართული ენის საკითხები" ვარლამ თოფურიას მოხსენების ტექსტი წაიკითხა.

ივანე გიგინეიშვილმა. კორნელი კეკელიძის როლი ქართველი ერის ისტორიის შესწავლაში გააშუქა კ. გრიგოლიამ. იუბილარს მიესალმნენ აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, შალვა დადიანი, გიორგი ახვლედიანი, გიორგი წერეთელი, შალვა რადიანი და სხვ. ამ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კაბინეტს მიეკუთვნა კორნელი კეკელიძის სახელი.

1959 წლის 26 მაისს კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო სესია. სესიაზე წაკითხული იქნა მოხსენებები: „კ. კეკელიძე როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი“ (ა. ბარამიძე), „კ. კეკელიძე და საქართველოს ისტორიის საკითხები“ (კ. გრიგოლია), „კ. კეკელიძე. და ქართული ენის საკითხები“ (ი. ქავთარაძე), „კ. კეკელიძე და ქართული სამართლის საკითხები“ (ი. სურგულაძე).

სესია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნიკოლოზ მუსხელიშვილმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივში ინახება ბატონი კორნელი კეკელიძის ავტობიოგრაფია, რომელიც ასე იწყება: „დავიბადე 1879 წელს, ს. ტობანიერში (ვანის რაიონი) გლეხის—მიწის მუშის ოჯახში, პირველი დაწყებითი განათლება მივიღე ქუთაისის საასულიერო სასწავლებელში, საშუალო თბილისის სემინარიაში, ხოლო უმაღლესი კიევის აკადემიაში, რომელიც დავასრულე ლიტერატურის განყოფილებაზე 1904 წელს. კურსის დამთავრების შემდეგ ერთი წელიწადი მივლინებული ვიყავი, როგორც საპროფესორო სტიპენდიატი, ქართულ ხელნაწერებზე სამუშაოდ საქართველოში...“

ძვირფასო ვანელებო, თქვენ ბედნიერები ხართ... რისი სათავე არ იყრის თავს თქვენს მადლიან მიწა-წყალზე! ნება მიბოძეთ მოგვლოცოთ თქვენი ღვიძლი შვილის ბატონ კორნელი კეკელიძის დაბადების ასი წლის თავი, რაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მადლიერი ქართველი ერის საყოველთაო დღესასწაულად არის ქცეული.

1979

ბერმუნა

„სიკეთისათვის სიკეთეს
არავის დავუგვიანებ“. ვ. ქ.

ნახევარი საუკუნე გავატარე ნიკო კეცხოველის საზოგადოებაში. ჩემი ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე მასთან მქონდა უშუალო ურთიერთობა. მე ვიცნობდი ნიკო კეცხოველს ასისტენტს,

დოცენტს, პროფესორს, აკადემიკოსს, კათედრის გამგეს, დეკანს, რექტორს, დირექტორს, აკადემიის განყოფილების თავმჯდომარეს, ვიცეპრეზიდენტს. მე მინახავს ნიკო კეცხოველი დინჯად მოსაუბრე და კეთილი ღიმილით სავსე, მთის მდინარესავით ჩქარი და აქაფებული, შეუპოვარი და ზოგჯერ დაუზოგავიც, ზვავივით მომსკდარი და წამლეკავი...

რა იყო ის ძირითადი, ფუძისეული, უცვლელი, რაც ბატონ ნიკოს მუდამ ახასიათებდა, რაც მას არასოდეს არ ტოვებდა, ურომლისოდაც იგი ნიკო კეცხოველი არ იქნებოდა? მის ასეთ თვისებებს უდავოდ უნდა მიეკუთვნოს სამშობლოს სიყვარული და, აქედან გამომდინარე, ძლიერი მიზანსწრაფვა, უშრეტი ენერგია და დიდი შემართება, შინაგანი სიძლიერე და საქმისათვის თავდადება; გამორჩეული, განუმეორებელი, მრავალწახნაგოვანი პიროვნება იყო ნიკო კეცხოველი.

დიდად დააფასა ბატონი ნიკო ჩვენმა საზოგადოებრიობამ, პარტიამ, მთავრობამ, როგორც მეცნიერი, მწერალი, მეცნიერების ორგანიზატორი, საზოგადო მოღვაწე; ვინ არ არის მისი მადლიერი, რა არ არის მასზე დაწერილი! და მაინც მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მასზე. მსურს პატივი ვცე მის ხსოვნას და ჩვენი ერთად მუშაობიდან, ჩვენი ურთიერთობიდან ზოგი რამ მოვიგონო, თითოეული მოგონება ფრაგმენტულია, მაგრამ ყველა ერთად ნიკოს პორტრეტის ზოგიერთ შტრიხს გაგვახსენებს.

1.

1928 წლის შემოდგომა იყო. ახლად ჩარიცხული სტუდენტები უნივერსიტეტის ეზოში ირეოდნენ. მე და რამდენიმე ჩემი თანაკურსელი ერთად ვიდექით და ჩვენ-ჩვენი სოფლის ამბებზე ვსაუბრობდით. მე ვყვებოდი, თუ როგორ და სად იჭერენ მდინარე ყვირილაში კალმახს, როგორ აჰყვება ხოლმე იგი მდინარეს დინების საწინააღმდეგოდ, თუ რა საოცარი სანახავია მდინარეში წყლის ამ დედოფლის მზის სხივებთან თამაში, რომ კალმახს შეუძლია ერთ მეტრ სიმაღლეზე ჰაერში აინავარდოს. რაც უფრო მეტად უახლოვდებით ყვირილის სათავეს, მით მეტია მასში კალმახი. სოფელ ჭალაში ერთხელ გათენებისას მეწისქვილეს წისქვილის ღარში წყლის დინება ღარბეშით შეუწყვეტია და წითელწინწკლება თევზებით გავსებულა წისქვილის საგუბარი.

საუბარი დამთავრებული არ მქონდა, როდესაც ვიღაც ძალზე მაღალმა, ძლიერ გამხდარმა კაცმა ვაჟკაცური ხელით თავისკენ მიმაბრუნა და თითქმის ბრძანების კილოთი მომმართა:

— შენ სადაური ხარ? აბა, ერთხელ კიდევ გვიამბე, მეწისქვილემ რით შეწყვიტა წყლის დინება წისქვილის ღარში?

თეატრში მეცა მზისაგან გარუჯული სახე, აკიაფებული თვალები და მელოტი თავი. მან სწრაფად მოიმარჯვა მხარზე გადაგდებული ტყავის საველე ჩანთა, ამოიღო ბლოკნოტი და ფანქარი და კითხვა გამიმეორა. შევცბი: ამ სამოიდე წინადადებაში ნეტავ რა ისეთი შეცდომა დავუშვი, რომ ამ კაცს ეწყინა?! მალე ყველაფერი გაირკვა და დავმშვიდდი. თურმე სიტყვა „ღარბეში" პირველად გაიგონა და მოეწონა; დაინტერესდა როგორია ღარბეში და რაში იყენებენ მას მეწისქვილეები. მეც. რაც შემეძლო, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ჩვენმა ახალმა ნაცნობმა ზოგიერთი რამ ჩაიწერა. აგვიხსნა, თუ რატომ დაინტერესდა: ერთ სიტყვაში „ღარიც" არის და „ბეშიც", სახელწოდება თავის დანიშნულებას ზუსტად შეესაბამებაო.

— იცოდეთ, სადაც კი გაიგონოთ ისეთი სიტყვა, რომელიც უცხოდ მოგეჩვენებათ, ჩაიწერეთ, მნიშვნელობაც ჩაინიშნეთ: არც ის დაივიწყოთ, თუ სად გაიგონეთ და ბოტანიკის კათედრაზე მომიტანეთო. მოგვცა დავალება ამ შესახედავად ყველასაგან გამორჩეულმა კაცმა. უფროსი კურსის სტუდენტებისაგან გავიგეთ, რომ უნივერსიტეტში ჩვენი პირველი დამსაქმებელი ბოტანიკის კათედრის ასისტენტი ნიკო კეცხოველი იყო.

2.

უნივერსიტეტში ხმა იყო გავრცელებული: თუ პროფესორმა ზაქარია ყანჩაველმა ბოტანიკაში ფრიადი დაგიწერა, მაშინ თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშად შეგიძლია მოეწყოო. ბატონი ზაქარია ამავე დროს ბოტანიკური ბაღის დირექტორი გახლდათ. გამოცდების ასეთი ფინალი ჩვენი, ხელმოკლე სტუდენტების ოცნება იყო. მუშას შეეძლო თვეში 40 მანეთი გამოემუშავებინა. მოვნახეთ ერთმანეთი ბოტანიკური ბაღის მომავალმა ხუთმა მუშამ და ბოტანიკა, ჩვენი აზრით, ძალიან კარგად მოვამზადეთ. კონსულტაციებს ჩვენი საყვარელი ასისტენტი ქალბატონი ლუბა კემულარია გვიტარებდა.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ საგამოცდო ოთახში შემოვიდა ასისტენტი ნიკო კეცხოველი და გამოგვიცხადა: — პროფესორი დღეს არ იქნება. გამოცდებს მე ჩავიბარებო. საკითხები დაგვირიგა და ხატვა დაიწყო. ჩვენ ასე ვიყავით ინფორმირებული: თუ პასუხი მოეწონებოდა, შვლის ნუკრს დახატავდა, ხოლო თუ ცუდად ვუპასუხებდით — ვირს. მოისმინა თუ არა პირველი სტუდენტის პასუხი, დიდყურებიანი ვირი დახატა. ყველას ელდა გვეცა; მივხვდით, რომ ჩვენი საქმე ცუდად იყო. თითოეული სტუდენტის პასუხის შემდეგ სურათს თითო ჩოჩორს უმატებდა. როდესაც ხუთივემ ვუპასუხეთ, ვირს უკვე ოთხი

ჩოჩორი ჰყავდა გარშემო შემოკრებილი. ბატონმა ნიკომ თვალი თვალში გაგვიყარა და მკაცრად მოგვმართა: — თქვენ რას ფიქრობთ, მარტო ბოტანიკა მოგეთხოვებათ? თუ გესმით, რა ქართულით ლაპარაკობთ, სად შეიყარეთ ასე სხვადასხვა კუთხიდან; ხეირიანად უნდა ისწავლოთ ქართული ენა. ახლა მადლობა მითხარით, რომ დამაკმაყოფილებელს გიწერთ. — ჩამოგვირიგა სამიანები და გამოგვიშვა. ჩვენი ოცნება — ბოტანიკური ბაღის მუშები გავმხდარიყავით — ასე დაგვემსხვრა.

8.

1937 წლის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანს პროფ. ნიკო კეცხოველს წარვუდგინე ნაშრომი „რძის მჟავას გენეზისი ბუნებრივი ალკოჰოლური დუღილის დროს“ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მან კარგად მიმიღო. დაინტერესდა, რაში გამოიხატებოდა ჩემი დამსახურება, რა იყო ახალი და სადისერტაციო ნაშრომი დაიტოვა. დაცვის იმდროინდელი წესის მიხედვით, ვიდრე ოფიციალურ ოპონენტებს გადაეცემოდა, საჭირო იყო შრომის რეცენზირება რომელიმე ცნობილი მეცნიერის მიერ. ბატონმა ნიკომ ჩემი სადისერტაციო ნაშრომი ლენინგრადში აკად. ს. კოსტიჩევის მოწაფეს პროფ. გ. სელიბერს გადაუგზავნა, მოვიდა თუ არა დადებითი დასკვნა, დამიბარა და დაცვის გეგმა შეიმუშავა. — ეს პირველი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა იქნება უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე და სანიმუშოდ უნდა ჩავატაროთ. ბატონ ნიკოს თვითონ რამდენიმე თვის წინ ჰქონდა მიღებული ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და პროფესორის წოდება. შეადგინა მოსაწვევი ბარათი: ერთ მხარეზე ეწერა, თუ ვინ იცავს, რა თემაზე, როდის, ვინ არიან ოპონენტები და სად შეიძლება შრომის გაცნობა; მეორეზე — მოყვანილი იყო დისერტაციის ძირითადი დებულებები. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ავტორეფერატები. ბარათები დაისტამბა და დაწესებულებებსა და გამოჩენილ მეცნიერებს დაეგზავნა. ცნობა დისერტაციის დაცვის თაობაზე გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „კომუნისტში“. ოპონენტებად გამოყოფილი იყვნენ პროფესორები ვასილ ვარაზი და პეტრე ქომეთიანი. იმ ხანად არ იყო წესად, რომ ოპონენტს რეცენზია დაცვამდე წარმოედგინა; დისერტანტი ოპონენტის შენიშვნებს, მოსაზრებებს დაცვის პროცესში ისმენდა და პასუხიც დაუყოვნებლივ უნდა გაეცა. ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანი იყო და დიდ გავლენას ახდენდა დაცვის შედეგზე.

— თუ რაიმე არ გეცრდინება და პასუხს ვერ მოახერხებ, არ დაიწყო მიკიბ-მოკიბვა, ან სულ გაჩუმდი, ანდა უფრო ვაუკაცური იქნება — პირდაპირ თქვი, რომ არ იცი, — დამარიგა დაცვის წინა დღეებში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ. დაცვა კვირა დღეს შედგა. ბატონი ნიკოს ორგანიზაციულმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო, დარბაზში ხალხმრავლობა იყო. დაცვამ წესის მიხედვით ჩაიარა; იყო შეკითხვები, წინასწარ დაუგეგმავი გამოსვლები, ოპონენტების კრიტიკული შენიშვნები, ყველაფერი ნორმის ფარგლებში ჩატარდა და ძიებული ხარისხი ერთხმად მომანიჭეს. მილოცავდნენ მე, ულოცავდნენ ჩემს ხელმძღვანელს პროფ. ვარლამ ღვალაძეს, ულოცავდნენ ბატონ ნიკოს. ყველაზე ბოლოს ნიკო კეცხოველმა დამლოცა და დამარიგა: — ამ დონეზე არ გაჩერდე, ერთი კაცი პურის ჭამაშიაც ცოდვაა, შენ მეცნიერულ გზაზე სხვებიც გაიყოლიე, ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო.

1937 წლის მეორე ნახევარში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორად ნიკოლოზ გელაშვილი დანიშნეს. წლის ბოლოს დირექტორის მოადგილედ სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ნიკო კეცხოველი მიიწვიეს. ამ დროს იგი უკვე საკმაოდ პოპულარული პიროვნება იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ამბობდნენ, ახალგაზრდობა უყვარსო. მე იმ ხანად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასისტენტი ვიყავი, ლაბორატორიაში გატაცებით ვმუშაობდი და ხშირად გვიანობამდე ვრჩებოდი. ამის გამო ღამის დარაჯები ნერვიულობდნენ, ეშინოდათ სადმე წყლის ონკანი არ დამრჩენოდა ღია. ან რომელიმე ელექტროაპარატი არ დამეტოვებინა ჩართული. გამაფრთხილეს, უნებართვოდ საღამოობით ლაბორატორიაში ვეღარ შეგიშვებთო. ღამღამობით მუშაობის ნებართვისათვის დირექტორის მოადგილეს მივმართე. ბატონი ნიკო უკვე მიცნობდა, მაგრამ მაინც დაწვრილებით გამომკითხა, რას ვაკეთებდი, რატომ იყო აუცილებელი ღამით მუშაობა და ნება დამრთო ლაბორატორიაში დავრჩენილიყავი. მეც გადავსახლდი ინსტიტუტში და ბიოორგანული ქიმიის კათედრის ლაბორატორიის სრული ბატონ-პატრონი გავხდი. ზოგჯერ საღამოობით გვიან ბატონი ნიკო შემოივლიდა ხოლმე, მამოწმებდა, რას ვაკეთებდი, ერთ ხელ ცდასაც დაესწრო.

ახალი წლის პირველ დღეს დილით ადრე ჩემმა ამხანაგებმა, კათედრის წევრებმა ბორის ივანოვმა, ბორის გერასიმოვმა, საშა ნარეშელმა, ვახტანგ ნაცვლიშვილმა მომაკითხეს; ახალი წელი მომილოცეს და პატარა სუფრაც გაშალეს; ჩქარობდნენ, ეშმაკს თვალი არ უჩანს, კეცხოველმა არ მოგვისწროს, არ დავიღუპოთო. პირველი ჭიქა, როგორც „მასპინძელმა“, ბორის გერასიმოვს მივაწოდე. გამომართვა თუ

არა, თან დავაყოლე, ახლა რომ ნიკო კეცხოველი შემოვიდეს, რას იზამ-მეთქი. ამის თქმა და ლაბორატორიის კარებში ნიკო კეცხოველის გამოჩენა ერთი იყო. ამდენი თანამშრომელი ერთად რომ დაგვინახა, გაიცინა. — გეტყობათ, ჯერ ახალ წელს არ შეხვედრიხართო და გერასიმოვს მიმართა: — ბორიაჯან, რას უყურებ, თქვი ვისი სადღეგრძელოა, დალიე და ჩვენც დაგვალევინე. სერგის ტკბილეული მოვუტანე, მეგონა ახალი წლის პირველ დღეს მარტო იქნებოდა. ცოტა ხანს ჩვენთან გაჩერდა, ერთი ჭიქა ღვინო მოითხოვა, ახალი წელი მოგვილოცა, ყველა დაგვლოცა, — მესიამოვნა ამხანაგი რომ არ დაგვიწყებიათო და წავიდა. სახტად დავრჩით. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

მეორე დღეს ეჭვის ჭია ყველას შეგვეპარა: საყვედურს ახალ წელს ხომ ვერ გააფორმებდა, ალბათ დღეს დაგვიძახებს და ტყავს გაგვაძრობსო. ყამი დღე და ღამე გავატარეთ ასეთ მოლოდინში. ბოლოს ბორის გერასიმოვმა ვეღარ მოითმინა და დირექტორის მოადგილეს კაბინეტში ეახლა. — ბატონო ნიკო, თუ უნდა დაგვსაჯოთ, დაგვსაჯეთ, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, ხალხი აღარა ვართ, არ გებრალებით? — შეევედრა დირექტორის მოადგილეს. კეცხოველმა თურმე ჯერ გაკვირვებით შეხედა და შემდეგ გულიანად გადაიხარხარა. გახარებული ბორის გერასიმოვი ლაბორატორიაში მოვარდა: კინწისკვრით გამოშაგდო: მაგის მეტი საქმე არა მაქვს, თქვენს საყვედურზე ვიფიქრო; წადი, თქვენ თქვენ სამუშაოს მიხედეთო.

5

ოცდაათიან წლებში ნ. გელაშვილისა და ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მრავალ ახალ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი. პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა არაჩვეულებრივად გამოცოცხლდა. ნიკო კეცხოველი „ხმალამოღებული“ იბრძოდა სწავლების დონის ასამაღლებლად; განსაკუთრებით დეკანებს „მოუჭირა ხელი“. ფაკულტეტების ხელმძღვანელებად ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები იყვნენ და ზოგიერთი მათგანი მკაცრ რეჟიმს ადვილად ვერ შეეგუა. უჩვეულოდ დაიძაბა ურთიერთობა ნიკო კეცხოველსა და მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტის დეკანს პროფ. კონსტანტინე მოდებაძეს შორის.

— რას ამომიჩემა ამ ბოტანიკოსმა, ლამის არის შემჭამოს. როგორც ჩანს, ჩვენი ერთად მუშაობა არ გამოვა, დროა პენსიაზე გავიდე, — იტყოდა ხოლმე კონსტანტინე მოდებაძე.

მათი ასეთი ურთიერთდამოკიდებულების დროს მოხდა უჩვეულო ამბავი. მევენახეობის კათედრის ერთმა თანამშრომელმა გაავრცელა

ხმა, პროფ. კონსტანტინე მოდებაძემ მასთან საუბარში ერთ-ერთი დიდი პარტიული ხელმძღვანელი უდიერად მოიხსენიაო. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო და რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობამდე მიაღწია, ყველანი ველოდით, რომ მეექვსეობა-მეღვინეობის ფაკულტეტის დეკანს სანიმუშოდ დასჯიდნენ, თუმცა აგრეთვე ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მისი მოწინააღმდეგე მუდამ კარიერის მაძიებელი, საეჭვო პიროვნება იყო.

— რა უდანაშაულო კაცი დაღუპეს, აფსუს!

— ვერ გააჩერებს ენას, ყველაფერზე საკუთარი აზრის გამოთქმა სავალდებულო ხომ არ არის?!

— არ დაიჯეროთ, კოწია ცხვარივით კაცია, მაგის ლაყბობა ვის გაუგონია!

— კეცხოველი მაინც იყოს მაგასთან კარგად: ახლა მაგის მშველელი კაცი არ არის!

— ბავშვები ხომ არა ხართ, ან კეცხოველი როგორ გაბედავს ახლა მის დაცვას!

მსჯელობდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საპროფესოროში.

მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ: ნიკო კეცხოველმა მისთვის ჩვეული ენერგიით დაიცვა კონსტანტინე მოდებაძე. მან საქმის ვითარება კარგად განჭვრიტა — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებლის ბედი წყდებოდა; კონსტანტინე მოდებაძე საქართველოს მეცნიერული მეღვინეობის მეთაური იყო, ქართულ ენაზე დაწერილი შესანიშნავი სახელმძღვანელოების ავტორი, დიდად განათლებული, ყველასაგან პატივცემული პიროვნება და, რაც მთავარია, ნიკო კეცხოველს სწამდა, რომ კონსტანტინე მოდებაძე არ იყო დამნაშავე. ნიკო კეცხოველმა გვერდი აუარა ადგილობრივ, რაიონულ, ქალაქის ხელმძღვანელ ორგანიზაციებს და პირდაპირ რესპუბლიკის პარტიულ მეთაურს მიაშურა. უმაღლეს დონეზე ყველაფერს სწორი შეფასება მიეცა. გახარებული დაბრუნდა ნიკო კეცხოველი, დაიბარა კონსტანტინე მოდებაძე და გამოუცხადა:

— კოწია, იმუშავე დინჯად, მშვიდად, მაგრამ იცოდე უფრო აქტიურად, შენს წინააღმდეგ შეთხზულ პროვოკაციას ბოლო მოეღოო,

კონსტანტინე მოდებაძე კოლეგებს თავის აღტაცებას უზიარებდა: — ეს ნიკო კეცხოველი ჩემი მტერი მეგონა და ნახეთ, რა მეგობრობა გამიწია, ნამდვილად სიკვდილს გადამარჩინა. რა ძნელი ყოფილა გაარკვიო, ვინ მტერია და ვინ მოყვარეო.

სასწავლო ნაწილის ახალმა ხელმძღვანელმა განსაკუთრებული ყურადღება სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შედგენას მიაქცია. ნიკო კეცხოველი მოითხოვდა, რომ ყველა კათედრას ჰქონოდა სახელმძღვანელოს დაწერის მტკიცე გეგმა. — ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ როდის წარმოადგენს სახელმძღვანელოს ხელნაწერის სახით, რომ ამის შესაბამისად დაბეჭდვის, გამოცემის გრაფიკი შევიმუშაოთო. ამ დროს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს საკუთარი გამომცემლობა და სტამბა ჰქონდა. ნიკოს აზრით, ეს საქმე მეტად სასწრაფო იყო ორი გარეშოების გამო: ჯერ ერთი, წამყვან სპეციალობებში ლიტერატურა მშობლიურ ენაზე სტუდენტებს არ გააჩნდათ, მეორე — ჩვენი ცნობილი მეცნიერები, რომელთაც დიდი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდათ, ისეთ ასაკში იყვნენ, რომ სახელმძღვანელოებზე მუშაობის გახანგრძლივება არ იყო სასურველი. ამავე დროს, ნიკო კეცხოველმა მოითხოვა, რომელ კათედრაზეც საშუალება იყო, სახელმძღვანელოს შედგენა ორი სხვადასხვა ავტორისათვის დაევალებიათ; — შეექმნათ ერთგვარი კონკურსი და ვინც უმალ წარმოადგენს და ვისიც უკეთესი იქნება, პირველად ის გამოვცეთო.

თათბირები, რომლებიც დედაენაზე სახელმძღვანელოების შექმნას მიეძღვნა, თავისი შედეგებით მეტად ნაყოფიერი გამოდგა. ძველი თაობის ზოგიერთმა პროფესორმა დირექტორის მოადგილეს წინააღმდეგობა გაუწია; მიაჩნდათ, რომ ისეთი რთული საქმის წინასწარი დაგეგმვა, როგორიცაა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს შედგენა, შეუძლებელია, მეტიც — არაა სწორი. განსაკუთრებით თავი გამოიდვეს პროფესორებმა ტარასი კვარაცხელიამ და დიმიტრი გედევანიშვილმა. მათი აზრით, რადგანაც სახელმძღვანელოები უნდა ასახავდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკას, ამიტომ ჯერ უნდა შესრულდეს მეცნიერული კვლევა-ძიება, დადგინდეს მრავალი რამ, დაგროვდეს მასალა და შემდეგ დაიწეროს სახელმძღვანელო. მაგალითებად ასახელებდნენ სუბტროპიკულ მეურნეობას და ნიადაგთმცოდნეობას. სუბტროპიკული კულტურები მხოლოდ საქართველოშია განვითარებული; თუ რაიმე მოგვეპოვება, ყველაფერი ქართველ მეცნიერთა გამოკვლევის საფუძველზეა დამუშავებული; ნიადაგთმცოდნეობა არსებითად რუსული მეცნიერებაა, მაგრამ საქართველოს ნიადაგები? ჩვენი კონკრეტული ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ხომ უნდა იყოს მოცემული?!

ბატონმა ნიკომ არ უარყო აღნიშნული მოსაზრებები, მაგრამ პროფესორებს შეახსენა, რომ ისინი უკვე მეორე ათეული წელია, რაც

სუბტროპიკულ კულტურებს და ნიადაგთმცოდნეობას ასწავლიან და ალბათ დროა, რომ ამ დისციპლინებში სახელმძღვანელოების შესადგენი მასალა ჰქონდეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგში ის აღმოჩნდა, რომ ნიკო კეცხოველმა მათთან ერთად იმავე დისციპლინებში სახელმძღვანელოების შედგენა შედარებით ახალგაზრდა პედაგოგებს — მიხეილ საბაშვილს და მიხეილ ტაბლიაშვილს დაავალა. ასევე მოიქცა სხვა წამყვან სპეციალობებში. გეგმაში შეტანილ ყველა სახელმძღვანელოს ორი სხვადასხვა ავტორი შეურჩია. თუ ორივე ავტორი ერთსა და იმავე დისციპლინაში სათანადო დონის სახელმძღვანელოს დროულად წარმოადგენდა, ნიკო კეცხოველი სიტყვას იძლეოდა, რომ ორივეს გამოაქვეყნებდა.

ასეთი მიდგომა იმ დროისათვის სრულიად ახალი იყო და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგიერთი ასეთ ღონისძიებას აღიქვამდა, როგორც ორი თაობის მეცნიერ-პედაგოგთა ერთგვარ დაპირისპირებას; ზოგიერთის აზრით კი, ეს ძველი თაობის პროფესორებს გააქტიურებდა და ერთგვარ ბიძგს მისცემდა სახელმძღვანელოების შექმნაში.

გავიდა წლები და ნიკო კეცხოველის მიერ გადადგმულმა ამ მტკიცე ნაბიჯმა თავისი შედეგი გამოიღო: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მრავალი მეტად მნიშვნელოვანი მაღალი დონის სახელმძღვანელო გამოიცა ქართულ ენაზე.

7

1943 წლის ზაფხულში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეექვსეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორად დამამტკიცა. ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე ნიკო კეცხოველი. ბატონი ნიკო კეცხოველი ჩემი დანიშვნით არ იყო კმაყოფილი:

— ამ კაცს გამოცდილება არა აქვს; თელავის ინსტიტუტში კი ხომ იცით, რა მძიმე მდგომარეობაცაა, მეცნიერული კვლევა-ძიება ფაქტიურად არ მიმდინარეობს. მას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში თავისი საქმე ჰქონდა და კარგადაც უძღვებოდა მას. მე რომ ეს თავის დროზე გამეგო, სერგის ამ თანამდებობას ავაცილებდი. ახლა ესეც გაწვალდება და ჩვენც, — ეუბნებოდა ნ. კეცხოველი პრეზიდენტს.

მეორე დღეს აკადემიის პრეზიდიუმში გამოვცხადდი, ნ. კეცხოველმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი დამახვედრა: მე და ჩემი მოადგილე პროფ. სოლომონ ჩოლოყაშვილი წამოგყვებით თე-

ლავში, ინსტიტუტის გადაბარებას უნდა დავესწროთ. რაც მოხდა მოხდა, უპატრონოდ ხომ არ დაგტოვებთო. იმ დღეებში გავიგე, რომ სოლომონ ჩოლოყაშვილიც წინააღმდეგი ყოფილა ჩემი ინსტიტუტში გაგზავნისა: მას თურმე თავისი კათედრის ერთ-ერთი წევრი სურდა ინსტიტუტის დირექტორად. იმაზე უკეთესი წინაპირობები მუშაობისა, მე რომ მქონდა აკადემიაში, წარმოუდგენელი იყო!

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო კეცხოველმა და სოლომონ ჩოლოყაშვილმა თელავში მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე წარმადგინეს. აქ ყველა მიცნობდა, როგორც ლაბორატორიის მუშაკს, 1932—1935 წლებში ამ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ვიყავი. სამი დღის შემდეგ ნიკო კეცხოველმა დამტოვა. ბატონმა სოლომონმა კი მოინდომა ერთი თვე მაინც ყოფილიყო ჩემს გვერდით და ჩემთვის „დირექტორობა" ესწავლებინა — ადრე ამ ინსტიტუტის დირექტორი ხომ თვითონ ბრძანდებოდა?! მე მოწიწებით შევკადრე, რომ ეს საჭიროდ არ მიმაჩნდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სოლომონ ჩოლოყაშვილი ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება იყო, მაგრამ მე მეტი გამოსავალი არ მქონდა და ნიკო კეცხოველს ვთხოვე უკანვე გაეწვია იგი. ბატონმა ნიკომ ამიხსნა, თუ რამდენად ძნელი იყო მისთვის ეს და მთხოვა თვითვე მომეგვარებინა საქმე. რას ვიზამდი. მეც ვესაუბრე ბატონ სოლომონს და ვცადე ამეხსნა მისთვის, თუ რატომ არ მიმაჩნდა შესაძლებლად იმ მეთოდით მუშაობა, რომელიც მან შემომთავაზა; გამოდიოდა, რომ ერთდროულად ინსტიტუტს ორი დირექტორი ჰყავდა. ს. ჩოლოყაშვილი ჩვენი გულახდილი საუბრის მეორე დღესვე გაემგზავრა თბილისს. რამდენიმე თვის შემდეგ მეორე არასასიამოვნო ამბავი შემემთხვა: რთველის დროს ვაზისუბნის ექსპერიმენტული ბაზის გამგემ უხეშად დაარღვია სახელმწიფო დისციპლინა და იძულებული ვიყავი სამუშაოდან გამენთავისუფლებინა. ბატონი სოლომონი მას კარგად იცნობდა, როგორც ინსტიტუტის ძველ მუშაკს, და კატეგორიულად მოითხოვა მისი აღდგენა. გამომიძახეს აკადემიაში განყოფილების სხდომაზე და ახსნა-განმარტება მომთხოვეს. ბატონმა სოლომონმა ბრძანა, ინსტიტუტში ბოლო დროს წესრიგი არ იყო და ყველაფერი ამის ბრალიაო. განყოფილების წევრებიდან ვინც კი მიიღო მსჯელობაში მონაწილეობა, ყველა ს. ჩოლოყაშვილს მიემხრო. მე ვიცოდი რა აკადემიის ხელმძღვანელობის აზრი ჩემს დანიშვნაზე, ხელი ჩაქნეული მქონდა და ალბათ ამიტომ იყო, რომ თავი უფრო პრინციპულად მეჭირა, ვიდრე მოელოდნენ: ბაზის გამგის აღდგენაზე უარი განვაცხადე. ყველაფერი დამოკიდებული იყო ნიკო

კეცხოველის პოზიციაზე. მან მტკიცედ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები და მე დამიჭირა მხარი.

ახლა, 40 წლის შემდეგ ვფიქრობ, რომ მაშინ გადაწყდა ჩემი დირექტორობის საკითხი. იმ დღის შემდეგ მე ათი წელი ვიყავი მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორი და არასოდეს არ მომკლებია ნიკო კეცხოველის მხარდაჭერა.

8

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში დაწესებულებათა წლიურ ანგარიშს ისმენდნენ. ყველა ინსტიტუტის დირექტორი ვალდებული იყო დასწრებოდა. მეც ჩამოვედი თელავიდან. ბატონმა ნიკომ გამაფრთხილა: უჩემოდ არ წახვიდე, ერთი ძველი აგრონომი, შესანიშნავი კაცი უნდა გაგაცნოო. გავიცანი ვასილ ბიბილაშვილი: ძველი თაობის აგრონომი იყო, საკმაოდ ხანდაზმული; უმაღლესი განათლება საფრანგეთში ჰქონდა მიღებული. ნიკო მისი თანდასწრებით მომიყვა: ოცდასამი წლის თუ ვიქნებოდი, როდესაც ზურგზე მოგზაურის ჩანთა მოვიგდე და სოფელ-სოფელ დავიწყე სიარული; ქართლში სარეველა ბალახებს ვსწავლობდი. დაღლილ-დაქანცული სოფლის გარეთ რომელიმე წყაროსთან ჩავიმუხლებდი ხოლმე, გამხმარ პურს წყალში დავასველებდი, დავნაყრდებოდი და კვლავ გზას განვაგრძობდი. ერთხელ, როდესაც ტირიფონის ველზე წყაროს მივუახლოვდი, ვხედავ, იქვე ახლოს საშუალო ტანის შუახნის კაცი ზის და ჩაფიქრებული ილუკმება. უცნობ კაცს ჩვენებური გლეხური გამარჯობა ვუთხარი და ჩემს საქმეს შევუდექი. რამდენიმე წუთის შემდეგ მესმის: — ახალგაზრდავ, ამ ტრიალ მინდორზე მხოლოდ ორი ქართველი კაცი ვართ, მოდით შევაერთოთ ჩვენი საგზალი და ორიოდე სიტყვაც ვუთხრათ ერთმანეთს. მე სიამოვნებით დავთანხმდი, თვითონ მივედი მასთან და ერთად ვისადილეთ. მან ძალიან გაიხარა, როდესაც გაიგო, რომ მე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბუნებისმეტყველების განყოფილების სტუდენტი, სოფლის მეურნეობის დაუძინებელ მტრებს — სარეველა ბალახებს ვსწავლობდი. მე კი, სიმართლე რომ ვთქვა, გამიკვირდა, უცხოეთში უმაღლესი განათლება მიღებული აგრონომი ქართლის ბაღების მდგომარეობის შესასწავლად ამოდენა გზებზე ფეხით რომ დადიოდა. წყაროსთან დიდხანს შევრჩით. ბევრი რამ მიამბო მაშინ უცხოეთის მებაღეობასა და მევენახეობაზე, ჩვენ სოფლის მეურნეობაზე.

ვასილ ბიბილაშვილთან შეხვედრამ მრავალმხრივ განაპირობა ჩემი დამოკიდებულება საქართველოს სოფლის მეურნეობისადმი. მე

მას ერთ-ერთ ჩემს მასწავლებლად ვთვლი. ნახევარ საუკუნეზე მეტ-ხანს ემსახურა ვასილი ჩვენს ქვეყანას. ახლა მოხუცებულობა შემოეპარა და ამჟამად უმუშევარია. მეუღლეც მოუხუცდა... აღარსად აღარ აღმოჩნდა მისი შესაფერისი ადგილი... სერგი, რატომ გიყვები ყველაფერს ამას, რატომ გაგაცანი ვასილი? იქნებ შენ მოიფიქრო რამე, იქნებ გამოიყენებდი მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში? მხოლოდ იცოდე, მას თბილისიდან ხანგრძლივი გასვლა არ შეუძლია, მეუღლე შეუძლოდ ჰყავს. მე გთხოვ, რაც შეგიძლია დაეხმარო.

ჩემს წინ იდგა მშვიდი, კეთილი გამომეტყველების, სუფთად ჩაცმული მოხუცი. მე ვიცოდი, რომ მის კალამს მრავალი სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წერილი და ნარკვევი ეკუთვნოდა. ვისაუბრეთ, ვივარაუდეთ, თუ რა შეიძლებოდა მას გაეკეთებინა და როგორ უნდა გამეფორმებინა სამსახურში. შევთანხმდით: ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში რეფერენტად დავნიშნე და მევენახეობა-მეღვინეობის ფრანგული ჟურნალების რეფერირება დავავალე. სულ მალე იგი ჩვენი კოლექტივის აქტიური წევრი გახდა, თბილისიდან სისტემატურად ვღებულობდით რეფერატებს. დიდ დახმარებას უწევდა ასპირანტებს ფრანგული ენის შესწავლაში, სათანადო ლიტერატურის შერჩევასა და გამოწერაში; წარმოუდგენელი სიზუსტით ასრულებდა ყველა დავალებას. ოთხმოც წელს გადაცილებული იყო და აზრის გადმოცემის სისადავით გაგაოცებდათ; ლამაზი ხელი ჰქონდა. სულ მალე ვასილ ბიბილაშვილი ჩვენთვისაც ახლობელი ადამიანი გახდა.

ერთ შემოდგომას, წელი აღარ მახსოვს, თბილისში ბინაზე მიმიპატიჟა (ჭონქაძის ქუჩაზე № 10 ა-ში ცხოვრობდა) — რთველი მაქვს და იმედია მონაწილეობას მიიღებთო. მეოთხე სართულის ღია აივანზე ხის დიდ კასრში ერთი ძირი ვაზი გაეზარდა. ყურძენი სუფრის ჯიშის იყო და მტევნები უჩვეულოდ დიდი ჩანდა. დაეკრიფეთ. ორი ყველაზე კარგი მტევანი აიღო და ცალ-ცალკე ქაღალდის პარკში მოათავსა. ერთს „ბატონ ნიკო კეცხოველს“ დააწერა, მეორე მე გადმომცა.

— ეს მოხუცი ვასილ ბიბილაშვილის მიერ თბილისში მოწეული ბუნების ნობათია და იმედია მაპატიებთ ასე მცირე მოსაკითხსო.

იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე ლოგინად არ ჩავარდა, ყოველ წელს შემოდგომაზე თითოეულ ჩვენთაგანთან მოჰქონდა თითო მტევანი ყურძენი...

ნიკო კეცხოველი ამბობდა: ვასილ ბიბილაშვილის ძიერ მორთმეული ერთი მტევანი ყურძენი ჩემთვის ფასდაუდებელი ძღვენია. ნეტავ შემეძლოს მას სიცოცხლე გაუხანგრძლივოო...

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის შრომების III ტომი გავამზადე გამოსაცემად, როგორც რედაქტორმა, და განსახილველად წარვუდგინე ნიკო კეცხოველს —საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების თავმჯდომარეს. რამდენიმე დღის შემდეგ ბინაზე ვეახელი, რომ მისი შენიშვნები და სურვილები გამეთვალისწინებინა და სათანადო შესწორებების შემდეგ ტექსტი აკადემიის გამომცემლობისათვის გადამეცა. ბატონი ნიკო შეუძლოდ დამხვდა, იწვა. მე ბოდიში მოვიხადე უდროოდ შეწუხებისათვის და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ არ გამომიშვა.

— „შრომები" აქტუალურ საკითხებს ეხება, მეცნიერულ დონესაც არა უშავს რა. მაგრამ წინასიტყვაობა სად არის, რატომ არ მომიტანეო, — მომმართა ნიკომ და დაწვრილებით განმიმარტა, თუ რას შევხებოდი წინასიტყვაობაში, რა საკითხები უნდა გამერჩია:

— ჩვენ ხალხს, „შრომების" მკითხველებს ერთხელ კიდევ შევახსენოთ, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სიყვარული მარტო ვაზისა და ღვინის პოეზიით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ ეს დარგი ქართველი ხალხის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთ ბურჯსაც წარმოადგენდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ საქართველოს მოსისხლე მტრებმა თემურ ლენგმა და შაჰ აბასმა საქართველოში ვენახები ააკაფინეს, ამით მათ საქართველოს განადგურება უნდოდათ. ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში აუმჯობესებდა ვაზის ჯიშებს, ყოველი რაიონისათვის თავისი შესაფერი ჯიში გამოჰყავდა.

მცირე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ნიკომ მკაფიოდ დასახა ჩვენი აგრონომიული მეცნიერების წინაშე ის ამოცანები, რაც მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით ახლა დგას. გამაფრთხილა, რომ ამ საკითხთა გადაჭრა ერთი ხელის დაკვრით არ შეიძლება. ამისათვის საჭირო იქნებაო დიდი ენერგია, თავდადებული მუშაობა, თანმიმდევრული მეთოდური კვლევა, ღრმა მეცნიერული ერუდიცია, ორგანიზაცია და დრო. მხოლოდ იცოდე, რომ დრო უნდა დავიმორჩილოთ, რაც, პირველ რიგში, თვით მეცნიერული კვლევის მეთოდის გაუმჯობესებას და ახალი მეთოდიკის დამუშავებას უნდა ნიშნავდესო. დასახა აგრეთვე ის ამოცანები, რაც წარმოებათა ხელმძღვანელებმა (მიწსახკომმა, კვების მრეწველობის კომისარიატმა და სხვ.) უნდა გააკეთონ მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის. გამოთქვა რწმენა, რომ მჭიდრო ურთიერთობა დამყარდებოდა ინსტი-

ტუტსა და წარმოებებს შორის, რომ ეს ურთიერთობა იქნებოდა დარგის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი საფუძველი.

როდესაც ბოლომდე განმარტა თავისი შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის „შრომების“ III ტომის წინასიტყვაობა, მოკრძალებით ვთხოვე ყველაფერი ის, რაც ახლა ბრძანა, დაეწერა და „შრომების“ III ტომი გამოსულიყო ნიკო კეცხოველის წინასიტყვაობით.

— სერგი, თუ შენ საჭიროდ მიგაჩნია და ფიქრობ, რომ საქმისათვის ასე აჯობებს, მაშინ რატომ გადავდოთ, ახლავე დავწეროთ.

სასთუმალთან ჰქონდა დიდი ფორმატის საწერი ბლოკნოტი და რამდენიმე სხვადასხვა ფერის ფანქარი. ამოარჩია შავი ფერის ფანქარი და დაიწყო წერა. გაავსო ოთხი გვერდი, ამოხია ბლოკნოტიდან და გადმომცა:

— თუ ხვალაც მოგეწონება, დაბეჭდე, ჩემთან აღარ მოიტანო; მე ნაწერს არ ვაწვალებ ხოლმე. რაც გამოვა ერთი ამოსუნთქვით, ეგ არის და ეგ...

1946 წელს გამოიცა მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის „შრომების“ III ტომი ნიკო კეცხოველის იმ წინასიტყვაობით, რომელიც მან მართლაც ერთი ამოსუნთქვით დაწერა. ვკითხულობთ ახლა ამ წინასიტყვაობას და განსაკუთრებით მაოცებს ის 13 პუნქტი, რომლებიც მან ასე ანაზდეულად და სწორად დაუსახა აგრონომიულ მეცნიერებას მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის.

10

ერთხელ, ზაფხულში, როდესაც თელავში მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელი ვენახების დათვალიერებით გული იჯერა და სულ ცოტა ერთი საუკუნის სამუშაო გეგმები დაგვისახა, მოკრძალებით ვთხოვე:

ბატონო ნიკო, წავიდეთ ჩემთან ოჯახში, ხელ-პირი დავიბანოთ, ცოტა შევისვენოთ და შემდეგ გავსწიოთ შუამთას თქვენთვის საყვარელი წყაროსაკენ.

ჯერ ეჭვით შემომხედა, შემდეგ კი დამეთანხმა.

სახლში სუფრა გაშლილი დაგვხვდა. მიხვდა, რომ შემოვიტყუე, მაგრამ უკვე გვიანღა იყო: ჩვენ წინ დიასახლისი იდგა. საუბარი სუფრასთანაც ქართულ ვაზსა და ქართულ ღვინოზე გაიმართა.

— ჩვენს წინაპრებს საქართველოს ყველა მხარისათვის თავისი შესაფერისი ვაზის ჯიში გამოუყვანიათ და ღვინის დაყენების შესაბამი-

სი წესებიც დაუდგენიათ. რას იტყვი, ჰა, როგორი მემკვიდრეობაა!— ბუბუნებდა ნიკო.

ნახევარი საათიც კი არ იყო გასული, რომ ხუთი ხევსური გვესტუმრა. ყველას ტრადიციული ხევსურული ტალავარი ეცვა და ხელში ქუდები ეჭირათ. ოთხი კარებთანვე მოწიწებით დადგა, ერთი კი, უფრო ასაკოვანი, საშუალო ტანის ჭაღარა კაცი, ოდნავ წინ წამოდგა და მოგვმართა:

— ბატონებო, გვაპატიეთ, შემოვიქერით... ბატონი ნიკო მიცნობს. მე ლევან გოგოჭური გახლავართ; ხალხის მადლობის გადმოსაცემად მოვედით.

ჩვენი მთიელი სტუმარი შესანიშნავი მოქართულე და მოსაუბრე აღმოჩნდა. მასში გასული საუკუნის რაღაც კვალი და სუნთქვა იგრძნობოდა.

ყველა სუფრასთან მივიპატიჟეთ, ვთხოვეთ ერთი ჭიქა ღვინით დაველოცეთ, მაგრამ ადგილიდან არცერთი არ დაიძრა.

— ჩვენ ქვეყნისათვის აბა ისეთი რა გაგვიკეთებია, რომ თქვენთან პურობის უფლება გვქონდეს, დალოცვით კი თქვენ დიდი ხანია ღვთისაგანაც და ხალხისაგანაც დალოცვილები ბრძანდებითო, — ბრძანა ლევანმა.

მე კვლავ შევეპატიჟე, მაგრამ ნიკომ შემაჩერა.

— სერგი, შენ ლევანს არ იცნობ, რაინდი კაცია, დააცალე, რაც უნდა თქვასო.

ლევანი წელში გასწორდა და ვაჟკაცური, ხავერდოვანი ხმით დაიწყო:

— ჩვენო დიდო მფარველო, დიდო ნიკო, დღეს თქვენის ხელის შემწეობით საქართველოს მთის შვილნი ისევე სწავლობენ უნივერსიტეტში, როგორც ბარის შვილები. ხევსურეთიდან რომ დაჟანგული ხმლები მოგაწოდეთ, თქვენ ისინი ახალ სალესზე, ახლებურად ალესეთ. უფრო ბასრი და ბრწყინვალე გახადეთ და ბევრ მათგანს ახალი ქარქაშიც გამოუნახეთ... ვინ იცის, იქნებ ზოგიერთი მათგანი ჩვენი ერის კულტურასა და მეცნიერებაში თქვენს გვერდითაც კი დადგეს. ჩემი ვაჟი დავითიც ხომ უნივერსიტეტში თქვენ მიიღეთ, უმაღლესი განათლება მიეცით და ახლა მეცნიერების საზიარებლად იქნე დატოვეთ. დღეს ჩვენ, ხევსურნი, ამ პატიოსან ქართულ ოჯახში იმიტომ მოვედით, რომ ხალხის სახელით, მთის შვილების სახელით, მადლობა მოგახსენოთ და სიკეთისათვის კეთილი სიტყვა მაინც გითხრათ. თქვენ საქართველოს მთისა და ბარის კაი ყმა ბრძანდებით, ისეთი ყმა, ვაჟას რომ უთქვამს: „სხვისა იუბნოს სახელი, თავის გარჯასა ჰმალავდეს, მზედ იდგეს ხევსურეთისა, უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს“. ჩვენ, ხევსურთ

შვილებს, მუდამ გვქონდა და ახლაც გვაქვს მტრის უსაზღვრო სიძულ-ვილი და ბოყვრის უსაზღვრო პატივისცემა, მაგრამ რით გადაგიხადოთ თქვენი ფასდაუდებელი ამაგი, უხმლოსა და უფარო ხევსურს აბა რა შეუძლია! ბევრი ვიფიქრეთ, საკადრისად როგორ დაგაფასოთ და ჩვენ-და იმედად ერთი გადაწყვეტილება მივიღეთ. შთამომავლობას დავუ-ბაროთ, რომ თქვენს აჩრდილს ფეხი არავინ დააკაროს, ყველა თავდა-დებულად გაჰყვეს მას კვალდაკვალ და იცოდეს, თუ ვინ ედგა მზედ მათ მომავალს.

ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ეს მჭერვმეტყველი და გონიე-რი კაცი ის ლევან გოგოჭური იყო, რომელსაც სისხლის აღების ადა-თის დროინდელი სამი ნაჭრილობევი მრავლისმთქმელად აჩნდა თავზე.

— ძმებო, — მიმართა ლევანმა თავის მოძმეებს, — ახლა კი დავ-ლიოთ საკარგყმო და წავიდეთ, ისედაც შევაწუხეთ სტუმარ-მასპინძე-ლიო.

ფეხზე მდგომებმა შესვეს ბატონი ნიკოს სადღეგრძელო და დაგვ-ტოვეს.

სულ რამდენიმე წუთი დაჰყვეს ჩვენთან და რამდენი საფიქრებე-ლი დაგვიტოვეს.

არასოდეს არ მინახავს ასე გაყუჩებული საქართველოს კაი ყმა.

11

1952 წელს სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება საქარ-თველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების შესახებ. ღო-ნისძიებათა შორის გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის თელავიდან თბილისში გადმოტანა და ინსტიტუტის ბაზაზე აღმო-სავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის შექმნა. დასავლეთ საქართველოში, საქარაში, ასეთი საცდელი სადგუ-რი უკვე დიდი ხანია არსებობდა,

თბილისში მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტისათვის უნდა აშენებულიყო სპეციალური შენობა, ხოლო მანამდე დროებით ინ-სტიტუტის დირექციისათვის უნდა გადმოეცათ რამდენიმე ოთახი რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში, კერძოდ, ოთახე-ბი, რომლებიც იმჟამად მონადირეთა კავშირის რესპუბლიკურ ვამ-გეობას ეკავა. ამ დროს საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი პოეტი სანდრო ეული იყო. მას გაეგო, რომ მონადირეთა კავშირის გამგეო-ბის გადასვლის შემდეგ მათ შენობაში ჩვენ უნდა შევსულიყავით და ღელამური მორიგეობა ჰქონდა დაწესებული: ოთახები განთავი-

სუფლებისთანავე უეჭველად ბიბლიოთეკას უნდა დაეკაჭებინა. არ ვიცოდი, ასეთ გართულებულ მდგომარეობაში როგორ მოვქცეულიყავი და რჩევისათვის ნიკო კეცხოველს მივმართე. მან საიდუმლოდ გამანდო: მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექციის საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში შესვლის წინააღმდეგია პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი და დადგენილების ამ ნაწილის შესრულება პირდაპირი წესით არ მოხერხდებაო. თუ ჩვენი დირექცია თბილისში არ იქნებოდა, დადგენილების დანარჩენ პუნქტებსაც ვერ შევასრულებდით. თელავიდან თბილისში მშენებლობის ხელმძღვანელობა გამორიცხული იყო, თბილისში რა შენობა უნდა აგვეშენებინა და როდის!

მოველაპარაკე მონადირეთა კავშირის გამგეობის ხელმძღვანელს და მან მთავარი შესასვლელის მეორე გასაღები წინასწარ გადმომცა. ავუხსენი შექმნილი მდგომარეობა ინსტიტუტის წამყვან თანამშრომლებს და ოთხი საბარგო მანქანით ღამით მივადექით საჯარო ბიბლიოთეკის შენობას. როდესაც მეორე დილით სამუშაოს დაწყებისას ბიბლიოთეკის დირექტორი სანდრო ეული მოვიდა, დადეგნილებით განკუთვნილი ყველა ოთახი ჩვენ უკვე დაკავებული გვქონდა.

საშინელი ამბავი დატრიალდა: შემოვიდა სანდრო ეული თავისი თანამშრომლებით და საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა... მე ხელთ მთავრობის დადგენილება მეკავა და ბატონ სანდროს ვუხსნიდი, რომ არაფერი კრიმინალური არ ჩამიდენია, რომ ეს ოთახები მალე მათვე გადაეცემოდა.

ერთ საათში ყველანი საქართველოს კპ თბილისის კომიტეტში ვიყავით და პირადად ჩემი საქმე უმაღლეს დონეზე ირჩეოდა: საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში ღამით შესვლა საბჭოთა დაწესებულების ხელმძღვანელისათვის შეუფერებელი მოქმედებაა და უეჭველად უნდა დაისაჯოსო. დამავალეს, რომ ყველაფერი უკანვე თელავში წამეღო.

მდგომარეობა წარმოუდგენლად გართულდა. კვლავ ნიკო კეცხოველს მივაშურე. მე ვიცოდი, რომ არსებითად მართალი ვიყავი: თბილისში ინსტიტუტის გადმოტანა ნიშნავდა მეცნიერული კვლევის ახალ დონეზე აწევას, მეცნიერთა ახალი ძალების კვლევაში ჩართვას, ახალგაზრდობის შესაფერ მეცნიერულ გარემოში გაზრდას. ამავე დროს საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობას კვლევის ერთი ახალი კერა — კახეთის საცდელი სადგური ემატებოდა და მეცნიერებისა და წარმოების პრაქტიკული ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. რაც შეეხებოდა საჯარო ბიბლიოთეკის ოთახებს — ეს ხომ დროებითი ღონისძიება იყო?!

ნიკომ უშუალოდ დახმარებაზე უარი მითხრა: ასეა თუ ისე, მალულად, ღამით დაიკავეთ ოთახები. ეს კი აკადემიის დაწესებულებას არ შეეფერება. მე დავრეკავ მთავრობის თავმჯდომარესთან, ვთხოვ მიგიღოს; გააცანი საქმის ვითარება, იქნებ მოგეხმაროს. დრო ახლა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის; თუ დროს მოვიგებთ, საქმეც მოგებული გვექნება, რამდენიმე დღით ადგილზე დატოვება მაინც სთხოვე.

მთავრობის თავმჯდომარემ კარგად მიმიღო, ყურადღებით მომისმინა და მკითხა: — ბიბლიოთეკის შენობაში რომ ერთი თვით დაგტოვოთ ხომ გაწყობთ? ამ ხნის განმავლობაში შეიძლება მე თვით გიშოვოთ სამაგიერო ბინა. — თბილისის კომიტეტის მდივანს ტელეფონით ელაპარაკა და ჩემი საქმის განხილვა ერთი თვით გადადეს. წამოსვლა რომ დავაპირე, დავალება მომცა: — დღესვე ნიკო კეცხოველი და შენ წადით ქალაქგარეთ მცხეთის მიმართულებით ვაშლიჯვარში. აქედან რომ მიდიხარ, მარცხნივ ფერდობზე მიწების ნაწილი თავისუფალია, ნაწილზე კი მოსახლეობაა. მცხოვრებლების გასაყვან თანხას მე გამოგიყოფთ. თუ მოგეწონებათ, იქ ავაშენოთ მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი. პასუხი ხვალ 11 საათზე შემატყობინეთო.

ბატონ ნიკოსთან გახარებული დავბრუნდი და ორივემ ვაშლიჯვარისაკენ გავწიეთ...

ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც საბჭოთა მთავრობის დადგენილებაში იყო გათვალისწინებული. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ახლანდელი შენობა სწორედ იმ ადგილზეა გაშენებული, რომელიც მაშინ საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარემ შეარჩია.

12

1955 წლის დამლევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. გამოცხადდა ვაკანტური ადგილები, მათ შორის იყო ჩემი სპეციალობაც — მცენარეთა ბიოქიმია. გადავწყვიტე არჩევნებში მონაწილეობა მიმეღო. იმ დროს აკადემიაში ბიოლოგია ორ განყოფილებას შორის იყო განაწილებული: მეცნიერება ცხოველთა სამყაროზე ძირითადად მედიცინის მეცნიერებათა განყოფილებაში შედიოდა, ხოლო მცენარეთა სამყაროს რაც შეეხებოდა, სოფლის მეურნეობის მეცნიერების განყოფილებაში იყო მოქცეული. ამის გამო სპეციალობაში „მცენარეთა ბიოქიმია“ არჩევნები სოფლის მეურ-

ნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში უნდა შემდგარიყო. განყოფილების თავმჯდომარემ ნიკო კეცხოველმა ტელეფონით შემატყობინა:

— მცენარეთა ფიზიოლოგიაში ლევან ჯაფარიძე და მცენარეთა ბიოქიმიაში შენ ორი წლის წინათ უნდა აგვერჩიეთ წევრ-კორესპონდენტებად, მაგრამ არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა. ახლა განყოფილებაში ასეთი აზრია, რომ ორივე პირდაპირ წევრებად აგირჩიოთ. ამისათვის საჭიროა შენი კანდიდატურა წამოაყენოს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის რომელიმე შესაბამისმა ინსტიტუტმა, კარგად მოგეხსენება, საქართველოს ბიოქიმიის ინსტიტუტი არ გააჩნია. იქ წამოყენების შემდეგ ჩვენებიც დაგიჭერენ მხარს. ასე რომ, გაზეთის მიხედვით საჭირო მასალები ჯერ მოსკოვს გაგზავნე და შემდეგ, თუ იქიდან დადებითი დასკვნა იქნება, ჩვენთან შემოიტანე.

რა მეთქმოდა, საკითხი იურიდიულად სწორად იყო გადაწყვეტილი. რამდენიმე კვირის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება ჩემი კანდიდატურის წამოყენების შესახებ და აკადემიკოსების ა. ოპარინისა და ა. კურსანოვის მხარდაჭერა. ახლა უკვე ყველაფერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას უნდა გადაეწყვიტა; არჩევნები ფარული კენჭისყრით ორ საფეხურად მიმდინარეობდა: ჯერ განყოფილებას უნდა გამოეტანა თავისი გადაწყვეტილება და შემდეგ აკადემიის საერთო კრებას.

განყოფილებამ ლევან ჯაფარიძე და მე ერთხმად აგვირჩია. აკადემიის საერთო კრებამაც ერთხმად დაადასტურა განყოფილების დადგენილება. აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა პირველად ნიკო კეცხოველმა მომილოცა და მარილიც მანვე მოაყარა:

— სერგი ბატონო, რაც ახლა მოხდა, ეს, რა თქმა უნდა, შენი მეცნიერული და საზოგადოებრივი ცხოვრების ლოგიკური შედეგია, მაგრამ მე გთხოვ არ დაივიწყო, რომ ამავე დროს დიდი განაცხადია შენი მომავალი მეცნიერული მოღვაწეობის მიმართ, მე ვიტყოდი, ნაწილობრივ ავანსიცაა; აკადემიის ნამდვილ წევრად შენი არჩევა უნდა დაეტყოს საქართველოში ბიოქიმიის განვითარებას. რას გაჩუმდი, არ მოგეწონა ჩემი შეკვეთა? — საუბარი ტელეფონით მიმდინარეობდა და ამ ვითარებაში, როგორც კი შეიძლებოდა, მადლობა გადავუხადე ყველას, ვინც მეცნიერულად ასე დამაფასა. ბატონ ნიკოს პირობა მივეცი, რომ ახალი წოდება, როგორც მეცნიერ მუშაკს, არ შემცვლიდა და მათ მიერ გაცემულ ავანსს ალბათ უეჭველად გავანაღდებდი...

16 წლის შემდეგ, 1971 წელს, როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი დაარსდა, მივიღე ნიკო კეცხოველის დეპეშა: „გილოცავ, ვალი გადახდილია“.

18

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1961 წელს გამოსცა ნიკო კეცხოველის ფოტოალბომი „მცენარეული საფარი ერის საუნჯეა“. ბუნების დაცვის სრულიად საქართველოს საზოგადოებამ 1964 წელს დასტამბა „საქართველოს ბუნება“ — ფოტოები, რომლის შემდგენელი და ტექსტის ავტორი ნიკო კეცხოველია. გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც აღნიშნულ ფოტოალბომებს განქიქება დაუწყეს. რესპუბლიკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ორგანომ აკადემიას შეცდომად ჩაუთვალა ნიკო კეცხოველის ამ ორი უაღრესად ორიგინალური ნაშრომის გამოცემა... გავიხსენოთ, რას წარმოადგენს ნიკო კეცხოველის თითოეული ეს ნაშრომი.

ფოტოალბომი „მეცნიერული საფარი ერის საუნჯეა“ მოიცავს 695 ორიგინალურ, ავტორისეულ სურათს, დაბეჭდილია დიდი ფორმატის 480 გვერდზე. სურათების სახით წარმოდგენილია ალპების მცენარეულობა, სუბალპები, სუბალპების მაღალი ბალახეულობა, დეკიანები, სუბალპეზის ტყე, წიფლნარები, ნაძვნარები, სოჭნარები, ფიჭვნარები, რცხილნარები, მუხნარები, ძეძვიანები. სურათები გადაღებულია 1932—1961 წლებში. ყველა სურათს აქვს წარწერა ქართულ, რუსულ და ლათინურ ენებზე. ნაჩვენებია მცენარეულობის ადგილმდებარეობა და სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების პერსპექტივა.

ფოტოალბომში „საქართველოს ბუნება“ შესავალი დასტამბულია ქართულ რუსულ და ინგლისურ ენებზე. ალბომი შეიცავს 315 სურათს, გამოყენებულია როგორც ნიკო კეცხოველის მიერ გადაღებული, ისე სხვა ავტორების ფოტოები. სურათები დაყოფილია თავებად: მთები, წყაროები-მდინარეები, მყინვარები, მცენარეულობა. კულტურული ლანდშაფტი; გამოყოფილია დაბლობი და ვაკე, მთების წინაკალთების მხარე, მთების შუა სარტყელი და მთამაღალი.

როგორც ამ მცირე ანოტაციიდან ჩანს, ნიკო კეცხოველმა დიდად სასარგებლო საქმე გააკეთა: თვალნათლივ წარმოგვიდგინა ჩვენი მცენარეული საფარი და ბუნება, შექმნა საფუძველი მათი უფრო ღრმა შესწავლისათვის. ასეთი შრომები დიდი ხანია ესაჭიროებოდათ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს: ბიოლოგებს,

გეოგრაფებს, მეტყველებს, პედაგოგებს, აგრონომებს, სხვადასხვა დარგის პრაქტიკულ მომუშავეებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, აკადემიას მიუთითეს, რომ იგი „ამ უქაღალდობის პერიოდში“ მეტად საჭირო წიგნების გამოცემის ნაცვლად ფოტოალბომებით კვებავს ახალგაზრდობას.

ამ საკითხისადმი მიძღვნილ თათბირს აკადემიის ხელმძღვანელობიდან მე ვესწრებოდი, ბატონი ნიკოსთვის არ ეცნობებინათ: იცოდნენ ალბათ, რომ მასთან უნაადგო საუბარი არც ისე იოლი იქნებოდა. მე შეძლებისდაგვარად შევეცადე დამესაბუთებინა ფოტოალბომების გამოქვეყნების მნიშვნელობა: მოვახსენე ისიც, რომ ბუნების სურათების დღევანდელ ფიქსირებას მომავალშიაც დიდი მნიშვნელობა ექნება, გვეცოდინება, სად რა მდგომარეობა გვქონდა და რა მდგომარეობა გვაქვს, მოვუარეთ და გავაუმჯობესეთ დედა ბუნება, თუ უპატრონოდ დავაგდეთ და გავაერანეთ იგი. შევახსენე ისიც, რომ ალბომების ავტორი თუ სადმე ნახავდა, რომ ბუნებას გამოუსწრებელ ზიანს აყენებდნენ, ამის დამამტკიცებელ ფოტოდოკუმენტებს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ამხანაგებს ყოველთვის უგზავნიდა სასწრაფო ზომების მისაღებად. საუბარი სხვა ასპექტშიაც წარიმართა, მაგრამ ჩანდა, რომ ყველაფერი უკვე იყო გადაწყვეტილი... დამავალეს ამ თათბირის შედეგები ფოტოალბომების ავტორისათვის პირადად მე გამეცნო.

აკადემიაში დავბუნდი და ბატონი ნიკო მოვინახულე. მან უკვე თითქმის ყველაფერი იცოდა. გაჯავრებული იყო: როგორ არ დამიძახეს?! ჩემს შრომებზე უჩემოდ მსჯელობენ, სადაური ვაქკაცობაა?! მე ხომ ყველა სურათი ჩემი სახსრებით მაქვს გადაღებული. ჰონორარს არ გთხოვთ, ერთი ქაღალდია თქვენი და ისიც გენანებათ. კაბინეტიდან თქვენ არ გამოდიხართ, ალბომში მაინც ნახეთ ბუნების რა განძეული აქვს საქართველოს, რას წარმოადგენს თქვენი ქვეყნის ბუნებაო...

იმ დღეს მასთან საუბარი არ შეიძლებოდა. მეორე დღეს დილითვე ვეახელი, ექსპედიციაში წასასვლელად ემზადებოდა: სარეველა ბალახებმა შეჭამა ჩვენი საძოვრები და მივდივარ იქნებ რაიმე არსებითი ღონისძიება დავსახო საძოვრების გასაუმჯობესებლად. თქვენ თუ გიყურეთ და თქვენს საყვედურებს დავუგდე ყური, კარგად წავა ჩვენი საქმე; შენც იმათი გორისა ხარ. გუშინ იქვე რატომ არ განაცხადე, რომ, როდესაც საქმე საქართველოს მთასა და ბარს ეხება, ჩემთან სალაპარაკო პირი არავის არა აქვს...

რას ვიზამდი, უნდა დამეცადა, როდის გამოიდარებდა... თითქმის ერთი თვე იყო ექსპედიციაში. დაბრუნდა თუ არა, მომაკითხა:

— ოთახი დაკეტე, მდიდანი გააფრთხილე არავინ შემოუშვას. მე მინდა მოგელაპარაკო, — საკმაოდ მკაცრი კილოთი მომმართა ნიკომ. ჩვენ იმ დღეს რამდენიმე საათი გავატარეთ ერთად. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყოფნა მისი არსებობის აუცილებელი პირობა იყო; ისიც ვიგრძენი, რომ მისი ფოტოალბომები ერთ-ერთი აუცილებელი ეტაპი იყო საქართველოს ბუნების ამეტყველებისა. მისი გამუდმებული მოგზაურობები შემდგომ ხორცშესხმას მოითხოვდა, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარე მისი პირით უეჭველად უნდა ამეტყველებულიყო. არავინ არ იყო მაშინ ნიკო კეცხოველის გარდა, ვისაც საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული თავის გასაჭირს გულახდილად გაუზიარებდა და ვისგანაც პირუთვნელ ვაჟკაცურ შეფასებას მიიღებდა... საუბარი მეტად საინტერესო შეიქნა. გავიხსენეთ ვახუშტი ბატონიშვილი, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ დაწყებული ათასი რამ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გაგონილ და ჩაწერილ ტექსტებამდე... გავიხსენე, რომ მესამე განყოფილებაში — „სამშობლოს აღწერას“ ცალკე საგნად გვასწავლიდნენ. ბევრი, ძალიან ბევრი ამბავი მოვიგონეთ.

— სერგი, თუ გინდა დაგიჯერო, პირდაპირ მითხარი, რა შეხედულებისა ხარ ჩემზე.

— ბატონო ნიკო, ჩემი აზრით, თქვენთვის ბუნებას, განგებას მრავალგვარი, სხვადასხვა სახის ნიჭი მოუმადლებია, საყვედური ალბათ არ გეთქმით, მაგრამ თუ კიდევ ერთ რამესაც მიაქცევდით ყურადღებას, უკეთესი იქნებოდა; თუ შეგიძლიათ თქვენი უსაზღვრო ენერგია დაიოკეთ და ცოტა მეტ ხანს სხვასაც მოუსმინეთ. მხოლოდ ერთ კაცს მოგაგონებთ; ხომ იცით აკადემიკოსი ტარასი კვარაცხელია ისე იყო თქვენგან, როგორც ადმინისტრატორისაგან „ელდანაკრავი“, როგორც კი დაგინახავდათ, ენა ებმოდა.

— როგორ, მე მის მიმართ ობიექტური არ ვიყავი? ჩვენ ხომ სამივე ერთად ვმუშაობდით?!

— ბატონო ნიკო, საუბრის ფორმა? ადამიანის განწყობა? ესენიც ხომ მისაღებია მხედველობაში. მოუსმინეთ ზოგჯერ ადამიანებს ისე, როგორც უსმენთ ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს, მდინარეებს, მთებს.

ნიკო გაჩუმდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ნათქვამი ესიამოვნა... მცირე დუმილის შემდეგ შემომიტია:

— წყალსაც წაუღია თქვენი საყვედურები, შეხედულებები. მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება: რამდენიმე წელიწადში უნდა შევქმნა წიგნების „ჩემი სამშობლოს“ ახალი სერია. — იქვე ჩამოაყალი-

ბა, თუ ვინ იქნებოდნენ ამ წიგნების გმირები და რა მარშრუტით იმოგზაურებდა მათთან ერთად სრულიად საქართველოში...

აკადემიის პრეზიდენტს, რესპუბლიკის ზოგიერთ ხელმძღვანელს მოვახსენე, რომ მათი დავალება შევასრულე და აკადემიკოს ნიკო კეცხოველს გადავეცი ხელმძღვანელობის აზრი ფოტოალბომების გამოცემის შესახებ.

გავიდა წლები და მართლაც გაჩნდა შესანიშნავი მეცნიერულ-პოპულარული წიგნები: „ცხრათვალა მზის ქვეშ" (1968 წ.), „მორბის არაგვი, არაგვიანი" (1971 წ.), „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია" (1974 წ.), „მეცხრე მთაც გადავიარეთ" (1976 წ.), „კლდევაც დაიზრდებიან" (1978 წ.).

ბატონ ნიკოს არ ავიწყდებოდა ამ წიგნების სათაურებთან ჩვენი ზემოთ აღნიშნული საუბარი; ყველა წიგნი წარწერით მომიძღვნა. ჩემთვის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი წარწერაა წიგნზე „მორბის არაგვი, არაგვიანი": „ძვირფას სერგი დურმიშიძეს სიყვარულით, ამ წიგნის ერთ-ერთ შორეულ ავტორს. ავტორისაგან. 15. I. 72 წ."

14

ბოტანიკის ინსტიტუტში მივედი, სამეცნიერო საბჭოს სხდომას უნდა დავსწრებოდი. ნიკო კეცხოველმა თავის სამუშაო ოთახში შემიყვანა და საქართველოს ხუროთმოძღვრების ძეგლებში კაცხის ეკლესიის სურათი მიჩვენა.

— შენ ხომ კაცხიდან ხარ. ნახე, რა დიდებული ტაძარია, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისშია აშენებული. ვინ იცის, იქნებ არც კი გინახავს.

— ბატონო ნიკო, როგორ თუ არ მინახავს, ეკლესიის ეზოში სხვა საპატივცემულო პირთა შორის ჩემი ბაბუის მამაც არის დასაფლავებული. კაცხის ეკლესია გასული საუკუნის სამოციან წლებში თურმე მას შეუკეთებია, ქვით ხურო ყოფილა, წარმოშობით ლაზი.

ჩემმა ნათქვამმა ნიკო ძალზე დააინტერესა და დაწვრილებით გამომკითხა, თუ საიდან იყო ეს ჩემი წინაპარი, როგორ მოხვდა კაცხში, რატომაა ეკლესიის ეზოში დაკრძალული, საფლავის ქვა თუ არის შემონახული და რა წარწერაა მასზე და სხვ. საუბარი ამ თემაზე შემდეგში აღარ გაგვიგრძელებია, არც კაცხში წასვლის სურვილი არ გამოუთქვამს. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ტელეფონით გამომელაპარაკა:

— ამ ხნის კაცი კაცხში ტყუილად რატომ ჩამიყვანე? შენი წინაპრების საფლავები ეკლესიის ეზოში არ არის და, როგორც ჩანს, არც არასდროს ყოფილა. რად დაგჭირდა ამის გამოგონება?!

საყვედური მეწყინა, თანაც გამიკვირდა, ვიფიქრე — ნეტავ რა მოხდა ასეთი, სად გაქრნენ საფლავის ქვები; ეკლესიის ეზოში სულ რამდენიმე საფლავია და დავიჯერო ვერ მიაგნეს?! ბატონ ნიკოსთან ბოდიში მოვიხადე და დავპირდი: — მე ოვითონ წავალ კაცხში და ერთ კვირაში ყველაფერს მოგახსენებთ-მეთქი.

საფლავები მიწაში ისე ღრმად ჩაწეულიყო, რომ საფლავის ქვები მიწის პირზე აღარ ჩანდა, თანაც ზევიდან მთლიანად სუროს დაეფარა. საფლავის ქვებს სურო და ხავსი მოვაცილე, ქვებზე ამოტვიფრული წარწერები ისე საფუძვლიანად გავწმინდე, რომ უკვე კარგად იკითხებოდა. ძეგლის მცველს ვთხოვე: თუ აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ჩამობრძანდებოდა, საფლავები ეჩვენებინა.

თბილისში დაბრუნებისთანავე ყველაფერი ნიკოს ვუამბე. რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო აკადემიის პრეზიდიუმში მოვიდა და ჩემს საწერ მაგიდაზე წინაპრების საფლავის ქვების სურათები დამილაგა. წარწერები გარკვევით ჩანდა. კაცხში ღრმად მოხუცები მოენახა და მათი ნაამბობის მიხედვით ლაზების იქ ჩასახლების ისტორია ჩაეწერა, მთელი ჩემი ნათესაობის სია შეედგინა.

— ახლა სარფში უნდა წავიდე, იქიდან ყოფილა შენი პეპერა ოოსები; იქნებ იქაურ უკანასკნელ დურმიშს მივუსწროო.

ერთი თვეც არ გასულა, რომ ბათუმიდან გულდაწყვეტილი დაბრუნდა და მომიყვა:

—სარფის ჩვენ ნაწილში დურმიშები აღარ არიან, ისინი საზღვრის იქით მოხვდნენ. მხოლოდ ორ მოხუცს ახსოვს გვარი დურმიშები. ამ დღეებში ისევ კაცხში მივდივარ, იქნებ აღმასკომის არქივში მივაგნო კაცხის ეკლესიის ჩანაწერებს; როგორ მოხდა თქვენი ხელახალი გაქრისტიანება, ის მინდა ვიცოდეო.

როგორც შემდეგში გავიგე, კაცხში მეოთხედაც ჩავიდა... ლაზების ამ ისტორიას წიგნში „მეცხრე მთაც გადავიარეთ“ (1976 წ,) მიუძღვნა თავი — „ერთი სისხლის ვართ“ (გვ. 258—265).

რა დიდი ენერგია და დრო დახარჯა ბატონმა ნიკომ, რომ რამდენიმე გვერდზე სწორად აესახა კაცხელი ლაზების ამბავი!

15

ცნობილი მცენარეთა ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი ანდრია კურსანოვი 1977 წელს თბილისში ჩამოვიდა; გაეცნო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებს და თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა. მან თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით სწორად არ მიიჩნია, რომ ბოტანიკის ინსტიტუტი მრავალპროფილიანი სამეცნიერო და-

წესებულებაა. ინსტიტუტში გაერთიანებული იყო რამდენიმე დამოუკიდებელი მეცნიერული დარგი: ბოტანიკა, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა და მიკრობიოლოგია. ამის შესაებ ა. კურსანოვი ესაუბრა ინსტიტუტის დირექტორს ნიკო კეცხოველს, მაგრამ მათ საერთო ენა ვერ გამონახეს, ერთ საერთო შეხედულებამდე ვერ მივიდნენ. საკითხი ინსტიტუტის პროფილის დაზუსტების შესახებ ღიად დარჩა.

გავიდა რამდენიმე თვე და მოსკოვიდან მივიღეთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის, ბიოფიზიკის და ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიის განყოფილების აკადემიკოსმდივნის ა. ბაევის წერილი. განყოფილება მხარს უჭერდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტიდან მცენარეთა ფიზიოლოგიის განყოფილების ამავე აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში გადატანას. ამასთანავე, ნიკომ და მე მივიღეთ ა. კურსანოვის პირადი წერილები, რომლებშიც იგივე აზრი იყო გატარებული, რაც ა. ბაევის ოფიციალურ მომართვაში. ბატონი ნიკო პირველ ხანებში ძალზე განაწყენებული იყო. ეგონა, რომ ამ საქმეში მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იყო დაინტერესებული. ჩემთან რამდენიმე შეხვედრისა და საუბრის შემდეგ დარწმუნდა, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამ წინადადებას აქ, ჩვენს აკადემიაში, მხარს არავინ უჭერდა. ვეახელით პრეზიდენტს და საქმის ვითარება დაწვრილებით გავაცანით.

ნიკო კეცხოველმა პრეზიდენტს დაახლოებით ასეთი ახსნა-განმარტება მისცა: საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გვაქვს არც მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი და არც გენეტიკისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტები. მცენარეთა ფიზიოლოგია ჩვენში აკადემიკოს ლევან ჯაფარიძის მოღვაწეობის წყალობით მაღალ მეცნიერულ დონეზეა, არ გვაკლია არც ხარისხის მქონე მეცნიერი მუშაკები და არც ორიგინალური მიმართულებები. თუ დღეს აკადემიკოს ლევან ჯაფარიძის სკოლას გავაუქმებთ და მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს გადავცემთ, ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას გამოუსწორებელ ზიანს მივაყენებთ. ამით არც მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტს შეემატება რამე; ბიოქიმიკოსები სულ სხვა მიმართულებით მუშაობენ და მათაც ნუ შეუშლით ხელს. ასეთივე მდგომარეობაა გენეტიკაში. აკადემიკოსმა ვლადიმერ მენაბდემ ნიჭიერი გენეტიკოსების მთელი პლეადა აღზარდა; მათაც აქვთ საშუალება მოკლე ხანში დამოუკიდებელი მეცნიერული ცენტრი შექმნან. მიკრობიოლოგიაზე ჯერჯერობით

თავი უნდა შევიკავოთ; მიკრობიოლოგები მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტმა შეიკედლა, სამუშაო ფართი გამოუყო და როდესაც კოლექტივი სათანადოდ მომწიფდება, ისინიც მოიპოვებენ დამოუკიდებლად არსებობის უფლებას.

პრეზიდენტმა მოისმინა ეს განმარტება და თავისი შეხედულება გამოთქვა:

— როგორც თქვენ მიგაჩნიათ საჭიროდ, ისე გადაწყვიტეთ, ბიოლოგები თქვენ ბრძანდებით. მაგრამ აკადემიკოს ა. ბაევს უეჭველად უნდა მიწეროთ დასაბუთებული და თავაზიანი წერილი.

წერილის გაგზავნა მე დამეკალა.

ოთხმოცი წლის ნიკო კეცხოველმა ერთხელ კიდევ დაიცვა ბოტანიკის ინსტიტუტის კოლექტივის მთლიანობა, ის ფუძე, რომლის საძირკველზედაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მომავალში უნდა შექმნას მცენარეთა ფიზიოლოგიის, გენეტიკისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტები.

16

ნიკო კეცხოველს შაირობა უყვარდა. განსაკუთრებით ხ'ძირად თავის მეგობარს გიორგი ლეონიძეს ეშაირებოდა ხოლმე. ყოველი მათი შეხვედრა აკადემიის პრეზიდიუმში შაირით იწყებოდა და შაირით მთავრდებოდა; შაირის თემას, ჩვეულებრივ, იმ დღის საჭირბოროტო საკითხი წარმოადგენდა. მათი ასეთი პაექრობის ნიმუშად გთავაზობთ 1960 წლის 14 ივლისის გაშაირებას.

აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა მიმდინარეობდა. სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მდივანმა ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ორი მომართვა გაგვაცნო. პირველში გიორგი ლეონიძე ითხოვდა, რომ აკადემიას ც-ს და რ-ს წიგნები გამოეცა; მეორეში, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ იყო გამოგზავნილი, ინსტიტუტის დირექცია მოითხოვდა ც-ს და რ-ს წიგნების ბეჭდვა შეჩერებულიყო, შრომები არაა რეზენცირებულიო... ამ ორი ერთმანეთის, საწინააღმდეგო შინაარსის დოკუმენტის გამომზეურებამ გიორგი ლეონიძე, როგორც ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ჩანდა, რომ უკანასკნელი მომართვა მისი ნებართვით არ იყო შედგენილი. ნიკო კეცხოველმა „ისარგებლა“ ამ გარემოებით და დაუყოვნებლივ „თავს დაესხა“ გიორგი ლეონიძეს:

ნ ი კ ო: რას ამოვლი, რას ჩამოვლი,
ბიჭო, ეგრე დაღვრემილი?
მე რა ვქნა, რომ შენ არ გახსოვს
გუშინდელი დაწერილი?

გ ო გ ლ ა:

საქმეც სწორედ იმაშია
ძილშიაც ვარ მახსოვარი,
მაგრამ შენ რად შეიფარე
გლახაკი და მათხოვარი!

ნ ი კ ო:

მათხოვარი „სახლში“ შენ გყავს
ჩემთან მოდის მოდრეკილი,
შენი გვარით მელექსება,
ჩემგნით კია მოკვეთილი.

გ ო გ ლ ა:

შენ როგორი ამბობილი ხარ
მტერი რისთვის გაახარე?!
რის უმართლოდ ჩემსა მიმართ
ეს კრებული ახარხარე!

ნ ი კ ო:

სხვა უჩემო ატირებდა,
ბიჭო შენი გადამკიდე.
ეთქვი და ტკბილად გაიცინეს,
„ჭირი“ აღარ გადაგკიდე.

გ ო გ ლ ა:

ძაღლსა პატრონის დახედულ სცემენ
ხატი პატრონით არის ძლიერი,
რა ქნას საწყალმა ჩემ ინსტიტუტმა,
რომ დიდი კაცის არ მაქს იერი!

ნ ი კ ო:

როდის დაგჭირდა ხატი ძლიერი?
დღემდე უხატოდ იარებოდი.
რატომ არ გაწყდა ყოველი „ძაღლი“
ოდეს იორზე იბადებოდი?

გ ო გ ლ ა:

დღეს სიტყვა მარტვედ მოვიდა
მიზანში ჩასვი, ტყვია-ტყვიაში,
რად დაივიწყე შენ პერმარილი
მამაპაპეულ სოფელ ტყვიავში?

ნ ი კ ო:

„კაი კაცის პერმარილი
ზღვაზე ხიდათ გაიდება“.
მაგრამ შენი? მგონი იცი
არც საკენკად გამოდგება.

გ ო გ ლ ა:

არა ყოფილა პატარძეული
მტრისგან ძლეული და წაქცეული,
მას დერმიშიც დაგიდასტურებს
არ უშობნია „კაცი ეული“.

ნ ი კ ო:

„კაცსა ეულს“ რაღას ერჩი
გაიტანა თავის ალო,
შენ ისა სთქვი შენი ლექსი
მარად უნდა დაგვამადლო?!

ნიკო მუსხელიშვილმა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომა დახურულად გამოაცხადა და ნიკო კეცხოველისა და გოგლა ლეონიძის მიწერ-მოწერაც შეწყდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ მუშაობა დაამთავრა. სხდომის დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა. პრეზიდიუმის ერთი მხცოვანი წევრი უხალისოდ მოაბიჯებდა. შევეხმიანე. — ასე ღრმად რამ ჩაგაფიქრათ-მეთქი,

— დღეს ჩვენ ფეხზე ადგომით ნიკო კეცხოველის ხსოვნას პატივი ვეცით. საკვირველია! მე ის ყოველთვის უკვდავ კაცად მიმაჩნდა, არ მეგონა, რომ ნიკოს სიკვდილი მოერეოდა... — იყო პასუხი.

1984

ნატვრა

აკადემიკოს გიორგი ძოწენიძეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პოსტი ეკავა, როდესაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს. მიუხედავად ასეთი დიდი საპასუხისმგებლო თანამდებობისა, მას აკადემიასთან კავშირი არ გაუწყვეტია და შეთავსებით დატოვებულ იქნა პრეზიდიუმის წევრად. პრეზიდიუმის სხდომის დღეებში მოდიოდა აკადემიაში, სხვა დროს კი, საჭიროების მიხედვით, მე მიხდებოდა მასთან მისვლა. ჩვენ ისიც გვაახლოებდა, რომ მე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს, მასთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა. ამავე დროს ჩვენ ძველი მეგობრები ვიყავით და ხშირად ვსაუბრობდით სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე.

ერთხელ მთხოვნელთა მიღების დღეს მივაკითხე და, როდესაც საქმეს მოვრჩით, მთხოვა დავრჩენილიყავი, მოქალაქეებისათვის მომესმინა. განსაკუთრებით ერთი წითური, ჩვენი ხნის კაცის დაჟინებამ გამაკვირვა; იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ გიორგი პირადად დახმარებოდა ბინის მიღებაში. ისეთი შეთაბეჭდილება დამრჩა, რომ

გიორგი მისგან დიდად უნდა ყოფილიყო დავალებული. როდესაც მთხოვნელთა მიღება დამთავრდა და მარტონი დავრჩით, მე ვკითხე, ის წითური კაცი ასე კატეგორიულად რა უფლებით მოითხოვდა ბინას, რა დამსახურება აქვს-მეთქი. გიორგის სახის გამომეტყველება შეეცვალა და საკმაოდ ნაღვლიანად მიპასუხა:

— „ღვაწლი", რომელიც მან დამდო, იმდენად დიდია, რომ დღემდე მაწვალებს. მისი წყალობით შევიძინე კოლიტი, რომელიც ახლაც მტანჯავს. აბა წარმოიდგინე, გეოლოგი მთაში, რომელსაც უფლება არა აქვს ცივი წყალი დალიოს, როგორი ნობათია!

ერთხანს გაჩუმდა და შემდეგ მომიყვა.

— სტუდენტობის დროს გაჭირვებულად ვცხოვრობდი. ლუკმაპურიც მე თვითონ უნდა მეშოვა. ჩემი შემოსავლის ძირითად წყაროს რეპეტიტორობა წარმოადგენდა. ზაფხულობით ოთხმოცდაათ-ას მანეთს მოვაგროვებდი ხოლმე და შემდეგ მთელი წელი ამ ფულით ვცხოვრობდი. მესამე კურსზე სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისიდან რომ ჩამოვედი, თან სამოცდაათი მანეთი ჩამოვიტანე. ჩემთვის ეს ცოტა არ იყო და მომავალს იმედიანად შევყურებდი. ერთხელ, საღამო ხანს ჩემს ბნელ ოთახში ეს წითური კაცი, როგორც მას შენ დღეს უწოდე, შემოვიდა, ისიც უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. მომიკითხა, მომიალერსა და რამდენიმე დღით სესხად ორმოცი მანეთი მთხოვა. აღმითქვა, რომ ერთ კვირაში აუცილებლად დამიბრუნებდა. სიმართლე უნდა გითხრა, სიმწრით ნაშოვნ ფულს გამოზომილად ვხარჯავდი და ყოველთვის მეშინოდა ულუკმაპუროდ არ დავრჩენილიყავი. მერყეობა რომ შემატყო, მოვიდა, ხელი მომხვია და რიხიანად შემომიტია: არა გრცხვენია, შენ რა, ამხანაგებზე ასეთი ცუდი აზრისა ხარ. აღარ მომეშვა და ორმოცი მანეთი გამომართვა. ორი დღის შემდეგ გავიგე, რომ თბილისის უნივერსიტეტიდან საბუთები გაეტანა და სწავლის გასაგრძელებლად რუსეთის რომელიღაც ინსტიტუტში გადასულიყო. რას ვიზამდი. ვიდრე რაიმე სამუშაოს ვიშოვიდი, უფრო მომჭირნეობით უნდა მეხარჯა კაპიკები. შემოდგომა იყო და ჩემს პირობებში მყოფი სტუდენტობის ძირითად საჭმელს ხილი და პური წარმოადგენდა. უფრო ხშირად ჭანჭურს ვყიდულობდი. საუკეთესო ხარისხის ჭანჭური ჯავახეთიდან შემოჰქონდათ და მეტად იაფად ჰყიდდნენ. მეც იმხანად ჩემი ახალი ფინანსური კრიზისის გამო, ძირითადად ჭანჭურითა და პურით ვიკვებებოდი. ცალმხრივი კვება მალე დამეტყო და ავად გავხდი. სათანადო პირობების უქონლობის გამო ავადმყოფობას კარგა ხანს ვერ მოვერიე. გავიდა დრო და გამოირკვა, რომ საბოლოოდ შემომრჩა ქრონიკული დაავადება.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ეს შენი ახალი ნაცნობი წითური სათოფე მანძილზე არ მეკარებოდა, არც ერთხელ არ მოსულა, ბოდიშიც კი არ მოუხდია. დღეს პირველად გამომეცხადა და ხომ ნახე, თავი როგორ ეკავა, რა კილოთი მოითხოვდა მთავრობის დახმარებას. განსაკუთრებით მისმა პირველმა ფრაზამ ამაღელვა:

— ჩვენმა ძველმა მეგობრობამ გამაბედვინა შენთან მოსვლა და იმედია, ძველებურად დამეხმარებიო, — ასეთი უსინდისო ადამიანის მნახველი არა ვარ. ჩემი და მისი იღბალი, რომ საუბარს შენ ესწრებოდი, მარტო რომ ვყოფილიყავი, თავს ვერ შევიკავებდი და არ ივარგებდა. სერგი, რატომ მოიწყინე. ასეთი ადამიანები იშვიათია. ჩვენს გარშემო დიდი უმრავლესობა ხომ კეთილი და პატიოსანი ხალხია, — დაუმატა მან მცირე პაუზის შემდეგ და თითქოს ნათქვამის დასადასტურებლად განაგრძო: — ერთი დიდი ხნის ნატვრა მაქვს და, ვერ იქნა, ვერ შევისრულე. ერთ კაცთან შეხვედრაზე ვოცნებობ და ვერაფრით მის კვალს ვერ მივაგენიო. ოჯახში ექვსი ბავშვი ვიზრდებოდით: სამი ძმა და სამი და. ყველას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და დიდი მეგობრობა გვქონდა. ერთ-ერთი ჩემი და — ქეთევანი ახლა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტია, ქართულ ენას ასწავლის. შენ მას კარგად იცნობ, სიმართლის დიდი ტრფიალია. ჰოდა, ერთხელ დედამ ერთ ხელში ნავთის ბოთლი მომცა, მეორეში ხურდა ფული ჩამიდო და ნავთის საყიდლად გამგზავნა. ჩემმა პატარა დამ ქეთინომ მარტო არ გამიშვა, ატირდა და იძულებული ვიყავი წამეყვანა. ნავთინ სავაჭრო ჩვენი სახლიდან შორს არ იყო, მაგრამ იმ დროს ქუთაისის ქუჩები არ იყო კარგად მოვლილი და განსაკუთრებით ზამთარში ჭირდა სიარული. ნავთი ვიყიდეთ და გახარებულები, რომ ოჯახის დავალება შევასრულეთ, შინ ხელიხელჩაკიდებული ვბრუნდებოდით. ის-ის იყო სახლთან მივედით, რომ რაღაცას ფეხი წამოვდე და ორივენი დავეცით. ბოთლი ხელიდან გამივარდა, გატყდა და ნავთი მთლიანად დაიღვარა. ჩვენი დიდი სიხარული უდიდესი მწუხარებით შეიცვალა. ვისხედით ორივენი ქვაფენილზე და ხმამაღლა ვტიროდით. გამვლელები გაკვირვებით გვიყურებდნენ, დაღვრილ ნავთს რომ ასე გამწარებულნი დავტიროდით. არ ვიცი, რით გათავდებოდა ეს ჩვენი მოთქმა, რომ ერთი ღვთისნიერი კაცი არ მოსულიყო ჩვენთან. ის ჯერ მოგვეფერა და შემდეგ აღგვითქვა, რომ დედასთან წამოგვყვებოდა და ეტყოდა — ყველაფერი ჩემი ბრალია, ბავშვებს შემთხვევით მე დავეჯახეო. ჩემი და გაჯავრდა: — ბიძია, ტყუილი როგორ შეიძლება, ჩვენ განა გალახვას მოველით, დედიკო არაფერსაც არ გვეტყვის. ჩვენ ის გვწყინს, რომ ოჯახის პირველი დავალება ვერ შევასრულეთო.

ჩვენმა ახალმა მეგობარმა გაიცინა, ორივენი აგვაყენა, უკანვე ნავთის გამყიდველთან მიგვიყვანა, ნავთით სავსე ბოთლის ღირებულება გადაიხადა, ერთ ხელში ბოთლი დაიკავა, მეორე კი ჩვენ ჩაგვკიდა და სახლამდე მიგვაცილა. ჩემს და ჩვენს მთელ თავგადასავალს დაწვრილებით მოუყვა დედას. უფროსებმა მე დამტუქსეს: შენ ხომ დიდი ხარ, ვაჟკაცმა კაცმა ერთი ბოთლი ნავთისათვის როგორ იტირეო.

სერგი, ახლაც შესანიშნავად მახსოვს ჩვენი მხსნელის გარეგნობა და, შენ წარმოიდგინე, მისი ხმაც კი. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და ვერსად იმ კაცს ვერ მივაკვლიე. რამდენი ხანია ვნატრობ, რომ მას სადმე შევხვდე და ვერ იქნა, ნატვრა ვერ ავისრულე. ალბათ, კვლავ ბრმა შემთხვევას უნდა ვუცადო, მეტი რა გზაა! ხომ ნახე, ვინც არაფრის ღირსია, მან რა გაბედულად მომაკითხა, ხოლო ვისთანაც შეხვედრა უდიდეს სიამოვნებას მომანიჭებდა, ის არსად ჩანს.

გიორგის ნატვრა, სამწუხაროდ, შეუსრულებელი დარჩა.

1980

სიცოცხლის მესაიდუმლე

სიცოცხლე! — რა საოცარი, თან მარტივი და თითქოს ადვილად შესაცნობი, ამავე დროს უაღრესად რთული და საიდუმლოებით მოცული მოვლენაა იგი.

ვის არ განუცდია სიცოცხლის სიტკბო და სილამაზე, ვინ არ მოჯადოებულა მისი მრავალფეროვნებითა და უსასრულობით. რა და რამდენი რამ არ დაწერილა მასზე!

ადამიანის გონებას ყოველ დროში იზიდავდა სიცოცხლის არსი და ბუნება, მისი შორეული ფესვების ძიება და განვითარების საიდუმლოებათა ამოცნობა. სხვადასხვა ხანაში, კულტურის სხვადასხვა საფეხურზე სიცოცხლის წარმოშობასა და რაობას სხვადასხვა ახსნა ეძლეოდა. და მაინც ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედამდე არ ჩანდა მოძღვრება, რომელიც შუქს მოჰფენდა მრავალსაუკუნოვან პრობლემას, თუ როგორ წარმოიშვა ცოცხალი არსება მატერიის ხანგრძლივი გარდაქმნის პროცესში.

1922 წელს ახალგაზრდა საბჭოთა მკვლევარმა ალექსანდრე ოპარინმა წამოაყენა ჰიპოთეზა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. იგი გონების თვალით რამდენიმე მილიარდი წლის წინანდელ დედამიწაზე გადასახლდა, კვალდაკვალ მიჰყვა ნახშირბადის პირველი

ატომების ევოლუციას და მათთან ერთად განვლო უსასრულოდ შორი გზა ნახშირბადისა და ნახშირწყალბადების უმარტივესი მოლეკულებიდან პირველ ცოცხალ არსებამდე.

ა. ოპარინმა გადალახა ის თითქოს უძლეველი ზღუდე, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში სიცოცხლის წარმოშობის პრობლემის მკვლევარებს გადაეღობა. მან დაამტკიცა, რომ სიცოცხლის წარმოშობა კანონზომიერი პროცესია და მატერიის საერთო ისტორიული განვითარების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ნათელყო მისი შესწავლის აუცილებლობა და, რაც მთავარია, ის, რომ მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვეულებრივი მეთოდები — ბუნების მოვლენათა ობიექტური დაკვირვება და ექსპერიმენტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

ოპარინმა პირველმა შექმნა წარმოდგენა, რომ უხსოვარ დროს დედამიწაზე ფართოდ იყო გავრცელებული აბიოგენურად წარმოქმნილი უმარტივესი ნახშირწყალბადები და დედამიწის პირველადი ატმოსფერო აღდგენის თვისებით ხასიათდებოდა. მანვე დაასაბუთა შესაძლებლობა ნახშირწყალბადების გარდაქმნისა, ამიაკთან და წყალთან ურთიერთობაში, რთულ ორგანულ ნაერთებად. მან გამოიკვლია და ცხადად დაგვისახა ორგანული მატერიის აბიოგენური ევოლუციის შემდგომი გზები.

ა. ოპარინის თეორიის მიხედვით პირველადი ორგანიზმები ჰეტეროტროფები იყვნენ. მხოლოდ ასეთი ორგანიზმების ევოლუციის შედეგად შეიძლებოდა წარმოშობილიყო ფოტოსინთეზი; ატმოსფეროში თავისუფალი ჟანგბადი გაჩნდა და ბიოლოგიური ევოლუციაც ახალ საფეხურზე ავიდა.

სიცოცხლის წარმოშობის ეს თეორია საქვეყნოდ გავრცელდა. მისი ავტორის შესანიშნავი წიგნები მსოფლიოს 50 ენაზე ამეტყველდა. ახალი თეორია სხვადასხვა ქვეყნის ბევრ სამეცნიერო დაწესებულებაში შეიჭრა და დამკვიდრდა.

ა. ოპარინის მიერ გარკვეულ გზას მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი გაჰყვა. მათი კვლევა-ძიების შედეგად ა. ოპარინის ძირითად დებულებათა დამადასტურებელი დიდძალი ფაქტობრივი მასალა დაგროვდა.

თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ სიცოცხლის წარმოშობის საკითხებს მხოლოდ თითო-ოროლა მეცნიერი იკვლევდა, ახლა ამ პრობლემის გამო მსოფლიო კონფერენციები იმართება.

საერთაშორისო სიმპოზიუმებმა, რომლებიც ჩვენში (მოსკოვი, 1957 წ.), და ამერიკის შეერთებულ შტატებში (ფლორიდა, 1963 წ.) მოეწყო, ნათლად გვიჩვენა, თუ რა ფართოდ განვითარდა სიცოცხლის

პირველსაწყისი ფორმების ძიება და რამდენად საყოველთაო აღიარება ჰპოვა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის პრობლემისადმი მატერიალისტურმა მიდგომამ.

ახალგაზრდა ბიოქიმიკოსი, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოებას შეეჭიდა, ახლა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერია და ამ პრობლემის შესწავლის სულისჩამდგმელად და მეთაურად არის აღიარებული.

თუ ა. ოპარინი, ერთი მხრივ, შორეულ წარსულში ეძიებდა მატერიის განვითარების წაშლილ ბილიკებს და მათ ნიშანდობლივ გასაყარებს თვალსაჩინო სამნებით აღნიშნავდა, მეორე მხრივ, ყოველთვის თანამედროვე ცხოვრების შუაგულში იდგა და თავის საოცარ ნიჭსა და ცოდნას ადამიანის დღევანდელი საჭირბოროტო ამოცანების გადაჭრასაც ანდომებდა.

მას ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები სუნთქვის ქიმიზმსა და ფერმენტებზე, მცენარეული უჯრედის ფერმენტულ პროცესებზე, ენზიმოლოგიისა და ტექნიკური ბიოქიმიის მრავალ საკითხზე.

ა. ოპარინისა და მისი სკოლის გამოკვლევების შედეგად პირველად ჩამოყალიბდა კვების მრეწველობის მთელი რიგი დარგების ბიოქიმიური საფუძვლები. ამის საუკეთესო მაგალითია ჩაის წარმოება. ჩვენი ჩაის მრეწველობა ჯერ ახლად ფეხადგმული იყო, როდესაც ა. ოპარინი თავის მოწაფეებთან ერთად ჩაის ბიოქიმიურ შესწავლას ჩაუდგა სათავეში. რამდენიმე ათეული წლის დაუღალავი კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბდა ჩაის წარმოების თანამედროვე ბიოქიმიური თეორია, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენში ჩაის წარმოების შეუნელებელ წინსვლასა და წარმატებას.

კარგა ხანია ცნობილია, რომ ყურძნის წვენის დაღვინებაც სიცოცხლის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მიკროორგანიზმები — საფუვრები, რომლებიც ტკბილის დუღილს იწვევენ, ადამიანზე ადრეა გაჩენილი. ისინი ყურძნის წვენში მრავლდებიან, იზრდებიან, ვითარდებიან და იხოცებიან. აქ სიცოცხლე მთელი თავისი სირთულით ერთ უჯრედშია მოქცეული და ამიტომ არის, რომ დუღილის აღმძვრელი მიკროორგანიზმები მეცნიერთა გამუდმებული კვლევა-ძიების საგანს შეადგენდა. ა. ოპარინმა თავისი წვლილი სიცოცხლის ამ ფორმის ბიოქიმიურ შესწავლაშიც შეიტანა და საფუვრებში მიმდინარე მრავალი ფერმენტული პროცესის არსი ამოხსნა.

მან პირველმა ახსნა მრავალი სხვა პროცესიც, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მცენარეული წარმოშობის მასალის გადამუშავებასთან. იგი ჩვენი ტექნიკური ბიოქიმიის ფუძემდებელი და

შაშამთავარია. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ტექნიკური ბიოქიმიის სკოლამ მსოფლიოში წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა.

ა. ოპარინის მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივია, იგი ჩვენი დროის დიდი მკვლევარი-ექსპერიმენტატორი, გამოჩენილი პედაგოგი, მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწეა.

ამიტომ არის, რომ მისი დაბადების 70 წლისა და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის 50 წლისთავს ასე გულითადად აღვნიშნავთ.

ა. ოპარინს დიდი შრომა აქვს გაწეული ახალგაზრდა მეცნიერთა მოსამზადებლად. 50 წელია, რაც მისი ცხოვრება განუყრელად დაკავშირებულია მოსკოვის უნივერსიტეტთან; 20 წელი ხელმძღვანელობდა იგი მცენარეთა ბიოქიმიის კათედრას. ბევრმა მისმა მოწაფემ უმაღლეს მეცნიერულ წარჩინებას მიაღწია. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ უკრაინასა და ყაზახეთში, საქართველოსა და სომხეთში, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში.

ა. ოპარინი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ორი ათეული წლის განმავლობაში მისი უცვლელი დირექტორია. თავისი ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე მას მრავალი სხვადასხვა თანამდებობა ეკავა და ახლაც უკავია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში და მის გარეთ. იგი არის საბჭოთა ბიოქიმიკოსების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე და ბიოქიმიკოსთა საკავშირო საზოგადოების პირველი პრეზიდენტი. 1961 წელს იგი არჩეულ იქნა ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად.

ა. ოპარინი მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრია. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი მეცნიერ მუშაკთა მსოფლიო ფედერაციის წევრი გახდა, ა. ოპარინი ამ ორგანიზაციის უცვლელი ვიცე-პრეზიდენტია. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ფედერაციის მთლიანობის შენარჩუნებასა და საქმიანობის გაშლა-გაფართოებაში. იგი უცხოეთის მრავალი აკადემიისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა წევრია. არაერთმა უნივერსიტეტმა მიანიჭა მას მეცნიერებათა დოქტორის საპატიო წოდება.

ა. ოპარინი საბჭოთა ქვეყნის დიდი პატრიოტია, ამ სიტყვის საუკეთესო და სრული გაგებით. მას ჭეშმარიტი გულწრფელობით უყვარს ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხი. იგი საქართველოს და ქართველი ხალხის მეგობარია, ჩვენი ბიოქიმიკოსებისა და ტექნოლოგების ძლიერი რაზმი მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა. მისი მეთაურობითა და მონაწილეობით დამუშავდა პრობლემები,

რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კვების მრეწველობის განვითარებისათვის. იგი მუდამ მჭიდრო კავშირშია ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან, ჩვენს შესაბამის ქარხნებსა და ფაბრიკებთან.

ა. ოპარინი მკვეთრად თავისებური, ვეებერთელა შინაგანი ძალის მქონე ადამიანია, იგი თანაბრად მომხიბლავია როგორც მეცნიერი და პედაგოგი, ისე როგორც მოქალაქე და საზოგადო მოღვაწე და როგორც თანამებრძოლი და მეგობარი.

უსმენ მას და ხედავ, რა მარტივი ყოფილა თურმე ბუნების მოვლენები, როცა მათ მეცნიერის ღრმა ცოდნა გოლიათური შრომა გაგიშუქებს.

იმყოფები მის გვერდით და გაკვირვებს მისი უჭკნობი სიჭაბუკე, უთუოდ ნაყოფი მისი დაუშრეტელი და ძალუმი მიზანსწრაფვისა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი კვლავინდებური, ახალგაზრდული შემართებით იღვწის შემეცნების დაუსრულებელ სარბიელზე. ახლა იგი გატაცებით იკვლევს ორგანული პოლიმერების გარდაქმნას უმარტივეს ცოცხალ სტრუქტურებში. მას არასოდეს ჰქონია მეცნიერული კვლევის ისეთი უძლეველი წყურვილი და ფრთაგაშლილი გეგმები, დღეს რომ აქვს, ისეთი ალესილი იარაღი სიცოცხლის რაობისათვის სულ ახალ და ახალ საიდუმლოებათა გამოსატაცებლად, ახლა რომ ფლობს.

1964

შეხვედრა ვლადიმერ ბრიუსოვთან

მოსკოვის მეცნიერთა სახლში დიდი ზეიმი იყო. ალექსანდრე ოპარინს და მის თეორიას დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ერთად უხდიდნენ იუბილეს. სიცოცხლის მესაიდუმლეს ახლახან შესრულებოდა 70 წელი, მისი პირმშო თეორია კი 40 წელს ითვლიდა.

ამ ზეიმში, სიცოცხლის ამ თავისებურ დღესასწაულში, ჩვენი ქვეყნის მრავალი გამოჩენილი მეცნიერი მონაწილეობდა. სხვადასხვა დარგისა და პროფესიის ადამიანები ტკბილად იგონებდნენ სახელოვანი იუბილარის ცხოვრებისა და შემოქმედების ღირსსახსოვარ ეპიზოდებს.

სიცოცხლის წარმოშობის თეორიასაც ჰქონდა თავისი ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუკე, მისი პირველი დებულებები რუსეთში ყალიბდებოდა სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას არსებობა უჭირდა. მძვინვარებდა ტიფი და ქოლერა. ყველგან დაძრწოდა შიმშილი, ირგვლივ სიცივე და სიბნელე

გამეფებულიყო. უპირდა სიცოცხლეს რუსეთში. მაგრამ ქვეყანაში დიდი თავდადებული შრომა და შემოქმედებითი აღტყინება სუფევდა. მშიერ ქვეყანას ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი მტკიცედ ედგა მხარში.

მოსკოვის უნივერსიტეტის ახალგაზრდა მასწავლებელი ალექსანდრე ოპარინი, როგორც სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს ქიმიური სექციის წევრი, 1919—1922 წლებში მოგზაურობდა რუსეთის სხვადასხვა ოლქში, რათა ხელი შეეწყო ქიმიური მრეწველობის აღდგენისათვის. უმძიმეს პირობებში შრომობდა იგი, რომ ჯარისკაცებს ჩექმა ჰქონოდათ, ხოლო ავადმყოფები ასპირინით მაინც ყოფილიყვნენ უზრუნველყოფილი.

ახლად ტიფმოხდილი. ნახევრად მშიერი, ლასლასით მიაბიჯებდა უკაცრიელ ქუჩებში და, სიკვდილის ლანდებით გარემოცული, სიცოცხლეს შესტრფოდა. საათობით რომ დასცქეროდა შტაბელებად დალაგებულ გაყინულ გვამებს, თურმე სიცოცხლეზე ფიქრობდა... სიცოცხლის პირველ აღორძინებას ხედავდა. შინაგანად გრძნობდა, რომ უაღრესად შორეული წარსულიდან უხმობდნენ პირველი სიცოცხლის ზარები. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს არ ასვენებდა ფიქრი, თუ რატომ ვერ გასცა პასუხი დარვინმა კითხვას: როგორ წარმოიშვა სიცოცხლე? უცნობი და მიუწვდომელი სათავეებისაკენ ლტოლვის დაუოკებელი სურვილი აკაჟებდა და ამხნევებდა ქანცმილეულ ახალგაზრდას.

დადგა 1922 წლის მაისი. ალექსანდრე ოპარინმა უკვე ჩამოაყალიბა თავისი პირველი შეხედულებები სიცოცხლის წარმოშობაზე. პირველი მოხსენება ამ საკითხზე მან რუსეთის ბოტანიკოსთა საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა. ეს იყო საჯარო ნათლობა ახლად ფეხადგმული ჰიპოთეზისა, რომლის მიხედვითაც ორგანულ ნაერთთა წარმოქმნა ახსნილი იყო ბიოგენური გზით, ე. ი. ორგანიზმების მონაწილეობის გარეშე. დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის სრულყოფილი თეორიის შექმნას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა, მაგრამ პრობლემა უკვე დაძრული იყო ჩიხიდან, კვლევის უტყუარი გზა ავტორს გამოენახა და მომავალი გრანდიოზული შენობის კონტურებიც ნათლად მოჩანდა.

ამავე წლის შემოდგომაზე, მოსკოვის უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, ალექსანდრე ოპარინი მეცნიერული კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჰაიდელბერგში პროფესორ კოსელთან უნდა გამგზავრებულიყო. ამ დროისათვის გერმანიის ხელოვნების მუშაკებს გადაეწყვიტათ ვალერი ბრიუსოვის „ცეცხლოვანი ანგელოსის“ ეკრანიზაცია. რე-

ქტორატისაგან ოპარინს დავალებული ჰქონდა ავტორის თანხმობა ბერლინს ჩაეტანა.

ვალერი ბრიუსოვი — სახელმოხვეჭილი პოეტი და პროზაიკოსი. კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე — მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

ოპარინი ბრიუსოვს შინ ესტუმრა. ისინი მანამდე ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ. გაცნობისა და საქმიანი მოლაპარაკების შემდეგ საუბარი პოეზიასა და პოეტებს შეეხო. ბრიუსოვი დარწმუნდა, რომ მის წინაშე იყო ლიტერატურის კარგი მცოდნე და პოეზიის დიდი მოტრფიალე ახალგაზრდა. მალე ლექსების კითხვაც გაჩაღდა. ბრიუსოვი აღტაცებული იყო, როდესაც ოპარინმა გამოჩენილი რუსი პოეტების მრავალი ლექსი ზეპირად წარმოთქვა. მათ საერთო კერპებიც აღმოაჩნდათ: ნეკრასოვი და დარვინი. აქამდე ერთმანეთისათვის უცნობი ორი ადამიანი, პოეტი და მკვლევარი, პოეზიითა და მეცნიერებით გამოწვეულმა საერთო შემოქმედებითმა სიხარულმა დაახლოვა, გააერთიანა, დაამეგობრა. გაქრა მათ შორის ასაკობრივი სხვაობაც. კუშტი და ცივი გამომეტყველების მქონე შუახნის პროფესორის ნაცვლად ოპარინის წინაშე იდგა თვალებანთებული ახალგაზრდა მეოცნებე, რომლის ალერსიანი ხმა აღსავსე იყო შინაგანი სითბოთი.

საუბარი ეგრეთ წოდებულ მეცნიერულ პოეზიასაც შეეხო. ბრიუსოვი დიდი ხანია ამტკიცებდა, რომ ყოველივე ის, რაც თანამედროვე ადამიანს აინტერესებს და აღელვებს, უფლებამოსილია აისახოს ლექსში. მეცნიერული აღმოჩენების პათოსი მე ყოველთვის მაღელვებდაო, ამბობდა იგი. ბრიუსოვს თანაბრად აინტერესებდა მატერიის უმცირესი ნაწილაკისა და მთელი კოსმოსის საიდუმლოებანი, კითხვას კითხვაზე აყრიდა პოეზიით გატაცებულ ბუნებისმეტყველს. განსაკუთრებით სიცოცხლის წარმოშობა და სამყაროში გავრცელება, მისი რაობა აღელვებდა. არის თუ არა სიცოცხლე პლანეტებზე, არის თუ არა მარსზე ცოცხალი არსებაო, კითხულობდა ბუნებისმეტყველებით დაინტერესებული პოეტი. მათი ფიქრები პოეზიის სამყაროდან ახლა სიცოცხლის შორეულ სათავეებთან გადასახლებულიყო, სამყაროს საიდუმლოებათა შესაცნობად სხვადასხვა პლანეტაზე მოგზაურობდა. ბრიუსოვი ხარბად ისმენდა შთაგონებულ თხრობას სიცოცხლის წარმოშობისა და მისი არსის შესახებ.

დიდად განათლებულმა, მრავალმხრივი ცოდნით აღჭურვილმა პოეტმა იგრძნო ის შინაგანი ძალა და გატაცება, ორიგინალური მიდგომა და რწმენა, რითაც მისი სტუმარი სიცოცხლის პრობლემას შესჭიდებოდა. ბრიუსოვმა მიულოცა მას გაბედული მეცნიერული შემართება, მოუწონა გონების სილაღე, დაუდგრომელი მიზანსწრაფვა.

თქვენმა მკაცრმა ლოგიკურმა მსჯელობამ და პოეტურმა აღმაფრენამ დამატყვევაო, აღტაცებული იმეორებდა იგი.

ამ შესანიშნავი და დაუვიწყარი შეხვედრის დასასრულს ბრიუსოვმა ოპარინს გადასცა თავისი ლექსების ახლად გამოცემული კრებული „Дали", ასეთი წარწერით: „Многоуважаемому Александру Ивановичу Опарину. На память о беседе о происхождении жизни и в знак благодарности за интереснейшую лекцию по этому вопросу. 4 августа 1922 г. Валерий Брюсов. Москва".

„რუსეთში ყველაზე კულტურულმა მწერალმა" (მ. გორკი) და „აზრის პოეტმა" (ა. ბლოკი) დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის მომაღალი თეორიის ძალა აკვანშივე შეიგრძნო, შეიცნო იგი და დალოცა.

ვალერი ბრიუსოვს სწამდა ადამიანის ძალა, სჯეროდა, რომ ადამიანი „თავისი ხელით წარმართავდა პლანეტათა მოძრაობას მნათობთა შორის". ალექსანდრე ოპარინი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი ამოხსნის სიცოცხლის საიდუმლოებას და ჩააყენებს მას კაცობრიობის სამსახურში. ბრიუსოვი ფიქრობდა, რომ პოეტი უნდა იდგეს თანამედროვე მეცნიერული ცოდნის დონეზე და რომ მას, პოეტს, უფლება აქვს ოცნებობდეს ისეთ მკითხველზე, როგორიც ოპარინია. ახალგაზრდა დარვინისტი კი დაბეჯითებით ამტკიცებდა — სიცოცხლე ლექსის გარეშე შეუძლებელიაო.

როგორც ბატონი ალექსანდრე იგონებდა, "შუაღამემდე გასტანა ცნობილი პოეტისა და ახლად ფეხადგმული მეცნიერის საუბარმა. უდიდეს ბედნიერებას გრძნობდნენ ერთად ყოფნით, განშორებისათვის აღარ ეთმობოდათ ერთმანეთი.

შემოქმედების სიხარულთან შედარებით რა არარაობად ჩანდა შიმშილი, სიცივე, სიბნელე, სიკვდილიც კი...

1970

ინტერვიუ

1976 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მოწვევით ჩვენთან თბილისში იმყოფებოდა გამოჩენილი მეცნიერი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიის შემქმნელი, სიცოცხლის წარმოშობის შესწავლის საერთაშორისო საზოგადოების პირველი პრეზიდენტი ალექსანდრე ივანეს ძე ოპარინი.

ალექსანდრე ივანეს ძე ქართველი ხალხის დიდი მეგობარია. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მისი დამსახურება საქართველოში მცენარეთა და ტექნიკური ბიოქიმიის განვითარების საქმეში. იგი მოხიბლულია ჩვენი რესპუბლიკის ადამიანებით, მისი ბუნებით, პოეზიით, ხელოვნებით. მისი შეხვედრები საქართველოს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან ყოველთვის საქმიან და ნამდვილ შემოქმედებით ხასიათს ატარებს.

ამჯერადაც ა. ოპარინი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გამოვიდა მოხსენებით დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, ბევრ ინსტიტუტში მოაწყო დიდად სასარგებლო საუბარ-კონსულტაციები. მისი ყოფნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში იქცა ჩვენი კოლექტივის სამეცნიერო და სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად. მე შევთავაზე ალექსანდრე ივანეს ძეს რამდენიმე შეკითხვა. მისი პასუხები, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

— რა გაკეთდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბოლო ათწლეულში თქვენი დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის თეორიის განვითარებაში?

— სიცოცხლის წარმოშობის საკითხი კომპლექსური პრობლემაა, რომელიც შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა მონაწილეობით.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ ფაქტის დადგენა, რომ ორგანული ნივთიერებანი ფართო მასშტაბით სინთეზირდება ვარსკვლავთშორის სივრცეში, რომ ისინი ბიოგენურად წარმოიქმნებიან ახლაც და, მაშასადამე, წარსულშიც წარმოიქმნებოდნენ, არა მარტო სიცოცხლის წარმოშობამდე, არამედ ჩვენი პლანეტის წარმოქმნამდეც კი, ხოლო დედამიწა მათ ღებულობდა მზის სისტემიდან უკვე თავისი ფორმირების პერიოდში.

ამჟამად ჩვენ გვაქვს ახალი მონაცემები ორგანული ნაერთების ქიმიური ევოლუციის შესახებ დედამიწის არსებობის მთელი საწყისი პერიოდისათვის და ეს მონაცემები მიღებულია არა მარტო მოდელური ცდების საფუძველზე. რომლებშიც ნახშირბადოვან ნაერთთა გარდაქმნის კვლავწარმოებისათვის „პირვანდელი“ პირობებია შექმნილი, არამედ, აგრეთვე, უძველესი მთის ქანების გეოლოგიური კვლევის შედეგადაც. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრი რამ მოგვცა მოდელურმა ცდებმა, რომლებიც მიზნად ისახავს პოლიმერ-პოლინუკლეოტიდებისა და ცილისმაგვარი ნივთიერებების — პროტეინოიდების ბიოტურ სინთეზს.

მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას ამჟამად იპყრობს ქიმიური ევოლუციიდან (მოლეკულურ დონეზე) ბიოლოგიურ ევოლუციაზე გადასვლის გზების ძიება. ამ გადასვლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მრავალმოლეკულური ფაზაგანცალკევებული ღია სისტემების წარმოქმნა, რომელთაც ექნებოდათ უნარი დაეძლიათ ენტროპიის (უწესრიგობისაგან წესრიგის შექმნა) ზრდა და განეცადათ ბუნებრივი გადარჩევა, რომლის მოქმედების შედეგადაც წარმოიქმნებოდა ცალკეული ნაწილების (მოლეკულების, ორგანოიდების და ა. შ.) შენების შეგუებულობა იმ ფუნქციებთან, რასაც ისინი ასრულებდნენ, უზრუნველყოფილი იქნებოდა მთელი ორგანიზმის უნარი შეენარჩუნებინა თავისი თავი როგორც მთლიანი სისტემა არსებობის მოცემულ პირობებში. ასეთ ღია, ფაზაგანცალკევებული სისტემების და მათი ევოლუციის გამოკვლევა ხორციელდება ამჟამად მოდელურ ცდებში, კერძოდ, კოაცერვატული წვეთების მაგალითზე, რომელთაც უნარი აქვთ პრიმიტიული ფორმით განახორციელონ ნივთიერებათა ცვლა, გაიზარდონ და დაექვემდებარონ ბუნებრივ გადარჩევას.

ძალზე მიმზიდველია ამ ცდების შეპირისპირება იმ გეოლოგიურ ეპოქათა შესაბამის მონაცემებთან, როდესაც წარმოებდა პირველადი ცოცხალი არსებების წარმოქმნა.

— როგორ გესახებათ მცენარეთა ბიოქიმიის განვითარების შემდგომი პერსპექტივები? მოლეკულური ბიოლოგიის ასეთი აღმავლობის პირობებში რა ფუნდამენტური პრობლემები უნდა დაისვას მცენარეთა ბიოქიმიის წინაშე?

— ეგრეთ წოდებულმა „მოლეკულურმა ბიოლოგიამ", ანუ მეცნიერებამ ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნაერთების შესახებ, განსაკუთრებით ისეთი პოლიმერების შესახებ, როგორიცაა ცილები და ნუკლეინის მჟავები, მართლაც მიაღწია ამ ბოლო დროს თვალსაჩინო შედეგებს, რომლებიც ამჟამად ჩვენს მიერ სიცოცხლის არსის შეცნობის აუცილებელ საფუძვლად გვევლინება.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრწყინვალე წარმატებებმა წარმოშვა წარმოდგენა, თითქოს სიცოცხლე მთლიანად შეიძლება შევიცნოთ მისი მხოლოდ მოლეკულურ დონეზე შესწავლის გზით; რომ ამისათვის საკმარისია შევიცნოთ ცოცხალი არსებების შემადგენელი მოლეკულების აგებულება და „მოქცევა", მოქმედება.

ეს, რასაკვირველია, არასწორია. სიცოცხლის წარმოშობის პროცესის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ნაწილები კი არ განსაზღვრავენ მთელის ორგანიზაციას, არამედ მთელმა განვითარების პროცესში ბუნებრივი შერჩევის გზით შექმნა ნაწილების აღნაგობის „მიზანშეწონილობა".

სიცოცხლის პროცესის შეცნობისათვის და ამის საფუძველზე მისი შეგნებულად მართვის შესაძლებლობისათვის (აქეთ უნდა მიისწრაფოდეს მცენარეთა ბიოქიმია და ფიზიოლოგია) არასაკმარისია, მაგალითად, მარტო იზოლირებული ფერმენტის აგებულებისა და თვისებების ცოდნა, საჭიროა მისი მოქმედების ცოდნა უჯრედის მთლიან სტრუქტურებში — მემბრანებსა და უჯრედის ორგანელებში. ამაში ვხედავ მე მცენარეთა ბიოქიმიის განვითარების უმნიშვნელოვანეს პერსპექტივებს უახლოეს მომავალში.

— ახალგაზრდა მეცნიერებმა მთხოვეს დამესვა თქვენთვის ასეთი შეკითხვა: ახალგაზრდა კაცის რა თვისებები განსაზღვრავს ძირითადად მეცნიერული მიზნების მიღწევას?

— ესაა, უპირველესად, ცოდნის დაუძლეველი წყურვილი, მისწრაფება, რაც შეიძლება სრულყოფილად შეიცნო ჩვენი გარემომცველი სამყარო და ის ადგილი, რომელიც მასში უკავია ადამიანს — ჩვენს პატარა დედამიწაზე და დიდ სამყაროში. ეს მისწრაფება დამახასიათებელია ყოველი ადამიანისათვის, მაგრამ იგი განსაკუთრებით ძლიერად უნდა ჰქონდეს განვითარებული მეცნიერს.

მეორეა ჭეშმარიტების ურყევი ერთგულება, ყოველგვარი გადახრა სიმართლისაგან, ყოველგვარი სიცრუე, რა მიზეზებით და მიზნებითაც არ უნდა იყოს იგი გამოწვეული, სრულიად უცხო უნდა იყოს მეცნიერების მსახურისათვის.

და ბოლოს, მესამე: მისწრაფება თავისი შრომით, თავისი ტალანტითა და ცოდნით ყოველთვის ემსახურო ადამიანებს და თავის ხალხს — მაღალი პატრიოტიზმია. თუ რამდენადმე შევცვლით პოეტის სიტყვებს, მე ვიტყოდი: შეიძლება არ იყო მეცნიერი, მაგრამ პატრიოტი აუცილებლად უნდა იყო.

— რა თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

— გონებას, პატიოსნებას და ადამიანების მიმართ კეთილ განწყობილებას.

— რაში მდგომარეობს მეცნიერების პოეზია.

— მეცნიერება — ეს ძირითადად გონების სფეროა, პოეზია კი, როგორც ყოველი ხელოვნება, გრძნობის სფეროა, მეცნიერი გადასცემს ადამიანებს მის მიერ მიღწეულ შედეგებს ლოგიკური წყობის გზით, მხატვარი მიისწრაფვის იქით, რომ მოახდინოს უშუალო ემოციური ზემოქმედება თავის მსმენელებზე ან მაყურებლებზე. თუმცა, ფართო მეცნიერულმა განზოგადებებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ღრმად ჩაწვდომა საკითხის ახსნაში, არამედ მაღალი ემოციური გრძნობაც — ჭეშმარიტი აღტაცება. ამაში გამოიხატება მეცნიერების პოეზია.

— მიუხედავად მსოფლიო აღიარებისა, ხომ არ ხართ თქვენს ცხოვრებაში რითიმე შედარებით უკმაყოფილო?

— მე განსაკუთრებით მაწუხებს ამ ბოლო დროს სმენის დაქვეითება. ეს განსაკუთრებით მირთულებს ცხოვრებას, მირთულებს უპირველესად, ადამიანებთან უშუალო ურთიერთობას, რაც უმნიშვნელოვანესი რამაა ცხოვრებაში. იგი ხელს მიშლის ჩემს მეცნიერულ მუშაობაშიც, კერძოდ, სამეცნიერო კონფერენციებსა და შეკრებებში მონაწილეობაში. მაგრამ განსაკუთრებით მაწუხებს მუსიკის სრულყოფილად აღქმის შეუძლებლობა, მეტადრე სიმფონიური ნაწარმოებებისა, რომლებიც ადრე ჩემი უდიდესი სიამოვნების წყაროს წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, მე თითქმის მოკლებული ვარ დრამის მოსმენის საშუალებას. კინოში მე მხოლოდ ვხედავ და იშვიათად თუ ჩავწვდები ხოლმე სიუჟეტის განვითარებას. ხელოვნებისაგან მონიჭებული სიამოვნების ხელმისაწვდომ წყაროდ ამჟამად ჩემთვის მხოლოდ სახვითი ხელოვნება და ლიტერატურა არსებობს.

ჩემთვის დიდად სასიხარულოა ის, რომ შევინარჩუნე უნარი ღრმად შევიგრძნო ბუნება და სრულყოფილად დავტკბე მისი სილამაზით

1976

ალექსანდრე ოპარინის უკანასკნელი დღეები

დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა.

ოპარინი

1980 წლის 21 აპრილს ქ. მოსკოვში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ალექსანდრე ივანეს ძე ოპარინი.

ალექსანდრე ოპარინი არის თანამედროვე ბიოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ა. ოპარინის მიერ წამოყენებულმა და დამუშავებულმა სიცოცხლის წარმოშობის მატერიალისტურმა თეორიამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. მანვე დაამუშავა ტექნიკური ბიოქიმიის მეცნიერული საფუძვლები, რასაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი კვების მრეწველობის განვითარების, მედიცინისა და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ფერმენტებისა და ვიტამინების წარმოების ორგანიზაციის საქმეში. უკანასკნელ წლებში ალექსანდრე ოპარინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მეცნიერების ახალ დარგს — ევოლუციურ ბიოქი-

მიას და, უპირველეს ყოვლისა, ქიმიურ ევოლუციას, რომელიც ბიოლოგიურ პერიოდამდე მიმდინარეობდა.

ალექსანდრე ივანეს ძე შესანიშნავი პედაგოგი, მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე იყო. იგი ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტს, მან დიდი ღვაწლი დასდო ბიოქიმიკოსთა მრავალი თაობის აღზრდას და ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებას საბჭოთა კავშირში.

ალექსანდრე ოპარინის მეცნიერულმა მიღწევებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი უცხოეთის მრავალი აკადემიისა და უნივერსიტეტის საპატიო წევრი და დოქტორია. არჩეული იყო სიცოცხლის წარმოშობის მსოფლიო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად. რამდენიმე წლის წინათ მას კალინგის პრემია (იუნესკო) მიენიჭა. 1978 წელს სიცოცხლის წარმოშობის მსოფლიო საზოგადოების აღმასკომმა დააწესა ა. ოპარინის სახელობის ოქროს მედალი, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ მიენიჭება სიცოცხლის პრობლემისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაშრომს.

ალექსანდრე ოპარინი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, მეცნიერების ორგანიზატორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, არამედ დიდი ადამიანიც.

ალექსანდრე ოპარინმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოში ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებისა და ბიოქიმიკოსთა აღზრდის საქმეში. ოფიციალურად პრესაში მას მრავალჯერ გაუმჟღავნებია თავისი სიყვარული საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი, ამავე გრძნობის გამომხატველად უნდა მივიჩნიოთ მისი წერილი* ჩემდამი, რომელშიც რწმენას გამოთქვამდა, რომ ოდესმე მასზე წიგნს მეც დავწერდი. ჩემი დიდი მასწავლებლისა და მეგობრის ჩანაფიქრის შესრულებას მე მის სიცოცხლეშივე შევუდექი. ალექსანდრე ოპარინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მრავალი წიგნია დაწერილი, კიდევ უამრავი დაიწერება! ამ მხრივ მას გული არ უნდა დაწყვეტოდა, მაგრამ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „ქართველი კაცის გულის სითბო მიზიდავს და ვაჟა-ფშაველას სულის ტრფიალი ვარო". ჩვენი საქმიანი და მეგობრული ურიერთობა თითქმის ოთხ ათეულ წელს ითვლის და არ არის საკვირველი, რომ მისი ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი მომენტის მოწმე და ზოგჯერ მონაწილეც ვიყავი! აქ

* ა. ოპარინის ეს და სხვა წერილები ჩემს პირად არქივში ინახება.

წარმოდგენილი ნაწყვეტი ჩვენი ურთიერთობის უკანასკნელი დღიურია.

მოსკოვში, დიმიტრი ულიანოვის წყნარ ქუჩაზე, მესამე ნომერში, აღმოსავლეთისაკენ, მეათე სართულზე ნინო და ალექსანდრე ოპარინების სამოთახიანი ბინაა. აქ ვითარდებოდა და ვაჟკაცდებოდა სიცოცხლის წარმოშობის მატერიალისტური თეორია, აქ დაიწერა „ნივთიერება, სიცოცხლე და ინტელექტი". ამ ბინაში წყდებოდა თანამედროვე ბიოქიმიის განვითარების მრავალი საკითხი. ეს კედლებია მოწმე ნინოსა და ალექსანდრეს დიდი მეგობრობისა და უსაზღვრო სიყვარულისა. რომელი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი არ ყოფილა ამ ჭერქვეშ. აქ, ამ ბინაში ისევე ბინადრობდნენ პოეზიის ღმერთები, როგორც მეცნიერებისა.

1980 წლის გაზაფხულიც აგარაკზე „უზკოეში" ამ ოჯახისათვის ჩვეული საქმიანობით დაიწყო. ალექსანდრე ივანეს ძემ დილიდანვე მებაღის დღიურის შევსებას მიჰყო ხელი, თავის გაშენებულ ყვავილნარში ყველა ბინადარის სიცოცხლის ძახილს უგდებდა ყურს. კვირტების აფეთქებას მოუღლელი ყურადღებით აღნუსხავდა. ახლაც იდგა ყვავილთა სამეფოში და ბიოლოგიური სისტემების „თვითაწყობის" საიდუმლოებაზე ფიქრობდა. მოსკოვში, გასული წლის ივლისში, დამთავრდა მსოფლიო სიმპოზიუმი წინაბიოლოგიურ და ბიოლოგიურ სტრუქტურათა აწყობის შესახებ. საჭირო იყო კიდევ ერთხელ დაეჯამებინა შედეგები და ახალი ამოცანები დაესახა. სიცოცხლის წარმოშობის თეორიის ავტორი უკვე ოთხმოცდამეშვიდე წელში იყო გადამდგარი, მაგრამ მის გოლიათურ აზროვნებას, არტისტიზმით სავსე ტემპერამენტს და პოეტურ წარმოსახვას მოღლა არ ეტყობოდა. თვითონაც არ სჯეროდა, რომ ასე „დიდი ხანია" შრომობს და ოცნებობს! თუმცა სიცოცხლის ისტორიასთან შედარებით აბა რაა თუგინდ ასი წელიც კი. მისი სული ისევ ახალგაზრდულად დუღდა და ბობოქრობდა, ერთი დღის განმავლობაში რამდენ რამეს არ შეეჭიდებოდა, რას არ შეეხებოდა, როგორ გეგმებს არ აწყობდა, ვის არ დაუკავშირდებოდა!

— ვეხვეწებოდი: გეყოფა, მოისვენე-მეთქი, მაგრამ ამაოდ, — იგონებს მისი მეუღლე და ერთგული მეგობარი ქალბატონი ნინო.

1980 წლის 2 მარტს ალექსანდრე ოპარინს 86 წელი შეუსრულდა 5 მარტს აკადემიის პრეზიდენტმა ა. ალექსანდროვმა აკადემიის წლიურ საერთო კრებაზე მოსკოვის მეცნიერთა სახლში ალექსანდრე ივანეს ძეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო—მ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი გადასცა და შემდგომი წარმატებები უსურვა. ალექსანდრე ოპარინი, როგორც ლაურეა-

ტი, არსებული წესის მიხედვით საერთო კრების წინაშე წარსდგა მოხსენებით: „სიცოცხლის წარმოშობის გზები“. ამ დღეს ალექსანდრე ივანეს ძე უჩვეულოდ ღელავდა; ხომ შეიძლებოდა რომ ძალ-ღონეს ეღალატა მისთვის... მან ხომ გასულ წელს სწორედ ამ დროს გადაიტანა ინფარქტი! რამდენიმე წუთის შემდეგ მომხსენებელმა აკადემიკოს გიორგი კონსტანტინეს ძე სკრიაბინს სთხოვა, რომ ტექსტის დანარჩენი ნაწილი მას წაეკითხა.

ალექსანდრე ივანეს ძე შრომისაგან მოღლილი კაცის სახით, მაგრამ ცხოველი ინტერესით ისმენდა საკუთარ მოხსენებას...

საბოლოო სიტყვაში ალექსანდრე ივანეს ძემ განსაკუთრებით გულთბილი მადლობა გადაუხადა თავის მეუღლეს, ცხოვრების თანამგზავრსა და მეცნიერული მოღვაწეობის მოზიარეს ქალბატონ ნინოს.

თითქოს გრძნობდა, რომ მისი უკანასკნელი მადლობა იყო, საჯაროდ თქმული.

ალექსანდრე ოპარინმა ორგანული ნაერთების ევოლუციის ძირითადი დებულებები 1924 წელს წამოაყენა. მისმა იმდროინდელმა მიგნებებმა, აღმოჩენებმა და განზოგადებებმა დროის ულმობელობას დღემდე გაუძლო. და არა თუ გაუძლო, მთელს მსოფლიოში გამოიწვია ცხოველი ინტერესი და საფუძვლად დაედო სიცოცხლის წარმოშობის აბიოგენური პერიოდის ექსპერიმენტულ შესწავლას.

ალექსანდრე ოპარინი ამ დღეს აკადემიის საერთო კრებაზე ბოლომდე დარჩა.

მეგობრებმა და კოლეგებმა მ. ლომონოსოვის სახელობის ოქროს მედალი ბინაზედაც მიულოცეს... ბატონი ალექსანდრე და ქალბატონი ნინო მხოლოდ გვიან ღამით დარჩნენ მარტო.

ლომონოსოვის სახელმა ბევრი რამ ამოატივტივა მათი წარსული ცხოვრებიდან.

ალექსანდრე ოპარინმა ხომ მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრა, აქვე იქნა დატოვებული საპროფესოროდ მოსამზადებლად. აქ დაიბადა ოპარინის თეორია სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ალექსანდრე ივანეს ძე ამ უნივერსიტეტში ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მცენარეთა ბიოქიმიის კათედრას. ნინო პეტრეს ასული ვასნეცოვაც ხომ ამავე უნივერსიტეტში მუშაობდა, როგორც ინგლისური ენის მასწავლებელი... აქვე ჩაეყარა საფუძველი მათ მეგობრობას.

მეორე დღეს, 6 მარტს, ალექსანდრე ივანეს ძე ადრე შეუდგა კორესპონდენციების გაცნობას, დიდხანს, დიდხანს ათვალიერებდა უცხოეთიდან ახლახან მიღებულ ჯონ ფერლის წიგნს „კამათი სიცოცხლის თვითჩასახვის შესახებ დეკარტედან ოპარინამდე“... ვიდრე გა-

ჩნდებოდა მეცნიერებაში გამოთქმა „ოპარინამდე“, საჭირო გახდა 55 წლის თავდადებული შრომა და ძიება, გონების თვალით მილიონი წლების გავლა...

— მომდევნო დღეებში ჩვენ დასასვენებლად უზკოეში უნდა წავსულიყავით, მაგრამ ალექსანდრე ივანეს ძე თავს სუსტად გრძნობდა და მე რჩევისათვის მისი მუდმივი ექიმი მოვიხმე. მკურნალმა უზკოეში წასვლა არ გვირჩია, ალექსანდრეს ინტენსიური მკურნალობა დაუნიშნა, — იგონებს ნინო პეტრეს ასული.

18 მარტს დილით ალექსანდრე ივანეს ძე ადრე მიუჯდა საწერ მაგიდას, დიდხანს ათვალიერებდა წიგნს „... დეკარტედან ოპარინამდე“. დიდი ბრძოლით მიიყვანეს სასაუზმოდ.

— ნინო*, 1980 წელს იზრაელში ისეთი სიმპოზიუმი უნდა ჩავატაროთ, რომ სიცოცხლის წარმოშობის თეორიამ სიცოცხლისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგასო, — ეხმიანებოდა მეუღლეს მეორე ოთახში.

სალამო ჟამს ოპარინების ოჯახს პროფესორი ივანე ანდრიას ძე ეგოროვი ესტუმრა. ალექსანდრემ გაიხარა. სწრაფად გაიშალა სუფრა. ნინომ ფრანგული კონიაკი მოიტანა.

— ეს რაა, ჩაის კოვზით გინდათ შევსვა?! წამალი ხომ არ არის, ჩემს ჭიქაში დამისხით, — გაჯავრდა ოპარინი.

საუბარი ჩვეულებრივად წარიმართა, კვლავ უკანასკნელად ჩატარებულ სიმპოზიუმს შეეხნენ.

— მოვღონიერდები თუ არა, ჩემი წიგნის „მატერია, სიცოცხლე და ინტელექტის“ ახალ გამოცემას მოვამზადებ, დამატებაში „თვითაწყობის“ სიმპოზიუმის შედეგებს დავურთავ. ეს უკვე ახალი ეტაპი იქნებაო, — ჩვეული ექსპრესიულობით ამბობდა ალექსანდრე ივანეს ძე.

ივანე ანდრიას ძემ, როგორც დირექტორის მოადგილემ, დირექტორს ყველაფერი მოახსენა, რაც კი ამ დღეებში საყურადღებო მომხდარიყო ბიოქიმიის ინსტიტუტში.

დირექტორმა თავის მოადგილეს დაწვრილებით გააცნო, თუ როგორ აპირებდა 1980 წლის ივნისში სიცოცხლის წარმოშობაზე სიმპოზიუმის მოწყობას იზრაელში.

— ეს ახალი მასალები კიდევ უფრო შეავსებს ჩემს თეორიას. საჭიროა მათემატიკოსების კიდევ უფრო გაბედულად ჩართვა სიცოცხლის პრობლემის დამუშავებაშიო, — ამბობდა ა. ოპარინი.

---

* მეუღლეს — ნინა პეტროვნას ჩვეულებრივ მიმართავდა ქართული ფორმით: „ნინო“.

საუბარმა კარგა ხანს გასტანა. ახლა მსჯელობა ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტის მომავალს შეეხო. ალექსანდრე ივანეს ძე ფიქრობდა, რომ მის შემდეგ მის საქმეს ბორის თეოდორეს ძე პოგლაზოვი ჩაუდგებოდა სათავეში. ოცნებობდა: ბიოქიმიის ინსტიტუტი — ბიოქიმიის ლომთა ძველი ბუნაგი — ახალ საფეხურზე უნდა ავიყვანოო.

20 მარტს გადაწყდა, რომ ალექსანდრე ივანეს ძე სამკურნალოდ უნდა წასულიყო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს გადაუდებელი დახმარების საავადმყოფოში, გრანოვსკის ქუჩაზე (№ 2).

21 მარტს ალექსანდრე ივანეს ძე დილიდანვე განეწყო საავადმყოფოში წასასვლელად, რამდენიმე წიგნიც თან გაიყოლა, და თავისი ფეხით წავიდა.

13 საათსა და რამდენიმე წუთზე ალექსანდრე ოპარინი უკვე ექიმების გარემოცვაში იყო. მკურნალობა ექიმ ტაისია გრიგოლის ასულ ნიკოლაიჩენკოს მიანდვეს; მედდობა წილად ხვდათ ნატაშა დებოვას, ლენა ჩერკასოვას, ლუდა ჩერნიშევას, ვალია ილიუხინას და ნინა გრიშინას.

ავადმყოფი და სამედიცინო პერსონალი ერთმანეთის უაღრესად კმაყოფილნი იყვნენ, საერთო ენა სწრაფად გამოინახა. ალექსანდრე ივანეს ძე, როგორც ავადმყოფი, მეტად გამგონი აღმოჩნდა. ყველა დანიშნულებას უკლებლივ და დროულად ასრულებდა. მედდებმა მალე გაიგეს, რომ ეს დიდი მეცნიერი პოეზიის დიდი მოყვარულიც იყო და მის ლოგინთან მორიგეობას ერთმანეთს ეცილებოდნენ. ერთადერთი, რაც ალექსანდრე ივანეს ძეს ვერ დაეთმო, ეს ნინო პეტრეს ასული იყო. მოითხოვდა, რომ მისი მეუღლე მუდამ მასთან ყოფილიყო. სხვა აზრი არც ნინო პეტრეს ასულს ჰქონდა. ალექსანდრე ივანეს ძეს ღამით ცუდად ეძინა, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ როგორმე გაერთოთ, დღისით ძილის საშუალება არ მიეცათ. საკმარისი იყო ავადმყოფს თვალი მიელულა, რომ იმავე წამს მასთან მყოფი მორიგე მედდა რომელიმე პოეტს უხსენებდა და ოპარინიც მის ლექსებს ზეპირად ამბობდა. გადიოდა დღეები და ალექსანდრე ივანეს ძის ჯანმრთელობის საქმე უფრო და უფრო უარესდებოდა, ავადმყოფი თანდათან სუსტდებოდა.

— ოთხ აპრილს, დილით — იგონებდა ქალბატონი ნინო, — ალექსანდრემ მიმიხმო და დამავალა, რომ შენთვის სერგი, წერილი მომეწერა. ერთი თავისი მოწაფის ბედი აწუხებდა, უნდოდა, რომ იგი შენთან, მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში მოწყობილიყო. სურვილი შევუსრულე და წერილი დავწერე. გამომართვა, წაიკითხა და მია-

წერა „სიყვარულით (სანდრო)“. ალბათ გახსოვს, თქვენ წერილებს ხშირად მიაწერდა ხოლმე „სანდროს“. იმავე დღეს საღამოს საუბარი თელავზე გამიბა.

— ნინო, წელს ზაფხულში აუცილებლად უნდა წავიდეთ კახეთში. ხომ კარგად გახსოვს ალაზნის ველი და კავკასიონის მთები, საღამოები თელავსა და ვაზისუბანში, ალავერდი და შუამთა?!

საავადმყოფოში ყოფნისას თელავს და ვაზისუბანს სხვა დროსაც ხშირად ახსენებდა. მიკვირს, რომ ანასეული, ბათუმი ან ფოთი არცერთხელ არ უხსენებია, რადგან ამ ადგილებში გაცილებით მეტ ხანს იმყოფებოდა და მუშაობდა კიდეც! — მოგვითხრობდა ნინო პეტრეს ასული.

ვინ იცის, რა გაახსენდა ალექსანდრე ივანეს ძეს, ვინ იცის, რა ამოტივტივდა მისი მეხსიერებიდან აქ, საავადმყოფოში?.

1947 წლის ზაფხული იყო. ნ. და ა. ოპარინები თელავში გვესტუმრნენ. ერთ დღეს მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტიდან ვაზისუბნის საცდელ სადგურში წავედით. ბატონი ალექსანდრე აქ პირველად იყო. სულხან ჭავჭავაძის ყოფილმა სასახლემ, ასწლოვანმა კაკლის ხეებმა, უძველესი ეკლესიის ნანგრევებმა და მოხუცმა მევენახეებმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ალექსანდრე ოპარინზე.

— სერგი, თუ შეიძლება საღამო აქ გავატაროთ, საოცარი სანახაობაა! ფერხთით ალაზნის ხალიჩაა, ხოლო კავკასიონის თეთრწვერა ქედები ერთი ხელის გაშვერაზეა. ალაზანი და ალაზნის ველი ჩემ ბავშვობას მაგონებს; მე ხომ ვოლგის პირას, უგლიჩის მონასტრის ყვავილოვან ველებზე ვარ გაზრდილი.

ალექსანდრე ივანეს ძე დიდხანს აკვირდებოდა რქაწითელის ვაზს, მის ტანკენარ აღნაგობას.

— რომ არ გეთქვათ, მე მაინც მივხვდებოდი, რომ რქაწითელი ქართული სისხლისაა, წმიდათაწმიდა ქართული ვაზია. ყველა ჯიშზე უფრო ამაყად და ლაღად დგას. ალბათ სარზე აუხვევლად შეიძლება რომ დატოვოთ.

ალექსანდრე ივანეს ძე იმ დღეს გვიანობამდე გვიყვებოდა თავისი ბავშვობის ამბებს... საღამო ხანს მეორე სართულის აივანზე დაისვენა. ხუმრობდა:

— იქნებ ვოლგის ხმაური შემომესმესო. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ ბაღში ჩამოვიდა, ეკლესიისაკენ გავისეირნოთო. ეკლესიის ეზოში მუხის ჩრდილი მონახა და იქვე ქვაზე ჩამოჯდა. შეწუხებული ჰყვებოდა:

— ჩამეძინა თუ არა, უჩვეულო სიზმარი ვნახე. ეს სასახლე მამამაჩემის ეზოში იდგა, მე აივანზე, ხის ტახტზე ვიყავი გაშოტილი

და კავკასიონს შევცქეროდი. უეცრად რაღაც საზარელი ხმაური შეგომესმა. მთებს ყინულოვანი საფარი მოწყვეტოდა და უდიდესი სისწრაფით დაბლობისაკენ მოეშურებოდა. ყინულის პლასტებს წინ თოვლის კორიანტელი მოუძღოდა, ყვავლაფერი ითოშებოდა და იყინებოდა. ალაზნის თუ უგლიჩის მინდვრებიდან შეშფოთებული ყვავილნარი აყრილიყო და გამორბოდა. ჩემი ბავშვობის განუყრელი მეგობრები — მინდვრის გვირილები, მინდვრის მიხაკები, ლურჯი ღიღილოები და ყანის ბაიები ტალღებად მოედინებოდნენ ჩემკენ. რაც უფრო მიახლოვდებოდნენ, მით უფრო მეუფლებოდა სიცივე. ირგვლივ მთელი სივრცე მინდვრის ყვავილებმა აავსეს.

— ბავშვი არ შემიწუხოთ, საით მიიწევთ, შეჩერდითო, ეხვეწებოდა მათ დედაჩემი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. მე უკვე დამეხვივნენ გაყინული ყვავილები და მეალერსებოდნენ, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, მეხვეწებოდნენ გაგვათბეო... თანდათან თვალთ მიბნელდებოდა და ვგრძნობდი, რომ გონებას ვკარგავდი, სუნთქვა მიჭირდა... რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე,

— ალექსანდრა, ალექსანდრა, ალექსანდრა... მიშველეთ-მეთქი... სავარძლიდან შეშფოთებული წამოვვარდი. სასთუმალთან დედა და ჩემი და იდგნენ... ორივეს ხომ ალექსანდრა ერქვა! როდესაც გამოვერკვიე შევცბი: ირგვლივ იდეალური სიმშვიდე იყო, სიოც კი არ იძროდა.

— სერგი, ნინოს ნურაფერს ვეტყვით, ვინ იცის, რაიმე ავის მომასწავებლად მიიჩნიოს. მაინც როგორ გადაება ერთმანეთს ალაზნის ველი და უგლიჩის მონასტრის მინდვრები! საოცარია, ჩემმა საყვარელმა ყვავილებმა დამახრჩვეს, უკეთესი მიცვალება ალბათ არც შეიძლება?!

იმავე დღეს, საღამოს, თელავში, ჩემს წიგნებში მოვძებნე სპარსული ძველი ხელნაწერებიდან შედგენილი სიზმრის ახსნა*. ალექსანდრე ოპარინი 1894 წლის 2 მარტს არის დაბადებული და სიზმრის ახსნის ეტლის წიგნში მარტის თვეს ვეძგერეთ:

„მარტის (ვირსაზედა) რომელი იშვას, შეიქმნას ტანად პირად გულოვანი და უსმინარი, კაცთ მოყვარე და გონებით კარგი. ნიშანი ექნება პირსა და ფეხსა, ღარიბობა გამოცადოს, ძმათაგან უბედო, ხოლო სხვათაგან ბედი ჰქონდეს. ცოლი და მოყვარე მისთვის ბედნიერია, დიდი საქონელი და სიმდიდრე მისცეს სიბერის ჟამს. 10, 12, 20, 40 წელი თუ გადარჩა, 89 წელი იცოცხლოს“.

---

* სრული სიზმრის ახსნა, შედგენილი ეფრემ ხუციისაგან. 1920 წ., თბილისი, სტამბა „სორაპანი“. მადათოვის კუნძული № 1.

ალექსანდრე ივანეს ძემ გაიხარა:

— დღემდე ყველაფერი ესადაგება და რაღა ამიერიდან მიღალატებს ბედიო. ავადმყოფობის ყველა ასაკი უკვე გასული იყო და უფლება ჰქონდა 89 წლამდე ეცოცხლა! სიზმრის ახსნის ოცდამეერთე გვერდმა კიდევ უკეთეს ხასიათზე დაგვაყენა „ყვავილის ნახვა სიზმარში სიხარულის ნიშანიაო“.

ვახშამზე მისი წინადადებით ეფრემ ხუცის სადღეგრძელო შევსვით.

ასე იყო მაშინ... ახლა?! ახლა 89 წელს სამი წელი, აკლდა! ვინ იცის, ახლა რას ფიქრობდა?! იქნებ ისევ ესტუმრნენ ალაზნის ველიდან ყვავილები და იმიტომ იხსენებდა ხშირად თელავს?!

10 აპრილი. ექიმები უკვე გრძნობენ, რომ სიცოცხლე უკანასკნელი ძალებით ებრძვის სიკვდილს. საავადმყოფოში ალექსანდრე ივანეს ძე უფრო ხშირად პოეზიის სამეფოში იმყოფებოდა, ვიდრე მეცნიერებისა. დღეს კი ეტყობოდა, რომ დილიდანვე თავის საყვარელ საქმეზე ოცნებობდა:

— ნინო, ჩემი თეორია არ შეირყევა, თანდათანობით განმტკიცდება, დიალექტიკური აზროვნების შედეგია და ამიტომ მას სიკვდილი არ უწერია. მე კარგად მესმის, რა არის სადავო სიცოცხლის წარმოშობის თეორიაში და მომავალ პაექრობასაც კარგად ვხედავ, მაგრამ ეს მხოლოდ გააჯანსაღებს ჩემს პირმშოსო.

— მე სწორი გზით მივდიოდი აღქმის ქვეყნისაკენ, მაგრამ არასოდეს არ მყოფნიდა დრო სიცოცხლის თეორიის დასამუშავებლად. ვიცი, ნინო, რასაც ფიქრობ, როგორ არ გეყო 86 წელიო, მთავარია გამუდმებით ფიქრობდე შენს საფიქრალზე. აბა, როდის ყოფილა, რომ მე ასეთი ბედნიერება მქონია! ვინ მოთვლის ერთდროულად რამდენი საქმისათვის უნდა მიმეხედა. იმედია გამოვალ აქედან და კიდევ ერთხელ გადავწვდები მილიარდი წლების ისტორიას.

— ალექსანდრე ივანეს ძე მუდამ დიდი ოპტიმისტი იყო. სიკვდილის წინ მხოლოდ ერთი კვირით ადრე შეერყა რწმენა.

— 14 აპრილს, დილით წყნარად გაიღვიძა. ექიმი და მე საწოლთან მიგვიხმო და გამოგვიცხადა — „მეგობრებო, მე ვკვდებიო“. აქამდე მე მისგან სიტყვა „სიკვდილი“ არ გამიგონია, ალექსანდრე ივანეს ძე არასოდეს სიკვდილზე არ საუბრობდა!

ექიმი შეეცადა დაემშვიდებინა:

— ალექსანდრე ივანეს ძევ, თქვენ, სიცოცხლის წარმოშობის მამას, როგორ გეკადრებათ სიკვდილზე ფიქრიო.

— ტაისია გრიგორიევნა, თქვენ ხომ იცით, რომ მე საქვეყნოდ აღიარებული ათეისტი ვარ. გამიყვანეთ ამ საავადმყოფოდან ჯანმრ-

თელი და პირობას გაძლევთ ღმერთს ვიწამებო, — ხუმრობდა ალექსანდრე ივანეს ძე.

15 აპრილი. ექიმებს ავადმყოფის ბედი გადაწყვეტილად მიაჩნდათ. სიცოცხლე ყოველ წუთში იხევდა უკან. სიკვდილი ულმობლად უსწორდებოდა სიცოცხლის მესაიდუმლეს. ამას ალექსანდრე ოპარინიც კარგად გრძნობდა. საღამოს ნინოს ბლოკნოტში ჩაუწერა: „სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, ნინო, მინდა, რომ სულ შენთან ვიყო“.

16 აპრილი. დღეს პირველად გაიხსენა თავისი დიდი თანამედროვე და მეგობარი ალექსეი ნიკოლოზის ძე ბახი.

— ბახი უდიდესი მეცნიერი და დიდებული ადამიანი იყო. მე მას ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. ისიც არ იყო ჩემთან ვალში. ერთად დავაარსეთ ბიოქიმიის ინსტიტუტი, საერთო გამოკვლევებიც გვაქვს. როდესაც ბახი კვდებოდა, მე ხშირად ვიყავი მასთან. მოხუცი ოთხმოცდამეათე წელში იყო და სიცოცხლისათვის ბრძოლას ძალზე დაექანცა. უკანასკნელ დღეს ხელი დავადე ხელზე და მოვეფერე. ალექსეი ნიკოლოზის ძეს გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო. მისი ცრემლები მე ხელზე დამეცა და სულში რაღაც გადამეწვაო, — უამბობდა ქალბატონ ნინოს და ტაისია გრიგოლის ასულს.

17 აპრილი. დღესაც, ისე როგორც წინა დღეებში, ფეხებისა და ხელების მოძრაობას ამოწმებდა. თავისთავისადმი კონტროლი, როგორც მედდები ამბობენ, სიცოცხლის ბოლო წამამდე არ დაუკარგავს. ახლაც წაიკითხა ლერმონტოვისა და პუშკინის ლექსები, შექსპირის სონეტები. საღამო „ევგენი ონეგინიდან“ ტატიანას წერილით დაამთავრა. ყველას უკვირდა, რომ მის მეხსიერებას ბრწყინვალედ შემოენახა პოეზიის შედევრები. პუშკინის ორ წიგნს („ლირიკა“ და „ეპიგრამები“) დააწერა: ა. ოპარინი. რითაც კიდეკ ერთხელ გამოხატა თავისი აღტაცება პუშკინის დიდებული პოეზიით.

მოახლოებულ კატასტროფას ყველა გრძნობდა. ნინო პეტრეს ასულს ამაოდ ეხვეწებოდნენ, რომ ავადმყოფი დღეს საღამოს მაინც დაეტოვებინა...

კალენდარმა 18 აპრილი აჩვენა. ავადმყოფის საერთო სისუსტემ იმატა. დღეს ალექსანდრე ივანეს ძემ სამჯერ ახსენა იოჰან ვოლფგანგ გოეთე! ექიმის კითხვაზე, თუ როგორ გრძნობს თავს, ალექსანდრემ ღიმილით უპასუხა:

— ტაისია გრიგორიევნა, თქვენ ალბათ ადვილი გგონიათ სიკვდილი. ადრე მეც ასე ვფიქრობდი; თვალს დახუჭავ, გაირინდები და ყველაფერი გათავდა... რა იოლია, არა? არ ყოფილა ასე! თუმცა ეს

თქვენ არასოდეს არ უნდა იცოდეთ; თქვენ ხომ საიქიოს მიმავალთა იმედი ბრძანდებით! დავანებოთ თავი ამ უსიამოვნო საუბარს. რას მიბრძანებთ, პოეზიის რომელი შედევრი წაგიკითხოთ?

ქალბატონი ტაისია დღესაც მისთვის ჩვეული სიმშვიდით, სინაზითა და ტაქტით მოეფერა ალექსანდრე ივანეს ძეს. დღის განმავლობაში ავადმყოფს მრავალი მედიკამენტი მისცეს, მაგრამ მას ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

19 აპრილმა ჩვეულებრივ სამკურნალო პროცედურებში გაიარა. ნინო პეტრეს ასული ავადმყოფს ერთი წუთითაც არ მოშორებია. ალექსანდრე ივანეს ძეს სულ უფრო ერეოდა ძილი. მას მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: ნინო არ მოშორებოდა, ყოველ წამს მასთან ყოფილიყო, ღამით ძალზე ცუდად ეძინა.

20 აპრილს დილით აღგზნებულმა გაიღვიძა. ალერსით სავსე თვალები ნინო პეტრეს ასულს მიაპყრო და მისუსტებული, მისთვის უჩვეულო ხმით მიმართა:

— ნინო, მომისმინე, „ფაუსტიდან" ორი ადგილი უნდა წაგიკითხო, თუ სწორად მახსოვს. თუ რაიმე ამერიოს, მაპატიე, გონებაზე მგონი რაღაც ნისლი მეფარება.

ნინო პეტრეს ასულმა ანიშნა, რომ მზადაა მოსასმენად.

მოხდა სასწაული, ალექსანდრე ივანეს ძე უეცრად შეიცვალა, საიდანღაც ზეადამიანური ძალა მოიკრიბა და მისთვის ადრე ჩვეული აწეული ტონით ამბეტყველდა:

— ნინო, მეფისტოფელი შეგონებებით მოსვენებას არ მაძლევს, ხომ გესმით, კვლავ ჩამჩურჩულებს:

> მაშ რა აზრი აქვს მარადიულ შემოქმედებას,
> თუ რომ ქმნილება უნდა იქცეს არარაობად.

იმას არ ესმის, ან რას გაიგებს არარაობა, თუ რა ნათელია ფაუსტისებრი კაცის ბუნება:

> შეპყრობილი ვარ მე ამ აზრით და ამ მიზნით,
> უკანასკნელი სიტყვა არის ეს კაცთა სიბრძნის:
> თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის,
> ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის.

გაქრა უეცრად ემოციური აღტყინება. ავადმყოფმა თვალები მილულა და დიდხანს მისი ხმა არავის გაუგონია. ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც თვალები გაახილა, ოდნავ შეინძრა, ნინო პეტრეს ასული მოიკითხა და ჩურანში მყოფი კაცის ხმით აჩურჩულდა:

ღვერთო, მომეცი აზრთა სიმშვიდე
და განმინათლე დახშული გული.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახე გაუბრწყინდა. ეტყობოდა, რომ სადღაც შორეთში გადასახლდა...

იქნებ ვოლგისპირეთის მდელოები მოჰქროდნენ მისკენ, რომ გაეთბოთ და გულში ჩაეკრათ, იქნებ მისი ბავშვობისდროინდელი მეგობრები: გულყვითელა გვირილები, მინდვრის მიხაკები, ლურჯი ღიღილოები, ყანის ბაიები უკვე ძველებურად ეხვეოდნენ და ძველისძველ ლეგენდებს, ზღაპრებს მოუთხრობდნენ — სულს უნათებდნენ.

ღამის 12 საათზე ალექსანდრე ოპარინმა გონება დაკარგა, სამუდამოდ ჩაქრა გონება, რომელიც მილიარდი წლების წინანდელ ბნელეთს გადაწვდა და შორეული წყვდიადი გაანათა, გაჰქრა სული, რომელმაც ბუნების მრავალი საიდუმლოება ამოხსნა და აამეტყველა.

21 აპრილს დილის 8 საათზე ალექსანდრე ივანეს ძე უძრავად ესვენა გრანოვსკის ორ ნომერში, მეოთხე სართულზე, ღია ფანჯრიან ოთახში...

მოვუსმინოთ ალექსანდრე ოპარინის უკანასკნელი დღეების დამსწრეთ.

მეუღლე — ნინო პეტრეს ასული ოპარინა:*

მარტში ალექსანდრე ივანეს ძეს არ ეტყობოდა აზროვნების, მეხსიერების, საქმისადმი ინტერესის დაქვეითება. მისთვის ჩვეული ოპტიმისტური განწყობილება ჰქონდა. ძველებურად აწყობდა გეგმებს, თუ რა დროს რას გააკეთებდა. გამუდმებით მხოლოდ სიცოცხლის წარმოშობაზე ფიქრობდა. ეშვი არ ეპარებოდა, რომ მისი თეორია ყოველ დროს გაუძლებდა. მხოლოდ სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე შეიცვალა. ამის შემდეგ ხშირად მეუბნებოდა: — ნინო, გესმის, ვკვდებიო. ამ პერიოდში ექიმებსაც სიცოცხლეს სთხოვდა.

ექიმი — ტაისია გრიგოლის ასული ნიკოლაიჩენკო:

ალექსანდრე ივანეს ძე საავადმყოფოში შემოვიდა გამოხატული გულის უკმარისობით. საჭირო იყო მეტად ფრთხილი მკურნალობა, რადგან ერთდროულად დაავადებული აღმოჩნდა გული, თირკმელები და ღვიძლი. წამლები, რომლებიც უხდებოდა ერთ დაავადებას, ვნებდა მეორეს. საავადმყოფოში მოხვდა მეტად მძიმე მდგომარეობაში, რომელიც თანდათან უარესდებოდა. გარდაიცვალა გონზე მოუსვლელად.

დიაგნოზი: გულის იშემიური დაავადება, პოსტინფარქტული და

* ალბათ შემინდობს ქალბატონი ნინო, რომ დაუზოგავად ესარგებლობდი მისი ჩემდამი მეგობრული განწყობილებით და უმძიმეს წუთებშიაც კი ათასგვარი შეკითხვებით ვაწუხებდი.

ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი (ინფარქტი გადაიტანა 1979 წლის მარტში). მესამე ხარისხის გულის უკმარობა. ქრონიკული პიელონეფრიტი, თირკმელთა ქრონიკული უკმარისობა. მარეციდივებელი ტრომბოემბოლია ფილტვის არტერიის სისტემაში და მისგან გამოწვეული ინფარქტული პნევმონია.

მედდა — ნატაშა დედოვა:

ჩვენთან, მედდებთან ხშირად საუბრობდა. ზეპირად გვიკითხავდა ლექსებს. განსაკუთრებით უყვარდა პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსების კითხვა. პოეზიის შედევრებს ალექსანდრე ივანეს ძე უდიდესი გატაცებით და არტისტიზმით კითხულობდა. უყვარდა ვაფლი. ხშირად ამბობდა: „ვაფლი — საწვავია, ყანგბადი — ენერგია, ჩემი ნინო — სიყვარული, სამივე ერთად კი — სიცოცხლეო“. ღამით ცუდად ეძინა ხოლმე. უხაროდა, როდესაც ვეფერებოდით. ლამაზი ვაჟკაცი იყო, განსაკუთრებით უხდებოდა ყავისფერი პიჟამო. ბედიკამენტებზე არასოდეს უარს არ ამბობდა. არც ზედმეტი ნემსის გაკეთებაზე გვიწევდა წინააღმდეგობას. ხუმრობდა ხოლმე: „ათეისტი რომ არ ვყოფილიყავი, ღმერთი ასე ადრე არ გამწირავდაო“. ჩვენ, გოგონებს ძალიან შეგვიყვარდა.

მორგის მორიგე:

აქ ყოველდღე ერთი და იგივე ისტორია მეორდება. ჩვენ ერთმანეთისაგან არავის არ ვარჩევთ. ჩვენთვის ყველა ერთნაირად პატივსაცემია, ყველა ადამის შვილია! თქვენს მიცვალებულსაც ისე მოვუარეთ, როგორც სხვას. მობრძანდით, აი, აქ არის...

23 აპრილს საღამოს მე, ჩემი მეუღლე, მიხეილ ბოკუჩავა და მისი მეუღლე ტატიანა შუბერტი ნინო პეტრეს ასულს ბინაზე ვესტუმრეთ. ქალბატონი ნინო ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო, თუ რა მოხდა. ალექსანდრე ივანეს ძეზე ისე საუბრობდა, როგორც ცოცხალზე. ჩვენი მსჯელობის მთავარი საგანი იყო ა. ოპარინის არქივის მომავალი ბედი: ვისთვის უნდა მიენდოთ მისი დამუშავება, ზოგიერთი მასალის გამოქვეყნება. სრულიად სხვადასხვა სპეციალობის პირები მოითხოვდნენ არქივში დაშვების უფლებას. განსაკუთრებით აქტიურობდა ერთი მწერალი, ყოველდღე ურეკავდა ნინო პეტრეს ასულს:

— მენდეთ, ნახავთ როგორ მონოგრაფიას დავწერ ალექსანდრე ივანეს ძეზეო.

ჩვენ, მე და მიხეილ ბოკუჩავამ, ვურჩიეთ, რომ არქივის საკითხი აკადემიკოსებთან ანდრია კურსანოვთან და ალექსანდრე ბაევთან მოლაპარაკების გარეშე არ გადაეწყვიტა.

ოპარინის ბინიდან გვიან ღამით დავბრუნდით.

24 აპრილს, საღამოს ქალბატონმა ნინომ ჩემი მეუღლე, მე და პროფესორი ივანე ეგოროვი ბინაზე მიგვიწვია, რომ მასთან ერთად მოგვესმინა და გვენახა ტელევიზიის გადაცემა ალექსანდრე ივანეს ძეზე. ჩვენს შემდეგ მოვიდა პროფესორი იაროსლავ ივანეს ძე აჟიპა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაკი. ქალბატონი ნინო ყავითა და ფრანგული კონიაკით გაგვიმასპინძლდა. ოპარინის მეუღლე ღელავდა:

— გარდაცვალებიდან მეოთხე დღეა და ნეკროლოგი ჯერაც არ არის გამოქვეყნებული. პროფესორმა ი. აჟიპამ დაამშვიდა:

— დღეს მე თვით ორჯერ მომიხდა ალექსანდრე ივანეს ძის ნეკროლოგის გადაწერა. ხვალ იქნება „პრავდაში“. — იაროსლავ ივანეს ძემ ბოდიში მოიხადა — ძალზე დაღლილი ვარ, სამსახურიდან მოვდივარო და დაგვტოვა.

სულგანაბული ვუცდიდით, როდის დაიწყებოდა გადაცემა ა. ოპარინზე. გამოჩნდა შავ-წითელ არშიაში ჩასმული ალექსანდრე ივანეს ძის პორტრეტი... დღეს უკანასკნელად და უჩვეულო გზით შემოვიდა ალექსანდრე ოპარინი თავის სამუშაო ოთახში. ახლა თვითონ სდუმდა და მის მაგიერ დიქტორი გვესაუბრებოდა... აივსო ბინა ალექსანდრე ოპარინის სულით... ქალბატონი ნინო და ჩემი მეუღლე ტიროდნენ... ელვისებურად გაიარა ჩვენი გონების წიაღში მისმა ცხოვრებამ და სიცოცხლემ, ბავშვობამ, ყრმობამ, ვაჟკაცობის პერიოდმა, უნივერსიტეტის წლებმა, სიცოცხლის საიდუმლოებებთან ჭიდილმა, მეცნიერების მწვერვალებისაკენ ლტოლვის გრძელმა გზამ... დამთავრდა ნეკროლოგის კითხვა... ნინო პეტრეს ასულმა ოთახს მოავლო თვალი და გააგრძელა საუბარი:

— საავადმყოფოში წასვლისას გამაფრთხილა, ნინო მაგიდას ხელი არ ახლო, როგორც არის ისე დატოვე. დავბრუნდები და მე თვით მოვიყვან წესრიგშიო. არავითარი წინათგრძნობა არ ჰქონდა, რომ სახლიდან სამუდამოდ მიდიოდა!

ოპარინის სამუშაო ოთახში ყველაფერი ისე იყო, როგორც 21 მარტს დილით. საწერ მაგიდაზე ორი წიგნი იდო: ჯონ ფერლის „კამათი სიცოცხლის თვითჩასახვის შესახებ დეკარტედან ოპარინამდე“ (1979) და „მეცნიერების მომავალი“ (1973). ეს უკანასკნელი გადაშლილი იყო იმ გვერდზე, სადაც აკადემიკოს მ. მარკოვს თავის სტატიაში „მაკრო-მიკროსიმეტრიული სამყარო“ მოჰყავს ორი სტროფი ვალერი ბრიუსოვის ლექსიდან „ელექტრონის სამყარო“:

ვინ იცის, ეს ელექტრონები იქნებ
ხუთი მატერიკისაგან შემდგარი სამყაროებია:
ხელოვნება, ცოდნა, ომები, სამეფოები
და ხსოვნა ორმოცი საუკუნისა.

და კიდევ ვინ იცის, იქნებ თითოეული ატომიც
სამყაროა, რომელშიაც ასი პლანეტაა და
იქაც, შეკუმშულ მოცულობაში, ყველაფერია,
რაც აქ არის, და ისიცაა, რაც აქ არ არის.

ვალერი ბრიუსოვმა და ალექსანდრე ოპარინმა ერთმანეთი 1924 წელს გაიცნეს. ორივე მოსკოვის უნივერსიტეტში მუშაობდა. პოეტი ვალერი ბრიუსოვი მოსკოვის უნივერსიტეტში მათემატიკის ისტორიას კითხულობდა, ახალგაზრდა მეცნიერი ალექსანდრე ოპარინი სიცოცხლის ფიზიკურ-ქიმიურ საფუძვლებს ასწავლიდა. პოეზიის წარმომადგენელთა შორის პირველმა ვალერი ბრიუსოვმა მოუსმინა ალექსანდრე ოპარინის „დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის ჰიპოთეზას“ და აღტაცებულმა აჩუქა იმავე 1924 წელს გამოქვეყნებული თავისი ლექსების კრებული სათანადო წარწერით. „ბრეხტი წერს: „მეცნიერება ოდესმე ისევ ხელოვნებად გადაიქცევაო“. ოპარინს კი სწამდა, რომ მეცნიერება უდიდესი ხელოვნებაა.

იქნებ 20 მარტს ოპარინი კვლავ თავისი თეორიის სათავეებთან იდგა და ხელოვანისა და მეცნიერის თვალით ადარებდა დღევანდელი ფიზიკის მიღწევებს პოეტის ფილოსოფიურ ჭვრეტას!

ალექსანდრე ივანეს ძის საწოლი ოთახიც ხელუხლებელი იყო. მის მიერ დალაგებული ყველა ნივთი თავის ადგილზე იდო. ოთახი პატარაა, სიგანე ხუთი ნაბიჯია, სიგრძე კი რვანახევარი. სასთუმალთან ნინო პეტრეს ასულის დიდი ფერწერული პორტრეტია. იქვე დგას ერთი დიდი ტორშერი, ერთი სკამი და პატარა მაგიდა. მაგიდაზე მრავალი ქაღალდია. ქალბატონმა ნინომ მთხოვა ქაღალდებისათვის ხელი არ მეხლო. შევეხვეწე მხოლოდ ერთს ვნახავ, უკანასკნელად აქ რას მოაწერა ბატონმა ალექსანდრემ ხელი-მეთქი. ორივემ ერთად ვნახეთ. ორივე შევცბით: წერილი მე შემეხებოდა. ნინო პეტრეს ასულმა მთხოვა, რომ წერილი ხმამაღლა წამეკითხა:

„ძვირფასო სერგი ვასილის ძევ!

მე და ნინო ბედნიერი ვართ მოგილოცოთ თქვენი შესანიშნავი იუბილე, რომელსაც თქვენ ხვდებით ძალით და ენერგიით აღსავსე. მე დიდად ვაფასებ თქვენს ჩინებულ მეცნიერულ მიღწევებს, ბრწყინვალე ორგანიზატორულ ნიჭს და ყველაზე მეტად — თქვენს მხურვალე გულსა და ერთგულებას მეგობრებისადმი.

ძალიან გვიყვარხართ, ვუფრთხილდებით თქვენთან მეგობრობას და ვხარობთ თქვენი მიღწევებით. სულით და გულით გისურვებთ შემდგომ

შემოქმედებითს წვას, ჯანმრთელობას, მიღწევებს ყველა საქმეში და წამოწყებაში.

გულითადი მილოცვები ნანასა და მთელ თქვენს ოჯახს.

თქვენი ნ. პ. და ა. ი. ოპარინები

22 თებერვალი, 1980 წ".

ღამის ათი საათი იქნებოდა, რომ უცხოეთიდან რაღდენიმე მეცნიერმა დარეკა.

უცხოელებიდან ყველაზე მეტად სირილ პანამპერუმა უყვარდა. — ცეილონელია, მხოლოდ პასპორტი აქვს ამერიკისო, — იტყოდა ხოლმე.

ქალბატონმა ნინომ მოიგონა ჩვენი ერთად მგზავრობა ვენაში, ტოკიოში, ნიუ-იორკში, მადრიდში, ვარნაში... გულისტკივილით ჰყვებოდა, თუ რა ბედნიერი იყო მაშინ...

25 აპრილს დილით 8 საათზე ალექსანდრე ივანეს ძის ცხედარი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სააქტო დარბაზში გადაასვენეს. ირგვლივ ყვავილების ზღვა იყო; უთვალავი გვირგვინი მოეტანათ, პირველი — მეუღლესაგან იყო, მეორე და მესამე — საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მოერთმია. ვინ არ მოვიდა აქ მის პატივსაცემად... მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები ერთმანეთს ცვლიდნენ საპატიო ყარაულში. მეც მერგო წილად ეს პატივი. მიცვალებულს სახე დაპატარავებოდა. შუბლი უფრო ფართო და მაღალი ჩანდა. ტუჩები გათხელებოდა. პატარა წვერი და ულვაშები თითქოს უცვლელად გამოიყურებოდა. მისი განუყრელი „მეგობარი" ბანტი ძველებურად ეალერსებოდა ყელზე პატრონს.

სამოქალაქო პანაშვიდი აკადემიკოსმა იური ოვჩინიკოვმა გახსნა.

სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსებმა ალექსანდრე ბაევმა, სერგეი სევერინმა, საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის მინისტრმა ვოლდემარ ლეინმა, წევრ-კორესპონდენტმა ვაცლავ კრეტოვიჩმა და სხვ.

ის-ის იყო სამგლოვიარო პროცესია უნდა დაძრულიყო, რომ ვილაცამ დაიძახა „შეჩერდით, ანდრია კურსანოვი მოვიდაო". ორ ყავარჯენზე დაყრდნობილი მოწაფე ძლივს შეიყვანეს საყვარელ მასწავლებელთან გამოსათხოვებლად.

სამგლოვიარო მიტინგი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე იური ოვჩინიკოვის გამოსვლით დაიწყო. ალექსანდრე ივანეს ძეს სიტყვებით მიმართეს აკადემიკოსმა სერგეი სპირინმა, პროფესორმა ივანე ეგოროვმა და სხვ.

ალექსანდრე ოპარინის დამსახურებათა სრული ჩამოთვლაც კი ძნელია... მან 1917 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მას შემდეგ თავდადებით ემსახურებოდა მეცნიერების წინსვლას, მეცნიერული კადრების აღზრდას, მეცნიერების ორგანიზაციას, სახალხო მეურნეობის მრავალ დარგს, ჩვენს ქვეყანას, კაცობრიობის აწმყოსა და მომავალს. და ყველაფერ ამასთან მისი იშვიათი გული, მდიდარი სული და საოცრად ადამიანური საწყისები მუდამ იყო შერწყმული.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა... მიცვალებულს გამოემშვიდობნენ მეუღლე, ძმისშვილები, სხვა ნათესავები, ახლობლები, მეგობრები... კუბო ყვავილნარს ჰგავდა. საყვარელ ყვავილებს ალექსანდრე ყელამდე დაეფარათ... და ამ დროს მოხდა რაღაც მოულოდნელი: ცა მთელი დღე ღრუბლიანი იყო და ახლა, როდესაც კუბო უნდა დაეხუროთ, რამდენიმე წამით ადრე სამუდამოდ მიძინებულ ალექსანდრეს თავს მზის სხივი დაადგა, მის სახეს გარშემო შარავანდედი შემოერტყა...

სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ჩაქუჩის კაკუნი დ ოთხმა ლურსმანმა სიცოცხლის სათავეების მაძიებელს სამუდამოდ გადაურაზა სამყაროს ხილვის საშუალება...

საფლავი ღრმად იყო გაჭრილი... მიწა შიგნიდან წითელი და შავი მატერიით გამოეკრათ. რამდენიმე ახლობელმა ადამიანმა მუჭით მიაყარა მიწა... პირველმა ნინომ დაულოცა საფლავი. მეც შევასრულე ეს ძველებური ადათი. სილამიწა იყო, ხელში ადვილად იფანტებოდა, ოპარინის თმის ფერი დაჰკრავდა... წვიმა წამოვიდა, თითქოს ცამაც დააფრქვია თავისი ცრემლი...

ალექსანდრე ოპარინის საფლავი ნოვოდევიჩის სასაფლაოს ახლად შემოღობილ ნაწილშია. ალექსანდრე ივანეს ძე აქაც თავის საყვარელ გარემოცვაშია; უახლოეს მეზობლებად მეცნიერების, პოეზიისა და ხელოვნების მოღვაწენი ჰყავს: პეტრე ნიკოლოზის ძე პოსპელოვი და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ნესმეიანოვი, ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვი და ნადეჟდა სერგის ასული ნადეჟდინა...

დავტოვეთ მიწამიყრილი ალექსანდრე ოპარინის ცხედარი... მაინც რა იყო ასე ღრმად დასაფლავება! არის კი საჭირო გულზე ამდენი მიწის დაყრა?! ნუთუ ადამიანისაგან აღარაფერი არ რჩება ისეთი, რაც დასანანია! იქნებ მის ნეშტს უფრო ფაქიზი მოპყრობა სჭირდება?!

ალექსანდრე ოპარინის მეუღლემ და ბიოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივმა ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში მიგვიწვიეს. აქ ალექსანდრე ივანეს ძის მოსახსენებლად სუფრა გაეშალათ. ისეთი სიტუაცია შეიქნა, თითქოს საცაა თვით ალექსანდრე ოპარინი შემოვა თავის მოწაფეებსა და მეგობრებთანო. რამდენიმე სადღეგრძელო ით-

ქვა. განსაკუთრებული სითბოთი ალექსანდრე ივანეს ძე აკადემიკოსებმა გიორგი სკრიაბინმა და ალექსანდრე ბაევმა მოიხსენიეს:

— მეცნიერები იყვნენ, არიან და იქნებიან... ისეთი მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული მეცნიერი კი, როგორიც ა. ოპარინი იყო, მართლაც მეტად იშვიათია, — გაბაცხადა გ. სკრიაბინმა.

— ალექსანდრე ოპარინი უნიკალურია როგორც მეცნიერიც. მან თავისი თეორია მაშინ შექმნა, როდესაც ბიოლოგიის მრავალი თანამედროვე დარგი სრულებით არ არსებობდა; ახლა ყველა „თვითაწყობას" ღაღადებს, 57 წლის წინათ კი ასეთი მოვლენა სიზმარშიაც არავის მოელანდებოდა. ალექსანდრე ივანეს ძე ჭეშმარიტად გოლიათური აზროვნების მქონე ადამიანი იყო, — მოგვითხრობდა ა. ბაევი.

ყველა გააოცა ნინო პეტრეს ასულ ოპარინას გამოკვეთილმა სიტყვამ. მან ნათლად წარმოგვიდგინა ალექსანდრე ივანეს ძის სახე და ყველას სთხოვა, რომ მისი იდეებისათვის სათუთად მოეკლოთ. მისი მეცნიერული საქმე ღირსეულად გაეგრძელებინათ. პროფესორმა დომინმა ა. ოპარინისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

26 აპრილია. ისევ ალექსანდრე ოპარინის ბინაზე ვართ. ნინო პეტრეს ასული ახლა უფრო აღელვებული ჩანს, ვიდრე აქამდე იყო:

— ალექსანდრე ივანეს ძე უნათესავოდ არც სასაფლაოზე დარჩენილა. ა. ოპარინის სამუდამო სამყოფელიდან ასი მეტრის მოშორებით დასაფლავებულია მისი და ალექსანდრა. წელიწადში რამდენჯერმე მიჰქონდა მასთან ყვავილები. მალე ნახევარი საუკუნე გახდება, რაც ის გარდაიცვალა და მისდამი ყურადღება ალექსანდრე ივანეს ძეს არ განელებია. დის საფლავთან ახლოს ძველი კოშკია. მის ძირში უყვარდა ჯდომა ალექსანდრე ივანეს ძეს. აქ ყოფნას განსაკუთრებით ომის პერიოდში მოვუხშირეთ. ერთხელ მოსკოვი ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად დაბომბეს და ნამსხვრევებმა ნოვოდევიჩის სასაფლაოზე ჩვენამდეც მოაღწია. მე ფარულად ჯარისკაცის ორ მედალიონს ვატარებდი. ორივეში სასწრაფოდ ჩავწერეთ ჩვენი მისამართები.

— ნინო, თუ დავიკარგეთ, იქნება ამ მედალიონებით მაინც მოვძებნოთ ერთმანეთიო.

— ალექსანდრე ივანეს ძემ,—განაგრძობდა ქაბატონი ნინო, — იცოდა ნამდვილი სიყვარული, ძლიერი, ვაჟკაცური სიყვარული, რუსთველისებური სიყვარული. მე ფოთში ვარ გაზრდილი, ბევრი რამ თქვენი ლამაზი და ვაჟკაცური ქვეყნიდან მაქვს შესისხლხორცებული; ალბათ, ამიტომაც შევეწყვეთ ერთმანეთს მე და ალექსანდრე! როდესაც თქვენთან ამერიკელი მეცნიერი სიდნეი ფოქსი გამოაგზავნა, არწმუნებდა:

— ნახავ რა ქვეყანაა, რა ხალხია. ვინ იცის, იქნებ სიცოცხლე პირველად მათთან ჩაისახა და იმიტომ არიან ასეთი დარბაისელნიო. უნდა გენახაო, როგორ გაიხარა, როდესაც ფოქსი თბილისიდან დაბრუნდა და თქვენებურ ლეგენდებს უყვებოდა.

— რა ბედნიერი ხალხია, როგორ უყვართ თავისი ქვეყანა. მე ასეთი რამ სხვაგან არ მინახავსო, — გვეუბნებოდა სიდნეი ფოქსი. სიცოცხლის წარმოშობის მსოფლიო საზოგადოება, ხომ იცით, ფაქტიურად სამმა მეცნიერმა დააარსა: ა. ოპარინმა, ს. პანამპერუმამ და ს. ფოქსმა. ახლა სიცოცხლის წარმოშობის მსოფლიო საზოგადოების თავმდომარე იაპონელი ბიოქიმიკოსი ეგამია. მან გუშინ საღამოს გვიან დამირეკა და მომისამძიმრა.

ნინო პეტრეს ასულს შეუწყვეტლად სურდა მეუღლესა და მეგობარზე საუბარი. ჩვენც ვუსმენდით, ვუსმენდით სევდითა და სიხარულით...

ნინო პეტრეს ასულს საკმაოდ ვრცელი გეგმა ჰქონდა შედგენილი, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას, ინსტიტუტს, მის მეგობრებსა და მოწაფეებს ა. ოპარინის სახელის უკვდავსაყოფად.

წამოსვლის წინ ქალბატონმა ნინომ უფლება მომცა. ა. ოპარინის მიერ შედგენილი ერთი პატარა ალბომი გადამეთვალიერებინა. მას ალბომში გაზეთებიდან ამოჭრილი მცირე ზომის ის თავისი წერილები ჩაეწებებინა, რომლებიც ახალგაზრდობას შეეხებოდა.

1973 წლის 23 იანვარს ალექსნდრე ოპარინს შემდეგი სიტყვებით მიუმართავს ახალგაზრდობისათვის:

„თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ის ხალხი ბრძანდებით, ვინაც მომავალში უნდა შექმნას ახალი ბიოლოგია, უფრო ღრმად ჩაიხედოს სიცოცხლის საიდუმლოებებში. მე გულითადად გისურვებთ წარმატებებს ამ, მთელი კაცობრიობისათვის მნიშვნელოვან, მუშაობაში“.

ა. ოპარინის სიტყვები სრულდება... უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში მართლაც შეიქმნა ბიოლოგიის ზოგიერთი ახალი დარგი, რომელთა სათავეშიაც ახალგაზრდა თაობა დგას.

დასრულდა ალექსანდრე ოპარინის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეები.

დაიწყო ალექსანდრე ოპარინის ახალი, არამიწიერი სიცოცხლის ხანა...

1981

ქართველი მეცნიერი ჰალეს უნივერსიტეტში

1932 წლის 22 აპრილს გერმანულ ყოველკვირეულ გაზეთ „ბრძოლის“ 44-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „ახალი სკან-

დალი უნივერსიტეტში". ავტორი იხილავს ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის პერსპექტივებს გერმანიაში და გერმანელთა პოლიტიკურ მოვალეობად თვლის მეტი ყურადღება მიექცეს უნივერსიტეტებს: „ჩვენი გერმანული უმაღლესი სასწავლებლები ხომ ჩვენი საუკეთესო პროფესიული კადრების სასწავლო-აღმზრდელობით კერას წარმოადგენს. ამიტომ ისინი მინდობილი უნდა ჰქონდეთ იმ ადამიანებს, ვისაც ამ ამოცანების შესრულება მთლიანად და სავსებით ხელეწიფებათ. თუმცაღა, ჩვენდა გასაკვირად, „ბურჟუაზიულ" პრესაში ვკითხულობთ კომუნისტურ ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენს ჰალეს უნივერსიტეტში რომელიღაც დოქტორმა სევერიან ბუაძემ ბუგეულიდან — საქართველოდან(!), რომელმაც განათლება პეტერბურგში მიიღო, ქირურგიის პროფესორთან და ყოფილ დეპუტატ-დემოკრატ აბდერჰალდენთან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიოლოგიის სპეციალობით.

ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ დროს, როცა შვიდი მილიონი მშიერი და უმუშევარი გერმანელი ქუჩაში ყრია, მაშინ, როცა ასობით ათასი აკადემიური ცოდნის მქონე გერმანელი ვერც სამუშაოს შოულობს და ვერც პურს, ზოგიერთი ახერხებს, რომ რუსი ასისტენტად და უმაღლესი სკოლის „გერმანელ" მასწავლებლადაც კი აქციოს!

გერმანელო მშობლებო, გერმანელო სტუდენტებო — ვაჟებო და ქალიშვილებო! შეიცანით სისტემა მთელ თავის საქციელში! გაუსწორდით ამ სისტემას... მხოლოდ მაშინ შეიძლება კვლავ გამეფდეს გერმანულ უმაღლეს სკოლებში სხვა სული".

ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში გერმანიის უმაღლეს სკოლაში არაგერმანელის სამუშაოდ დატოვება, რასაკვირველია, მხოლოდ დიდი მეცნიერისა და მოქალაქის რეკომენდაციითა და ზეგავლენით თუ შეიძლებოდა.

აღნიშნული საგაზეთო წერილის გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი-ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი ემილ აბდერჰალდენი ჰალეს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანს პროფესორ ბრუგშს სწერდა:

„ბატონი ბუაძის სადოქტორო დისერტაცია გვიჩვენებს, რომ იგი სავსებით აკმაყოფილებს ყველა პირობას, რაც კი შეიძლება წარედგინოს პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე მისაღებ კანდიდატს. ბატონ ბუაძეს უნარი შესწევს დააყენოს პრობლემები და წარმატებით მონახოს მათი გადაწყვეტის გზები. გარდა ამისა, მისი ნაშრომებიდან ჩანს, რომ მას უნარი აქვს კრიტიკულად შეაფასოს ლიტერატურაში აღწერილი გამოკვლევები"...[1]

---

[1] ამ წერილში გამოყენებულია საარქივო დოკუმენტები ს. ბუაძის შესახებ (საქართველოს სსრ არქივი „ორსმცსა", ფ. 471) და მისი პირადი საქმე, რომელიც

განვლო წლებმა და სევერიან ბუაძემ გერმანელი მეცნიერის წინასწარმეტყველება ბრწყინვალედ გაამართლა...

ვინ იყო სევერიან ბუაძე, ვისთან გაიარა მან მეცნიერული წრთობა და როგორ მიაღწია ჯერ კიდევ ახალგაზრდამ აღიარებას ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კლასიკურ ქვეყანაში?

სევერიან ბუაძე დაიბადა რაჭაში სოფ. ბუგეულში, 1895 წლის 9 იანვარს. იოსებ ბუაძისა და მისი მეუღლის ლალო ოშხერელის ოჯახში. მამა სოფლის მეურნეობას მისდევდა, დედა ოჯახს უვლიდა, 6 შვილს ზრდიდა. სევერიანი ყველაზე უმცროსი იყო. იგი 3 წლის არც კი იქნებოდა, როცა მამა გარდაეცვალა. დაწყებითი განათლება სევერიანმა ბუგეულში მიიღო. ხელმოკლე დედა იძულებული გახდა შვილი რაიმე ხელობის შესასწავლად ქუთაისს გაეგზავნა. აქ იგი შეგირდად ყოფილა წიგნის მაღაზიაში, მესაათესთან, აფთიაქში და სხვ. მთელ თავისუფალ დროს თურმე წიგნების კითხვას ანდომებდა, გიმნაზიაში სწავლის გასაგრძელებლად ემზადებოდა. გლეხის შვილისათვის ძნელი იყო ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში მოხვედრა, მაგრამ გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი ნიჭიერ ახალგაზრდებს ყოველთვის ეხმარებოდა და 1911 წელს სევერიანი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღეს. აქ იგი სამაგალითოდ სწავლობდა, საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. 1916 წელს იგი ამთავრებს გიმნაზიას და იმავე წლის შემოდგომაზე სწავლას აგრძელებს პეტროგრადის საიმპერიო სამედიცინო აკადემიაში. ერთი წლის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება. ამ დროს, როგორც ცნობილია, საქართველოში გაცხოველებული მზადება იყო ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. 1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. ამავე წლის 17 ივნისს პროფესორთა საბჭოს სხდომაზე გადაწყდა სექტემბრიდან საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და საექიმო გაერთიანებული ფაკულტეტის გახსნა. 1919 წლის 29 აპრილიდან შესაძლებელი გახდა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო (დეკანი ა. რაზმაძე) და სამკურნალო (დეკანი ა. ნათიშვილი) ფაკულტეტების ცალ-ცალკე ჩამოყალიბება.

1917 წლის გაზაფხულიდან 1919 წლის ნოემბრამდე სევერიანმა მშობლიურ სოფელში დაჰყო, მამისეულ მეურნეობაში მუშაობდა და თან ბიოლოგიას სწავლობდა. ერთხანს უნდოდა შესულიყო თბილისის უნივერსიტეტის ახლად ჩამოყალიბებულ სამკურნალო ფაკულტეტზე, მაგრამ საბოლოოდ ევროპაში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა და 1919 წლის ნოემბერში დატოვა სამშობლო. 1920 წლის იანვარში იგი

ქ. ჰალედან გამომიგზავნეს გერმანელმა მეცნიერებმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ.

უკვე ბერლინში იყო. ამავე წლის თებერვალში სევერიანი გადავიდა ჰალე-ზაალეში და ზაფხულის სემესტრში ჩაირიცხა ჰალე-ვიტენბერგის ფრიდრიხის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სამშობლოდან წამოღებული მცირეოდენი თანხა მალე შემოეხარჯა. ეს ის დრო იყო, როდესაც გერმანიაში ფულის კურსი დაეცა და ისედაც ხელმოკლე ქართველი სტუდენტები კიდევ უფრო გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. თბილისის უნივერსიტეტს უსახსრობის გამო არ შეეძლო მისთვის სტიპენდია დაენიშნა. გამოუვალი მდგომარეობიდან სევერიანი პროფ. გრიგოლ მუხაძემ იხსნა, რომელიც 1921 წელს ჰალეში ჩავიდა და ქართველ სტუდენტებს გაეცნო. თბილისში დაბრუნებისთანავე მან თხოვნით მიმართა სერგო ორჯონიკიძეს, რომ ნიჭიერ სტუდენტს სევერიან ბუაძეს, რომელიც ჰალეს უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე სწავლობდა, ფულით დახმარებოდა. სულ მოკლე ხანში სერგო ორჯონიკიძის პირადი განკარგულებით ს. ბუაძეს ერთდროული დახმარების სახით საკმაო თანხა გადაეგზავნა. სევერიანის მატერიალური მდგომარეობა კარგა ხნით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

უდიდესი ყურადღება და ზრუნვა გამოიჩინა თბილისის უნივერსიტეტმა სევერიან ბუაძისადმი. უნივერსიტეტის გამგეობას სჯეროდა, რომ სევერიან ბუაძის სახით ქართულ სამედიცინო მეცნიერებას საიმედო ძალა ეზრდებოდა.

1924 წელს, ერთი წლით ადრე, ვიდრე სევერიანი საექიმო ფაკულტეტს დაამთავრებდა და სადოქტორო გამოცდებს ჩააბარებდა, პროფ. გრიგოლ მუხაძის ინიციატივით და პროფ. პეტრე მელიქიშვილის წარდგენით მას ტოვებენ თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრაზე საპროფესოროდ მოსამზადებლად, თუმცა უნივერსიტეტს ამ დროს ეკონომიურად კვლავ დიდად უჭირდა.

1924 წლის 29 ნოემბერს, როცა უნივერსიტეტის გამგეობამ მოისმინა, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა ვერ დააკმაყოფილა უნივერსიტეტის თხოვნა ქ. ჰალეში მყოფი ექიმ სევერიან ბუაძისათვის სტიპენდიის მიცემის კიდევ ორი წლით გაგრძელების შესახებ. კვლავ დაადგინა: „განმეორებით იქმნეს აღძრული შუამდგომლობა ექ. ბუაძისათვის სტიპენდიის გაგრძელების შესახებ“. როდესაც არც ამას მოჰყვა შედეგი, უნივერსიტეტის გამგეობამ 1925 წლის 3 იანვარს გამოიტანა დადგენილება: „პირველი განთავისუფლებული სტიპენდია მიეცეს ბუაძეს საზღვარგარეთ სამუშაოდ“. მანამდე? მანამდე კი როგორღაც უნდა გაეძლო!

1925 წლის 7 მაისს თბილისის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივანე ჯავახიშვილი არქეოლოგ გიორგი ნიორაძეს, რომელიც გერმანიაში სტაჟირებას გადიოდა, სწერს: „თქვენ ამ დღეებში მიიღებთ იმ

ფულს, რომელიც მუზეუმმა უკვე გადმოგიგზავნათ... ნანეიშვილის ხვედრი ფული, რომელიც თქვენთან ინახება, უხდა გაანაწილოთ უნივერსიტეტთან დატოვებულების — მიხეილ ახმეტელსა და სევერიან ბუაძეს შორის თანაბრად და აცნობოთ მათ, რომ უნივერსიტეტი ამ ფულს აძლევს ერთდროული დახმარების სახით... რაც ჩქარა გამოემგზავრებით, სასურველია ჩვენთვის. თქვენი კეთილის მოსურნე ივ. ჯავახიშვილი".

მიუხედავად მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა, სევერიან ბუაძე წარჩინებით ამთავრებს სამედიცინო ფაკულტეტს.

1925 წლის 9 ნოემბერს ფრიდრიხის უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამედიცინო ფაკულტეტმა (ჰალე-ვიტენბერგი) „სევერიან ბუაძეს — საქართველოდან, საუკეთესო სადისერტაციო ნაშრომისათვის — „ფენილ-სერინის მონაწილეობით პოლიპეპტიდების მიღება და მათი ფერმენტული გახლეჩა", რომელიც წარმატებით იქნა დაცული, მიანიჭა ზოგადი მედიცინის დოქტორის ხარისხი".

სევერიან ბუაძემ ეს ნაშრომი შეასრულა სახელგანთქმული მეცნიერის ემილ აბდერჰალდენის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მან მუშაობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი არ ჰქონდა დამთავრებული.

1926 წლის 26 მარტს თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანმა პროფ. გრიგოლ მუხაძემ უნივერსიტეტის რექტორს შემდეგი წერილით მიმართა:

„სევერიან ბუაძეს უკვე ერთი წელი შეუსრულდა, რაც იგი უნივერსიტეტთან დატოვებულია და მუშაობს ბიოლოგიურ ქიმიაში და ფიზიოლოგიაში გამოჩენილ პროფესორთან აბდერჰალდენთან ქ. ჰალეში (გერმანია). მან უკვე დაწერა სადოქტორო დისერტაცია და ამას გარდა რამდენიმე შრომა ბიოლოგიური ქიმიის დარგში. პროფ. აბდერჰალდენისაგან ჩვენ შეკითხვაზე მივიღეთ ცნობა, რომ კარგი მეცნიერი მომზადდება ახლო მომავალში. აქვე წარმოდგენილია პროფ. პეტრე მელიქიშვილის დასკვნა ს. ბუაძის შესახებ. სასურველია ბუაძე დატოვებული იყოს კიდევ ერთი წლით".

დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი საკმურნალო ფაკულტეტის დეკანის სახელზე წერს:

„როგორც აბდერჰალდენის წერილიდან და აგრეთვე ბუაძის მიერ დამუშავებული თემის სახელიდან ჩანს, ბუაძე მომზადებულია ორგანულ და ფიზიოლოგიურ ქიმიაში. რაც შეეხება თვით თემას, რომელსაც დაწვრილებით ამუშავებდა გამოჩენილი მეცნიერი ფიშერი და მისი მოწაფე აბდერჰალდენი, იგი, რასაკვირველია, ჯერ არ არის ამოწურული და ამავე საკითხებზე მუშაობს ბუაძე აბდერჰალდენის ხელმძღვა-

ნელობით. სხვათა შორის, ბუაძეს მიუღია ფენილ-სერინი, ნივთიერება, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, და თვისებას იჩენს სხვადასხვა ამინმჟავებთან ერთად მოგვცეს პოლიპეპტიდები. ცნობილია, რომ ზოგი ამ პოლიპეპტიდებისა იშლება სხვადასხვა ფერმენტების საშუალებებით. გამოირკვა, რომ ბუაძის მიერ მიღებული ფენილ-სერინი იშლება დუღილის სოკოების წვენში არსებული ფერმენტების საშუალებით. ამის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ბუაძე კარგად უნდა იყოს გაცნობილი ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის მეთოდებს".

1928 წლის ოქტომბერში პროფ. კორნელი კეკელიძე თბილისის უნივერსიტეტის გამგეობის სახელით საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს უგზავნის თხოვნას:

„თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის ამა წლის 8 ოქტომბრის დადგენილებისა, უნდა დაბრუნდნენ საქართველოში საზღვარგარეთ სამეცნიერო მიზნით მივლინებული ასპირანტები დავით იაშვილი და სევერიან ბუაძე, რომლებსაც ვიზა წამოსასვლელი უკვე აღებული აქვთ, მხოლოდ სამგზავრო ფულის უქონლობის გამო შეჩერებულნი არიან.

მოგახსენებთ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ გადაუგზავნოთ მათ 650 მანეთი".

ამავე წლის 14 ნოემბერს უნივერსიტეტის სახელით განათლების სახალხო კომისარიატს პროფ. შალვა ნუცუბიძე მიმართავს, რომ ახლად ჩარიცხული ასპირანტები ვერ მიიღებენ სტიპენდიას, ვიდრე სევერიან ბუაძე და სხვა ასპირანტები საზღვარგარეთიდან არ დაბრუნდებიან.

და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის რამდენი დადგენილება და მიმართვაა კიდევ დაწერილი, რომ ქართველ ასპირანტებს შექმნოდათ ცხოვრებისა და მუშაობის რამდენადმე მაინც ნორმალური პირობები უცხოეთში!

რა სულიერი ძალა შეუწირავთ, რა ენერგია დაუხარჯავთ ჩვენი უნივერსიტეტის მესვეურებს ჩვენი ერის მეცნიერული მომავლის მყარ ნიადაგზე დაფუძნებისათვის.

ს. ბუაძის საზღვარგარეთ მივლინების ვადა ამოიწურა. სევერიანი მოუთმენლად ელოდა სამშობლოში დაბრუნებას, მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სთხოვდა გამოეყოთ მისთვის საჭირო თანხა საკუთარი ბიბლიოთეკის გადმოსატანად და უნივერსიტეტისათვის ბიოქიმიური ლაბორატორიის შესაძენად. უნივერსიტეტის გამგეობამ 1928 წლის 15 მარტის დადგენილებით ს. ბუაძის ლაბორატორიის მოსაწყობად სამი ათასი მანეთი გადადო, მაგრამ პრაქტი-

კულად ამის განხორციელება წლების მანძილზე ვერ მოხერხდა. 1929 წლის 17 ივნისს ს. ბუაძე პროფ. გრ. მუხაძეს სწერდა:

„ამ რამდენიმე თვის წინათ სამსახურიდან გაათავისუფლეს ჩვენი ინსტიტუტის ლაბორატორიაში მომუშავე დამსახურებული პროფესორი და გერმანიის განათლების სამინისტრომ მისი თანამდებობა მე გადმომცა. ამ აქტით ჩემი მეცნიერული აწმყო და მომავალი უზრუნველყოფილი გახდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში დაბრუნება მაინც გადაწყვეტილი მაქვს. მოვალეობის გრძნობა ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტის წინაშე მაინც არ მასვენებს. როცა ხსენებული ადგილი ჩავიბარე და პირობას ხელი მოვაწერე, ამ უკანასკნელში აღვნიშნე, რომ საქართველოში დაბრუნების საკითხის მოგვარებისთანავე გამანთავისუფლონ“.

ამ დროს ს. ბუაძე უკვე დიდი მასშტაბის ჩამოყალიბებული მეცნიერი იყო და, რა თქმა უნდა, უდიდესი სურვილი ჰქონდა რომ თბილისის უნივერსიტეტში მეცნიერული კვლევა ბიოქიმიასა და ფიზიოლოგიაში თავიდანვე მაღალ მეცნიერულ დონეზე დაეყენებინა. სხვაგვარად ალბათ არც შეეძლო დიდი მეცნიერისა და მოქალაქის ემილ აბდერჰალდენის მოწაფესა და მეგობარს, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდას, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო.

ფიზიოლოგიასა და ფიზიოლოგიურ ქიმიაში ემილ აბდერჰალდენის ბრწყინვალე ლექციებმა ბუგეულელი ახალგაზრდა სტუდენტობის დროსვე უზომოდ გაიტაცა. მალე პროფესორმაც შენიშნა პრაქტიკუმებზე დიდი მონდომებითა და ფაქიზად მომუშავე უცხოელი სტუდენტი. ურთიერთ ინტერესს დაუყოვნებლივ შედეგიც მოჰყვა. 1924 წელს პროფ. ე. აბდერჰალდენმა ჯერ კიდევ სტუდენტი ს. ბუაძე სამუშაოდ მიიწვია თავის ინსტიტუტში. ამ დროს ემილ აბდერჰალდენი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი და პედაგოგი, მეცნიერების ორგანიზატორი იყო: ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და მეცნიერებათა აკადემიის (ლეოპოლდინას) პრეზიდენტი, ეთეულობით, ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორი, ბიოლოგიური და ბიოქიმიური მეთოდების ასზე მეტი ტომის სულისჩამდგმელი და გამომცემელი, სახალხოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე — სენატის დეპუტატი. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მთელი მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებსა და სამეცნიერო საზოგადოებებთან. ყოველთვის ცდილობდა გამოენახა ურთიერთგაგების გზები და ამით ხელი შეეწყო მენციერული პროგრესისათვის.

1924 წელს ე. აბდერჰალდენმა დააარსა ჟურნალი „ეთიკა“, რომლის დევიზი იყო ხალხის ზნეობის ამაღლება და „ხალხის სწავლა-განათლებისა და კეთილდღეობისადმი ხელის, შეწყობა“. 1927 წლის 20 სექტემბერს „ეთიკაში! აბდერჰალდენი წერდა:

„ყველასათვის ცნობილია, რომ ხალხის უდიდესი ნაწილი მეტ-ნაკლებად არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს. რატომ არ ვიბრძვით მთელი ხალხის კეთილდღეობისათვის?“ მართალია, მას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა დაჩაგრულთა ბრძოლის გზებზე, მაგრამ თავისი ჰუმანურობით იგი მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა მისი თანამედროვე გერმანელი მეცნიერებისაგან. 1925 წელს მან შექმნა ორგანიზაცია: „ექიმთა საზოგადოება სოციალური ეთიკის დარგში“. მისი სტატიები შეეხებოდა შიმშილსა და საბინაო კრიზისს, ტუბერკულოზს, ნაწური წყლების ტოქსინებს და გარემოს გაჭუჭყიანებას, სოციალურ დაავადებებს, გერონტოლოგიის პრობლემებს.

1925 წლის 5 დეკემბერს ემილ აბდერჰალდენი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად.

ემილ აბდერჰალდენის აზრით, მეცნიერულ კვლევას, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს ზნეობრივი გამართლება. ადამიანის ზნეობის სიწმინდისათვის ბრძოლას იგი უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე თავის მოღვაწეობას აკადემიასა და პარლამენტში. ე. აბდერჰალდენი დაუღალავად იბრძოდა ბულვარული და პორნოგრაფიული ლიტერატურისა და ფილმების მოძალების წინააღმდეგ, ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა თანასწორუფლებიანობისათვის, ახალგაზრდობის დასაცავად ალკოჰოლისა და ნიკოტინისაგან. ყოველნაირად ცდილობდა აღკვეთილიყო სექსუალური ინსტინქტის ათასგვარი ფორმის ექსპლოატაცია; უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მისი ოცნება იყო ბავშვთა ბაგების დაარსება.

1928 წელს ემილ აბდერჰალდენმა თავისი თვალით ნახა საბჭოთა კავშირი, როგორც სამეცნიერო კონგრესის მონაწილემ. ამავე წელს სტატიაში „სინდისისადმი ერთდროული მოწოდება“ იგი წერდა: „ძალზე დიდი კონტრასტია დღევანდელსა და გუშინდელ რუსეთს შორის. მეფის აბსოლუტიზმის ნაცვლად ჩაისახა სახელმწიფოს ისეთი ფორმა, რომელსაც საშუალება აქვს განახორციელოს მარქსიზმისა და კომუნიზმის იდეალები... წაიკითხეთ გოგოლი, ტოლსტოი, გორკი და ა. შ. და თქვენ მთლიანად და სავსებით დადგებით რუსეთის რევოლუციის მხარეზე“.

ემილ აბდერჰალდენმა, როგორც ადამიანმა და საზოგადო მოღვაწემ, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ ახალგაზრდაზე. მასწავლებელი და მოწაფე საოცრად შეეწყვნენ ერთმანეთს. ისინი ხშირად საუბრობდნენ გერმანიასა და საქართველოზე, გერმანელებისა და ქართველების წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. სევერიანს უკვირდა და უხაროდა, რომ მისი სათაყვანებელი პიროვნება ასე დიდ ინტერესს იჩენდა მისი პატარა სამშობლოსადმი. ემილ აბდერჰალდენი იტყოდა ხოლმე:

— საქართველოსადმი ინტერესი პირველად ემანუელ კანტის ფიზიკურმა გეოგრაფიამ გამიღვიძა. იგი ჩვენი საყვარელი ფილოსოფოსია. თქვენს ქვეყანას ისე აღწერს, თითქოს ფეხდაფეხ დაევლოს.

როდესაც მოსკოვიდან დაბრუნდა, წუხდა, რომ ვერასგზით ვერ მოხვდა ბუგეულში. სევერიანი ამშვიდებდა, სულ მალე ერთად წავალთ და ნიკორწმინდის ქვის პოემასაც ერთად წავიკითხავთო.

ემილ აბდერჰალდენი ფართო ინტერესების მეცნიერი იყო. იგი იკვლევდა ცილების, ჰორმონების, ვიტამინების, ცხიმების, კვების ბიოქიმიურ საფუძვლებს, პროტეოლიზურ ფერმენტებს, თავკომბალათა განვითარებას, თვალის ბადურას სტრუქტურას, ფიზიოლოგიის სხვა პრობლემებს. მიუხედავად თემატიკის მრავალფეროვნებისა, მისი ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ცილებისა და პეპტიდების აღნაგობა და მეტაბოლიზმი. პირველად ე. აბდერჰალდენმა და მისმა მოწაფეებმა განახორციელეს პეპტიდების ხელოვნური მიღება და მათი ფერმენტული დაშლა. სწორედ ცილის სტრუქტურა, პეპტიდების ბიოსინთეზი და მათი პროტეოლიზური დაშლა აირჩია კვლევა-ძიების ძირითად ასპარეზად სევერიან ბუაძემ. მისი ნათელი აზროვნებისა და თავდავიწყებული შრომის შედეგად გაჩნდა მთელი სერია ემილ აბდერჰალდენისა და სევერიან ბუაძის ერთობლივი შრომებისა. მათ საფუძველი ჩაუყარეს უჯრედში პროტეაზების ბიოლოგიურ ფუნქციათა ღრმად შესწავლას, ამინეავათა თანამიმდევრობის გამოკვლევას ცილებში.

ემილ აბდერჰალდენი 1950 წელს გარდაიცვალა. მშობელმა ერმა მისი ღვაწლი ღირსეულად დააფასა. 1953 წელს ქ. ჰალეში გაჩნდა ემილ აბდერჰალდენშტრასე, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აკადემიის ცენტრალური კორპუსის წინ მისი ძეგლი დაიდგა. 1962 წელს ფიზიოლოგიური ქიმიის ინსტიტუტის ახალი შენობა ე. აბდერჰალდენის ბიუსტმა დაამშვენა, 1977 წელს კი გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი ღირსეული შვილის დაბადების 100 წლისთავი იდღესასწაულა.

სევერიან ბუაძე, მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, როგორც უმაღლესი სკოლის ლექტორიც, ფართო მეცნიერული ინტერესებისა და განათლების მჭონე პედაგოგი ჩამოყალიბდა. იგი ჰალეს უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც იყო „ფიზიკური ქიმიის გამოყენება ფიზიოლოგიასა და პათოლოგიაში“, „თანამედროვე შეხედულებები ფერმენტების ნივთიერ და ფუნქციონალურ თავისებურებებზე“, „კრეატინის წარმოქმნის გზების მრავალფეროვნება ცხოველურ ორგანიზმებში“ და სხვ.

1932 წლის 24 თებერვალს, ოთხშაბათს დილის 10 საათსა და 30 წუთზე ჰალეს უნივერსიტეტის საავადმყოფოში მედიცინის დოქტორ-

მა სევერიან ბუაძემ ახლა მეცნიერების დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წაიკითხა ბრწყინვალე ლექცია თემაზე: „სიკვდილის პრობლემა“.

ახალგაზრდა მეცნიერი ნათლად ხედავდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტივებს, მის ხვალინდელ დღეს. 1933 წლის 2 აგვისტოს მის მიერ თბილისის უნივერსიტეტისადმი გამოგზავნილ მოხსენებაში ვკითხულობთ: „ბიოლოგიურ ქიმიას აქვს არამც თუ წმინდა თეორიული ინტერესი, არამედ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამ დარგში საფუძვლიანი მომზადების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენს დროში სოფლის მეურნე, მედიკი თუ ფარმაცევტი, ჰიგიენისტი თუ ბაქტერიოლოგი.

ამაო იქნება ყოველგვარი ცდა სახალხო კვების ნორმების დადგენისა, შესწავლილი თუ არ იქნა რეალურად ფიზიოლოგია და ქიმია ნივთიერებათა ცვლისა, თუ შესწავლილი არ იქნა კვების საშუალებანი და საკვები ნივთიერებანი და ამ შესწავლაზე დაფუძნებული მათი ბიოლოგიური ღირებულებანი. კლინიკებისა და საავადმყოფოების ლაბორატორიათა მართვა-გამგეობა, ისე როგორც მუნიციპალურ და საკურორტო ლაბორატორიათა მუშაობა, გულისხმობს კარგად მომზადებულ პირებს, რომელნიც საფუძვლიანად ინცობენ ქიმიურ-ბიოლოგიურ პრობლემებს“.

მოისწრაფოდა სევერიან ბუაძე თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ და თან მოჰქონდა დიდი მეცნიერული წინაზრახვანი და იმედები. თბილისის უნივერსიტეტში ს. ბუაძე მოწვეული იყო ბიოქიმიის კათედრისა და ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიის სელმძღვანელად. ახლა მხოლოდ რამდენიმე პრაქტიკული საკითხის მოგვარებაღა იყო საჭირო. ამ პერიოდში მას განსაკუთრებით ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა პროფესორ ივანე ბერიტაშვილთან. მთლიანად მოვიყვანთ სევერიან ბუაძის ერთ წერილს, მიწერილს ივანე ბერიტაშვილისადმი. ვფიქრობთ, რომ ამ წერილში სრულად არის წარმოდგენილი სევერიან ბუაძე, როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე.

„ფრიად პატივცემულო ბ-ნო ივანე,

საქართველოში დაბრუნების და ქართულ უნივერსიტეტში მოღვაწეობის სურვილი მუდამ მქონდა და მაქვს. თავის დროზე წადილი ვერ განვიხორციელე. ამის მიზეზი ჩემს გარეშეა. უნივერსიტეტის გამგეობამ თუ მთავრობამ ჩემი მცირე ნივთიერი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა და ამრიგად ჩამოსვლა შეუძლებელი გახდა.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. ორი წლის წინათ ფიზიოლოგიის დოცენტი გავხდი და ჩემი მდგომარეობა, როგორც

მეცნიერული მოღვაწისა და უნივერსიტეტის მასწავლებლის, საესებით უზრუნველყოფილი გახდა. ჩემი სამოსწავლო საგანი მთელი ვეგეტატიური ანუ ქიმიური ფიზიოლოგიაა, კვლევებს კი განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ფერმენტებსა და იმუნიტეტის მოვლენების ქიმიაში ვაწარმოებ. პროფ. აბდერჰალდენის ინსტიტუტში საკუთარი განყოფილება მაქვს. ჩემს განკარგულებაშია მთელი რიგი ლაბორანტებისა და ვმუშაობ საესებით დამოუკიდებლად და შეუწუხებლად. მიუხედავად ამისა, მე მაინც ვიღებ პრინციპიალურად თქვენს წინადადებას. თანახმა ვარ საქართველოში თვით გაცილებით ნაკლებხელსაყრელ პირობებშიაც კი ვიმუშაო (ამის არა მარტო სურვილი, არამედ მოვალეობის გრძნობაც მაქვს), რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს გადმოსვლას ნივთიერად შესაძლებლად გახდით. როგორც მოგეხსენებათ, გერმანიაში დოცენტის ჯამაგირი და ლექციების შემოსავალი ძლიერ მცირეა, ასე, რომ, ჩემი საკუთარი თანხით სამგზავრო ხარჯების დაფარვა (სხვა არა იყოს რა, აუარებელი ყუთები დამჭირდება ბიბლიოთეკის ჩამოსატანად) ყოვლად შეუძლებელი იქნება. ამის გარდა, საქართველოში დამოკიდებულ განწყობილებაში მუშაობა ჩემთვის მისაღები ვერ იქნება და ეს არა იმიტომ, რომ ქართველი მეცნიერის ასისტენტობა მეთაკილება, არამედ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მე განსაკუთრებული ხასიათის შკოლა გავიარე და განსაკუთრებული საკითხებით და პრობლემებით ვარ დაინტერესებული. თუ შესაძლოდ სცნობთ, რომ მე ან იმ ახალ ექსპერიმენტული ბიოლოგიის და ან ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში შესაფერი განყოფილება სავსებით დამოუკიდებლად დამეთმობა, მაშინ ჩემს დაბრუნებას წინ აღარა გადაეღობება რა. თქვენს ხელში იქნება, როგორც დღემდე, წმინდა ფიზიოლოგია (ანუ ბიოლოგია), ხოლო მე კი ქიმიურ ფიზიოლოგიას დავიკისრებ და ვიმედოვნებ, ამ ნიადაგზე ჰარმონიულად და მეგობრულად ვიმუშავებთ. მე ექიმი ვარ და, რა თქმა უნდა, ჩემთვის სამედიცინო ფაკულტეტთან მოღვაწეობა უფრო შესაფერი იქნებოდა, მაგრამ რადგან ეს ჩემი მიზეზის გარეშე არ მოხერხდა, მზად ვარ საბუნებისმეტყველოზედაც საქმის იმავე ინტერესით და სიყვარულით ვიმუშაო. ქართველები, სამწუხაროდ, მე მდებენ ბრალს: გამოვზარდეთ და არ ჩამოვიდაო. იმედია, ეს წერილი დაგარწმუნებთ, რომ ხსენებული ბრალდება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

რაც შეეხება ჩემი ჩამოსვლის დროს, ეს სავსებით თქვენზე იქნება დამოკიდებული; რამდენადაც ადრე შევთანხმდებით, იმდენად უფრო დაჩქარდება ჩემი გადმოსახლება. თუ თქვენთვის ჩემი მცირე და საფუძვლიანი მოთხოვნილება მისაღები იქნება, მაცნობეთ დაუყოვნებლივ და დაბეჯითებით. მე აქ განცხადებას შევიტან, სახელ-

მწიფო სამსახურიდან და პროფესორთა კორპორაციის წევრობიდან გამათავისუფლონ.

თქვენი წერილი რომ ერთი თვის წინათ მიმეღო, ვინცობაა აგვისტოში დროებით საქართველოში ჩამოვსულიყავ. პირადად მოლაპარაკება და ადგილობრივად საქმის ვითარების დაწვრილებით გაცნობა ფრიად სასარგებლო იქნებოდა. თუ თქვენც ამავე აზრის ბრძანდებით, მაცნობეთ და შესაძლოა ახლო მომავალში ერთი თვით მაინც თავი გამოვიშვა (თუ ვიზის აღებამ და სამგზავრო ხარჯებმა არ დამაბრკოლა). ველი დაწვრილებით წერილს. დამავალეთ და მაცნობეთ აგრეთვე თქვენი ახალი ინსტიტუტის მიზნები და შემადგენლობა. ძლიერ მაინტერესებს აგრეთვე საქართველოში სამეცნიერო და სამოსწავლო მოღვაწეობის საერთო პირობები: თანხები, ლიტერატურა, ლაბორატორიათა მრწყობილობა, ამას გარდა ლაბორანტთა, ახალგაზრდა ქიმიკოსთა და ექიმთა შოვნის შესაძლებლობა, რომელთაც თეორეტიული გზის არჩევა სურთ და სხვა.

მიიღეთ ჩემი უმორჩილესი სალამი.

პატივისცემით ს. ბუაძე

ჰალე, 23.VII.33"

ყველა პირობა, რაც კი ს. ბუაძემ თავის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით წამოაყენა, მიღებულ იქნა როგორც თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, ისე პროფ. ივანე ბერიტაშვილის მიერ.

ამ პერიოდს დაემთხვა აბდერჰალდენის სქელტანიანი „ფიზიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელოს" რუსულ ენაზე გამოქვეყნება. იგი მეექვსე გერმანული გამოცემიდან იყო თარგმნილი ს. კაპლანსკისა და ვ. ენგელგარტის მონაწილეობითა და რედაქტორობით. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „აბდერჰალდენის ფიზიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელო დაწერილია უდიდესი მსოფლიო მეცნიერის მიერ და წარმოადგენს ბიოქიმიის საუკეთესო კაპიტალურ კურსს". და აი ამ სახელმოხვეჭილ სახელმძღვანელოში უხვად არის გამოყენებული სევერიან ბუაძის გამოკვლევები. მას უკვე საბჭოთა ქვეყნის სტუდენტობაც ეცნობა...

სევერიან ბუაძის გერმანიიდან მოსალოდნელ წამოსვლას ჰალეს უნივერსიტეტის რექტორატი ადვილად ვერ შეეგუა. 1934 წლის 20 თებერვალს ჰალეს უნივერსიტეტმა გერმანიის მეცნიერების მინისტრს მიმართა: „საჭიროა მივიღოთ ყველა ზომა, რათა ს. ბუაძე დარჩეს გერმანიაში. საიდუმლო მრჩევლის აბდერჰალდენის ცნობით დოქტორი ბუაძე არის არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი და

ბრწყინვალე პედაგოგი. მისი წასვლა ინსტიტუტიდან და უნივერსიტეტიდან უეჭველად იქნება დიდი მეცნიერული დანაკლისი. დოქტორი ბუაძე ძნელად შესაცვლელია, უკეთესი ცვლა ფიზიოლოგიის დარგში ჩვენ არ გაგვაჩნია“.

და მაინც გადაწყდა: სევერიან ბუაძე საქართველოში დაბრუნდება! ყველა საჭირო დოკუმენტი მას ხელთ აქვს, მისი უნიკალური ბიბლიოთეკაც უკვე ყუთებშია მოთავსებული, ბუგეულში დედა ელის, თბილისში უნივერსიტეტი...

ჰალე? ჰალე სევერიანის გასაცილებლად ემზადებოდა, როდესაც ყველას თავზარი დასცა უნივერსიტეტის განცხადებამ: „3 მარტს, შაბათს, დილის 11 საათსა და 30 წუთზე გერტრაუდეფრიდჰოფის სასაფლაოს დიდ სამლოცველოში დანიშნულია სევერიან ბუაძის სამოქალაქო პანაშვიდი“.

1934 წლის 15 მარტს, ხუთშაბათს, პროფ. ივანე ბერიტაშვილმა „კომუნისტის“ ფურცლებიდან ქართველ საზოგადოებრიობას ამცნო:

„გერმანიაში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ფილტვების ანთებისაგან 1934 წ. 27 თებერვალს გარდაიცვალა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სევერიან იოსების ძე ბუაძე.

მისი გარდაცვალება წარმოადგენს დიდ დანაკლისს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მეცნიერებისათვის.

განსვენებული, ჯერ კიდევ ახალგაზრდა (39 წლის) ჯანღონით სავსე, უკანასკნელ დროს მუშაობდა ჰალეს უნივერსიტეტში (პროფ. აბდერჰალდენის განთქმულ ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში), სადაც კითხულობდა ლექციებს ქიმიურ ფიზიოლოგიაში და ხელმძღვანელობდა ფერმენტული და იმუნიტეტის ლაბორატორიას.

ის აღფურვილი იყო შესანიშნავი ნიჭით და განსაცვიფრებელი ენერგიით, რაც ხშირად აღუნიშნავს მის ხელმძღვანელს პროფ. აბდერჰალდენს. მან შედარებით მოკლე დროის განმავლობაში საზღვარგარეთ გამოაქვეყნა 34 ორიგინალური ექსპერიმენტული შრომა. მისი სამეცნიერო მუშაობა ეხებოდა ცილის შენების გარკვევას, ფერმენტების გავრცელების და მათი მოქმედების ხასიათს და ბოლო დროს ტოქსინების ქიმიური შენების შესწავლას.

დღიდან მისი საზღვარგარეთ გამგზავრებისა, მას არასდროს არ შეუწყვეტია კავშირი ტფილისის სახ. უნივერსიტეტთან და მისი სურვილი ჩქარა გამომგზავრებულიყო საბჭოთა კავშირში განხორციელებასთან იმდენად ახლო იდგა, რომ მის ჩამოსვლას დღითი-დღე მოელოდნენ.

სახ. უნივერსიტეტში ის მოწვეული იყო ბიოქიმიის კათედრის და ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

მაგრამ სიკვდილმა არ მისცა მას მუშაობის დაწყების საშუალება ტფილისში“.

1935 წელს გერმანულ ჟურნალ „ფერმენტფორშუნგში“ გამოქვეყნდა ემილ აბდერჰალდენის და სევერიან ბუაძის უკანასკნელი ერთობლივი მეცნიერული შრომა. აქვე ემილ აბდერჰალდენმა გამოთქვა თავისი გულის წუხილი ქართველი მეცნიერის უდროოდ დაკარგვის გამო: „ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უეცრად გარდაიცვალა ჩემი ერთგული მოწაფე, თანამშრომელი და მეგობარი, რომლის სიცოცხლე აღსავსე იყო თავდადებული შრომით და უდიდესი მიღწევებით. გერმანულმა მეცნიერებამ მისი სახით დაკარგა ერთ-ერთი დიდი იმედების მომცემი მკვლევართაგანი. მეცნიერული გამოკვლევები, სწავლა და აზროვნება წარმოადგენდა მისი ცხოვრების არსს. დაუღალავი მოთმინებით ჰკიდებდა ის ხელს ურთულეს პრობლემებს და არ მშვიდდებოდა, სანამ არ მიაგნებდა გადაწყვეტის გზას. მან დატოვა სიცარიელე, რომლის შევსებაც ძალიან ძნელი იქნება. მის ხსოვნას ცოცხლად შეინახავს ყველა, ვისაც ხვდა ბედნიერება ჰქონოდა მასთან ახლო ურთიერთობა“.

დღეს, სევერიან ბუაძის გარდაცვალებიდან 48 წლის შემდეგ, რა უნდა თქვას ქართველმა მეცნიერმა!

ისღა დაგვრჩენია, რომ საყოველთაო მადლიერების გრძნობით მოვიგონოთ სევერიან ბუაძის ნათელი პიროვნება და სინანულით აღვნიშნოთ ის დიდი დანაკლისი, რაც საქართველოს ბიოლოგიურმა მეცნიერებამ განიცადა მისი უდროოდ დაკარგვის გამო.

„საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!“

ვ ა ჟ ა

ვაკის სასაფლაოზე, წყნეთისაკენ მიმავალი გზის პირას, ბორაკზე, ჭიჭინაძეების საძვალეა. აქ განისვენებენ ანა მაჭავარიანი და მისი სამი შვილი: თამარ, ნინო და დიმიტრი ჭიჭინაძეები. და-ძმას შუა გრანიტის პატარა ნატეხზე „ნინო“ ამოუტვიფრავთ, გვარი არ აწერია... ამავე საფლავში ჩაუტანებიათ სევერიან ბუაძის მიერ ნინოსადმი მოწერილი წერილები. ნინოს უთხოვია: სევერიანის ფიქრები და ოცნებები თან გამაყოლეთო...

ნინო ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის მიხეილ ჭიჭინაძის ოჯახში გაიზარდა. ქუთაისის „წმინდა ნინოს“ გიმნაზიის დამ-

თავრების შემდეგ ს. ბუგეულის სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. ნინო აქ საცხოვრებლად მამიდას — ეკატერინე გიორგობიანს შეეკედლა. მათ მახლობლად ცხოვრობდნენ სევერიან ბუაძის მშობლები. ნინო და სევერიანი ერთმანეთს ქუთაისიდანვე იცნობდნენ. მათ ხუთი ზაფხული გაატარეს ერთად. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ნინო ჭიჭინაძე 1916 წელს ხარკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შეუდგა სწავლას, მაგრამ ამ დროს გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა და მალე იგი იძულებული შეიქნა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამავე მიზეზის გამო ამ პერიოდში პეტროგრადიდან ჩამოვიდა სევერიან ბუაძე. ისინი ერთმანეთს უკანასკნელად 1919 წელს ქუთაისში, საფიჩხიას სასაფლაოზე შეხვდნენ.

პირველი წერილი ნინომ ბერლინიდან მიიღო...

დაიწყო ნინოს ცხოვრების სრულიად ახალი ხანა. იგი წლების მანძილზე ასწავლიდა თბილისის „წმინდა ნინოს“ ქალთა სასწავლებელში გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას. 1929 წელს ნინომ წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და აქვე პროფ. ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა. ნინო ფიზიოლოგი გახდა. მისსა და სევერიანის წერილებში ახალი თემა გამოიკვეთა: „ფიზიოლოგიური ქიმია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“; მათ მდიდარ სულიერ ცხოვრებას კიდევ ერთი ზიარი კუთხე შეემატა.

გადიოდა წლები. ნინო მწიფდებოდა როგორც მეცნიერი და პედაგოგი, ელოდა მეგობრისა და უკვე სახელოვანი მეცნიერის დაბრუნებას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაფერი მზად იყო, რომ გერმანიიდან ახლად დაბრუნებულ ქართველ მეცნიერს ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრა ჩაებარებინა.

1934 წლის მარტში ნინოსათვის ყველა და ყველაფერი დაიმსხვრა. ბატონმა ივანემ და ქალბატონმა ნინომ, მასწავლებელმა და მოწაფემ, ერთად იგლოვეს ქართველი მეცნიერისა და მეგობრის უდროოდ დაკარგვა. ნინოს მეცნიერებამ წაართვა სულის მეგობარი, ალბათ მხოლოდ მეცნიერებას შეეძლო ნაწილობრივ მაინც ენუგეშებია იგი. ასეც მოხდა. ნინო თითქმის მთლიანად გადასახლდა უნივერსიტეტში, ივანე ბერიტაშვილთან ერთად ფიზიოლოგიის კათედრაზე აღამებდა და ათენებდა. გამოაქვეყნა ათობით მეცნიერული გამოკვლევა, წარმატებით დაიცვა დისერტაცია, სახელი გაითქვა, როგორც მიმზიდველმა და მომხიბლავმა ლექტორმა...

ერთ დღეს ივანე ბერიტაშვილმა მოწიწებით სთხოვა ნინოს, რომ პირადად მას მოევლო სევერიან ბუაძისეული ბიბლიოთეკისათვის. ეს

არ იყო მისთვის იოლი საქმე, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პატრონობდა იგი კათედრის ბიბლიოთეკას.

ნინოსა და სევერიანის უბადლო მეგობრობის ისტორია მრავალ მეცნიერს აინტერესებდა. ამ სენით მეც ვიყავი შეპყრობილი. 1971 წლის მიწურულში ნინოს დისწულს, ცნობილ ბიოლოგს, პროფესორ რუსუდან ბერიძეს ვთხოვე გაეწია ჩემთვის შუამდგომლობა ნინოსთან, რათა თავისუფლად მესაუბრა მასთან „ბუაძის თემაზე". მან უკვე იცოდა, რომ მე სევერიან ბუაძეზე მასალებს ვაგროვებდი და სიამოვნებით დათანხმდა. სამწუხაროდ, იგი მალე ავად გახდა და ჩვენი შეხვედრა დიდი ხნით გადაიდო. ამასობაში 1972 წლის აგვისტო ჩამოდგა და მე ბერლინს წასვლა მომიწია. გამგზავრების წინ ნინოს შევეხმიანე, მინდოდა სცოდნოდა, რომ თბილისიდან მივემგზავრებოდი.

— ბატონო სერგი, თქვენ ალბათ ვაიმარშიც ჩახვალთ, რა თქმა უნდა, არ დაივიწყებთ, რომ ჰალე ვაიმარის გზაზე მდებარეობსო, — შემახსენა მან. მივხვდი ნინოს შეგონებას: ჰალეში სევერიანის საფლავი უნდა მენახა, მისთვის ამბავი უნდა ჩამომეტანა... ასეც მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ჩემი სამოგზაურო მარშრუტი უეცრად უკუღმა დატრიალდა. 9 აგვისტოს ბერლინის რკინიგზის სადგურზე დავეცი, მარჯვენა თვალში სათვალე შემატყდა და ჰალეში ყოფნის ნაცვლად ბერლინის თვალის კლინიკაში საოპერაციო მაგიდაზე აღმოვჩნდი. ხელცარიელი დავბრუნდი. რა უნდა მეთქვა ნინოსათვის...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ბიბლიოთეკის ახლანდელი გამგე და ნინოს ძველი მეგობარი ცაცა ცაგარეიშვილი-მელაძისა იგონებს:

— ნინო ზოგჯერ საექსპერიმენტო ოთახში კარადიდან პატარა ყუთს გამოიღებდა და რაღაც ქაღალდებს ათვალიერებდა. სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე გამენდო: სევერიანის წერილებს აქ ვინახავ და დროდადრო ვნახულობ, გიკვირს ალბათ: ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და, რა ვქნა, მაინც ამით ვცხოვრობ. ყოველი შემთხვევისათვის იცოდე, სად ინახება ეს ჩემთვის უძვირფასესი განძიო.

ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი ნინო ჭიჭინაძე 1973 წელს უნივერსიტეტში, ლექციაზე, სტუდენტებთან საუბრის დროს უეცრად გარდაიცვალა.

1977 წლის ივლისში ქ. ჰალეში მცენარეთა დიფერენცირებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა. ქართველ მეცნიერთაგან სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თენგიზ ბერიძე. მან ჩემი თხოვნით მოინახულა სევერიან ბუაძის საფლავი. სასაფლაოზე დაკრძალულ პირთა აღმნუსხველ წიგნში აღმოჩნდა, რომ სევერიან ბუაძე ჰალეს სასაფლაოზე დაუკრძა-

ლავთ 1934 წლის 3 მარტს. გერმანიაში არსებული წესის მიხედვით, ნებისმიერი საფლავი მიცვალებულის დაკრძალვიდან 30 წლის გასვლის შემდეგ გამოიყენება ახალი პირის დასასაფლავებლად.

1974 წელს, ნინოს გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, ს. ბუაძის საფლავი გაუუქმებიათ და იმავე ადგილზე სხვა პიროვნება დაუკრძალავთ. ჩვენ მხოლოდ მოგონება დაგვრჩა: ქ. ჰალეს სასაფლაო გერტრაუდეფრიდჰოფი, რომელიც უძველესი ცაცხვის ხეივნებითაა დასერილი და ადამიანთა საუკუნო განსვენების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს, 40 წლის განმავლობაში პატრონობდა ქართველი მეცნიერის ნეშტს და მცირე ზომის ქვის ჯვარს, რომელზედაც ამოკვეთილი იყო „ს. ბუაძე".

დღეს სევერიან ბუაძის ხსოვნის სიმბოლურ ადგილს საქართველოში მხოლოდ ნინოს საფლავი წარმოადგენს.

1982

მიდა

კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება,
თან დააქვს ძველის-ძველადა.

ვაჟა-ფშაველა

ოციანი წლების ბოლოსათვის უნივერსიტეტში ლექციებზე დასწრება ჯერ კიდევ არ იყო სავალდებულო და სტუდენტობა ერთმანეთს ნაკლებად იცნობდა. მიუხედავად ამისა, პირველი კურსის სტუდენტებმა, მე და თეოფანე დავითაიამ ერთმანეთი მალე მოვნახეთ. ერთსა და იმავე ლექციებს ვესწრებოდით და მეცადინეობის შემდეგ ხშირად ვსაუბრობდით. მეორე კურსზე ჩვენი ინტერესები ნაწილობრივ ერთმანეთს დასცილდა: მე ქიმიისაკენ გამიწია გულმა, მან კი თავის სათაყვანებელ კერპად ფიზიკა გაიხადა. ჩვენ მაინც ახლო ამხანაგებად დავრჩით. გვიყვარდა ერთმანეთთან ყოფნა და მომავალზე ერთად ოცნება, ხშირად ვკამათობდით კიდეც. მე მასზე რამდენიმე თვით უფროსი ვიყავი და როდესაც პაექრობა გამიჭირდებოდა, მოვითხოვდი, რომ იგი, როგორც უმცროსი, დამმორჩილებოდა. უნდა გენახათ მისი აღტაცება ამ დროს!

უმაღლესის წლებმა სწრაფად გაირბინა და 1932 წელს ორივემ საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ამოვყავით თავი. პროფესორ სოლომონ ჩოლოყაშვილის რჩევით, იგი მალე ლენინგრადს გაემგზავრა კლიმატოლოგიაში მოსამზადებლად. ჩაირიცხა საკავშირო მემცენარეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში და აქედან დაიწყო მისი ხანგრძლივი

მოღვაწეობა რუსეთში. იმდროინდელ ჩვენს მიწერ-მოწერას კვლავ დაჰკრავდა ჭაბუკური სიფიცხის ელფერი.

დადგა მოწიფულობის პერიოდი და ორივენი საპასუხისმგებლო პოსტებზე აღმოვჩნდით, ერთმანეთის მიღწევებით ვხარობდით. ათეულმა წლებმა განვლო და შევეგუეთ იმ აზრს, რომ იგი სამუდამოდ დასახლდა რუსეთში. საქართველოში გადმოსვლაზე მტკიცე უარს ამბობდა ხოლმე: მე ჩემი საბოლოო ადგილ-სამყოფელი უკვე მოვნახეო.

ომის მთელი ქარცეცხლი მასაც დაატყდა; მოქმედ არმიაში მსახურობდა. ომის დამთავრების პირველ წლისთავზე, პირველ მაისს, ლენინგრადში სამი მეგობარი ვესტუმრეთ. ჩემთან ერთად გიორგი სეხნიაშვილი და გიორგი ბერიძე იყვნენ. საოცრად გაიხარა, აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი აღტაცება. ნაჭრილობევი ლენინგრადი და პეტერჰოფი მოგვატარა, ათასი ადგილი გვიჩვენა და ათას ამბავს მოგვიყვა. წამოსვლის წინ დავიმარტოხელე და ისევ ძველ მტკივნეულ ადგილს შევეხე, იქნებ ახლა მაინც გადმოხვიდოდი საქართველოში სამუშაოდ-მეთქი. გულდასმით მომისმინა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მხოლოდ ორი სიტყვით მიპასუხა:

— აბა, სად?

მივხვდი, რომ ახლა მეტის თქმა აღარ იყო საჭირო, ყინული უკვე დაძრულიყო.

სამი წლის შემდეგ, ზაფხულში თეოფანე თელავში ჩამოვიდა. რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს მოაშურა და შემოსვლისთანავე განმიცხადა.

— სიტყვა მეცნიერებაზე არ გამაგონო. ახლავე სადმე შორს წამიყვანე, საირმიდან მოვდივარ, ისეთ განწყობილებაზე ვარ, ჩემს თავს ვერ ვცნობო.

მივხვდი, ჩემს სიყრმის მეგობარს სევდა შემოპარვოდა და ბუნების წიაღში განმარტოება სურდა. მისი შინაგანი ბუნება ჩემთვის კარგად იყო ცნობილი და სასწრაფოდ საბუეს თავზე ყადორის გადასასვლელისკენ გავაქანე. გზაში ხმა არ ამოუღია. თამარის ციხის თუ ეკლესიის ძირას მოვკალათდით. ჩვენს ირგვლივ ზღაპრული სანახაობა იყო. ალაზნის ველს „მწუხრის ზეწარი" გადაფარებოდა, გარშემო კაკოს გაუვალი ტყე გვერტყა, ხელმარჯვნივ ხევში მთის მდინარე გაბმული ღრიალით მოედინებოდა. ჩრდილოეთის მხრიდან ალპური საძოვრები დაგვყურებდა თავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ცხვრის გაუთავებელი ფარები ამ საძოვრებიდან ძირს, ბარისაკენ მოცურავდნენ. თეოფანე დაიბნა, აღარ იცოდა, ბუნების რომელ საოცრებაზე შეეჩერებინა თვალი. მალე ძაღლების ყეფამ გამოგვაფხიზლა. მწყემსები მოგვიახლოვდნენ, გვთხოვეს მანქანა გზიდან გადაგვეყენებინა; ცხვარი

ვიწრო გზაზე თავისუფლად ვერ გაივლის და აბა შირაქში როდის ჩავაღწევთო. თეოფანემ გზა უხმოდ დატოვა და მოშორებით ერთი დიდი ხის ქვეშ ჩაიმუხლა. მეც მას მივყევი. მწყემსები თვალს მიეფარნენ.

ნეტავ რაიმე დასალევი წამოგვეღოო, — ინატრა თეოფანემ.

მე ჩემს დიდი ხნის მეგობარს მიხეილ ტატიშვილს თვალით ვანიშნე. რამდენიმე წუთში სტუმრის წინ სუფრა გაიშალა. ის იყო პირველი ჭიქა უნდა შეგვესვა, რომ თავზე სარქალი დაგვადგა.

— ბატონო სერგო, ეს რა გიკადრებიათ, მიშასაგან გავიგეთ, რომ რუსეთიდან მეგობარი ჩამოგსვლიათ, ჩვენ იქ უკვე ვემზადებით, თქვენ აქ უჩვენოდ გინდათ პური გატეხოთ? თქვენ ხომ ჩვენი ადათი კარგად მოგეხსენებათ: ეს არ გეპატიებათო.

ერეკლე ბექურაულს მე კარგად ვიცნობდი, მასთან ერთად ყოფნა ყოველთვის საინტერესო იყო. პურ-მარილი შევაერთეთ და სუფრას შემოვუსხედით. ურთიერთობა მალე ლაღი და თავისუფალი გახდა. ჩვენი საერთო ტრაპეზი სულ ერთ საათამდე გაგრძელდა, მაგრამ მან ჩემი ლენინგრადელი ქართველი ძირფესვიანად შეძრა. ილიას, აკაკისა და ვაჟას შვილების სამშობლოსადმი სიყვარული პირველყოფილი სიწმინდით იღვრებოდა სუფრასთან. მწყემსებმა დაწვრილებით გაიგეს ჩვენი სტუმრის ვინაობა და მისი სადღეგრძელო მოწიწებით შესვეს. მხცოვანმა თუშმა ძია ნიკამ ცოტა მოგვიანებით იკითხა:

— მთიან სამეგრელოში სისხლის აღების ადათი ხომ არ არის, ბატონ თეოფანეს ისეთი რა დანაშაული აქვს, რომ ასე დიდი ხნით მოშორებია თავის კერასო.

რვა მწყემსმა დაულოცა თეოფანეს მომავალი, ქართველ ქალზე დაქორწინება უსურვეს. დაუთქვეს, რომ ყოველ წელს, სწორედ ამ დროს, მასა და მის მეუღლეს აქ შეხვდებოდნენ. ვიდრე ცხვარი იარსებებს, მეცხვარეები მთიდან ბარისაკენ ამ გზით ივლიანო.

თელავში ღამით დავბრუნდით. თეოფანემ მთხოვა ერთი ჭიქა ჩაი დამალევინეო. დიდხანს ვერ დავწექით. მრავალი რამ გავიხსენეთ; მას განსაკუთრებით სტუდენტობის პერიოდის ამბების მოგონება უყვარდა. თვალწინ მიდგას, თუ როგორ არიგებდი, როგორც „სტუდენტთა მთავრობის“ კაცი, უფასო სადილების ტალონებს და ორივენი შემდეგ რა სიხარულით შევექცეოდით ამ სადილებს სტუდენტთა სასადილოში. რა „წარჩინებულნი“ გავხდით, როდესაც ორივემ არასავალდებულო საგნები — გეოდეზია და უმაღლესი მათემატიკის შესავალი ჩავაბარეთ. პროფესორების ანდრია ბენაშვილისა და იასონ მოსეშვილის ლექციები თუ როდესმე დაგავიწყდებაო...

მეორე დღეს გვიან ავდექით. ინსტიტუტში წამოსვლა არ მოინდომა, ვაზისუბანში გავემგზავრეთ. აქ იოფანე ადრეც ყოფილიყო და ეს

ადგილი ძალიან მოსწონდა. ახლა გამოღმა მხრიდან შესცქეროდა ალაზნის ველს და კავკასიონის სილამაზით ტკბებოდა.

სოფელს გავშორდით და ცივ-გომბორის კალთებისაკენ გავსწიეთ. კარგახანს ვიარეთ. დაბრუნებისას ძველი ეკლესიის ეზოში მოისურვა დასვენება, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის ამბებს მაამბობინებდა. საცდელ სადგურში საღამომდე დავრჩით. მე ყველა თხოვნას უსიტყვოდ ვასრულებდი. ვგრძნობდი, რომ მის ვაქკაცურსა და შემტევ ბუნებას რაღაც უჩვეულო განწყობა შეპარვოდა. საღამოს, როდესაც ნადიკვარზე ვისხედით და ახლა წყვდიადში ჩაფლულ ალაზნის ველს უცქეროდა, ვთხოვე:

— ეს რა მეგობრობაა, მითხარი რა დაგემართა, სხვა კაცი მგონიხარ. იქნებ რამეში შეგეშველო-მეთქი.

ნაღვლიანად მიპასუხა:

— გვიანღაა. ეტყობა რაღაც ისეთი დავკარგე, რასაც ვეღარასოდეს დავიბრუნებ, მაგრამ ჩემს გულისტკივილს მაინც გაგიზიარებ: მე აქ საირმიდან ჩამოვედი. შენ კარგად იცი, როგორ მიყვარს ხეტიალი. რკინიგზის სადგურიდან საირმისაკენ ფეხით გავწიე. ოდნავ ცრიდა და მეგონა მალე გადაიღებდა. მაიაკოვსკის მუზეუმიდან რამდენიმე კილომეტრი მექნებოდა გავლილი, რომ ცამ პირი გახსნა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ძლიერმა წვიმამ ისეთ ადგილზე მომისწრო, რომ ახლომახლო მოსახლე არ ჩანდა. ფეხს ავუჩქარე, მაგრამ სად გაასწრებ! რამდენიმე წუთში გასაწური გავხდი. მესმის, ვიღაც მეძახის: ბატონო, აქეთ მობრძანდით, აქ ჩვენთან შეაფარეთ თავიო. გზის პირას კლდის ქიმი გადმოწეულიყო და ორი მგზავრი მის ქვეშ მოკალათებულიყო. მეორედ მიპატიჟება არ დამჭირვებია, მეც მათთან ერთად მოვიფრთხენი მიწაზე. ჩვენს შორის მალე გაიბა საუბარი. ერთი ჩემსავით დასასვენებლად მიდიოდა, მეორეს კი ღვინო მიჰქონდა გასაყიდად. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც საშველი აღარსაიდან გამოჩნდა და ზესკნელი ინგრეოდა, ღვინის პატრონმა თხოვნით მოგვმართა:

— ბატონებო, სახლიდან პატარა საგზალი მაქვს წამოღებული — მუადი, ყველი, მწვანილი, ღვინოც აგერაა და იქნებ ცოტა წაგვეხემსა. დიდი პატიჟი არ დაგვჭირვებია. ახლად გაცნობილი მგზავრის პურ-მარილს ხალისით შევექეცით. ღვინო ნელ-ნელა შემოგვეპარა, ჯერ გაგვათბო, მერე გაგვახურა და ბოლოს აგვამეტყველა კიდეც. მალე ღიღინიც დავიწყეთ. ახლა სამივენი ვთამადობდით. დაგვავიწყდა, რომ ეს ღვინო საირმის დამსვენებლებისათვის იყო განკუთვნილი. როცა კარგად შებინდდა და წვიმა კი კვლავინდებურად ასხამდა, ღვინის ყოფილმა პატრონმა ხვეწნით მოგვმართა:

— მეზობლებო და საყვარელო მეგობრებო, მოდით გავიჭირვოთ და ერთი სამი კილომეტრი გავიაროთ. ჩემი სახლი გზის პირასაა. ღვინოც ბევრი მაქვს და პურიც. კარგა თბილადაც მოგასვენებთ. თუ ხვალ დილას კარგი ამინდი იქნება, ხომ კარგი, სამივე გავემგზავრებით საირმეს, და თუ არა, ჯანდაბას ეშმაკის თავ-ფეხი, ჩვენც მანამდე ვიქეიფოთ, ვიდრე ამ ქვეყნად მზე არ გამოგვეცხადებაო.

წინადადებას კენჭისყრა არ დასჭირვებია. სულ მალე მივადექით ჩვენი მასპინძლის სახლს. შესანიშნავად მიგვიღეს და საუკეთესოდ მოგვასვენეს. დილით ჩვენი ტანსაცმელი წესრიგში მოყვანილი დაგვხვდა. საუზმის შემდეგ ჩვენი მასპინძელი საირმეში აღარ წამოგვყვა, დღეს საქმეები მაქვსო. დავემშვიდობეთ ოჯახის ყველა წევრს და, როდესაც ოჯახის მეთაურმა ეზოს კარამდე მიგვაცილა, გვერდზე გამოვიხმე და ჯიბეში ფული ჩავუდე. მან დიდი ხარჯი გასწია და მინდოდა ნაწილი მაინც გადამეხადა. მასპინძელი უეცრად თითქოს გაქვავდაო, არ განძრეულა, არც ფული ამოუღია ჯიბიდან. სახეზე რაღაც ჩრდილმა გადაუარა და ცივი ხმით მკითხა:

— რამდენი წელია, რაც საქართველოდან წახვედი. ასე როგორ დაგავიწყდა ყველაფერი, სისხლი ასე რამ გაგიცივაო!

ფული დამიბრუნა. ჯიბიდან თამბაქოს ქისა ამოიღო, გადმოაპირქვავა. იქვე ერთი მუჭა მიწა აიღო, ქისაში ჩაყარა და მომაწოდა.

— ვიდრე ჩვენს დიდ მიწას დაუბრუნდები, მანამდე ეს მაინც ატარეო. შემდეგ ჩემი ზურგჩანთა მხარზე გადაიკიდა და იმ კლდემდე მიმაცილა, რომლის ძირშიც გუშინ ერთმანეთი გავიცანით. განშორებისას დამაფიცა, თუ ამ მხარეში კიდევ მოვხვდებოდი, აუცილებლად მისი ოჯახის სტუმარი გავმხდარიყავი.

თეოფანემ პორტფელი გახსნა, ფერადი ნაჭრებისაგან შეკერილი მიწით სავსე ქისა მაჩვენა და განაგრძო:

— თოთხმეტი დღე დავრჩი საირმეში და ეს ჩემი შეცდომა ვერაფრით ვერ მოვინელე. შენ კიდევ ამ შენი მწყემსებით ცეცხლზე ნავთი დამისხი. ისინიც ხომ იმავე ფესვებზე მაჭერდნენ ფეხს, რაც მაიაკოვსკელმა კოლმეურნემ გამიშიშვლა. — სერგი, მეგობრულად გამარკვიე, განა მე რომ საქართველოს გარეთ ვმუშაობ, ქართულ საქმესაც არ ვაკეთებ? იქ არ დავწერე გამოკვლევა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის კლიმატურ ზონებზე?

თეოფანე აღელვებული იყო და საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მისთვის უჩვეულო მდგომარეობიდან გამოვიდა, შევთანხმდით, როდესაც დადგებოდა შესაფერი

მომენტი, საქართველოში გადმოვიდოდა სამუშაოდ და მთელი საბჭოთა კავშირის აგროკლიმატოლოგიას აქედან მოემსახურებოდა.

გავიდა წლები და მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება თეოფანეს აქ გადმოსვლაში აქტიური მონაწილეობა მიმეღო.

1960 წლის 31 დეკემბერს თეოფანე ფარნას ძე დავითაია არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი სათავეში ჩაუდგა გეოგრაფიის ინსტიტუტს და საქართველოს აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას. ცხრამეტი წლის განმავლობაში საქართველოდან ემსახურებოდა იგი მთელს საბჭოთა მეცნიერებას.

1979 წლის 29 ივნისს თეოფანე უდროოდ გამოეცალა თავის საყვარელ საქართველოს.

უკანასკნელ წუთს, როდესაც ნათესავები, მეგობრები, მოწაფეები, მადლიერი ქართველი ერი მწუხარებით ეთხოვებოდა თეოფანეს, რუსმა მეცნიერებმა, ნიშნად დიდი დაფასებისა და პატივისცემისა, სამუდამო სამყოფელში მისთვის საყვარელი ლენინგრადის მიწაც ჩაატანეს.

1980

მოულოდნელი დაბრკოლება

1960 წლის დასაწყისში აკადემია არჩევნებისათვის მზადებას შეუდგა. აკადემიის ასალი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო აკადემიის ცხოვრებაში და მუდამ ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა. იმხანადაც შეიქნა დიდი ორომტრიალი, ვინ არ მოდიოდა პრეზიდენტთან, რა სპეციალობებს არ სთავაზობდნენ, ვის არ ასახელებდნენ! აშკარად იგრძნობოდა, რომ აკადემიის შევსება მთელი ჩვენი ხალხის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული.

არჩევნების პრაქტიკული ხელმძღვანელობა მე მქონდა მონდობილი. ამიტომ ბატონი ნიკო არჩევნებთან დაკავშირებულ ყოველ კორესპონდენციას მე მიგზავნიდა და ამა თუ იმ კანდიდატზე სხვადასხვა პირთა შეხედულებებსაც მაცნობდა.

აკადემიის წესდების მიხედვით, არჩევნების ერთ-ერთ ეტაპზე ასარჩევი კანდიდატების სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა აკადემიის შესაბამისი სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე განიხილება. აკადემიის პრეზიდიუმი მხოლოდ ამის შემდეგ იხილავს მას.

ერთ დღეს, როდესაც მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების წინასაარჩევნო სხდომა მიმდინარეობდა, ამ

სხდომაზე სრულიად მოულოდნელად მეც მიმიწვიეს. განყოფილების აკადემიკოს-მდივანი მაშინ ალექსანდრე ჯანელიძე ბრძანდებოდა. განყოფილების წევრები იყვნენ ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, გიორგი ძოწენიძე, ევგენი ხარაძე, ვიქტორ კუპრაძე, პეტრე გამყრელიძე, ელეფთერ ანდრონიკაშვილი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. განყოფილებაში შეეედი თუ არა, ვიგრძენი, რომ აქ ცხარე კამათი უნდა ყოფილიყო; ზოგიერთი აკადემიკოსი აღგზნებული ჩანდა.

— ბატონო სერგი, — მომმართა თავმჯდომარემ, — ბოდიშს ვიხდით, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ აქ მსჯელობა გაიმართა ერთი საკითხის გამო: თეოფანე დავითაია წამოყენებულია ნამდვილი წევრობის კანდიდატად; ჩვენ კარგად ვერ გავერკვიეთ, რატომ უნდა ავირჩიოთ იგი პირდაპირ წევრად და არა ჯერ წევრ-კორესპონდენტად. ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ თქვენ კარგად იცნობთ მის საქმიანობას და შეგიძლიათ დაგვეხმაროთ საკითხის გადაწყვეტაში.

ასეთ კითხვას სრულებით არ მოველოდი და პასუხი დამიგვიანდა. ჩემი მდგომარეობის უჩვეულობა ვიქტორ კუპრაძემ სწრაფად შეაფასა და კითხვა გამიმეორა:

— აქ ბატონმა გიორგი ძოწენიძემ მოგვახსენა, რომ თქვენ თეოფანე დავითაიას მეგობარი ხართ და შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოტივით არის იგი წამოყენებული პირდაპირ აკადემიის ნამდვილ წევრად. მისი შრომების სია საკმაოდ დიდია, რეცენზიებიც კარგია, მაგრამ ჩვენ შორის მას, როგორც მეცნიერს, საფუძვლიანად არავინ იცნობს, რადგანაც იგი სულ სხვა დარგის მკვლევარია. გვითხარით, რაც იცით მასზე, როგორც მენციერზე.

— სერგი, დაივიწყე ის გარემოება, რომ ის შენი ძველი მეგობარია და განყოფილებას თეოფანე დავითაია ობიექტურად დაუხასიათე, — მომმართა გიორგი ძოწენიძემ.

მე უკვე გავერკვიე საქმის ვითარებაში და მივხვდი, რას მოითხოვდნენ ჩემგან. ყოველივე ძალიან მოკლედ, მაგრამ, როგორც შემდეგ თქვეს, დამაჯერებლად მოვახსენე. როდესაც სიტყვა დავამთავრე, ალექსანდრე ჯანელიძემ კვლავ დამისვა კითხვა:

— თქვენ, ბატონო სერგი, შესანიშნავად გადმოგვეცით ბატონი თეოფანეს ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ არ გვითხარით, თუ თქვენ რა აზრის ბრძანდებით, რას გვირჩევთ — წევრად ავირჩიოთ იგი თუ წევრ-კორესპონდენტად.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ყველას მოგეხსენებათ, რომ მე გეოგრაფი არა ვარ. აბა მე როგორ შემიძლია თქვენს შეკითხვაზე ავტორიტეტული პასუხის გაგცეთ. ეს ხომ დარგის მცოდნეების საქმეა, რეცენზენტების უშუალო მოვალეობაა. როგორც მახსოვს, დავითაიას

პირად საქმეში ცნობილი მეცნიერის, გეოგრაფის, პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის წარდგინებაც არის. სწორედ ის მოითხოვს დავითაიას პირდაპირ წევრად არჩევას. აქ, ალბათ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილის დიდი სურვილია გეოგრაფიის ინსტიტუტის მომავალი ბედ-იღბალი თეოფანე დავითაიას მიანდოს.

სიტყვა ვიქტორ კუპრაძემ ითხოვა.

— ბატონებო, სერგის მოწოდებულმა ცნობებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე უკვე აღტაცებული ვარ თეოფანე დავითაიას პიროვნებით, დაინტერესებული მისი ბიოგრაფიით, კვლევის მიმართულებებით, მოპოვებული შედეგებით. ჩემი წინადადებაა, რომ დავტოვოთ იგი ასარჩევ წევრთა სიაში.

სიჩუმე ჩამოვარდა. ამით ვისარგებლე და თავმჯდომარეს ვთხოვე, ნება დაერთო სხდომა დამეტოვებინა. ბატონმა ალექსანდრემ ერთხელ კიდევ მომიხადა ბოდიში, მადლობა გადამიხადა და დამემშვიდობა.

გაოგნებული დავბრუნდი ჩემს სამუშაო ოთახში. ვღელავდი, უჩვეულოდ ვღელავდი. მოვიქეცი კი სწორად, რომ ჩემი აზრი პირდაპირ, გულახდილად არ განვაცხადე?! რატომ არ ვთქვი, რომ იგი უეჭველად ნამდვილ წევრად უნდა იქნეს არჩეული?! ასეთ მწარე ფიქრებში ვიყავი, როდესაც ოთახში ბატონი ნიკო შემოვიდა და მომმართა:

— შენ თუ იცი, დღეს რომ ბეწვის ხიდზე გაიარე; ხომ იცნობ ჩვენს თანამშრომლებს. ზოგიერთ მათგანს არ უყვარს, როდესაც ვინმე ჭკუას ასწავლის. სხდომაც რომ დროულად დატოვე! შენს მოსვლამდე ზოგიერთი ამტკიცებდა: აი, ნახავთ, ამოვა დურმიშიძე და დაგვიწყებს მტკიცებას: დიდ დანაშაულს ჩაიდენთ ერის წინაშე, თუ დავითაიას პირდაპირ წევრად არ აირჩევთო! ახალგაზრდა კაცი ხარ და დღევანდელი დღე დაიხსომე, ტაქტის გრძნობას ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შენ რომ დღეს გრძნობებს აყოლოდი, შეიძლება აკადემიას ერთი წევრი დაეკარგა. შენ ხომ ჩემი წინადადებით მოგიწვიეს და შენს მოქმედებაზე პასუხს მეც ვაგებდი. მე მომწონს დავითაია, ნათელი აზროვნების, ენერგიით სავსე, ფართო მისწრაფებების კაცი ჩანს. მე მგონია, ყველაფერში გაგვიმართლებს.

შვებით ამოვისუნთქე, დავწყნარდი. ამ დროს თეოფანე თბილისში იყო, მაგრამ მისთვის, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს.

რამდენიმე კვირაში განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებისაგან ოფიციალურად მივიღეთ ასარჩევი კანდიდატების სიები. მხოლოდ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილება აგვიანებდა. მივმართე ბატონ ალექსანდრეს... პასუხმა გამაოცა:

— ბატონო სერგი, არ გეწყინოთ და დავითაიას საკითხში ერთსულოვნება ჯერ კიდევ არ არის. უმჯობესი იქნება, ცოტა კიდევ დავიცადოთ და ყველაფერი წესისამებრ მოგვარდება.

დრო კიდევ ითმენდა და მე ამის შესახებ პრეზიდენტისათვის არაფერი მითქვამს. ერთი კვირის შემდეგ გავიგე ალექსანდრე ჯანელიძე ურولოგიის ინსტიტუტში საოპერაციოდ დაწოლილიყო. ახლა უკვე პრეზიდენტს მივმართე. მისი რჩევით, წავედი ურولოგიის ინსტიტუტში და ბატონ ალექსანდრეს ვთხოვე ასარჩევთა მთლიან სიაზე მაინც მოეცა თავისი ვიზა. უარი მითხრა, ხელი სიაზე არ მომიწერა... აღარ ვიცოდი, რა მექნა. პრეზიდენტს ბატონი ალექსანდრეს უარი ძალიან გაუკვირდა; ჩვენი განყოფილება ხალხმრავალია და ორი-სამი კაცის დაჟინება არ უნდა წყვეტდეს საკითხსო! მთავარია სწორი მოქმედება და არა ფორმალური ნებართვა. ნება მომცა, რომ განყოფილების აკადემიკოს-მდივნის უნებართვოდ გამომექვეყნებინა გაზეთში სათანადო მასალა იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო და რასაც ჩვენ სრულიად სწორად ვთვლიდით.

ასეც გავაკეთეთ. თეოფანე დავითაია აკადემიის საერთო კრების მიერ ერთხმად იქნა არჩეული აკადემიის ნამდვილ წევრად.

გავიდა დრო და თეოფანე აკადემიის აქტიური წევრი გახდა. ბატონი ნიკო ზოგჯერ ხუმრობით შემახსენებდა ხოლმე მისი „უნებართვოდ“ არჩევის ამბავს.

ერთხელ, როდესაც გეოგრაფიის ინსტიტუტი მორიგ წარმატებას ზეიმობდა, ბატონმა ნიკომ მკითხა:

— მართლა, სულ მინდა გკითხო და მავიწყდება, „ნებართვის“ ამბავი თეოფანე დავითაიამ თუ იცის, თუ მოუყევი?

— არაფერი არ იცის, ბატონო ნიკო. მეტად თავმოყვარე კაცია და ავარიდე წყენა.

— იქნებ დამალვაც არ ღირდეს. ჩემი აზრით, სჯობია, რომ კაცმა ყველაფერი იცოდეს. ბოლოს და ბოლოს, აქ რაა საწყენი. ხომ შეიძლება ადამიანებს სხვადასხვა აზრი ჰქონდეთ. მათ ზურგს უკან ხომ არ უმოქმედიათ, მსჯელობისას თავიანთი აზრი გამოთქვეს. მე პირადად შენს ადგილზე რომ ვიყო, თეოფანეს ახლა მაინც ყველაფერს დაწვრილებით ვუამბობდი.

1981

რუს ბიოქიმიკოსებთან

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავის საიუბილეო დღეებში, როდესაც საქვეყნოდ აღვნიშნავთ მეცნიერების ყველა დარგის უმაგალითო განვითარებას მოძმე რესპუბლიკებში, გვინდა მად-

ლიერების გრძნობით გავიხსენოთ სახელმოხვეჭილი მეცნიერები: ა. ბახი, ვ. პალადინი, დ. პრიანიშნიკოვი, ვ. ბუტკევიჩი, ს. კოსტიჩევი, ა. ოპარინი, ვ. ენგელგარტი, ა. კურსანოვი, ვ. კრეტოვიჩი და სხვ., რომელთა თავდადებულმა შრომამ, პირადმა მაგალითმა და მეცნიერულმა მიღწევებმა მრავალმხრივ განაპირობა ბიოქიმიის თანამედროვე მეცნიერული დონე საბჭოთა კავშირში.

1939 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა მიმავლინა მოსკოვს, კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგროქიმიის კათედრაზე, კვლევის ახალი მეთოდების შესასწავლად. პირველი რუსი მეცნიერი, რომლის ლაბორატორიაშიც მოვხვდი სამუშაოდ, დიმიტრი ნიკოლოზის ძე პრიანიშნიკოვი იყო.

საბჭოთა აგროქიმიური სკოლის მეთაურს დ. პრიანიშნიკოვს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყველა რესპუბლიკასთან; რომელი მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენელს არ ნახავდით მის ლაბორატორიაში... დ. პრიანიშნიკოვის ექსპერიმენტული ხელოვნება დიდ ზეგავლენას ახდენდა მცენარეთა ბიოქიმიის განვითარებაზე საბჭოთა კავშირში. მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ ფიზიოლოგები, აგროქიმიკოსები, ბიოქიმიკოსები, ორგანიკოსები და სხვა მეცნიერული დარგების წარმომადგენლები. როგორც ამბობდნენ, პრიანიშნიკოვის ლაბორატორია ისეთი „საკვები ხსნარი“ იყო, რომელშიაც თითოეული ისე იზრდებოდა, როგორც მას მოსწონდა.

დ. პრიანიშნიკოვი ქართველებს დიდი პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდა. იგი ძველი მეგობარი იყო ოდესის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის პ. მელიქიშვილისა. ალბათ, ამ მეგობრობის მადლსაც უნდა მიეწეროს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პირველი ლექტორი აგროქიმიაში პ. მელიქიშვილი იყო. დ. პრიანიშნიკოვი განსაკუთრებული სითბოთი იგონებდა პ. მელიქიშვილის მოწაფეს, შემდგომში მსოფლიოში ცნობილ აგროქიმიკოსს შ. ცინცაძეს, რომელიც მასთან 1924—1925 წწ. მუშაობდა. კათედრაზე ჰყვებოდნენ: ყველა თანამშრომელს სავეგეტაციო ცდებისათვის განსაზღვრული რაოდენობის ჭურჭელი ჰქონდა, შალვა ცინცაძის ცდებში კი ქილების რაოდენობა თანდათან მატულობდა და მატულობდა. თუ სადმე თავისუფალ ქილას შეამჩნევდა, თურმე, იმავე ღამეს მასში ცდას დააყენებდა, დილით კი გამწარებული პატრონი თავის ჭურჭელს ამაოდ ეძებდა. „ვინ იცის, იქნებ ნაქურდალი ქილებია უფრო იღბლიანი და შალვამაც მათში დაამუშავა თავისი საკვები ნარევი“, — ხუმრობდა კათედრის პროფესორი ა. გოლუბევი. დანაშაული მისთვის ადრევე ეპატიებინათ და ახლა სხვა საკვებ ხსნარებთან ერთად „ცინცაძის ნარევებსაც“ ფართოდ იყენებდნენ.

დ. პრიანიშნიკოვი, როგორც მეცნიერი და პიროვნება, მეტად მიმზიდველი გახლდათ. იგი ყოველთვის და ყველაფერში მტკიცე, პრინციპული იყო; საკმარისია მოვიგონოთ მისი უკომპრომისო დამოკიდებულება ვ. ვილიამსისა და ტ. ლისენკოს შეხედულებებისადმი.

1939 წ. კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიაში ხშირად იმართებოდა მოხსენებები სადავო საკითხებზე. ერთხელ აქ მოხსენებით გამოვიდა ტ. ლისენკო. მოხსენების შემდეგ დიდი კამათი გაიმართა. განსაკუთრებით გამწვავდა პაექრობა ი. პრეზენტსა და ა. ჟებრაკს შორის. მსმენელთა დიდი ნაწილი ყველაფერს ზედმეტი ემოციურობით აღიქვამდა. დარბაზი ღელავდა. მრავალი ჩვენთაგანისათვის ბევრი რამ გაუგებარი იყო, გვაკვირვებდა ზოგიერთი გამოჩენილი მეცნიერის შეუფერებელი პოზიცია.

დისკუსიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები დ. პრიანიშნიკოვს შემოეხვივნენ და ჰკითხეს, თუ რა შეხედულებისა იყო იმდღევანდელ პაექრობაზე. მან დინჯად განაცხადა: ჩვენი უბედურება ის არის, რომ ტროფიმ დენისის ძე ახლა ეცნობა იმ ლიტერატურას, რაც ჩვენ ადრე, ახალგაზრდობის დროს, უკვე ვიცოდით; ყოველ ასაკს მისთვის შესაფერისი განსწავლულობა შეესატყვისება.

დ. პრიანიშნიკოვი დიდ მნიშვნელობას აძლევდა თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას, შეთავსებას. იგი ყოველთვის მისდევდა ცნობილ დევიზს: „არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი პრაქტიკისათვის, ვიდრე კარგი თეორია“. ამისი საუკეთესო ილუსტრაცია იყო ყოველივე ის, რაც 1939 წელს დ. პრიანიშნიკოვის მეცნიერული მოღვაწეობისადმი მიძღვნილ იუბილეზე მოვისმინეთ.

დ. პრიანიშნიკოვს თავის მასწავლებლად თვლიდნენ ბოტანიკოსები და ფიზიოლოგები, აგროქიმიკოსები და ნიადაგმცოდნეები, ბიოქიმიკოსები და ორგანიკოსები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები. ბევრი ჩვენთაგანი გააკვირვა დ. პრიანიშნიკოვის საბოლოო სიტყვაში ნათქვამმა: მე ბოტანიკოსი ვიყავი და ბოტანიკოსად დავრჩები, ამ სიტყვის ფართო გაგებითო. ამით მან კარგად მიგვანიშნა, რომ ყველა მის კვლევაში მთავარი მაინც მცენარე იყო.

დ. პრიანიშნიკოვისა და მისი მოწაფეების უშუალო მონაწილეობითა და გავლენით განვითარდა საქართველოში აგროქიმია.

მცენარეთა აზოტოვანი ცვლის ბიოქიმიურ შესწავლას საფუძვლად უდევს დ. პრიანიშნიკოვის კლასიკური შრომები აზოტის ასიმილაციაზე. მის ბიოქიმიურ ნაშრომებში გამოკვლეულია ასპარაგინისა და გლუტამინის მჟავების ბიოსინთეზი მცენარეებში, დადგენილია კავშირი ნახშირწყლებისა და ცილების მეტაბოლიზმს შორის.

დ. პრიანიშნიკოვის შრომები, მისი ექსპერიმენტული მიდგომა და ხელოვნება კვლავაც დიდ გავლენას ახდენს ბიოქიმიის განვითარებაზე მთელ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში.

1939 წელს კ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრას განაგებდა გამოჩენილი ბიოქიმიკოსი ვლადიმერ სტეფანეს ძე ბუტკევიჩი. ამავე კათედრაზე მუშაობდა ახალგაზრდა მიკრობიოლოგი მ. ფედოროვი. მე დროდადრო მ.სთანაც მიხდებოდა მუშაობა მცენარეების სტერილურ პირობებში გასაზრდელად.

ერთხელ, გვიან, ღამით, მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში შემოვიდა ხანში შესული კაცი და რაღაც რეაქტივს დაუწყო ძებნა. მე იგი ტექნიკურ მუშაკად მივიჩნიე (იმ დროს კათედრაზე ჯერ კიდევ მუშაობდნენ ძველ პროფესორებთან შეზრდილი ხნიერი ლაბორანტები). როდესაც უცნობმა „ტექნიკოსმა“ შეიტყო, რომ მე საქართველოდან ვიყავი, დაინტერესდა და რამდენიმე შეკითხვა მომცა. განსაკუთრებით ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ მე დენდროლოგ სოლომონ ქურდიანს ვიცნობდი. მიამბო ნოვოალექსანდრიის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტში მათი ერთად მუშაობისა და დიდი მეგობრობის შესახებ. ბოლოს ჩემი მეცნიერული მიზნებითაც დაინტერესდა. მეც მოკლედ ვუამბე, თუ რას ვსწავლობდით თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე ს. კოსტიჩევის მოწაფის, ვარლამ ღვალაძის ხელმძღვანელობით და ახალგაზრდული აღტაცებით დავამთავრე:

— მალე ჩვენ ექსპერიმენტულად დავამტკიცებთ, რომ ბუტკევიჩის შეხედულება ლიმონის მჟავას წარმოქმნის ქიმიზმზე არ არის სწორი!

მოხუცმა მადლობა გადამიხადა და გამომემშვიდობა. მეორე დღეს გავიგე, რომ ჩემი ახალი ნაცნობი „ტექნიკოსი“ თვითონ იყო ვლადიმერ სტეფანეს ძე ბუტკევიჩი...

ვ. ბუტკევიჩის მრავალმხრივი გამოკვლევებიდან ქართველი ბიოქიმიკოსებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შრომებს ლიმონის, მჟაუნმჟავას, ფუმარის, გლუკურონის, ქარვისა და სხვა მჟავების წარმოქმნაზე. ბუტკევიჩის შეხედულებები დიდად დაეხმარა ქართველ მკვლევარებს სხვადასხვა ნაერთის შუალედური გარდაქმნების შესწავლაში. ს. კოსტიჩევისა და ვ. ბუტკევიჩის შრომებმა ობის სოკოებზე პრაქტიკული შედეგებიც გამოიღო. პირველად მათ დანერგეს წარმოებაში ლიმონის მჟავას ბიოქიმიური მეთოდით მიღება.

რამდენიმე კვირის შემდეგ გ. ბუტკევიჩმა შემომთავაზა, რომ მეშუშავა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიკრობიოლოგიის ინს-

ტიტუტის ორგანული მჟავების ლაბორატორიაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.

— თუ კარგად გაერკვევი იმაში, რაც ჩვენთან კეთდება, შეგეძლება თქვენთან, საქართველოშიც, მოაწყო ლიმონის მჟავას ბიოქიმიური წარმოება, — მირჩევდა იგი.

ვ. ბუტკევიჩის წინადადება სიამოვნებით მივიღე და ბედნიერება შქონდა ერთხანს მის მეორე შესანიშნავ კოლექტივშიც მემუშავა. ლაბორატორიის თანამშრომლებს თავისი მასწავლებელი უსაზღვროდ უყვარდათ, ყველა ერთმანეთს დიდ პატივს სცემდა და მეც დიდი ყურადღებით მეპყრობოდნენ, ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი შემესწავლა. ვ. ბუტკევიჩი ხშირად გაიხსენებდა ხოლმე ჩვენს გაცნობას — ხელის ერთი მოსმით რომ „მოესპე" მისი ჰიპოთეზა ლიმონის მჟავას წარმოქმნის ქიმიზმზე.

დიდი ხანია ცოცხალთა შორის აღარ არის ვ. ბუტკევიჩი, მაგრამ მეც, ჩემს მოწაფეებსაც და ჩემს თანამშრომლებს ახლაც გვეხმარება მისი შრომები, გამოცდილება და ის დარიგებები, რაც თავის დროზე მის ლაბორატორიებში მიმიღია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში სამუშაოდ პირველად 1945 წელს ჩავედი. ამ დროიდან ინსტიტუტის მრავალ წამყვან მეცნიერთან მიხდებოდა ურთიერთობა, მაგრამ პირველი მათგანი, რომელთანაც ბედმა დამაკავშირა, ალექსანდრე ივანეს ძე ოპარინია.

ა. ოპარინის მეცნიერული მოღვაწეობა ძირითადად სამი მიმართულებით მიმდინარეობდა: მცენარეული ნედლეულის გადამუშავების ბიოქიმიური საფუძვლები, ფერმენტების მოქმედება მცენარეულ ორგანიზმში და სიცოცხლის წარმოშობა დედამიწაზე. მისმა სიცოცხლის წარმოშობის თეორიამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოში ევოლუციური ბიოქიმიის განვითარებაზე.

ახლა ა. ოპარინი 80 წლისაც, ისეთივე ნათელი გონებისა და ახალგაზრდული ენერგიის მქონე იყო, როგორიც 30 წლის წინათ, როცა პირველად გავიცანი. მე იმ დროს მთრიმლავი ნივთიერებების ქიმიური ბუნების დადგენაზე ვმუშაობდი. მისი მოწაფეებიც ამ პრობლემას იკვლევდნენ და ჩვენ შორის მალე დამყარდა მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა.

ჩვენი მოწვევით ა. ოპარინი 1946 წელს თელავში ჩამოვიდა. მისი დახმარებით შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეევნახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის შესაბამისი პროფილის სხვა ინსტიტუტების თანამშრომლობის გეგმა ბიოქიმიაში, მიკრობიოლოგიაში, ტექნოლოგიაში, აგროქიმიასა და მცენარეთა ფიზიო-

ლოგიაში. ათი წლის განმავლობაში, ვიდრე მე მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი, მისი მრავალმხრივი დახმარება ჩვენს კოლექტივს არასოდეს მოკლებია.

1946 წელი იყო. ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში მუშაობის ვადა დამთავრდა და თელავში უნდა დავბრუნებულიყავი. გამაფრთხილეს: ა. ოპარინმა დაგვიბარა, უჩემოდ არ გაემგზავროს, ამანათი უნდა გავატანო თელავშიო. დირექტორის კაბინეტში მაგიდაზე დაეწყოთ ლაბორატორიებისათვის საჭირო ზოგიერთი რეაქტივი, სხვადასხვა ჭურჭელი და მასალა. ყველაფერი ეს ა. ოპარინის დავალებით ლაბორატორიის გამგეებს საწყობიდან გამოეწერათ „საკუთარი საჭიროებისათვის“ და ახლა მე მატანდნენ თელაველ მეცნიერ მუშაკებთან. ამჟამად ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავდა მაშინ ჩვენთვის ერთი მინის ძაბრი, რეზინის ერთი საცობი ან სათანადო ხარისხის ფილტრის ქაღალდი! სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო და ყველა ინსტიტუტსა და ლაბორატორიას უჭირდა, ზედმეტი არავის არაფერი ჰქონდა.

თელაველებსაც მიუძღვით ერთგვარი „დამსახურება“ ა. ოპარინის წინაშე. ერთხელ მას ვთხოვეთ, რომ ქ. თელავის მცხოვრებლებისათვის წაეკითხა ლექცია სიცოცხლის წარმოშობაზე. ერთ-ერთ კვირა დღეს ქუჩებში გაკრული იყო ქართულ და რუსულ ენებზე დასტამბული აფიშა, მაგრამ ნაცვლად „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ა. ოპარინისა“, დაბეჭდილი იყო: „აკადემიკოსი ა. ოპარინი“. ყველანი შევწუხდით, ღარ ვიცოდით, რა გვექნა. უხერხულობიდან მანვე გვიხსნა: „ნუ სწუხხართ, აფიშა მოსკოვს გამატანეთ. იქ აკადემიის ხელმძღვანელებს ვაჩვენებ ამ დოკუმენტს და ვეტყვი, რომ საქართველოში იყალთოს აკადემიამ უკვე ამირჩია აკადემიკოსად და თქვენ რატომ აგვიანებთ-მეთქი“.

მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა ბიოქიმიის კათედრა, რომელსაც ა. ოპარინი განაგებდა, ძველი შენობის სარდაფში იყო მოთავსებული. სტუდენტები კათედრის სამყოფელს „ფაუსტის ტაძარს“ ეძახდნენ. ერთხელ ამ „ფაუსტის ტაძარში“ მე და ა. ოპარინმა ერთმანეთს შევახვედრეთ მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების მესვეურები. ჭიქა ღვინით ბევრი რამ ითქვა საინტერესო და საგულისხმო. თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ნიკო კეცხოველმა დაწვრილებით ილაპარაკა ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობაზე მოსკოვის უნივერსიტეტში. მან დამსწრეთ მოაგონა, რომ უნივერსიტეტის კედელზე ადრე გაკრული იყო მემორიალური დაფა, რომელიც ახალგაზრდობას აცნობდა უნივერსიტეტის პირველ მოღვაწეებს. რამდენიმე ხნის შემდეგ ა. ოპარინ-

მა განცხადებით მიმართა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორატს, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი შენობის კედელზე კვლავ აღედგინათ მემორიალური დაფა, რომელზედაც უნივერსიტეტის მოღვაწეთა შორის ვახუშტი ბატონიშვილიც იყო მოხსენიებული.

ა. ოპარინი ახალგაზრდობას ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდა, მუდამ იყო იმის საქმის კურსში, თუ რას აკეთებდნენ ისინი; ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის მეცნიერულ წინსვლაში.

1958 წელს ქ. ვენაში გაიმართა მსოფლიო ბიოქიმიკოსთა IV ყრილობა. საბჭოთა დელეგაციის ერთ-ერთი მეთაური ა. ოპარინი იყო. მას აუარებელი საქმე ჰქონდა, როგორც მეცნიერსა და როგორც ორგანიზატორს. მიუხედავად ამისა, იგი უყურადღებოდ არავის ტოვებდა; ჩემს მოხსენებაზეც ბრძანდებოდა. იმ დროს მცენარეში ფლავონოიდების გარდაქმნის შესაძლებლობას თითქმის არავინ არ იზიარებდა, მე კი გაბედულად ვამტკიცებდი, რომ ფლავონოიდები მცენარეში გარდაიქმნება. მოხსენების შემდეგ, როდესაც ერთ-ერთმა ცნობილმა ბიოქიმიკოსმა მირჩია, რომ „ეს საეჭვო მიმართულება" მიმეტოვებინა, ა. ოპარინმა მითხრა: „თუ ისე მტკიცედ გწამს, როგორც მოგვახსენე, თავი არ დაანებო!" 1958 წლის „საეჭვო მიმართულება" ახლა საყოველთაოდაა მიღებული. რად ღირდა ფლავონოიდების მეტაბოლიზმზე მომუშავე მკვლევართათვის ა. ოპარინის მაშინდელი რჩევა!

1974

ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობარი

მცენარეთა ბიოქიმიასა და ფიზიოლოგიაში მეცნიერების მრავალი კორიფე მოღვაწეობდა და მოღვაწეობს. საკმარისია დავასახელოთ საყოველთაოდ აღიარებული, მსოფლიოში სახელგანთქმული საბჭოთა მეცნიერები: ა. ბახი, კ. ტიმირიაზევი, ვ. პალადინი, დ. პრიანიშნიკოვი, ს. კოსტიჩევი, ვ. ბუტკევიჩი, ა. ოპარინი და სხვ. მათმა კლასიკურმა შრომებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მცენარეთა ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის განვითარებას საბჭოთა კავშირში.

ამ გამოჩენილ მკვლევართა მიერ შექმნილ მეცნიერულ ტრადიციებზე აღიზარდა აკადემიკოსი ანდრია კურსანოვი.

ფართო მეცნიერული ინტერესები, ორიგინალური მეცნიერული აზრი და კვლევის მაღალი მეთოდოლოგიური დონე მას ყოველთვის აყენებდა წამყვან მეცნიერთა რიგებში. ბუნებისაგან უხვად მომადლებული პედაგოგიური ნიჭი და კეთილი გული კიდევ უფრო ზრდიდა მის გავლენას მცენარეთა ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის განვითარებაზე.

ჩვენი ქვეყნის ბიოქიმიკოსებისა და ფიზიოლოგების მრავალი გამარჯვება დაკავშირებულია მის სახელთან. იგი დამსახურებულად აღიარებულია მცენარეთა ფიზიოლოგების მეთაურად საბჭოთა კავშირში.

ა. კურსანოვის კვლევის ობიექტს მუდამ წარმოადგენდა ისეთი მცენარეები, რომელთაც განსაკუთრებული სამეცნიერო-საწარმოო მნიშვნელობა აქვთ. პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც მას აღელვებდა, ყოველთვის იყო დაკავშირებული მცენარის სასიცოცხლო პროცესების შინაგან ორგანიზაციასთან, სიცოცხლის ინტიმური მხარეების შეცნობასთან.

ა. ოპარინთან ერთად მან 1934—1941 წლებში დაამუშავა ახალი მიმართულება მცენარეთა ბიოქიმიაში — ფერმენტთა ბიოლოგია. პირველად იქნა ნაჩვენები, რომ უჯრედის სტრუქტურის ზედაპირზე ფერმენტების დაკავშირება და დესორბცია ერთ-ერთი საფუძველია ფერმენტული პროცესების რეგულაციისა ცოცხალ უჯრედში.

ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მის კაპიტალურ გამოკვლევებს ჩაის მთრიმლავ ნივთიერებათა ბიოქიმიაში. ამ გამოკვლევებმა არსებითი გავლენა მოახდინა საერთოდ ფენოლური ნაერთების ბიოქიმიის განვითარებაზე საბჭოთა კავშირში. მან თავის მოწაფესთან მ. ზაპრომეტოვთან ერთად აღმოაჩინა ჩაის კატექინების მაღალი P-ვიტამინური აქტივობა და დაამუშავა ჩაის ფოთლიდან P-ვიტამინის პრეპარატის მიღების ტექნოლოგია: საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა P-ვიტამინის პრეპარატის წარმოება.

1952 წლიდან დაიწყო ა. კურსანოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ხანა, როდესაც უკვე სახელმოხვეჭილი ბიოქიმიკოსი სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კ. ტიმირიაზევის სახელობის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს. ახალმა მეთაურმა ფიზიოლოგიური პროცესების არსის შეცნობას საფუძვლად დაუდო ბიოქიმიური პრინციპები და მისი ხანგრძლივი მეცნიერული ხელმძღვანელობის შედეგად მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი გადაიქცა ამ დარგის ერთ-ერთ წამყვან ცენტრად მსოფლიოში.

მცენარეთა ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის საბჭოთა სკოლის წინსვლას დიდად შეუწყო ხელი 1954 წელს ა. კურსანოვის ინიციატივით სამეცნიერო ჟურნალ „მცენარეთა ფიზიოლოგიის“ დაარსებამ, რომლის პირველი და უცვლელი რედაქტორი თვითონ არის.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ა. კურსანოვი წარმატებით ამუშავებს მცენარეში ორგანული ნივთიერებების ტრანსპორტის პრობლემას. მან წამოაყენა და დაასაბუთა ორგანულ ნივთიერებათა ტრანსპორტის მეტაბოლური თეორია, რომლის მიხედვითაც ფლოემაში მოლეკულის გადატანა აქტიური ფიზიოლოგიური პროცესია და იგი და-

კავშირებულია გამტარ ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლასთან და სუნთქვის ენერგიის გამოყენებასთან.

ამ ბოლო დროს ა. კურსანოვი, მისი მოწაფეები და თანამშრომლები მუშაობენ უჯრედის მემბრანებში ნივთიერებათა ტრანსპორტის მექანიზმის შესწავლაზე. უკანასკნელ დროს ა. კურსანოვმა უახლოესი მომავლისათვის მცენარეთა ფიზიოლოგიის ძირითად პრობლემად წამოაყენა ბიოლოგიური თვითრეგულაცია, რომლის დამუშავებაც აუცილებელია ყველა დონეზე, დაწყებული მოლეკულიდან გათავებული ბიოცენოზით. მისი აზრით, ფიზიოლოგთა ძალების გაერთიანება თვითრეგულაციის პრობლემის ირგვლივ მიგვიყვანს ფიზიოლოგიური პროცესების შინაგანი ორგანიზაციის ამოხსნამდე და საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ მცენარეებზე ზემოქმედების პრინციპულად ახალი საშუალებები.

მრავალმხრივია აგრეთვე ა. კურსანოვის სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა. იგი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც მეცნიერული ცოდნის ბრწყინვალე პროპაგანდისტი. შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში იგი გვეელინება თანამედროვე ტიმირიაზევად. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი, როგორც პედაგოგისა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღმზრდელისა. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები ახლა წარმატებით მუშაობენ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. ამ სტრიქონების ავტორიც მისგან, როგორც მასწავლებლისაგან, დიდად არის დავალებული. მასთან მეცნიერული ურთიერთობა უსაზღვრო შემოქმედებითი სიხარულია.

ა. კურსანოვი საქართველოს კულტურისა და მეცნიერების ნამდვილი მეგობარია. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში მცენარეთა ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის განვითარებას. მისი აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის ლაბორატორია. მისმა გამოკვლევებმა ფასდაუდებელი როლი შეასრულა საქართველოს ჩაის მრეწველობის განვითარებაში.

1972

ანდრია კურსანოვის ინტერვიუ

კითხვა: მცენარეებში ნივთიერებათა ტრანსპორტის შესახებ თქვენი თეორიის განვითარების მიმართულებით რა გაკეთდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე?

პასუხი: მცენარეთა ფიზიოლოგია, რომელსაც მიეკუთვნება ნივთიერებათა ტრანსპორტის პრობლემა, იმ კლასიკურ ბიოლოგიურ მეც-

ნიერებათაგანია, რომლებიც თანამედროვე მემცენარეობის საფუძველი გახდა. მაგრამ მცენარეებში ნივთიერებათა ტრანსპორტის (გადაადგილების) შესახებ სწავლება დიდი ხნის მანძილზე თითქმის ყურადღების მიღმა რჩებოდა, თუმცა სწორედ ამ პროცესით ხდება მცენარის ორგანიზმში ფოტოსინთეზის პროდუქტების განაწილება და სამარაგო ორგანოებში საკვები ნივთიერებების დაგროვება, რომლებზედაც დამოკიდებულია წლის მოსავალი. მხოლოდ ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის უახლესი მეთოდების საშუალებით მოხერხდა ამ მოვლენათა გეგმაზომიერი შესწავლის დაწყება. ჩვენი ლაბორატორია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ამ გზას ერთ-ერთი პირველი დაადგა, რამაც განაპირობა ჩვენი პრიორიტეტი აღნიშნული მოვლენის მთელი რიგი მხარეების გარკვევაში; თავად მოვლენა კი გაცილებით რთული აღმოჩნდა იმასთან შედარებით, რასაც მასზე ადრე ფიქრობდნენ.

ყველაზე უფრო არსებითი, რაც გაკეთდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ჩემი აზრით, არის ახალი და სრულიად მოულოდნელი ფაქტის დადგენა: საქაროზისა და ფოტოსინთეზის სხვა პროდუქტების მოძრაობის გზაზე ფოთლებსა და სამარაგო ორგანოების ქსოვილებში არის ზონები, სადაც მოძრავი პროდუქტები უჯრედებიდან მათ ზედაპირზე და უჯრედთშორის სივრცეში გამოდიან. აქ მათ შთანთქავენ სხვა ქსოვილები, რომელთა გავლით პროდუქტები კვლავ აგრძელებენ თავიანთ გზას. სატრანსპორტირებელი პროდუქტების ასეთ „გადატვირთვებს“ ერთი ქსოვილიდან მეორეში მოძრაობის გზაზე უდიდესი მარეგულირებელი მნიშვნელობა აქვს მთელი ამ სისტემის ფუნქციონირებისათვის. იგი დაკავშირებულია შთანმთქმელი უჯრედების მიერ ენერგიის საგრძნობ დანახარჯთან, რაც აუცილებელია კონცენტრაციის გრადიენტის საპირისპიროდ მოლეკულების გადასატანად. ასეთი უჯრედების ზედაპირზე აღმოჩნდა შესაბამისი გადამტანებიც, რომელთა მოქმედების პრინციპი ნაწილობრივ უკვე შესწავლილია. ყოველივე ამან განაპირობა დაგვეწყო გადამტანებზე ზემოქმედების ცდები ქიმიური პრეპარატებით, რომელთა საშუალებით შეიძლება მცენარეებში ტრანსპორტისა და საკვებ ნივთიერებათა განაწილების მართვა. ეს ცდები ახალი დაწყებულია, თუმცა უკვე მიღებული გვაქვს პირველი იმედისმომცემი შედეგები.

არანაკლებ საინტერესოა ფლოემის გამტარ უჯრედებში აქტინ-მიოზინური კომპლექსის ცილების აღმოჩენა, რომლებიც ახლოს დგანან ცხოველთა კუნთების კუმშვად ცილებთან ან მათ სრულ იგივეობას წარმოადგენენ. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფლოემის

გამტარ გზებში საკვებ ნივთიერებათა ხსნარების გაღწევისას ხდება პროტეინის ძაფთა კონტრაქტილური (კუმშვითი) მოძრაობა, რაც გამომეღავნებულ იქნა ამ უჯრედებში. საკითხი სულ ახლახან დაისვა. მასზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ნივთიერებათა ტრანსპორტის შესახებ სწავლება მოგვცემდა მცენარეებში ფოტოსინთეზის პროდუქტების განაწილებაზე კონტროლის გაწევის კიდევ ერთ მიდგომას.

კითხვა: როგორია მცენარეთა ბიოქიმიის განვითარების შემდგომი პერსპექტივები? რა ფუნდამენტური პრობლემები უნდა გადაჭრას მცენარეთა ბიოქიმიამ მოლეკულური ბიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის ასეთი მძლავრი აღმავლობის შემდეგ?

პასუხი: თქვენ აღძარით ძალზე საყურადღებო და ამავე დროს რთული საკითხი, რომელიც შეიძლებოდა მთელი სამეცნიერო კონფერენციის თემადაც გამომდგარიყო. აქ პასუხი არ შეიძლება იყოს ცალსახა და გარანტირებული უზუსტობისაგან. საქმის ასეთ ვითარებაში უფრო მიზანშეწონილია გავაანალიზოთ თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის განვითარებისა და ტენდენციის ლოგიკა, რათა ამის საფუძველზე წარმოვიდგინოთ უახლოესი მომავლის გზა. შევეცდები პასუხი გაგცეთ რამდენიმე დასკვნის სახით:

1. ბიოლოგიის დაყოფა მეცნიერებებად გარკვეული თვალსაზრისით პირობითია. ამიტომაც ამ მეცნიერებათა შორის მიჯნები არათუ ირღვევა, არამედ ხშირად განსაკუთრებით ორიგინალური და წარმატებით დამთავრებული გამოკვლევების ზონებად იქცევა ხოლმე. ამ „მიჯნებმა“ წარმოშვა ისეთი ახალი ჰიბრიდული მეცნიერებები, როგორიც არის, კერძოდ, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია ან მოლეკულური გენეტიკა.

2. ისტორიულად ბიოქიმია წარმოიქმნა მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა ფიზიოლოგიისაგან. თავის აყვავებას მან მიაღწია დაახლოებით 60-იან წლებში, როცა შესძლო გამოემეღავნებინა ნივთიერებათა ცვლის ურთულესი სურათი ჩვეულებრივ კოვალენტურ ქიმიურ რეაქციათა დონეზე: წინ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხი ჰქონდა ბიოქიმიას, მაგრამ ცხადი გახდა, რომ ცოცხალი მატერიის ორგანიზაციის მხოლოდ და მხოლოდ ამ დონეზე (ადრე მასზე ამყარებდნენ იმედს) შეუძლებელი იყო ცხოვრების მოვლენათა გამოცნობა. ძიებათა პროცესში ბიოქიმიამ დაიწყო ნუკლეინის მჟავებისა და ცილების გიგანტური მოლეკულების შესწავლა. როგორც აღმოჩნდა, ამ მოლეკულების თვისებები განისაზღვრება არა მარტო ჩვეულებრივ კოვალენტურ ქიმიურ რეაქციებში მათი მონაწილეობით, არამედ სრულიად ახალი თვისებებით, რომლებიც თავს იჩენენ მოლეკულათა სიდიდისა და ზრდის შესაბამისად. ასე წარმოიშვა მოლეკულური ბიო-

ლოგია, რომლისთვისაც შეიძლებოდა მაკრომოლეკულათა (ანუ გიგანტურ მოლეკულათა) ბიოქიმია გვეწოდებინა.

ახალი მეცნიერება იმდენად მიმზიდველი და ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მან ბიოქიმიის დარგში მომუშავე მთავარი ძალები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გადაიბირა, რასაც შედეგად მოჰყვა თვით ბიოქიმიის საგრძნობი დასუსტება.

3. მოლეკულურმა ბიოლოგიამ გზა გაგვიხსნა ჯერ არნახული თვისების მქონე გიგანტურ მოლეკულათა სამყაროსაკენ. მაგრამ თვით მოლეკულური ბიოლოგიის განვითარების უზრუნველსაყოფად და დიდმნიშვნელოვან ბიოლოგიურ პრობლემათა გადასაწყვეტად საჭირო იყო, რომ მას სრულად გამოეყენებინა თავისი დიდი სამეცნიერო მეთოდური პოტენციალი. სწორედ ამან დააახლოვა მოლეკულური ბიოლოგია გენეტიკას. ისინი ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი ნუკლეინის მჟავებითა და ცილებით, რომლებიც უჯრედის მემკვიდრული აპარატის საფუძველს წარმოადგენენ. ამრიგად, მოხდა მოლეკულური ბიოლოგიის შეჭრა სასიცოცხლო პროცესების მართვის სფეროში. სასიცოცხლო პროცესების შესწავლა ამჟამად დიდი წარმატებით მიმდინარეობს. დაახლოება იმდენად ორგანული აღმოჩნდა, რომ წარმოიშვა ცნება „მოლეკულური გენეტიკა", რომელსაც აღიქვამენ როგორც დამოუკიდებელ დისციპლინას.

4. ამჟამად მოლეკულური გენეტიკა უფრო და უფრო დაბეჯითებით მიდის იმ დასკვნამდე, რომ მემკვიდრული აპარატი, რომელიც წინათ განიხილებოდა როგორც უჯრედის ნივთიერებათა ცვლის ბიოქიმიური პროცესების გავლენის სფეროს გამოყოფილი უცვლელი სისტემა, სინამდვილეში თვითონ განიცდის ინტენსიურ და სხვადასხვაგვარ შინაგან გარდაქმნას. ეს გარდაქმნა კი დაკავშირებულია ნუკლეინის მჟავათა (მობილურ გენთა) განსაკუთრებით მოძრავი ფორმების არსებობასთან, რომელთაც შეუძლიათ მემკვიდრული აპარატის ძირითად ელემენტებში (გენებში) ჩანერგვა. ეს აღმოჩენები ჯერ სრულიად ახალია, მაგრამ, ჩემი აზრით, მათ ხელახლა მოჰყვება მოლეკულური ბიოლოგიის (ამ შემთხვევაში მოლეკულური გენეტიკის) დაახლოება ბიოქიმიასთან, ხოლო მისი საშუალებით ფიზიოლოგიასთან, რადგანაც მომავალში გენეტიკური აპარატის ფუნქციონირება, როგორც ჩანს, განხილული იქნება იმ ბიოქიმიურ რეაქციათა ჩარჩოებში, რომელნიც ამარაგებენ მას ნივთიერებათა ცვლის პროდუქტებითა და ენერგიით, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავიანთ მხრივ, ქმნიან იმ პროგრამათა ჩარჩოებში მოქმედ სისტემას, რომელსაც უჯრედის გენეტიკური აპარატი იძლევა.

5. ამრიგად, 5—10-წლიან პერსპექტივაში შეიძლება მოველოდეთ, ერთი მხრივ, მოლეკულური ბიოლოგიის (მოლეკულური გენეტიკის) იდეებისა და მეთოდების, ხოლო მეორე მხრივ, ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ურთიერთშეღწევას, ანუ ფიზიკურ-ქიმიური კომპლექსის ბიოლოგიურ დისციპლინათა მნიშვნელოვან ინტეგრაციას. ყოველივე ეს გზას გაუხსნის მოლეკულურ ბიოლოგიას იმ მამოძრავებელი ძალების გაგებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ მეტაბოლიზმს გენეტიკური აპარატის სფეროში, და თავის მიღწევათა (განსაკუთრებით უჯრედის ინჟინერიის მიმართულებით) პრაქტიკული გამოყენებისაკენ; ბიოქიმიას — გენეტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე ნივთიერებათა ცვლის სწავლების გავრცელებისაკენ, რამაც შეიძლება მოულოდნელი პრაქტიკული შედეგები მოგვცეს; დაბოლოს — ფიზიოლოგიას— უჯრედის ან ორგანიზმის სიცოცხლის ყველა ამ მოვლენის მნიშვნელობათა განსაზღვრისათვის, აგრეთვე მათი მართვის გზების ძიებისა და პრაქტიკული მიზნებისათვის.

6. რა თქმა უნდა, ბიოქიმიის წინაშე დგას მისი საკუთარი ამოცანებიც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოლეკულურმა ბიოლოგიამ მიაგნო მაკრომოლეკულათა შესწავლის გზებს, ბიოქიმიაში მომავალი გამოკვლევების, ალბათ, გარკვეული მოდერნიზაცია მოხდება. იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ცილებისა და სხვა პოლიმერების ბიოსინთეზს და მათ მოქმედებას. აქვე შედის ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა ენზიმოლოგია (სწავლება ბიოკატალიზატორების შესახებ); გამოცნობის ცილებისა და ნივთიერებათა ცვლის რეგულატორები; სტრეს-ცილები, რომლებიც გარემო პირობების ცვლილებების პასუხად სწრაფად ჩნდება უჯრედებში; გლიკოპროტეინები, როგორც უჯრედთა მემბრანების უმნიშვნელოვანესი კომპონენტები; მცენარეთა შემკუმშავი ცილები, რომლებიც კუნთების ცილებს ჰგვანან; ალკალოიდების, ჰორმონების, იზოპრენოიდების, პოლიფენოლებისა და სხვათა ბიოსინთეზის შესწავლა.

ამჟამად ყველა ზემოაღნიშნულისაგან გამოკვეთილია ცენტრალური პრობლემა — ბიოლოგიური რეგულაციის პრობლემა, რომელიც ამიერიდან შეისწავლება ყველა დონეზე, მოლეკულური და ბიოქიმიურიდან დაწყებული, ულტრასტრუქტურული, ორგანიზმული და ცენოტიკურით დამთავრებული. ამ ტენდენციაში ისევ ვლინდება სწრაფვა იმ დიდძალი ფაქტობრივი მასალის ინტეგრაციისაკენ, რომელნიც ნახევარი საუკუნის მანძილზე დააგროვა ექსპერიმენტული ბიოლოგიის ყველა სფერომ, რათა გაარკვიოს ბიოლოგიის ცენტრალური საკითხი— რა არის სიცოცხლე, როგორ ჩნდება იგი, რას ეყრდნობა და როგორ ახორციელებს თვითმართვას?

კითხვა: ახალგაზრდა მეცნიერის რა ძირითადი თვისებები განაპირობებენ მის მიერ დასახულ მიზანთა მიღწევას?

პასუხი: ის უნდა იყოს საკმაოდ ჭკვიანი, რაც შეიძლება ნიჭიერი და განსწავლული მის მიერ არჩეული მეცნიერების სფეროში. ამასთანავე, კარგად უნდა ერკვეოდეს მომიჯნავე სფეროებშიც. მაგრამ სამეცნიერო მუშაობაში წარმატების მისაღწევად საკმარისი არ არის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები — ეს კვლევის მხოლოდ მეცნიერული პოტენციალია, რომლის რეალიზაცია მოითხოვს შრომისმოყვარეობას, მოთმინებას და გულწრფელ დაინტერესებას იმ პრობლემით, რომლის გარკვევას შეიძლება მეცნიერმა სიცოცხლეც კი ანაცვალოს. ის უნდა იყოს კეთილსინდისიერი მეცნიერული ფაქტების მიმართ, მოკრძალებული და კრიტიკული საკუთარი თავისა და პირად მიღწევათა შეფასებაში. რაც მთავარია, მან მეცნიერება არ უნდა გამოიყენოს კარიერისტული მიზნების მიღწევის საშუალებად. სხვათა შორის, რაკი კარიერაზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, უნდა ითქვას, რომ, რაც უფრო ნაკლებად ფიქრობს მეცნიერი მასზე, მით უფრო იოლად მოდის მასთან სახელიც, პატივისცემაც და საპატიო წოდებებიც.

კითხვა: ყველაზე მეტად რა თვისებას აფასებთ ადამიანში?

პასუხი: გონებისა და სიკეთის შერწყმას.

კითხვა: როგორ წარმოგიდგენიათ მეცნიერების პოეზია?

პასუხი: იგი დაახლოებით ისეთი გრძნობაა, რომელიც უნდა განიცადოს ზღვაოსანმა ან ტურისტმა ახალი მიწებისა და შთაბეჭდილებათა ძიებისას, ეს დიდი ცნობისმოყვარეობაა, რომელიც მკვლევარს ავიწყებს დაღლას, უბიძგებს ისწრაფოს სულ უფრო წინ, მეცნიერული გზის ახალ-ახალი ხვეულებისაკენ, რომელთა მიღმა იმედოვნებს დიდი ხნის სანუკვარი მიზნის პოვნას, ანდა სრულიად ახალსა და მოულოდნელ მოვლენასთან შეხვედრას. ეს არის შინაგანი წვა და იგი არსებითად მეცნიერების პოეზიას წარმოადგენს. საზღაური ჯილდო კი იმის შეგნებაა, რომ ადამიანმა შეძლო გადაედგა კიდევ ერთი ნაბიჯი ყოფიერების იდუმალებათა ამოხსნის გზაზე.

კითხვა: რაიმეზე მაინც გულნაკლული ხომ არა ხართ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სახელი მოიხვეჭეთ?

პასუხი: სახელის მოხვეჭა არასოდეს არ ყოფილა ჩემი ცხოვრების მიზანი და არც ჩემს მოქმედებას ხელმძღვანელობდა. ამიტომაც ის აღიარება, რომელიც წლებმა მომიტანა, არ შეიძლება გამოდგეს ჩემს წარმატებათა საზომად, მით უმეტეს, რომ ყოველგვარი პოპულარობა ადამიანის ღირსებათა გაზვიადებაა. საკმაო საფუძველი მაქვს, რომ არ ვიყო ჩემი მოღვაწეობით კმაყოფილი, რადგანაც ზოგიერთი დასახული ამოცანა მეცნიერებისა და მისი ორგანიზაციის დარგში

ჩემთვის სასურველ დონეზე ვერ შევასრულე. ალბათ, ჩემი მოწაფეები და თანამოაზრენი გააგრძელებენ ჩემ მიერ დაწყებულ საქმეს. მცენარეთა ფიზიოლოგიის, როგორც ფუნდამენტური ბიოლოგიური მეცნიერების, ფიზიკურ-ქიმიურ საძირკველზე დაფუძნება (რასაც ჩემს მთავარ ამოცანად მივიჩნევდი), ვფიქრობ, ისე წავიდა წინ, რომ ამიერიდან დამოუკიდებლად განვითარდება.

რაც შეეხება ჩემს ოცნებას — გარს შემომევლო ჰორნის კონცხისათვის და მენახა ცეცხლოვანი მიწა, რასაც ბავშვობიდან გულით ვატარებ, როგორც ჩანს, განუხორციელებელი დარჩება.

1984

ორი საყვედური

ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ლევან ჯაფარიძე თითქმის ნახევარი საუკუნე ედგა სათავეში მცენარეთა ფიზიოლოგიის განვითარებას ჩვენში. ახლა მის მიერ აღზრდილი მრავალი მეცნიერი წარმატებით აგრძელებს თავისი სახელოვანი მასწავლებლის საქმეს. მისმა და მისი მოწაფეების მეცნიერულმა მიღწევებმა მცენარეთა ფიზიოლოგიის მრავალ დარგში ჰპოვა მსოფლიო აღიარება.

ბატონი ლევანი და მე დაახლოებით ერთი ასაკისანი ვიყავით, ერთ დარგს — ბიოლოგიას ვემსახურებოდით, ერთმანეთთან მუდამ კეთილგანწყობა და საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა. მისმა მრავალფეროვანმა და ბრწყინვალე მოღვაწეობამ ჩემს თვალწინ გაიელვა და სხვა მის თანამედროვეებთან ერთად მეც გამათბო და ამამაღლა.

ლევანი ყოველმხრივ მომხიბლავი ადამიანი იყო: ახოვანი, სასიამოვნო გარეგნობის, კეთილი და წმინდა, სულით ფაქიზი, მშვერმეტყველი და იუმორით აღსავსე, ფართო დიაპაზონისა და დიდი მეცნიერული ფანტაზიის მქონე. მე მასში განსაკუთრებით მშვენიერებისადმი ლტოლვა და სილამაზის უბადლო სიყვარული მხიბლავდა. ბუნებისაგან მინიჭებული ეს დიდი მადლი ყოველ მის ნაბიჯში ჩანდა. მის „მკაცრ“ ექსპერიმენტსაც კი რომელიღაც კუთხიდან სილამაზის ელფერი დაკრავდა, ექსპერიმენტშიც კი სილამაზეს უმღეროდა. ლევანს თავდავიწყებამდე უყვარდა ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა. მის მეცნიერულ შემოქმედებაში ხშირი იყო ხოლმე ალეგორიული წიაღსვლები. შემთხვევით როდი იყო, რომ მისი სადოქტორო დისერტაცია „სქესი მცენარეში“ 1001 გვერდზე იყო დაწერილი; მას მეცნიერებმა მოხდენილად შეარქვეს კიდეც „ათას ერთი ღამე“.

ჩვენ ერთმანეთს განსაკუთრებით ორმოციან წლებში დავუახლოვდით. როდესაც ლევანი თავის მოწაფეებთან ერთად იკვლევდა ვაზის ლერწის სხვადასხვაგვარი დატვირთვის გავლენას ყურძნის მოსავალზე. ცდები მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე, თელავში ტარდებოდა. ინსტიტუტის მთელი კოლექტივი და მეც, როგორც ამ დაწესებულების ხელმძღვანელი, ყოველმხრივ ვუწყობდით ხელს ლევანს და მის თანამშრომლებს, რომ მევენახეობის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა, — ვაზის დატვირთვა, ყოველმხრივ ყოფილიყო შესწავლილი. პირველივე შედეგები მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და ლევანმა გადაწყვიტა, რომ მათ მიერ შესრულებული მუშაობის შედეგები ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომისათვის მოეხსენებინა. სხდომა 1944 წლის 2 ივლისისათვის დაინიშნა. პირველ ივლისს დილით ლევანი შესანიშნავ გუნება-განწყობილებაზე იყო, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სადემონსტრაციო მასალებს ამზადებდა, თვალნათლივ ხედავდა ჩატარებული კვლევის დიდ პერსპექტივას... ცხოვრებამ გაამართლა კიდეც ჩვენი მევენახეებისა და ფიზიოლოგების ალღო და შორსხედვა. იმდროინდელი გამოკვლევები საფუძვლად დაედო მევენახეობაში დანერგილ ე. წ. „თავისუფალ სხვლას“, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ვაზის მოსავლიანობის გადიდებას.

ლევანის განწყობილება ყველას გადაგვედო და, როდესაც ხვალინდელ სამეცნიერო საბჭოს სხდომას დღესასწაულივით ველოდით, მაშინ შემატყობინეს, რომ ლევანმა რაღაც მეტად სამწუხარო ამბავი გაიგო და შეიძლება სხდომაზე სულაც ვერ მოვიდესო. ჩვენ ყველა ერთმა და იმავე შიშმა აგვიტანა; ერთადერთი შვილი ირინე სახლში მარტო ჰყავდა დატოვებული. მეუღლე — ქალბატონი თამარ კეზელი ლევანს თელავში ახლდა, იგი ხომ მისი მუდმივი თანამგზავრი და მეცნიერულ კვლევაში მარჯვენა ხელი იყო! ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა: ვაითუ ირინემ თავის თავს ისე ვერ მიხედა, როგორც საჭირო იყოო.

ლევანი ჩემთან სამუშაო ოთახში ჩუმად შეუმჩნევლად შემოსულიყო, იდგა გაფითრებული სახით და ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა. ფურცელი უსიტყვოდ მომაწოდა. ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს ლევან ჯაფარიძეს ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი სასტიკ საყვედურს უცხადებდა, რომ იგი, როგორც კომისიის წევრი, არ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში ტუნგოს კულტურის აგროწესების გადასინჯვისა და მისი დანერგვის შესამოწმებლად; წინადადებას აძლევდა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო.

შვებით ამოვისუნთქე. ალბათ გადავიხარხარებდი კიდეც, ლევანს რომ ასეთი დამწუხრებული გამომეტყველება არ ჰქონოდა. საოცრე-

ბად მომეჩვენა, რომ ლევანი ამ ბრძანებას ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა!

ლევანს დირექციის დავალება თურმე ადრევე შეესრულებინა, რადგანაც მისი დასავლეთ საქართველოში ოფიციალური მივლინების დრო თელავში ცდების ჩატარების პერიოდს ემთხვეოდა. თავისი მოსაზრებაც ტუნგოს აგროწესების შესახებ მიწსახკომში ადრე წარედგინა.

მთელი საღამო ვამშვიდებდით, რომ არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და, საერთოდ, არ ღირს ამის გამო ამდენი განცდა და წუხილი.

მეორე დღეს ლევანის მოხსენება ისე არ ბრწყინავდა, როგორც ჩვეულებრივ. მაგრამ შესანიშნავმა შედეგებმა, მისმა უმწიკვლო ლოგიკამ მაინც თავისი გაიტანა და საბჭოს ყველა წევრი და დამსწრე აღტაცებული დარჩა. ის იყო მუშაობა დავამთავრეთ, რომ ლევანმა სიტყვა მთხოვა. დინჯად წამოდგა, საქაღალდედან ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ გამოგზავნილი ბრძანება ამოიღო და წაიკითხა. ყველანი გაოცდნენ. უმრავლესობამ ამ ბრძანების შესახებ არაფერი იცოდა. ამავე დროს, გაუგებარი იყო, თუ რა ქვეტექსტით უკავშირდებოდა ჩვენი საბჭოს დღევანდელი მუშაობა ბოტანიკის ინსტიტუტის ბრძანებას. მდგომარეობიდან ისევ ლევანმა გამოგვიყვანა.

— მალე, ალბათ, ბრძანების მეორე პარაგრაფსაც მივიღებთ: გამოეცხადოს საყვედური ლევან ჯაფარიძეს იმ სამუშაოებისათვის, რომლებიც მან და მისმა თანამშრომლებმა ვადაზე ადრე 1944 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში შეასრულეს, ე. ი. იმ სამუშაოებისათვის, რომელთა შედეგებიც მე თქვენ დღეს მოგახსენეთო.

დაუჯერებელია, მაგრამ ლევანი ამ საყვედურს მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა.

—რატომ გიკვირთ, ასაკი რა შუაშია, თქვენ რა, უსამართლობას ხანდაზმულობის მიხედვით აფასებთ? მეცნიერ მუშაკებს მეტი ადამიანური ყურადღება ესაჭიროებათ. — გვიპასუხებდა ხოლმე.

1954 წლიდან სამუშაოდ თელავიდან კვლავ თბილისში დავბრუნდი. მე და ლევანი ახლა კიდევ უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილება კომკავშირის ხეივანში იყო და მეც ხშირად ლევანს იქ ვესტუმრებოდი ხოლმე. მისი ლაბორატორიული ოთახები წალკოტს ჰგავდა; რა მცანარეს, ვეგეტაციის რა პერიოდში არ ნახავდით აქ!

ალბათ, თქვენ შეგინიშნავთ, ჩვენი უნივერსიტეტის პირდაპირ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საცხოვრებელი სახლის ზოგიერთი აივანი როგორაა შეხუნძლული სხვადასხვა ჯიშის ვაზით, რო-

გორი ნაირგვარი ჯადოსნური ფერებით არის შეფერილი! ეს ლევან ჯაფარიძის მიერ შექმნილი და ამეტყველებული ედემის პატარა კუთხეებია.

ლევანი განსაკუთრებით მცენარეთა ყვავილობას ეტრფოდა; თავდავიწყებამდე უყვარდა ველურად მოყვავილე მცენარეები. სულ მეხვეწებოდა:

— დროებით მაინც გაანებე თავი ამ ლაბორატორიას, წამომყევი, ბუნების საოცრებას გაჩვენებ. წავიდეთ ბაკურიანში, ვნახოთ, როგორ ამოდის მზე ცხრაწყაროს ცაზე, როგორ ჰყვავის ცხრაწყაროს კალთებზე დეკა.

ახლა ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე და ვერ გავყევი ბატონ ლევანს, ჩვენი ბუნების ეს განუმეორებელი სილამაზე მასთან ერთად ერთხელაც ვერ ვიხილე.

1969 წლის ნოემბერში ლევანი ავად გახდა ლეიკოზის ერთ-ერთი მწვავე ფორმით. ყველა მისი ახლობელი საშინელმა შიშმა შეიპყრო, თვითონ ლევანი კი სიცოცხლით სავსე იყო, იდეებსა და იმედებს ძველებურად აფრქვევდა, სრული ენერგიით მოქმედებდა და მოღვაწეობდა. ზოგჯერ ეჭვიც კი გვეპარებოდა: მართლა იყო კი ლევანი ავად?!

1970 წლის იანვარში ლევანს ეზოში შევხვდი. ჩემი უმცროსი დაც იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიაც ლევანის ოჯახი, და ჩვენს შეხვედრებს ესეც უწყობდა ხელს. ლევანი დაღვრემილი იყო, რაღაც სულიერი შეშფოთება ეტყობოდა. მის მდგომარეობაში მყოფისათვის ეს ჩვეულებრივ განწყობილებად ჩავთვალე და, ის იყო უნდა გამოვმშვიდობებოდი, რომ გულისტკივილით მომმართა:

— რომ იცოდე, დღეს რა მომივიდა, მანანასაგან საყვედური მივიღე; ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, ეს როგორ მომივიდა.

ლევანს ეტყობოდა, რომ ცუდ ხასიათზე იყო; გამოკითხვისაგან თავი შევიკავე, თუმცა არც ის ვიცოდი, ვინ იყო ეს მანანა და ვერც ის გავიგე, რა უფლება ჰქონდა ვიღაც მანანას საყვედური გამოეცხადებინა ლევან ჯაფარიძისათვის. ორი დღის შემდეგ ქალბატონმა თამარმა ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო.

იანვრის ერთ დილას სამსახურში მივეშურებოდით. ეზოში არავინ ჩანდა, ლევანი უფრო ადრე ჩასულიყო, მე ცოტა შევყოვნდი. როდესაც ეზოში ჩავედი, პატარა ირაკლი და მანანა გოგოლიშვილები შემომეფეთნენ. ლევანს ვერ შეუმჩნევია, რომ ისინი იქვე თოვლის ბაბუას აკეთებდნენ და ისე გაუვლია, რომ მათთვის სალამი არ მიუცია. მანანა დამეწია, შემაჩერა და მკითხა:

— დეიდა თამარ, ის კაცი ვინ იყო? — მე ვუპასუხე, ლევან ბიძია იყო-მეთქი.

— თუ ლევან ბიძია იყო, რატომ გამარჯობა არ გვითხრა? თქვენ გეშლებათ. — მე გამეცინა, მოვეფერე და დავუყვავე.

— ლევან ბიძიამ ალბათ ვერ დაგინახათ და არ გეწყინოთ-მეთქი.

ლევანს ჩემი ლაპარაკისათვის ყური მოეკრა და, რომ მივუახლოვდი, მკითხა, ვის ელაპარაკებოდიო. ყველაფერი ვუამბე. მაშინ მანანა ოთხი წლისა იყო, მისი ძმა კი ექვსისა. ლევანი სწრაფად მობრუნდა ბავშვებთან, ორივეს ხელი ჩამოართვა და ბოდიში მოუხადა: მაპატიეთ, ბავშვებო, ვერ დაგინახეთო.

იმ დღეს ყველას შესჩიოდა: დღეს დიდი მარცხი განვიცადე, მანანასთან შევრცხვი. ეს უტაქტობა ბავშვებთან როგორ მომივიდა, მიკვირსო.

უზომოდ უყვარდა ლევანს ბავშვები. ბავშვებსაც უყვარდათ მასთან ყოფნა, სულ გარს ეხვეოდნენ. თუ ვინმეს თოჯინა ან სხვა სათამაშო გაუფუჭდებოდა, ლევანი მაშინვე შეუკეთებდა, გაუახლებდა. ხშირად ფერად კინოსურათებსაც გადაუღებდა ხოლმე. შაბათ-კვირას ბავშვებს ბინაში მიიწვევდა და უჩვენებდა კინოსურათს „ჩვენი ეზო", როგორც ეს ლევანმა თავის რეჟისორულ ნამუშევარს შეარქვა. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თავიანთ თავს ეკრანზე ხედავდნენ...

1971 წლის ივნისში ბატონ ლევანს ავადმყოფობამ ხელახლა დარია ხელი... ბავშვები ეზოში გამოფენილიყვნენ, გამოეტანათ ფინჯნები, ქილები, ბოთლები, ვისაც კი რა მოხვედროდა ხელში და მთელ ეზოს რწყავდნენ. ყველა ონკანი გაეღოთ, ყველაფერს ასველებდნენ; გავლა შეუძლებელი იყო, ეზო მთლიანად ატალახებულიყო, ეზოს მკვიდრნი ჯავრობდნენ.

დედები და ბებიები ბავშვებს თავს დაესხნენ და ის-ის იყო ცოდვა-მადლის განკითხვა უნდა დაწყებულიყო, რომ ბავშვები ერთად შეჯგუფდნენ და უფროსების გაკიცხვას ერთხმად უპასუხეს:

— ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, ლევან ბიძიას ჰაერს ვუგრილებთ.

ლევანი ღია ფანჯარასთან სავარძელში ღრმად ჩაფლული ღიმილით უსმენდა თავისი პატარა მეგობრების საყვარელ ყღურტულს.

1980

არისტოკრატი

ცნობილი მეცნიერი და უროლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი ალექსანდრე პეტრეს ძე წულუკიძე მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი იყო. ბატონი ალექსანდრე ყოველ-

თვის გამოირჩეოდა ორიგინალური აზროვნებით და პრინციპულობით. ახოვანი, არწივისებური ამაყი გამოხედვის, ულვაშებიანი ქართველი ვაჟკაცი გარეგანი შეხედულებითაც არავისში არ შეგეშლებოდათ. მასთან ურთიერთობა მეტად საინტერესო და ნაყოფიერი იყო. თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა სწავლულმა და დასტაქარმა შთამბეჭდავად აგვიწერა ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „სოფლის ექიმიდან აკადემიკოსობამდე“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომელთა შორის ალექსანდრე წულუკიძეს განსაკუთრებით რაფიელ დვალი და მე დავუმეგობრდით. გულახდილად შეგვეძლო გვეთქვა მისთვის ჩვენი აზრი; წინასწარ შეიძლებოდა გაგვემხილა, თუ რა შემთხვევაში მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების რა გადაწყვეტილება იქნებოდა სწორი აკადემიის ხელმძღვანელთა თვალსაზრისით.

აკადემიის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ და რთულ საქმეს ახალი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნები წარმოადგენს. ჯერ, როგორც მოგეხსენებათ, უკეთესთა შორის უკეთესნი უნდა შეირჩნენ, შემდეგ მათ შორის კიდევ უფრო საუკეთესო გამოიყოს და, თუ ეს უკანასკნელი ორჯერად ფარულ კენჭისყრაში გაიმარჯვებს, მაშინ იგი ქართველ მეცნიერთა ეროვნული კორპორაციის წევრი გახდება. ამ საქმეში ყოველთვის მრავალი ორგანიზაცია და კერძო პირი მონაწილეობს. ასეც უნდა იყოს. აკადემიის წესდება ითვალისწინებს, რომ ასარჩევი კანდიდატების საქმიანობა სახალხოდ უნდა იქნეს განხილული. ასარჩევ კანდიდატებზე ყველას თავისი შეხედულება აქვს და მათ შორის, რა თქმა უნდა, აკადემიის პრეზიდიუმსაც. და აი, ერთ-ერთი ასეთი არჩევნების დროს რაფიელ დვალმა და მე მოვიწვიეთ ბატონი ალექსანდრე წულუკიძე და თითოეულ წარმოყენებულ კანდიდატზე მცირე პრეზიდიუმის წევრების აზრი მოვახსენეთ. ასარჩევთა შორის ერთი პრეზიდენტის პირადი მეგობარი იყო. ცოდვა აღიარებული სჯობია და ჩვენ ამ უკანასკნელზე განსაკუთრებით გავამახვილეთ ყურადღება, თუმცა ბატონ ნიკოს ამის შესახებ ჩვენთვის არაფერი არ უთქვამს. ბატონი ალექსანდრეს შეხედულებები და ჩვენი მოსაზრებები ძირითადად დაემთხვა ერთმანეთს. ვერ შევთანხმდით მხოლოდ „ნიკოს მეგობარზე“. აკადემიკოს-მდივანი დაგვპირდა, რომ, როგორც თანამდებობის პირი, ჩვენ დაგვიჭერდა მხარს, ხოლო როგორც მედიკოსი, თავის აზრსაც იტყოდა. მისი შეხედულება მთლად არ მოგვეწონა, მაგრამ რას ვიზამდით!

შედგა განყოფილების სხდომა. ბატონმა ალექსანდრემ შესანიშნავად დაახასიათა ყველა კანდიდატი, კრებას მოახსენა, თუ ვინ უჭერდა მათ მხარს, რა დადებითი და უარყოფითი დასკვნები იყო მიღებული,

რა აზრისაა აკადემიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მათზე. ამის შემდეგ ცხოველი კამათი გაიმართა. როდესაც თითქოს ყველაფერი დამთავრდა და კენჭისყრა უნდა დაწყებულიყო, ბ-ნმა ალექსანდრემ კვლავ აიღო სიტყვა და კრებას მოახსენა:

— ბატონებო, მე თქვენ მოგახსენეთ აკადემიის ზოგიერთი ხელმძღვანელის შეხედულებები, როგორც განყოფილების აკადემიკოსმდივანმა; ახლა ნება მიბოძეთ ერთ-ერთ ასარჩევ პირზე გაგიზიაროთ პირადად ჩემი მოსაზრებები. მე, ალექსანდრე წულუკიძე, როგორც ქართველი კაცი და მედიკოსი, წინააღმდეგი გახლავართ მისი არჩევისა. თვითონ აქ ბრძანდება და იმედია, ასეთ გულახდილობას მაპატიებს და მოთმინებით მომისმენს.

დახასიათება, რომელიც ბატონმა ალექსანდრემ ამ ასარჩევ პირზე წარმოადგინა, თუმცა უაღრესად მკაცრი იყო, მაგრამ დასაბუთებული. მის შემდეგ არავის არაფერი უთქვამს. კენჭისყრა ჩატარდა, საკადავო კანდიდატი არ აირჩიეს.

მეორე დღეს ბატონი ალექსანდრე პრეზიდენტთან მობრძანდა და არჩევნების შედეგები მოახსენა. საუბრის დასასრულს ბოდიში მოიხადა:

— ბატონო ნიკო, რაც მოხდა, უნდა მაპატიოთ, მე, რომ თქვენი მეგობრის არჩევისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არ გამომემჟღავნებინა, მას ალბათ მაინც არ აირჩევდნენ, მაგრამ ასეთი მოქმედება არც მე და არც თქვენ არ გვეკადრებოდა.

— ბატონო ალექსანდრე, რას ბრძანებთ, მე პირველად მესმის, რომ მას ჩვენი ზოგიერთი წევრი მხარს უჭერდა; თქვენ დიდებული საქმე გააკეთეთ. დაე, გაიგონ, რომ აკადემიის ნამდვილი წევრი რომ გახდე, მხოლოდ პრეზიდენტის პირადი მეგობრობა არ არის საკმარისი. ეს მომავალში სხვებმაც უნდა გაითვალისწინონ, — ჩაკენწლა ნიკო მუსხელიშვილმა.

წლებმა ჩვენი ასაკობრივი სხვაობა თანდათან წაშალა და უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს.

ბატონი ალეკო (როგორც მას შინაურები ეძახდნენ) ყოველწლიურად დაბადების დღეს დღესასწაულობდა, ახლობლებთან ერთად სადილობდა, მრავალ საინტერესო ამბავს იგონებდა. მე და რაფიელიც გავხდით მისი ტრაპეზის წევრები.

გადიოდა დრო და ბატონი ალეკო თანდათან ერიდებოდა ზედმეტ ფიზიკურ დატვირთვას. ახლა უკვე გული იყო მისი მთავარი მბრძანებელი. მიუხედავად ამისა, დაბადების დღეს ძველებურად იხდიდა. ჩამოდგა მერვე ათეულის მეორე ხუთეულის იანვარი და უკვე ერთი

წელი ხდებოდა, რაც ბატონი ალეკო აკადემიაში აღარ ჩანდა. რაფიელმა და მე ვერ იქნა და ვერ გადავწყვიტეთ როგორ მოვქცეულიყავით: წავსულიყავით მასთან სანახავად, თუ დაბადების დღისათვის დაგვეცადა. რამდენიმე დღეღა რჩებოდა ბატონი ალეკოს დაბადების დღემდე, რომ შეშინებულმა მდივანმა ნახევრად ღია კარებში შემოგვძახა:

— აკადემიკოსი წულუკიძე ცუდად არის, მოგვეშველეთო. — ბატონი ალეკო მოსაცდელი ოთახის სავარძელში ჩამჯდარიყო და გაფითრებულ სახეზე ოფლს იწმენდდა. ხალხი სწრაფად მოგროვდა და სხვადასხვაგვარ წვეთებს სთავაზობდნენ. ყველაფერზე უარი გვითხრა. გვანიშნა — დამტოვეთ, მეტი არაფერი არ მინდაო. შეტევამ თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ გაუარა, ნელა წამოდგა და სამუშაო ოთახში შემოგვყვა. ახლა უკვე ლაპარაკიც შეეძლო და სახის ფერიც ნორმალური ჰქონდა.

— მეგობრებო, მე თქვენთან მოვედი. ორივეს უნდა გთხოვოთ, 22 იანვარს ჩემთან მობრძანდეთ, ერთად ვისადილოთ, — მოგვმართა ბატონმა ალექსანდრემ.

ჩვენ გაოცებული დავრჩით. მიხვდა, რომ ჩვენ უსიტყვოდ ვეკითხებოდით:

— ბატონო ალეკო, ამისთვის რატომ შეიწუხეთ თავი, თქვენ ხომ შეგეძლოთ ტელეფონით დაგერეკათ!

— მე ძველი კაცი ვარ, ოდესღაც თავადიც გახლდით. პატივისცემა თუ არის, ორივე მხრიდან უნდა იყოს: შევარცხვინე ისეთი მასპინძელი, რომელიც მეგობარს თუ ახლობელს ტელეფონით ან სხვისი პირით დაპატიჟებს. მე მგონია, სწორად გამიგებთ. მაპატიეთ, რომ ცოტა შეგაშინეთ. მიჭირს, ძალიან მიჭირს დავიჯერო, რომ ალექსანდრე წულუკიძემ უეჭველად გამოზომილი ნაბიჯით უნდა იაროს! თქვენ არ იფიქროთ, რომ მე განწყობილება შემეცვალა, სახლში ყველაფერი ძველებურად იქნება. ბატონო სერგი, მენიუ ჩემებურად დავამზადე. ყველას დაგირიგებთ, რომ არაფერში მოვტყუვდეთ და წინასწარ იცოდეთ, თუ რა სასმელ-საჭმელი რა დროს იქნება სუფრაზე მორთმეული. შენი ჭიათურელი მეგობრები, ჩემი დისშვილები, ძმები გამრეკელებიც იქ იქნებიან. იქნებ სიმღერაც კი მოახერხონ! თამადად ან თომა ჯაფარიძე ავირჩიოთ, ან რაფიელ დვალი, ორივე პატიოსანი რაჭველია. ახლა თქვენი ნებართვით დაგტოვებთ.

არ ქნა და კიბეზე არ ჩაგვიყოლია. გოლიათური შესახედაობის ვაჟკაცმა დინჯი და მშვიდი ნაბიჯით დატოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობა.

1980

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის შენობის ნაწილი ომის წლებში სხვა უწყებას ეკავა, ლაბორატორიები არ მოქმედებდა, საცდელი ნაკვეთები მოუვლელი იყო, დაწესებულებას არავითარი სატრანსპორტო საშუალება არ გააჩნდა, ვაზის უძვირფასესი ჯიშების კოლექცია იღუპებოდა. ინსტიტუტი სულს ღაფავდა...

1944 წელს ფრონტზე ჩვენი ჯარების წინსვლამ, სამამულო ომში გამარჯვების მოახლოებამ თავისი ცხოველმყოფელი სულიერი სითბო ჩვენც შთაგვბერა და ინსტიტუტის კოლექტივი შესამჩნევად გააქტიურდა. შენობა დავიბრუნეთ, ვენახში მიწის ბელტი გადაბრუნდა, ვაზის პწკალი კვლავ შემოეხვია საყრდენს, ყურძენი შეთვალდა და ჯიშნარი ძველებურად აფერადდა. ყველანი მოუთმენლად ველოდით დიდი ხნის ნანატრ რთველს. საადრეო ჯიში შასლა იმდენ მოსავალს გვპირდებოდა, რომ შეგვეძლო გაგვეყიდა კიდეც. თუ მას, როგორც სუფრის ყურძენს, აგვისტოში ჩავაბარებდით, მაშინ სექტემბრისათვის დაწესებულ ფასთან შედარებით ორჯერ მეტ თანხას გადმოგვირიცხავდნენ. საცდელი ნაკვეთები სამეურნეო ანგარიშზე იყო და უფლება გვქონდა ყურძნიდან მიღებული შემოსავალი ისევ ვენახების მოვლა-პატრონობაზე დაგვეხარჯა. საჭირო იყო მხოლოდ ერთი დახმარება: აკადემიას ნება უნდა დაერთო ჩვენთვის, რომ ნაადრევი მოსავალი სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციისათვის ჩაგვებარებინა.

იმ ხანად პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი მოსკოვში იმყოფებოდა და ნებართვისათვის მის დროებით შემცვლელს აკადემიკოს ალექსანდრე ჯანელიძეს მივმართეთ. ბატონმა ალექსანდრემ მისთვის ჩვეული დიდი თავაზიანობით მიმიღო და ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. გაიხარა მოსავალს რომ კარგი პირი უჩანდა და მითხრა:

— ყურძნის გაყიდვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების გარეშე უხერხული იქნება; სხდომა ორი კვირის შემდეგ გვექნება. ამ დროისათვის ბატონი ნიკოც ჩამოვა და პირობას გაძლევთ, რომ ამ საკითხს მე თვითონ მოვახსენებო.

ორი კვირის შემდეგ უკვე სექტემბერი დგებოდა და ჩვენი ნაცოდვილარი მოსავლის ღირებულება, როგორც უკვე მოგახსენეთ, თითქმის განახევრდებოდა. კვლავ შევეცადე შეძლებისამებრ დამაჯერებლად დამეხატა ჩვენი უმწეო ფინანსური მდგომარეობა; ავწერე, თუ რა უბედურება იქნებოდა ინსტიტუტისათვის, რომ ძლივს ორი კაპიკის მოპოვების საშუალება გაგვიჩნდა და ახლა ისიც დაგვეკარგა.

— ბატონო სერგი, ვისი ბრალია მერე? ყურძნის გასაღების ასეთი წესი რომ არსებობდა, ხომ იცოდით, სად იყავით აქამდე? — განმიმარტა ბატონმა ალექსანდრემ.

თვალწინ დამიდგა, თუ როგორ ელოდნენ ჩემს ჩასვლას და როგორ შეხვდებოდნენ ამ ცნობას ინსტიტუტში. კვლავ შევბედე:

— ორი კვირის განმავლობაში საადრეო ყურძენს ვერ დავიცავთ. ჩვენ ვენახებს ოთხივე მხრიდან სოფლის გზები არტყია და სინამდვილეში ნახევარი კი არა, ღირებულების ერთი მეათედიც აღარ დაგვრჩება.

ბატონმა ალექსანდრემ ნებართვის გაცემა მაინც არ იკისრა.

— არა უშავს, ახალგაზრდა კაცი ხართ და მომავალში კანონს მეტი პატივისცემით მოეკიდებით, ასეთი შეცდომა აღარ მოგივათ, კანონი კანონია და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს.

თელავში ხელცარიელი დავბრუნდი. დაიმსხვრა ჩვენი მაწვნის ქოთანი... არ სჯეროდათ, რომ ყურძნის ჩაბარების უფლება არ მოგვცეს. ეს შეუძლებელიაო, გაიძახოდნენ.

სექტემბრამდე შასლას მოსავლის დიდი ნაწილი დაგვეკარგა. რაც დარჩა, ისიც ნახევარ ფასად ჩავაბარეთ. ამის გამო რიგი აუცილებელი სამუშაოს შესრულება, სულ მცირე, ერთი წლით მაინც გადაიდო.

გავიდა თორმეტი წელი. მე უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ვიყავი, ბატონი ალექსანდრე განყოფილების აკადემიკოს-მდივნად მუშაობდა და პრეზიდიუმში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი ხშირად იგონებდა აქ აღწერილ შემთხვევას და დამმოძღვრავდა ხოლმე:

— ის ზედმეტად აღებული ფული ხომ მაინც დაიხარჯებოდა, თქვენ კი, ხომ ხედავთ, რა წესიერი კაცი დადექითო.

რა იცოდა ბატონმა ალექსანდრემ, რომ მე ისევ იმ „უწესო“ კაცად დავრჩი, რადგან კვლავინდებურად შეცდომად მიმაჩნდა, რომ აკადემიის ხელმძღვანელმა ყურძნის თავის დროზე გასაღების უფლება არ მოგვცა.

1980

მამის გული

ორმოციან წლებში პროფესორი შოთა ძიძიგური თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრას განაგებდა და ქართულ ენაში კითხულობდა ლექციებს. ამავე პერიოდში მე როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ვხელმძღვანელობდი იქ-

ვე. ინსტიტუტში მუშაობის პირველივე წლებში დავრწმუნდი, რომ თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ წერაში მოიკოჭლებდა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად პროფ. შ. ძიძიგური მოვიწვიე. ასეთმა ღონისძიებამ ზოგიერთი მეცნიერი თანამშრომელი გააღიზიანა: აქ რა, ნუცას სკოლაა გვიხსნიანო. დასარწმუნებლად აუცილებელი შეიქნა საკონტროლო წერა. ბატონი შოთაა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს დიდი ტაქტით შეასრულა. გამოსაცდელ მოწაფეთა შორის, რა თქმა უნდა, მეც ვიყავი და, როგორც შემდგომ აღნიშნეს, ჩემს მიერ წამოწყებულ საქმეზე ერთგვარი დადებითი გავლენა ამას მოუხდენია.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენმა ახალმა მასწავლებელმა გასწორებული რვეულები მოიტანა და ყველას გაუკვირდა, როდესაც მან პერსონალურად არავინ არ დაასახელა; ზოგადად გაგვაცნო, თუ რა სახის შეცდომები გვქონდა დაშვებული, როგორ უნდა გვემუშავა, რომ წერა მოკლე დროში უკეთესად შეგვძლებოდა. ყველა დაინტერესდა და სწავლის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე დასაწყისში ვვარაუდობდით.

შედგა პროგრამა, ჩამოყალიბდა ჯგუფი და გაჩაღდა მუშაობა.

— ასეთი მაღალი მეცნიერული რანგის და განსხვავებული ასაკისა და სპეციალობის მსმენელები და თანაც ასეთი ნიჭიერნი, აბა, ვისა ჰყოლიაო, — ხუმრობდა ხოლმე ჩვენი ხელმძღვანელი.

გავიდა თითქმის ნახევარი წელი და შოთამ მიიჩნია, რომ ამიერიდან მხოლოდ დამოუკიდებელი მუშაობა იყო საჭირო. აღგვითქვა, რომ დროდადრო კვლავ შეგვამოწმებდა და დაგვეხმარებოდა. ეს პირობა მას არ დაურღვევია. ზოგიერთი მისი მაშინდელი მოწაფე ახლაც დიდი მადლობით იგონებს პროფესორ შოთა ძიძიგურის შესანიშნავ ლექცია-გაკვეთილებს.

მოწყობილი ღონისძიების დადებით შედეგს ინსტიტუტის თანამშრომლები ნათლად გრძნობდნენ. როდესაც ბატონი შოთა ინსტიტუტში გამოჩნდებოდა, ყველანი შემოეხვეოდნენ და ახალ-ახალ კითხვებს სეტყვასავით დააყრიდნენ ხოლმე.

1949 წლის მაისში ერთ-ერთი ასეთი კონსულტაციის შემდეგ ორივემ მანქანით თბილისისკენ გამოვწიეთ. იქვე დავთქვით, რომ პური ბუნების წიაღში გაგვეტეხა. ჩემმა ძველმა მეგობარმა, მანქანის პატრონმა მიხეილ ტატიშვილმა გვირჩია, რომ ივრის პირას ჩაგვეშუხლა. საგზლად კახური შოთი, თუშური ყველი და ნაფარეულის თეთრი მოგვქონდა. თბილისისაკენ გომბორის გზით წამოვედით. უკან ჩამოვიტოვეთ ცივ-გომბორის მთები და ივრის პირს გავყევით. ამოვირჩიეთ ჩვენი მხიარული გუნება-განწყობილების შესაფერი ადგილი და ისეთი გულმოდგინებით შევუდექით სუფრის გაშლას, გეგონებო-

დათ, საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს ველოდით. სუფრა უკვე მზად იყო, როცა მიხეილმა გვთხოვა:

— ნუ აჩქარდებით, ერთი ნახევარი საათიც დამიცადეთ. აქვე მეცხვარეები მეგულება და იქნებ მწვადებიც დავატრიალოთო.

რა დასამალია და გემრიელი წახემსება ორივეს ძალიან გვიყვარდა; წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ცდა დიდხანს არ დაგვჭირვებია, მიხეილმა შვლის ნუკრივით ლამაზი, პატარა თიკანი მოიყვანა.

— თქვენ თუთის ხის ტოტები მოაგროვეთ და მე თიკანს მოშორებით დავკლავო, — დაგვასაქმა ტატიშვილმა.

ორივენი დავალების შესრულებას შევუდექით. შოთა დაინტერესდა:

— რატომ მაინცა და მაინც თუთის ხე უნდა იყოს, სხვა შეშა არ გამოდგება თუ რა?!

ვიხელთე დრო და ჩემი მეგობარი თანდათანობით შევიყვანე მცენარეთა ქიმიური შედგენილობის ლაბირინთში. ვუხსნიდი, თუ შეშის წვისას როგორ ორთქლდება ზოგიერთი ნაერთი და რა გზით აუმჯობესებს ხორცის ფერს, არომატსა და გემოს. ხალხური თქმაც მოვიშველიე: „ნეტავ ისე არ მოვკვდე დეკაზე ნახუხი მწვადი არ მაჭამა და თოვლის ნაყური წყალი არ დამალევინაო“.

შოთამ შეატყო, რომ ახლა ჩემი გაჩერება არც ისე იოლი იყო და მოკლედ მომიჭრა:

— უფლება მივცეთ ფენოლურ ნაერთებს იმოქმედონ ისე, როგორც მათ სურთ. ახლა საჭიროა პრაქტიკული საქმიანობა გავაძლიეროთ. მე უკვე ჯამში ვხედავ პირველყოფილი ადამიანის რეცეპტით დამზადებულ მწვადს.

დაამთავრა თუ არა პათეტიკური მოწოდება, გაისმა თიკნის გაბმული ბღავილი. წუთით ორივენი შევჩერდით. შოთა ხის კუნძზე დაეშვა და გაირინდა. მე მიშასაკენ წავედი და მას მივეშველე. ნახევარ საათში ყველაფერი მზად იყო და სუფრას სამივენი მივუსხედით. რამდენიმე წუთში შოთა წამოდგა და მორიდებით მოგვმართა:

— ცოტა ხანს მდინარის პირას გავივლი, არ გეწყინოთ; თქვენ უჩემოდ დაპურდით და, როდესაც წასვლას დააპირებთ, დამიძახეთო.

შევშინდით, შოთა ძიძიგურის მაგიერ ჩვენს წინ ვიღაც სხვა კაცი იდგა ალბა რაღა დროს საუზმე იყო. მიშას ვანიშნე, რომ რაც შეიძლება სწრაფად გვეკლო. გადავწყვიტეთ შოთა პირდაპირ სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში მიგვეყვანა. ჩვენოვის აშკარა იყო, რომ მას შეტევა ჰქონდა, მაგრამ რისი?!

მიშას მანქანა მაქსიმალური სიჩქარით მიჰყავდა. სამგორის ველზე შოთამ მანქანის გაჩერება გვთხოვა, ცოტა ხანს ფეხით ვიაროთო. რამ-

დენიმე წუთის შემდეგ ორივეს შუაში ჩაგვიდგა, მხრებზე ხელი მოგვხვია და ყრუდ გვითხრა:

— მაპატიეთ, მეგობრებო, რა მომივიდა, მეც არ ვიცი; ალბათ გონს გადავედი. როდესაც საცოდავი ციკნის საოცრად გულშემზარავი ხმა შემომესმა, რატომღაც მომეჩვენა, რომ ეს ჩემი ბიჭი იყო, შვილის ხმა მესმოდა... სერგო, შენ ხომ იცი, ის ახლა გახდა ორი წლის. რაც შეგიძლიათ, მალე მიმიყვანეთ სახლში.

თბილისში უხმოდ ჩავედით.

შოთამ შინ არ შეგვიწვია.

1980

გაელვება

შალვა ცინცაძე პირველად 1936 წელს ვნახე. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ხმა დაირხა, რომ საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული მეცნიერი შალვა ცინცაძე ინსტიტუტში აგროქიმიის კათედრას აყალიბებსო. ერთ დღეს, თუ არ ვცდები, მარტში, ბატონი შალვა ბიოორგანული ქიმიის კათედრას ეწვია. მას თან ახლდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის ორი მოადგილე — იოსებ ბაჯაძე და ნიკოლოზ ხომიზურაშვილი. კათედრის გამგემ ვარლამ ღვალაძემ ისინი მეტად თავაზიანად მიიღო. მსჯელობა საქართველოში აგროქიმიური კვლევის გაძლიერებას შეეხებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ნიკოლოზ ხომიზურაშვილმა საუბარი გერმანულ ენაზე გადაიტანა და ცინცაძეს ჩვენი კომპლექსური ლაბორატორია შესთავაზა. შალვა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, შეხედა ღვალაძეს და დირექტორის მოადგილეს უპასუხა:

— ბატონო ნიკოლოზ, ერთი ლაბორატორია რომ დავხუროთ და მის მაგიერ მეორე გავხსნათ ამით საქმეს წინ ვერ წავწევთ. ჩემი მიზანია საქართველოში კვლევის ახალი ცენტრები შევქმნა. და კიდევ ცნობისათვის — ბატონმა ვარლამმა გერმანული ენა კარგად იცისო.

რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენ ყველანი მის მოხსენებაზე მიგვიწვიეს. შალვა ცინცაძემ აგრონომიული ქიმიის აქტუალური პრობლემები ნათლად წარმოაჩინა, ასევე მკაფიოდ გააშუქა მათი გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდოლოგია და მეთოდები. საუბრის ბოლოს დაგვირიგა მის მიერ შექმნილი ეგრეთ წოდებული „ცინცაძის რეაქტივებისა“ და „ცინცაძის საკვები ნაზავების“ უცხოეთში სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი სარეკლამო ფერადი ფურცლები.

ამ დღეს ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა შალვა ცინცაძის ასაკმა. ახალგაზრდა კაცმა 36 წლის ასაკამდე როგორ

შეძლო ამდენი რამის გაკეთება, როგორ მოიპოვა მსოფლიო სახელი. ამავე დროს გამოაცა მისმა უმაღლესმა ადამიანურმა ტაქტმა კოლეგების მიმართ და მეცნიერული ხედვის სრულყოფამ. იგი ერთდროულად და თანაბრად ხედავდა უდიდეს პრობლემებს, მათი გადაწყვეტის გზებს და მოსალოდნელ შედეგებს. სამწუხაროდ, მასთან ჩემი პირველი შეხვედრა აღმოჩნდა უკანასკნელიც, მან კომეტასავით გაიელვა ქართული საბჭოთა მეცნიერების კაბადონზე.

1984

„ვაი ჩვენი ბრალიცა“

1937 წელი იყო. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ორი თვის მანძილზე სამი დირექტორი გამოიცვალა. ამ პერიოდში დირექტორის ერთ-ერთ მოადგილედ პროფესორი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი მუშაობდა. სპეციალური განათლება მას გერმანიაში ჰქონდა მიღებული და ზოგიერთს ამის გამო იგი საეჭვო პირად მიაჩნდა.

ერთ დღეს ინსტიტუტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ერთ-ერთმა „აქტივისტმა“ ნიკოლოზი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მავნებლად გამოაცხადა. ბრალმდებელმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „შეხედეთ რა ფერი ადევს სახეზე და თქვენ დარწმუნდებით. რომ ის ჩვენი კაცი არ არის“. იდგა ნირწამხდარი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი თანამშრომლების წინაშე და არ იცოდა, რა ეთქვა ან როგორ მოქცეულიყო...

თუ რას ნიშნავდა ეს კრება მაშინ, ახლა ძნელი წარმოსადგენია.

კრება გვიან დამთავრდა. ხალხი ინსტიტუტის ეზოდან ტრამვაის გაჩერებისაკენ გაეშურა. ჩამოდგა ორი ვაგონი. ერთი სწრაფად გაიჭედა მგზავრებით, მეორეს კი, სადაც ნიკოლოზ ხომიზურაშვილს მოესწრო ასვლა, არავინ ეკარებოდა, ვაგონი ცარიელი იყო, ხალხი კი შემდეგი ტრამვაის მოსვლას ელოდა. გამოჩნდა იულონ ლომოური. ნელი ნაბიჯით მოდიოდა. მიუახლოვდა თუ არა ცარიელ ვაგონს, იქ ახლოს მყოფთ აძახა „ვაი, ჩვენი ბრალიცაო“, — და ნიკოლოზ ხომიზურაშვილს გვერდით მიუჯდა; მას სხვებიც მიყვნენ და ერთგვარი დაძაბულობა თითქოს შენელდა.

არავინ ელოდა, რომ მეორე დღეს ნ. ხომიზურაშვილი ისევ ინსტიტუტში გამოჩნდებოდა. საეჭვო მდგომარეობა კარგა ხანს გაგრძელდა. ზოგიერთი პროფესორ-მასწავლებელი ნიკოლოზთან შეხვედრას მომდევნო დღეებშიაც ერიდებოდა. საბოლოოდ სიმართლემ გაიმარჯვა და ნ. ხომიზურაშვილი უვნებელი დარჩა.

— იულონ ლომოური რომ არა, მე დღეს ალბათ ცოცხალი აღარ ვიქნებოდიო, — იგონებდა შემდეგში პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი.

პროფესორ იულონ ლომოურის პრინციპულობა, ობიექტურობა და უკომპრომისობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. იულონი ხალხის საყვარელი მწერლის, ცნობილი ქართველი ხალხოსნის და მასწავლებლის ნიკო ლომოურის ვაჟიშვილი იყო. აგრონომიის დარგი მას მამამ შეაყვარა. იულონმა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება დაამთავრა და შემდეგ უმაღლესი აგრონომიული განათლება პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღო. მისი მასწავლებლები იყვნენ მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერები დ. პრიანიშნიკოვი და ვ. ვილიამსი.

1919 წელს ი. ჯავახიშვილმა ი. ლომოური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიწვია. იულონ ლომოური საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ორიგინალური სახელმძღვანელო „მარცვლეული კულტურები“ (პირველი ტომი 1946 წელს გამოვიდა, მეორე — 1950 წელს). ბატონი იულონი წერს: „ყოველმხრივ ვცდილობდი, რომ წიგნი ქართული გამოსულიყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი პირობები, გეოგრაფიული ლანდშაფტი, ჰავა და ბუნება მემცენარეობას სრულიად განსხვავებულ სპეციფიკას ანიჭებს“. ავტორის მიზანი სრულად იქნა მიღწეული: „მარცვლეული კულტურები“ კლასიკური ქართული სახელმძღვანელოა, რომელიც მეოთხე ათეული წელია ემსახურება ქართული აგრონომიული აზრის განვითარებას და ქართველი სწავლული აგრონომების აღზრდას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როდესაც დადგა „ბიოლოგიის განკითხვის ჟამი“ და ჯერი აგრონომიაზეც მიდგა, 1949 წლის 5 აპრილს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში იულონ ლომოურის წიგნის „მარცვლეული კულტურების“ საჯარო განხილვაც მოეწყო. ზოგიერთებს სურდათ ავტორი გამოეცხადებინათ მიჩურინის, ლისენკოს, ვილიამსის მოწინააღმდეგედ. იყვნენ „სპეციალისტები“, რომლებიც „ამტკიცებდნენ“, რომ ლომოურის დებულებები მავნებლური ხასიათისაა და მას უმაღლესი სასწავლებლის კარები უნდა დაეხშოსო. ამის გამო პროფ. გ. ბადრიშვილი წერდა: „ი. ლომოურს სწამდა თავისი მასწავლებლის, როგორც თვითონ უწოდებდა — დიდი ენერგიისა და ერუდიციის, ბრწყინვალე ორატორის — ვილიამსის მოძღვრება მიწათმოქმედების

ნათეს-ბალახიანი სისტემის შესახებ და დიდ პატივს სცემდა მის ავტორს, მაგრამ საქართველოს კონკრეტულ პირობებში შეუძლებლად მიაჩნდა მისი უცვლელად განხორციელება“.

ბატონმა იულონმა მეცნიერული სიმართლის დამკვიდრებისათვის ყოველგვარი პირადული სასწორზე დასდო, დაივიწყა... მისი ვაჟი, ჩვენი ცნობილი მეცნიერი-ისტორიკოსი ნოდარ ლომოური იგონებს:

— იმ წელს საშუალო სკოლას ვამთავრებდი და კარგად მესმოდა, თუ რა საშიშროების წინაშეც იდგა მამა. დისკუსიის წინა ღამეს ჩემი მშობლები დიდხანს საუბრობდნენ. მე გვერდით ოთახში ვიწექი, კარები ღია იყო და თითქმის ყველაფერი მესმოდა. მათ შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ნატალია, შენ კარგად იცი, რომ მე ხვალ დისკუსიაში მეცნიერული ჭეშმარიტება უნდა დავიცვა, სხვაგვარად არ შემიძლია! და მაინც ერთი აზრი არ მასვენებს: ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ჩემს მეცნიერულ „სიჯიუტეს“, ვაი თუ ამ შეუპოვრობით ჩვენ შვილს გამოუსწორებელი ზიანი მივაყენო, მომავლის გზა ავუბნიოთ... შენ რომ ჩემს ადგილზე ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდი?

— იულონ, შენი გადაწყვეტილება ნამდვილად სწორია, მეც ისე მოვიქცეოდი, როგორც შენ ფიქრობ. ჩვენი ნოდარის მოქალაქეობრივი მრწამსისათვის, მისი მომავლისათვის სწორედ ისაა საჭირო, რასაც შენ აპირებ. იგი სამუდამოდ შეიგნებს, რომ პატიოსანმა კაცმა სიმართლეს არასოდეს არ უნდა უღალატოს!

მამამ მადლობა გადაუხადა დედას: შენგან სხვაგვარ პასუხს არც მოველოდი, სულიერი სიმშვიდე განმიმტკიცეო.

ამჯერადაც სძლია კეთილმა ბოროტს და ი. ლომოურმა დისკუსიაში გაიმარჯვა.

შემდეგში, როდესაც ამ ამბავს იგონებდა, ბატონი იულონი საუბარს თავისი საყვარელი ფრაზით ამთავრებდა ხოლმე — ვაი ჩვენი ბრალიცაო!

ი. ლომოურის პრინციპულობამ, ობიექტურობამ და ავტორიტეტმა პირადად მეც გამიწია დიდი დახმარება.

1943 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციამ ნახევარ შტატზე გადამიყვანა და კვლავ ბიოქიმიის კურსის ხელმძღვანელად დამტოვა. პროფ. ვ. ღვალაძის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს შეთავსებით ბიოორგანული ქიმიის კათედრასაც ვხელმძღვანელობდი. როდესაც კათედრის დოცენტი ბ. ივანოვი ჯარიდან დაბრუნდა, კათედრა, ჩემი თხოვნით, მას გადაეცა, ხოლო ბიოქიმიის

და ენოქიმიის კურსები მე ჩამაბარეს. ორივე საგანს ვკითხულობდი 1953 წლამდე. ამ წლის სექტემბერში, როდესაც პირველი ლექციის წასაკითხად მივედი, გამოირკვა, რომ უკვე მეორე თვეა სამსახურიდან განთავისუფლებული ვარ და ბიოქიმიის კურსი კათედრის ერთ-ერთი ასისტენტისათვის გადაუციათ. გამიკვირდა, რომ ამის შესახებ არაფერი მაცნობეს, მით უმეტეს, რომ აგვისტოში ქ. ქუთაისში დირექტორს შევხვდი და ჩემი ახალი სასწავლო გეგმები გავაცანი. არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ ამაოდ ვირჯები! 28 წლის პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის შემდეგ ისე ამომაგდეს იმ ინსტიტუტის შტატიდან,სადაც გავიზარდე, რომ არც ერთი სიტყვა არ მითხრეს...

სექტემბრის მიწურულში, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაში მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის საქმეებზე მივედი, აკად. ნიკო კეცხოველმა მომილოცა: სერგი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ლექციები დაგიბრუნეს. იულონ ლომოურმა შენს ბიოგრაფიაში ახალი ფურცელი ჩაწერაო. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამენციერო საბჭოზე პროფ. ი. ლომოურს მოუთხოვია დირექციისაგან ახსნა-განმარტება, თუ რა მოსაზრებები დაედო საფუძვლად პროფესორის შეცვლას ასისტენტით და დაუხასიათებია ჩემი მუშაობა ინსტიტუტში. ი. ლომოურისათვის მხარი დაუჭერია პროფ. დიმიტრი გედევანიშვილს. აზრის გაცვლა-გამოცვლას მწვავე ხასიათი მიუღია. სამეცნიერო საბჭოს გამოუტანია დადგენილება: ეთხოვოს ინსტიტუტის დირექციას გააუქმოს ბრძანება ს. დურმიშიძის განთავისუფლების შესახებ. დირექტორმა საბჭოს თხოვნა შეასრულა და მე კვლავ დავუბრუნდი ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

როდესაც ბატონ იულონთან მადლობის სათქმელად მივედი, გამიღიმა და თავისი საყვარელი გამოთქმა მოიშველია:

— რას იზამ, სამართლიან საქმესაც ზოგჯერ დაცვა ესაჭიროება. ეაი, ჩვენი ბრალიცაო.

1984

ᲜᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

70 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელის და უანგარო საზოგადო მოღვაწის ვარლამ ზაქარიას ძე ღვალაძის დაბადებიდან.

დიდია პროფესორ ვ. ღვალაძის დამსახურება ქართული ბიოქიმიური მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში.

ორი ათეული წელია, რაც იგი ჩვენს რიგებში აღარ არის და მაინც კვლავ ძლიერია მისი ორიგინალური აზროვნებისა და უმწიკვლო მეცნიერული კეთილსინდისიერების გავლენა ქართველ ბიოქიმიკოსებზე, ტექნოლოგებზე, კვების მრეწველობის მუშაკებზე.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიპყრო მან ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და შრომის დიდი უნარის მქონე ახალგაზრდამ. 1923 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი და იქვე იქნა დატოვებული ასისტენტად ენოქიმიასა და ღვინოს მიკრობიოლოგიაში.

ყოველი მკვლევარის დახასიათებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს მისი მეცნიერული მიმართულების რაობას. ის, თუ რა პრობლემას აირჩევს ახალგაზრდა კვლევისათვის, საკმაოდ ნათლად მეტყველებს მის ინტერესებზე, შინაგან ძალასა და მეცნიერულ გემოვნებაზე. რა მდგომარეობა იყო ბიოქიმიასა და ენოქიმიაში მაშინ, როდესაც ვ. ღვალაძე სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა და რა პრობლემა აირჩია მან კვლევისათვის?

მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები ბიოქიმიური პროცესების შუალედურ გარდაქმნებზე მუშაობდნენ; ბიოქიმიის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას სუნთქვისა და დუღილის ქიმია წარმოადგენდა. განსაკუთრებით ბრწყინავდა ორი სკოლა: ბერლინისა და ლენინგრადის, კარლ ნეიბერგისა და სერგეი კორტიჩევის. თითქმის ყოველ თვეს მოჰქონდა ახალ-ახალი ფაქტები დუღილის ქიმიიდან და თანდათანობით იშიფრებოდა პროცესების შინაგანი ბუნება, პროცესებისა, რომლებიც ყოველი ცოცხალი უჯრედის არსებობას ედო საფუძვლად. ვარლამ ღვალაძემ უყოყმანოდ დუღილის ბიოქიმია აირჩია, გადაწყვიტა მსოფლიოს სახელოვანი მეცნიერების გვერდით ევლო დუღილების უღრანსა და დაბურულ ტყეში, გონების თვალით ეძია ის ბილიკები, რომლითაც შაქრის დაშლის პროდუქტები უჯრედს გარეთ შარაგზაზე გამოდიან.

ხუთი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ, როდესაც მან უკვე დაიმსახურა ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარის სახელი, მიეწვინებულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში აკად. ს. კორტიჩევთან. აქ მან შეასრულა ბრწყინვალე შრომა რძემჟავას დუღილის ქიმიზმზე, რომელიც გერმანულ და ფრანგულ ენებზე გამოქვეყნდა.

აკადემიკოსი ს. კორტიჩევი წერდა, რომ ვ. ღვალაძემ თავი გამოიჩინა, როგორც შესანიშნავმა ექსპერიმენტატორმა და მტკიცე ნებისყოფის მკვლევარმა და რომ იგი დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა მეცნიერია.

მასწავლებლის შეხედულება გამართლდა. ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ ღვალაძე დიდი გატაცებითა და ენერგიით შეუდგა დუღილთა ქიმიზმის კვლევას. მისმა ნიჭმა, ერუდიციამ, საქმისადმი სიყვარულმა და უაღრესად სპეტაკმა ადამიანურმა თვისებებმა სწრაფად მიიქცია ახალგაზრდობის ყურადღება. ჩვენ ვიგრძენით, რომ ვარლამის სახით გვყავდა საუკეთესო მეცნიერული ხელმძღვანელი და უბადლო უფროსი მეგობარი. მის ირგვლივ სწრაფად შემოიკრიბა ახალგაზრდობა და გაიშალა მეცნიერული კვლევა-ძიება ტექნიკურ ბიოქიმიაში.

ამ პერიოდში ენოქიმია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა, არ იყო ჩამოყალიბებული, იგი უფრო წარმოადგენდა ღვინოში არსებული ნივთიერებების კვლევის მეთოდთა ჯამს. ვარლამ ღვალაძემ, ისარგებლა რა ბიოქიმიის უკანასკნელი მიღწევებით, ენოქიმიას ჩააქსოვა კონკრეტული ბიოქიმიური შინაარსი. 1930 წელს მან დაიწყო ლექციების კითხვა ენოქიმიაში და 1932 წელს უკვე გამოსცა ენოქიმიის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ახალგაზრდა ტექნოლოგებს მეცნიერული ცოდნით შეიარაღებაში. იმ დროს არც ერთ ენაზე არ არსებობდა ენოქიმიის მსგავსი სახელმძღვანელო.

ვ. ღვალაძე წლების განმავლობაში განაგებდა ენოქიმიის ლაბორატორიას საკავშირო მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (თელავი).

1936 წელს ვ. ღვალაძემ პირველმა სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერთა შორის წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხზე. ამ ნაშრომში მან გამოიკვლია და ჩამოაყალიბა ბუნებრივი ალკოჰოლური დუღილის ქიმიზმის ის ძირითადი კანონზომიერებანი, რომლებიც ამჟამად ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენს ყურძნის ტექნოლოგიის თეორიასა და პრაქტიკაში.

ნეიბერგის ლაბორატორიაში გაირკვა, რომ სპირტულ დუღილს შეიძლება ხუთი სხვადასხვა მიმართულება მიეცეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ შუალედურ ფაზაში შევწყვეტთ პროცესს. პასტერის დროიდან არ იყო დადგენილი სპირტული დუღილის ბალანსი; ბალანსის დადგენისას ყველა მკვლევარი ამოდიოდა დუღილის ძირითადი (პირველი) ფორმიდან. ვ. ღვალაძემ დაადგინა, დუღილის იმ ხუთი მოსალოდნელი ფორმიდან რომელს შეიძლება ჰქონოდა ადგილი ბუნებრივ პირობებში. ამასთან დაკავშირებით მას მოუხდა რამდენიმე ნაერთის გენეზისის შესწავლა (ქარვამჟავა, რძემჟავა, 2,3-ბუთილენგლიკოლი და სხვ.). გასაოცარი გონებამახვილური მიდგომით შეძლო მან დუღილის საბოლოო პროდუქტების მიხედვით იმის გარკვევა, თუ

დუღილის რომელი ფორმით რა რაოდენობის შაქარი გარდაიქმნება; ამის საფუძველზე მან შექმნა ჰიპოთეზა, რომელიც ხსნის ბუნებრივი სპირტული დუღილის დროს მიმდინარე ყველა ძირითად პროცესს.

1936 წელსვე პარიზში გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი ბიოქიმიკოსის ჟენევუას შრომა, რომელშიც ძირითადად იგივე ჰიპოთეზა იყო წამოყენებული, რაც ვარლამ ღვალაძეს ეკუთვნოდა. მას შემდეგ როგორც ჟენევუა, ისე სხვა ფრანგი მკვლევარები — რიბერო-გაიონი, პეინო და სხვ. აზუსტებდნენ და ავსებდნენ ამ ჰიპოთეზას, მაგრამ მაინც ვერ გასცდნენ ვ. ღვალაძის დებულებებს.

აღსანიშნავია, რომ ვ. ღვალაძემ ზუსტად განკვრიტა ზოგიერთი ზოგადი პრობლემის გადაწყვეტის გზებიც. ორ მაგალითს დავასახელებ.

იმ დროს (1932 წ.) არ იყო ცნობილი კრებსის ციკლი, არავინ იცოდა, რა როლს ასრულებდა ძმარმჟავას რადიკალი ჟანგვით პროცესებში. მიუხედავად ამისა, ვარლამმა მისთვის დამახასიათებელი უტყუარი მეცნიერული ინტუიციით სწორად წარმოიდგინა მისი გარდაქმნის გზები ჟანგბადის მონაწილეობით.

თუ ახლა ბიოქიმიაში პირველ რიგში პროცესთა რეგულაციას სწავლობენ და ცნობილია, როგორ გავლენას ახდენენ საწყის რეაქციებზე რეაქციის საბოლოო პროდუქტები, მაშინ ეს არავინ იცოდა. და მაინც ვ. ღვალაძემ სწორად განკვრიტა ეს საკითხიც და გარეშე და მეორეული პროდუქტების გავლენა ძირითად პროცესზე სწორად გაითვალისწინა.

ამავე წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბიოქიმიური ლაბორატორია, რომელიც შემდეგში ბიოქიმიურ საცდელ სადგურად გადაკეთდა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოქიმიისა და ორგანული ქიმიის კათედრაზე, რომელსაც ივი 1937 წლიდან განაგებდა, და ბიოქიმიის საცდელ სადგურში დამუშავებული იყო მრავალი თეორიულად და პრაქტიკულად საინტერესო და აქტუალური საკითხი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ვ. ღვალაძის ნაშრომი იონური წონასწორობისა და ორგანულ მჟავათა მდგომარეობის შესახებ მცენარეულ ობიექტებში. ავტორმა მოგვცა ორგანულ მჟავათა ფორმების დადგენის ახალი წესი, რომელსაც მრავალი უპირატესობა აქვს სხვა მეთოდებთან.

ვარლამ ღვალაძე თავის მუშაობაში დუღილის პროცესების პარალელურად თანდათან უფრო მეტ ადგილს უთმობდა დაჟანგვის პროცესებს. იგი ორიგინალური ექსპერიმენტების საშუალებით არკვევდა

ფანგვითი პროცესების ქიმიზმს. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი შრომა შეეხებოდა ძმარმჟავას დუღილის ქიმიზმს.

პროფესორ ვ. ღვალაძის თეორიულმა მოსაზრებებმა, მიუხედავად ბიოქიმიური მეცნიერების უჩვეულოდ სწრაფი ტემპით განვითარებისა, ათეული წლების გამოცდას გაუძლო. როდესაც თბილისში 1962 წ. მეკვენახეობისა და მეღვინეობის მსოფლიო ფორუმი შედგა, მისი მოსაზრებანი ბუნებრივი ალკოჰოლური დუღილის ქიმიზმის შესახებ კონგრესის მონაწილეთა პაექრობის ერთ-ერთ ძირითად საგანს წარმოადგენდა.

ვ. ღვალაძემ თავისი მეცნიერული კვლევით საფუძველი ჩაუყარა ტექნიკური ბიოქიმიის განვითარებას საქართველოში. მან პირველმა შექმნა ჩვენში ბიოქიმიური კვლევის ტრადიცია ენოქიმიასა და ტექნიკურ მიკრობიოლოგიაში. მისი დამსახურებაა, რომ ამჟამად საქართველოში ასე ნაყოფიერად მიმდინარეობს კვლევა მეღვინეობის ბიოქიმიასა და ტექნოლოგიაში, მცენარეთა ბიოქიმიასა და ბიოქიმიური მეთოდების დამუშავებაში.

ვარლამ ღვალაძე, მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად, მუდამ ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას. ოცი წლის მანძილზე იგი სხვადასხვა დროს კითხულობდა ენოქიმიის, ბიოქიმიის, ტექნიკური მიკრობიოლოგიისა და ორგანული ქიმიის კურსს. მისი ლექციები მუდამ სიცოცხლით სავსე, მიმზიდველი და ღრმაშინაარსიანი იყო. პროფ. ვ. ღვალაძის შთაგონებულ ლექციებს მრავალი ახალგაზრდისათვის გაუკაფავს მომავლის გზა. ორი ათეული წლის სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შედეგად მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. ბევრი მისი მოწაფე, ახლა უკვე პროფესორი და მეცნიერების დოქტორი, დღეს მეცნიერ ხელმძღვანელებად მუშაობს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებში.

ვ. ღვალაძის, როგორც მეცნიერი ხელმძღვანელის დასახასიათებლად ერთი ფრაზაც კმარა: ვარლამმა შრომებზე მეტი მოწაფეები დატოვა. რა იყო მაინც ისეთი ამ კაცში, რომ ასე ეხვეოდა მას ახალგაზრდობა, რით იზიდავდა და იპყრობდა იგი, როგორც მკვლევარი, ახალგაზრდებს? უპირველეს ყოვლისა, ალბათ ის, რომ იგი მეცნიერული ცეცხლით თვითონ იწვოდა, თავდავიწყებით უყვარდა თავისი საქმე და მთლიანად იყო ამ საქმით გატაცებული. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ იგი მუდამ თვითონ მუშაობდა ლაბორატორიაში; მისი პირადი მაგალითი ფასდაუდებელი იყო ჩვენთვის, მისი მოწაფეებისათვის. ყოველთვის მდიდარი იყო იდეებით და უხვად არიგებდა მას, თუ კი შესაფერ ნიადაგს ნახავდა; უყვარდა ადამიანი, შე-

ეძლო ყველა თანამშრომლისათვის მოესმინა, შეეძლო საკუთარი აზრის შეცვლა, თუ კი სხვისი აზრის უპირატესობაში დარწმუნდებოდა.

1941—1943 წლებში ის, როგორც დეკანი, განაგებდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, ხოლო 1943 წლიდან დაინიშნა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში.

1943 წელს მას 50 წელი შეუსრულდა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა . მისთვის იუბილე გადაეხადა. საინიციატივო ჯგუფში მეც შემიყვანეს და, როგორც მის მოწაფეს, დამავალეს გამეგო, თუ რა სურდა მას, რას მოითხოვდა დირექციისაგან. ვემზადებოდით აგრეთვე საიუბილეო საჩუქრის შესაძენად (იმ დროს ძვირადღირებული საჩუქრები მოდაში არ იყო). ბატონი ვალიკო იუბილეზე ვერ დავითანხმეთ.

— ხომ არ გაგიჟდით, მე ისეთი რა გამიკეთებია, რომ იუბილე გადამიხადოთ. თქვენ რა, შეიშალეთ ჭკუაზე?!

ვარლამის მტკიცე და პირდაპირი ხასიათი ყველასათვის ცნობილი იყო და მისი მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლის საჯაროდ აღნიშვნა დღის წესრიგიდან მოიხსნა. ახლა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა სამახსოვრო საჩუქრის შერჩევას; პატივისცემის აღნიშვნის ერთადერთ ფორმად ესღა რჩებოდა. ომი იყო და ყველამ ვიცოდით, რომ მას მატერიალურად უჭირდა. ესეც უნდა მიგვეღო მხედველობაში. იუბილარს მთელი კვირა ვეხვეწებოდი, რომ მიენიშნებინა მაინც, თუ ახლა ოჯახისთვის რა იქნებოდა ყველაზე სასურველი: ფულს ხომ ვერ შევუგროვებდით!

ერთ დღეს, როდესაც ყოველგვარი იმედი გადაწურული გვქონდა, დამიძახა სამუშაო ოთახში და გამანდო:

— ხომ ხედავ, ბიოქიმიის განვითარების რა პირობებია საქართველოში. რესპუბლიკაში არ მოიპოვება ბიოქიმიის არც ერთი უცხოური ჟურნალი. ბიოქიმია, მოგეხსენება, ახალგაზრდა მეცნიერებაა და ჩვენთვის ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ჟურნალების დროულად მიღებას.

იმ დროს მოსკოვიდან უცხოური ჟურნალების დროებითი სარგებლობისათვის გამოწერა არ იყო მოგვარებული. ზოგჯერ მოსკოვს იმიტომაც მივემგზავრებოდით, რომ უახლესი დროის პერიოდიკას გავცნობოდით. მაშინ რუსულ ენაზე რეფერატული ჟურნალებიც არ არსებობდა.

— თუ თქვენ მაინცდამაინც გინდათ მე განსაკუთრებული პატივი მცეთ, დამაჯილდოვოთ, — განაგრძო მან, — აი, წაიღეთ უცხოური ჟურნალების ეს სია და ერთ-ერთი ამათგანი გამოუწერეთ თბილისის

საჯარო ბიბლიოთეკას, რომ ყველა მსურველს შეეძლოს იმით სარგებლობა.

ბატონი ვარლამის ეს სურვილი სასწრაფოდ მოვახსენე ინსტიტუტის დირექციას, პარტკომს, ადგილკომს. მათ გულწრფელად აღმითქვეს, რომ იუბილარის თხოვნას აუცილებლად შეასრულებდნენ. საში თვე გრძელდებოდა მიწერ-მოწერა სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის. საბოლოოდ გამოირკვა, რომ საჭირო ვალუტა იმჟამად რესპუბლიკას არ გააჩნდა და პროფესორ ვარლამ ღვალაძის „დაჯილდოება" არ მოხერხდა; სხვა საჩუქარზე კი მან კვლავ მტკიცე უარი განაცხადა.

პროფ. ვ. ღვალაძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს კვების მრეწველობასთან. ყოველი მისი პრაქტიკული წინადადება მეცნიერულად იყო დამუშავებული და დასაბუთებული. მისი მოსაზრებანი საქართველოს ღვინოების დაავადების შესახებ, ავჭალის შამპანურ ქარხანაში ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე, საქართველოში ლიმონმჟავას ბიოქიმიური წარმოების მოწყობაზე თუ სხვა საკითხზე, დასრულებულ მეცნიერულ ნაშრომებს წარმოადგენდა და ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა კვების წარმოების სხვადასხვა დარგის განვითარებას.

პროფ. ვ. ღვალაძე აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. დაუღალავად და ნაყოფიერად მუშაობდა მენდელეევის სახელობის საქართველოს ქიმიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ.

პროფ. ვ. ღვალაძის ნაყოფიერი შრომით აღსავსე გზა ადრე, 51 წლის ასაკში, შეწყდა. პროფ. ვ. ღვალაძის სახით ქართველ მეცნიერთა წრეს გამოაკლდა უმწიკვლო, პატიოსნებით სავსე ადამიანი, ჩვენი ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელი და თავდადებული, უანგარო მუშაკი და მოქალაქე.

ბელინსკი ამბობდა: სახელოვანი ადამიანის ცხოვრება ყოველთვის შესანიშნავია. იგი ამაღლებს ადამიანის სულს და აღაგზნებს ადამიანის შემოქმედებასო. ვარლამ ღვალაძის მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც მრავალმხრივ სამაგალითოა ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

1903

ᲓᲐᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

მეგობრობაზე საუბარი არასოდეს მოგწყინდება ადამიანს, მით უმეტეს მაშინ, როცა გსურს შენთვის ძვირფასი ადამიანის სახე, მისი თვისებები, მაღალი მოქალაქეობა და გულითადობა ამცნო მათ, ვისაც არ უნახავს იგი და ვერც შემდგომში ნახავს.

ჩემი დიდი მეგობარი, აკადემიკოსი ნორაირ სისაკიანი უკვე აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ იმდენად თბილი, იმდენად ღრმა კვალი დასტოვა მან ჩემს ცხოვრებაში, რომ, ნუ მიწყენენ ჩემი სხვა მეგობრები, რომლებიც, რომ იტყვიან, თავსაც კი მირჩევნია, თუ დღეს ჩვენგან წასულ ადამიანზე ვილაპარაკებ და არა მათზე.

აკადემიკოსი ნორაირ სისაკიანი, სომეხი ხალხის შვილი, დიდ ნიჭიერებასთან ერთად, ნამდვილად დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი გულისხმიერებით, მოყვასისადმი იმ დიადი გრძნობით, რომელსაც უკვდავმა რუსთაველმა მარად უჭკნობი სიტყვებით უმღერა:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

დიახ, ჭირში ნაცადი მეგობარი იყო ნორაირი, ხიდად ბევრჯერ გამოდგომია სიძნელის წინაშე მდგარ მეგობარს, და ზოგჯერ მეგობრის გამო ისეთი პასუხისმგებლობა უკისრია, რომელიც თავგანწირვას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ეს იყო 1949—1951 წლები. მაშინ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახის სახელობის ბიოქიმიის ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი. საქმე ისე წარიმართა, რომ საჭირო გახდა ძალიან მოკლე დროში მომესწრო მრავალი ექსპერიმენტის ჩატარება. ზოგიერთი ექსპერიმენტი უწყვეტლივ 24—48 საათი მიმდინარეობდა. აუცილებლობა მოითხოვდა მემუშავა ღამითაც, მაგრამ იმ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყანა ომით მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად აღდგენით სამუშაოებს ეწეოდა, როცა თითოეული მშრომელი უფრთხილდებოდა სახელმწიფო კაპიკს, ენერგიას, სათბობს, აკრძალული იყო საღამოს 7 საათის შემდეგ ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომელთა ყოფნა.

ნორაირ სისაკიანი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და პირადად იგი იყო ყოველმხრივ პასუხისმგებელი ინსტიტუტის მუშაობაზე. ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ალექსანდრე ოპარინი ასეთი საკითხების გადაწყვეტაში არ ერეოდა.

როცა ჩემი გაჭირვება ცნობილი გახდა ნორაირისათვის, იგი შეეცადა ოფიციალურად გამოეთხოვა ნება, რომ მე ღამითაც ვყოფილიყავი ლაბორატორიაში, მაგრამ უარი მიიღო, რადგანაც ინსტიტუტში ერთ კაცსაც რომ ემუშავა, მთელ შენობაში სინათლე, წყალი და ტექნიკური დენი განუწყვეტლივ უნდა ყოფილიყო ჩართული.

ნორაირი უარმა საგონებელში ჩააგდო. უკვე მიდიოდა ძვირფასი დრო, ხელი მეშლებოდა და ვეღარ მოვასწრებდი იმის შესრულებას, რაც აუცილებელი იყო მეცნიერული კვლევისათვის. ორიოდე დღის შემდეგ ნორაირი შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში და მითხრა:

— მეგობრებისათვის ხომ არსებობს დაუწერელი კანონი, გაჭირვების ჟამს რომ ერთმანეთისათვის თავი გასწირონ?

— მერე?

— მერე და დღეიდან შეგიძლია იმუშაო მთელი დღე და ღამე...

მან თავის თავზე აიღო მეტად დიდი მორალური, მატერიალური და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა.

იმ დღიდან მე გაბედულად შევუდექი ხანგრძლივი ცდების დაყენებას, რამაც ბევრი რამ ახალი შეიტანა ჩემს მეცნიერულ გამოკვლევაში.

ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივისათვის მალე გახდა ცნობილი ნორაირის გადაწყვეტილება. ბევრი გაოცებული იყო და კითხულობდა: „კი მაგრამ, რატომ აიტკივა ნორაირმა აუტკივარი თავი?", „რატომ დაკიდა თავისი თანამდებობა ბეწვზე?...

ამის თაობაზე ნორაირს პირადად რამდენჯერმე უთხრეს კიდეც, მაგრამ იგი ყველას ღიმილით უპასუხებდა:

— მეგობრებო, დაწერილი წესების გარდა, კიდევ არსებობს რაღაც დაუწერელი... და ეს ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობააო.

— თავდადებული, ერთგული, გულისხმიერი, დიდი მოქალაქე — ასეთი იყო ნორაირ სისაკიანი, ასეთი დარჩა იგი ჩემთვის, ყველასათვის, ვინც იცნობდა, ვისაც რაიმე საქმე ჰქონდა მასთან.

1972

ბედისწერა

აკადემიამ თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე 59 ნამდვილი წევრი დაკარგა. ყოველ მათგანს მიუძღვის დიდი ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინსვლაში. ყოველი მათგანის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მათ შორის ბატონი ვლადიმერ ასათიანი ერთი იმათთაგანია, ვინც თავისი ადამიანური თვისებებით, ნათელი აზრითა და სიტყვის ელვარებით მუდამ გვხიბლავდა. მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ამშვენებდა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ბატონი ვლადიმერი ქართული მეცნიერების წინსვლას, ქართველი ახალგაზრდობის აღზრდას, ქართული კულტურის ამაღლებას, ქართველი ხალხის კეთილდღეობას. ვლადიმერ ასათიანი ჩვენი ახალი ცხოვრების გულწრფელი და თავდადებული მშენებელი იყო.

ბატონი ვლადიმერის მეცნიერული დახასიათებისათვის ერთი ფრაზაც კმარა: იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია ბიოქიმიისა საქართველოში.

მე მისი ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს მოგითხრობთ.

რთული და საინტერესო გზა განვლო ვლადიმერ ასათიანმა.

მამამ, სამსონ ასათიანმა, პეტერბურგის სამხედრო-საინჟინრო აკადემია დაამთავრა. დედა, მარიამ ზედგინიძე, ახალციხელი მღვდლის შვილი, განათლებული, ღვთისმოსავი ადამიანი იყო. მათ ხუთი შვილი ჰყავდათ. სამი ქალიშვილის შემდეგ შეეძინათ ვაჟი — ვლადიმერი. დაბადებისთანავე იგი ოჯახის ხატად იქნა აღიარებული და დიდი სიყვარულისა და სულიერი სიფაქიზის გარემოში იზრდებოდა. მან სწავლის პირველივე წლებში დაიმსახურა ნიჭიერი და ბეჯითი მოსწავლის სახელი. თუ რა დიდი იყო ნათესავებისა და მეგობრების ყურადღება პატარა ვლადიმერის მიმართ, ამის წარმოსადგენად მხოლოდ ერთ შემთხვევას გავიხსენებ.

1909 წელს ვლადიმერის მამის საპატიო ნაწილი დარიალის ხეობაში იდგა. ოფიცრების ოჯახებისათვის კონცერტის გასამართავად ვანო სარაჯიშვილი ჩამოვიდა და ასათიანების ოჯახში დაბინავდა. ვანო ვლადიმერს დედის მხრიდან ენათესავებოდა. ქალბატონმა მარიამმა 8 წლის ვალოდია კონცერტზე არ გაუშვა — გაცივდებიო. ამის გამო ბავშვი თურმე ძლიერ დაღონდა. ეს რომ ვანომ შეიტყო, ბავშვი დაამშვიდა და დაპირდა, რომ კონცერტის მთელ პროგრამას მხოლოდ მისთვის ცალკე შეასრულებდა. მართლაც. კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ვანო სარაჯიშვილი გატაცებით უმღეროდა მუსიკის დიდ მოყვარულსა და მეოცნებე ყმაწვილს — პატარა ვლადიმერს.

ასათიანების ოჯახში მუდამ ერთმანეთის სიყვარული და ერთმანეთისადმი განსაკუთრებული ყურადღების ატმოსფერო სუფევდა.

ვლადიმერმა ბრწყინვალედ დაამთავრა ქალაქ თბილისის მეექვსე ვაჟთა გიმნაზია და 1920 წელს სწავლის გასაგრძელებლად იტალიას გაემგზავრა. მშობლებმა თან გაატანეს საგვარეულო ძვირფასი ნივთები და გვარიანი თანხა. დედის, მარიამის, გამოანგარიშებით, მის საყვარელ ვლადიმერს უცხოეთში უზრუნველად ხუთ წელს მაინც უნდა ეცხოვრა. ვლადიმერი ბათუმიდან გაემგზავრა. გემზე მან ერთი შუახნის ქართველი თავადის ქალი გაიცნო. თავადის ქალმა შვილივით შეიკედლა ახალგაზრდა კაცი და შესთავაზა, რომ ყოველგვარი ხიფათის თავიდან ასაცილებლად მთელი მისი სიმდიდრე ვლადიმერს მასთან შეენახა. ვლადიმერი ამაზე სიამოვნებით დათანხმდა. როდესაც გემი სტამბულის ნავსადგურს მიადგა, თავადის ქალმა ვლადიმერს განუცხადა, რომ მას ყველაფერი მოპარეს და თვითონაც ულუკმაპუროდ დარჩა.

20 წლის ყმაწვილი პირველად უცხოეთის მიწაზე ეზიარა ცხოვრებისეულ მწარე სიბრძნეს, რომ საწუთრო ზოგჯერ ვერაგი და დაუნდობელია, ცრუ და მუხთალი, რომ „ზოგიერთი ადამიანი პირუტყვად არის ქცეული და მასთან ურთიერთობა უდიდეს სულიერ ხარკს მოითხოვს“.

დაიწყო ვლადიმერ ასათიანის ახალი ცხოვრება. საარსებო საშუალება მას ყოველდღე ფიზიკური შრომით უნდა მოეპოვებინა. მისი მდგომარეობის წარმოსადგენად ნება მიბოძეთ დიდი ილიას ის სიტყვები მოვიშველიო, რომელსაც იგი ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდის შესახებ წერდა:

„ადვილად წარმოსადგენია, რა მხნეობა და უკანდაუხეველი სულთა სწრაფვა უნდა ჰქონოდა, რა გაუტეხელი და რკინის ხასიათი, რომ თვითონ ლუკმა-პურის მონატრულს, სხვისგან ყოველად უმწეოს, უნუგეშოს, უცხო ქვეყანაში გადახვეწილს უნივერსიტეტი დაესრულებინა და კაცად გამხდარიყო“.

ვლადიმერ ასათიანმა ოქროს მედალზე დაამთავრა იტალიაში პერუჯის ექსპერიმენტული აგრონომიის უმაღლესი ინსტიტუტი. მეც მქონდა ბედნიერება მენახა, თუ როგორ ბრწყინავს საპატიო დაფაზე ოქროს ასოებით წარწერა „ვლადიმერ ასათიანი პერუჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია“.

ცხოვრების მძიმე პირობებმა ვლადიმერის ჯანმრთელობას თავისი დაღი დაასვა — იგი ტუბერკულოზით დაავადდა. მიუხედავად ამისა, ნახევრად მშიერი მაინც განაგრძობდა სწავლასა და მუშაობას გერმანიისა და საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში.

მოახლოვდა სამშობლოში დაბრუნების დრო, მაგრამ ავადმყოფობა გაძლიერდა. ერთხელ ბერლინის ერთ-ერთ ხიდზე ცუდად გახდა, მოაჯირს გადაეკიდა და სისხლს ანთხევდა. შემთხვევით ვიღაც გამვლელი ქალი მიეშველა.

როდესაც ერთმანეთს შეხედეს, ორივემ ერთად შეჰკივლა. ვლადიმერმა გონება დაკარგა.

გამვლელი ქალი ვლადიმერის უფროსი და ელენე აღმოჩნდა. ქმართან ერთად მივლინებაში ჩამოსულიყო.

და-ძმის შეხვედრამ ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. ვლადიმერი მალე გამოკეთდა და იმავე წელს სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა და შეუდგა თავისი ქვეყნის სამსახურს.

როდესაც მისი სულიერი და გარეგნული სილამაზით მოხიბლული, მისი ორატორული ნიჭით დატყვევებული ვუსმენდი მას, ყოველთვის ვფიქრობდი: რა არაჩვეულებრივი შინაგანი სულიერი ძალა და სულიერი სიმდიდრე უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ წინა წლებში გადატანი-

ლი ხანგრძლივი გაჭირვება ასე საიდუმლოდ შეინახო, არავინ ამით არ შეაწუხო.

ბატონი ნიკო მუსხელიშვილის სიტყვით რომ ვთქვა, „იგი იყო ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტი, ბრწყინვალე გონების მქონე, მომხიბლავი ადამიანი, რომელიც ეგრერიგად ამშვენებდა ჩვენს საზოგადოებას“.

1981

ქსოვილთა მეუფე

ოთხმოცი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი პათოლოგის, პათოლოგ-ანატომის, ქართველ მედიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელის, ექიმის, პედაგოგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ირაკლი იაკობის ძე ტატიშვილის დაბადებიდან.

ირაკლი ტატიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული მედიცინის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას მოახმარა.

მის კალამს ორასამდე მეცნიერული ნაშრომი ეკუთვნის, მათ შორის ოცამდე მონოგრაფია. მის მიერ აღზრდილია ათეულობით მეცნიერი და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. 40-ზე მეტი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მიუძღვნა მან საქართველოში მედიცინის განვითარების პრობლემებს, მედიცინის ისტორიას.

ირაკლი ტატიშვილის მრავალი ნაშრომი შესულია პათოლოგიური ანატომიის კლასიკურ გამოკვლევათა ფონდში. ასეთებია: გულის ზოგიერთი ავადმყოფობის პათოლოგანატომიური თავისებურებანი, თირკმელზედა ჯირკვლების ცვლილებათა ხასიათი ინფექციურ და არაინფექციურ ავადმყოფობათა დროს, აქტინომიკოზის ფორმების განმსაზღვრელი კლასიფიკაცია, ორგანიზმის განვითარების დარღვევის მნიშვნელოვანი რგოლები. მისი შრომები უხვად არის გამოყენებული სახელმძღვანელოებში, მოხსენებულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, მონოგრაფიებსა და სტატიებში.

ირაკლი ტატიშვილი სისტემატურად იკვლევდა აგრეთვე საქართველოს ნოზოლოგიურ პროფილს, ადგენდა ავადმყოფობის სიხშირის ცვალებადობას რესპუბლიკაში. მეცნიერულ-პრაქტიკული კონტროლით დიდ დახმარებას უწევდა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ავადმყოფთა დროული და ეფექტიანი მკურნალობის საქმეში.

დიდია ირაკლი ტატიშვილის დამსახურება საქართველოში პათოლოგ-ანატომიური სამსახურის ორგანიზაციის დარგში. იგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის

სამინისტროს მთავარი პათოლოგ-ანატომი. მან საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში პათოლოგ-ანატომიური განყოფილებების ორგანიზაციას.

ცნობილია ირაკლი ტატიშვილის დამსახურება, როგორც პედაგოგისა. მისი ლექციები ყოველთვის ასახავდა მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობას, ხასიათდებოდა მაღალი აკადემიურობით და მიმზიდველი ფორმით. სამაგალითო იყო მისი დამოკიდებულება სტუდენტ ახალგაზრდობასთან და ახალგაზრდა სპეციალისტებთან.

ირაკლი ტატიშვილი იყო პათოლოგიური ანატომიის დარგში მოწყობილი ყველა კონგრესის, კონფერენციის, ყრილობის, სიმპოზიუმის მონაწილე. მისი გამოსვლები მეცნიერულ ფორუმებზე მსმენელთა დიდ ინტერესსა და ყურადღებას იპყრობდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ირაკლი ტატიშვილის, როგორც რედაქტორის, ღვაწლი. საკმარისია მოვიგონოთ, რომ იგი იყო შეუცვლელი რედაქტორი ვლადიმერ ჟღენტის ყველა სახელმძღვანელოსი. იყო ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი. რამდენიმე საკავშირო და რესპუბლიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიისა და საბჭოს წევრი. მას მრავალი ათეული სტატია აქვს წარმოდგენილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბეში“.

ირაკლი ტატიშვილი ყოველთვის იყო დატვირთული საზოგადოებრივი დავალებებით. ამის დასადასტურებლად მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ. საქართველოს პათოლოგ-ანატომთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი, სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის ისტორიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე და რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ირაკლი ტატიშვილის შრომის ტვირთი რომ სრულად წარმოვიდგინოთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მას სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობაც ხშირად ეკავა.

დიდი სამამულო ომის წლებში იყო ამიერკავკასიის ჰოსპიტლების პათოლოგ-ანატომიური სამსახურის უფროსი და მნიშვნელოვანი კორექტივები შეჰქონდა დაჭრილთა მკურნალობის საქმეში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზაციასა და განვითარებაში.

ბატონ ირაკლის ჰქონდა განსაკუთრებული პიროვნული თვისებები. ის იყო ობიექტური და პირუთვნელი, ყველასადმი კეთილგანწყობილი, მკაცრი და პრინციპული. საინტერესო მოსაუბრე, ყოველ ვითა-

რებაში საიმედო მეგობარი. მე მქონდა ბედნიერება წლების მანძილზე მასთან ერთად მემუშავა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში. ყოველთვის მაოცებდა მისი უაღრესი დახვეწილობა და დიდი ტაქტი ადამიანებთან ურთიერთობაში.

ბატონმა ირაკლიმ და ქალბატონმა თამარმა შექმნეს შესანიშნავი ქართული ოჯახი; სახელოვანი შვილები გაუზარდეს სამშობლოს, საქართველოს, რომლის უსაზღვრო სიყვარული ასე ძალუმად ჰქონდა შესისხლხორცებული ბატონ ირაკლის.

1982

მარშალი წინანდალში

1948 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის მარშალი თედორე ტოლბუხინი წინანდალს ესტუმრა. მას, როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, თან ახლდა მრავალრიცხოვანი სამხედრო ამალა. სტუმრებს თელავში ჩამოსვლამდე გომბორის მხარე დაეთვალიერებინათ. ყველანი წინანდლის საბჭოთა მეურნეობის სასტუმროში დაბინავდნენ. რაიონის ხელმძღვანელობა მათ ჩამოსვლას არ ელოდა, ისიც კი არ იცოდნენ, თუ რამდენ ხანს დარჩებოდნენ და თელავიდან საით მიემგზავრებოდნენ. ერთი რამ კი ცხადი იყო: წინანდალში უნდა ესადილათ და აქვე უნდა დაესვენათ.

მარშალთან შესახვედრად რაიონიდან ხუთი კაცი მოიწვიეს. მათ შორის მეც გახლდით. როდესაც წინანდლის ცნობილ ღვინის სარდაფში მივედი, ყველანი სადეგუსტაციო მაგიდას შემოსხდომოდნენ და ღვინის ნიმუშებს აკაშნიკებდნენ. ახსნა-განმარტებას მთავარი მეღვინე გური კანდელაკი აძლევდა. მან ჩემი შესვლისთანავე საუბარი შეწყვიტა და მარშალთან წარმადგინა: — მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორია, სპეციალობით ბიოქიმიკოსი, თქვენ რა საკითხებიც გაინტერესებთ, მათზე შეუძლია პასუხი გაგცეთ. საუბარში მარშლის პირადი ადიუტანტი ჩაება და რამდენიმე შეკითხვა მომცა. მას სურდა გაეგო, რა რაოდენობითაა ნახშირწყლები წინანდლის ღვინოებში, სად მიდის, რაზე იხარჯება ყურძნის წვენში არსებული შაქრები, ავნებს თუ არა წინანდლის ღვინო შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანს. მარშალს სურდა რაც შეიძლება დაწვრილებით მეამბნა ამ საკითხებზე. საჭირო შეიქნა რამდენიმე სქემის დახაზვა და ზოგიერთი ნაერთის ფორმულების მოშველიებაც კი. საუბრის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ღვინის სპირტული დუღილის დროს ყურძნის შაქარი ეთილის სპირტად და ნახშირორჟანგად იშლება და, თუ ყურძნის წვენი სრულად დადუღდება, მასში შაქარი მხოლოდ

კვალის სახით რჩება; ასეთ ღვინოს მშრალ ღვინოს უწოდებენ და იგი დიაბეტით დაავადებულთათვის საშიში არ არის. მარშალი ჩემი განმარტებებით კმაყოფილი დარჩა და გური კანდელაკს მიმართა: — ამხანაგო, მთავარო მეღვინე, ახლა თქვენი მშრალი ღვინის ნიმუშებს უფრო გაბედულად გავსინჯავო.

მე ჩემი მოვალეობა შესრულებულად ჩავთვალე და, რაიკომის მდივან სიმონ სილაგაძესთან შეთანხმებით, სტუმრები დავტოვე. ეზოში ადიუტანტი დამეწია და მთხოვა დავრჩენილიყავი — მარშალს კიდევ აქვს თქვენთან რამდენიმე შეკითხვაო. თედორე ტოლბუხინს აინტერესებდა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ისტორია, შეიძლებოდა თუ არა ქართული ვაზის ჯიშების გავრცელება რუსეთში და, კერძოდ, სად. იმჟამად მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს ცდები მხოლოდ უკრაინაში ჰქონდა, ძირითადად რქაწითელის ჯიში იცდებოდა და მეც ამის შესახებ ვუამბე. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მარშალს ყველაფერი აინტერესებდა, რასაც ქვეყნის ეკონომიკასთან ჰქონდა კავშირი. პასუხს წინანდლის მეურნეობის სპეციალისტები აძლევდნენ. წინანდლის საბჭოთა მეურნეობას მაშინ შესანიშნავი სამეული განაგებდა: დირექტორი — ვანო ჩარკვიანი, მთავარი მევენახე — იოსებ ბოლქვაძე და მთავარი მეღვინე, როგორც უკვე აღვნიშნე, გური კანდელაკი. მათი ყოველი პასუხი მაღალკვალიფიციური და ამომწურავი იყო. მარშალი მათ დიდი ყურადღებით უსმენდა.

სადილი სასტუმრო დარბაზში მოეწყო. სუფრასთან ოცამდე კაცი ვისხედით. პურობის საერთო ხელმძღვანელობა რაიაღმასკომის თავმჯდომარეს არჩილ უთიაშვილს მიანდვეს. მე საპატიო სტუმრის გვერდით დამსვეს და დამავალეს, რომ მისთვის ყურადღება არ მომეკლო. მარშალი კერძებსაც ისე აჭაშნიკებდა, როგორც ღვინოს, მეტად მოზომილად იკვებებოდა. განსაკუთრებით ალაზნის ლოქო და მშრალი სოკოსაგან დამზადებული შეჭამადი მოეწონა. ღვინოებში „წინანდალი“ აირჩია, „მუკუზანი“ უფრო მომწონს, მაგრამ წინანდალში ვიმყოფებით და ამაღამ „წინანდალს“ ვცეთ პატივიო. სადილობის დროს ადიუტანტმა სამხედრო პირებს გამოუცხადა: მარშალი ამაღამ აქ რჩება და შეგიძლიათ პურ-მარილს თავისუფლად შეექცეთო. მართლაც რამდენიმე საათში ჩვენი თავშეყრა დღესასწაულს დაემსგავსა. მასპინძლებმა სუფრასთან მოიწვიეს სახალხო მომღერალი გიორგი პაპალაშვილი და ხანდაზმულ მომღერალთა გუნდი. ჩვენს შეკრებას ამშვენებდა აგრეთვე იმ დროს წინანდლის მეურნეობაში შემთხვევით მყოფი თამარ ჩიქოვანი, ცნობილი მევენახის ირაკლი რცხილაძის მეუღლე. როგორც ერთ-ერთი დიასახლისი, პირადად მარშალს მასპინძლობდა. შუა პურობისას წინანდლელმა პიონერებმაც მოგვინახულეს და ახლა უკვე ყვე-

ლა თაობის წარმომადგენლები ესიყვარულებოდნენ ომგადახდილ სახელოვან სარდალს.

თედორე ტოლბუხინი არაჩვეულებრივად გამხიარულდა. ქალბატონ თამარს სთხოვა გადაეთარგმნა, თუ რას მღეროდა გიორგი პაპალაშვილი ომში მიმავალ გლეხკაცსა და მის სათაყვანებელ მეფე ერეკლეზე. მარშალს განსაკუთრებით ხალხური ლექსის შემდეგი ორი ტაეპი მოეწონა:

„ომში მივდივარ ლამაზო,
თან გამაყოლე მე გული,
უნდა სამშობლო დაეიცვა,
შენი ცრემლებით ნამული".

„ერეკლემ ხმალსა დაჰკივლა,
გასჭერ გამიძეხ ტიალო,
შემოსეული დუშმანი,
მოვსპო და გავატიალო".

ტკბილად კვნესოდა ფანდური და გიორგი, მოხუცთა გუნდი და პიონერები სიმღერებში ერთმანეთს ეცილებოდნენ.

თედორე ტოლბუხინმა სიტყვა მოითხოვა და ქართველი ხალხის სადღეგრძელო შესვა:

— ბევრ ქართველს ვიცნობ, მათთანაც გამივლია ბრძოლის დღეები, დიდ პატივს ვცემ თქვენს ვაჟკაცურ სულს, მეგობრული გრძნობით სავსე გულს, დიდად ვაფასებ თქვენს ეროვნულ გონიერებას. იყავით მუდამ ასეთი, მრავალჟამიერი იყოს თქვენი მეგზური ყველგან.

ყველანი ფეხზე ავდექით და ისე შევსვით ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის სადღეგრძელო. ყველა მიხვდა, რომ სწორედ ახლა იყო შესაფერი მომენტი, რომ მარშალს ეგრძნო, თუ როგორ უყვართ რუსი ხალხის შვილები ქართველებს. პირველი სიტყვა დიასახლისმა წარმოთქვა. თამარ ჩიქოვანის ბრძნულმა სიტყვამ სტუმრებიც გააკვირვა და მასპინძლებიც. რუსი ხალხი ადღეგრძელა, დალუპულები მოიგონა, თედორე ტოლბუხინს გაწეული გმირობისათვის მადლობა გადაუხადა და ქართველი დედების სახელით შუბლზე ეამბორა. თედორე ივანეს ძე აღელდა...

მოხუცებმა მრავალჟამიერი დააგუგუნეს. პიონერები მარშალს მერცხლებივით შემოეხვივნენ, რუსულ და ქართულ ენებზე ლექსებს უკითხავდნენ, მღეროდნენ, პიონერთა ყელსაბამი შეაბეს და აცეკვეს კიდეც. გენერალი კალცნელსონი ამბობდა: თედორე ასეთი არასოდეს არ მინახავსო...

სუფრას ახალი სტუმრები შემოემატა; სარდაფის ძველმა მუშებმა მარშალს ხილის თარფი მოართვეს. ახლად შემოსწრებულთა სახელით

ჩვენი დიდი სტუმრის სადღეგრძელო კისისხველმა ქურციკაშვილმა დალია. ტოლბუხინის გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ იგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო. — მეც ვმონაწილეობდი 1914—1917 წლების ომში, როგორც ასეულის კომანდირიო, მიმართა მარშალმა ქურციკიშვილს.

შუაღამემ ისე მოაწია, ვერ შევიტყვეთ. არავის უნდოდა დასაძინებლად წასვლა. მგონი არც თეოდორე ტოლბუხინს სურდა... მაგრამ ადიუტანტმა გამოაცხადა: დილით აზერბაიჯანში მივდივართ და ახლა უკვე დასვენების დროაო.

სუფრიდან ამლის წინ ვანო ჩარკვიანმა იოსებ სტალინის სადღეგრძელო შესვა. ყველანი ფეხზე ავდექით. მარშალმა შემოგვთავაზა, რომ სტალინისათვის ახლა ჯანმრთელობა გვესურვებინა, მის დამსახურებებზე კი აქ, ამ სუფრასთან არ გველაპარაკა, სიტყვაძუნწი ვყოფილიყავით. თედორე ივანეს ძის რჩევა უსიტყვოდ შევასრულეთ. ხანდაზმულთა გუნდმა „გაფრინდი შავო მერცხალო“ იმღერა...

მეორე დღეს დილით მარშალს კვლავ შევხვდით. წინა დღის შეხვედრებით იგი უაღრესად კმაყოფილი იყო. საუზმეზე გური კანდელაკს სხვათა შორის ეთქვა:

— იალტაში, სამი სახელმწიფოს მეთაურთა თათბირზე მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტიდან სუფრის ღვინის ნიმუშები გაგზავნესო. ამ ამბით დაინტერესებულა და ამჯერად მასთან შეხვედრისას მთხოვა ყველაფერი დაწვრილებით მეამბნა:

1945 წლის 9იანვრის ერთ დღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისიდან ტელეფონზე სასაუბროდ გამომიძახა და დამავალა: ინსტიტუტის ღვინის კოლექციიდან 1937 წლის მოსავლის 40 ბოთლი „ენისელი“ ამომერჩია, თითოეული ნიმუში კარგად შემომწმებინა, ხელახლა დამელუქა, ახალი ეტიკეტები დამეკრა და სამინისტროს წარმომადგენლის ალიოშა ლატარიასათვის გადამეცა. ენისელის მიკრორაიონის ღვინო იალტაში კონფერენციაზე უნდა გაეგზავნათ. ეტიკეტები ქართულ და რუსულ ენებზე თელავის სტამბაში დავბეჭდეთ: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი
რქაწითელი, ენისელის ნაკვეთი
1937 წლის მოსავალი“.

ენისელის მიკრორაიონიდან მიღებული სუფრის ღვინო უჩვეულო არომატითა და შესანიშნავი გემოთი გამოირჩეოდა. ღვინის ამ ნიმუშებს მსოფლიოს გამოჩენილი მეღვინეები ყველა დეგუსტაციაზე ყო-

ველთვის უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ. მინისტრის დავალებები ზუსტად შევასრულეთ. ამხანაგმა ა. ლატარიამ ღვინის ნიმუშები ტყავგამოკრულ ლამაზ ყუთებში ჩააწყო და ისე წაიღო.

მარშალი ინტერესით მისმენდა. საუბარში წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ჩაერია: პატივცემულო თედორე ივანეს ძევ, ინსტიტუტი აქვეა, ენისელის ღვინის ნიმუშები მათ საკმაო რაოდენობით აქვთ და იქნებ გასინჯავდით. მარშალმა დინჯად გვიპასუხა:

— ღვინის ის ნიმუშები ხომ ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. მაგის დალევის უფლება არავის არა აქვს. შეინახეთ, როგორც ძვირფასი რელიქვია. ჩემთვის, რაც გავიგე, ესეც მნიშვნელოვანიაო.

სტუმრების გამგზავრების წინ მასპინძლებმა მათთან ერთად სურათი გადავიღეთ. მარშალი ზაქათალამდე გავაცილეთ. დაშორებისას თედორე ივანეს ძემ ყველა გამცილებელი გადაკოცნა. გამომშვიდობებისას მომმართა: — სერგეი ვასილის ძევ, თუ თბილისში ჩემთან ჩამოხვალთ, თურქული ჩაით გაგიმასპინძლდებითო.

ერთი კვირის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობის დავალებით, თედორე ივანეს ძეს თბილისში, გურამიშვილის № 16-ში ბინაზე ვეწვიე. ხელცარიელი მისვლა უხერხულად ჩავთვალე და თელაველების სახელით ჩურჩხელები, რამდენიმე ღვინის ნიმუში და ნანადირევი მივართვი. ნობათი ლამაზ თუშურ ხურჯინში იყო ჩალაგებული. მარშალი შეუძლოთ დამხვდა, მაგრამ მაინც თბილად მიმიღო, ბოდიში მოიხადა, ავად ვარ და დაპირებას ვერ შევასრულებ, თქვენთან ერთად ვერ ვისაუზმებო. როდესაც გაიგო, რომ მცირეოდენი ძღვენი მივართვი, მისაყვედურა — საჩუქრების მოტანა ზედმეტია, უხერხულ მდგომარეობაში რატომ მაყენებთო. დიდხანს არ დავრჩენილვარ. გამომკითხა, ამჟამად რაიონს ყველაზე მეტად რა გაჭირვება აქვსო და გადმომცა განკარგულება სამხედრო ფონდიდან ორი ტრაქტორის თელავის რაიონის საბჭოთა მეურნეობისათვის გადაცემის შესახებ. საბუთების გასაფორმებლად თან ადიუტანტი გამომაყოლა. როდესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში მივედით, ადიუტანტმა კიდევ ერთი განკარგულება წარადგინა: „მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორს პირადი სარგებლობისათვის ნახმარი მსუბუქი ავტომანქანა „მ-1“ გამოეყოს“. ასეთი სახის ჯილდო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო! ჩემდა სამწუხაროდ, მე უკვე აღარ შემეძლო მადლობა პირადად მარშლისათვის გადამეხადა.

გავიდა ათეული წლები და ახლა ვფიქრობ: ყველაზე ძვირფასი, რითაც მაშინ, იმ მცირე დროით შეხვედრისას თედორე ტოლბუხინმა დაგვასაჩუქრა, ეს იყო ის დიდი ადამიანური, სულიერი სითბო, რაც აქამდე მოგვყვა.

1984

შეხვედრები მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან

კონსტანტინეს დამოკლვრება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად 1944 წელს აირჩიეს კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. შემდგომ წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გახდნენ იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, დემნა შენგელაია და გრიგოლ აბაშიძე.

ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მწერლები და პოეტები ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მათი მონაწილეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებების მუშაობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ორგანო მისი საერთო კრებაა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია აკადემიისათვის.

აკადემიის წევრთა შორის მწერალი-აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია ერთი მათგანია, ვინც ყოველთვის ეხმიანებოდა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტას, მისი ყოველი გამოსვლა აკადემიის საერთო კრებებზე იყო პრინციპული, საჭირო და საინტერესო.

აკადემიის საერთო კრებაზე წარმოთქმული ყველა მისი სიტყვა მის მიერვეა რედაქტირებული (აკადემიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, საერთო კრებაზე გამოსული მოკამათე თავისი სიტყვის სტენოგრაფიულ ჩანაწერს თვითონვე ასწორებს).

კონსტანტინე გამსახურდიას ზოგიერთი გამოსვლა, რომელიც აქ არის მოტანილი, იბეჭდება კუპიურებით. კუპიურების გაკეთება გამაბედვინა იმ გარემოებამ, რომ ბატონი კონსტანტინე აკადემიის იმ წლიური ანგარიშების განხილვაში მონაწილეობდა, რომელსაც მე მოვახ-

სენებდი ხოლმე აკადემიის საერთო კრებას და ყოველი სხდომის შემდეგ მიხდებოდა მასთან საუბარი იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაში ის ღებულობდა მონაწილეობას.

1

„პატივცემულო ამხანაგებო! პროფესორ ილია აბულაძესა და მე დავალებული გვქონდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მუშაობის შესწავლა. ამის შესახებ სათანადო მოხსენება წარვადგინეთ კიდევაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გამგესთან. ამ მოხსენებაში წამოყენებულ მოსაზრებათა შესავსებად საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმიბ, ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა ყურადღება გავამახვილო ზოგიერთი მომენტის მიმართ. საქართველოს მუზეუმის მთავარი სიმდიდრე, როგორც მოგეხსენებათ, გახლავთ ქართული ხელნაწერები. ეს ფონდი მხოლოდ ნამუსრევის ნამუსრევია ალალბედზე მრავალ კატაკლიზმებს გადარჩენილი. ეგზომ განსწავლული ადამიანებისაგან შემდგარ აუდიტორიის წინაშე საჭირო არაა დეტალურად აღნუსხვა იმისა, თუ რა დიდ განძს შეიცავს მრავალსაუკუნოვანი ხელნაწერების ეს მარაგი. ცხადია, არა ერთი კულტუროსანი ერი ინატრებდა ასეთ სიმდიდრეს. კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღინიშნოს. რომ ქართული ხელნაწერების მოვლისა და დაცვის ამჟამინდელი მდგომარეობა ფრიად და ფრიად სავალალოა და იგი არ შეეფერება თანამედროვე მუზეუმთმცოდნეობის მიერ გამომუშავებულ ტექნიკას. მრავალსაუკუნოვან ხელნაწერებს, როგორც მოგეხსენებათ, საგანგებო მოვლა ესაჭიროება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სათანადო სათავსოები, ხელნაწერები ხომ თანამედროვე სტამბური წესით დაბეჭდილი წიგნები არაა, რომელთაც შესანახად თაროები და უჯრები ეყოფათ, ხანდახან მტვრის გადაცლა და წვიმის არიდება. ხელნაწერების სეიფები უნდა ინახებოდნენ ისეთ სათავსოებში, სადაც ზამთარ-ზაფხულ დაცული იქნება შესაფერისი ატმოსფერული რეჟიმი. ცნობილია, ქაღალდი განსაკუთრებული სისწრაფით განიცდის დეფორმაციას სამხრეთის კლიმატურ პირობებში. ვგონებ, ზედმეტია იმის შეხსენებაც, თუ როგორ უვლიან ხელნაწერებს ლენინგრადის ბიბლიოთეკაში, პარიზულ ნაციონალური ბიბლიოთეკის, „ბრიტიშ მუზეუმისა“ და ვატიკანის ხელნაწერების საცავებში. თანამედროვე ქიმიის მიერ მოპოვებული საშუალებანი რომ არ მოეშველებინათ, უთუოდ დაიღუპებოდნენ როგორც ზემოთ ხსენებული ბიბლიოთეკების საგანძურები, ისე რაფაელის სტანცები და უფფიცებში დაცული ძველთაძველი ხელნაწერები.

ანალოგიებისათვის რაღა შორს წავიდეთ. მე შემთხვევა მქონდა ამ უკანასკნელ წლებში არაერთგზის დამეთვალიერებინა ერევნის „მატენა დარან“, სადაც სომხურ ხელნაწერებს ისე უვლიან, როგორც თვალის ჩინს, ე. ი. როგორც ეს ეკადრება კულტუროსანი ერის სულიერი მემკვიდრეობის შენახვის ტრადიციას. ხელნაწერების შენახვის საქმეში კიდევ ერთი მომენტია საგულისხმო. განსაკუთრებით ქაღალდზე დაწერილ ხელნაწერებს, სისტემატური რესტავრირება ესაჭიროება. ჩვენ ვნახეთ საწყალობელი სურათი იმისა, თუ როგორ ჩაუყრიათ ქაღალდის კონვერტებში დაწერილი, დაჩითული ხელნაწერების ნამუსრევები. საქართველოს მუზეუმის დირექციამ შემოგვჩივლა, რომ მას არ გააჩნია სათანადო საშუალებანი ხელნაწერების რესტავრირებისათვის, არც სათანადო შტატი უკვე დაღუპვის კიდემდის მისული ზოგიერთი ხელნაწერის აღსადგენად და არც ატმოსფერული რეჟიმის დასამყარებლად. გარდა ზემოთ მოხსენებულისა, კომისიას აუცილებლად მიაჩნია გავამახვილოთ თქვენი ყურადღება ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოების მიმართ. ჩვენის აზრით, საჭიროა ეთხოვოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, რომ აღძრას შუამდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ხელნაწერების დასაცავად რკინაბეტონის სახლის ასაგებად სხვადასხვა მოულოდნელი და უსიამო შემთხვევისათვის. ჩვენი დედაქალაქის პირობებში არც ისე ძნელი იქნება მთაწმინდის ან სეითაბადის ქარაფებში აშენდეს ასეთი საფარი, მითუმეტეს, რომ ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ საფრთხეში ჩავარდა ქართული ხელნაწერების ფონდი უკანასკნელი სამამულო ომის დროს“.

1953 წ. 3 აპრილი

2

...მეცნიერული ხარისხების მიღების მანია ისე შორს მიდიოდა, რომ დისერტაციას სწერდნენ ისეთი, ვითომდაც „მწერლების“ გამო, რომელთაც ნამდვილ მწერლობასთან არაფერი აქვთ საერთო... თუ ჩვენმა ხელისუფლებამ ენერგიული ზომები არ მიიღო, გუთნები, დაზგები, სეკატორები, წერაქვები და ბარები მოხუცებსა და ქალებს შერჩებათ ხელში. დაიცლება სოფელი, ნამდვილი საფუძველი ჩვენი რესპუბლიკისა, ახალგაზრდობა არ ინდომებს ქარხნებსა და სახელოსნოებში მუშაობას. ყველა ფილოსოფოსობას, ლექტორობას და პოეტობას მოეჭიდება. ეს ამბავი დიდ საფრთხეს უქადის ჩვენს ერს. წლების განმავლობაში ვამბობდი ტრიბუნიდან: ჩვენ არ გვესაჭიროება 10.000 მომღერალი და არტისტი, ამდენივე დოცენტი და მწერალი, ასპირან-

ტი და დოქტორი. ეს ჰიპერტროფული პროდუცირება ნახევრად განსწავლული „მეცნიერებისა“ სიკეთეს არ უქადის ჩვენს ქვეყანას...

...ამხანაგებო! არც ერთ მეცნიერს, არც ერთ მწერალს და სხვა რომელიმე კულტურულ მუშაკს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის პრივილეგიები, რომელთაც გვანიჭებს ჩვენ პარტია და ხელისუფლება, არსებითად ემყარება მშრომელ მარჯვენას ქართველი ხალხისას. მათ შესაქმნელად მუშაობენ ჩვენი ქარხნების მუშები და კოლმეურნენი.

1957 წ. 28 მარტი

ქართველი ხალხის ზოგიერთი მტრები ამბობდნენ, რომ ქართველ კაცს არ ეყოფა ჭკუა მათემატიკოსი გახდეს, ქართველ კაცს შეუძლია ლექსები წეროს, ან იმღეროს და იცეკვოს.

მე მქონდა შემთხვევა, პრესაში აღმენიშნა ასეთი ამბავი, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა დიდი, ზომაზე მეტი ზრდა ჩვენი კულტურის და ეს ზრდა ოდნავ უნდა შევაჩეროთ სიმაღლესა და სიგანეზე და სიღრმისაკენ უნდა გავაფართოოთ. ეს ეხება კულტურის ყველა დარგს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, ხელოვნებისადმი. სად იყო ამდენი ინსტიტუტი, სად იყო აკადემია... ეს დიდი სახელის ამბავია, მაგრამ... ჩვენ უნდა გვქონდეს მხედველობაში ერთი რამ, პასუხისმგებელი ამხანაგებისაგან გაგონილი მაქვს, რომ ეროვნულის ზრდა მარტო ინტელექტუალური ამბები ცხოვრებისა არ არის, ცოტა რამ ხდება ხალხის საზიანოდ? იმდენად, რამდენადაც ქართველი კაცი არ აპირებს სოფლად მუშაობას და ყველას უნდა რომ დისერტაცია წეროს. მაგრამ მთავარი რა არის? ინსტიტუტების ზრდა' უნდა მოხდეს ხარისხიანობის ნიადაგზე.

...ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი კულტურის დიდი კერა არავის არ დავანებოთ. ყოფილი ხარისხისათვის მეცნიერებაში, მწერლობაში ყველგან უნდა იყოს...

1958 წ. 26 აპრილი

3.

...სიამოვნებით წავიკითხე აკადემიის ანგარიში. დიდი ყურადღებით ვისმინე დღეს აკად. დურმიშიძის მოხსენება. ამ მოხსენებით დიდად კმაყოფილი დავრჩი. მხოლოდ ერთის მეშინია: ასეთი დიდი მომავლის მქონე ხალხს თავბრუ არ დაახვიოს ამ წარმატებამ და სადღაც არ წაიბორძიკოს. ეს რომ არ მოხდეს, თითოეულ ნაბიჯს კარგად უნდა დავუფიქრდეთ. ჩვენ ვამჩნევთ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში აუარებელ რიცხვს მეცნიერებათა კანდიდატებისას. ყველა რომ მეცნ-

ნიერი გახდეს, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს სოფელს, ჩვენს მეურნეობას ვილამ მოუაროს?

1962 წ. 13 აპრილი

...ამხანაგებო! ჩვენ მოვდივართ აქ, აკადემიაში იმიტომ კი არა, რომ მარტო ხელფასი მივიღოთ, არამედ, რაიმე სასარგებლო გავაკეთოთ და შევქმნათ, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ქართული ენა, ქართული მეცნიერება თავის სათანადო სიმაღლეზე იყოს აყვანილი.

ქართულ ენაზე უფრო ძვირფასი მთელ მსოფლიოში ჩვენთვის არც ერთი ენა არ არის. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორიცაა: კიბერნეტიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, გეოლოგია.

1963 წ. 14 მარტი

...ნურვის ეგონება მე პირველობას დავუთმობ ვისმე ჩვენი მეზობელი ერების პატივისცემა-სიყვარულში. განსაკუთრებით პატივსა ვცემ ჩვენ მოძმე რუს ერს, მის მშობლიურ ენას.

1984

რამდენიმე წუთი გალაკტიონთან

1

1931 წელს მთაწმინდის ძირას, ხიმშიაშვილების სახლში ვცხოვრობდი და ხშირად ავდიოდი პანთეონში სამეცადინოდ. მე და ჩემი ამხანაგები, ჩვეულებრივ, კიბის საფეხურებზე ვიყავით ხოლმე მოკალათებული.

ერთხელ, შემოდგომაზე, საღამო ხანს ნელი ნაბიჯით გალაკტიონ ტაბიძე მოგვიახლოვდა. ჩვენ სწრაფად წამოვდექით, მივესალმეთ, გზა გავუთავისუფლეთ. პოეტი დინჯად ავიდა კიბეზე, შემოიარა მთელი პანთეონი და აკაკის საფლავთან შეჩერდა. აქ დიდხანს იდგა. იდგა უძრავად... შემდეგ კარგა ხანს გაჰყურებდა თბილისს. წასვლისას გამოგვკითხა. ვინ რას ვაკეთებდით, და, როდესაც გაიგო, რომ ბუნებისმეტყველების დარგის ასპირანტები ვიყავით და სიცოცხლის საიდუმლოებათა აღმოჩენებზე ვოცნებობდით, დაგვმოძღვრა:

„მთაწმინდის ჰაერი სუფთაა, მაგრამ აქ აზრი და ოცნება კიდევ უფრო ნათელი და სპეტაკია. გაიღვინთეთ თქვენი ქვეყნის წარსულით. სინამდვილეს პირდაპირ თვალებში შეხედეთ. გახსოვდეთ: როდესაც მეცნიერებას ვნება და ზეშთაგონება თან ახლავს, მაშინ ისიც პოეზიაა“.

სამამულო ომის დროს, ერთ დღეს გვიან ღამით რუსთაველის ძეგლის მახლობლად გალაკტიონი ტრამვაიში ამოვიდა, ლენინის მოედნისაკენ მიემგზავრებოდა. რამდენიმე გაჩერების შემდეგ მგზავრებში ჩოჩქოლი შეიქმნა. ორ შუახნის კაცს ჩასასვლელი გზა ჩაეკეტა; გასასვლელის ორ მოპირდაპირე სკამზე მსხდომნი ერთმანეთისაკენ შემოტრიალებულიყვნენ და ერთმანეთზე მიყრდნობით ეძინათ. ის იყო ერთ-ერთმა მგზავრმა მათი გაღვიძება დააპირა, რომ გალაკტიონი წამოდგა და მას მიმართა:

„ძალიან გთხოვთ, ნუ გააღვიძებთ, დავაცალოთ დასვენება. მე მათ არ ვიცნობ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. ვინ იცის, ისინი ყოველდღე რამდენ საათს მუშაობენ. ჩავიდეთ იქიდან, საიდანაც ამოვედით, მეც თქვენთან ერთად ჩამოვალ“.

პოეტს ყველა უხმოდ დაემორჩილა, მგზავრები ვაგონის უკანა მხრიდან ჩავიდნენ.

3

1955 წლის ზაფხულში წყნეთში ვისვენებდი. ბინა გალაკტიონის აგარაკის ახლოს მქონდა. გზა ტყისაკენ მის ღობესთან გადიოდა და დამსვენებლები მას ხშირად ეზოში ვხედავდით.

ერთხელ, შუადღისას, პოეტის ეზოსთან ხალხი მოგროვდა. მეც მივედი. მინდოდა გამეგო, რა ხდებოდა. ვიღაც ქალი გულამოსკვნით ტიროდა: „ჩემი ვაჟი დილით ადრე ტყეში შევიდა, აგერ დღის ორი საათი ხდება და ჯერაც არ დაბრუნებულა. რა ვქნა, როგორ მოვძებნო, დამეხმარეთ“. ამ ხმაურის დროს ღობეს მეორე მხრიდან გალაკტიონი მოადგა და იკითხა: ბავშვი რამდენი წლისაა და რა ჰქვია. უპასუხეს 12 წლისაა და აჩიკოს ეძახიანო.

გალაკტიონმა ბავშვის დედას მიმართა: „ჩემო დაიკო, დავაცადოთ პატარა არჩილს მარტოობა, მივცეთ თავისუფლება, იგრძნოს ბუნება, ტყის მშვენიერება. ნუ წავართმევთ საუკეთესო საათებს“.

მოხდა უჩვეულო რამ: აჩიკოს დედა დამშვიდდა და პოეტს დაპირდა, რომ ბავშვის ტყიდან დაბრუნებას შინ დაელოდებოდა.

4

გალაკტიონ ტაბიძე 1944 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. პოეტი აკადემიას ყოველთვის უდიდესი პატივისცემით იხსენიებდა. აკადემიის შეკრებებს იგი უწოდებდა

უმაღლესზე უმაღლეს აუდიტორიას, რომელმაც იცის სხვისა და თავისი თავის ფასიც.

აკადემიის ერთ-ერთი წლიური კრების შემდეგ მან მე მომმართა, როგორც აკადემიის აკადემიკოს-მდივანს:

„აკადემიის საერთო კრებაზე მომხსენებელი მოხსენებას კითხულობდა, მე კი ვფიქრობდი: აკადემიის წევრების, წევრ-კორესპონდენტების, ასობით მეცნიერის ამდენ შემოქმედებით ნამოღვაწარს რატომ უნდა ეწოდებოდეს ანგარიში?! რამდენ სრულიად სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტს აწერია ეს სიტყვა. სად და რა ვითარებაში არ შეგხვდებათ იგი. შემოქმედება და ანგარიში?! იქნებ მოიფიქრებდით სხვა უფრო შესაფერ სახელწოდებას“.

გალაკტიონის ეს სურვილი ჯერაც შეუსრულებელია.

5

1956 წელს, აკადემიის საერთო კრების შემდეგ, ნიკო მუსხელიშვილმა თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია — გალაკტიონთან სურათი გადავიღოთო. პრეზიდენტთან შეიკრიბნენ გალაკტიონ ტაბიძე, ივანე ბერიტაშვილი, ვლადიმერ ჟღენტი, რაფიელ აგლაძე, პეტრე ქომეთიანი და ამ სტრიქონების ავტორი. როდესაც ფოტოკორესპონდენტმა თავისი საქმე მოათავა, ბატონმა ნიკომ მოგვმართა:

„ჩვენ ახლა გალაკტიონთან სურათის გადაღებით უკვდავებას ვეზიარებთო“.

გალაკტიონმა ჩვეულებისამებრ ჩაიქირქილა და გვითხრა:

„ძამიკოებო, ხომ დამემოწმებით, რომ პრეზიდენტი არასოდეს არ ცდება?“

1982

ლექსის ბედი

1942 წლის ზამთარი იყო. შორაპნის რკინიგზის სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა. ვის არ ნახავდით აქ: ფრონტზე მიმავალ ახალგაზრდებს, ფრონტიდან დაბრუნებულ დაჭრილებს, მოწყალების დებს და შავმანდილიან დედაკაცებს, დამხვდურებსა და გამცილებლებს. ყველას ერთი დიდი და საერთო სევდა და რისხვა დაუფლებოდა, ყველას ფიქრი ომს დასტრიალებდა.

მატარებელი ჩამოდგა. ხალხი ვაგონებს მიაწყდა. გაისმა სულის გამყინავი კივილი, დაჭრილი ჯარისკაცები ჩამოჰყავდათ. ცალკე ეშელონში ახალგაწვეულები სხდებოდნენ. ადამიანებივით კვნესოდნენ და ოხრავდნენ ორთქმავლებიც.

ფრონტიდან ჩამოსულ დაჭრილ ჯარისკაცებს მგზავრები შემოხვეოდნენ და ათას რამეს ეკითხებოდნენ:

— შვილებო, გვითხარით რამე, გაგვაგებინეთ, რა უბედურებაა ჩვენს თავს, რა ხდება ფრონტზე? — მიმართა მეომრებს ერთმა მოხუცმა.

— ჩვენ, ბაბუა, კავკასიის ფრონტზე ვიყავით. ფელდმარშალ კლაისტის ტანკებს ვებრძოდით, გაგეგონებათ ალბათ. — არ დააყოვნა პასუხი სერჟანტმა.

— მერე, ბიძია, რა პირი უჩანს მაგ თქვენს ბრძოლას, თქვე კაიკაცებო, რაღა ზურგისკენ იკავებთ ამ ახალ ზღუდეებს, წეიწიეთ პატარა წინ! — შესჩივლა მეორე მოხუცმა.

— შენ, ეფრეიტორო, მაინც როგორ ფიქრობ, კლაისტის ტანკებს მოერევა შენი ცალთვალა შაშხანა! — შეეძრახა ჯარისკაცს ერთი რკინიგზელი. ვიღაცამ გაიცინა. მგზავრები გაჯავრდნენ: ასეთი უკბილო ხუმრობა შენთვის შეინახეო. ეფრეიტორმა კი გულდინჯად თქვა:

— მაგასაც ვნახავთ, ვინ ვის მოერევა! ცოტაც დაიცადეთ!

— როგორ, ჩვენი ხალხის თავდადება პატარა ძალაა! კაპიტანმა ბუხაიძემ და მისმა მეომრებმა ხომ გააჩერეს კლაისტის ტანკები! ბუხაიძე, ზუბითიძე, ბევრი სხვებიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იდგნენ და მტერი აქეთ არ გამოუშვეს. საძმო საფლავშიაც ერთად წვანან. სიმღერა მაინც არ გაგიგონიათ ბუხაიძეზე? — ახლა სერჟანტი შეეპასუხა რკინიგზელს.

კაპიტან ბუხაიძის ხსენებამ ხალხი გამოაცოცხლა. საუბარში მეც ჩავები:

— თქვენ ალბათ იცით, რომ ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ პოეტ ირაკლი აბაშიძეს ეკუთვნის. ისიც ხომ თქვენთან იყო და ლექსიც იქვე, ფრონტზე დაწერა, წაიკითხავდით კიდეც. თქვენს ფრონტულ გაზეთში დაიბეჭდა.

ჯარისკაცები შეცბნენ. ერთი მათგანი მომიბრუნდა და მითხრა:

— რას ამბობთ, ბატონო! პოეტი რა შუაშია, ეგ ლექსი ერთმა ქართველმა ჯარისკაცმა დაწერა და ჰანგიც თვითონ შეურჩია. ამბობენ, ის ბიჭი აქაური იყოო, გვარი აღარ მახსოვს, ზოგი ერთს ამბობდა, ზოგი მეორეს, — და ცალხელა ჯარისკაცმა დაბალ ხმაზე წაუმღერა:

მე ქართველი ბუხაიძე
ბალყარეთის მთებში ვწევარ...

საუბარი გაცხოველდა. ყველას უნდოდა თავისი აზრი გამოეთქვა.

— ნუ ჩხუბობთ, ხალხო! გაუგებარი არაფერი დარჩება, ეგეც გაირკვევა...

მგზავრები კვლავ ეცილებოდნენ ერთმანეთს. აშკარა იყო, რომ არც ერთი ფრონტელი „კაპიტან ბუხაიძეს“ არ დათმობდა. ვწუხდი, რომ მათ უნებლიეთ ვაწყენინე. ერთხანს კიდევ იქოთქოთეს და, როდესაც ცოტა მიწყნარდნენ, ცალხელა ჯარისკაცი ჩემთან გადმოჯდა, მეზობლურად შემეკედლა და შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა:

— მეგობარო, ორიოდე სიტყვას კიდევ მოგახსენებთ და ჩვენი დავა ამით დავამთავროთო. თქვენ დანამდვილებით იცით ეგ ამბავი? იქნებ იმ პოეტმა, თქვენ რომ ამბობთ, გაიგონა ეგ სიმღერა და ჩაიწერა? ასეც ხომ ხდება ხოლმე? იქნებ კიდევ სულაც მისი იყოს, რას ვერჩით! — დამაჯერებლად დაამთავრა თავისი მსჯელობა ჯარისკაცმა.

ერთი რამ უდავო იყო: მგზსნის მიერ სექტემბერში დაწერილი ლექსი უკვე დეკემბერში ფრონტელების ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა!..

...ტაატით მიიზლაზნებოდა ყვირილის ხეობაში პატარა მატარებელი. აკვანივით ირწეოდნენ ნამცეცა ვაგონები. რიტმულად ციმციმებდნენ დაღველფილი სანთლები. ღამეს თავისი გაეტანა და თვალმილულული მგზავრები თითქოს შორეთიდან ისმენდნენ გულდაკოდილი ვაჟკაცების ომახიან ღიღინს:

„მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს“.

და მე ვფიქრობდი: მაინც მართლები არიან ის ფრონტელები, ასე დაბეჯითებით რომ გაიძახიან — ეგ ლექსი ჯარისკაცმა დაწერაო. განა პოეტი ახლა ჯარისკაცი არ არის? რა თქმა უნდა, არის... ახლა პოეტიც ხელჩართულ ბრძოლაშია ჩაბმული. მთელი ქვეყანა ომშია და პოეტი რად იქნება განზე?

1970

შეუსმელი სადღეგრძელო

შემოდგომის მიწურული იდგა. ილიას კაკალს ფოთოლი სცვიოდა. გოგლა ხის ძირას იჯდა და ფოთოლცვენას გარინდებული ადევნებდა თვალყურს. ეს ხე ერთი სიცოცხლეა თუ ათასი, ყრუ ხმით მეკითხებოდა. ვერ აეხსნა, ეს როგორ იყო, რომ ილიაზე დიდხანს მისი კაკლის ხე ცოცხლობდა.

— იქნებ შეიძლებოდეს მცენარისა და ადამიანის სასიცოცხლო ძალთა შეერთება? აი, მაშინ ექნებოდა ხვავი და ბარაქა ერის მამას, რა მოსავალს მოიწევდა საქართველო!

ვაი, რომ ასე არ არის: სიცოცხლის ძალთა დახვეწილი და ურთიერთშეხმატკბილებული შინაგანი წესრიგი უწესრიგობად იქცევა და თავისი თავის უარყოფამდე მიდის. ვინ განსაზღვრა ამ ქვეყნად ჟამი ჩვენი ყოფისაო! სჯიდა მეშვიდე ათწლეულში გადამდგარი პოეტი.

იმ დღეს გიორგის სახეს მისთვის უჩვეულო ელფერი დაჰკრავდა, თითქოს ზამთრის პირველ დღეს დაესუსხა.

დროდადრო, სხვადასხვა ადგილას და გარემოში შეხვედრისას, მოკრძალებულად კითხულობდა, რა არის ახალი ბიოლოგიაშიო. სიცოცხლის მეცნიერებაში ახალს რა გამოლევს და მეც ამ უნაპირო ზღვიდან წვეთ-წვეთობით ვაწვდიდი მისთვის საინტერესო ცნობებს.

ერთხელ, ჩვეულებრივად გალაღებულმა, ქართული მიწის ეშხითა და სურნელებით მოპირულმა მომაკითხა. იხორხოცა, იხითხითა, წინა დღის ამბებით გული იჯერა, გარემო სიცოცხლის დენთით დატენა და დადგა, დაოკდა, დაცხრა. კავკასიონის ამ მუდმივმოქმედ ვულკანში რაღაც ჩაიფერფლა, გაცივდა, გაიყინა. დაბალ ხმაზე საიდუმლოდ გამენდო: იქნებ არის ისეთი რამ ახალი, სასწაულებრივი, რაც ჭარმაგ კაცს შემოქმედების ხანას გაუგრძელებსო. თვალებში ალმასის ნაპერწკლები უკიაფებდა და ძარღვდაჭიმული, სულგანაბული ელოდა პასუხს.

ვინ გაბედავდა უარი ეთქვა სიცოცხლისა და შრომის ამ უსაზღვრო წყურვილისათვის?! ვის შეეძლო შეეჩერებინა მთიდან მოწყვეტილი ზვავი?! მეც დავადე „გოგლას ხარკი“ ბიოლოგიას და მეცნიერებისა და პოეზიის ღმერთები დავიფიცე, რომ სასწაული მალე მოხდებოდა: ადამიანი, სულ მცირე, ორჯერ მეტ დროს მაინც მოათევდა თავის შექმნილ ქვეყანაში.

გოგლამ იცოდა ფასი თავისი შემოქმედებისა, მაგრამ ის, რაც მოასწრო და მოიჭირნახულა, მაინც მცირედად ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც ეწადა და რასაც ოცნებით გულში დიდი ხანია ატარებდა. პოეზიაში უკვდავებას მიღწეულ გოლიათს ამქვეყნიური სიავკარგე არ ეთმობოდა. ბობოქარი სიცოცხლის წყურვილი თანდათან ემატებოდა, უძლიერდებოდა...

გოგლას მოთხრობა „ღვინჯუა“ ახალგამოქვეყნებული იყო, როცა კვლავ შევხვდით ერთმანეთს აკადემიაში. კახეთში დიდხანს მუშაობდი და ღვინჯუას თუ იცნობდიო, მომახალა გარეკახელმა. მცდიდა. არ ეგონა, რომ „ღვინჯუა“ წაკითხული მექნებოდა, და გაიხარა, ერთბაშად რომ მოეუჭერი, ღვინჯუა შენ თვითონა ხარ-მეთქი. სიცილით მიპასუხა:

— მე თუ ღვინჯუა ვარ, შენ თაყა იყავ, მოდი გავნათლიავდეთ. შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, მაგრამ, თუ გსურს, დაგიცდიდი და ამ სოფლის ბოლოდან ერთად გამოვბრუნდეთ საყოვლადწმიდოს შესასმელად.

ნახე, ღვინჯუამ ერთი სადღეგრძელოსათვის რა გზა გაიარა, რა გაჭირვებას გაუძლო! აბა, დაფიქრდი, ჩვენ რამდენი რამ გვრჩება უთქმელი.

არ ჰყოფნიდა საკუთარ ლექსთა ლაშქარი, მცირედად ეჩვენებოდა გატარებული მზიანი დღეები, ვერ აჩერებდა მოხვეჭილი სახელი და დიდება.

ისევ დავიმედე: მეცნიერება უკან, ახალგაზრდობისაკენ დასახევ ბილიკს თუ ვერ მოგვინახავს, წინ სავალ შარაგზას მაინც გაგვიკაფავს, გაგვიწმენდს, შრომას გაგვიიოლებს, მონუსხული და მოთუთქული მაინც არ შევხვდებით მზის ჩასვლას-მეთქი.

არაფერი თქვა, განწყობილებაც არ შეცვლია. ერთი კი ნათლად ჩანდა მის ზღვისფერ თვალებში: ღვინჯუასავით მასაც გლეხი კაცის ყოველი საფიცარი ეფიცებოდა და გული სწყდებოდა, რომ ოდესმე სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა „ღმერთი დაუსაწყისი, ცა, მზე, დედამიწა ულეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვნის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალ-ნერგი, რქაგადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი, გუთანი და ხმალი!“ და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რა...

რამდენიმე თვით ადრე, სანამ ეს მხნე და ხალისიანი მუხა-ვაჟკაცი ჩვენგან წავიდოდა, უკანასკნელად რუსთაველზე შემხვდა. იღლია წიგნებით ჰქონდა სავსე. მომიკითხა, დამტორა, გამეხუმრა და გამეცალა. თვალი გავაყოლე. ნაბიჯი ძველებური ჰქონდა, არც სხვა რამ ცვლილება ემჩნეოდა. უეცრად შემოტრიალდა, ქანდაკებასავით დადგა და შემომძახა:

— იმერელო, ეჭვი არ შეგეპაროს! საყოვლადწმიდოს შესასმელად მე ისევ დავბრუნდები!

1970

სტუმარ-მასპინძელი

გიორგი ლეონიძეს ხშირად შეხვდებოდით თბილისისა და მისი შემოგარენის ისტორიულ ადგილებში; უყვარდა ქართული მიწის სუნთქვა. მის რაზმში ზოგჯერ მეც მოვხვედრილვარ და შეძლებისამებრ მიცდია მისი სულისა და პოეზიის სიანკარესა და სიძლიერეს ჩავწვდომოდი.

გოგლას ქალაქგარეთ გასეირნების თავისი „ტაქტიკაც“ ჰქონდა: განუმეორებელ მასპინძელს — ქართულ ბუნებასა და კულტურულ ძეგლებს შესაბამისი პურ-მარილი უნდა ამშვენებდესო; ქართული სუფრაც ხომ ქართული მიწისა და ქართველი კაცის შრომისა და ნიჭის მონაგარიაო.

ზედაზენი გოგლას ერთ-ერთი საყვარელი ადგილსამყოფელი იყო. მას სჯეროდა, რომ ლერმონტოვმა აქედან შეიგრძნო ჯვარისა და სვეტიცხოველის სიდიადე, არაგვისა და მტკვრის ძმობის უძლეველობა, საქართველოს ძველი კულტურის ყივილი...

და ერთხელ ზედაზენზე, მრავალი წიაღსვლისა და მოგონების შემდეგ, თბილისელი და მცხეთელი მეგობრები მწვანეზე გაშლილ სუფრას შემოვუსხედით. პოეტი სუფრასთან კიდევ უფრო გახალისდა. ლექსებს ისე აბუბუნებდა, რომ მისი ხმა ალბათ ჯვარსაც კარგად ესმოდა. აზრთა საგანძური ულეველი აღმოჩნდა. გოგლა მაცდური ღიმილით მოგვიყვა ილია ჭავჭავაძის ერთმა მეგობარმა ნიკო ხიზანიშვილმა (ურბნელმა) მის სამზარეულოში, ნასადილევს, უჩუმრად როგორ შეახრამუნა მთლიანად შემწვარი გოჭი. გოჭის ხსენებაზე იმდღევანდელი ჩვენი მასპინძელი ბენო უჩვეულოდ შეწუხდა:

— ვაი დედასა, რომ საქართველოს სახელოვან მგოსანს შესაფერი მასპინძლობა ვერ გავუწიეთო.

ისტორიამ და პოეზიამ სულ მალე სუფრა ყველას დაგვავიწყა. გიორგი განსაკუთრებული აღტაცებით ჰყვებოდა, თუ როგორი პატივისცემით მიიღეს იგი ეგნატე ნინოშვილის იუბილეზე. გულწრფელად ნანობდა, რომ სრულიად საქართველოში ადრე ნაკლებად მოგზაურობდა.

რას არ მოვყევით, რა არ მოვიწონეთ, რა არ დავიწუნეთ, ვინ არ ვაქეთ, ვინ არ გავკილეთ! ჩვენს ერთად ყოფნას თითქოს დასასრული არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეკლესიის ჩრდილი მთელ ეზოში გაწვა და ყველა მიეხვდით, რომ წასვლის დრო დამდგარიყო. ერთ მანქანაში მე და გიორგი მოვხვდით, დანარჩენები ორი მანქანით უკან მოგვყვებოდნენ. გზაში გოგლამ პატარა კალათი გადმომცა და ჩუმად გამენდო:

— ეს კალათა ბენომ მანქანიდან გადმოიღო, მასში შემწვარი გოჭი აღმოჩნდა. მე იგი სუფრის გაშლისას გადავმალე, როდესაც გავიგე, რომ ჩვენი დღევანდელი მასპინძელი ბენო იყო. შენ იცი, რომ მაგას სახლში ხუთი პატარა ბავშვი ჰყავს და სკოლაში მასწავლებლად მხოლოდ ერთ განაკვეთზეა. ეს კალათა მამას უკანვე, შვილებთან უნდა გაატანო. საქმე შენს მოხერხებაზეა: თუ ეს არ გაგიკეთებია, იცოდე, დღევანდელი დღე ჩამმწარდებაო.

მცხეთის ხიდამდე არც ერთ ჩვენთაგანს ხმა არ ამოგვიღია. სიჩუმე ისევ გოგლამ დაარღვია.

— სერგი, წარმოგიდგენია ბენოს სულში რა ხდებოდა?!.. კაცი ერთდროულად ალბათ გაოცებულიც იყო და გამწარებულიც. ვინ იცის, რა სიყვარულით გვიმზადებდა სუფრას! შენ რას იტყვი, უარეს ჭრილო-

ბას ხომ არ მივაყენებთ ამ ჩვენი მოქმედებით? იქნებ ვცდებით კიდეც, მაგრამ მე რომ მისი ოჯახი მახსენდება, სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია. დასწყევლოს ღმერთმა ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობა, კარგიცაა და მძიმეც.

მე დრო ვიხელთე და კალათა ბენოს მანქანაში გადავიტანე. ერთმანეთს დავშორდით — დამხვდურები მცხეთაში დარჩნენ, ჩვენ კი მტკვრის ნაპირს გავუყევით...

მეორე დღეს გიორგიმ აკადემიაში საქმეზე შემოიარა და მოწყენილმა მითხრა:

— ამ დილით გუშინდელი ამბავი რომ მომაგონდა, ცუდ ხასიათზე დავდექი, არ ვიცი, ვერა გამიგია რა. მგონი, მწარედ შევცდითო...

1980

სოსოს სიყვარული

„მე მინდა ჩემზეც იფიქროთ ხოლმე ხანდახან".

ი. გრიშაშვილი

პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი აკადემიაში ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე. ხან თავის ლექსებსა თუ გამოკვლევას გვისახსოვრებდა, ხან კი რომელიმე იშვიათ წიგნს გვიჩვენებდა და საინტერესო ამბებს მოგვითხრობდა.

ერთხელ სოსომ უცნაური თხოვნით მომმართა:

— ამას წინათ რომ ლექსების კრებული მოგიძღვენი, თუ შეიძლება ის ეგზემპლარი დამიბრუნე და სამაგიეროდ იმავე გამოცემის ეს მეორე ცალი წაიღეო.

გამიკვირდა. ორი, ერთი და იმავე გამოცემის წიგნის გაცვლის აზრი ვერ გავიგე. როდესაც მას ჩემი ეჭვი გავუზიარე, გაეცინა და აღმითქვა:

— იმ ცალს რომ დამიბრუნებ, საიდუმლოებას მაშინ შეიტყობო.

წიგნი მეორე დღესვე მოვუტანე. სოსომ სწრაფად დაუწყო ფურცვლა და, მიაღწია რა გარკვეულ ადგილს, შვებით ამოისუნთქა:

— ვარდის ფურცელი თავის ადგილზეა. რომ იცოდე, როგორ დავმშვიდდიო, — მომახარა სოსომ და გადაშლილი წიგნი მომაწოდა. შეცვლოდა და ჩემთვის სახსოვრად ლექსების ის კრებული მოეძღვნა, რომელშიაც მეგობარი ქალის მიერ ნაჩუქარ ვარდის ფურცელს ინახავდა.

ვარდს წითელი ფერი ოდნავ დაჰკარგვოდა, მაგრამ მაინც ნაზად და ლამაზად გამოიყურებოდა.

გადაშლილ წიგნს ალბათ დიდხანს დავცქეროდი, რადგან სოსომ მკითხა:

— რა მოხდა, ასეთი რა იგრძენიო?

იმ ხანად მე ერთ ფრანგ მეცნიერთან — ჟან რიბერო-გაიონთან პოლემიკა მქონდა იმის თაობაზე, თუ რატომ უფერულდებიან ბუნებრივი საღებავები. ჩვენი ჰიპოთეზები პრინციპულად განირჩეოდა ერთმანეთისაგან და თითოეული ჩვენგანი საღებავების გაუფერულების ყველა შემთხვევას საკუთარი ჰიპოთეზის შუქზე განიხილავდა.

მე მომეჩვენა, რომ სოსოს ვარდის ფურცელიც ჩემი მოსაზრების სისწორეს ადასტურებდა და იმ დროს ჩემთვის ჩვეული გატაცებით მოვუყევი მას, თუ რატომ უნდა ჰკარგავდეს ფერს ბუნებრივი საღებავები.

სოსომ მოიწყინა.

— არ მეგონაო, — გაიკვირვა, — ამ ვარდის ფურცელს რომ ვხედავ, მე ნარიყალას მიწისა და ჩემი მეგობარი ქალის მკერდის სურნელება მათრობს, შენ კი რაღაც მოლეკულების გადაჯგუფებაზე ფიქრობ. სერგი, მე და ჩემმა ღმერთმა, მეცოდებიო!

ჩემი თავი მეც შემეცოდა...

1961 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი მოეწყო. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან იყვნენ სტუმრები. ბანკეტი რესტორან „თბილისში“ გაიმართა. სტუმარ-მასპინძელთა შეკრებას ბატონი ნიკო მუსხელიშვილი განაგებდა. სოსო და მე სუფრასთან ერთად მოვხვდით და დროდადრო ვსაუბრობდით. სოსო ასეთ გარემოცვაში ადვილად იღლებოდა და დარჩენა უჭირდა.

— სერგი, მოდი ერთი საწერეთლოში გადავსახლდეთ და ძველ ამბები მოვიგონოთ, მხოლოდ იცოდე — ჯერ ცელქური, ჭაბუკური, ლამაზმანებს რომ ეხებოდეს ისეთი, ხასიათი რომ გამომიკეთდეს, და შემდეგ, რაც გინდა, ის მოაყოლეო, — მომმართა სოსომ.

იოსებ გრიშაშვილს, როგორც ცნობილია, აკაკი და მისი პოეზია უსაზღვროდ უყვარდა, მასთან დაკავშირებული ამბების მოსმენა უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. საწერეთლოც ხომ მისი ერთ-ერთი საყვარელი კუთხე იყო. რა არ მოგვიგონებია, ვინ არ გაგვიხსენებია. აკაკის სამფლობელოში ჩვენ ხომ ბევრი საერთო ნაცნობი და მეგობარი გვყავდა.

— აბა, რა იცი მავანი და მავანის შესახებ, წვრილად მომიყევი, არაფერი არ გამოტოვოო! — თვითონ კი ძველი თბილისის ამბების თხრობა უყვარდა.

— ახლა ჩემი ჯერია, წავიდეთ ძველ თბილისში „სოსოს მარშრუტითო“.

ახლაც ნაცად ხერხს მიმართა, მოგონების საღერღელი ჰქონდა აშლილი.

მისგანვე ვიცოდი, რომ მისი ზოგიერთი ლექსის ანგელოზი ჩემი კუთხიდან იყო. რამდენიმე დღის წინ თვითონვე მიამბო: საჩხერელი თავადის ქალის „მ“-ს ალბომში ჩემი რამდენიმე გამოუქვეყნებელი ლექსი აღმოჩნდაო. მეც დავყევი მის ცდუნებას და ჩემი ბავშვობის დროინდელი სამყაროდან ნანახი თუ გაგონილი ამბები ამოვქექე.

— ჩემო სოსო, საწერეთლოში ბევრი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ, როგორც კარგად მოგეხსენებათ, „თ“-ს ვერავინ შეედრებოდა; იგი ყოველმხრივ შემკული მანდილოსანი გახლდათ. თბილისიდან საჩხერეში მისი ჩამოსვლა სილამაზის დღესასწაულს ჰგავდა. სიცოცხლის ამ ბრწყინვალე ჯილდოს ყველა ჩვენთაგანი წმინდად და ამაღლებულად შევხვდებოდით. რა ლეგენდას არ გაიგონებდით მასზე! ახალგაზრდები ჰყვებოდნენ: ღამღამობით, ფრიდონის წისქვილთან, თხმელების ქვეშ დედიშობილა „თ“-ს ჩიხურის ვერცხლისფერი ტალღები ეალერსებაო. ვის ოცნებას არ ააფორიაქებდა სილამაზის ქალღმერთის ამ ქვეყნად მოსვლა! დადგა დრო და მე და ჩემ ტოლებსაც დაგვკრა თავში ასაკმა, ქვეყანა უეცრად ზღაპრული ოცნებებით აივსო. საოცნებო ზაფხულის ერთ გვიან საღამოს, რამდენიმე ბიჭი საიდუმლოდ ჩავეკონეთ წყლისაგან გაშიშვლებულ თხმელების ფესვებს და სულგანაბული ვუცდიდით ოცნების ხილვას. დიდხანს ვუცადეთ, როგორც ახლა მახსენდება, ასე მეგონა რამდენიმე საუკუნეც გავიდა-მეთქი, მაგრამ არავინ ჩანდა. ის-ის იყო მთვარე ამოიწვერა, რომ თხმელათა დაბურული ტევრი შეირხა და... აზრის დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ სოსომ უეცრად პირზე ხელი დამაფარა და შემეხვეწა:

— თუ ღმერთი გწამს, მეტი არაფერი აღარ თქვაო.

ამ დროს ჩემი შეჩერება არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ აბა რას ვიზამდი, დავდუმდი, მგოსნის სურვილი ჩვენთვის ხომ ხშირად კანონია.

კარგა ხნის შემდეგ ორივენი კვლავ სუფრის ფერხულში ჩავებით. ჩვენი საპატიო სტუმარი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მსტისლავ ვსევოლოდის ძე კელდიში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას, ჩვენი აკადემიის პირველ პრეზიდენტს ბატონ ნიკოს დამსახურებისა და კუთვნილისამებრ მიუზღავდა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა

და ჩემი ნაამბობი უკვე დავიწყებული მქონდა, სოსომ რომ ამოიკვნესა:

— თქვე უნამუსოებო, მერეც ხომ მრავალჯერ ჩაუსაფრდით ქალღმერთსო.

— ბატონო სოსო, შემდგომში არც ერთ ჩვენგანს მისი ხილვის არავითარი სურვილი არ გაგვჩენია: შე კაი კაცო, აზრის დამთავრება არ დამაცადე. იმ დიდი ოცნების ღამეს ფრიდონის მორევში „თ“-ს ნაცვლად მეწისქვილის ცოლი „დ“ დავინახეთ.

აფეთქება, აბა, ახლა უნდა გენახათ! დიდხანს იცინა, იკისკისა, სიხარულით ხელებს იფშვნეტდა.

— მადლობა ღმერთს, რომ მეგობრებად დაგვტოვა; შენ რომ მისი ღვთაებრივი სილამაზე გეხილა, მე და შენ ახლა ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვიქნებოდითო, — მომეალერსა სოსო.

ბატონმა ნიკომ სიტყვა ალექსანდრე ოპარინს მისცა. მან საქართველოს, მისი დიდი პოეზიისა და მეცნიერების სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ყველამ იგრძნო, რომ იგი ქართველი კაცი შინაგან სამყაროს იცნობდა. სოსოს მოეწონა ოპარინის სიტყვა.

— მართლა თუ უყვარს პოეზია შენს ოპარინსო, — მეკითხებოდა იგი. გაეხარდა, როდესაც გაიგო, რომ ალექსანდრე ივანეს ძე ლექსის დიდი ტრფიალი იყო.

ჩვენს მახლობლად გიორგი წერეთელი და ალექსანდრე ბარამიძე „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე საუბრობდნენ. ერთხანს სოსოც ჩაება ამ პაექრობაში, მაგრამ მალე ისევ მოწყინდა იქაურობა და კვლავ მთხოვა კიდევ რამე ამბავი მომეთხრო.

მე ვცდილობდი მისი თხოვა შემესრულებინა, მაგრამ სოსოს სურვილთა საწყაულს რა ალავსებდა!

თვალსაწიერიდან სუფრა მთლიანად გამოეცალა და ერთთავად წარსულში გადასახლდა.

—მოდი, თბილისის ძველ უბნებს ვესტუმროთ, ახლა მე გიმასპინძლებო.

ლენინის მოედნიდან ნარიყალას ფუძეს მივეტანეთ. სოსო უსიტყვოდ ეალერსებოდა ცაში აზიდულ პატარა აივნებს და ეკლესიების ხავსმოდებულ ლოდებს.

იდგა მივიწყებულ საფლავებს შორის და ხმამაღლა ფიქრობდა:

— კაცის წარსულსაც ისევე სათუთად უნდა მოექცე, როგორც ცოცხალ არსებასო...

* * *

ღამენათევი მგოსნისათვის ჯერ კიდევ ძილის დრო იყო, როდესაც სოსო აკადემიაში მოვიდა.

— სერგი, პირობა შევასრულე, ანდერძი მოვიტანე, რაც მაბადია, აკადემიას ვუტოვებ. რა ძნელი ყოფილა ანდერძის შედგენა. იცი, რაზე მწყდება გული, სიცოცხლესა და წიგნს რომ ერთდოულად უნდა გავეცალო. ძნელია ორი მეგობრის ერთად დაკარგვა. ვიცი, წიგნებს შესანიშავ, ჩემზე უკეთეს პატრონს ვაბარებ, მაგრამ... ყოველ წიგნთან ხომ მაქვს რაღაც მოგონება, ამას ხომ წიგნში ვერავინ ამოიკითხავს, ეს ვისღა ვუანდერძო, მითხარიო,—მეკითხებოდა სოსო.

— ჩემი ანდერძის პირველი მსაჯული შენ უნდა იყო. წუხელ რამდენჯერმე გადავაკეთე, მაგრამ მაინც არ მომწონს, რაღაც არ გამოდის, შენ იცი და ამ ეპისტოლემ...

ანდერძის შესახებ ჩვენ ადრეც გვქონია საუბარი და თითქოს ახალი არაფერი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა მაგიდას მივუსხედით და წინ მისი ხელით დაწერილ ანდერძს დავაცქერდით, ორივეს რაღაც უჩვეულო გრძნობა დაგვეუფლა.

დოკუმენტში სოსოს მრავალი სურვილი და გულისტკივილიც ჩაეწერა, ბიბლიოთეკის მომავალი მუშაობის გეგმაც დაესახა. ცხადი იყო, რომ ამ სახით იგი, როგორც იურიდიული საბუთი, არ გამოდგებოდა. ავტორის ნებართვით ანდერძი აკადემიის პრეზიდიუმის სწავლულ მდივანს დავით ფურცელაძეს გავაცანი. მან, როგორც სამართლის მეცნიერების წარმომადგენელმა, საგულისხმო შენიშვნები მოგვცა. სოსო დათანხმდა, რომ ანდერძს გადააკეთებდა. ხელნაწერი დამიტოვა, ხელს შემიშლის ახლის შედგენაშიო, და აღგვითქვა, რომ ორ-სამ დღეში ახალს მოგვიტანდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შეწუხებული მოვიდა, არაფერი არ გამოდის, ვერაფერი ვერ დავწერე და მიშველეთ, მომეხმარეთო.

მე ვეხუმრე, ანდერძი რომ შენი ხელით არ იქნება დაწერილი, ერთიც ვნახოთ და ძველებური ჩვევების მიხედვით დაგვიწერო — „დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ, დამიბრუნეთო"; მაშინ როგორ მოვიქცეთ-მეთქი. გაეცინა. საიდუმლოდ მითხრა — ახლა „დამიბრუნეთ" კი არა, „დამიბრუნდი, დამიბრუნდის" დაწერაც გამიჭირდებაო. სიტყვა ოჯახზე ჩამოვარდა; წუხდა, ანდერძში ჩემთვის საყვარელი ყველა ადამიანი ვერ მოვიხსენიეო. ვანუგეშე, რას ვიზამთ, პოეტის ნათქვამია — სიყვარულსა მალვა უნდა-მეთქი.

ანდერძი შევასწორეთ, შევავსეთ და საბოლოო რედაქცია გავუკეთეთ. სოსო მაინც ბორგავდა, როგორ გააშიშვლეთ, გააღარიბეთ, მგოს-

ნის ნაწერს არა ჰგავსო. იხვეწებოდა: — ჩემ მიერ შედგენილი წიგნის სიყვარულის კოდექსი მაინც შეიტანეთ ამ ჩემს ანდერძში უცვლელადო.

* * *

თბილისში ჩვეულებრივზე მეტად ცხელოდა. ნაშუადღევი იყო, მაგრამ ქუჩაში მოსიარულენი მაინც ჩრდილს ეტანებოდნენ. უნივერსიტეტთან ჭადრების ქვეშ შეფარებულ ხალხში იოსებ გრიშაშვილი შევნიშნე. ეტყობოდა, სხვა სამყაროში იმყოფებოდა. გამოველაპარაკე და პეტრიაშვილის ქუჩისაკენ ერთად გავეშურეთ. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, დუმდა. ფოსტასთან დამემშვიდობა, ფიქრის გორისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვა. ასეთი სოსო არასოდეს მენახა შეუძლოდ მომეჩვენა და არ მივატოვე, თან გავყევი კარგა ხანს იჯანჯლა:

— შენ შენს გზას გაუდექი, მე ჩემი საქმე მაქვსო.

მაინც არ მოვეშვი და ფიქრის გორამდე ერთად ჩავედით. მე პურის საცხობთან დავრჩი, თვითონ კი სვიმონ კლდიაშვილისეული სახლისაკენ გასწია.

— ვიღაც ნაცნობს უნდა შევხვდე და მალე დავბრუნდები, შენ აქ დამიცადეო.

დავედევნე. ფიქრის გორის გადასახედამდე მივიდა, იქ შეჩერდა, ერთხანს უძრავად იდგა, შემდეგ შემობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით უკან წამოვიდა. ქუჩის დასაწყისში რომ დამინახა, იწყინა.

— აქ რა გინდა, მე ხომ ზევით დაგტოვეო! — აღგზნებული მომეჩვენა. „კურდღლის ტუჩის“ საულვაშე ცვარს დაენამა, თვალები უკიაფებდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მეხვეწებოდა, სწრაფად წავიდეთ აქედანო.

რა მოხდა, რა მოუვიდა! ჩემი თვალით ვნახე არსად არ შესულა, არავინ არ შეხვედრია. მისი ამწამიერი განცდის შეცნობის სურვილმა სულის ტკივილამდე შემიპყრო. როგორ არ შევეხვეწე, რა არ ვიღონე. მაგრამ არაფერი გამომივიდა. წამოვედით. ლენინის ქუჩაზე ივანე მაჩაბლისეული სახლის წინ გამაჩერა.

— სერგი, ივანეს დროს ამ სახლის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის იქით, მტკვარზე ჩასასვლელი ბილიკი იყო. იმ წყეულ ღამეს ივანე თურმე აივანზე რამდენჯერმე გამოსულა და აი, აქედან არის იგი ჩასული მტკვარზე. ვინ იცის, რა ფიქრები აეშალა მტკვრის პირას, როგორ დაიკვნესა დაკოდილმა გულმა! იმ დღეებში მტკვარ-ც ხომ უღმერთოდ იყო ადიდებული, რამდენი ადამიანი დაიკარგა უკვალოდ?!

შენ რა, როგორ მიყურებ, არ გაინტერესებს ჩემი აზრი ივანე მაჩაბლის ბედზე? — მე არაფერი არ ვუპასუხე. გზა გავაგრძელეთ და მა-

ლე კიროვის სახელობის ბაღში ამოვყავით თავი. ლავრენტი არდაზიანის საფლავთან მიმიყვანა, ნაღვლობდა—მოუველელიაო. ერთხანს ბაღში უბრად ვისხედით. ის-ის იყო ჩვენ-ჩვენ გზას უნდა დავდგომოდით, რომ სოსომ დაიწყო:

— 1915 წელს ფიქრის გორაზე ერთი ქალი გავიცანი, უმალვე მოსვენება დავკარგე და ჩემი სულის ნიაღვარი ათიოდე ლექსში დავაკე. ერთ წელში ჩვენი ნაცნობ-მეგობრობა გათავდა. მან მე ჯვარზე მაცვა. მე ის ქვეწარმავალთა მოდგმას მივაკუთვნე. ახლა იგი აქედან შორსაა გადახვეწილი. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და მაინც მისი სიყვარულის დამღას თანდაყოლილი გულისტკივილით ვატარებ. ახლა ხომ გაიგე, თუ ვის შევხვდი დღეს, ფიქრის გორაზე. ყოველ წელს მივდივარ ხოლმე მასთან შესახვედრად იქ, სადაც პირველად ჩაისახა ჩვენი უბედო სიყვარულიო, — დაასრულა სოსომ.

...მრავალი წელია, რაც იოსებ გრიშაშვილი თვალს მიეფარა, მის ქალაქში მისი ფიქრების მრავალი გორაა ახლაც შემონახული, სოსოს ეშხი და ლაზათი კვლავ ამშვენებს თბილისი-ქალაქს.

1976

ალვის ხეები

1962 წლის ივლისში პარიზიდან სამხრეთ საფრანგეთისაკენ გავემგზავრეთ. იმავე წლის შემოდგომაზე საქართველოში უნდა მოწყობილიყო მსოფლიო კონგრესი ვაზსა და ღვინოზე. წინასწარ უნდა შეგვესწავლა ფრანგი ხალხის მიღწევები მევენახეობასა და მეღვინეობაში, ტექნიკურ მიკრობიოლოგიასა და ბიოქიმიაში.

ორი ათასზე მეტი კილომეტრი გავიარეთ მანქანით. მრავალ ქალაქს, მეურნეობასა და წარმოებას, სამეცნიერო დაწესებულებასა და ღირსშესანიშნავ ადგილს ვეწვიეთ.

ამ საქმეში დიდად შეგვიწყო ხელი ჩვენმა გიდმა— ქალბატონმა ეკატერინემ. იგი შუახნის ქალი იყო, ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას და ყველაფერს საინტერესოდ, საფუძვლიანად მოგვითხრობდა. ორ-სამ დღეში ქალბატონი ეკატერინე ყველასათვის ახლობელი გახდა, უფრო მეტად მე შემომეკედლა. განსაკუთრებით აინტერესებდა ჩვენი მწერლობა, მწერლები. მას სახელოვანი მწერალი და დრამატურგი გიორგი მდივანი გაეცნო და აღტაცებული იყო მისი პიროვნებით.

ერთხელ, ბურგუნდიაში ყოფნისას, ქალბატონმა ეკატერინემ თავის მოგონებათა საგანძურიდან ამოალაგა ზოგი რამ, რაც გიორგი მდივანს შეეხებოდა, და დაწვრილებით მოგვითხრო:

„ამ ზაფხულს მოსკოვიდან ცნობილი მოღვაწეები გვესტუმრნენ: პოეტი, მწერალი-დრამატურგი და კინორეჟისორი. გამოცა მათმა ყო-

ველმხრივმა ინტერესმა; სამივე მაღალი ინტელექტის, მრავალმხრივ განათლებული, ცხოვრების ღრმა მცოდნე პიროვნება გახლდათ. მათ შორის ყველაზე მოძრავი და ემოციური გიორგი მდივანი იყო. ღმერთო, რა ალერსით სავსე თვალები აქვს, რა სულის შემძვრელი ღიმილი. ხშირად ვერ ვმალავდი იმ დიდ აღტაცებას, რომელსაც ის ჩემში იწვევდა.

— ეკატერინე გავრილოვნა, თქვენ საქართველოში წამობრძანდით და მაშინ დარწმუნდებით, რომ მე ჩვეულებრივი საშუალო ქართველი კაცი ვარ, მიყვარს სამშობლო და ბედნიერად ვგრძნობ თავს, როდესაც ხალხის უკეთესი მომავლისათვის ვიღვწი!—მითხრა გიორგიმ ჩემი ხოტბის საპასუხოდ.

გამოჩნდა თუ არა საფრანგეთის ულამაზესი ჭალები და მინდვრები, ტყეები და ყანები, კრამიტიანი სახლები და ჯიშიანი ძროხები, უღლიანი თხები და დეზებიანი მამლები, გიორგის უსაზღვრო აღტაცება დაეუფლა.

— ღმერთს საფრანგეთისა და საქართველოს მიწა-წყალი ერთგვარად მოუხატავს, ფრანგსა და ქართველს კი ეს ქვეყანა ერთგვარად მოუქარგავსო, — ამბობდა ბატონი გიორგი.

რამდენიმე საათის მოგზაურობის შემდეგ გზა ულამაზეს ტყეში შევიდა. გიორგი მდივანმა გვთხოვა ცოტა ხნით შევჩერებულიყავით. შევისვენეთ. გიორგი უმალვე ტყეში შეიჭრა და კარგა ხანს არ ჩანდა, მერე უზარმაზარი თაიგულით გამოგვეცხადა.

ქალბატონო ეკატერინე, არ გეგონოთ, რომ ესენი მხოლოდ საფრანგეთის ბინადარნი იყვნენ. მე მხოლოდ ისეთი მცენარეები შევარჩიე, რომელთა წინაპრები ჩემს სამშობლოშიაც აბორიგენებად ითვლებიან; გთხოვთ, მიიღოთ პანტა და მაჟალო, თხილი და ძახველი, ტყემალი და კუნელი, როგორც საფრანგეთ-საქართველოს საერთო დესპანები, — მომმართა გიორგიმ და მცენარეთა ყლორტების უჩვეულო თაიგული გადმომცა. ასეთი ლამაზი და განუმეორებელი თაიგული ჩემთვის არასოდეს მოურთმევიათ...

მეორე დღეს მოსკოველმა კინორეჟისორმა გვთხოვა ერთ-ერთ გადასახედთან გავჩერებულიყავით. ახლა მე სამივეს საკმაოდ კარგად ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა და სიამოვნებით დავთანხმდი. ვიდრე მოსკოველები ლანდშაფტის სილამაზით ტკბებოდნენ, გიორგი სკოლამდელი ასაკის სამ ბავშვს დაუმეგობრდა. ბავშვები მხიარულად თამაშობდნენ. უფროსმა გაგვიმარტა — დედა აქვეა და მალე მოვა. გიორგის სამივე ბავშვი ძალზე მოეწონა, ბავშვებმაც ივრძნეს მისი დიდი გული და რამდენიმე წუთში უკვე ერთად თამაშობდნენ, როგორც თანატოლნი და დიდი ხნის მეგობრები. მოგზაურობის გრაფი-

კი დარღვეული გვქონდა და მე ძალიან ვჩქარობდი. • რამდენჯერმე ვთხოვე გიორგის, დროა წავიდეთ-მეთქი, მაგრამ ამაოდ.

— ბავშვების დედას მოვუცადოთ, პატარებს ასე უპატრონოდ ხომ ვერ დავტოვებთო.

გადიოდა დრო და დედა არსად ჩანდა. გიორგის ახლა ბავშვებიც აჰყვნენ.

— თქვენ წაბრძანდით, ძია ჩვენთან დარჩებაო.

მეტი არ შემეძლო, კატეგორიულად მოვითხოვე დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავით.

გიორგი სევდიანი თვალებით გამოემშვიდობა ბავშვებს, მათ რაღაც საჩუქრები დაურიგა და, როგორც იქნა, ადგილიდან დავიძარით. ნასადილევს ჩვენი ურთიერთობა ძველ კალაპოტში ჩადგა. ავტოტრასის ორივე მხარეს ახლად გაშენებული ტყის კორომები გვხვდებოდა და გვაცილებდა: საფრანგეთის ტყეებზე საუბარს მოვუხშირეთ, ჩემი ახლად შეძენილი საბჭოთა მეგობრები დიდი გულისყურით მისმენდნენ. თქვენი ქვეყანა ტყით მდიდარი სახელმწიფოა და, ბუნებრივია, რომ სატყეო მეურნეობა ჩვენ სამივე სტუმარს აინტერესებდა. ერთ ადგილზე, საუბრის თემით გატაცებულმა, თავდაჯერებულად განვაცხადე:

— ბატონებო, აი აქ მთავრდება ალვის ხეების გავრცელების ზონა. ამის შემდეგ ჩვენს გზაზე არც ერთი ძირი ალვის ხე აღარ შეგვხვდება. თქვენ ახლა დარწმუნდებით, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტყისათვის მიკროკლიმატს.

მანქანა 150 კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდა. ჩემი განცხადებიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ალვის ხეების დიდი მასივი გამოჩნდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. თვალები დავხუჭე და ისე ველოდი ჩემი თანამგზავრების რეაქციას.

— ეკატერინე გავრილოვნა, ეკატერინე გავრილოვნა, შეხედეთ, შეხედეთ, რამდენი ალვის ხეა და თანაც როგორი! — ხმამაღლა სიცილით შემომძახა პოეტმა. კინორეჟისორიც გულიანად იცინოდა. გიორგისაკენ შიშით ვერ გავიხედე. ლოდინში სული შემეხუთა.

— ბატონებო, თქვენ გეშლებათ, სად არის ალვის ხეები, მე ვერ ვხედავ ალვის ხეებს! — შემომესმა მწერალ-დრამატურგის დინჯი, მტკიცე განცხადება. ჯერ სიცივე შევიგრძენი, შემდეგ კი მთელ სხეულზე ცეცხლი წამეკიდა. ეს დასაწვავი ალვის ხეები კი არ ილეოდნენ, გზის ორივე მხარეზე ჯარისკაცებივით გამწკრივებულიყვნენ. მაინც სად იყო ამდენი ალვის ხე! ათასჯერ გამივლია ამ გზაზე და დავიჯერო, არ შემინიშნავს? ახია ჩემზე, რა მსჯიდა? რომელი გეობოტანიკოსი მე ვიყავი, რომ მცენარეთა დარაიონება დავიწყე!

ქართველი მწერლის ამ უჩვეულო ქცევამ სწრაფად შეცვალა დანარჩენთა ჩემდამი დამოკიდებულება. შემდეგში არც ერთ მათგანს ჩემთან ალვის ხე აღარ უხსენებია. ახლაც მესმის გიორგი მდივნის ხმა:

— სად არის ალვის ხეები, მე ვერ ვხედავ ალვის ხეებს!

პარიზში დავიბადე და გავიზარდე, შთამომავლობით თავადის ქალი ვარ, სპეციალობით ხელოვნების ისტორიკოსი, სორბონაში ვასწავლი, ახალგაზრდაც აღარა ვარ. ჩემი ცხოვრების რთულ გზაზე ვის არ შევხვედრივარ, მაგრამ ასეთი სულით სპეტაკი და მდიდარი ადამიანი ცოტა მინახავს!"—დაამთავრა თხრობა ეკატერინე გავრილოვნამ.

კიდევ ათი დღე დავყავით მასთან ერთად. მრავალ ქალაქსა და სოფელს ვეწვიეთ, ბევრი რამ გვიჩვენა და გვიამბო, მაგრამ არცერთი დღე არ გაგვიტარებია, რომ გიორგი მდივნის ხსენება არ ყოფილიყო.

საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ გიორგის მოსკოვში შევხვდი და ამ ამბავს მოვუყევი, გაიცინა და დამიდასტურა, მართლაც ასე იყო.

ჩემს შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა ეს ეპიზოდი როდისმე ჩემს მოგონებებში მოვიხსენიო-მეთქი, მიპასუხა:

— სერგო, გენაცვალე, როგორც გინდა, მაგრამ, თუ დამიჯერებ, მე არაფერი განსაკუთრებული არ ჩამიდენია. ჩემს ადგილზე იმ სიტუაციაში ყველა ქართველი კაცი, ალბათ, ჩემსავით მოიქცეოდა.

1982

ახალგაზრდა პროზაიკოსი

1

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება გურამ რჩეულიშვილის პირადი საქმე, რომელშიც მისი ხელით დაწერილი ავტობიოგრაფიაა:

„მე, გურამ მიხეილის ძე რჩეულიშვილი დავიბადე 1934 წ. 4 ივლისს ქ. ქუთაისში, მოსამსახურეების ოჯახში.

ჩემი მშობლები არიან: მამა — რჩეულიშვილი მიხეილ დიმიტრის ძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დედა—ნიჟარაძე მარიამ სიმონის ასული, უმაღლესი განათლებით, ამჟამად დიასახლისი.

1953 წ. დავამთავრე ქ. თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლა. ამავე წელს შევედი ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1959 წელს.

1955 წელს ზაფხულში ვმუშაობდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ხოვლიგორის არქეოლოგიურ ექსპედიციაში — მუშად.

1950 წლიდან ვარ საქართველოს ლენინური კომკავშირის წევრი.

გ. რჩეულიშვილი
ქ. თბილისი
1959. წ. 25. III"

ავტობიოგრაფიაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი მწერლობაზე, თუმცა ამ დროისათვის ნაწილი მისი მოთხრობებისა გამოქვეყნებული და საკმაოდ გახმაურებული იყო.

გავიდა ერთი წელი და გურამი დარწმუნდა, რომ მწერლობას და სამსახურს ერთმანეთს ვერ შეუთავსებდა. მის პირად საქმეშია აგრეთვე მუზეუმის განყოფილების გამგის განცხადება მუზეუმის დირექტორის სახელზე, დათარიღებული 1960 წლის 11 ივნისით:

„გთხოვთ სათანადოდ გააფორმოთ განყოფილების უმცრ. მეცნიერ თანამშრომლის გ. რჩეულიშვილის წასვლა ექსპედიციიდან და მუზეუმიდან.

გ. რჩეულიშვილი ექსპედიციიდან და მუზეუმიდან წავიდა, როგორც თვითონ განაცხადა, იმიტომ, რომ მას სხვა მოწოდება აქვს და ისტორიაში ვერ იმუშავებს.

გ. რჩეულიშვილის განთავისუფლება უნდა გაფორმდეს ა. წ 9 ივლისიდან".

მთელი სიცოცხლე რომ მწერლობისათვის შეეწირა — ასეთი გადაწყვეტილებით გურამმა 9 ივლისიდან მხოლოდ 23 აგვისტომდე იცოცხლა.

2

გურამ რჩეულიშვილის დაღუპვიდან 24 წელი გავიდა. ახლა გურამი უფრო მრავალი კუთხიდან და უფრო სრულად ჩანს: დაიბეჭდა მისი ნაწარმოებები, გამოქვეყნდა ნიჭიერი ქართველი მწერლის ნუგზარ წერეთლის ბრწყინვალე მონოგრაფია — „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ", მის შემოქმედებასა და ცხოვრებას მრავალი წერილი ეძღვნა.

გურამ რჩეულიშვილი მხატვრული სიტყვის ნამდვილი რაინდი იყო და რაინდული სიყვარულითა და სპეტაკი მეგობრული გრძნობით წერენ მის შესახებ მისი თანამედროვენი.

და მაინც დღეს, მისი დაბადებიდან 50 წლისთავზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გურამის მამის, გამოჩენილი ქართველი

მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ რჩეულიშვილის ნაამ-ბობს*.

„გურამს ბავშვობიდანვე უყვარდა ზღაპრები. მეც დღენიადაგ ვუყ-ვებოდი ხალხურ ზღაპრებს, რაც გაგონილი ან წაკითხული მქონდა. ხში-რად იძულებული ვიყავი ზღაპრები გამეგრძელებინა ან მათი ახალი ვარიანტები შემეთხზა. იმ დღიდან კი, როდესაც კითხვა ისწავლა, თვი-თონ კითხულობდა გატაცებით.

განსაკუთრებით ბევრ ზღაპარსა და მოთხრობას უკითხავდა დე-დაჩემი—ბებო საშა. ბებო საშა უკითხავდა ქართულიდან, ფრანგული-დან, რუსულიდან.

თავისი ათი შვილიშვილიდან გურამი ბებოს გამორჩეულად უყვარ-და. გურამსაც ასევე უყვარდა ბებო. საერთოდ ბებო საშას დიდი გავ-ლენა ჰქონდა გურამზე. გურამის კეთილი, რაინდული, მგრძნობიარე ბუ-ნების ჩამოყალიბებაზე დიდად იმოქმედა ბებოსთან მეტად ახლო და უშუალო ურთიერთობამ. ყველამ იცის, რომ გურამი დიდ პატივს სცემ-და უფროსებს, განსაკუთრებით მოხუცებს. საფიქრებელია, რომ ყველა ამ ხალხში გურამი თავის ბებოს ხედავდა.

ასევე ძალიან უყვარდა გურამს დედა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მისი განათლების, ჯანმრთელობის წრთობისა თუ რაინდული ჩვევების შემუშავებაში.

გურამი ცხენზე პირველად ალვანში შევსვი მაშინ, როდესაც 9—10 წლისა იქნებოდა. კარგი ცხენები მყავდა, განსაკუთრებით კი თვირ-თვილა და სალამურა (შემდეგში მისი მოთხრობების გმირები). გურამი ბავშვობიდანვე ბუნებით მეტისმეტად გამბედავი იყო და ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ პირველი შეჯდომისთანავე გააჭენა ისეთი ფიცხი ცხენები, როგორიც სალამურა და თვირთვილა იყო. გურამმა ჩემთან ერთად ცხენით იმოგზაურა დაღესტნის (ავარეთი, დიდოეთი) და თუშეთის მთების სამივე ხეობაში, წოვათში, ალაზნის თავზე და სხვ. მე აქ ვმუშაობდი, ვატარებდი ცხვრის ბონიტირებას. გურამი ზოგჯერ სანადიროდაც დამყავდა.

როდესაც წამოიზარდა, მაშინაც ძალიან ბევრს კითხულობდა. კი-თხვა უყვარდა თავაუღებლივ. თუ რამეს კითხულობდა, რამდენიც გინ-და გეძახა, ვერ გაიგონებდა, მთლიანად წიგნით იყო დაკავებული. კი-თხულობდა ქართველ, რუს და უცხოელ კლასიკოსებს (ბაირონს, შექსპირს, სტენდალს, რუსოს, გოეთეს, ვოლტერს, მოპასანს, ტოლს-ტოის, დოსტოევსკის, ტურგენევს და სხვ.). ქართველი პროზაიკოსები-

* ბატონმა მიხეილმა ჩემი ხანგრძლივი მუდარისა და ხვეწნის შემდეგ, როგორც იქნა, გადმომცა ეს სტრიქონები.

.დან განსაკუთრებით აფასებდა დ. კლდიაშვილს და მ. ჯავახიშვილს. ხარბად კითხულობდა აგრეთვე თავის თანამედროვე მწერლებს. გერმანიიდან გამომაწერინა ლიტერატურული ჟურნალები.. თვითონ ლექსებს არ წერდა, მაგრამ ზეპირად იცოდა მრავალი ლექსი, განსაკუთრებით უყვარდა რუსთაველის, ილიას, აკაკის, გალაკტიონის, ვაჟას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ტიციან ტაბიძის, მაიაკოვსკის, პუშკინის, ლერმონტოვის, ბაირონის ლექსები.

კითხვის ან წერის დროს თავის ოთახში ჩაკეტვა იცოდა. მასთან ვერავინ ვერ შევიდოდა და თვითონაც იშვიათად გამოდიოდა. ასე მუშაობდა გადაბმით, რამდენიმე დღის განმავლობაში.

მოთხრობების წერა სტუდენტობის დროს დაიწყო. წერდა ყველგან: ლექციაზე, თავის ოთახში და ზოგჯერ სხვებთანაც. ასე მაგალითად, 27 სექტემბერს, ალავერდობა დღეს, ალავერდში ვიყავით, საიდანაც სტუმრად წავედით ართანაში. იქ დავრჩით ღამის 2 საათამდე. წამოვედით თელავში. გურამს არ დაუძინია და დილით მოთხრობა „ალავერდობა" შავად დაწერილი ჰქონდა, ორი დღის შემდეგ კი თბილისში უკვე დასაბეჭდად იყო გამზადებული.

თბილისში რენინგერის ქუჩის № 4-ში ვცხოვრობდით (კალინინის ქუჩის № 66-ის კუთხის სახლში). აქვე ცხოვრობდა ჩემი ორი ბიძა ივანე და გიორგი ჯავახიშვილები თავიანთი ოჯახებით, ორბელიანები და კიტა აბაშიძის ოჯახი. ყველანი ნათესავები ვიყავით და გურამი მათთან ერთად იზრდებოდა. განსაკუთრებით უყვარდა დათო ჯავახიშვილი, გიგი და აგი აბაშიძეები (თავისი თანატოლები).

1954 წელს ლერსის ქუჩაზე გადავედით. გურამს ერთი მხრივ აწუხებდა ნათესავ-მეგობრებთან დაშორება, მეორე მხრივ კი უხაროდა იქ გადასვლა, რადგან მას მეტად აწუხებდა ხმაურიანი რენინგერის ქუჩა (ბინა ნახევრად სარდაფი იყო და ტრამვაის ხაზის გამო მეტად ხმაურიანი).

1959 წელს გურამმა არქეოლოგიაში მუშაობა გადაწყვიტა. აინტერესებდა შუა საუკუნეები. ფიქრობდა, რომ შეათავსებდა სამსახურს მწერლობასთან. ამ დროს მუზეუმს თავისუფალი საშტატო ერთეული არ ჰქონდა. ამ საკითხის მოგვარება თავს იდო ჩვენი ოჯახის მეგობარმა სერგი დურმიშიძემ.

გურამს ის-ის იყო უკვე უნდა დაეწყო მუშაობა, როდესაც გაიგო, რომ მუზეუმში სამი წლის განმავლობაში სტაჟიორად მუშაობდა ბულეიშვილის ქალი და ამ საშტატო ადგილს დიდი ხანია ელოდა. გურამმა უარი განაცხადა შტატში ჩარიცხვაზე, ვიდრემდე ბულეიშვილს არ მიიღებდნენ სამუშაოზე. გურამის ასეთი მოქმედება გულთან ახლოს

შეიტანა ს. დურმიშიძემ და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ორიევესათვის გამოეყოთ საშტატო ერთეულები.

გურამს თავის დასთან მარინესთან მეტად ფაქიზი და ამავე დროს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ხშირად კამათობდნენ, არჩევდნენ ნიცშეს, კანტს, ჰეგელს... ანდა რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებს. გურამი განსაკუთრებით აფასებდა დის მხატვრულ გემოვნებას. თავის ყველა მოთხრობას პირველად მარინეს აკითხებდა. გურამი ხშირად ამბობდა, მარინეს კაცის ჭკუა და გამბედაობა აქვსო.

გურამს არ ჰქონდა ამოჩემებული სპორტის რომელიმე სახე, მაგრამ ბევრ მათგანს მისდევდა. იყო საუკეთესო ცხენოსანი, მთასვლელი, ჭიდაობდა და განსაკუთრებით კარგად ფლობდა კრივის ილეთებს, საკმაოდ მარჯვედ დადიოდა თხილამურებით. გურამი ძალიან კარგად ცურავდა...“

3

მიხეილ რჩეულიშვილის და ჩემი ოჯახი 1954 წლიდან ლარსის ქუჩაზე, ერთ სახლში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდა. ამის გამო გურამ რჩეულიშვილის უკანასკნელი ხუთი წლის სიცოცხლემ, მისმა შემოქმედებითმა წვამ ჩემს თვალწინ გაიარა. მე მის ბევრ ნათესავსა და მეგობარს ვიცნობდი. 1983 წ. ზაფხულს გავიგე, რომ მისი ერთი მეგობარი, გამოჩენილი ქართველი მხატვარი კოკა იგნატოვი უცხოეთიდან თბილისში ჩამოვიდა და გურამის მამას ვთხოვე, რომ მეც შევეხვედრებინე. ზოგი რამ მოგვეგონებინა, გურამი ერთად გაგვეხსენებინა, მართლაც, სამივენი შევიკრიბეთ. მე მინდოდა აღმედგინა, თუ როგორ იყო მოხატული გურამის სამუშაო ოთახი და რა მიზანს ემსახურებოდა კედლის ეს მხატვრობა.

— ბატონო კოკა, თქვენ იცით, რომ ჩვენ მეზობლები ვიყავით. ერთხელ, თუ არ ვცდები, 1957 წლის შემოდგომაზე, ქალბატონი მარიამი ამოვიდა ჩვენთან და მთხოვა გურამის სამუშაო ოთახი მენახა, გაკვირვებული იყო: მისმა მეგობარმა მხატვარმა კოკა იგნატოვმა ოთახის ყველა კედელი მოხატა, საოცარი სანახაობაა, მაგრამ გარემო, ჩემის აზრით, მაინც დამძიმებულია. ზის ასეთ ოთახში ჩემი გურამი და დღე და ღამე წერს, ვერ გამიგია, რა ხდებაო. მე, რა თქმა უნდა, ვავყევი ქალბატონ მარიამს და, როდესაც მოხატულობა ვნახე, გავვოცდი: კედლებზე ორი სხვადასხვა სამყარო იყო გამოსახული. ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ გურამის დედა მაინც დავამშვიდე: — არა უშავს რა, რადგანაც ასე სურს გურამს, სჯობს ასე იყოს-მეთქი. თქვენ ალბათ იცით, რომ ერთი წლის შემდეგ ოთახში მხატვრობა წაიშალა, კედლე-

ბი გაასუფთავა გურამმა. ხომ არ მოგვითხრობდით რაიმეს ამ ამბავთან დაკავშირებით.

ბატონმა კოკა იგნატოვმა გვიამბო: „მე და ვაჟა გიგაშვილი გურამთან ვმეგობრობდით. ორივენი ვხატავდით. გურამი არ ხატავდა. ვაჟა შემდეგ არქიტექტურულ ფაკულტეტზე შევიდა. ახლა იგი მწერალია. გურამი ჩემთან სახლში ხშირად დადიოდა. მე ჩემ ოთახში კედელზე რაღაცეები მქონდა მიჯღაბნილი და გურამი აკვირდებოდა ხოლმე. ერთ დღეს გურამი და ვაჟა ერთად მოვიდნენ და გურამმა მთხოვა:

— ოჯახმა ოთახი გამომიყო და უნდა მომიხატოო. ორი თემა მე მაქვს, ორს შენ მოიფიქრებ, ორს ვაჟა გვეტყვის და მხატვრულად გაფორმებული სამუშაო ოთახიც მზად იქნება. საკუთარი სამყარო მინდა მქონდეს, რომ შემეძლოს იქ დარჩენა და ხანგრძლივი მუშაობა. მხოლოდ იცოდე, იმგვარი მასალა უნდა იყოს, რომ ადვილად მომზადდეს და ადვილადვე წაიშალოსო.

იმ ხანებში ლადო მესხიშვილმა პასტელი მაჩუქა, ასამდე ფერის იყო. კედელზე ამ პასტელით დახატვა ბარბაროსობა იყო, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა გურამს ხომ უარს ვერ ვეტყოდი! გურამი მაშინ პიესა „იულონს“ წერდა. მისი სამყარო წმინდა ლიტერატურული და მხატვრული იყო. მხატვრობას ლიტერატურულ მოთხოვნებს უყენებდა. უნდოდა ჰქონოდა კონფლიქტი და კომპოზიცია. უნდა გამოვტყდე, მისი მოსაზრებები ახლაც მადგება მუშაობაში. მე მაშინ მეგონა, რომ სულ რაღაც ლამაზი უნდა მეხატა. ანრი მატისით ვიყავი გატაცებული. როგორც მოგეხსენებათ, ეს მხატვარი უწყნარესი შემომქმედია. მისი აზრით, მხატვრობა ადამიანისათვის მოხერხებული სავარძელი უნდა იყოს, რომ მან სიმშვიდე, სიწყნარე იგრძნოს. მთელი სიცოცხლე იგი სილამაზეს ემსახურებოდა.

გურამი ამ აზრს არ იზიარებდა: ხელოვნება მარტო ტკბობისათვის არ არის, მას ბევრი სხვა ფუნქციაც აქვსო. მე იმ პერიოდში წყნარი და ეპიკურეული მსოფლმხედველობა მქონდა, გურამი კი დრამატიზმისა და დიდი ემოციების მაძიებელი იყო. პირველად მასთან კამათში შევიცნე დიდი მხატვრობის აზრი.

გურამმა კონკრეტულად დამიყენა თავისი მოთხოვნა:

— მე მინდა ორი მასის, ორი სხეულის შეჯახება, ორი ძალისა — პლუსის და მინუსის, კონფლიქტის აბსტრაქტული ფორმის გამოსახვა. გურამს არაჩვეულებრივი ტაქტი ჰქონდა: დაუნდობლად ვკამათობდით მხოლოდ მუშაობის დაწყებამდე, შემდეგ კი, როდესაც მე ხატვას დავიწყებდი, ახლოს არ გამეკარებოდა.

— ჯერ ფილოსოფიური კრედო გავარკვიოთ და შემდეგ შენთვის წყნარად იმუშავეო.

დიდი ბრძოლის შემდეგ შევთანხმდით, თუ რომელ კედელზე რა უნდა დამეხატა. იმ ხანად იგი სულიერად პიკასოსთან უფრო ახლოს იყო, როგორც მრავალფეროვან მხატვართან, როგორც უფრო მძაფრი ემოციების მქონე უფრო დრამატულ შემოქმედთან. ერთი კვირა ვიმუშავე. პირველად გასასვლელი კარის ფრიზი მოვხატე, შემდეგ მარჯვენა და მარცხენა კედელი, სამივე გურამის ფანტაზიის მიხედვით. მარჯვენა კედელზე კუთხეში სიბრძნის გამოსახატავად მხოლოდ ხნიერი მამაკაცების სხვადასხვა ტიპის შავი მკაცრი სახეები იყო გამოსახული. ესენი ფრესკებს ჰგვანდნენ. მარცხენა კედელზე პიკასოს სტილზე დატეხილი კუბისტური ქალაქი დავხატე. აივნისაკენ გასასვლელი კარების თავზე გამოხატული იყო ბრძოლა ორ ჯგუფს, თითქოს ჯარის ორ ნაწილს შორის; ფიგურები იყო როგორც შემტევი, ისე დამცველი. ოთახში შემოსასვლელის ფრიზი „პრემიის“ სახით მე მომცა: — როგორც გინდა, შენი ლამაზები ისე დახატეო. მე, როგორც იმდროინდელ ჩემს ესთეტიკურ წარმოდგენებს შეეფერებოდა, დეკორაციული კომპოზიცია ავირჩიე: ხეები... ქალები..: ზღვის პირას ცისფერ ფონზე. საოცარი კონტრასტი იყო: შავი, მკაცრი ხნიერი მამაკაცები და ზღვის ფერიები...

ერთი წლის შემდეგ გურამს ეს გარემო მოწყინდა და კედლები გაწმინდა. იცოდა, ასე რომ იქნებოდა და ამიტომაც არ იყო მომხრე კედლები საღებავით მომეხატა; მან იცოდა, რომ ყველაფერი ეს გარკვეული მომენტისათვის ესაჭიროებოდა.

გურამზე მე სამი წლით უმცროსი ვიყავი. მან ჩემზე გარკვეული გავლენა მოახდინა, მის მოსაზრებებს მე ახლაც ვითვალისწინებ ჩემს მუშაობაშიო, — დაამთავრა თხრობა კოკა იგნატოვმა.

4

1956 წლის გაზაფხულის ერთ დღეს ჩვენი სახლის ზედა სართულიდან შემაძრწუნებელი ყვირილი მოისმა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, იქაურობა გაბმულმა კივილმა გააყრუა... 17 წლის ცისანა მე-4 სართულიდან გადმოვარდა. ეგდო უძრავად ეზოში გოგონა და ყრუდ კვნესოდა, სახეზე სიცოცხლის ნიშნად ღიმილიღა შემორჩენოდა. უცებ უამრავი ხალხი მოგროვდა. მომაკვდავთან გურამი იდგა და გარინდებული დასცქეროდა. ცისანა საავადმყოფოში წაიყვანეს, მას უკვე ამ ქვეყნის აღარაფერი აღარ ესმოდა. რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

საღამო ხანს გურამი ჩვენთან შემოვიდა, შეწუხებული ჰყვებოდა:

— როდესაც ყვირილის ხმაზე ცისანასთან მეზობლები შევცვივდით, იგი შუშაბანდის ფანჯარასთან ტრიალებდა, ანთებული თვალებით

იცქირებოდა. ცისანას დედამ შესვლისთანავე გვთხოვა, ბინა დაგვეტოვებინა: — უთქვენოდ უფრო დაწყნარდებაო. ის-ის იყო ბინიდან უნდა გამოვსულიყავით, რომ ხმაური მოისმა. მოვბრუნდი თუ არა, ცისანა ფანჯრისაკენ გაქანდა... ველარ მივუსწარი, ხელში კაბის ნაგლეჯი შემრჩა, გვიანღა იყო — რა დამემართა არ ვიცი, ეს როგორ მომივიდა, რომ ვოგონა სიკვდილს ვერ გადავარჩინე, სიცოცხლე როგორ თვალსა და ხელს შუა გამიფრინდაო. დიდხანს, ძალიან დიდხანს განიცდიდა გურამი თავის „მარცხს“.

იქ დამსწრე მეზობლები კი ხშირად იგონებდნენ:

— იმ საცოდავმა კინალამ გურამიც თან გადაიყოლაო.

5

მგონი 1956 წლის გაზაფხული იყო. მიხეილმა დამირეკა: გურამი თბილისის სამხედრო გარნიზონის პატრულებს დაუკავებიათ და იქნებ სევერიანე გვენახაო. სევერიანე ჩხარტიშვილს საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა, ჩვენს სახლში ცხოვრობდა, შესანიშნავი პიროვნება იყო. გურამს დიდ პატივს სცემდა. მალე ყველაფერი გაირკვა:

გურამი დილით ადრე სანადიროდ მიდიოდა, მეტეხის ხიდთან მეგობრებს უნდა შეხვედროდა; როდესაც ლენინის მოედანთან მივიდა, ორჯერ ზედიზედ სანადირო თოფი გაისროლა. პატრულებს გურამი დაუკავებიათ და ისიც მორჩილად გაჰყოლია მათ.

სევერიანე ჩხარტიშვილმა ყველა საჭირო ზომა მიიღო და გურამი საღამოს სახლში იყო.

გურამის საქციელით ყველა ახლობელი გაოცებული და განაწყენებული ვიყავით, მაგრამ მისთვის არაფერი გვიკადრებია.

რამდენიმე დღის შემდეგ მას ეზოში შევხვდი და ვკითხე:

— გურამ, მაინც რა მოხდა, რა აზრმა გაგიელვა, რომ თოფი ასეთ ადგილზე ისროლე-მეთქი.

— დილით, ძალიან ადრე, ლარსის ქუჩიდან მოედნამდე ფეხით გავედი. მთელ გზაზე გულის გამაწყალებელი უმოძრაობა და უსიცოცხლობა იყო. მომენატრა ხმაური, მოძრაობა, სიცოცხლე და თოფიან ახალგაზრდებს რომ შევხედე, გამახსენდა, რომ მეც მქონდა თოფი და ქალაქზე ჩამოწოლილ დუმილს ვესროლეო, მიპასუხა გურამმა.

6

1960 წლის ივლისში გურამი მამამისს ბაკურიანში ქციაზე გაჰყვა. მიხეილს ალპურ საძოვრებზე ცხვრის საცდელი ფარა ჰყავდა, თუშურსა და ჩრდილოკავკასიურ ცხვარს ერთმანეთთან აჯვარებდა. გურამი მამას

ეხმარებოდა, მის სასელექციო მოსაზრებებს იზიარებდა. რამდენიმე დღის შემდეგ მამას სთხოვა იქნებ ტაბაწყურში ბინა მიშოვო, საოცრად მომწყურდა წერაო. მალე ტბის ნაპირას ბინა დაიქირავეს და გურამთ ათი დღის განმავლობაში თავაუღებლად მუშაობდა. შემდეგ კვლავ მამასთან ავიდა, კმაყოფილი იყო, ჩანაფიქრი შევასრულე, აზრები მოვიშორე. და მაინც ორიოდე დღის შემდეგ კვლავ აფორიაქდა — უეჭველად ზღვაზე უნდა წავიდეო და თბილისში დაბრუნდა.

მეზობლებმა ვიცოდით, რომ გურამი მამასთან იყო და მისი გამოჩენა გაგვიკვირდა. მეც შევესიტყვე:

— გურამ, მამაშენი ახლა რომელ მთაზეა გაბატონებული? რა მოხდა, აქ როგორ გაჩნდი-მეთქი.

სწრაფად არ მიპასუხა, ლარსის ქუჩიდან ვარაზის ხევისაკენ წამიყვანა და გამენდო:

— ქციაზე ვერ გავჩერდი, უცნაური აზრები მომეძალა. ხომ გაგიგონიათ დედამ და მამამ იქ გაიცნეს პირველად ერთმანეთი. ისეთი წინათგრძნობა დამეუფლა, რომ მალე დავიღუპები. ვაი თუ ამ ქვეყნიდან ჩემმა წასვლამ ჩემი ოჯახის წევრებს სამუდამო დაღი დაასვას; ძია სერგო, ახლა მთავარი ჩემი საფიქრელი ესაა: იქნებ შეიძლებოდეს, რომ ამ აზრს თუ უაზრობას მამა თქვენ შეაჩვიოთ, თქვენ შეაგუოთ...

გურამს ნაზი, ყოველისმომცველი სიყვარულით უყვარდა ოჯახის წევრები: მუდამ კვარივით ანთებული დედა, მუხის ნაკვერჩხალივით მოღუღუნე და მცხუნვარე მამა, ტყის ფერიასავით მეოცნებე და...

ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა გურამთან. სულ მალე ის უკვე ჩვენს შორის აღარ იყო.

1984

ხასიათი

ჩვენი გამოჩენილი მხატვრის ელენე ახვლედიანის გამოფენას ვათვალიერებდით. საიდუმლოდ გავიგეთ, რომ გამოფენიდან ზოგიერთი სურათის შეძენა შეიძლებოდა. მე და ჩემმა მეუღლემ ერთი სურათი შევარჩიეთ, მაგრამ ჩვენი განზრახვა აუტორს ვერ გავუმჟღავნეთ. დახმარებისათვის ჩვენსა და მის საერთო მეგობარს გოგუცა აგიაშვილს მივმართეთ. ელენემ ჩვენი სურვილი რომ გაიგო, გამიჯავრდა.

— შენ რა, ლაპარაკი არ იცი: მცირეწლოვანი ხომ არა ხარ. რა გინდა, თქვიო.

მოწიწებით ვაჩვენე 1945 წელს შესრულებული ტილო — ძველი თბილისი („ღვინის აღმართი“).

უსინდისო ხართო, მოგვახალა და მიგვატოვა. ძალზე შევწუხდით,

რა გვექნა, აღარ ვიცოდით. ჩვენი დიალოგი ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ მოისმინა და დაგვამშვიდა»

— არ გეწყინოთ, ელენე საერთოდ ასეთია. იგი ხომ დიდი ბავშვივით არისო.

ორი დღის შემდეგ ელენემ დაგვირეკა. სურათი წაიღეთ და იცოდეთ: როდესაც ჩემი საყვარელი სურათი მიგაქვთ, ამით მე მძარცავთ, ნამდვილი ყაჩაღები ხართ, თვალით არ დამენახოთო.

ელენე ახვლედიანს ნათესავი გარდაეცვალა და პანაშვიდზე მივედი. ხალხმრავლობა იყო, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების მრავალი მოღვაწე მოსულიყო. ელენე მოუსვენრად იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი გვერდზე ამომიდგა და საკმაოდ მკვახედ მომმართა:

— აქ რა გინდა, ამ უტვინოს პანაშვიდზე რამ მოგიყვანა. მე შენზე უკეთესი წარმოდგენა მქონდაო.

გავოცდი. მე გარდაცვლილს ვიცნობდი, მაგრამ უფრო მეტად ელენეს პატივსაცემად ვიყავი მოსული. მოკრძალებით შევბედე:

— ქალბატონო ელენე, თუ ასეა, თქვენ რატომ ბრძანდებითმეთქი.

— ჩემი ნათესავია და, სამწუხაროდ, ვალდებული ვარ. შენ ვინ დაგპატიჟაო. ხმა ვერ ამოვიღე. ადგილიდანაც ველარ დავიძარი. პანაშვიდის ბოლომდე გაოგნებული ვიდექი.

გოგუცა აგიაშვილმა დამირეკა ელენე ახვლედიანს უნდა თქვენთან სახლში მოსვლა, რაღაც საკონსულტაციო საქმეზე და თუ შეიძლებაო. რა თქმა უნდა, მე ისინი დიდი სიამოვნებით მოვიწვიე. ქალბატონი ელენე ჩემს სახლში პირველად მობრძანდებოდა და ჩემი ოჯახის ყველა წევრი გახარებული იყო. საღამოს ელენე ახვლედიანი, ნათელა ურუშაძე და გოგუცა აგიაშვილი გვესტუმრნენ. მე და ჩემი მეუღლე მათ შემოსასვლელშივე შევეგებეთ. ელენე სასტუმრო ოთახში შემოსვლისთანავე დამაცხრა:

— ეს ჩემი სურათები სად დაგიკიდია, ვერა ხედავ, სინათლე არ ჰყოფნის; რაც მე დავაკელი, ის არა კმარა, ახლა შენ გინდა ხელი მოუთავოო.

ელენეს „სტილს“ უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობდი, მაგრამ განწყობილება მაინც შემეცვალა. მას ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

ერთმა მეგობარმა მთხოვა ელენე ახვლედიანთან შუამავლად დამიდექი მცხეთის ჯვარი დამიხატოსო. დიდხანს ვფიქრობდი, როგორ შემეპარებინა ეს თხოვნა. ბოლოს მის ახლო მეგობარს გაჟენდე და ჩვენ ორივემ ცალ-ცალკე ვცადეთ. თქვენ მტერს, ჩვენ დღე დაგვადგა.

— თქვენ რა, მე ფოტოგრაფი ხომ არა გგონივართ. რა ღვთის რისხვაა: ჯვარი, ჯვარი, ჯვარი... ეს რა მოდა შეიქნა! მე როდესაც მსურდა, ჯვარი დავხატე და გათავდა. და საერთოდ იცოდეთ, ვინც თქვენ მოციქულად დაგაყენათ, ჯვარი დახატულიც რომ მქონდეს, არ გავუგზავნი. ვინ მისცა მას უფლება ჩემი სურათი თავის სახლში დაკიდოს! ის ხომ ყოველად უგემოვნო კაცია, სახლი, ღმერთმა იცის, რა სურათებით აქვს გაჭედილიო.

წელი მიიწურა. ყველა ახალი წლის სამზადისს შეუდგა. ჩემს ოჯახში მორიდებით მსჯელობდნენ: წელსაც მოგვილოცავს თუ არა ახალ წელს ქალბატონი ელენეო. ჩემი ოჯახის წევრები მე მამტყუნებდნენ: როგორ ვერ აუწყვე ხასიათი ქალბატონ ელენეს, წელს ვინ იცის რამდენჯერ აწყენინეო. იგი ყოველ ახალ წელს ყველა თავის მეგობარსა და ახლობელს თავის მიერ დახატული ბარათებით ულოცავდა. ამ ძვირფას საჩუქარს ჩვენც ვღებულობდით.

საახალწლო ფოსტა მთელმა ოჯახმა გულის ფანცქალით გადაათვალიერა. ჩემმა ვაჟმა იყვირა: არის, არისო!

ბარათის ერთ ფურცელს ნარიყალას ფონზე მთვლემარე ძველი თბილისი ამშვენებდა. მეორეზე კი ეწერა:

„ქალბატონო ნანა, ბატონო სერგო,

იყავით ბედნიერნი და ჯანმრთელნი, ძალიან მიყვარხართ და თქვენი ნებართვით გაკოცებთ. თქვენი ელენე“.

1960

ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲯᲐᲓᲝᲥᲐᲠᲘ

...რომ გაქვავდე
ეცბაღ ამ დროს,
წეგიძლია გალმერთება.

უშანგი ჩხეიძე

თხუთმეტი წლისა ვიყავი, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძე ჭიათურის თეატრის სცენაზე პირველად ვნახე, ვნახე უშანგი ჩხეიძესთან ერთად „ჰამლეტში“. იმ ღამეს მე და ჩემი ამხანაგები ალიონს ყვირილას პირას შევხვდით... ერთი თვის განმავლობაში ჩვენი სკოლის დირექტორს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს იპოლიტე ვართაგავას გაკვეთილი „ნორმალურად“ არ ჩაუტარებია. კარგად მახსოვს, როგორ ვეხვეწებოდით:

— ბატონო იპოლიტე, თუ შეიძლება გადავდოთ „წამებაი წმინდისა შუშანიკისი“ და კვლავ პრინც ჰამლეტსა და მის ოფელიაზე მოგვითხრეთ რამე-თქო.

იმ დღიდან მე და ჩემს რამდენიმე მეგობარს ქალბატონი ვერიკო და ბატონი უშანგი ერთი სულის ორ სხვადასხვა სახედ ჩაგვეჭედა გონებაში.

გავიდა სამი წელი და ივდითისა და აკოსტას საბედისწერო სიყვარულის მოწმენი გავხდით. თბილისის სტუდენტობა მარჯანიშვილის ახალი თეატრის გასტროლებით ცხოვრობდა. კვლავ ვერიკო და უშანგი! ისევ მშფოთვარე წმინდა სულთა ურთიერთლტოლვა და ისევ უხამსი სინამდვილის დაუნდობელი ხელი!

ვიღას ახსოვდა ლექციები. თეატრი შეიქნა ჩვენი სულის საზრდო, მაღალი იდეალებისა და თვალუწვდენი ოცნების სამყარო. გაჩაღდა „ომი“ და მე და ჩემი მეგობრები „ზომიერი მარჯანიშვილელები“ გავხდით. დაიბადა ჩვენი „კორპორაციის“ დევიზიც: ბრძოლა ვერიკოსა და უშანგის ურთიერთსიყვარულისათვის; რაც ცცენას არ შეუძლია, ის იქნებ ცხოვრებამ, სინამდვილემ მოიმოქმედოს!

1929 წლის შემოდგომა მიიწურა. მოახლოვდა უნივერსიტეტში საგნების ჩაბარების დრო და ჩვენც მოვუხშირეთ მთაწმინდაზე მეცადინეობას. ყოველთვის ყველაფერი გეგმაზომიერად მიდიოდა, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი ვერიკოს ან უშანგის არ გაიხსენებდა. საკმარისი იყო ერთი სიტყვა: ურიელ... და თეატრის გარდა ყველაფერი მივიწყებას ეძლეოდა.

ერთხელ წმინდა ადგილს გვიანობამდე შემოვრჩით. მაშინ, საღამოობით მლოცველები ეკლესიის ირგვლივ სანთლებს ანთებდნენ ხოლმე. იმ დღესაც თალხით შემოსილმა რამდენიმე მანდილოსანმა აკაკის საფლავის მხარეს, ეკლესიაში შესასვლელ კართან სანთლები აანთო და ილოცა. ჩვენ, სტუდენტები, ხელი რომ არ შეგვეშალა, სუნთქვაშეკრულნი ვიდექით. მე ახლაც მჯერა, რომ იქ სანთლები ძალზე ნელა იწვოდა და უფრო ძლიერ ციმციმებდა, ვიდრე ჩვეულებრივ... უკვე ბნელოდა, როდესაც უეცრად თითქოს ერთმანეთს უხმოდ შევუთანხმდით, სანთლის ნამწვავები მოვაგროვეთ და გრიბოედოვის საფლავისაკენ დავეშვით... ვიდექით ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავების წინ, ხელში ანთებული სანთლები გვეკავა დ ნინოს სულს ვევედრებოდით, რომ ვერიკო ანჯაფარიძისათვის შთაეგონებინა უშანგი ჩხეიძის სიყვარული, სიყვარული მისებრი, ყველაფრისა და ყველა დროის გამძლე, ფერუცველი და უჭკნობი. მეოცნებე შეთქმულებს მტკიცედ გვწამდა, რომ უშანგის თვდავიწყებით უყვარდა ვერიკო, თავადის ქალის საპასუხო გრძნობა კი საეჭვოდ მიგვაჩნდა. საიდან ან რატომ დაგვეჩადა ასეთი აზრი, არ ვიცი, არ მაგონდება. იმ ღამეს ეკლესიის მნათემ დიდი ჩხუბით გამოგვყარა მთაწმინდის ეზოდან...

გავიდა ერთი წელი და თბილისში მეორე სახელმწიფო თეატრი გაჩნდა. მე და ჩემ მეგობრებს მარჯანიშვილის თეატრის არც ერთი დადგმა არ გამოგვიტოვებია. ჩვენ, თბილისელმა მაყურებლებმა, რამდენიმე ათეული წელი ვიარეთ თეატრთან ერთად ფეხდაფეხ. ვაკვაცდებოდა ქართული თეატრალური ხელოვნება და, ალბათ, ჩვენც — მაყურებლებიც ვიზრდებოდით. ადვილი საქმე ხომ არ არის, იყო ვერიკოსა და უშანგის თანამედროვე, სწორად აღვიქვით კი ყველაფერი ის, რაც მათმა ნიჭმა ჩამოძერწა და აასულდგმულა?! ერთი უდავოა: თვეობით ვცხოვრობდით ვერიკოსა და უშანგის სცენურ გმირთა ბედით!

მრავალთა შორის მეც უსაზღვროდ მოხიბლული ვიყავი სიცოცხლისა და სიკვდილისადმი ვერიკოსეული დამოკიდებულებით. მის სცენურ სიცოცხლეს მუდამ ალამაზებდა მოსალოდნელი სიკვდილის სიბრძნე, ხოლო სიკვდილს — მუდამ თავს დასტრიალებდა სიცოცხლის ჩაუქრობელი სხივი. ანჯაფარიძის ქალი სიცოცხლეს სცენაზე ისე არასოდეს განშორებია, რომ მას სიკვდილი წინასწარ არ დაეჩოქებინა. თანაც საოცარია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მისი მუდმივი მონა — სიკვდილი, ყოველთვის სხვადასხვაგვარდ იხდიდა ხარკს ვერიკოს გმირების — დეზდემონას, გინატრეს, მარგარიტა გოტიეს, ჯავარას, კლეოპატრას, მარიამ სტიუარტის, ეუხენას, მედეასა და სხვათა წინაშე.

ალბათ ამიტომაა, რომ ქალბატონი ვერიკო ასაკმა თავის ჩრდილში ვერასგზით ვერ შეიტყუა და ვერც თავისი თვალით უხილავი ფერფლი შეაფრქვია.

ოცდაათიან წლებში ხშირად მინატრია: რეტავ, ქალბატონი ვერიკო და ბატონი უშანგი პირადად გამაცნო, ცხოვრებაში მაჩვენა, მათთან მასაუბრა, მათი პირადი სამყარო შემაგრძნობინა-მეთქი.

დადგა ნანატრი დრო. 1949 წელს თელავში ჩვენი საერთო მეგობრის ექიმ ქეთო ქავთარაძის ოჯახში გავიცანი ვერიკო ანჯაფარიძე. აი, თურმე როგორი ყოფილა დიდი მსახიობი! ყველაფერზე და ყველაზე საკუთარი, მკვეთრად გამოხატული შეხედულება ჰქონია, კაცობის საზომად ერის სამსახური მიუჩნევია, არაფერი ადამიანური მისთვის არასოდეს არ ყოფილა უცხო. ვერიკოს თან თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე ახლდა. მათ საზოგადოებაში ორი დღე გავატარე. დიდხანს ვსაუბრობდით. ალბათ მოვაბეზრე კიდეც თავი შეკითხვებით. მსახიობის გულახდილობამ, უშუალობამ, სიმართლემ გამაოცა. როგორ დაურიდებელი პირდაპირობით ახასიათებდა ჩვენს საერთო ნაცნობებს — მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, რეჟისორებს, საზოგადო მოღვაწეებს. პიროვნების დახასიათებისას, ნიჭთან ერთად, დიდ ადგილს უთმობდა შრომის უნარსა და საერთო გონიერებას. აშკარა იყო, რომ ქალბატონი ვერიკო ყველაში ყოველთვის მთლიან ადამიანს ხედავდა, მთლია-

ნად შეიცნობდა; მისი რომელიმე შესანიშნავი მხარე თვალსაწიერს არ უჩრდილავდა, არაფერი არ გამორჩებოდა. მე გაბაკვირვა აგრეთვე მისმა დიდმა ყურადღებამ ყველას მიმართ. სხვათა აზრების გულდასმით მოსმენის უნარმა... როდესაც თელავის სტუმრები გავაცილეთ, ისეთმა გრძნობამ შემიპყრო, თითქოს ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით.

ერთხელ ქალბატონი ვერიკო და მე რუსთაველის თეატრში „ესპანელი მღვდლის“ სპექტაკლზე ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდით. დიდი მსახიობი „თავშეუკავებელი“ მაყურებელი გამოდგა: თავდავიწყებით იცინოდა, ბავშვივით ხითხითებდა, სიხარულით იცრემლებოდა და „იხრჩობოდა“, აღტაცებული იყო მსახიობთა, განსაკუთრებით კი ეროსი მანჯგალაძის თამაშით. მისი განცდის სიძლიერე შესვენების დროსაც კი არ შენელებულა.

1955 წლის მეორე ნახევარში მოხდა საოცარი თანხვედრა: სამჯერ ერთად ვიმგზავრეთ მოსკოვს, ორადგილიან კუპეში. ამ შემთხვევითობას ჩემმა მეუღლემ სასწაული დაარქვა, ვერიკოს მეუღლემ ბატონმა მიხეილმა კი, როდესაც მოსკოვის სადგურზე მესამედ დაგვხვდა, მომმართა:

— ბატონო სერგი, როგორც ჩანს, თქვენ თეატრში დაგიწყიათ მუშაობა. რა თანამდებობაზე ბრძანდებით მიწვეული?!

მე დავიბენი, პასუხი ვერ მოვახერხე. ქალბატონმა ვერიკომ გაიცინა და კითხვაზე კოცნით უპასუხა.

ექვსი დღის განმავლობაში მქონდა უდიდესი ბედნიერება უბრწყინვალეს მსახიობთან მესაუბრა; ცხრა ღამე ვადევნებდი თვალყურს, თუ როგორ ეძინათ ხან ოფელიას, ივდითს, და ხან გინატრეს, კლეოპატრას, მედეას...

ერთხელ დილით შედარებით ადრე გაიღვიძა, გაიცინა და ომახიანად გამომეხმაურა.

— სიზმარში ჩემი პატარა გოგო ვნახე — სოფიკო, ზღაპარს მიყვებოდაო.

ერთად გატარებულ დღეებს შორის ეს დღე ყველაზე უცნაური იყო: ვერიკო მთელი დღის განმავლობაში თავის საკუთარ ოჯახში ტრიალებდა, დიასახლისობდა, დედობდა... საუბარში ოჯახის რამდენ წვრილმანს არ შეეხო, ვინ და რა არ მოიგონა! როდესაც ვუსმენდი, ზოგჯერ ეჭვი მეპარებოდა, ჩემს წინაშე დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი იყო, თუ დიდი თეატრის დიდი მსახიობი!

პირველივე დღიდან ჩვენს შორის საუბარმა თავისებური ფორმა მიიღო. მე ყოველთვის ვუცდიდი, რით დაინტერესდებოდა, რა კითხვას დასვამდა; განისაზღვრებოდა თუ არა მსჯელობის არე, შემდგომ საუბარი უკვე გაცხოველებით მიმდინარეობდა. როგორ მინდოდა გამემხილა

ჩვენი სიყრმის „შეთქმულთა“ ლოცვა ნინო ჭავჭავაძის საფლავთან, როგორ მსურდა სცოდნოდა ჩვენი ახალგაზრდული სურვილები და სისულელეები, მაგრამ ვერ გავბედე.

განსაკუთრებით საწერეთლოს ამბები აინტერესებდა. გულისყურით უსმენდა ჩემს მონაყოლს აკაკი წერეთლის მამისეული ოჯახის ისტორიის, აკაკის დის ანას სააქმო მოღვაწეობის, აკაკის მოურავის კოტე აბდუშელიშვილისა და მისი მეუღლის ანიკოს როლის შესახებ პოეტის სახლ-მუზეუმის დაცვასა და დაარსებაში. გულმოდგინედ ვაცოცხლებდი საჩხერისა და სხვიტორის ძველისძველ ლეგენდებს.

ასევე დიდი ინტერესი შევნიშნე, როდესაც ჩემს სათაყვანებელ მასწავლებელთა შორის უპირველესად ვაჟა-ფშაველა დავასახელე. გაკვირვებული დამაცქერდა, თვალებში ღრმად ჩამხედა და მთხოვა, რომ ვრცლად მეამბნა, თუ რა კავშირში იყო ერთმანეთთან ვაჟას პოეზია და ჩემი „ხელობა“ — ბიოქიმია. სიცოცხლის არსზე თანამედროვე შეხედულებებმა ძლიერ გაიტაცა. მე მზად ვიყავი, რაც კი ვიცოდი, ყველაფერი მომეთხრო, მაგრამ მერიდებოდა არ დამექანცა.

ამ მგზავრობისას ქალბატონმა ვერიკომ დიდი პატივი დამდო და ბევრი რამ მიამბო ქართული თეატრისა და საქართველოს თეატრალური მოღვაწეების შესახებ.

თეატრის თემა ომმა და მისმა შედეგებმა შეცვალა. როდესაც გაიგო, რომ მე ფრონტზე ძმა დამეკარგა, მოკრძალებით მკითხა, თუ სად და როგორ შევხვდი გამარჯვების დღეს.

— როდესაც ჩვენი ჯარი ბერლინს უტევდა და ხალხის სულსა და გულში გამარჯვების ნაკვერცხალი უკვე ძლიერად ღვიოდა, მაშინ მე თეატრის ხშირი სტუმარი გახლდით. 1945 წლის 29 აპრილს, რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „ხევისბერი გოჩას“ დაწყების წინ, სცენაზე აკაკი ხორავა გამოვიდა. აღელვებულმა, გახარებულმა და ამაღლებულმა გვამცნო და მოგვილოცა, რომ საბჭოთა ჯარი ბერლინში შევიდა! რა მოხდა თეატრში?! ამის გადმოცემა შეუძლებელია! ყველა ერთბაშად ახმაურდა, ერთდოულად გაისმა სიცილი და ტირილი, ყველა ერთმანეთს ეხვეოდა, კოცნიდა! ჰაერი რაღაც სულიერი დენთით დაინაღმა! ღმერთო ჩემო, რა ყოფილა ხალხის რისხვა და სიხარული!

ვერიკო ომისაგან გამოწვეულ ღრმა სევდას ვერ ფარავდა. ნაღვლიანად მსჯელობდა ომზე, მის შედეგებზე, დაღუპულ შვილებზე, უბედურ დედებზე, კაცობრიობის მომავალზე...

ერთ-ერთი საუბრისას ვერიკომ მოისურვა, რომ მეცნიერის ტიპი ზოგადად დამეხასიათებინა, განსაკუთრებით ნიკო მუსხელიშვილის პიროვნება აინტერესებდა. როდესაც მომისმინა, დაასკვნა:

— როგორც ჩანს, საერთო თვისებების ძიება სისულელეა, ყველა საინტერესო პიროვნება თავისებურად განუმეორებელია.

ნეტავ, რა არის ისეთი, რაც ქალბატონ ვერიკოს მეტ-ნაკლებად არ აინტერესებდეს! ვინ მოთვლის ყოველივე იმას, რაზედაც ჩვენ მაშინ ვისაუბრეთ: ვმსჯელობდით, თუ როგორი იყო სურამი ადრე და რომელ წლამდე ითვლებოდა იგი თბილისელ წარჩინებულთა აგარაკად, რა ხისაგან კეთდება საკეცე, რატომ არის გაზაფხულზე მიწა ასე სურნელოვანი, ვინ აკურთხა კალისტრატე ცინცაძე ჩვენი ეკლესიის მამამთავრად, როგორი იყო ალექსანდრე იმედაშვილი ოტელოს როლში, რატომ ჰგავს შვილი მშობელს, რატომ ცოცხლობს ყვავი უფრო მეტხანს, ვიდრე ადამიანი, რით ხიბლავს მსმენელებს შალვა ნუცუბიძე, ვინ იყო ფეხბურთის გუნდის „დურუჯის“ კაპიტანი, რატომ არის თხილი ასე პატარა და საზამთრო ასე დიდი, რატომ უყვართ ასე უსაზღვროდ სოსო გრიშაშვილი და, ვინ იცის, კიდევ რა?!

მე ძლიერ განვიცდიდი, რომ ვერცერთხელ ვერ გავბედე და უშანგი ჩხეიძეზე ვერაფერი ვკითხე. მესამედ მგზავრობისას, როდესაც კვლავ ერთად მოვხვდით, თავი დავირწმუნე, რომ ეს ჩემი ბედის უკანასკნელი გაღიმება იყო და უკვე მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე. მოუთმენლდ ველოდი თეატრზე საუბარს. ვერიკომ თითქოს იგრძნო ჩემი სულიერი ღელვა და მითხრა:

— მომეწყინა, თქვით რამე თეატრზეო.

მინდოდა პირდაპირ უშანგით დამეწყო, მაგრამ მოკრძალებამ დამძლია და შორიდან მოვუარე. მოვიგონე პრემიერა „ლიანდაგი გუგუნებს“. იმ დღეს მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორმა და მსახიობმა ვანო ბარველმა წამიყვანა. მთავარ როლს სერგო ზაქარიაძე ასრულებდა. შესვენებისას ვანოსთან კოწო ანდრონიკაშვილი მოვიდა. გაიმართა მსჯელობა სპექტაკლის აკკარგიანობაზე. ბარველმა თქვა:

— ჩემო კოწო, დაიხსომე დღევანდელი დღე. ეს ზესტაფონელი ბიჭი მრავალ ცნობილ მსახიობს ამოიდებს იღლიაში; დადგება დრო და ის იქნება ქართული თეატრის წამყვანი ძალაო.

საუბარი, ალბათ, გაგრძელდებოდა, მაგრამ მათთან ოპერის ცნობილი მსახიობი ეკატერინე სოხაძე მივიდა, აღტაცებისაგან თავს ვერ იკავებდა:

— ნახეთ, რა სპექტაკლია?! კოტე მარჯანიშვილზე უნდა ვილოცოთ.

სპექტაკლმა მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ყველა სერგო ზაქარიაძეს აქებდა.

ვერიკომ მომისმინა, მაგრამ არაფერი თქვა. ვიფიქრე: ახლა კი დრო არის-მეთქი და ელგუჯა ლორთქიფანიძე მოვიგონე. დამემოწმა: ნიჭიერი მსახიობი იყო და მისი დაღუპვით თეატრმა ბევრი რამ დაკარგაო.

— ქალბატონო ვერიკო, ჩვენ ახალგაზრდებს ელგუჯა კიდევ უფრო მეტად იმიტომ გვიყვარდა, რომ ზოგჯერ უშანგის მოგვაგონებდა, მას ჰბაძავდა. — არც ახლა ჩაება საუბარში. მეტი „შესავლის“ მოფიქრება აღარ შემეძლო და ვთხოვე:

— ქალბატონო ვერიკო, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოაგდებთ საუბარს უშანგი ჩხეიძეზე.

ვერიკომ ოდნავ სევდიანი ხმით გაიხსენა უშანგის თეატრალური ცხოვრების ზოგიერთი მომენტი, დროდადრო ჩერდებოდა, თითქოს უჭირსო მოგონება. ამ დროისათვის უშანგი სცენაზე უკვე აღარ გამოდიოდა. ვიგრძენი, რომ ხელი უნებლიეთ მსახიობის ყველაზე სათუთ, შეუხორცებელ სულიერ ჭრილობას შევახე!

მივხვდი, მივხვდი და შევიგრძენი, თუ რა ღრმად და შეუცვლელად უყვარდა ვერიკოს უშანგი, უყვარდა უძლიერესი და უსპეტაკესი სიყვარულით!

...მიჰქროდა მატარებელი უკრაინის ველებზე. მონოტონურ მუსიკად ქცეულიყო ბორბლების ხმაური. შფოთავდა ძილში ქართული თეატრის მშვენება. ან კი როგორ ეძინა ასე ამდენი აბობოქრებული სულის ადამიანთან ტანჯვის თანაზიარს...

1961

შეხვედრები

ნამდვილი მსახიობი უიშვიათესი მოვლენაა! აი, თუნდაც ეროსი მანჯგალაძე.

მიხეილ თუმანიშვილი

ეროსი მანჯგალაძე პირველად 1954 წელს „ესპანელ მღვდელში“ ვნახე. ამ პიესაში შესანიშნავი ოთხეული მონაწილეობდა: ეროსი მანჯგალაძე, ემანუილ აფხაიძე, რამაზ ჩხიკვაძე და მედეა ჩახავა. ოთხივენი ბრწყინავდნენ. საოცრად იყვნენ შერწყმულნი ერთმანეთს მსახიობები, რეჟისორი, მხატვარი და კომპოზიტორი.

და მაინც მთავარი ეროსი მანჯგალაძის მღვდელი — ლოპესი იყო. მისი მოშლილი ჩაცმულობა, ტეხილი მოძრაობა, სახის ცვალებადი გამომეტყველება, ფესვმორყეული სიტყვა და მონოტონური სიმღერა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ლოპესი ნამდვილი ღორმუცელა, მრუში და ყალთაბანდი ღვთის მსახური იყო. განა შეიძლებოდა მაყურებელს დავიწყებოდა ორი სიცრუის მსახურის „მოგვიტევე, უფალო, რამეთუ ვცოდავთო...“ ანდა მათი ადამიანური დამოკიდებულება ლეანდროსა და მისი შეყვარებულის მიმართ?!

„ესპანელი მღვდელი“ დიდებული, ულამაზესი თეატრალური მოვლენა იყო. პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, სპექტაკლი ბაჯაღლო ოქრო იყო, ეროსი კი — შიგ ჩასმული ბადახში.

მე ახლა კარგახნის კაცი ვარ და, როგორც მაყურებელმა, შემიძლია ზოგი რამ ერთმანეთს შევაჯერო. ორმოც წელს გადაცილებული ვიყავი, როცა „ესპანელი მღვდელი“ პირველად ვნახე და თეატრიდან ისე წამოვედი, როგორც 16 წლის ჭაბუკი, როდესაც ჭიათურის თეატრის სცენაზე ოტელოს როლში ალექსანდრე იმედაშვილი ვიხილე. მე ამ ორი მსახიობის სრულიად განსხვავებულ როლებს ერთმანეთთან მხოლოდ ერთი ნიშნის მიხედვით ვადარებ: დიდხანს, ძალიან დიდხანს, დღემდე დამრჩა მეხსიერებაში ორივე მსახიობი, ორთავე სპექტაკლი. თუ რაოდენ ძლიერია ასეთი განცდა, იქიდან ჩანს, რომ ალ. იმედაშვილის შემდეგ ოტელოს როლში. არა ერთი და ორი შესანიშნავი მსახიობი მინახავს, მაგრამ დღემდე მაინც ალ. იმედაშვილის ოტელოს ტყვე ვარ. ალბათ, უნდა მეპატიოს ეს შეხედულება. მე ამას მაყურებლის გულწრფელობით მოგახსენებთ და არ ვფიქრობ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ჩემი შთაბეჭდილებები თეატრის კრიტიკოსებს შორის გავრცელებულ აზრს. მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც მე ეროსი მანჯგალაძის ლოპესის მოქმედებათა თითქოს თანამონაწილე შევიქენი, ვიგრძენი მისი შინაგანი ხმა და დღესაც მისი თაყვანისმცემელი ვარ.

1956 წელს ეროსი მანჯგალაძემ ოიდიპოს მეფის როლიც ითამაშა და აპრაკუნე ჭიმჭიმელისაც. აბა რა აქვთ მათ საერთო?! მიუხედავად ამისა, ეროსის სულსა და ხმაში კომედიური და დრამატიული ერთ სივრცეში აღიქმებოდა, ერთი სიღრმით, ერთიანობაში წარმოგვიდგებოდა. ადამიანურ სევდასა და უსაზღვრო ცხოვრებისეულ სიხარულს ეროსი ერთნაირი ოსტატობით გადმოსცემდა. ეროსის ღიმილი, სიცილი, ზეცას აპყრობილი თვალები, მსუბუქი იუმორი, დაკოდილი გულის კვნესა — ცალკე სამეფოა. ეროსის ინტონაციებით მდიდარი ხმა კი ერთ დიდ უკიდეგანო, ბოლომდე შეუცნობელ და ბოლომდე გამოუყენებელ სამყაროდ დარჩა.

გავიდა ხანი. ეროსი უკვე საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანი იყო, როდესაც 1967 წელს „გვადი ბიგვა“ დაიდგა. ეროსი მანჯგალაძემ გვადის როლში ბრწყინვალედ გამოხატა ქართველი გლეხკაცის დიდი იუმორი და პოეტური სული. რა დიდებულია თუ გინდ მისი ოცნების სცენა! კიდევ ერთხელ ვიგრძენი მისი შინაგანი სულიერი მღელვარების სიღრმე. „გვადი ბიგვამ“ ჩემი ქვეყნის ზოგიერთი მოუშუშებელი ჭრილობა კვლავ გახსნა და გააღრმავა...

როლს როლი მოსდევდა და ეროსი ყველას თანდათან გვიპყრობდა: ლოპესი, გვადი, აპრაკუნე, ზიმზიმოვი, ფანტიაშვილი, ივანე მრის-

ხანე, ოიდიპოსი, ტარიელ გოლუა და სხვ. აშკარა გახდა, რომ კომედიისა და დრამის მონაცვლეობა მას დიდ შემოქმედებით საზრდოს აძლევდა, ასეთ მხატვრულ გეზს მისი ბუნების შინაგანი ლოგიკა მოითხოვდა, იგი თანაბრად ძლიერი იყო ადამიანის სულის აღზევების უბრწყინვალეს მწვერვალებზე და ადამიანის უფსკრულამდე დაშვების მომენტებშიც. უაღრესად კეთილშობილი, სულის სიღრმეში ჩამწედომი, მომხიბლავი, მიმზიდველი, საყვარელი მსხიობი იყო ეროსი მანჯგალაძე.

ეროსი მანჯგალაძე პირადად 1961 წელს გავიცანი ჩვენი საერთო მეგობრის, „მნათობის" ლიტმუშაკისა და მთარგმნელის გოგუცა აგიაშვილის ოჯახში, მისი დაბადების დღეს — 28 თებერვალს. ამის შემდეგ ყოველ წელს ამ დღეს აქ ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენს მასპინძელს თავისი ახლობლები და მეგობრები ორ ჯგუფად ჰყავდა გაყოფილი. პირველ დღეს „მოხუცები" იკრიბებოდნენ, მეორე დღეს — ახალგაზრდები. მე და ეროსი პირველ შემადგენლობაში შევდიოდით. „გოგუცას ნომენკლატურაში" მოხვედრა, როგორც ამას ბატონი ბესარიონ ღლონტი იტყოდა ხოლმე, ადვილი არ იყო. დიასახლისს თავისი მტკიცე პრინციპები ჰქონდა და „საქმე" გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

შეხვედრები ყოველთვის საინტერესო იყო, რადგანაც აქ თავს იყრიდნენ მწერლები, მხატვრები, თეატრმცოდნეები, კრიტიკოსები, მსახიობები, მეცნიერები. სუფრას არ აკლდა არც ქართული გულუხვი მასპინძლობა და არც ქართული სიმღერა, ლექსი, ეპორი და იუმორი. ამათუ იმ საკითხის ცხარე განსჯაც არ იყო იშვიათი მოვლენა. ბრწყინვალე და დაუვიწყარი იყო ეს საღამოები.

ბახუსს ნაზიარები ეროსი ხუმრობდა ხოლმე:

— მხოლოდ დაბადების დღის აღნიშვნა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არ არის სწორი, არ კმარა. ერთი რომელიმე სახალხო დღესასწაულის დღე მაინც უნდა დავუმატოთ; უცადე ახლა ამ შეხვედრას თებერვლიდან თებერვლამდე, გაძლება არ გინდაო... გადიოდა წლები და ჩვენთვის 28 თებერვალი კვლავ წლის ერთ-ერთ საუკეთესო დღედ რჩებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ეროსი მანჯგალაძეს სცენის გარეთ პირველად ამ შეკრებულებაზე შევხვდი, შევხვდი და გაოცებული დავრჩი: ასეთი მორიდებული, თავდაჭერილი, ურთიერთობაში უაღრესად ფაქიზი ადამიანი, იშვიათად მინახავს. მომეჩვენა, რომ ყოველ ფრაზას ზომავდა და წონიდა, ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა. ვისხედით ერთად მსახიობი და მაყურებელი, მინდოდა მასთან მსახიობებზე, სპექტაკლებზე, თეატრზე საუბარი, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა, ეროსის ზედმეტმა მოკრძალებამ ამის საშუალება არ მომცა. გაკვირვებული დავრჩი: ასე რამ მიაყუჩა ამ კაცში უზარმაზარი არტისტიზმი და დაუშ-

რეტელი თეატრალური ცეცხლი! როგორი ამაღლებული და თავდაჭერილი პიროვნება ყოფილა!

გადიოდა წლები. უფრო და უფრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ჩვენი ნაცნობობა მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა. ერთხელ, 1964 წლის სექტემბერში, ამხანაგები ოჯახში მიგვიწვია. საღამო მეტად საინტერესოდ გავატარეთ. რუსთაველის თეატრის ელიტა ყოველმხრივ ბრწყინავდა. ერთმანეთს ენაცვლებოდა ალერსი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი. დადგა მასპინძლის სადღეგრძელოს შესმის დროც... და სტუმრები ერთმანეთს ენაწყლიანობაში ეჯიბრებოდნენ. ეროსი ისმენდა, იღიმებოდა და თვალებით იცინოდა. მეც მივეფერე:

— იცოდე, ლოპეს, მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ-მეთქი.

გვიან ღამემდე ვერ დავიშალეთ, არავის არ სურდა წასვლა. გამომშვიდობებისას ვაკოცე, დაირცხვინა და მოკრძალებით მკითხა:

— ბატონო სერგი, რა იცით, რომ მე გიყვარვართ? ხომ არ გეშლებით, იქნებ მე კი არ, ჩემი გმირები გიყვართ?

ასეთ კითხვას არ მოველოდი და ვერც ვუპასუხე.

შემდეგში ეროსის დასმულ კითხვაზე ხშირად ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფრით ვერ ვახერხებდი ეროსისა და მისი გმირების ერთმანეთისაგან განცალკევებას...

ვინ იცის, იქნებ ეს შეუძლებელიცაა, როდესაც მსახიობი დიდი ხელოვანია!

რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც კვლავ ეროსის დღეგრძელობის დრო დამიდგა, განვაცხადე:

— მეგობრებო, ნება მიბოძეთ დიდხანს სიცოცხლე, წინსვლა და ბედნიერება ვუსურვო ლოპესს, აპრაკუნეს, ოიდიპოსს და მათი მძიმე ჯვრის მატარებელ ორეულს ბატონ ეროსის. ეროსი მიხვდა, თუ რატომ მოვიხსენიე მისი გმირები და გულიანად გაიცინა, თვალები ისე მოეჭუტა, რომ აღარც კი უჩანდა...

1978 წლის შემოდგომაზე ერთ საღამოს ეროსი შინ მესტუმრა, შეშფოთებული სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა და ვერ ახერხებდა. ბოდიში მოიხადა, რომ შემაწუხა და უკანვე წასვლა დააპირა. მეც დავიბენი, არ ვიცოდი, რა უნდა მექნა. ვერ გავიგე, რა ხდებოდა: მესტუმრა და უმალვე უკან გაბრუნება მოისურვა ბოლოს, როგორც იქნა, მოვნახე გამოსავალი:

— ბატონო ეროსი, შინ მარტო ვარ, ხელს არავინ შეგვიშლის. დავსხდეთ, თითო ჭიქა ლუდი შევსვათ, იქნებ საუბარიც საინტერესოდ აეწყოს-მეთქი. კარგა ხანს ჩუმად ვისხედით. უჩვეულო მდგომარეობიდან ნელ-ნელა გამოვედით და მრავალ საინტერესო საკითხს შევეხეთ. რამდენიმე საათი დავყავით ერთად. ამ შეხვედრიდან განსაკუთრე-

ბით დამამახსოვრდა ნიკოლოზ გაბაონის „აივნიანი ქალაქისადმი“ მისი დამოკიდებულება; ადრეც მქონდა გაგონილი, რომ მას ფირუზ ზანდაროვის როლის შესრულება სურდა, თუ კი ვინმე რომანის საფუძველზე შესაბამის პიესას შექმნიდა. „აივნიანი ქალაქის“ გმირებზე საუბარმა ის თითქოს აღაგზნო კიდეც. მე ვთხოვე, რომ მას ორი სიტყვით მაინც ეთქვა, თუ რა იზიდავდა ფირუზ ზანდაროვში. ეროსიმ თავისი შეხედულება ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმომცა. რამდენიმე ფრაზას გამოსცრიდა თუ არა, გაჩერდებოდა, შემდეგ ისევ ჩაიღიმილებდა და ორ ფრაზას წამალივით მომაწოდებდა. მისი მოსაზრებები საერთო ჯამში დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

გიორგა ზანდარაშვილი, შემდგომში ფირუზა ზანდაროვი, გრაკალიდან გამოქცეული, ქალაქში გადმოსახლებული გლეხი იყო. მან ცხოვრების რთული გზა განვლო. ყოფილი ბოგანო და ავარა დიდი სოვდაგარი შეიქნა. ყველაფერს მოგების და წაგების თვალსაზრისით ზომავდა. პირჯვარსაც იმის ღმერთზე იწერდა, ვინც ფულს აძლევდა. სომხურ ეკლესიაში გეურქა იყო, კათოლიკურში — ფრანჩესკო და მართლმადიდებლურ ეკლესიაში — გიორგი. ფირუზა ღმერთით ისევე ვაჭრობდა, როგორც ადრე ხმელი ხილით. არც ქართველების, არც სომხებისა და არც ფრანგების ეკლესიაში არ დადიოდა. ფირუზა ავკაცობის მასწავლებელი იყო. იგი ყველას იცნობდა, ყველა მას სცნობდა. ჭკუამ ფირუზა ცხოვრების ასავალ-დასავალზე ატარა, მაგრამ ქონების დაკარგვის შიშმა გზაკვალი აუბნია, დაიმორჩილა და გაათავა კიდეც. ახალგაზრდობაში „ლხინის პაპად“ წოდებულმა თანდათან დაკარგა სიხალისე და ფულის მონად იქცა. მხოლოდ სიკვდილს წინ შეიგრძნო, რომ კაცი სიხარულისთვის არის გაჩენილი, მაგრამ გვიანღა იყო. ახლა იგი უკვე სიკვდილს ემალებოდა და დამწუხრებული ამბობდა: თავი და თავი სიცილი, სიმღერა და სიყვარული არისო.

როდესაც ეროსიმ ფირუზა ზანდაროვი დაახასიათა, ნაღვლიანად დაუმატა:

— ყველა ჩემი ფრაზა, რაც მე თქვენ მოგახსენეთ, ავტორისეულიაო. აშკარად ჩანდა, რომ ფირუზა ზანდაროვის როლი მას უკვე საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი.

მე ნიკოლოზ გაბაონის რომანს კარგად ვიცნობდი და ამიტომ შევბედე:

— ბატონო ეროსი, მე ახალგაზრდა ზანდაროვი უფრო საინტერესოდ მეჩვენება. მან ფირუზას ცხოვრების გზაც გაიარა და ახალი კაპიტალისტური ყოფის საწყისებშიაც შეიჭრა; მისი მოქმედების ასპარეზიც უფრო ფართოა, გარემოც უფრო მეტად სისხლსავსე და საინტერესო. რატომ არ გინდათ მისი როლი ითამაშოთ?

— გითხრათ სიმართლე, ერთხანს გიორგი ზანდაროვმა მეც მიმიზიდა, მაგრამ ბოლოს მას ფირუზა ზანდაროვი ვამჯობინე. იცით რატომ? არ მომწონს ყოფილი ფანდურაანთ იოსება: გამდიდრების შემდეგ იმდენად უსინდისო ხდება, რომ მე მისი როლის შესრულება გამიჭირდებოდა: მსახიობის გარდასახვასაც აქვს თავისი ზღვარი. თანაც ფირუზას სიცოცხლის ბოლო საოცრად მიზიდავს, ტრაგიკულია, — მიპასუხა ეროსიმ.

ჩვენ როლებს ვანაწილებდით, მათზე სჯა-ბაასი გვქონდა და პიესის დამწერი კი არსად ჩანდა.

გვემატებოდა წლები და ეროსის საოცნებო ახალი პიესა თუ პიესები არ იქმნებოდა. ეროსი „ძველ“ როლებში ძველებურად ბრწყინავდა. სცენაზე კელავ გამოჰქონდა ისიც, რაც სიტყვებს მიღმა იმალება ხოლმე. და მის სიტყვას ისეთივე უდიდესი ზემოქმედება ჰქონდა ჩვენს სულიერ სამყაროზე, როგორც ადრე, რადგანაც მთავარი მისთვის მუდამ ადამიანი იყო.

უკანასკნელად ნაახალწლევს შევხვდი. მეხუმრებოდა:

— ახლოვდება 28 თებერვალი. დროა მოვემზადოთ ამ პასუხსაგები დავალების შესასრულებლადო.

ბედმა აღარ გვარგუნა, რომ 1982 წლის 28 თებერვალი ერთად გვედღესასწაულა.

ჩვენს საზოგადოებას იანვრის ბოლოს ერთი უნიჭიერესი მსახიობი და უსპეტაკესი ადამიანი გამოაკლდა...

რუსთაველის პროსპექტი ყველა თაობის ხალხით იყო გაჭედილი. გულისტკივილსა და გლოვას ისინი კიდევ უფრო შეეკრა და შეემჭიდროვებინა... ირგვლივ ეროსის მადლიანი ხმა ისმოდა... თეატრი ტაშის გრიალს აევსო: მაყურებლები უკანასკნელ პრემიერაში მონაწილე ეროსის ოვაციებს უმართავდნენ...

საყვარელ ხელოვანს და ადამიანს ზღვა ხალხი აცილებდა. ეროსის ნეშტს საკუთარი ხმაც ფეხდაფეხ მისდევდა...

ყველა თავისთვის ჩუმად იღვრებოდა ცრემლად.

ძვირფასო ეროსი, რა უსაზღვროდ და უზადოდ ჰყვარებიხართ დიდსა და პატარას შენც და შენი გმირებიც... მართლაც რომ ძნელია ახლა თქვენი მკვეთრად განცალკევება.

ნიჭმომადლებული ნამდვილი ადამიანიც უიშვიათესი მოვლენაა! აი, თუნდაც ეროსი მანჯგალაძე.

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე

ბუნების მესაიდუმლეთა შორის

სადგურის ბაქანზე, იქ, სადაც ვაგონი „მოსკოვი-ვენა“ იდგა, ხალხის ტევა აღარ იყო. მგზავრები და გამცილებლები ერთმანეთს გასცლოდნენ. მატარებლის დაძვრას ორიოდე წუთიღა აკლდა, რომ... ვენაში მიმავალ მგზავრებს თავაზიანად გვთხოვეს ვაგონი სასწრაფოდ დაგვეცალა! ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კარგა ხანია თანხმობა განაცხადა ჩვენს მიღებაზე, მაგრამ ახლა. როგორც გამოირკვა, ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრო ჭირვეულობდა და საბოლოო დასტურს არ იძლეოდა, აქაოდა ვენა სავსეა სტუმრებით და ვაითუ შესაფერი სასტუმროებით ვერ უზრუნველვყოთ საბჭოთა მეცნიერებიო.

ბიოქიმიკოსთა IV საერთაშორისო კონგრესზე მიმავალმა საბჭოთა მკვლევარებმა უხალისოდ დავტოვეთ ვაგონი. რა გაეწყობოდა. ვიდრე ავსტრიის ორი სამინისტრო ერთმანეთს მოურიგდებოდა, მოსკოვში უნდა გვეცადა. განწყობილება ყველას შეეცვალა. ყვავილების თაიგულები როგორღაც კვლავ გამცილებელთა ხელში აღმოჩნდა, მათ ამჯერად თითქოს მიმზიდველობაც დააკლდათ.

ავსტრიის ხსენებულ სამინისტროებს შორის პაექრობამ სამ დღეს გასტანა. ბოლოს, როგორც იქნა, შეთანხმდნენ.

ახლა თვითმფრინავით გავემგზავრეთ. ღამით დავტოვეთ მოსკოვი, დილით ისევ ვენაში ვიყავით. აეროდრომზე ავსტრიის პოლიციამ უჩვეულო პატივისცემით მიგვიღო — ყველა ჩემოდნიდან მხოლოდ ერთი შეამოწმა.

ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მზრუნველობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ზოგი ჩვენი მომხსენებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თვითმფრინავით ვერ წამოვიდა, ზოგმა კი თავისი მოხსენების დრო გააცდინა, რადგან კონგრესის მონაწილე საბჭოთა მეცნიერთა დიდ უმრავლესობას ვენაში ჩასვლა ერთი დღით დააგვიანდა.

ვენა, მისი მკვიდრნი, კონგრესის მონაწილენი ისე გულთბილად შეგვხვდნენ, რომ ჩვენი მგზავრობის პირველი უსიამოვნო შთაბეჭდილებანი მალე გაგვეფანტა.

კონგრესის მუშაობაში სხვადასხვა ქვეყნის ხუთი ათასზე მეტი წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. საბჭოთა კავშირიდან კონგრესს ორმოცდათოთხმეტი მკვლევარი ესწრებოდა. მათ შორის ჩვენი რესპუბლიკიდან — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პ. ქომეთიანი და ამ სტრიქონების ავტორი. საბჭოთა დელეგაციის მეთაური აკადემიკოსი ა. ოპარინი იყო. კონგრესი სპორტის სასახლეში გაიხსნა. პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენება მემკვიდრეობის ბიოქიმიური საფუძვლების შესახებ ამერიკელმა პროფესორმა ჩარგაფმა გააკეთა. კონგრესის სამეცნიერო პროგრამა ითვალისწინებდა სიმპოზიუმების, კოლოკვიუმებისა და სექციების მუშაობას. ერთსა და იმავე დროს მრავალი სხვადასხვა სხდომა მიმდინარეობდა, ამიტომ თითოეულ ჩვენგანს საკუთარი სამუშაო პროგრამა ჰქონდა შედგენილი და კონგრესის ფერხულშიც ამ პროგრამით იყო ჩაბმული.

ყველას, ვინც კონგრესის პირველ დღეს ვერ მივუსწარით, გვაინტერესებდა დაწვრილებით გაგვეგო ამ დღის ამბები და ვენაში ჩასვლისთანავე გაზეთებს დავეწაფეთ. მოლოდინი არ გაგვიმართლდა, გაზეთები დუმდნენ.

კონგრესის მუშაობა ექვს დღეს გაგრძელდა. მოსმენილ იქნა ათას ხუთასზე მეტი მოხსენება. მოხსენებები ბიოქიმიის თითქმის ყველა ძირითად მიმართულებას შეეხებოდა. ყურადღების ცენტრში იდგა ანტიბიოტიკები, ვირუსები, ვიტამინები, ფერმენტები, ცენტრალური ნერვული სისტემის ბიოქიმია, მიკრობთა ბიოქიმია, ცილის ქიმია და ბიოქიმია, მცენარეთა და ცხოველთა ბიოქიმია, ნიადაგის ბიოქიმია და სხვ.

საბჭოთა მკვლევარებმა ოცდაცამეტი მოხსენება წაიკითხეს. მოხსენებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახელმოხვეჭილი მეცნიერები: ა. ოპარინი, ვ. ენგელგარდტი, ა. პალადინი, ს. სეევერინი, ო. პეივე, ნ. სისაკიანი, ა. ბელოზერსკი, ვ. კრეტოვიჩი, ვ, ბუკინი, ა. კრასნოვსკი და სხვები. საბჭოთა ბიოქიმიკოსების მოხსენებები მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩეოდა და დამსწრეთა შორის ცხოველ ინტერესს იწვევდა. საბჭოთა კავშირიდან ყველაზე მეტი მოხსენება მცენარეთა ბიოქიმიის სექციაში იქნა წაკითხული. ამ სექციაში მოხსენებით გამოსვლა ერთ-ერთ სპეციალურ საკითხზე წილად ხვდა ამ სტრიქონების ავტორსაც. მსოფლიო ფორუმზე პირველად აქ გამოვიტანე განსასჯელად ჩემი ჰიპოთეზა არომატული ნაერთების შესაძლებელი მეტაბოლიზმის შესახებ მცენარეებში. ჰიპოთეზას მომხრენიც აღმოაჩნდნენ და მოწინააღმდეგენიც.

სამი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ კონგრესის მონაწილენი დასასვენებლად ერთი დღით ქალაქგარეთ, ვახაუს ველზე წაგვიყვანეს. ვენიდან მატარებლით წავედით, ხოლო უკან გემით დავბრუნდით.

მივცურავთ გემით ცისფერ დუნაიზე. ხალხი გემბანზე ჭიანჭველებივით ირევა. სხვადასხვა ენაზე წარმოთქმული სხვადასხვა ფრაზა ყურს ერთდროულად ესმის და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს რაღაც ახლად შექმნილ საერთო ენაზე მიმდინარეობს საუბარი.

მგზავრების ყურადღება დუნაის ნაპირზე გაშენებულმა ვენახებმა მიიპყრო. გაკვირვებას იწვევს ის შრომა, რაც აქ ავსტრიელ გლეხს გაუწევია ვაზის გასაშენებლად. მომაღლო გორაკებზე მიწა კიბის საფეხურებივით არის ამოჭრილი. ყოველი საფეხური ნიადაგის შესაკავებლად ქვით ამოუშენებიათ. თითოეულ ასეთ ტერასზე ზოგჯერ სულ რაღაც ხუთი-ათიოდე ძირი ვაზია დარგული. შემდგომ ჩვენ ვნახეთ, რომ ავსტრიელებს ვენახები დაბლობშიც ბლომად აქვთ, მაგრამ, ეტყობა, მათ კარგად იციან ფერდობების ფასი მეევნახეობისათვის.

გემზე მრავალი ახალი ნაცნობი შევიძინეთ. განსაკუთრებით დაგვიახლოვდა 14—15 წლის ფრანგი გოგონა ანი. პარიზიდან კონგრესზე მშობლებთან ერთად ჩამოსულიყო. ანი სწრაფად მოექცა „საბჭოთა გარემოცვაში“ და გამალებით გვიყვებოდა თავის თავგადასავალს. რუსულად საკმაოდ გამართულად ლაპარაკობდა. უკანასკნელ წლებში რუსულ ენას პარიზის მრავალ სკოლაში ასწავლიან. ანიც ერთ-ერთ ასეთ სკოლაში სწავლობს. წელს თავის ხუთ პარიზელ ამხანაგთან ერთად რამდენიმე თვით არტეკში ყოფილა. ახლა მას ჩვენში უკვე მრავალი ამხანაგი ჰყავს და მათთან მიწერ-მოწერაც აქვს. მალე ანის საფრანგეთის დელეგაციაში ჩვენი ერთგვარი წარმომადგენელი გახდა. სიხარულით გაგვაცნო თავისი მშობლები და აღგვითქვა, რომ რუსულ ენას მათაც უეჭველად შეასწავლიდა.

მალე ჩვენს ჯგუფს ერთი პარიზელი პროფესორი დაუახლოვდა. იგი შესანიშნავად ფლობს რუსულ ენას. მან ამაყად გაგვიცხადა, რომ ცოლთან და ქალიშვილთან ერთად დიდი ხანია ეწევა საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციას. მეცნიერ მუშაკთა ეს ოჯახი საბჭოთა ფიზიოლოგების ნაშრომთა მოკლე შინაარსებს აქვეყნებს ფრანგულ ჟურნალებში. ახლა სხვა ჯგუფში გავერიეთ. აქ გაცხოველებული საუბარი გაებათ კონკრეტულ მეცნიერულ თემაზე, სახელდობრ, თუ რა არის ანტისხეული.

ამ ხალხში ტრიალმა, მათთან ახლოს ყოფნამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, თუ რა სწრაფად იკაფავს გზას საბჭოთა მეცნიერება და ოქტომბრის ენა მსოფლიოს ყველა კუთხეში.

ვენაში საღამოხანს დავბრუნდით. მეორე დღეს კონგრესის მუშაობა ჩვეულებრივი ტემპით გაგრძელდა.

წინასწარ დაგეგმილი შეხვედრების გარდა, კონგრესის მსვლელობაში, საჭიროების მიხედვით, ინიშნებოდა შეხვედრები განსაკუთრებით სადისკუსიო საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მიეძღვნა ნუკლეოპროტეინებისა და ნუკლეინის მჟავების ცვლას. ამ საკითხის განხილვაში საბჭოთა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

ვენის უნივერსიტეტის შენობაშივე იყო მოწყობილი ბიოქიმიური აპარატურის, პრეპარატებისა და ლიტერატურის გამოფენები. ლიტერატურის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო უცხო ენებზე თარგმნილი საბჭოთა ავტორებიც. რეფერატულ ჟურნალებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა საბჭოთა ჟურნალები. სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალებისაგან განსხვავებით ჩვენს ჟურნალებში თანაბრად იყო ასახული დიდი და პატარა ქვეყნების შრომები, დასავლეთისა და აღმოსავლეთის პერიოდიკა.

ოფიციალური მოხსენებების შემდეგ კულუარებში ხშირად იმართებოდა საქმიანი საუბრები და სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები კიდევ უფრო უკეთ ეცნობოდნენ ერთმანეთს. ასეთი შეხვედრების დროს მრავალი გამოჩენილი უცხოელი მეცნიერი დაინტერესდა საქართველოთი და, კერძოდ, იმ სამეცნიერო მუშაობით, რაც საქართველოში წარმოებს. ინგლისელმა ბიოქიმიკოსმა რობერტსმა გამოთქვა დიდი სურვილი, რომ საქართველოში მოეწყოს საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩაის ტექნოლოგიასა და ბიოქიმიაში. დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოსადმი აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ მცენარეთა ინსტიტუტის დირექტორმა კურტ მოტესმა.

კონგრესის მსვლელობის პერიოდში თავისუფალ დროს ვენას ვათვალიერებდით. ამ ქალაქის წარმტაცი სილამაზე და ღირსშესანიშნაობანი ხომ საყოველთაოდ ცნობილია. ქალაქს ამშვენებს მრავალი შესანიშნავი ძეგლი და ქანდაკება, რომელთა შორის სიდიადითა და მაღალი ხელოვნებით გამოირჩევა მოცარტის, ბეთჰოვენის, გოეთეს, შილერის, იოჰან შტრაუსის, შუბერტის და ბრამსის ძეგლები. ვენის მცხოვრებნი განსაკუთრებით ხალისითა და სიამაყით გვიჩვენებდნენ თავიანთი მრავალსაუკუნოვანი ქალაქის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშებს — უნივერსიტეტისა და პარლამენტის შენობებს, რატუშას, ხელოვნების მუზეუმს, სამეფო სასახლესა და სხვებს. მსოფლიოს ბევრ ძველ და დიდი წარსულის მქონე ქალაქს შეიძლება შეშურდეს სრულიად სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში აგებული და დღემდე შესანიშნავად შენახული არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ამშვენებენ ვენას.

ვენაში მრავალი შესანიშნავი სკვერი და ბაღია, თუმცა ისინი თვალს ვერ მოგტაცებენ ყვავილების სიუხვით. აქ უფრო ხშირია მწვანე მოლი, რომელსაც ჩუქურთმასავით ამშვენებს ყვავილნარი. ქალაქის ბაღებში, სადაც ასე მრავლად შეხვდებით ასწლოვან ხეებს, ხშირად გაიგონებთ მტრედების ღუღუნს, შაშვების ჭახჭახს და სხვა ფრინველების ჭიკჭიკს.

განსაკუთრებულად იტაცებს ადამიანს შენბრუნის სასახლის პარკი. აქ თვალს ხიბლავს რამდენიმე ასეულ მეტრზე გაჭიმული და ათობით მეტრი სიმაღლის ცოცხალი კედლები. ნიჭიერი მებაღის მადლიან მარჯვენას ხანგრძლივი სათუთი მოვლითა და სხვლით ძირიდან კენწერომდე ერთ მთლიან, ცოცხალ კედლად გადაუქცევია სხვადასხვა ჯიშის ხეები და ბუჩქები. როგორ დაამშვენებდა ჭაღარა თბილისს ასეთი ცოცხალი კედლები. ჩვენში ხომ დიდი ხანია მრავალი ასეული ჯიშის ხე და ბუჩქი ცხოვრობს ერთად, შეხმატკბილებულად.

ვენის სახელგანთქმულ ოპერის თეატრში მოვისმინეთ მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა". საკონცერტო თეატრში დავესწარით ვენის პატარა მომღერლების საღამოს, მათ შეასრულეს ეროვნული ხალხური სიმღერები და ერთაქტიანი საოპერო წარმოდგენა.

ვენის მუსიკალურ ცხოვრებაში ტრადიციული საორღანო კონცერტები ეკლესიებში იმართება. ერთ-ერთი ასეთი კონცერტი ვენის ყველაზე დიდ ორღანზე შესრულებული ჩვენც მოვისმინეთ.

კონგრესის მსვლელობის დროს სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები იწვევდნენ ურთიერთს. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ საბჭოთა კავშირის დელეგაცია მიიწვია. შეხვედრამ მეტად საქმიან და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. გამოითქვა საერთო სურვილი გაძლიერდეს კავშირი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ბიოქიმიკოსთა შორის და დაისახა მეცნიერული ურთიერთდაახლოების კონკრეტული გზები.

საბჭოთა დელეგაციამ საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაში გამართა ბანკეტი, სადაც რამდენიმე ასეული უცხოელი მეცნიერი იყო მოწვეული.

ბანკეტზე შეხვედრისთანავე პროფესორმა რობერტსმა დოქტორი მ. ბოკუჩავა მოიკითხა. ძალიან ეწყინა, როდესაც შეიტყო, რომ ავადმყოფობის გამო მან კონგრესზე წამოსვლა ვერ მოახერხა. ინგლისელ რობერტსსა და ქართველ ბოკუჩავას კარგა ხანია დიდი ნაცნობობა და საქმიანი მიწერ-მოწერა აქვთ, თუმცა ჯერჯერობით ერთმანეთი არც კი უნახავთ. გარდა საერთო მეცნიერული ინტერესისა (ორივე ჩაის ბიოქიმიის გამოჩენილი მკვლევარია), მათ კიდევ ერთი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ: ერთსაც და მეორესაც ერთმანეთის შესახებ პირველად ერთი და იგივე კითხვა დაებადა — როგორი შესახედაობისაო.

კონგრესის მსვლელობის დროს შედგა ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების პლენუმის ასამბლეა, რომელმაც განიხილა მთელი რიგი საკითხები, მათ შორის, ბიოქიმიკოსთა შემდეგი საერთაშორისო კონგრესის ჩატარების საკითხი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბიოქიმიკოსთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესი მოეწყოს ქალაქ მოსკოვში 1961 წელს. ეს დადგენილება საბჭოთა ბიოქიმიის დიდ აღიარებას მოწმობდა და იგი ბევრ რამეს ავალებდა ჩვენი ქვეყნის ბიოქიმიურ დაწესებულებებსა და ამ დარგის მკვლევარებს.

კონგრესის დახურვის დღეს უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე აზოტოვან ნივთიერებათა ცვლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა მეცნიერი პროფესორი ბრაუნშტეინი. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

კონგრესის შედეგებმა ერთხელ კიდევ მკაფიოდ დაანახვა მის მონაწილეებს, თუ რა სწრაფად და მრავალმხრივად ვითარდება მეცნიერების ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დარგი ბიოქიმია, თუ რა უხვად იყენებს იგი ფიზიკისა და ქიმიის მიღწევებს და საკუთარი მიდგომითაც რაოდენი წარმატებით სწავლობს კაცობრიობისათვის მეტად აქტუალურ მრავალ პრობლემას, ან კიდევ, რა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიოქიმიის წარმატებასთან მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და ტექნოლოგიის მრავალი დარგის წინსვლა და განვითარება.

კონგრესის მეცნიერული პროგრამის ამოწურვის შემდეგ მოეწყო ექსკურსიები. ავტობუსებით გავემგზავრეთ ავსტრიის სხვადასხვა პროვინციის დასათვალიერებლად.

ცნობილია, რომ ავსტრია ლამაზი მთაგორიანი ქვეყანაა, ტყეებით, მდინარეებითა და ტბებით მდიდარი. ავსტრიის მრავალი კუთხე ძლიერ ჰგავს საქართველოსას. გორაკებზე შეფენილი ვენახები და ხეხილის ბაღები, დაცემულ ჭალებში სიმინდი და საძოვარი, სოფლის „ბოლოში“ ცხენი და ძროხა საქართველოს სოფლის პეიზაჟებს მოგვაგონებენ. ეს მსგავსება ხშირად იმდენად ძლიერია, რომ არა თუ ჩვენ, ჩვენი რუსი მეგობრებიც კი ავსტრიის რომელიმე პროვინციის ლამაზ პეიზაჟს საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს ადარებდნენ. საუბარში ხშირად იხსენებოდა რიწა და ბაკურიანი, წაღვერი და შოვი, იმერეთი, სვანეთი და საქართველოს მრავალი სხვა კუთხე.

ვენიდან პირველად ბადენში ჩავედით. ვნახეთ ბადენის ცნობილი საცურაო აუზები და პლაჟი. ჩვენი გიდი ავსტრიელი ქალია. მე მას ვუხსნი, რომ ჩვენში ადამიანებიცა და მიწაც თბილია და ამიტომ საქართველო ბუნებრივი თბილი წყლის აბანოებითაც მდიდარია-მეთქი.

გზად პატარა სოფელ სოლენაუში გავიარეთ.

საღამოს უკვე ქალაქ ფელდენში ვიყავით. ღამე ვერტერის ტბის ნაპირას სასტუმროში გავათიეთ. პროვინცია კორინთე, სადაც ფელდე-

ნი მდებარეობს, როგორც ჩანს, ძირითადად ტურიზმით ცხოვრობს. აქ მრავალი ტბაა, გორაკებით გარშემორტყმული. გორაკის მწვერვალები ტბის სანაპიროებთან ხშირად საჰაერო საბაგირო გზით არის დაკავშირებული. ტბების სანაპიროებზე აშენებული სასტუმროები მწვანე ნარგავებშია ჩაფლული.

ორი დღის შემდეგ ვერტერის ტბა დავტოვეთ და ავსტრიის ალპებისაკენ გავემართეთ. ორი ათას ხუთასი მეტრის სიმაღლეზე ავედით, თოვლით დაფარულ მაღლობზე ვისადილეთ. ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო შევსვით და კვლავ განვაგრძეთ გზა.

ავსტრიაში შესანიშნავი გზებია. მოასფალტებულ გზატკეცილებს მსხლისა და ვაშლის ჭაღარა ხეები დარაჯობენ. გზების ორივე მხარეს სიმინდის, ჭარხლის, კარტოფილის, შვრიისა და სხვა კულტურების ნათესებია.

ერთი კვირის განმავლობაში ვმოგზაურობდით. ვიყავით ავსტრიის დიდსა და პატარა ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში. ბევრი რამ ვნახეთ და განვიცადეთ საინტერესო და მნიშვნელოვანი. ზალცბურგში მოცარტის სახლი მოვინახულეთ, გმუნდენში—შუბერტისა. ლინცში ვესტუმრეთ იმ სახლს, სადაც ბეთჰოვენი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მსოფლიოს არა ერთსა და ორ გამოჩენილ კომპოზიტორს აუდგამს ფეხი ავსტრიის მიწაზე, მათ ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში უცხოვრიათ, მაგრამ მაღალი და ჭეშმარიტად სახალხო ხელოვნების სიყვარულსა და მისთვის თავდადებას ისინი სამუდამო სამყოფელითაც დაუახლოებია, ერთად შეუყრია. დგახარ ვენის ეროვნულ სასაფლაოზე და გიკვირს ამ სულ რაღაც კალოსოდენა მიწაზე როგორ დატეულან მოცარტი, ბეთჰოვენი, შუბერტი, შტრაუსი, ბრამსი და ხელოვნების მრავალი სხვა ტიტანი.

შვიდი დღის მოგზაურობის შემდეგ კვლავ ვენაში დავბრუნდით. ქალაქს ამჯერად ახალი საზრუნავი გასჩენოდა — საერთაშორისო ბაზრობა იყო გახსნილი. ბაზრობაში მსოფლიოს მრავალი ათეული ქვეყანა მონაწილეობდა. მთავარ შესასვლელთან სხვა ქვეყნების დროშებთან ერთად ლაღად ფრიალებდა საბჭოთა კავშირის წითელი დროშა. მრავალ პავილიონს შორის ამაყად იდგა საბჭოთა პავილიონის შესანიშნავი შენობა. მისი შპილი ყველა შენობას მაღლიდან დასცქეროდა და მრავალფეროვნად ნაშენ ტერიტორიაზე, თითქოს გზამკვლევს წარმოადგენდა.

ამ თავისებურ სანახაობაში მოხდენილად იყო შეზავებული ჩვეულებრივი გამოფენა და სავაჭროდ მოწყობილი ბაზრობა. აქ ყველაფერი იყო გამოტანილი, რასაც კი ადამიანის გონება და ხელი აკეთებს და რაც შეიძლება მზადდებოდეს, იხმარებოდეს და იყიდებოდეს. მოედ-

ნებსა და შენობებში ყველაფერი ამოქმედებულია, რაც კი შეიძლება მოქმედებდეს. პავილიონებში კერავენ, ქარგავენ, რეცხავენ, წმენდენ, ძერწავენ, ბეჭდავენ და ათას სხვა სამუშაოს ასრულებენ. მნახველებიც ხომ ერთ ამბავში არიან: სინჯავენ თვალით, სინჯავენ ხელით, აჭაშნიკებენ, ამოწმებენ, აფასებენ და აზარტულად ვაჭრობენ. ყველა ღონისძიება საქონლის გასაღებას ემსახურება. სახელმწიფოები, კომპანიები, ფირმები, ცალკეული პირები — ყველა ერთად მონაწილეობს საქონლის გასაღებაში. რეკლამა ხომ აქ თვითმიზნად არის გადაქცეული. გთხოვენ მოუსმინოთ, შეხედოთ, შეეხოთ, იყნოსოთ, შესვათ და შეჭამოთ. ავსტრიელები თქვენ თვალწინ ამზადებენ ერთი აბისაგან ერთ ქვაბ ბულიონს და გთავაზობენ შეიძინოთ ოჯახისათვის ასეთი „ძვირფასი“ საკვები. ამერიკელები თქვენი თანდასწრებით იღებენ გრეიფრუტიდან წვენს, გასასინჯად გაწვდიან და ხილის წვენის დამამზადებელ მანქანას შესაძენად გთავაზობენ. აშკარად ჩანს, თუ რა დიდი პრობლემაა საქონლის გასაღება დასავლეთის ქვეყნებისათვის.

კონგრესის მონაწილენი განსაკუთრებით ხარბად დაეწაფნენ საბჭოთა პავილიონს. მისასვლელთანვე მსუბუქი ავტომანქანა „ჩაიკას“ ირგვლივ უამრავი ხალხი იდგა. მანქანაზე მუყაოს ფირფიტა იდო წარწერით „გაყიდულია“. პავილიონი ასახავდა გმირი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით მოპოვებულ უმაგალითო წარმატებებს. დიდძალი ხალხი ეხვეოდა დედამიწის თანამგზავრთა მაკეტებს. აქ მდგომ პავილიონის მუშაკს კითხვებს ყოველი მხრიდან სეტყვასავით აყრიდნენ და ისიც ხალისით და ამაყად უპასუხებდა.

აქ, საბჭოთა პავილიონში, არაფერს არიგებდნენ, არც არავის არაფერს აჭმევ-ასმევდნენ და არც საოჯახო პარკებს აჩეჩებდნენ ხელში, მაგრამ დარბაზები მაინც ხალხით იყო გაჭედილი.

რამდენიმე ახლად გაცნობილმა უცხოელმა კოლეგამ თხოვნით მომმართა მეჩვენებინა მათთვის, თუ რა არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პავილიონში ჩემი სამშობლო საქართველოდან წარმოდგენილი. ასეთ კითხვას არ მოველოდი, ამიტომ თითქმის ოდნავ შევკრთი კიდეც და ის იყო პავილიონის კატალოგი უნდა მომეძებნა, რომ ეკრანზე ქართული წარწერა „მუკუზანი“ გამოჩნდა: კუთხეში სატელევიზიო აპარატი იდგა და მოპირდაპირე კედელზე აჩვენებდა, ვინ რით იყო გართული დარბაზში. ახლა მივხვდი, რომ ვიღაც მოქალაქეს ხელში ქართული ღვინო აეღო და მას ათვალიერებდა. ჩემი თანამგზავრები სწრაფად წავიყვანე იმ ადგილისაკენ, სადაც საქართველოს ცნობილი ღვინოები უხვად იყო გამოფენილი. ჩვენი ღვინოების ზოგიერთი მარკა მათთვის ნაცნობი აღმოჩნდა. აქედან საბჭოთა წიგნის გამოფენისაკენ გავეშურეთ, სადაც კიდევ უკეთესი სიურპრიზი დამხვდა. ვიღაც

ინგლისელ ქალს მოსკოვში გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" ეჭირა ხელში და თავის თანამემამულეს გატაცებით ებაასებოდა.

უცხოელ კოლეგებს ჩემთვის მეტი აღარაფრის ჩვენება უთხოვიათ, გამეხუმრნენ კიდეც — თქვენი მშობლიური საქართველოს გულიცა ვნახეთ და გონებაცაო. პავილიონის ახლო გაცნობამ ისინი ღრმად დაარწმუნა, რომ იქ ხალხთა ჩვენს დიად ძმურ ოჯახში გაერთიანებული არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკა არ იყო დავიწყებული.

ვენაში კიდევ ორი დღე დავრჩით. მხოლოდ ახლა მივხედეთ ქალაქის ირგვლივ მდებარე ვენის ზღაპრულ ტყეს. ვენის გაჩირაღდნებული ქუჩებიდან — ვენის დაბურულ ტყეში, ვენის უდაბური ტყიდან — ისევ ვენის ხალხმრავალ ქუჩებში... და ეს კონტრასტი კიდევ უფრო ალამაზებდა დიდებულ ვენას და მის მიდამოებს.

დადგა წამოსვლის დღეც. დავტოვეთ სტუმართმოყვარე ავსტრია, მისი მშვენიერი დედაქალაქი ვენა და სამშობლოსაკენ გამოვეშურეთ.

მოვდიოდით და თან მოგვქონდა მთელ მსოფლიოში ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის საქმის გამარჯვების, კაცობრიობის უკეთესი მომავლის კიდევ უფრო განმტკიცებული რწმენა.

1958

მეცნიერების სასახლეში

ანტვერპენის ნავსაყუდარმა მშვიდად მიგვიღო. ჩაეშვა ზღვაში ღუზა და ჩვენი „მცურავი კუნძული" ბელგიის მიწას ტრაპით შეუერთდა. საბჭოთა ტურისტები ბრიუსელის მსოფლიო გამოფენას ვესტუმრეთ. ათი ღია ჭიშკარი ჰეიზელის უდიდეს პარკში გვეპატიჟებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულთ. მრავალ ათეულ სახელმწიფოს შეუქმნია აქ ორიგინალური ნაგებობანი და გამოუმზეურებია, რაც კი საუკეთესო და თავისებური ჰქონია.

„ადამიანი და პროგრესი" — ასეთია გამოფენის დევიზი.

შვიდი ათეული წლის წინათ კაცობრიობის პროგრესის ამსახველი ფოლადის საუკუნის სიმბოლო — ეიფელის კოშკი აიგო პარიზში. დღეს კი ატომური ეპოქის გამოხატულებად ბრიუსელში გიგანტური ატომიუმი დგას, როგორც ჩვენი ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე მოპოვებული ჭეშმარიტად დიდი პროგრესის მრავალისმეტყველი ძეგლი.

ატომი, გუშინ უცნობ სამყაროში მყოფი, დღე აქ მთავარი მასპინძელია. თუ ზოგიერთი პავილიონის ერთ სტენდზე ჯერ კიდევ ეპისკოპოსად ან მეფედ კურთხევაა გამოსახული, მეორე სტენდს მაინც ატომები და მოლეკულები დაუფლებიან.

დამთვალიერებელთა საერთო გულისყური ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისაკენ იყო მიმართული. დედამი-

წის საბჭოთა თანამგზავრებისა და ჩვენი ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ მაკეტებს ზღვა ხალხი ეხვია. გამოთვლითი მანქანები და ატომური საათები, რეაქტორებისა და ატომური ელექტროსადგურების მაკეტები, მეცნიერული კვლევის უზუსტესი ხელსაწყოები და ავტომატიკისა და ტელემექანიკის მრავალი საშუალება სხვადასხვა პავილიონებში უამრავ მნახველს იზიდავდა. მათს სახეზე ერთ ფიქრს ამოიკითხავდით:

რა დაუსრულებელი პერსპექტივაა გადაშლილი კაცობრიობის წინაშე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში! რა იქნება ხვალინდელი დღე მეცნიერების ყველა მიღწევა რომ მხოლოდ ხალხის კეთილდღეობას მოხმარდებოდეს.

მაგრამ ყველას ხომ ერთგვარად არ ესმის „ადამიანი და პროგრესი“. გამოფენაზე ვატიკანის სამლოცველოში სათუთად ესვენა „წმინდა ნაწილები“ და შთაგონებული სულიერი მამა ღაღადით ამცნობდა „საქაოს“, „ადამიანის პროგრესის საფუძველი რელიგიაა“.

მეფეთა დინასტიები და სასულიერო იერარქია, კოლონიური ქვეყნები, უმუშევრობა, რასიზმი, სიღატაკე და წერა-კითხვის უცოდინარობა... და კიდევ რას არ ნახავდით ისეთს, კაცობრიობის პროგრესს რომ ჯერ კიდევ „ამშვენებს“.

და მაინც მკვეთრად ჩანდა ადამიანის გონების ტრიუმფი. გამოფენაზე მეცნიერებისათვის ცალკე სასახლე აეგოთ და მასში ბუნებისმეტყველების თანამედროვე მიღწევანი წარმოედგინათ. „ელექტრონიდან ცოცხალ არსებამდე“ — ასეთია მეცნიერების სასახლის დევიზი.

მეცნიერების სასახლის ექსპოზიცია ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა: „ატომი“, „მოლეკულა“, „კრისტალი“ და „ცოცხალი უჯრედი“. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას აქ გამოუტანია ატომური ფიზიკის მიღწევები, ქიმიურ მეცნიერებათა მონაპოვარნი, მყარი სხეულის ფიზიკის ნიახლენი და ბიოლოგიური კვლევის უკანასკნელი შედეგები. ოთხივე განყოფილებაში ხუთასამდე შრომა იყო დემონსტრირებული და აქედან ორასზე მეტი ბიოლოგიას შეეხებოდა.

ექსპონატები განყოფილებებში სხვადასხვა სახით იყო წარმოდგენილი. გამოფენილი იყო სქემები, დიაგრამები, სურათები, მოდელები, ხელსაწყოები, დანადგარები. მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი დემონსტრირებასა და ცდებს, წარმოების პროცესების უშუალო ჩვენებასა და ფერადი ტელევიზიით გადმოცემას. თქვენ თვალწინ ხდებოდა ნავთობის გადამუშავება პლასტმასად; ხედავდით, თუ როგორ ითვისებს მცენარის ფესვი ნახშირორჟანგს, რა გზით მიემართება იგი ფოთლებისაკენ, ან როგორ ვითარდება ავთვისებიანი სიმსივე ცხოველის სხვადსხვა ორგანოში. ცდებს ყველა განყოფილებაში ბელგიელი

სპეციალისტები აჩვენებდნენ. ხშირად მთელი სასახლე უზარმაზარ ლაბორატორიას მოგაგონებდათ, რომლის სხვადასხვა კუთხეში ერთსა და იმავე დროს მრავალი მასალისა და ცდების დემონსტრაცია მიმდინარეობდა.

სასახლის შესასვლელშივე, განყოფილება „ატომის" დასაწყისში ემბლემად ატომის მოდელი დაუდგამთ და ატომგულის ირგვლივ სრულ სიბნელეში მოციმციმე ელექტრონები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, თითქოს სივრცეში ცეცხლის ნაკვალევი ელვარებდეს.

ამ განყოფილებაში შედიოდა სექციები: ატომები და ატომგულები, იზოტოპები, რადიოელემენტები და რადიაქტიურობა, ნეიტრონები, ბირთვული რეაქტორები, დამაჩქარებელი მექანიზმები, ელემენტარული ნაწილაკები, მზის ენერგია, თერმობირთვული რეაქციები და სხვ. ყველა ამ სექციაში ექსპონატებად სულ ასამდე ნაშრომი იყო გამოტანილი, ამათგან ათ-ათი ექსპონატი ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს. ჩვენი ქვეყნიდან გამოფენილი იყო იონიზაციის დიფერენციალური კამერა, სპექტრომეტრი ელექტრომაგნიტით, ბირთვული იზომერიის ხანგრძლივობის საზომი ხელსაწყო, კოსმოსური სხივების შემსწავლელი აპარატი, ფოტოგრაფიულ ემულსიაში ნაწილაკების გაბნევის საზომი ავტომატი, იმპულსების ამპლიტუდის ანალიზატორი და გასხივების გამომთვლელი, ბეტა და ალფა სხივების ინტენსიურობის საზომი და სხვ.

ატომების შეერთება, როგორც ცნობილია, მოლეკულას იძლევა. ათასგვარი ნივთიერებანი, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა სახის უთვალავი მოლეკულებისაგან შედგება. განყოფილებაში „მოლეკულა" ნაჩვენები იყო ქიმიურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მიღწევები. აქ წარმოედგინათ შრომები ზოგადი ქიმიიდან, ფიზიკური ქიმიიდან, კოლოიდური ქიმიიდან, რადიოქიმიიდან და სხვ. განსაკუთრებით ფართოდ იყო გაშუქებული მაკრომოლეკულური ქიმიის მონაპოვრები.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერებს აქ გამოეტანათ კატალიზატორების ფიზიკური შესწავლის შედეგები, გამოკვლევები ზოგიერთი ნახშირწყალბადის დაჟანგვის შესახებ მაღალატმოსფერული წნევის პირობებში, ხელსაწყოები, რომლებიც ჰაერში გაბნეული ნაწილაკების შესასწავლად იხმარება, შრომები რადიოგეოლოგიიდან, პოლიმერთა ქიმიიდან და სხვ.

მოლეკულაცაა და მოლეკულაც. ზოგი მათგანი მეტად მარტივია, ზოგის ხელოვნური სინთეზი კი ჯერაც არ არის განხორციელებული. ქლოროფილი, — დარვინის სიტყვით რომ ვთქვათ, ბუნებისაგან შექმნილ ნივთიერებათა შორის ეს ყველაზე საინტერესო ნივთიერება, —

თიდქმის საუკუნე-ნახევარია რაც აღმოაჩინეს, მისი ხელოვნური სინთეზი კი სულ ახლახან, 1960 წლის დამლეკს მოხერხდა. ქლოროფილის მსგავსად, კიდევ რამდენი ბუნებრივი ნაერთია ხელოვნურად მისაღები!

ბუნებრივი ნაერთებიდან „მოლეკულაში“ წარმოდგენილი იყო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი: ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები და სხვ.

ატომების ან მოლეკულების შეერთებით წარმოიქმნება კრისტალი. მას გარკვეული სტრუქტურა აქვს და განსაზღვრული ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური თვისებები ახასიათებს. კრისტალები წარმატებით გამოიყენება მეტალურგიაში, ოპტიკაში, ელექტროწარმოებაში, რადიოწარმოებაში და სხვ.

განყოფილებაში „კრისტალი“ წარმოდგენილი იყო კრისტალების ზოგადი მიმოხილვა, მათი სტრუქტურები, მექანიკური, ელექტრული, მაგნიტური და ოპტიკური თვისებები, კრისტალის ზრდა მისი ზედაპირის შესწავლის შედეგები და სხვ.

საბჭოთა კავშირს ამ განყოფილებაში გამოფენილი ჰქონდა რიგი უახლესი აპარატურა: სპექტროგრაფი, ფლუორომეტრი, დიფრაქტოგრაფი და სხვ., რომელთა საშუალებითაც შეისწავლება კრისტალის თვისებები. აქვე ნახავდით თერმოელექტრულ გენერატორს, სილიკატების ახალ სტრუქტურებს, გაეცნობოდით კრისტალების შესწავლის შედეგებს და ა. შ.

თუ ახლა ატომის დაშლა განხორციელებულია, თუ ატომებიდან ზოგიერთი ნივთიერების მოლეკულის მიღება ადამიანმა კარგა ხანია ისწავლა, გზა მოლეკულიდან ცოცხალ უჯრედამდე ჯერ კიდევ საიდუმლოებით არის მოცული. სიცოცხლე, მისი რაობა, მისი წარმოშობა და განვითარება თანამედროვე მეცნიერების კვლევის ერთ-ერთ მთავარ საგანს შეადგენს. საგულისხმოა, მეცნიერების სასახლეში წარმოდგენილ შრომათა დიდი უმრავლესობა ბიოლოგიას განეკუთვნებოდა და წარმოდგენილი იყო განყოფილებაში „ცოცხალი უჯრედი“.

გამრავლების სტადიაში მყოფი უჯრედის ემბლემა გვამცნობდა, რომ აქედან უკვე ცოცხალი უჯრედის სამყარო იწყება და საქმე უფრო რთულ პროცესებთან გვექნება, ვიდრე აქამდე იყო. ამ განყოფილებას მრავალი თავისებურება ჰქონდა. ექსპონატებად გამოეფინათ არა მარტო სქემები, სურათები, დიაგრამები და მოდელები, აქ მეცნიერული აზრის პროგრესის ჩვენებაში ცოცხალი არსებანიც მონაწილეობდნენ: სხვადასხვა მეცნიერული დებულების ნათელსაყოფად წარმოდგენილი იყო ზოგიერთი ცხოველი, ფრინველი და მცენარე.

დიდ სფეროსებრ ჭურჭელში თეთრი, შავი და ყავისფერი პატარა ბურთულები ეყარა. ბურთულები ხან მშვიდად იყვნენ, ხან კი უეცრად

ამოძრავდებოდნენ. სიწყნარის სხვადასხვა მომენტში ბურთულების განაწილება სხვადასხვაგვარი იყო. ხან ორი თეთრი ბურთულა იყო ერთად, ხან თეთრი და შავი, ხან თეთრი და ყავისფერი, ზოგჯერ კი ორი შავი ან შავი და ყავისფერი ბურთულები ისვენებდნენ ერთმანეთის მეზობლად. კომბინაციები ბურთულების ყოველი ამოძრავების დროს იცვლებოდა და მოდელის ავტორი გვიხსნიდა, რომ სქესობრივი გამრავლების დროს სხვადასხვა ნიშან-თვისებათა შეუღლება ასევე ხდებაო. ამ „მეცნიერული" ხელსაწყოთი იწყებოდა გენეტიკის სექცია. იქვე, პირველსავე კარადაში წყნარად ისხდნენ ზღვის გოჭები, თეთრი და შავი ფერისა და მათი რამდენიმე თაობის შთამომავალნი. წარწერა განმარტავდა, რომ დედ-მამისაგან შეფერვა შვილებს იმავე კანონით გადაეცემა, რა „კანონსაც" უტყვი ბურთულების დროებითი დამეგობრება ექვემდებარებაო. ამავე აზრის გასამაგრებლად მოეშველებინათ სხვადასხვა ფერის ქათმები და ჩიტები, რომლებიც ზღვის გოჭების მეზობლად საკენკს შეექცეოდნენ. ერთი რამ უდავო იყო: ცხოველები და ფრინველები მეცნიერების სასახლეში თავს ჩინებულად გრძნობდნენ.

„ცოცხალი უჯრედის" განყოფილებაში შედიოდა სექციები: უჯრედის ქიმიური შემადგენლობა, გენეტიკა, რადიობიოლოგია, ვირუსი, პროტოზოები და სოკოები, ფოტოსინთეზი და მცენარეული უჯრედი, ცხოველური უჯრედი და ემბრიოლოგია.

ამ სექციებში მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ასახული. მაგალითისათვის დავასახელოთ თუნდაც ორი მათგანი: ფოტოსინთეზი და ცილის პრობლემა.

ფოტოსინთეზის პროცესში მცენარე ქლოროფილის საშუალებით შთანთქავს მზის რადიაციის ენერგიას და პოლომდე დაჟანგული უმარტივესი ნაერთების — წყლისა და ნახშირორჟანგის მეშვეობით ქმნის რთულსა და ენერგიით მდიდარ სხვადასხვა ორგანულ ნაერთებს. მზის სინათლის ენერგია გადადის ორგანული ნაერთების პოტენციურ ენერგიაში. ამ პროცესის გარეშე ცხოველებისა და ადამიანის არსებობა ხომ წარმოუდგენელია. მზის ენერგიის უდიდესი ნაწილი მაინც უქმად იკარგება: მცენარეთა სამყარო მზის ენერგიის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს იყენებს. რა იქნებოდა ადამიანს რომ ფოტოსინთეზის საიდუმლოება ბოლომდე გაეგო და მზის ენერგიის ხარჯზე სხვადასხვა ნივთიერებათა სინთეზი თავისი ნება-სურვილისამებრ ხელოვნურად ეწარმოებინა. ეს ჰეშმარიტად ზღვარდაუდებელი პერსპექტივაა კაცობრიობის წინსვლისათვის.

სასიცოცხლო პროცესებში ცილოვან ნივთიერებებს უპირველესი ადგილი უკავია. ამიტომ სიცოცხლის საიდუმლოებათა ლაბირინთში გზის გაკვლევა, უპირველეს ყოვლისა, ცილის სინთეზის დაუფლებას

მოითხოვს. რა საოცარი შედეგები გვექნებოდა, ჩვენ რომ ეს საიდუმლოება ხელთ გვეპყრას და ცილის სინთეზი მცენარესა და ცხოველში ნებისმიერად გვემართა, ანდა მარტივი კომპონენტებიდან აქტიური ცილა ხელოვნურად იაფფასიანი პროდუქტებიდან მიგვეღო. რამდენი დაავადება მოისპობოდა, რამდენი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთი შეიქმნებოდა, ადამიანისა და ცხოველის კვებისათვის საჭირო რამდენი ნივთიერება დამზადდებოდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალა ნათლად გვიჩვენებდა, რომ თანამედროვე ბიოლოგიაში დიდი როლი ეკისრებოდა უახლეს ექსპერიმენტულ ტექნიკას, ფართოდ გამოიყენებოდა ელექტრონული მიკროსკოპია. სპექტროსკოპია, ფოტომეტრია, ქრომატოგრაფია და თანდათან იზრდებოდა ფიზიკისა და ქიმიის მიღწევიოა გამოყენება ექსპერიმენტულ ბიოლოგიაში. გახშირდა აგრეთვე ქიმიკოსების, ფიზიკოსებისა და ბიოლოგების ერთობლივი მუშაობა ერთსა და იმავე ბიოლოგიურ პრობლემებზე.

უჯრედის ქიმიური შემადგენლობის სექციაში მთავარი ადგილი ნუკლეინის მჟავებს ჰქონდა დათმობილი. სხვა სექციებშიაც ფართოდ იყო წარმოდგენილი ნუკლეინის მჟავების ქიმია და ფიზიოლოგია. ნუკლეინის მჟავები, როგორც ცნობილია, აზოტოვანი ფუძეების, ნახშირწყლებისა და ფოსფორის მჟავის შეერთების შედეგია. ნუკლეინის მჟავები და ცილა-ფერმენტები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცილის ბიოსინთეზსა და მემკვიდრეობის მოვლენებში.

მეტად თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი მცენარის უჯრედის შემადგენლობა: ბირთვი, პლასტიდები, მიტოქონდრიები, მიკროსომები და უსტრუქტურო ნაწილი. ოციათასჯერ გადიდებული უჯრედის მოდელში ყველა ნაწილაკი თავისებურ ფერებს გამოსცემდა ულტრაიისფერი დასხივების მეშვეობით.

უჯრედის შემადგენელი ორგანოიდები არა მარტო განსხვავებული ღონაგობის არიან, მათ შორის „შრომაც“ სხვადასხვაგვარად არის განაწილებული. უკანასკნელი ხნის მიღწევებმა ნათელი მოჰფინეს თითოეული მათგანის როლს უჯრედის ცხოვრებაში: ყველაზე მცირე ნაწილაკებში — მიკროსომებში ცილის სინთეზი მიმდინარეობს, მათზე უფრო მოზრდილებში — მიტოქონდრიებში უჯრედისათვის საჭირო ენერგია წარმოიშობა, პლასტიდებში ფოტოსინთეზი და ზოგიერთი სხვა პროცესი სრულდება, ბირთვში თავმოყრილია ნუკლეინის მჟავათა ცვლის კატალიზატორები — ფერმენტები, უსტრუქტურო ნაწილში ნახშირწყლების დაშლა მიმდინარეობს. ყველა ორგანოიდი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და უჯრედის სასიცოცხლო პროცესთა

ნორმალური მსვლელობა მათ შეხმატკბილებულ მოქმედებაზეა დამოკიდებული.

რადიობიოლოგიაში დასხივებით გამოწვეული მრავალი ეფექტი იყო წარმოდგენილი. ექსპონატები გვიჩვენებდა, თუ როგორ იცვლება დასხივებით მცენარეები და ცხოველები. ერთსა და იმავე მცენარეზე თეთრი და წითელი ყვავილი იყო: დასხივებას თეთრ ყვავილებიან მცენარეზე წითელი ყვავილიც წარმოექმნა. თუ მცენარე დასხივებამდე ერთი სამეურნეო თვისებისაა, მას დასხივების შემდეგ სხვა სასარგებლო თვისებებიც შეიძლება აღმოაჩნდეს. ამ მიმართულებით ახლა მრავალ ქვეყანაშია მუშაობა გაშლილი.

მნახველთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ნივთიერებანი, რომლებიც ატომური ნაწილაკების მომაკვდინებელ მოქმედებას ამცირებენ. მეცნიერები ეძებენ საშუალებებს, რომელთა გამოყენება ნაწილობრივ მაინც დაიცავდა ადამიანს დასხივების უარყოფითი გავლენისაგან. ადამიანს მეცნიერების სასახლეშიაც, მეცნიერების პროგრესის სასახელო მიღწევათა შორის, ატომური ენერგიის საბედისწეროდ გამოყენების საშიშროებაც თავს დასტრიალებს.

ცოტა უბედურება როდი მოაქვს ვირუსებს. ამიტომაცაა, რომ მრავალი ქვეყნის მეცნიერი გამალებული სწავლობს მათ ბუნებას. რამდენი ახალგაზრდა დაუღუპავს და რამდენი დაუმახინჯებია პოლიომიელიტის ვირუსს. ახლა იგი ელექტრომიკროსკოპის ქვეშ მოუთავსებიათ და, საბოლოოდ დამარცხებული, კრისტალურ ფორმაში მოქცეული უძრავად ძევს სასაგნე მინაზე. აქვეა თამბაქოს მოზაიკის ვირუსი. ეს ხომ პირველად აღმოჩენილი ფილტრში გამავალი ვირუსია, რომელიც ყველაზე ადრე რუსმა მეცნიერმა დ. ივანოვსკიმ შეისწავლა. სტენდზე ნაჩვენებია, რომ თამბაქოს ე. წ. მოზაიკური დაავადების ვირუსი ნუკლეინის მჟავისა და ცილისაგან შედგება. უკვე განხორციელებულია ვირუსის როგორც დაშლა აღნიშნულ ნაწილებად, ისე იმავე ნაწილებიდან მისი კვლავ აღდგენა.

გამოფენაზე მრავალ სხვა ვირუსსაც ნახავდით. წარმოდგენილი იყო ვირუსების გავრცელება, მათი სახეობანი, ვირუსების ბიოლოგია, მათი შესწავლის მეთოდები და სხვ.

„ცოცხალი უჯრედის“ განყოფილებაში ერთ-ერთ მთავარ სექციას შეადგენდა „ფოტოსინთეზი და მცენარეული უჯრედი“!. ფოტოსინთეზის — ამ რთული ბუნებრივი პროცესის — მრავალი მხარე იყო გამოტანილი: ფოთლის მორფოლოგია და ფუნქცია, ფოტოსინთეზში მონაწილე პიგმენტები, მზის ენერგია და ფოტოსინთეზი. სინათლის შემადგენლობის გავლენა ფოტოსინთეზზე, ფოტოსინთეზის პროდუქტები,

პლასტიდების როლი ფოტოსინთეზში, ქლოროფილის მოქმედების მექანიზმი, ფოტოსინთეზი და სუნთქვა და სხვ.

საბჭოთა ბიოლოგების მიღწევებს დათმობილი ჰქონდა 12 სტენდი. მათ სამუშაოებს საერთო მიღწევათა შორის წამყვანი ადგილი ეკავათ. სახალხო მეურნეობაში ფოტოსინთეზის კიდევ უფრო უკეთ გამოყენების მრავალი შესანიშნავი პერსპექტივა იყო დასახული. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოდ წყალმცენარეები ჩანდა. ბიოქიმიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ წყალმცენარეებიდან შესაძლებელია დამზადდეს მაღალი ხარისხის სრულფასოვანი ცილა, რომელიც საუკეთესო საკვებია ცხოველებისათვის. ამ გამოკვლევებით დადასტურდა აგრეთვე ის, რომ ერთი ჰექტარი ზედაპირის მქონე წყლის აუზზე ერთი წლის განმავლობაში წყალმცენარეს შეუძლია 45 ტონამდე მშრალი მასა მოგვცეს. გამოდის, რომ ერთ ჰექტარ წყლის ზედაპირზე გაცილებით მეტი საკვები შეიძლება მოვიყვანოთ, ვიდრე ერთ ჰექტარ მიწაზე.

ხელოვნურ სინათლეზე დგას წყლით სავსე ცილინდრის მაგვარი აპარატი, რომელშიაც მოთავსებულია ერთუჯრედიანი წყალმცენარე — ქლორელა. აპარატში ტემპერატურა რეგულირებულია ავტომატურად და ჰაერი ქვევიდან ზევით განუწყვეტლივ მიედინება. თქვენ თვალწინ იზრდება წყალმცენარის მწვანე მასა და, მიაღწევს თუ არა გარკვეულ ოდენობას, თავისივე სიმძიმის გამო სითხიდან გამოიყოფა. ქლორელის ახალ უჯრედთა გამრავლება და ცილის ბიოსინთეზი კი კვლავ გრძელდება. ჩანს, ფოტოსინთეზის საფუძველზე ცილის წარმოებაც შეიძლება მოეწყოს.

ხელოვნურ პირობებში უმაღლესი მცენარეებიც კარგად იზრდება. გამოფენაზე წარმოედგინათ ლიეჟის ფიტოტრონის მოდელი. ამ ხელოვნურ ბაღში, ხელოვნური განათების პირობებში, ყვავილოვანი მცენარეების ზრდა-განვითარება ისწავლება. რეკომენდებულია სხვადასხვა ტიპის ცივი ნათურები, რომელნიც უფრო მეტ და უკეთეს მოსავალს იძლევა.

ნაშრომთა დიდი რაოდენობა მიეძღვნა ბიოენერგეტიკას, ბიოსინთეზის საკითხებს, ნივთიერებათა ცირკულაციას მცენარეებში, პლასტიდების ბიოქიმიას, ნიადაგის ქიმიური ელემენტების აკუმულაციას ცოცხალ უჯრედში და სხვ.

აქაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი საბჭოთა მკვლევარებს უკავია. მეტად ორიგინალურად არის გამართული მცენარეში ნივთიერებათა ცირკულაციის საბჭოთა მოდელი. ნიადაგი მინის სფეროა, მცენარის ფესვები—მინის სფეროში გატოტვილი ელექტროქსელი, ღერო გზებით დასერილი ხიდია ფესვებსა და ფოთლებს შორის. ფოთოლი ჰაერიდან უხვად იღებს ნახშირორჟანგს, გარდაქმნის მას მზის ენერგიის ხარჯზე

სხვადასხვა ნაერთებად და გზავნის მათ ღეროსა და ფესვებში. არც ფესვები რჩება ფოთოლს ვალში. ნიადაგიდან მცენარის ფესვებში იჭრება ნახშირორჟანგი, ამიაკი, ფოსფორის მჟავა, სხვადასხვა მაკრო-და მიკროელემენტები და სათანადო გარდაქმნის შემდეგ ღეროსა და ფოთლისაკენ მიედინება. ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით მიმავალი ეს ორმაგი ნაკადი, ნივთიერებათა გადანაცვლების ეს ორი გზა, მინის მცენარეში წითლად და ლურჯად ნათდება და ხედავთ, რომ ნივთიერებათა ორმაგი ცირკულაცია ერთი მთლიანი სიცოცხლის ორი მხარეა და რომ მცენარის ფოთლები, ღეროები და ფესვები შეხმატკბილებულად შრომობენ და ცოცხლობენ. მიუხედავად მრავალი მიღწევისა, ჩვენ ჯერ კიდევ მეტად ცოტა რამ ვიცით ყველა იმ ნაერთთა ბიოსინთეზზე, რაც მცენარეში წარმოიშობა. ყოველი ჩვენგანი პატარაობიდანვე იცნობს მცენარეს, უამრავი სხვადასხვა მცენარის ფოთოლი, ღერო და ფესვი გვჭერია ხელში, მაგრამ რომელი ჩვენგანი იფიქრებდა მაშინ, რომ ამდენი საიდუმლოება იქნებოდა მათში ჩამარხული.

საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ მცენარეებს კიდევ ერთი მეტად საკვირველი თვისება აქვთ: ისინი ნიადაგში „ეძებენ", არჩევენ და თავის ქსოვილებში აგროვებენ სხვადასხვა იშვიათ ელემენტებს. ზოგი მიკროელემენტი ხომ საუკეთესო სასუქია უხვი მოსავლის მისაღებად. საინტერესო თვისება აღმოაჩნდა სიმინდს. მისი ფესვები დიდი „გულმოდგინებით ეძებენ" და აგროვებენ ნიადაგში მიკროსკოპული რაოდენობით არსებულ ოქროს. თითქოს ერთგვარი ანალოგიაა ამერიკასთან: სიმინდი ხომ ამერიკული წარმოშობის მცენარეა.

ცნობილია, რომ ცოცხალ უჯრედში ნივთიერებათა ყოველგვარ გარდაქმნას თავისი დამაჩქარებელი, ცილოვანი ბუნების კატალიზატორი მოეპოვება. ჩვეულებრივ მათ ენზიმებს, ანუ ფერმენტებს უწოდებენ. ცოცხალ უჯრედში მრავალი ასეული რეაქცია ერთდროულად მიმდინარეობს, მრავალი ასეული ფერმენტი ერთდროულად მოქმედებს, მაგრამ ყველა რეაქცია და ყველა ფერმენტის მოქმედება კოორდინირებულია, თითოეული მათგანი ერთი მთლიანი ანსამბლის ზუსტი მონაწილეა. ცოცხალ უჯრედში სხვადასხვა სისტემათა ასეთ შეწყობილ მოქმედებას პროტოპლაზმის ფიზიკურ-ქიმიური მდგომარეობა განაპირობებს. პროტოპლაზმის სტრუქტურის შეცვლასთან ერთად იცვლება ფერმენტთა მოქმედების შეწყობა და ნივთიერებათა ცვლის საერთო შედეგიც სრულიად სხვანაირი გამოდის. ამ უკანასკნელისადმი იყო მიძღვნილი საბჭოთა სტენდი: „ფერმენტების მოქმედება ცოცხალსა და დაშლილ უჯრედში".

ცხოველური უჯრედის სექციაში საბჭოთა კავშირს წარმოდგენილი ჰქონდა მასალები ამოკვეთილი ნერვის სტრუქტურულ და ფიზიკურ-

ქიმიურ ცვლილებებზე, მხედველობის მექანიზმის ელემენტების შესწავლის შედეგებზე, ორგანოებისა და ქსოვილების რეგენერაციაზე და სხვ.

მეცნიერულ ექსპონატებთან ტურისტები არც თუ ისე ხშირად გროვდებოდნენ ჯგუფებად, მაგრამ სტენდები, რომლებზედაც კიბოს გამოკვლევის შედეგები გამოეფინათ, ყოველთვის ხალხით იყო გარშემორტყმული. ცხოველის ნორმალურ და კიბოსაგან გადაგვარებულ მრავალ უჯრედს უჩვენებდნენ სურათებზე, მიკროსკოპებში, ტელევიზიაში.

მსოფლიოს მრავალი ლაბორატორია მუშაობს კიბოს პრობლემაზე. მრავალი მეცნიერი ათენებს უძილო ღამეებს, რომ მიაგნოს ისეთ საშუალებას, რომელიც ორგანიზმში უცხო უჯრედის გამრავლებას შეაჩერებდა. ნუთუ ბუნებაში არ მოიპოვება ან ხელოვნურად არ შეიძლება შეიქმნას ისეთი ნივთიერება, რომელიც კიბოს უჯრედების გამრავლებას შეწყვეტდა, ხოლო ადამიანის ორგანიზმს არას ავნებდა. ასეთი საშუალება უეჭველად იქნება მიგნებული, უეჭველად აღმოჩნდება. მაგრამ ნეტავი როდის, სად და ვისი ხელით მიესჯება სიკვდილი სიკვდილის ამ ულმობელ მთესველს?!

მეცნიერების სასახლეში ერთ-ერთი კუთხე დათმობილი ჰქონდა ბიოქიმიურ წარმოებას, მის ისტორიას და თანამედროვე მდგომარეობას. ადამიანი ბიოქიმიურ წარმოებას უხსოვარი დროიდან მისდევს. ვინ იცის. რამდენი საუკუნის ისტორია აქვს მეღვინეობას, ლუდის წარმოებას, მაწვნის შედედებას და ა. შ.

სუფთა ფერმენტის მიღება ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მკვლევართა ოცნება იყო. ახლა კი კრისტალური ფერმენტების მიღების წესები ბიოქიმიური წარმოების სტენდებზეა გამოსახული. აქვეა წარმოდგენილი ანტიბიოტიკების, ვიტამინების, ჰორმონებისა და ბიოლოგიურად აქტიურ სხვა ნივთიერებათა წარმოების სურათები, დიაგრამები, მაკეტები, მოდელები.

რა ბევრი რამ გაკეთდა მეცნიერებაში ჩვენ თვალწინ, განსაკუთრებით უკანასკნელ 25 წელიწადში. მაგრამ კაცის გული „გაუმაძღარია“ და მის გონებაში მაინც ის ტრიალებს, რაც გამოსაკვლევია, შესასწავლია, გამოსაცნობია. შემდგომი პროგრესის ერთ-ერთი საწინდარიც ხომ სწორედ ეს არის.

გავიდა რამდენიმე თვე და ბრიუსელის გამოფენა დაიხურა. დარჩა მხოლოდ ატომიუმი და რკინის ეს ცხრაატომიანი გრანდიოზული მოლეკულა, რომელიც მომავალ თაობებს მოაგონებს ატომის ეპოქის პირველ ჭირნახულს.

1058

მწვანე სამეფოს მეურვეებთან

პარიზი შემოდგომის შესანიშნავი მზიანი დღით შეგვეგება. ამ ქალაქის ერთ დღეში დათვალიერება იქნება ტურისტული „დანაშაულიც“ იყოს, მაგრამ ჩვენ ხომ პარიზში გზად გვიხდებოდა გავლა: ოცი საბჭოთა მკვლევარი ბოტანიკოსთა IX საერთაშორისო კონგრესზე კანადაში მივემგზავრებოდით. და მაინც ვნახეთ ღამის პარიზი თვალის ერთი შევლებით.

ამავე ღამით, ყველანი ერფრანსის ოთხძრავიანი თვითმფრინავით საფრანგეთიდან კანადისაკენ მივეშურებოდით.

თვითმფრინავი ძლიერი გუგუნით მიაპობდა სივრცეს. ქვემოთ წყვდიადით მოცული ატლანტის ოკეანე გადაშლილიყო.

ფიქრებში გართულთ ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა თხოვნით მოგვმართა, რომ გულდასმით შეგვესწავლა, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, თუ თვითმფრინავს „დროებით“ ოკეანეზე დაჯდომა მოუხდებოდა. ინსტრუქცია ბევრს არაფერს მოითხოვსო, გვიხსნიდა იგი. უნდა ჩაიცვათ საშველი ჟილეტი, დინჯად დატოვოთ თვითმფრინავი და წყალში მშვიდად გადაეშვათ. ჟილეტის მარცხენა ჯიბეში ფხვნილია, მას იმ შემთხვევაში გადაყრით წყალში, თუ ახლოს ზვიგენი გამოჩნდებაო. ამ ნივთიერების სუნი ზვიგენთა მოდგმას თურმე საშინლად სძულს. ინსტრუქცია უეჭველად მეცნიერულად იყო დამუშავებული, ოღონდ არავინ იცოდა, რომ მართლა დავშვებულიყავით ოკეანეზე, ჩვენი „დროსტარება“ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, ან რით გათავდებოდა.

19 აგვისტოს, დილით, 13 საათის განუწყვეტელი ფრენის შემდეგ, მონრეალში ვიყავით. ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში დავბინავდით. იმავე დღეს სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბოტანიკოსთა IX საერთაშორისო კონგრესი.

მონრეალის მერს სტადიონი კონგრესის მონაწილე ქვეყნების ალმებით მოერთო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ალამი კი „დავიწყებოდა“! შემდეგში დავრწმუნდით, რომ კანადის ყველა ქალაქის მერი ასეთი გულმავიწყი არ იყო.

კონგრესის გახსნისას ჯერ კანადის გენერალ-გუბერნატორის მომართვა წაგვიკითხეს, შემდეგ სხვადასხვა ოფიციალური პირები მოგვესალმნენ. ბოლოს პრეზიდენტმა ტომპსონმა გააკეთა მოხსენება კანადაში ბოტანიკურ მეცნიერებათა განვითარების შესახებ; მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანადელი ბოტანიკოსები პირველ რიგში პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობენ და, კერძოდ, სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლე ხორბლის ჯიშები მათ უკვე გამოიყვანესო. იგი შეეხო აგრეთვე თეორიულ პრობლემებს და განავითარა თეზისი, რომ დიდი მეცნიერე-

ბის შესაქმნელად პრაქტიკული საკითხების შესწავლასთან ერთად, აუცილებელია ღრმა თეორიული განსწავლულობაო. სხდომის დასასრულს კონგრესის მონაწილეებმა ავირჩიეთ სხვადასხვა საქმიანი კომიტეტები.

კონგრესის მუშაობაში 62 ქვეყნის 4000-მდე მეცნიერი მონაწილეობდა. ყოველი ქვეყნის დელეგაციას სათავეში ედგა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი. საბჭოთა დელეგაციას აკადემიკოსი ა. კურსანოვი მეთაურობდა.

კანადის პრესა კონგრესის გახსნის დღიდანვე საბჭოთა დელეგაციას ცხოველი ყურადღებით მოეკიდა. გაზეთებში ქვეყნდებოდა კორესპონდენტთა საუბრები ჩვენს მეცნიერებთან, ცნობები ჩვენზე, უცხოელ მეცნიერებთან ჩვენს ურთიერთობაზე, თავსდებოდა კონგრესში ჩვენი მონაწილეობის ამსახველი ფოტოები და სხვ.

პრესამ განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა აკადემიკოს ა. კურსანოვის მოხსენებას, რომელიც მან კონგრესის გახსნის მეორე დღეს მონრეალის ფრანგულ უნივერსიტეტში ფრანგულ ენაზე გააკეთა მცენარეთა ფიზიოლოგიის ზოგიერთი პრობლემის შესახებ.

კონგრესის მუშაობა ძირითადად ძველი, ინგლისური უნივერსიტეტის შენობებში მიმდინარეობდა. ამ უნივერსიტეტს მრავალი შენობა აქვს, მაგრამ მათი უმეტესობა მოძველებულია. უნივერსიტეტის ძირითად შემოსავალს შეწირულობანი შეადგენს. უნივერსიტეტის პრორექტორმა სიხარულით გვამცნო, ერთ-ერთი გაზეთის დირექტორი მოკლე ხანში საინჟინერო ფაკულტეტს ახალ შენობას აუშენებსო.

შენობათა შესანიშნავი ანსამბლი აქვს მონრეალის ფრანგულ უნივერსიტეტს, რომელიც კათოლიკური ეკლესიის გამგებლობაშია. შესასვლელშივე კედლების მორთულობა იმის მაუწყებელია, რომ აქ თურმე ერთდროულად უნდა აყვავდეს სარწმუნოება და მენციერება! კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებმა დიდი თვითკმაყოფილებით გვამცნეს — უნივერსიტეტს ეკლესია ინახავსო, თუმცა საუბარში ერთი „უმნიშვნელო“ დეტალიც გაირკვა: ყოველი ოცი სტუდენტის მიერ შემოტანილი სასწავლო გადასახადი ერთი პროფესორის წლიურ ხელფასს ანაზღაურებს.

ბოტანიკოსთა კონგრესი ყველაზე დიდი კონგრესი იყო, რომელიც კი ოდესმე კანადაში გამართულა. კონგრესის სექციების მუშაობა მრავალი სხვადასხვა დაწესებულების შენობებშიაც მიმდინარეობდა. საერთო მოხსენებებისა და კოლოკვიუმების გარდა, 14 სექცია ერთდროულად მუშაობდა, მათ შორის: სისტემატიკის, მიკოლოგიის, ფიტოპათოლოგიის, მორფოლოგიისა და ანატომიის, მიკრობიოლოგიის, ტაქსონომიის და გეოგრაფიის, პალეობოტანიკის, ეკოლოგიის, ციტო-

ლოგიის და გენეტიკის, ფიზიოლოგიისა და სხვ. ყველაზე მძლავრად წარმოდგენილი იყო ფიზიოლოგიის სექცია, რომელშიაც ბიოქიმიკოსებიც მონაწილეობდნენ.

საბჭოთა მკვლევარები მეცნიერების მრავალ სხვადასხვა დარგს წარმოადგენდნენ და თითქმის ყველა ძირითად სექციაში მონაწილეობდნენ. კანადელი კოლეგები კონგრესში ჩვენს მონაწილეობას თავიდანვე დიდი ყურადღებით მოეპყრნენ: ყველა სექციაში საბჭოთა მკვლევარების მოხსენებები პირველ რიგში იყო გათვალისწინებული. კონგრესის პროგრამაში მხოლოდ ერთი უხერხულობა ჩანდა: წინააღმდეგ საერთაშორისო ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც სექციების თავმჯდომარეებად ყველა ქვეყნის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, თავმჯდომარის პოსტები, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი ადგილები ძირითადად ამერიკელებს ეკავათ. თუმცა, როგორც კანადელი მკვლევარები ამბობდნენ, ამასაც თავისი გამართლება ჰქონდა: კანადაში კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობა ხომ ამერიკისაა და კაპიტალსაც შესაფერი მასპინძლობა ესაჭიროება!

უფრო თავაზიანად კანადელი ვაჭრები შეგვხვდნენ. მრავალ მაღაზიას ამშვენებდა ფერადი წარწერები, რომ მოუთმენლად ელიან კონგრესის მონაწილეებს და მათთვის ათასგვარი საქონელი აქვთ გამზადებული. ერთ-ერთი საკონდიტრო წარმოების მფლობელმა ახალგაზრდა ქალმა კონგრესის სახელობის ტკბილეულიც კი გამოუშვა მაღაზიებში.

კონგრესზე დაძაბულ მუშაობას საინტერესო ექსკურსიებიც მოსდევდა. ექსკურსიების გრაფიკი მხოლოდ ორ-სამჯერ თუ დაირღვა და ისიც კონგრესის ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

ყველას აინტერესებდა მონრეალის სიმამაცის — ქაღალდის წარმოების დათვალიერება. გავემგზავრეთ კიდეც. მაგრამ ქარხნის დირექციამ ბოდიში მოიხადა და უარით გამოგვისტუმრა: ქარხანაში გაფიცვა იყო, მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. მონრეალი საკონდიტრო წარმოებითაც განთქმულია, მაგრამ ბედმა არც ამ წარმოების ნახვა გვარგუნა. მუშები აქაც გაფიცულიყვნენ და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას მოითხოვდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ მასობრივ გაფიცვებს კანადის პრესა დუმილით შეხვდა. დამახასიათებელია პოზიცია მონრეალის ცნობილი ფრანგული გაზეთისა, რომელიც გაფიცვების დღეებში იმაზე წერდა, რომ კანადაში საქონლის ჭარბი წარმოებაა და მისი გასაყიდი ბაზარი კი არსად ჩანსო. აქ მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული, თუ ვისთვის შეიძლებოდა მიეყიდა კანადას ხორბალი, ხორცი, კვერცხის ფხვნილი, ხოლო მუშათა გაფიცვებზე კრინტიც არ იყო დაძრული. მხოლოდ მონრეალის რადიო დაგვიანებით იუწყებოდა: რამდენიმე დღეა, რაც ქა-

ღალდისა და საკონდიტრო წარმოების მუშები გაიფიცნენ და ხელფასის მომატებას მოითხოვენო.

კონგრესის მონაწილენი ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. კონგრესზე მრავლად იყვნენ საბჭოთა კავშირის მეგობარი უცხოელი მეცნიერები: ფრანგები, გერმანელები, კანადელები, ინგლისელები, ამერიკელები, იაპონელები, ინდოელები, ავსტრიელები და სხვ. ბევრი დელეგატი თუ აქამდე ერთმანეთს მხოლოდ სპეციალური ლიტერატურით იცნობდა, ახლა მათ პირად ნაცნობობასაც ეყრებოდა საფუძველი.

კონგრესის მთავარი შენობის წინ ეზოში დასასვენებლად მოწყობილი იყო პატარა მაგიდები. აქ ერთხელ მომიახლოვდა მაღალი, გამხდარი მოხუცი ქალი და რუსულად მომმართა, შეიძლება დაგელაპარაკოთო. იგი ამერიკის ქვეშევრდომი რუსი ქალი აღმოჩნდა. მან ნაღვლიანად გაიხსენა, რომ ამ ოცდათხუთმეტი წლის წინათ აკადემიკოს სუკაჩოვის ასისტენტი იყო. გაგვეცნო, როგორც ბარატინსკის გვარის შთამომავალი და მოკრძალებით დაუმატა, ასეთი გვარის პოეტიც იყო რუსეთში, თუმცა თქვენი თაობის ხალხმა შეიძლება ეს არც იცოდესო. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემმა მეგობარმა მოსკოველმა პროფესორმა ეაცლავ კრეტოვიჩმა პოეტ ბარატინსკის ერთ-ერთი ლექსი ზეპირად წარმოთქვა. ჩვენს თანამოსაუბრეს სახე საოცრად შეეცვალა, მერე თითქოს ბოდიშს იხდისო, გვითხრა: აქ, ამერიკაში, ორი ვაჟი გავზარდე, ორივენი გასულ წელს იყვნენ საბჭოთა კავშირში და პირველი შესაძლებლობისთანავე კვლავ წაელენ. ჭეშმარიტმა ადამიანმა სამშობლო როგორ უნდა დაივიწყოსო, — ამბობდა იგი.

მართლაც საოცარია, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც მოსკოვში სიცოცხლის წარმოშობაზე მსოფლიო სიმპოზიუმი შედგა, უცხოეთში ემიგრირებულ ერთ რუს პროფესორს მოსკოვის სანახავად... ბრმა დედა ჩაშოჰყვა.

ჩვენ ყველგან „ამერიკენ ექსპრესის“ ორგანიზაცია გვემსახურებოდა: ერთხელ სადილი ქალაქგარეთ, წყლის პირას, საზაფხულო პავილიონში გაგვიმართეს. სუფრაზე ჩემს პირდაპირ სოფიის უნივერსიტეტის რექტორი აღმოჩნდა. იგი თბილისში იყო ნამყოფი და აქაურ ამბებს მეკითხებოდა. ორივენი გავერთეთ და მხოლოდ გვიან შევნიშნეთ, რომ ერთი ფრანგი პროფესორი გვისმენდა. როდესაც ჩვენ საუბარი შევწყვიტეთ, ახლა მან განაგრძო, მეც ვყოფილვარ საქართველოშიო. ახალგაზრდობაში აკადემიკოს ნ. ვავილოვთან ვმუშაობდი ლენინგრადში და მასთან ერთად საქართველოში ვიმოგზაურე. ერთხელ ერთი პატარა

ქალაქის მახლობლად მინდვრებში ხორბლის ჯიშებს ვაგროვებდით, შემოგვიღამდა და რომელიღაც საკვლევ დაწესებულებას მივაშურეთ. იქ, ლაბორატორიაში ხელ-პირი დავიბანეთ, ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და გემრიელად ვივახშმეთ. შემდეგ ისევ ქალაქისაკენ გავემგზავრეთო. დიდი კმაყოფილებით იგონებდა ამ მოგზაურობას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „საფრანგეთივით ლამაზ საქართველოში". სწორედ იშვიათი შეხვედრა იყო! რა იცოდა მან, რომ ხორბლის თავთავებს იგი ალაზნის ველზე აგროვებდა, სტუმრად თელავის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში იყო, ხოლო მისი იმდროინდელი ახალგაზრდა მასპინძელი და ახლანდელი თანამოსაუბრე ამ სტრიქონების ავტორი იყო.

კონგრესის მუშაობა დაძაბულად მიმდინარეობდა. მრავალი სხვადასხვა საინტერესო მოხსენება სხვადასხვა სექციაში ერთდროულად იყო დანიშნული. ამიტომაც ჩვენ ყველანი განაწილებულნი ვიყავით ვის რა უნდა მოგვესმინა და რომელი სექციის მუშობაში მიგვეღო მონაწილეობა. ათი დღის განმავლობაში ათასამდე მოხსენება იქნა წაკითხული. საბჭოთა მკვლევარების მოხსენებებს დიდი ინტერესით ისმენდნენ და აქტიურად ეხმაურებოდნენ. პრესა ჩვენს საქმიანობას კონგრესზე ძირითადად სწორად ასახავდა. მხოლოდ ერთ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი: მონრეალის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ფიზიოლოგიის სექციის მდივნის, პროფესორ კროტკოვის ინტერვიუ, რომ თითქოს საბჭოთა მეცნიერებისაგან მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას ითხოვენ, ამიტომ ისინი კვლევას თავისუფლად ვერ ეწევიან და მათთან თეორია ნაკლებად ვითარდებაო. როდესაც ჩვენი დელეგაციის წევრებმა პროფ. კროტკოვს განმარტება მოსთხოვეს, გამოირკვა, რომ მას არავისთვის ინტერვიუ არ მიუცია და რომ მსგავს „ინტერვიუს" ადგილობრივი პრესა არც თუ ისე იშიათად აქეყნებს.

კონგრესის საერთო შედეგებმა ნათელყო, რომ ამჟამად ბოტანიკურ მეცნიერებათა ყველა დარგში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსპერიმენტს და რომ ყველა ქვეყანაში ფართოდ არის გამოყენებული კვლევის თანამედროვე მეთოდები: ქრომატოგრაფია, იზოტოპები, რადიოავტოგრაფია, იონცვლადი ფისები და სხვ. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა ბიოქიმია მონრეალში უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე იმ ხანებშივე მოწყობილ ბიოქიმიკოსთა კონგრესზე ვენაში. კონგრესის მუშაობაში 700-ზე მეტი მცენარეთა ფიზიოლოგი და ბიოქიმიკოსი მონაწილეობდა.

კონგრესმა თავისი მუშაობის დასასრულს მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ბევრი რამ იყო საგულისხმო. რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ იტალიის საუკეთესო ბოტანიკური ბაღი „ლა

მორტოლა“ დაყოფილია და იყიდება მშენებლობებისათვის. კონგრესი რეკომენდაციას აძლევდა იტალიის მთავრობას, რომ გამოენახა საშუალებანი და შეესყიდა კერძო პირისაგან ბოტანიკური ბაღი, რათა იტალიელი ხალხის ეროვნული სიმდიდრე დაღუპვას გადაერჩინა.

ასევე საკვირველია, რომ კონგრესის რეკომენდაცია გახდა საჭირო, რათა აღწერილ იქნას ახალი სამყაროს ტროპიკული ფლორა და გამოიცეს როგორც „ნეოტროპიკული ფლორა“.

უცხოელ მეგობრებს კი საკვირველებად ის მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირში ისეთმა პატარა ქვეყანამაც კი, როგორიც საქართველოა, რვატომიანი საქართველოს ფლორა უკვე გამოსცა.

რეზოლუციაში მკვეთრად არის გამახვილებული ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქალაქების სწრაფ ზრდასთან, სატრანსპორტო გზების ქსელის გაფართოებასა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით ისპობა ფლორისა და ფაუნის ნაწილი და რომ საჭიროა სპეციალური ზომების მიღება, რათა ფლორა და ფაუნა არ გაჩანაგდეს.

კონგრესის თითოეულ საბჭოთა მონაწილეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან გარკვეული მეცნიერული დავალება ჰქონდა. მე და პროფ. ვ. კრეტოვიჩს მოგვანდეს მონრეალის ბიოქიმიური დაწესებულებების შესწავლა. ჩვენ ყველა დაწესებულებაში კარგად გვიღებდნენ და მიმდინარე კვლევით მუშაობას ხალისით გვაცნობდნენ.

ქ. მონრეალის რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საფუძვლიანმა დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ სხვადასხვა დაწესებულებას მუშაობის განსხვავებული პირობები აქვს. ზოგიერთი მათგანი შესანიშნავად არის მოწყობილი, ზოგი კი მეტად ღარიბად გამოიყურება. ზოგიერთის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს სახელმწიფო უზრუნველყოფს, ზოგში კი ძირითადია სხვადასხვა ფონდებიდან მიღებული შეწირულებანი.

არათანაბარი მდგომარეობაა სამეცნიერო მუშაობის გეგმებისა და ანგარიშგების მიხედვითაც. კანადის თითოეულ პროვინციას ამ საქმეში განსხვავებული წესები აქვს შემოღებული. მაგალითად, თუ ერთი პროვინციის ხელმძღვანელობა ჯერდება იმას, რომ გამოქვეყნებული შრომები წარმოუდგინონ, სხვა პროვინციაში სავალდებულოა წერილობითი ანგარიში.

კვლევითი თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ ძირითადია მაინც ავთვისებიან სიმსივნეთა და დაავადებულ მცენარეთა ბიოქიმია. ყურადღების ცენტრშია, აგრეთვე, ფოტოსინთეზის პრობლემები.

კვლევით მუშაობაში ყველგან ფართოდ არის ჩაბმული სტუდენტობა. ამას უეჭველად ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ უნივერსიტეტში სასწავლო ლაბორატორიები კარგად არის მოწყობილი.

სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ წამყვან მეცნიერთა უმრავლესობა შედარებით ახალგაზრდა თაობისაა. როდესაც მაკდონალდ კოლეჯის ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიას გავეცანით, წამოსვლისას იმ ახალგაზრდას, რომელიც იქ ყველაფერს გვიხსნიდა, ვთხოვეთ, რომ ლაბორატორიის ხელმძღვანელი გაეცნო ჩვენთვის. მან ღიმილით გვიპასუხა: ახალგაზრდობა. მკვლევარს ნაკლად არ უნდა ჩაეთვალოსო... თურმე ჩვენ ლაბორატორიის ხელმძღვანელ ახალგაზრდა პროფესორს ვესაუბრებოდით. ახალგაზრდობა სჭარბობდა მრავალი ქვეყნის დელეგაციათა შემადგენლობაშიც. ჩვენი დელეგაციის ნაკლადაც სწორედ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენს შორის არც ერთი ახალგაზრდა მკვლევარი არ იყო, მაშინ როცა ჩვენს ქვეყანას ახალგაზრდა მკვლევართა შესანიშნავი კადრები ჰყავს.

კანადაში სოფლის მეურნეობას ფართო სამეცნიერო-კვლევითი ქსელი აქვს. ოტავის ცენტრალური საცდელი სადგური აერთიანებს 28 საცდელ სადგურსა და ფერმას, 20 საცდელ მინდორს, 10 ლაბორატორიას და 235 საჩვენებელ სადგურ-ფერმას. ყველა საკვლევი დაწესებულება პროვინციებშია განლაგებული და მათ ემსახურება. ოტავის ცენტრალურ საცდელ სადგურთან არის აგრეთვე რიგი წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებსაც შესაბამისი სადგურები და ლაბორატორიები აქვთ.

კანადაში კარგად არის დაყენებული სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდა. პროვინციებს რეკომენდაციები ეძლევათ დიფერენცირებულად. მაგალითად, ონტარიოს პროვინცია ექვს აგროკლიმატურ რაიონად არის დაყოფილი და ყველა რეკომენდაცია ცალკეული რაიონების მიხედვით არის დამუშავებული. რეკომენდაციებში შედის: მარცვლეულის ჯიშები, სასუქები, საკვები ბალახები, ჰერბიციდები და სხვ. მრავალ აგროტექნიკურ ღონისძიებას ფოთლის დიაგნოსტიკის მიხედვით ახორციელებენ.

არ არის ინტერესს მოკლებული კანადის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ორგანიზაციაც. ჩვენ ვიყავით ნიაგარის მებაღეობის სკოლაში. ამ სკოლას 162 აკრი ბაღი, ბოსტანი და დეკორაციული ნარგავები აქვს. სკოლაში არის სამი მასწავლებელი, სამი შტატის მუშა და ოცდაათი მოსწავლე. სწავლა სამწლიანია. მიიღებიან თორმეტწლიანი სწავლების კურსდამთავრებულნი. ნიაგარის მებაღეობის სკოლაში სწავლობენ მებაღეობას, მებოსტნეობას და დეკორაციულ მებაღეობის.

სკოლა პანსიონატს წარმოადგენს. მეურნეობის მთელი შემოსავალი სკოლისაა. მეურნეობა კარგად არის მოვლილი. სკოლაში კვლევითი მუშაობაც მიმდინარეობს. კურსდამთავრებულები სხვადასხვა რაიონებში მუშაობენ მებაღე-პრაქტიკოსებად.

კონგრესი ათ დღეს გაგრძელდა. ათი დღე ვიყავით ქ. მონრეალისა და მისი მოსახლეობის სტუმრები. ეს ქალაქი მთის კალთებზეა გაშენებული. მას თუ ერთი მხრიდან მრავალფეროვანი მცენარეულობით მდიდარი ტყე ესაზღვრება, მეორე მხრიდან მდინარე ჩაუდის. მთის კალთებზე შეძლებულთა სასახლეებია შეფენილი, მდინარის პირას კი, სტანდარტულ სახლებში, ნავსადგურის მშრომელი მოსახლეობაა შეხიზნული, ხოლო მთავარი საფინანსო და სავაჭრო ცენტრი მათ შუა მდებარეობს. ქალაქის სამივე ეს ნაწილი ერთიმეორისაგან მკვეთრად განირჩევა ხალხით, შენობებით, ბაღებითა და სკვერებით. ქუჩები ხალხმრავალია. ვიტრინებში ცოცხალი და არაცოცხალი მანეკენები ერთმანეთშია არეული. ზოგჯერ მანეკენი ვიტრინიდან ქუჩაში გამოდის და ქვაფენილზე მოსიარულე მოქალაქეებს მრავლისმეტყველი ღიმილით იწვევს მაღაზიაში.

ქალაქში მრავალი ბაღი და პარკია. ხშირად ნახავთ მოლზე მძინარე ან თუ ისე კარგად ჩაცმულ მოქალაქეებს. ბაღისა და პარკის ყოველ სკამს აქვს წარწერა, საიდანაც ირკვევა, თუ ვინ შესწირა იგი ქალაქს. როგორც გადმოგვცეს, ქალაქის მმართველობას პარკების შესანახავად არა აქვს გამოყოფილი ხარჯები. ამ საქმეს თვითონ მოსახლეობა უძღვება საკუთარი მატერიალური საშუალებებით.

მონრეალში ბიძია თომას შთამომავალნი მრავლად არიან. ხშირად გვარწმუნებდნენ, რომ მათ კანადაში მეტი თავისუფლება აქვთ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებშიო, მაგრამ მონრეალშიც ჯერ კიდევ ყოფილა ისეთი უბნები, სადაც ზანგს დასახლების უფლება არა აქვს.

ქუჩაში არცისე იშვიათია მათხოვრები, აგრეთვე ნახევრად მათხოვრები — სხვადასხვა გასართობთა იძულებითი შემსრულებელნი.

ბაღებში, პარკებში, სკვერებში ხშირად ეწყობა მოძრავი მხატვრული ვამოფენები. ერთ-ერთ სკვერში კანადის თანამედროვე მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა გაემართათ. ნამუშევართა დიდი უმრავლესობა აბსტრაქტული ხასიათის იყო.

მონრეალში ჩვენი სტუმრობის დღეები იწურებოდა. 28 აგვისტოს მე და პროფ. ვაცლავ კრეტოვიჩმა წავიკითხეთ მოხსენებები. ჩემი მოხსენება შეეხო თავისუფალი ამინმჟავების ცვალებადობას ვაზში ვეგეტაციის პერიოდთან დაკავშირებით. საღამოს სასტუმროში ვისვენებდით. როდესაც ფრანგული რადიოგადაცემის დიქტორმა სიტყვა მისცა

ჩვენი სახელოვანი ხელოვანის ილიკო სუხიშვილის შვილს თენგიზს. იგი ფრანგულ ენაზე მონრეალის მსმენელებს დინჯად მოუთხრობდა, რომ საქართველო ლამაზი ბუნების, ვაჟკაცური სულის ქვეყანაა და მისი მართალი და ლაღი შვილები დღეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად შესანიშნავ ხალხურ შემოქმედებას უჩვენებენ კანადელებსო.

საღამოს-მონრეალის ერთ-ერთი უდიდესი თეატრი „ფორუმი" ხალხით იყო გაჭედილი. რა ეროვნების ადამიანებს არ ნახავდით აქ! გამოვიდნენ საბჭოთა მოცეკვავენი და მთელი დარბაზი ერთი კაცივით ფეხზე ადგა. ერთი რესპუბლიკის წარმომადგენლებს მეორე რესპუბლიკის წარმომადგენლები ცვლიდნენ. ცეკვას სიმღერა მოსდევდა. ტემპი თანდათან ძლიერდებოდა. დარბაზი თითქოს შეუერთდა კიდეც სცენას და აღფრთოვანებული მაყურებლები ტაშის გრიალითა და შეძახილებით ხვდებოდნენ და აცილებდნენ ყოველ ახალ შემსრულებელს.

გამოჩნდნენ თეთრჩოხიანი ახალგაზრდა ქართველი ვაჟკაცები და ვულკანივით იფეთქა დარბაზმა. ფარდა დაეშვა, მაგრამ დარბაზი დიდხანს არ დამცხრალა. როცა მაყურებლები მიწყნარდნენ და ტაში მხოლოდ აქა-იქ გაისმოდა, ჩვენს წინ შევნიშნეთ ჭაღარა კაცი, რომელსაც ეტყობოდა კარგა ხანია დაეკარგა გარემოსთან კავშირი და თავდავიწყებით გაჰკიოდა „ვაშას" თანაც მთელი ძალ-ღონით სცემდა ტაშს.

მთელმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. საღამოს სამი განყოფილებიდან ორი დაგვირგვინდა ქართველი მოცეკვავეების ბრწყინვალე გამოსვლით — „მხედრულითა" და „შეჯიბრით". დამსწრენი დიდხანს გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას და დარბაზი ზანტად იცლებოდა.

ერთხელ მონრეალის ერთი სკოლის საღამო-კონცერტზე მიგვიწვიეს. მოსწავლეთა ჯგუფი კანადის ეროვნულ მუსიკას გვაცნობდა. ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობდა, მხოლოდ ერთმა ამბავმა მიიპყრო ყველას ყურადღება. ლოტბარი თითოეულ ჰანგს ხშირად ორ ვარიანტად წარმოგვიდგენდა: ერთს ისე, როგორც კანადელები მღერიან, მეორეს კი ამერიკელების მიერ „გადამუშავებული" სახით. არცთუ იშვიათად. მეორე ვარიანტი საერთო სიცილს იწვევდა.

კონგრესის დამთავრების შემდეგ კანადის სხვადასხვა ქალაქში ვიმოგზაურეთ. ვესტუმრეთ ნიაგარასაც — ამ საოცარი სიძლიერისა და აუწერელი სილამაზის ჩანჩქერს. აქ ვარდნის ძლიერებისაგან წყალი ნისლად ქცეულა და უზარმაზარი ჭავლები ქვემოდან ზემოთ მიიწევს. ღამით ნიაგარა კიდევ უფრო ზღაპრულია. თითქოს უთვალავი ცისარტყელა ერთმანეთში გადასარკულა და სივრცეში ერთდროულად ყველა მიმართულებით მოძრაობსო.

ნიაგარის ნაპირზე მრავალი გასართობია, მაგრამ მათ შორის ყველაზე იაფფასიანი და პოპულარულია ჭოგრები. ეს ავტომატები თვალს ჩვეულებრივ მაშინ ახელენ, თუ საზრდოდ ათ ცენტს მიაწოდებთ. ჭოგრებით ყველა ჩვენგანი გულდასმით ათვალიერებდა სასაზღვრო მდინარე ნიაგარის გაღმა, ამერიკის საწაპიროზე მომდგარ ხალხს. ამაში არც მეორე ნაპირი ჩამოგვრჩებოდა. ეტყობა, ტელესკოპში ცქერა გამიგრძელდა, რადგან ჩვენმა კანადელმა გიდმა ჩამჩურჩულა: — თქვენ, ბატონო, ასე დაუინებით რატომ გასცქერით ამერიკის ნაპირებსო? — იქ ერთი ჩემი მეგობარი ირაკლი აბაშიძე მეგულება და მას დავეძებმეთქი, — ვუპასუხე მე. აქედან იქ, იმდენ ხალხში ნაცნობის ნახვა? ეს შეუძლებელიაო! — გაკვირვებული ამბობდა იგი. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვამცნე, რომ ეს ჩემი მეგობარი ისეთი სიმაღლისაა, რომ კანადიდან ამერიკაში თავისუფლად გამოჩნდება და თანაც „არც მიწისაა, არც ცისა“.

ნიაგარადან მონრეალში დავბრუნდით. კიდევ ერთხელ შემოვიარეთ ნაცნობი ადგილები, გამოვეთხოვეთ სტუმართმოყვარე კანადელ მეგობრებს და „საბენას“ თვითმფრინავით ბრიუსელისაკენ გამოვეშურეთ. იქ ჩვენი სახელოვანი საჰაერო ხომალდი „ტუ-104“ გველოდებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ უკვე მოსკოვში ვიყავით.

1960

ფრანგ მევენახეებთან

პარიზში რამდენი რამ არის საინტერესო, კულტურის რამდენი ძველი და ახალი ძეგლია ამ შესანიშნავ ქალაქში! მაგრამ ამჯერად სხვა მიზნით ვართ ჩამოსულნი. საქართველოს მრეწველობის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი, კვების მრეწველობის დარგში მომუშავე არქიტექტორები, ინჟინერ-კონსტრუქტორები, მეღვინეები, მეცნიერ მუშაკები საფრანგეთს ვეწვიეთ, რათა უკეთ დავინახოთ ამ ქვეყნის მევენახეობისა და მეღვინეობის ავკარგი. საქართველო მევენახეებისა და მეღვინეების მსოფლიო კონგრესის მოსაწყობად ემზადებოდა და ჩვენ მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ ბევრი რამ უნდა გვცოდნოდა.

სასტუმროში ქართული და ფრანგული მინერალური წყლების შეჯიბრება მოვაწყვეთ. რომელი გაიმარჯვებს — ჩვენი „ბორჯომი“ თუ მათი „ვიში“? მასპინძლები მრავალმნიშვნელოვნად იღიმებიან და გულდასმით ეცნობიან „ბორჯომის“ შემადგენლობას. უქმად არც ჩვენ ვართ, ვაკვირდებით, თუ რა თავისებურებით ხასიათდება მსოფლიოში სახელგანთქმული მათი მინერალური წყალი.

ერთხმად იქნა აღიარებული, რომ „ბორჯომს“ უფრო სასიამოვნო გემო და არომატი აქვს, ვიდრე „ვიშის“. მაინც შემოგვედავენ: თქვენ ერთი „ბორჯომი“ გქონიათ, ჩვენი „ვიში“ კი რამდენიმე ნომერია და თითოეული სულ სხვადასხვა დაავადებისათვის იხმარებაო. როდესაც ავუხსენით, რომ საქართველოში მრავალი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მინერალური წყალია, გვითხრეს: მდიდარი ბუნება გქონიათ, მაგრამ რატომაა, რომ თქვენი წყლები მსოფლიო ბაზარზე არსად ჩანსო? მინერალური წყალი მართლაც დიდ შემოსავალს აძლევს ფრანგებს. ერთი ლიტრი მაღალი ხარისხის „ვიში“ სამჯერ უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ლიტრი დაბალი ხარისხის ღვინო.

პარიზი დავტოვეთ და სამხრეთ საფრანგეთისაკენ გავემართეთ. წყალი ჩვენი სჯობნებია, ახლა მათი ვაზი და ღვინო ვნახოთ. როგორია.

ჩვენი ავტობუსი შარანტის დეპარტამენტისაკენ მისრიალებდა. მიჰყვებოდა ფიქრები გზებს. საფრანგეთის ულამაზეს ჭალებსა და მინდვრებზე ტკბილი ქართული ღიღინით ეღერდა ვაჟას ქნარი: „ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

საავტომობილო გზა მალე ზვრებში შეიჭრა. ირგვლივ შესანიშნავად მოვლილი ვენახების ზღვა იდგა. შავადხნულ ნიადაგზე ერთგვარი სიძლიერისა და ფორმის, თანაბარი სიმაღლისა და ფერის ვაზები ლამაზად ჩარიგებულიყო. უკეთესად მოვლილ ვაზს კაცი ვერ ინატრებდა.

შარანტის ცენტრში, ქალაქ კონიაკში შევჩერდით. კონიაკის ფირმა „კურვაზიეს“ ვესტუმრეთ. პირველი იმპერიისდროინდელი სტილით მდიდრულად მორთულ დარბაზში მიგვიღეს. ყოველივე ბრწყინავდა, ყველაფერზე ემბლემად ნაპოლეონის სამკუთხა ქუდი იყო გამოსახული. ორმოცწლიანი კონიაკიც, რომლითაც გაგვიმასპინძლდნენ. „ნაპოლეონი“ იყო. ჩვენც ჩამოვდგით სუფრაზე ჩვენი კონიაკები. ნიმუშების ჭიდილიდან ერთი რამ ცხადად ჩანდა: მათი კონიაკი უფრო ტლანქია, ვიდრე ქართული.

დაწვრილებით გავეცანით ქარხნის მუშაობას. „კურვაზიე“ კონიაკის სპირტს კერძო ფერმერებისაგან იძენს, მიკრორაიონების მიხედვით აგროვებს და შემდეგ ამუშავებს.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ თანამედროვე სტილის დარბაზში მიგვიწვიეს: პლასტმასის, მინისა და ალუმინის გარემოცვაში მოვხვდით. აქ დაგვასვენეს, გაგვიმასპინძლდნენ და გზა დაგვილოცეს.

შარანტიდან ჟირონდის დეპარტამენტისაკენ გავეშურეთ. ლანდშაფტი აქაც ჩვენებურს მოგაგონებთ. ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ტყის ხელოვნურმა კორომებმა და საქონლის საკვების მოვლამ მიიქცია. საფრანგეთი ცნობილია თავისი ტყეებითა და გზებით და

შაინც ხშირად გვხვდება ხელოვნური ახალშენი ტყეები. ნამჯა მინდორშივე იწნეხება და იქვე გადახურულ ფარდულებში ინახება.

დაიწყო სამხრეთი და პალმებიც გამოჩნდა. საფრანგეთის მეღვინეობის სატახტო ქალაქს — ბორდოს ვუახლოვდებოდით. გახშირდა პლაკატები ღვინის ავკარგიანობაზე. „გზაში კაცის ყველაზე დიდი მტერი ალკოჰოლია“, „დღეში ერთ ლიტრზე მეტი ღვინო შენს ოჯახს დაღუპავს“, — გვარიგებდა ქალაქის მუნიციპალიტეტი. ამის შემდეგ ოცი კილომეტრის გავლაც ვერ მოვასწარით, რომ ახლა უკვე რომელიღაც კერძო ფირმა მოგვიწოდებდა: „წყალი კუჭში ბაყაყებს აჩენს, სვით ღვინო!“

ბორდოში მისვლამდე ბორდოს მეღვინეთა კავშირის დირექტორი შეგვხვდა, ზრდილობიანად მოგვიკითხა, წიგნებით დაგვასაჩუქრა და კარგა მანძილზე გაგვაცილა.

ბორდოში ჯერ კიდევ ცოცხლობს ძველი ტრადიცია: ქალაქის ერთ-ერთი კოშკიდან ხალხს ზარების რეკვით ატყობინებენ, რომ იწყება საყოველთაო დღესასწაული — რთველი. რთველს მეღვინეობის თვალსაზრისითაც დიდი ყურადღება ექცევა. ყურძნის საკრეფ ყოველ კალათს ორი განყოფილება აქვს: ერთში თუ ჯანსაღ მტევნებს ათავსებენ, მეორეში დაზიანებულს აგროვებენ. ყურძნის გადარჩევა ერთხელ კიდევ მისი გადამუშავების წინ ხდება. ყურძნის გადასამუშავებელი მარნები უშუალოდ ვენახებში აქვთ.

ბორდოს რაიონის მრავალი ღვინოა მსოფლიოში ცნობილი. აქედანაა „შატო ლატური“, „შატო იკემი“, „შატო ლაფიტი“. „შატო“ ფეოდალის ციხე-დარბაზს ნიშნავს. ზოგიერთი თანამედროვე ფერმერი მართლაც ძველი ფეოდალივით ფლობს შესანიშნავ მამულებს, ოღრამ უმრავლესობა წვრილი მესაკუთრეა. საფრანგეთში დაახლოებით მილიონნახევარამდე ჰექტარი ვენახია და ამდენივე ფერმერი-მეევენახე. შედარებით მცირე რაოდენობით მზადდება თეთრი ღვინო. საფრანგეთის მთელი პროდუქციის ოთხი მეხუთედი წითელი და ვარდისფერი ღვინოებია.

ჟირონდში ვაზი უფრო სუსტი ზრდისაა, ვიდრე შარანტის დეპარტამენტში. წარმოების მიმართულებათა მიხედვით, მეღვინეობის ამ ორ რაიონში ვაზის ჯიშებიცა და მისი დატვირთვაც სხვადასხვაგვარია. ზოგიერთ მიკრორაიონში ჰექტარზე ათი ათასამდე ძირი ვაზია.

ბორდოში მეცნიერ-ენოლოგთა ძლიერი ჯგუფი მუშაობს. ენოლოგიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მათ ეკუთვნით. საბჭოთა მეცნიერებს მათთან საქმიანი კავშირი აქვთ, ხოლო ზოგიერთი ჩვენგანი კარგა ხანია ეპაექრება ბორდოს ინსტიტუტების ენოლოგებს.

მოუთმენლად ველოდით სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების გაცნობას, მევენახეობისა და მეღვინეობის გამოჩენილ მკვლევა-

რებთან შეხვედრას, აზრთა ურთიერთგაზიარებას. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაგვიმართლდა.ინსტიტუტები არ გვიჩვენეს, ზოგი კვლევითი დაწესებულება ჩვენს გეგმაში არ ყოფილა თურმე შეტანილი; ზოგიც ბორდოდან პროვინციაში გადააქვთ, რათა წარმოებას უფრო დაუახლოვდეს, და ახლა მათი ნახვა არ ღირსო; მეორედ რომ ჩამობრძანდებით, მაშინ ნახეთ, უფრო სასარგებლო იქნებაო.

რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში ბიოქიმიკოსთა მსოფლიო კონგრესის მონაწილე ფრანგი პროფესორები დიდ სინანულს გამოთქვამდნენ ამ შემთხვევის გამო, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

ჟირონდის დეპარტამენტში, ბორდოს მახლობლად, პირველად ფირმა „კრიუსს" ვესტუმრეთ. გულუხვად და მხიარულად მიგვიღო ფერმერთა ამხანაგობის თავმჯდომარემ მოხუცმა ემანუელ კრაუზემ. მან ჯერ შესანიშნავ ღარბაზებში შეგვიყვანა, სადაც ფერწერისა და ქანდაკების საუკეთესო ნიმუშები გვიჩვენა, და შემდეგ სარდაფში მიგვიპატიჟა. მიუხედავად იმისა, რომ წინ მასპინძელი მიგვიძღოდა, დამხვდურმა მუშამ შესასვლელთან მაინც ყველანი შეგვაჩერა, მუხის ცარიელ კასრს თორმეტჯერ შემოჰკრა ხის ჩაქუჩი და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვრთო ნება ზღურბლზე გადაგვებიჯებინა. ეს ჩვენდა საპატივცემულო ცერემონიალი გვეგონა, მაგრამ მალე შევიტყვეთ, რომ იგი მარტოოდენ მაშინ სრულდება, როდესაც სარდაფში ფირმის რომელიმე წევრი შედის.

ფირმა „კრიუსი" ორმოცდაათ ფერმერს აერთიანებს. სულ 70 ჰექტარი ვენახი აქვთ. მათი ვაზი სუსტი ზრდისაა. ვაზის სიმაღლე 80 სანტიმეტრამდეა და შტამბი ხშირად ძირიდანვე ორადაა გაყოფილი. იგი გაბმულია ორ მავთულზე. მეორე მავთული ორმაგია და ვაზის კენწეროზე დაბლაა. ვენახებში მინერალური სასუქი არ შეაქვთ და ჰექტარზე მოსავალი საშუალოდ 40 ცენტნერია. ყურძნის გადამუშავება პრიმიტიულია, საფუარების წმინდა კულტურებს არ ხმარობენ და ჭაჭას მხოლოდ ტექნიკური სპირტის მისაღებად იყენებენ. ფირმას შტატში ერთი მეღვინე, ერთი მევინახე და ერთიც ბუღალტერი ჰყავს. ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის შეკითხვაზე, რატომ არ იყენებენ ისინი მეცნიერების უახლეს მიღწევებს, ფირმის თავმჯდომარემ ღიმილით გვიპასუხა: ჩვენ, კერძო მესაკუთრენი, სკეპტიკოსები ვართ და მეცნიერულ მიღწევებს იშვიათად მივმართავთო. თვითონვე ალბათ კარგად იცოდა, რომ მათ ამ საქმეში, სკეპტიკოსობის გარდა, ბევრი რამ სხვაც უშლიდა ხელს. სიამოვნებით იგონებდა ძველ დროს: მაშინ ჩვენს კოოპერატივს უკეთესი შემოსავალი ჰქონდა, ამდენი მსხვილი წარმოება არ იყოო; მაშინ ჩვენ ვუგზავნიდითო რუსეთს „შატო იკემსა" და „შატო ლაფიტს". ახლა მისი იმედი საფრანგეთის გამოფენა იყო, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ

მოსკოვში უნდა გახსნილიყო. იქნებ გამოფენის შედეგად საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება დაიდოს და ჩვენც გვეშველოსო. გულწრფელად გვთხოვა—ჩემი შვილი ახლა მოსკოვშია საფრანგეთის გამოფენაზე, დიდი სურვილი აქვს თქვენი სამშობლოს გაცნობისა და აჩვენეთ მიჯაჭვული პრომეთეს ქვეყანაო; ახალგაზრდობაში მე ვერ შევისრულე სურვილი საქართველო მენახა და ჩემმა შვილმა მაინც ნახოსო.

ჟირონდის დეპარტამენტში ჩვენი მეორე მასპინძელი ფირმა „მუტონ როტშილდი“ იყო. პირველად აქაც ფერწერისა და ქანდაკების სხვადასხვა ექსპონატებით სავსე დარბაზები გვიჩვენეს. მართლაც რომ კარგი რამაა: ჯერ ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები და შემდეგ შესანიშნავი ხელოვნებით დამზადებული ღვინოები. როტშილდები საქვეყნოდ აცხადებენ — ჩვენი ღვინო მსოფლიოში საუკეთესოაო. ღვინის ქარხნის ზერელე დათვალიერებამაც ნათლად გვიჩვენა, რომ ეს ფირმა მდიდარია და თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი. როტშილდებს ახალი სარდაფებიც აქვთ და ძველიც. მათს კოლექციაში ასიათასამდე ბოთლი სხვადასხვა ღვინოა. ბევრი მათგანი ასი წლისაა. სარდაფში ძველი ღვინოები მშვიდად აწყვია, მხოლოდ ოცდახუთ წელიწადში ერთხელ „აწუხებენ“, როდესაც საცობებს უცვლიან. საუკუნეს მათზედაც დაუსვამს თავისი დაღი: ბოთლები ორმაგ პერანგში გახვეულა, მათი ზედაპირი გარედან რუხი ფერის ობს დაუფარავს, შიგნით კი ღვინისეული ნივთიერებები გამოყოფილა და ღვინოსვე გარს შემორტყმია.

ტექნოლოგიაში როტშილდებთანაც არაფერი იყო ახალი და მნიშვნელოვანი. ისევ დეგუსტაცია, ისევ კეთილი სურვილები და კვლავ გზა მშვიდობისა.

ბორდოდან ჩვენი ავტობუსი ბურგუნდიისაკენ დაიძრა. ჯგუფის წევრებში გაცხოველებული საუბარი იყო. წინა დღის ნანახსა და გაგონილს ვაფასებდით. უკმაყოფილო ვიყავით, რომ ძველი საკოლექციო ღვინის ნიმუშები ვერ გავსინჯეთ თუ არ გაგვასინჯეს.

სიძველის მოყვარულებს მალე ბედმა გაგვიღიმა. ფირმამ, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა, ქ. პერიგეში სასაუზმოდ ისეთ რესტორანში მიგვიწვია, რომელიც „ხორცისა და ფრინველის შეწვის საზოგადოებას“ ეკუთვნოდა. ეს საზოგადოება კი, როგორც კედლის წარწერა იუწყებოდა, 1248 წელს იყო დაარსებული. გვარიანად ვისაუზმეთ, მაგრამ ხორცი ისეთნაირადვე აღმოჩნდა შემწვარი, როგორც იმ ქვეყნებში, სადაც „ხორცისა და ფრინველის შეწვის საზოგადოება“ სულაც არ დაარსებულა.

გზად ქალაქებს ლიმოჟს, გერეს, მონლიუსონ'ა და მულენს ვესტუმრეთ. ზოგან ვისადილეთ, ზოგან ღამე გავათიეთ, ზოგან ისტორიული ძეგლებიც დავათვალიერეთ.

პროვინციის ქალაქებში ჩვენი ყურადღება უმთავრესად მშენებლობამ მიიპყრო. საცხოვრებელი სახლები ძირითადად მასივებშია აშენებული. როგორც ჩვენმა მშენებლებმა დაასკვნეს, არქიტექტურა მარტივი და ეკონომიური, ე. წ. ფუნქციონალურია. ანაკრები კონსტრუქციები ნაკლებად გამოიყენება, ძირითადია მონოლითური რკინა-ბეტონის ჩარჩოები. შევსება ხდება ბლოკებით ან აგურით. შენობის შიდა გაფორმებაში ფართოდაა გამოყენებული პლასტიკური მასალები. მშენებლობის სიიაფე იმდენად არის თვითმიზნად ქცეული, რომ ხშირად უარყოფითად მოქმედებს მის ხარისხზე.

ჩვენი ავტობუსი ტყის სიღრმეში შევიდა. გამოჩნდნენ ჩვენი ბავშვობის ნაცნობ-მეგობრები: პანტა და მაჟალო, თხილი და ძახველა, ტყემალი და კუნელი. აქაც რამდენი ტყეა და მაინც რა ხშირია ხელოვნური ახალშენები!

გამოჩნდა ე. წ. ოქროს გორაკები. ასე უწოდებენ ფრანგები ბურგუნდიის გორაკებს. ბურგუნდია, როგორც ცნობილია, საფრანგეთის უმდიდრესი პროვინციაა, მისი ოქრო კი ვაზია.

ჩამოცხა. ჰაერივით საჭირო შეიქნა წყალი. უახლოესი მოსახლე ქვისმთლელი აღმოჩნდა. მან დასიცხულები სახლში შეგვიპატიჟა და წყლის ნაცვლად ცივი ლუდი მოგვართვა. ერთმანეთში აირია ფრანგული და ქართული, საქმეში ხელის ენაც ჩაერთო და თითქმის ყველაფერი გაირკვა. ბევრი კეთილი სურვილი გამოითქვა და მოხიბლულმა სტუმრებმა გულღია მასპინძლები საქართველოში მოიპატიჟეს.

ბურგუნდიის მიწაზე პირველად ქალაქ ოტენს ვეწვიეთ, იულიუს კეისრის დროინდელი კოლიზეუმი მოვინახულეთ. თუ პარიზში რომაელების ბატონობის დროინდელ ნანგრევებს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ოტენში ეს უზარმაზარი ნაგებობა ისე კარგადაა შენახული, რომ იქ ზოგიერთი სანახაობის გამართვა ახლაც შეიძლება. მართლაც, ჩვენი სტუმრობის წინა დღეს მადრიდელ მატადორებს კოლიზეუმის ასპარეზზე ხარებთან ბრძოლა გაემართათ და ადგილობრივი მკვიდრნი ახლა მიწას სისხლისაგან წმენდდნენ. ამ ამბის გამო ჩვენი ფრანგი თანამგზავრები აღელდნენ. მაგრამ რას ვიზამთ, კერძო ინიციატივაა, — თავს თვითონვე იმშვიდებდნენ.

საფრანგეთში, როგორც ამბობენ, ცხოველთა დაცვის საზოგადოება საკმაოდ ძლიერია. შინაური ცხოველის, მაგალითად, ძაღლის ან კატის მოკვლისათვის კანონი თურმე რვა დღით პატიმრობას ითვალისწინებს. თუ კი, ამისდა მიუხედავად, ხარებთან ბრძოლის სანახაობა ეს-

პანეთიდან შუა საფრანგეთისაკენ მაინც მოიწევს, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ესპანური პასპორტის მქონე ხარების მიმართ ფრანგული კანონი უძლურია. ამიტომაც საფრანგეთის ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრები ესპანური ხარების სისხლისაგან დაცლას დამშვიდებული შესცქერიანო, — მოგვითხრობდნენ დამსწრენი.

კოლიზეუმის გვერდით სასტუმროს ეზოში შევისვენეთ. ჩრდილში ცოტა გავგრილდით და ის იყო წამოსვლას ვაპირებდით, რომ კერძო „ინიციატივის" კიდევ ერთი ნახელავი შევნიშნეთ: ახლად აგებული პატარა შენობის ოთხ კედელში ოცდათხუთმეტი ბარელიეფი იყო. ქანდაკების ეს ნიმუშები, რომლებიც ოდესღაც ოტენის კოლიზეუმის კედლებს ამშვენებდა, ახლა ვიღაც კერძო პირს თავისი სასტუმროს კედლებში ჩაუტანებია. როდესაც ზოგიერთმა ჩვენგანმა ხელოვნების ამ ნიმუშების ფოტოგრაფირება დაიწყო, ჩვენი მეგზური შეწუხდა, პირობა მოგვცა, რომ ამის შესახებ ქალაქის მმართველობას მისწერდა და რომ კოლიზეუმს თავის კუთვნილებას აუცილებლად დაუბრუნებდნენ. ჩვენც ჭეშმარიტად შევწუხდით, რომ ისეთი დიდი კულტურის ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

ისევ გზაში ვართ. კვლავ ნაცნობი პეიზაჟია: მარცხნივ—გორაკები, მარჯვნივ — დაცემული ჭალები, გზის გასწვრივ — კაკლის ხეები და ქვის ყორეები. გორაკებს თავზე ქოჩორივით ტყე მისდევს, ფერდობებზე კი ვენახებია. გვეუცხოება, რომ თვალუწვდენელი ჭალები, ხორბლისა და სიმინდის ყანების ნაცვლად, ვენახებითაა დაფარული. ჰორიზონტამდე ვენახებია, თითქოს დედამიწა ვაზს დაუპყრიაო.

ყველანი შესანიშნავ გუნებაზე ვართ. რომელიღაც ჩვენგანმა დღევანდელი დღე ქართული ლექსის დღედ გამოაცხადა. ამეტყველდა ავტობუსის რადიოკვანძი. ლექსი ლექსს ცვლიდა და მთქმელი მთქმელს: რომელი ქართველი პოეტის ლექსი არ იქნა წაკითხული! ფრანგულ მიწაზე დიდხანს ისმოდა ნაზი და ალერსიანი, ვაჟკაცური და ომახიანი ტკბილი ქართული.

ბურგუნდიაში ძველი ადათის მიხედვით გაგვიმასპინძლდნენ. ღვინოში შეწვარი მამალი და შესანიშნავი ალიგოტე მოგვართვეს. ფრანგული წესით, თუ ბორდოს ღვინო თბილი უნდა იყოს, ბურგუნდიული ცივი უნდა შეისვას. მასპინძლები გვიხსნიდნენ—ბურგუნდიული ღვინოები თვალდახუჭულებმა უნდა დალიოთ და მაშინ უკეთ გაიგებთ, თუ როგორ მღერიან ისინიო. შესანიშნავი იყო ბურგუნდიული ალიგოტე. თვალხილულებსაც კარგად გვესმოდა მისი ჰანგები.

ვეწვიეთ კორდიელების ყოფილ მონასტერს, რომელიც XIII საუკუნეშია დაარსებული. ახლა ამ შენობაში ღვინის სარდაფია და ძველი კულტურა მოხერხებულად ემსახურება თანამედროვე ვაჭრობას. მოგ-

ზაური ინტერესით ათვალიერებს ძველთაძველი მონასტრის შენობას და, სიამოვნებით ყიდულობს შედარებით ახალგაზრდა ღვინოს. ყველაფერია გამოყენებული ღვინის გასასაღებლად. შენობის კედლებზე ამოკვეთილია ბერძენ ფილოსოფოსთა შეხედულებანი ღვინოზე, მოშველიებულია ძველი და ახალი აღთქმაც. ღვინო ადამიანის უდიდეს სიხარულად არის გამოცხადებული. რა არისო ისეთი, რომ ღვინო არ უხდებოდეს! არც ადამიანის ჯანმრთელობაა დავიწყებული. კაცი, რომელიც ღვინოს ზომიერად სვამს, ვერასოდეს თავის ოჯახში ექიმს ვერ იხილავსო,— მეტყველებს წარწერა სარდაფის პატარა და დაბალთაღებიან შესასვლელთან.

კორდიელების მონასტრის მემკვიდრენი ღვინოს მუხის კასრებში 2—3 წელიწადს ინახავენ, შემდეგ კი ბოთლებში აძველებენ. მათი აზრით, ღვინო საუკეთესო თვისებებისაა ათი წლის ასაკში.

ბურგუნდიაში, სადაც კი ვიყავით, ვენახები ყველგან დაბალია. ვაზის ფორმა უმთავრესად ცალმხრივი შპალერია, შტამბი ერთი მტკავლისოდენაა და სანაყოფე რქის სიგრძე ერთ მეტრამდეა. სიმეჩხრე ვენახებში არც აქ არის. ძირითადი ჯიშებია თეთრი და შავი პინო. ალიგოტე და შარდონე. პირველადი მეღვინეობა უფრო ხშირად წვრილი ფერმერების ხელშია. მსხვილი ფირმები მათგან იძენენ ღვინოს, ამუშავებენ, აკუპაჟებენ და რომელიმე მარკის სახით ჰყიდიან. ზოგიერთი ფერმერი მეღვინე თავის მზა ღვინოს საკუთარი სახელწოდებით თვითვე ჰყიდის.

ქალაქ ნიუ-სენ-ჟორჟში ვეწვიეთ ერთ-ერთ ასეთ ფერმერს — ლუსიენ შიკოტოს. ეზოში ოჯახის ქალები ყაისნალითა და თითზე დახვეული ნართით წინდებს ქსოვდნენ და საუბრობდნენ. შუახნის კაცი სარდაფში ღვინოს უელიდა. მასპინძლები მხიარულად მოგვეგებენ, ქალებმა ცივი წყალი და ტკბილი სიროფი მოგვართვეს, ოჯახის უფროსმა კი ღვინოზე მიგვიპატიჟა. წყალი და სიროფი თუმცა ყველამ თვისებურად შევაზავეთ, მაგრამ ისეთი სიცხე იყო, რომ ცივ სასმელს ყველანი ერთნაირად ხარბად დავეწაფეთ, ღვინო მსუბუქი, ჰარმონიული, სასიამოვნო სასმელი აღმოჩნდა. ჩვენი კეთილი მასპინძლის სარდაფი მეტად პრიმიტიულად მოწყობილი ჩანდა. სამაგიეროდ, მისი ღვინის ბოთლები საკმაოდ ლამაზად და მდიდრულად იყო გაფორმებული. მალე გაიცა საქმიანი საუბარი და ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ფრანგი მეღვინის ხელოვნებაში განსაკუთრებული, ჩვენთვის უცხო და ახალი არაფერია. ჩვენი წამოსვლისას სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი ღვინის ნიმუშები გულუხვად მივართვით.

ბურგუნდიის ქალაქები დიჟონი და ლანგრი დავტოვეთ და ლოტარინგიისაკენ გავწიეთ. ვენახებმა თანდათან იკლო. ამ მხარეში, რო-

გორც ჩანს, ძირითადია მემინდვრეობა და მეცხოველეობა. მივდივართ ჩრდილოეთისაკენ და პატარა ქალაქები და სოფლები ერთმანეთს ცვლის. აქაც ბევრი რამ არის საერთო-ფრანგული, მაგრამ ზოგი რამ თავისებური, ლოტარინგიულიც შემორჩენილა. გზის პირას რამდენიმე სახლის წინ შეშაა დაწყობილი. ადგილობრივი ადათის მიხედვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახში გასათხოვარი ქალიშვილია. რაც უფრო მეტი აქვს საპატარძლოს მზითევი, მით უფრო მეტი შეშა უნდა იყოს გამოფენილი. ზოგან შეშა მეტისმეტად დაძველებულიყო. ეტყობოდა, საპატარძლოების გზას ყოველთვის ვერც ეს წესი წალდავდა.

ქალაქ ნიოშატოში შევისვენეთ და დავნაყრდით. სასაუზმე მეტად თავისებურად გაეფორმებინათ. კედლები ღვინის სარდაფისებურად დაუმუშავებელი ქვით იყო ამოყვანილი. ვაზის პლაფონები, ვაზის ჭაღები, ვაზის ბრები, ელნათურები ბუღურებივით შემოსეოდნენ ვაზის რქებს. შრომისაგან დაქანცულ, უკვე ხანდაზმულ და გამხმარ ვაზს კიდევ როგორი სამსახური შესძლებია! სასიამოვნო იყო ასეთ გარემოში დასვენება.

მალე ჩვენი მთავარი გზა დავტოვეთ და ფრანგი ხალხის საყვარელი შვილის ჟანა დ'არკის სამშობლოში წავედით. სოფელ ჟომრეში ჟანა დ'არკის მშობლიური პატარა ქვის სახლი და მისი სახელობის მუზეუმია. ოთახი, რომელშიაც იგი დაიბადა და გაიზარდა, ნახევრად ბნელ საკანს წარმოადგენს. სოფელი განცალკევებითაა და მის ირგვლივ სახნავ-სათესი, ტყე და საძოვრებია. როგორც ცნობილია, საფრანგეთის მრავალ ქალაქშია ჟანა დ'არკის ხსოვნის უკვდავმყოფელი შესანიშნაი ძეგლები, მაგრამ მისეულ კარ-მიდამოზე არსებული მუზეუმი მეტად უბადრუკად გამოიყურება. როდესაც ამ გარემოების გამო ჩვენი გაკვირვება მორიდებით გამოვთქვით, ერთმა დარბაისელმა ფრანგმა გულდაჯერებით მოგვიგო: არა უშავს რა, თავის დროზე ყველაფერი მოგვარდებაო; ნუ დაივიწყებთ, რომ გლეხის ეს გოგონა ჯერ კოცონზე დაწვეს, შემდეგ საჯაროდ გაამართლეს და ბოლოს წმინდანად აღიარესო.

ჟანა დ'არკის სოფლიდან ვერდენისაკენ გავემგზავრეთ. ჯერ მაჟინოს ხაზი მოვინახულეთ და შემდეგ კი ადამიანთა სისხლით გაჟღენთილ ვერდენის მიწას მივაშურეთ. ვერდენის ბრძოლების ადგილზე, როგორც ცნობილია, გრანდიოზული ძეგლია აგებული. რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძის სარკოფაგისებრი ორი ნაგებობა შეერთებულია ცაში აწვდილ უზარმაზარ სვეტთან, რომლის თაღოვან შესასვლელთან დიდი ასოებით აწერია „მშვიდობა". შუაგულში ეკლესიაა, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ — ვრცელი დარბაზები, რომელთა კედლებზე აღბეჭდილია, თუ რომელი ქვეყნის რომელი სამხედრო ნაწილი დაიღუპა აქ, ან რომელმა ქალაქმა თუ დაწესებულებამ რა შესწირა ვერდენის

ნაგებობას. ირგვლივ საფლავის ჯვრების თვალუწვდენი ტყეა. იქვე ახლოს სანგრებია წარწერით: „იმ ფრანგი ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებსაც იარაღით ხელში ფეხზე მდგომთ სძინავთ“. მოსვენება ზოგს არც სიკვდილის შემდეგ ღირსებია. საღამო ხანი იყო, მაგრამ მნახველნი მაინც მრავლად ჩანდნენ. ვის არ შეხვდებოდით მათ შორის. საშუალო ხნის ბრმა სამხედრო პირი ძაღლის დახმარებით გაუბედავად მიაბიჯებდა საფლავებს შორის, თითქოს ვიღაცას დაეძებდა დაღუპულთა აჩრდილებში.

ღამდებოდა. ქალაქ ვერდენზე გავლით რეიმსისაკენ მივიჩქაროდით. ავტობუსში სამარისებური სიჩუმე იყო. ყველა კვლავ ვერდენის ტრაგედიაზე ფიქრს შეეპყრო. გზებზე ნიშანსვეტებივით ისევ სამხედრო სასაფლაოები გვხვდებოდა. გვიან შევამჩნიეთ, რომ ჩვენი მანქანა ქალაქ ვერდენში შესასვლელ ხიდთან გაჩერებულიყო. ხიდზე ამერიკული სამხედრო ნაწილების გადასვლისას ერთ-ერთ მანქანას რაღაც დაზიანებოდა და ახლა მას აკეთებდნენ. ამ გარემოებას ჩვენ დიდად არ დავუყოვნებივართ. მშვიდობისადმი მიძღვნილი წირვა, რომელიც ვერდენის ციხეზე ჩვენი წამოსვლისას დაიწყო, დამთავრებულიც არ იქნებოდა, ამერიკელების უკანასკნელი სამხედრო მანქანა რომ ხიდზე გადავიდა.

მალე უკვე რეიმსში ვსეირნობდით. ვესტუმრეთ ომის ღმერთის მარსის პროსპექტს და მის მეზობელს — მშვიდობის ბულვარს. ღამის სინათლეზევე მოვინახულეთ ომისაგან ორგზის დაზიანებული რეიმსის ტაძარი და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

ქალაქ რეიმსში ჩვენთვის მთავარი ობიექტი შამპანური ღვინის ქარხანა იყო. უძველეს ქვის სამტეხლოებში საიდანაც ქვა რეიმსის ასაშენებლად მიჰქონდათ, გამოკვეთილია ფირმა „პომერი-გრენოს“ შამპანური ღვინის სარდაფი. მიწისქვეშა გვირაბები კილომეტრებზეა გაჭიმული. ფეხით შეგიძლიათ შემოიაროთ ნიუ-იორკი, ლონდონი, ამსტერდამი, ჟენევა, მადრიდი და მსოფლიოს მრავალი სხვა ქალაქი. ეს სახელწოდებანი აქ გვირაბებს აქვს მიკუთვნებული. თითოეული ქალაქისთვის განკუთვნილი შამპანური მისივე სახელწოდების გვირაბშია შენახული. თანაც ამ უზარმაზარ მიწისქვეშა ქალაქში „უსადგურებოდ“ მუშაობა ხომ წარმოუდგენელია. პლასტიკურ ხელოვნებას ვაზი და ღვინო არც აქ დავიწყნია. მიწისქვეშა გვირაბებში XIV—XVIII საუკუნეებში შესრულებული მრავალი საინტერესო ქანდაკებაა. პირველი მსოფლიო ომის დროს ამ გვირაბებში სკოლა და საავადმყოფო ყოფილა მოთავსებული.

სარდაფის შესასვლელშივე, ვიდრე გვირაბებისაკენ დაეშვებოდეთ, დგას 7500 დეკალიტრიანი ღვინის კასრი, რომლის ბრტყელ ზედაპირზე ბარელიეფია: ინდურ ლომზე განცხრომით ზის ქალი — ამერიკა — და სიამოვნებით შეექცევა ახალგაზრდა გოგონას — საფრანგეთის — მიერ მიწოდებულ შამპანურს.

ჩვენი მოლოდინი არც აქ გამართლდა. ქარხანაში ტექნიკა ნაკლებადაა გამოყენებული. ჯერ კიდევ ისეთი სისტემის ყურძნის წნეხები მუშაობს, რომლებიც ჩვენში გასული საუკუნის ბოლოს იყო შემოტანილი. შამპანურს მხოლოდ ბოთლის წესით ამზადებენ. თბილისის შამპანური ღვინის ქარხანაში კარგა ხანია მოქმედებს ჩამოსხმის, გაფორმებისა და შეხვევის მექანიზებული, ე. წ. შელეს ხაზი, პომერის ქარხანაში კი იგი ჯერაც არ არის, თუმცა ეს ხაზი საფრანგეთშია შემუშავებული. თუ ჩვენთან სამუშაო პროცესების მექანიზაციის შედეგად 8—9 კაცი დღეში 25 ათასი ბოთლის ჩამოსხმას ასწრებს, მათთან დღეში 5 ათასი ბოთლის გამოშვებას 30—40 ქალი სჭირდება.

ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ „პომერის“ სპეციალისტებიც განსაკუთრებულ ყურადღებას რთველს აქცევენ. ყურძენს შერჩევით კრეფენ და ახარისხებენ. მათი გადმოცემით, ყველაზე მნიშვნელოვანი ოპერაცია ყურძნის კრეფა და დახარისხებაა. ყურძენი გადასამუშავებლად შორ მანძილზე არ გადააქვთ, საამისო მარნები იქვე ვენახებშია. ვენახები კარგად აქვთ მოვლილი, მხოლოდ ზოგიერთ ნაკვეთში შეინიშნება ქლოროზი. ქლოროზის საწინააღმდეგოდ, ძირითადად, საძირე მასალას — ბერლანდიერის ჰიბრიდს ხმარობენ. სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ კი უმთავრესად ორგანულ ნაერთებს იყენებენ.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ დეგუსტაციაზე მიგვიწვიეს. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო „პომერის“ მშრალმა შამპანურმა ღვინომ.

ქარხანაში ყოფნა გაგვიგრძელდა. ქარხნის ტექნიკური დირექტორი განათლებული ტექნოლოგია. იგი ადრე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ხელმძღვანელი ყოფილა. მასთან საუბარი საინტერესოდ წარიმართა. როგორც მცოდნე სპეციალისტმა, გულღიად გადმოგვცა ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს მათს წარმოებას, როგორც მხოლოდ მოგებისათვის გამიზნულს.

კვლავ ქალაქ რეიმსისაკენ გავწიეთ. იქ მეგობრები გველოდებოდნენ. სახელდახელოდ შედგა მიტინგი და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებს ჩვენი ჯგუფის სახელით გ. ჯომარჯიძე მიესალმა. სიტყვით მოგვმართა ქალაქ რეიმსის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის მდივანმა რენე ტირსმა. მასთან ერთად მოგვესალმა საფეიქრო მრეწველობის კავშირის მუშა, საფრანგეთ-

საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრი როჟე ლეფევრი. ჩვენი მეგობრები აღნიშნავდნენ, რომ მათ განიცადეს ომის საშინელება, იციან რა მოაქვს ომს ხალხისათვის და რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ყოველთვის ჩვენთან ერთად იქნებიან.

ქალაქ რეიმსში კიდევ ერთი მასპინძელი გაგვიჩნდა — ქალაქის მერის ძმა. იგი უკმაყოფილო იყო, რომ ჩვენ მისი შამპანურის ქარხანა არ მოვინახულეთ და ახლა გვეპატიჟებოდა. გამომშვიდობებისას გვთხოვა, რომ მისი შამპანური საფრანგეთის გამოფენაზე მოსკოვში მაინც გვენახა.

ქალაქიდან გასვლისას კიდევ ერთხელ მოვინახულეთ XIII საუკუნის რეიმსის ცნობილი ტაძარი თავისი მმღიმარი ანგელოზით. კვლავ მოვისმინეთ ფრანგების აღელვებული თხრობა, რომ გერმანელებმა არც ღმერთი დაინდეს და ორივე ომის დროს ტაძარი საშინლად დაარბიეს, რომ ფრანგ პატრიოტებს დიდი დრო და შრომა დასჭირდათ ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლის აღსადგენად.

ეკლესიის მსახური მრავალმნიშვნელოვნად მოგვითხრობდა — აქ მოხდა უკანასკნელი ბურბონის მეფედ კურთხევა და მეფის კურთხევისათვის საჭირო ზეთი ახლა მხოლოდ აქ ინახებაო.

პარიზისაკენ რომ მივდიოდით, გზად ქალაქ სუასონში შევიარეთ. კვლავ სამხედრო სასაფლაოები, ისევ ფაშიზმის მხეცობის მსხვერპლნი და ძეგლები „ნაციზმისაგან წამებულთ“.

ორი ათასი კილომეტრი გავიარეთ საფრანგეთში, ყველგან გვხიბლავდა მისი წარმტაცი ბუნება, გულგაშლილი ფრანგი ხალხი, მისი დიდი კულტურა, ამასთან, ყველგან აჩრდილივით თან გვდევდა მსოფლიო ომების ძველი და ახალი საშინელებანი.

პარიზში გვიან ღამით ჩავედით. ჩავუარეთ ფირმას, რომელიც კარგა ხანია საბჭოთა კავშირის ტრაქტორებით ვაჭრობს საფრანგეთში, და სასტუმრო „ექსცელსიორ ოპერაში“ დავბინავდით.

მეორე დღეს პარიზში ერთ-ერთ იმ ღვინის ქარხანას გავეცანით, რომელთანაც საბჭოთა კავშირს სავაჭრო ხელშეკრულება აქვს. ფირმას ღვინო ძირითადად ალჟირიდან შემოაქვს, ეწევა მის გადამუშავებას, კუპაჟსა და ჩამოსხმას. ქარხანაში მუშაობს ღვინის ჩამოსხმის მექანიზებული ხაზი. მუშაობის ტემპი მეტად სწრაფია. ფირმის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა თვითონვე აღიარა, რომ მუშაობის პირობები მათთან საკმაოდ მძიმეა.

ქარხანაში შემოღებულია სპეციალური კარტოთეკული სისტემა, რომლის საშუალებითაც ფირმა ზუსტად ადგენს, თუ რომელ ქალაქში, დეპარტამენტში, ქვეყანაში რა დროს როგორი მოთხოვნილებაა მათ ღვინოზე, რათა ზუსტად დააკმაყოფილოს მყიდველი. ფირმას იმდე-

ნად დიდი ვაჭრობა აქვს, რომ გამოთვლითი მანქანებით სარგებლობაც დასჭირვებია.

დადგა სამშობლოში დაბრუნების ჟამი. ერთხელ კიდევ შემოვიარეთ პარიზი — მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, დიდი ფრანგი ხალხის სული და გული, დავემშვიდობეთ ფრანგ მეგობრებს და ჩვენი საჰაერო ხომალდით სამშობლოსაკენ გამოვეშურეთ.

1000

ადამიანმა რომ დიდხანს იცოცხლოს

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი მეცნიერების სწრაფი განვითარებით აღინიშნა. განსაკუთრებით უკანასკნელ ათ წელიწადში მეცნიერებამ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ. კაცობრიობის წინაშე გადაიშალა ბუნების საიდუმლოებათა შეცნობის ახალი უდიდესი შესაძლებლობანი. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო მიღწევებმა სამყაროს დაუფლების საქმეში ახალი უბრწყინვალესი ფურცლები ჩაწერა ცივილიზაციის ისტორიაში.

თანამედროვე ბუნებისმეტყველების კარდინალური პრობლემების გადასაწყვეტად მეცნიერების წინა ხაზზე გამოიკვეთა ძლევამოსილი სამეული: ბიოლოგია-ქიმია-ფიზიკა.

ფიზიკისა და ქიმიის უახლესმა კოლოსალურმა მიღწევებმა დიდად შეუწყო ხელი ბიოქიმიის მძლავრ განვითარებას, ვინაიდან ბიოქიმია, რომელიც ბიოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, ამასთანავე იმყოფება ფიზიკისა და ქიმიის მიჯნაზე და ფართოდ სარგებლობს მათი მონაპოვრებით.

მოსკოვში შედგა ბიოქიმიკოსთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესი. ეს ბიოქიმიკოსთა ყველაზე ფართო მასშტაბის შეკრება იყო. მასში მონაწილეობა მიიღო 58 ქვეყნის ექვსი ათასზე მეტმა მეცნიერმა. კონგრესმა მრისმინა ბევრი მოხსენება, რომელთა წინასწარი მასალები 350 ნაბეჭდ თაბახს აღემატებოდა.

კონგრესი გამოირჩეოდა აგრეთვე თავისი წარმომადგენლობითი მაჩვენებლებითაც. სიმპოზიუმზე ძირითად მომხსენებლებად შერჩეული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერული სკოლების მეთაურები. მეცნიერების კორიფეებთან ერთად კონგრესზე წარმოდგენილი იყო უკვე სახელმოხვეჭილი ახალგაზრდა თაობა. საერთაშორისო შეკრების სამუშაო პროგრამაში პირველად იყო შეტანილი თანამედროვე ბიოქიმიის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის ევოლუციური ბიოქიმია, სამრეწველო ბიოქიმია, კოსმოსური ბიოლოგიისა და მედიცინის საკითხები და სხვ.

კონგრესის პრეზიდენტად არჩეული იყო აკადემიკოსი ა. ოპარინი, ხოლო გენერალურ მდივნად — აკადემიკოსი ნ. სისაკიანი. ყოველ სიმპოზიუმსა და სექციას ორ-ორი ხელმძღვანელი ჰყავდა — უცხოელი და საბჭოთა მეცნიერი.

ბიოქიმია სწავლობს ნივთიერებათა ბიოლოგიურ ცვლას, რომელიც სიცოცხლეს უდევს საფუძვლად. კაცობრიობა დიდი ხანია ისწრაფვის გაარკვიოს სიცოცხლის რაობა, შეიცნოს მისი არსი, დაეუფლოს სასიცოცხლო პროცესთა საიდუმლოებას და ნებისმიერად წარმართოს ისინი. ბიოქიმიკოსთა ფორუმის ძირითად მიზანს შეადგენდა განეხილა მსოფლიო მეცნიერების მონაპოვარი ამ მიმართულებათა მიხედვით და დაესახა შემდგომი კვლევა-ძიების კონკრეტული გზები. კონგრესზე სიმპოზიუმებისა და სექციების მუშაობაში მთავარი ადგილი ეკავა, სახელდობრ, ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც არის ცილისა და ნუკლეინის მჟავების სტრუქტურა, ბიოსინთეზი და ფუნქცია, ფერმენტები, მათი შენება და მოქმედების მექანიზმი, უჯრედთა სტრუქტურული სისტემები და მათი ფუნქციონალური ბიოქიმია, უჯრედშიგა სუნთქვა, ნივთიერებათა ცვლის ევოლუცია და ევოლუციის გენეტიკური საფუძვლები, ფოტოსინთეზის მექანიზმი, კვების მრეწველობის ბიოქიმიური საფუძვლები და სხვ.

სექციებში წარმოდგენილი იყო ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ნაერთთა ქიმია და ბიოქიმია, ენზიმოლოგია, ვირუსების ბიოქიმია, ვიტამინები და კვება, ანტიბიოტიკების, ჰორმონების, ავთვისებიან სიმსივნეთა და მიკროორგანიზმების ბიოქიმია, ბიოქიმიური გენეტიკა, სამედიცინო ბიოქიმია, რადიაციის მოქმედება ბიოქიმიურ პროცესებზე, მცენარეთა ბიოქიმია და ა. შ.

სიმპოზიუმებისა და სექციების მუშაობა მეტად აქტიურად მიმდინარეობდა და მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩეოდა. დისკუსიებში 2000-ზე მეტმა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. კონგრესის ყველა მონაწილე ერთხმად აღიარებდა, რომ სხვადასხვა მეცნიერული იდეებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება შეადგენდა სიმპოზიუმებისა და სექციების მუშაობის ერთ-ერთ მთავარ და მნიშვნელოვან მომენტს.

საბჭოთა ბიოქიმია კონგრესზე წარსდგა როგორც ერთ-ერთი სწრაფმზარდი და ნაყოფიერი, ორიგინალური და წამყვანი დარგი მეცნიერებისა მსოფლიოში. არ დარჩენილა არც ერთი სიმპოზიუმი თუ სექცია, სადაც საბჭოთა ბიოქიმია სათანადოდ არ ეოფილიყო წარმოდგენილი. მრავალი პრობლემის შესწავლაში საბჭოთა მეცნიერების მონაპოვართ განმსაზღვრელი ადგილი ეკავა. საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ საბჭოთა კავშირში ბიოქიმიური კვლევა მაღალ თეო-

რიულ დოხეზეა დაყენებული და რომ საბჭოთა სწავლულებს მეცნიერული მუშაობის შესანიშნავი პირობები აქვთ. კონგრესზე განსაკუთრებით ისახელა თავი საბჭოთა ახალგაზრდობამ საუკეთესო მეცნიერული მომზადებითა და შესანიშნავი შემოქმედებითი ენთუზიაზმით.

საბჭოთა ბიოქიმიის წარმატებებში ღირსეული წვლილი აქვთ შეტანილი ქართველ ბიოქიმიკოსებს. კონგრესის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 64 დელეგატმა, რომელთაგან 14 გამოვიდა მოხსენებით. ამ მოხსენებებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს აკად. პ. ქომეთიანის მოხსენება „ლიპიდების ბიოსინთეზი". საქართველოს დელეგატთა ყველა მოხსენება მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა და დამსწრეთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს დელეგაციის მეთაურის აკად. ვ. ასათიანის მეტად აქტიური და ნაყოფიერი მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში.

კონგრესის მუშობის პერიოდს დაემთხვა გერმან ტიტოვის კოსმოსში გაფრენა, რაც საბჭოთა მეცნიერების შეუდარებელი ტრიუმფი იყო. ადამიანის გონების ამ უდიდესმა გამარჯვებამ ერთხელ კიდევ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ჩვენში, სხვა მეცნიერებებთან ერთად, ბიოლოგიური მეცნიერებანიც განვითარების ახალ საფეხურზეა ასული.

კონგრესის მსვლელობაშივე გამოვლინდა, რომ სამი წლის განმავლობაში მეოთხე კონგრესიდან მეხუთემდე, ბიოქიმიის ყველა დარგში გაწეულია მეტად დიდი მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ ბიოქიმია იზრდება საათობით და არა წლობით, რომ იგი ახლა სიცოცხლის შესწავლის მოწინავე პოზიციებზე დგას და თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

კონგრესზე გამოტანილი იყო ბიოქიმიური მეცნიერების მრავალი ბრწყინვალე მიღწევა. მათი გარჩევა ასეთ მცირე წერილში, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ ამჯერად შემოვიფარგლები ზოგიერთი მათგანის დასახელებით.

სინთეზირებულია მთელი რიგი ბიოლოგიურად აქტიური ცილისმაგვარი ნივთიერებანი — ჰორმონები. დადგენილია რამდენიმე ფერმენტის ქიმიური შენება და ფერმენტის მოლეკულაში ამინმჟავათა განლაგების თანმიმდევრობა. ბიოქიმია დგას ცილის ხელოვნური სინთეზის საიმედო გზაზე. სწრაფად ვითარდება და ღრმავდება ჩვენი ცოდნა უმნიშვნელოვანეს ბიოლოგიურ პოლიმერებზე — ცილებსა და ნუკლეინის მჟავებზე. ირკვევა სიცოცხლისა და მემკვიდრეობითობის ინტიმური პროცესები. მეცნიერებამ შეაღწია უჯრედის მიკროსამყაროში, კერძოდ, შესწავლილია უჯრედის სტრუქტურული ელემენტები და მათი ფუნქციონალური ბიოქიმია. კონგრესზე საყოველთაო ყურად-

ღება მიიკყრო გ. ნირენბერგის მოხსენებამ გენეტიკური კოდის შესახებ.

შემუშავებულია ბიოქიმიური საფუძვლები ისეთი მოვლენების ბუნების გამოსაცნობად, როგორიც არის ვირუსული ინფექცია, ავთვისებიანი ზრდა, სხივური დაავადება. სამედიცინო ბიოქიმიაში ახლა წამყვან მიმართულებას წარმოადგენს კლინიკური ფერმენტოლოგია.

დამუშავებულია სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და მიკროორგანიზმების სელექციის პრინციპები. შექმნილია წინაპირობები, რომ ყოველი ჰექტარიდან მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ცილა, შაქარი, ცხიმი და სხვა ძვირფასი პროდუქტები. შესწავლილია კვების მრეწველობის ბიოქიმიური საფუძვლები, რაც საშუალებას იძლევა უკეთ გადავამუშაოთ ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ნედლეული და უცვლელად შევინახოთ კვების სხვადასხვა პროდუქტი.

ბიოქიმიურ გამოკვლევათა საფუძველზე ისახება სრულიად ახალი ტიპის წარმოებათა პერსპექტივა, როგორიც არის ფერმენტთა ფუნქციების მქონე ნივთიერებათა წარმოება, ორგანულ ნივთიერებათა ხელოვნური დამზადება მზის ენერგიის მეშვეობით, სხვადასხვა ნივთიერებათა მიღება ფერმენტების ტექნიკური გამოყენებით და ა. შ.

კონგრესის მუშაობამ ნათელყო, რომ ბიოქიმია წარმატებით სწავლობს ცოცხალ მატერიას, ნივთიერებათა ცვლის წარმოშობასა და განვითარებას, როგორც სიცოცხლის საფუძველს, და რომ თანდათანობით იქმნება წინაპირობები იმ პროცესების ნებისმიერი მართვისათვის, რომლებიც მიმდინარეობს მიკრობთა სამყაროში, მცენარეებში, ცხოველებში, ადამიანში. კიდევ უფრო რელიეფურად გამოჩნდა, რომ ბიოქიმიის თანამედროვე მიღწევები მედიცინის, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის წინსვლის მტკიცე საფუძველს შეადგენს.

კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და მეგობრული თანამშრომლობის ატმოსფეროში. მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რარიგ ნაყოფიერად, მშვიდად, საქმიანად მუშაობდნენ სხვადასხვა იდეოლოგიის სწავლულები სხვადასხვა მეცნიერული პრობლემის ერთობლივი განხილვისას. მრავალმა გამოჩენილმა მკვლევარმა აღნიშნა ასეთი საერთაშორისო შეკრებების დიდი მეცნიერული და საერთო-საკაცობრიო მნიშვნელობა. ერთხმად იქნა აღიარებული, რომ ბიოქიმიის უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა მიხედვით მეცნიერული მუშაობა კოორდინირებული უნდა იყოს მსოფლიო მასშტაბით, რათა მეცნიერების ეს დარგი უფრო მიზანდასახულად და სრულყოფილად ემსახურებოდეს ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებასა და ცხოვრების უკეთ მოწყობას.

კონგრესის მონაწილეთათვის მოწყობილი იყო ვრცელი გამოფენა. დიდი ინტერესი გამოიწვია ახალი და უახლესი ბიოქიმიური აპარატურის, ხელსაწყოებისა და რეაქტივების ექსპონატებმა, რომლებიც ეკუთვნოდა 14 ქვეყნის 21 ფირმას. გამოფენის სტენდებს ამშვენებდა 19 ქვეყნის 2000-მდე სახელწოდების ბიოქიმიური სამეცნიერო ნაშრომი, ცალკე წიგნად გამოცემული უკანასკნელი წლების მანძილზე.

კონგრესი დაიხურა საზეიმო ვითარებაში. მის მონაწილეებს სიტყვებით მიმართეს ჩინეთის, ინდოეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, იტალიის, აფრიკის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციების მეთაურებმა. ორატორები აღნიშნავდნენ კონგრესის დიდ მეცნიერულ მიღწევებს და ერთხმად აღიარებდნენ, რომ მეცნიერებას თავისი საკაცობრიო დანიშნულების შესრულება მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეუძლია.

ბიოქიმიკოსთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესმა, რომელმაც გვიჩვენა ბიოქიმიის მიღწევები და ზღაპრული შესაძლებლობანი, ნათელყო, რომ ბიოქიმია დგას დიდი მეცნიერული აღმოჩენების წინაშე და შორს არ არის ის დრო, როდესაც ადამიანი გაარკვევს სიცოცხლის არსს, დაეუფლება მას და მიზნობრივად წარმართავს სასიცოცხლო მოვლენებს.

1961

შენ სარ ვენახი

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სახელოვანმა ტრადიციებმა, მათი განვითარების თანამედროვე მაღალმა დონემ მსოფლიო ფორუმის ადგილად ჩვენი რესპუბლიკის არჩევა განაპირობა და მევენახეობისა და მეღვინეობის მე-10 საერთაშორისო კონგრესი თბილისში შედგა. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა უცხოელმა და 250-მდე საბჭოთა სპეციალისტმა.

1962 წლის 12 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს 42-ე სესიის პლენარული სხდომა. მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს კომიტეტის დირექტორმა პროტენმა გააკეთა მოხსენება „მევენახეობის მდგომარეობა მსოფლიოში". მოხსენებაში წარმოდგენილი მასალების მიხედვით მსოფლიოში ვენახებს უკავია 9,8 მილიონი ჰექტარი, ყოველწლიური მოსავალი აღწევს 44 მილიონ ტონა ყურძენს და მზადდება დაახლოებით 242 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინო. განხილულ იქნა აგრეთვე მევენახეობა-მეღვინეობის მდგომარეობა ცალკეულ სახელმწიფოებში.

საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის 1961 წლის პრემიები მიენიჭათ საფრანგეთის, იტალიისა და ყაზაღეთის წარმომადგენლებს.

მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს პიერ ლე რუა. ვიცე-პრეზიდენტის ორი პოსტი დაუტოვეს ესპანეთს და იზრაელს. ვიცე-პრეზიდენტის ორი ახალი ადგილი გამოეყო სსრ კავშირს და საბერძნეთს. მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს წევრად მიღებულ იქნა ბელგია.

13 სექტემბერს გაიხსნა მევენახეობისა და მეღვინეობის მე-10 საერთაშორისო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, არგენტინის, ბულგარეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, იზრაელის, იტალიის, კვიპროსის, მაროკოს, პოლონეთის, აშშ-ს, ტუნისის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ჩილის,. იუგოსლავიის, იაპონიის დელეგაციებმა.

კონგრესის თავმჯდომარედ საერთაშორისო ბიუროს წინადადებით პიერ ლე რუა აირჩიეს. ვიცე-თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ სსრ კავშირის, პორტუგალიის, ბულგარეთისა და გერმანიის წარმომადგენლები. ამავე სხდომაზე დამტკიცდა სექციების თავმჯდომარეები.

კონგრესზე მოქმედებდა სამი სექცია: „მევენახეობა და ეკონომიკა", „ყურძნის პათოლოგია" და „მეღვინეობა". თითოეულ სექციაში წარმოდგენილი იყო როგორც გენერალური, ისე ნაციონალური მოხსენებები. კონგრესის მასალები წინასწარ იქნა დაბეჭდილი 3 წიგნად რუსულ და ფრანგულ ენებზე.

მეღვინეობის სექციის სხდომები იმართებოდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დიდ დარბაზში. სექციის სხდომებს თავმჯდომარეობდა მ. გერასიმოვი (სსრკ). მისი მოადგილეები იყვნენ ე. ზეზენშტეინი (იზრაელი) და ფ. მიალუზი (უნგრეთი), სექციის მდივანი იყო პოლ ჟოლმი (საფრანგეთი). პირველ სხდომაზე მოისმინეს ცნობილი ფრანგი მეცნიერის ჟან რიბერო-გაიონის გენერალური მოხსენება: „ჟანგვაღდგენითი პროცესები ღვინის დამწიფებისა და დაძველების დროს და მათი რეგულაციის მეთოდები". მოხსენების ავტორი ვერ ჩამოვიდა და მისი დავალებით მოხსენება სექციის მდივანმა წაიკითხა. ჟანგბადისა და ღვინის ურთიერთობა ღვინის ტექნოლოგიის უძველესი პრობლემაა. მას განსაკუთრებული ყურადღება პასტერის შრომების შემდეგ მიექცა. მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზეც იგი მეტად აქტუალურია. ჟან რიბერო-გაიონს ღვინის ჩამოყალიბების სხვადასხვა სტადიაზე ჟანგბადის როლის შესწავლაში დიდი დამსახურება აქვს და ბუნებრივია, რომ მის მიერ წარმოდგენილმა მასალამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჟანგბადი

ღვინის ფორმირების გარკვეულ სტადიაზე აუცილებელია, მისი „სიცოცხლის“ წყაროა, მაგრამ ხანდაზმული ასაკის ღვინისათვის „სიკვდილის“ მაუწყებელია.

კონგრესზე რამდენიმე ათეული ნაციონალური მოხსენება იყო წარმოდგენილი. განსაკუთრებული ყურადღება საფრანგეთის ნაციონალურმა მოხსენებამ მიიპყრო. მისი ავტორი დეიბნერი, როგორც ჩანს, დიდი ხანია თვალყურს ადევნებდა საბჭოთა ბიოქიმიკოსებისა და ტექნოლოგების გამოკვლევებს და კარგად იცნობდა მათ შრომებს. მაგალითისათვის მოხსენებიდან ერთ ადგილს მოვიტან: „ჟან რიბერო-გაიონმა გვიჩვენა, რომ საღებავი ნივთიერებები ძველ ღვინოებში განიცდიან ცვლილებებს და წამოაყენა ჰიპოთეზა მათი დემეტოქსილირების შესახებ. მაგრამ ს. დურმიშიძის გამოკვლევების წყალობით, რომელთა შედეგები მოყვანილია ჩვენს 1952 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში, ეს ჰიპოთეზა უარყოფილ იქნა“.

ამავე სექციაში მეორე გენერალური მოხსენება მიეძღვნა მეღვინეობაში ანტისეპტიკური საშუალებების გამოყენებას. მოხსენება წარმოადგინა ე. ფედიუშამ (ესპანეთი). ყურადღების ცენტრში იყო გოგირდოვანი ანჰიდრიდის ზემოქმედება ღვინის სტაბილურობასა და ხარისხზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ა. ოპარინის მიერ ღვინის ბიოქიმიის პრობლემათა ვრცელმა მიმოხილვამ, ჩემმა მოხსენებამ მეორადი პროდუქტების წარმოქმნისა და გარდაქმნის შესახებ. ცქრიალა ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის მეცნიერულ საფუძვლებზე ინფორმაციით გამოვიდა გ. აგაბალიანცი, ხოლო უწყვეტი დუღილის მეღვინეობაში გამოყენების თაობაზე — ტ. დეროზა (იტალია). მეღვინეობის სექციის სხდომებზე მოსმენილმა მოხსენებებმა გაცხოველებული აზრთა გაზიარება გამოიწვია.

„მევენახეობისა და ეკონომიკის“ და „ყურძნის პათოლოგიის“ სექციების სხდომები მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. მევენახეობისა და ეკონომიკის დარგის მოხსენებები შეეხებოდა სუფრის ყურძენს (ჯიშების შერჩევა, კულტურის მოვლის მეთოდები, შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტი) და მევენახეობის მექანიზაციას (თანამედროვე მანქანათა კონსტრუქცია, მომავლის პრობლემა). პირველ პრობლემაზე მოხსენებით წარსდგა ცნობილი ბულგარელი მეცნიერი კ. სტოევი, ხოლო მეორეზე — ფრანგი სპეციალისტი პ. დელანბახი. ყურძნის პათოლოგიაში გენერალური მოხსენების თემას წარმოადგენდა ჭრაქთან საბრძოლველად გამოყენებული ახალი პრეპარატები (მომხსენებელი ჩ. სიბილა — იტალია). სექციებზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მრავალი ნაციონალური მოხსენება, რომელთა განხილვაც ასეთი ხასიათის წერილში შეუძლებელია.

18 სექტემბერს მოეწყო სექციების მუშაობის ანგარიშების განხილვა. მოვიყვანთ პროფ. პოლ ჟოლმმის სიტყვას უცვლელად: „უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებების მაღალი მეცნიერული დონე. სექციის სხდომაზეც განსაკუთრებით აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების ა. ოპარინის და ს. დურმიშიძის მოხსენებების მეცნიერული მნიშვნელობა. აკადემიკოსმა ა. ოპარინმა დაგვიხატა ღვინის ბიოქიმიის ნათელი სურათი. მის მოხსენებაში შეკრებილია დიდძალი ექსპერიმენტული მასალა.

ფრიად აქტუალური და შინაარსიანი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ს. დურმიშიძის მოხსენება. ამ მოხსენებაში გაშუქებულია სპირტის დუღილის მეორეული პროდუქტების წარმოქმნისა და გარდაქმნის საკითხები, ნაჩვენები და დასაბუთებულია მათი წარმოქმნის მექანიზმი, გრაფიკი. ქართველმა მეცნიერმა დაასაბუთა, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორეული პროდუქტების ნაწილი. მისი მოხსენება ბევრ ახალ ცნობას გვაძლევს აღნიშნულ საკითხზე და უეჭველად საინტერესოა ყველა ქვეყნისათვის“ („კომუნისტი“, 1962 წ. 18 სექტემბერი).

ჩვენს მიერ პირველად იქნა ნაჩვენები, რომ საფუვრების ერთი გენერაციის მიერ წარმოქმნილი დუღილის ძირითად, მეორეულ და გარეშე პროდუქტებს საფუვრების მომდევნო გენერაციები შეითვისებენ და გარდაქმნიან. დუღილის ისეთ მუდმივ და მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა ძმარმჟავა, გლიცერინი, ქარვამჟავა საფუვრის უჯრედები მადუღარი არედან უკანვე ითვისებენ და სხვადასხვა მიმართულებით გარდაქმნიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ძირითადი კომპონენტები, ნახშირორჟანგი და ეთილის სპირტიც კი, დაგროვდება თუ არა მადუღარ არეში, ნაწილობრივ თვით საფუვრების მიერვე მეტაბოლიზირდება. როგორც ჩანს, ბუნებრივ პირობებში მიმდინარე დუღილის უჯრედშიგა ბიოქიმიური პროცესები გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს აქამდე ეგონათ. ჩვეულებრივი ნივთიერებების იზოტოპური ნაერთების მოშველიების გარეშე, რა თქმა უნდა, ამ კანონზომიერების გავლენა შეუძლებელი იყო.

ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც რეკომენდაციას იძლევა გაგრძელდეს გამოკვლევები სპირტის დუღილის საკითხების შესასწავლად.

თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში გაიმართა ღვინოების დეგუსტაცია. საბჭოთა ღვინოებს საუკეთესო სახელი აქვს მთელ მსოფლიოში. უკანასკნელ 7 წელიწადში საერთაშორისო კონგრესებსა და გამოფენებზე მათ 155 ოქროს, 156 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედალი მიეკუთვნა. ჩვენს რესპუბლიკაში კონგრესის პერიოდისათვის მზადდე-

ბოდა 61 მარკის ყურძნის ღვინო და კონიაკი. დიდ შეფასებას იმსახურებს ქართული შამპანური. მისი ხვედრითი წონა სსრ კავშირში ამ დროისათვის საერთო წარმოების 15—20 პროცენტს შეადგენდა. სადეგუსტაციოდ წარმოდგენილი იყო მოლდავეთის, კრასნოდარის მხარის, საქართველოს, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის 26 დასახელების ღვინო.

სტუმრებმა სხვადასხვა დროს დაათვალიერეს საქართველოს სსრ მევენახეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა, კონიაკის ქარხანა, მცხეთა, საქართველოს ხელოვნების მუზეუმი და სხვ.

15 სექტემბერს კონგრესის მონაწილენი კახეთს გაემგზავრნენ. იქ დაათვალიერეს გურჯაანის ღვინის ქარხანა, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობა, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ (აქ მათი მისვლა რთველს დაემთხვა), ყვარლის მოტკბო ღვინის „ქინძმარაულის“ ქარხანა. სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მიწისქვეშა ფუნდამენტურმა ნაგებობამ — სუფრის ღვინოების გვირაბის ტიპის საცავმა, რომელშიაც 15 გვირაბია. მათი საერთო სიგრძე 8 კილომეტრია. ყოველი სარდაფი 2 მილიონ დეკალიტრს იტევს. საღამოს კონგრესის მონაწილენი წინანდალში ჩავიდნენ. უდიდესი ინტერესი გამოიწვია წინანდლის ქარხნის ღვინოების უნიკალურმა კოლექციამ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ყურადღებით მოეკცნენ სტუმრთა კულტურულ მომსახურებას. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა სპეციალური პავილიონი — „მევენახეობა და მეღვინეობა“. დამზადდა დიდძალი სუვენირი და სამახსოვრო ნიშანი, ბუკლეტები — მხატვრულად დასურათებული ბროშურები ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. საქართველოს კულტურის სამინისტრომ კონგრესის მონაწილეთათვის დაბეჭდა სხვადასხვა სახის ლიტერატურა ჩვენს ისტორიულ და ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე.

12 სექტემბერს სტუმრებს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში უჩვენეს ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, 14 სექტემბერს მათთვის საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი, ხოლო 16 სექტემბერს ისინი ბალეტ „ოტელოს“ წარმოდგენას დაესწრნენ.

კონგრესის მუშაობას ყოველდღიურად ფართოდ აშუქებდა რესპუბლიკური პრესა. რესპუბლიკურმა პრესამ კონგრესის დღიურებიდან ბევრი რამ მნიშვნელოვანი შემოგვინახა.

17 სექტემბერს კონგრესის მონაწილენი შეიკრიბნენ საბოლოო პლენარულ სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა-

თა დარბაზში. მოისმინეს სექციების მუშაობის ანგარიშები. მიიღეს შესაბამისი რეზოლუციები.

საღამოს მთაწმინდაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გამართა დარბაზობა კონგრესის მონაწილეთა პატივსაცემად.

იმ დღეებში გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ხუთ დღეს გრძელდებოდა მევენახეობისა და მეღვინეობის მე-10 საერთაშორისო კონგრესის მუშაობა. ეს იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ნაყოფიერი და სასარგებლო შეხვედრები, მათ შორის გამოცდილების გაზიარების, კონტაქტების დამყარების დღეები“.

ეს იყო ვაზისა და ღვინის საერთაშორისო დღესასწაულიც.

კონგრესის მონაწილეთა სახელით ბოლო პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნა სპეციალური რეზოლუცია, რომელშიც მადლობას უხდიდნენ ფორუმის მასპინძლებს.

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება მორიგი მე-11 კონგრესი გაიმართოს პორტუგალიაში და მე-12 — რუმინეთში.

1962

მანკეტენის კუნძულზე

ბიოქიმიკოსთა მე-6 საერთაშორისო კონგრესი ნიუ-იორკში შედგა. მონაწილეთა საერთო რაოდენობა 6 ათასს აღემატებოდა. კონგრესის მასალებში 1800-მდე მოხსენების თეზისი იყო გამოქვეყნებული. მოხსენებით 600-მდე მონაწილე გამოვიდა. პლენარული სხდომა პარალელურად ორ დარბაზში მიმდინარეობდა. პირველში — კონგრესის პრეზიდენტის ჯ. ედსოლის მოკლე მისალმების შემდეგ, წაკითხულ იქნა ორი ლექცია: „პოლისაქარიდების ბიოსინთეზი“ (ლ. ლელუარა, არგენტინა) და „ოქსიგენაზები“ (ო. ჰაიაში, იაპონია). მეორეში — მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტმა ს. ოჩოამ. ლექციები წაიკითხეს ს. სევერინმა (სსრკ) თემაზე: „ბუნებრივი იმიდაზოლური ნაერთების ბიოლოგიური აქტივობის პრობლემები“ და ე. ლედერერმა (საფრანგეთი) — „ექსკურსია მიკობაქტერიების სასწაულებრივ სამყაროში“. კონგრესის დახურვის დღეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ს. მურის სიტყვის შემდეგ ლექციებით გამოვიდნენ ე. კაჩალსკი (იზრაელი) თემაზე: „პოლიამინები როგორც ცილების მოდელები“ და ფ. კრიკი (ინგლისი) — „გენეტიკის ბიოქიმია“.

კონგრესი მუშაობდა 10 სექციად: ნუკლეინის მჟავები; ცილები, პეპტიდები და ამინმჟავები; ბიოქიმიური გენეტიკა; ენზიმთა მოქმედების მექანიზმი; ბიოქიმიის სპეციალური თემები; ნახშირწყლები; ლი-

პიდები და სტეროიდები; უჯრედის ორგანიზაცია; მეტაბოლიზმი და მისი რეგულაცია; ბიოენერგეტიკა.

მთელი კონგრესი მიმდინარეობდა ნუკლეინის მჟავების „მესვეურობით“, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ. ასეც ელოდნენ კონგრესის ორგანიზატორები; ყრილობის ემბლემას ხომ დედამიწის ფონზე გამოსახული დნმ-ის ორმაგი სპირალი წარმოადგენდა!

საბჭოთა დელეგაციაში 43 კაცი შედიოდა. დელეგაციის ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ს. მარდაშოვს; მისი მოადგილეები იყვნენ აკად. წევრ-კორ. ს. სევერინი და პროფ. ბ. სტეპანენკო. ჩვენი დელეგაცია აქტიურად მონაწილეობდა ყრილობის მუშაობაში. სიმპოზიალურ და სექციურ სხდომებს თავმჯდომარეობდნენ აკად. ვ. ენგელგარტი, მ. ლიუბიმოვა, ს. მარდაშოვი, ვ. არეხოვიჩი, ნ. ბუნატიანი. საბჭოთა მეცნიერებმა წაიკითხეს 13 მოხსენება. მომხსენებლები იყვნენ: ა. სპირინი და ნ. კისელევი, გ. გაუზედა და ა. ლაიკო, ლ. კისელევი, ვ. არეხოვიჩი, რ. ხამუტოვი, მ. კარპეისკი და ე. სევერინა, ვ. გორკინი, ვ. სკულაჩევი, პ. ქომეთიანი, ს. დურმიშიძე და სხვ. ამ მოხსენებათა თემატიკასა და მეცნიერულ ღირებულებაზე საუბარი ასეთ წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

კონგრესის მსვლელობის დროს შედგა საერთაშორისო ბიოქიმიური კავშირის გენერალური ასამბლეისა და საბჭოს სხდომა. ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ა. ოპარინი, წევრად კი ახლად იქნა არჩეული ს. მარდაშევი. არჩევნების ასეთი შედეგი ჩვენთვის მოულოდნელი იყო; საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა დელეგაციის სახელით წინადადება შეიტანა რომ ა. ოპარინის ნაცვლად საერთაშორისო ბიოქიმიური კავშირის ვიცე-პრეზიდენტად, ვადის გასვლასთან დაკავშირებით, აერჩიათ ს. მარდაშევი; აქამდე საერთაშორისო ბიოქიმიკოსთა კავშირის ხელმძღვანელობაში საბჭოთა კავშირიდან ორი წევრი არც ერთხელ არ ყოფილა არჩეული. გენერალურ ასამბლეას და საბჭოს სხდომას ს. ოჩოა თავმჯდომარეობდა. მან მოისმინა ს. მარდაშევის წინადადება, მაგრამ სხდომის მონაწილეებს სხვა აზრი შესთავაზა: — საბჭოთა კავშირის ბიოქიმიკოსთა საზოგადოება იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ შეგვიძლია რუსეთიდან საერთაშორისო საბჭოში შევიყვანოთ არა ერთი, არამედ ორი წარმომადგენელი; ჩვენ ყველას გვიჭირს დავთმოთ ისეთი შესანიშნავი ადამიანი და უბრწყინვალესი მეცნიერი, როგორიცაა ალექსანდრე ოპარინი. სხდომის მონაწილენი ტაშის ცემით შეხვდნენ ა. ოპარინის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ახალი ვადით არჩევას. ალექსანდრე ოპარინმა სხდომის მსვლელობისას ვერ გაიგო, რა ხდებოდა. მას ამ დროს სმენა

თითქმის სრულიად დაკარგული ჰქონდა. როდესაც ყველანი ტაშისცემით მისკენ მიტრიალდნენ, მას ეგონა, რომ წარსული მუშაობისათვის უხდიდნენ მადლობას. მხოლოდ სხდომის დამთავრების შემდეგ უთხრეს, რაც მოხდა და აღტაცებული დარჩა თავისი უცხოელი მეგობრების ასეთი დამოკიდებულებით. საღამოს სასტუმროში საბჭოთა დელეგაციის წევრები შეიკრიბნენ და ა. ოპარინს ახალი ვადით არჩევა მიულოცეს, თუმცა ზოგიერთი ჩვენგანი მაინც შიშობდა: ა. ოპარინის მეორედ არჩევა მოსკოვთან უნდა შეგვეთანხმებინაო.

საბჭოთა დელეგაციის წევრებმა მრავალი ინსტიტუტი და ლაბორატორია დაათვალიერეს. კონგრესის გახსნამდე ვიყავით ვაშინგტონთან ახლოს ჯანმრთელობის ნაციონალურ ცენტრში (ბეტესდა). აქ მოგვხიბლა ავადმყოფების კვლევის კომპლექსურმა პროგრამებმა და მაღალმა ტექნიკურმა აღჭურვილობამ; მედიცინის მუშაკებთან ერთად გამოკვლევაში მონაწილეობდნენ ბიოქიმიკოსები, ფიზიოლოგები, მიკრობიოლოგები, ბიოფიზიკოსები. ჯანმრთელობის ნაციონალურ ცენტრში მოვისმინეთ ცნობილი მეცნიერების ანფინსენის, ნირენბერგის, სობერის და სხვათა ლექციები. ბოსტონში დავათვალიერეთ გაფტის უნივერსიტეტი. ვესტუმრეთ ა. მაისტერს. მისი ლაბორატორია კერძო უნივერსიტეტშია და ნახევრად საწარმოო მასშტაბით ამზადებს რამდენიმე ფერმენტულ პრეპარატს; ლაბორატორია საკუთარი შემოსავლით არსებობს; პრაქტიკული მიმართულება სრულიად არ უშლის ხელს თეორიული კვლევების განვითარებას.

ა. მაისტერი ამინმჟავების მეტაბოლიზმის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარია მსოფლიოში. მასპინძელმა ლაბორატორიის დათვალიერების შემდეგ იქვე შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია. ჩვენ ყველგან ვგრძნობდით ამერიკელ მეცნიერთა კეთილმეგობრულ დამოკიდებულებას. მოეწყო ჯგუფური ექსკურსიებიც. გ. გაუზე, პ. ქომეთიანი და მე წავედით როკფელერის ინსტიტუტში (ნიუ-იორკი). მიგვიღო ინსტიტუტის დირექტორმა მურმა. ყველა ლაბორატორიაში თვითონ გვახლდა და ყველაფერს თვითვე გვიხსნიდა. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბიოქიმიის განვითარებისადმი ისტორიულმა მიდგომამ. გვიჩვენა დანადგარი, რომლითაც ის ახალგაზრდობაში ერთი ამინმჟავის განსაზღვრას ექვსი თვე უნდებოდა, ე. ი. ცილაში შემავალი ყველა ამინმჟავა რომ ერთ კაცს განესაზღვრა, 10 წელიწადი დასჭირდებოდა! გვაჩვენა ახალი დანადგარი და თან დაამატა: ახლა ოცივე ამინმჟავის განსაზღვრაზე 6 საათს ვხარჯავთ, მაგრამ არ გვაკმაყოფილებს, ალბათ მალე გვექნება ავტომატ-ანალიზატორი, რომელიც ცილის ყველა ამინმჟავის ცალ-ცალკე რაოდენობას ორ საათში დაადგენსო.

ჩვენი ჯგუფიდან რატომღაც მე განსაკუთრებული ყურადღება მომაქცია და გამომკითხა საიდან ვიყავი. როდესაც გაიგო, რომ ქართველი ვარ, ღიმილით მომმართა: სამწუხაროდ, მე საქართველოზე მხოლოდ სამი რამ ვიცი: ქართველი ქალები ულამაზესნი არიან, არსად ისეთი ატამი არ ხარობს, როგორც საქართველოში, და რომ ყველა ქართველი მღერის. მე თქვენს ნათესავს ბასკს სევერო ოჩოას გაგაცნობთ, ის თქვენს ქვეყანას ჩემზე უკეთ იცნობს; ერთხელ შემთხვევით მოვუსმინე, თუ როგორ ეკითხებოდა ა. ოპარინის მეუღლეს საქართველოზე, ქართველ ხალხზეო.

მე მადლობა გადავუხადე ჩვენზე ასეთი კარგი აზრისათვის და ვთხოვე ზოგი რამ სხვაც მიეღო მხედველობაში — ბატონო დოქტორო მური, თქვენი დღევანდელი ორი ქართველი სტუმრიდან არც ერთმა სიმღერა არ იცის-მეთქი. გაიცინა და აღმითქვა, რომ თავის წარმოდგენას საქართველოზე დააზუსტებდა. მურისადმი დაქვემდებარებულ ინსტიტუტში შევხვდით ბიოფიზიკოს ე. კაჩალსკის, რამდენიმე თვით იყო მივლინებული როკფელერის ინსტიტუტში. მას საშუალო განათლება ოდესაში ჰქონდა მიღებული და რუსულ ენას ბრწყინვალედ ფლობდა. მე მას მოკრძალებით მივმართე — პატივცემულო კაჩალსკი, აქ, კონგრესზე გავრცელებულია აზრი, რომ თქვენ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უკეთ აღჭურვილი ინსტიტუტი გაქვთ იზრაელში. აქ რატომ ჩამოსულხართ, რა სამუშაო გაქვთ ამ ინსტიტუტში?— არ დაგიფარავთ, თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად მოგეხსენებათ, თუ რა დიდი სისწრაფით ვითარდება ახლა ბიოქიმია. ბიოფიზიკა. მე ვიყავი სამი წლის წინათ თქვენთან მოსკოვში და შემიძლია შევადარო მეხუთე და მეექვსე კონგრესების შედეგები. მეცნიერება მალე ალბათ სინათლის სხივის სისწრაფით წავა წინ. იქ იზრაელში რომ დავუცადო ახალ აზრებს, მხოლოდ ლიტერატურით რომ ვიკვებო, უკვე ჩამოვრჩები. იქნებ აქ ყოფნის დროს რაიმე ახალს მოვკრა ყური.

ცოტა ხნის შემდეგ მკითხა: — რუსულად რომ მომმართეთ, საიდან იცოდით, რომ მე ამ ენასაც ვფლობ. საიდუმლო გავუმხილე: — თქვენ კონგრესზე შესანიშნავი მოხსენება გააკეთეთ. მე ისე მომეწონა თქვენი გამოსვლა, რომ გადავწყვიტე ინგლისურად წერილობით მოგელოცა თქვენთვის. ტექსტი ჩემს მეგობარს ვაცლავ კრეტოვიჩს მივეცი გასასწორებლად, ის ჩვენში ცნობილი პოლიგლოტია. მან დახედა ჩემს „თხზულებას“ და გაიცინა, რას წვალობ, რუსულად კაჩალსკი შენზე უკეთ ლაპარაკობს, მიდი და მიულოცეო. ამ „მარცხის“ შემდეგ თქვენთან მოსვლა ვეღარ გავბედე და ჩემი ბედია, რომ აქ მაინც შეგხვდით. კაჩალსკის ესიამოვნა ჩემი განმარტება და თავის მხრივ დაამატა — რა არის ისეთი, რომ კრეტოვიჩმა არ იცოდესო.

იმავე დღეს ფ. ლიპმანს ვესტუმრეთ. ბიოქიმიის ეს ცოცხალი კლასიკოსი ლაბორატორიაში მხიარულად ძოგვეგება, შილიფად ეცვა, შორტებსა და სანდლებში ცოტა უცნაურადაც კი გამოიყურებოდა. აქ ჩვენი ყურადღება თანამშრომელთა მუშაობის თავისებურმა სტილმა მიიქცია. მთელი ლაბორატორია ორ „ბანაკად“ იყო გაყოფილი, ორივე ბანაკის თანამშრომლები ყოველკვირეულად აწყობდნენ ერთმანეთის კარიკატურების გამოფენას. ყველა წამყვან მუშაკს ჰქონდა „ოთახი ფიქრისათვის“. ამ ოთახთა უმრავლესობა მდინარეს გადაჰყურებდა, არც ერთ მათგანში არავითარი საექსპერიმენტო დანადგარი არ იყო. ჩანდა, რომ ლიპმანს ფიქრი მეცნიერული მუშაობის აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნდა.

თითოეულ პრობლემაზე მომუშავეთა მაქსიმალური რაოდენობა 17 კაცი იყო. ლიპმანის აზრით, ამაზე მეტი რაოდენობის თანამშრომლები ერთმანეთს ხელს უშლიან და მათი კვლევის შედეგი ნაკლებად ეფექტურია. უპირველესად არც აქედან გამოგვიშვეს. ლიპმანმა გაიგო თუ არა, რომ მე ოპარინის მოწაფე ვარ, ზომაზე მეტად დაინტერესდა ჩემი მეცნიერული ვინაობით და ჩემი სამშობლოს ისტორიით.

ამერიკის ბიოქიმიკოსთა საზოგადოება საბჭოთა მეცნიერებს დიდი ყურადღებითა და პატივისცემით გვექცეოდა. ყველა ჩვენთაგანს, ვინც კი მოხსენებით გამოვედით, ჯილდოდ ორას-ორასი დოლარი გადმოგვცეს. ჩვენ ეს თანხა მთლიანად მოსკოვში ჩამოვიტანეთ, აკადემიაში საერთაშორისო განყოფილებას ჩავაბარეთ და სანაცვლოდ საბჭოთა ფული მივიღეთ.

კონგრესის მუშაობის პერიოდში მოწყობილი იყო ხელსაწყოების, რეაქტივებისა და ბიოქიმიური ლიტერატურის გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობდა 90 ფირმა და 16 გამომცემლობა. უპირველეს ყოვლისა, თვალში მოგხვდებოდათ ლაბორატორიული აღჭურვილობის მზარდი ავტომატიზირება და რაოდენობრივი განსაზღვრების სიზუსტეთა გაუწყვეტელი ზრდა. რეაქტივებში უკვე თავისი მყარი ადგილსამყოფელი ჰქონდა მოპოვებული კრისტალური და მაღალი სიწმინდის ფერმენტულ პრეპარატებს, ცილებს, ნუკლეოტიდებს და სხვა ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ნივთიერებებს.

თუ მე-5 საერთაშორისო ბიოქიმიური კონგრესი, რომელიც 1961 წელს მოსკოვში გაიმართა, მოლეკულური ბიოლოგიის განვითარების მაღალი ტემპის დასაწყისად ითვლება და ბიოქიმიური აღმოჩენის სიმრავლით გამოირჩევა, ნიუ-იორკის მე-6 საერთაშორისო ბიოქიმიურმა კონგრესმა 1964 წელს გვიჩვენა, რა გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ ბიოქიმიური მეცნიერება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში. ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებმა კარგად დავინახეთ ჩვენი მიღწევებიც და ნაკ-

ლოვანი მხარეებიც; ყველა ჩვენთაგანი ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რას, როგორ და რა ტემპით გააკეთებდა თავის მეცნიერულ კოლექტივში.

1964

პასტერის ნაკვალევზე

1967 წელს ენოლოგთა მეორე მსოფლიო სიმპოზიუმზე ფრანგმა მეცნიერებმა მიმიწვიეს. ორი პლენარული მოხსენებიდან ერთი მე შემომთავაზეს; მთხოვდნენ წამეკითხა მოხსენება ყურძნის გადამუშავების დროს მიმდინარე ბიოქიმიური პროცესების შესახებ. სიმპოზიუმის ხელმძღვანელობა თავის თავზე იღებდა ჩემს გამგზავრებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მოხსენების ტექსტის გაგზავნის შემდეგ, ივნისის დასაწყისში, მივიღე თვითმფრინავის ბილეთი: თბილისი-მოსკოვი-პარიზი-ბორდო.

ფრანგმა მასპინძლებმა შესანიშნავად მიმიღეს. საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ მე ვიყავი სიმპოზიუმზე მიწვეული და თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოვხვდი. განსაკუთრებით თბილად შემხვდა სიმპოზიუმის პრეზიდენტი, ცნობილი მეცნიერი პროფესორი ჟან რიბერო-გაიონი. მანამდე ჩვენ ერთმანეთთან მხოლოდ მეცნიერული პაექრობა გვაკავშირებდა. ორმოცდაათიან წლებში ჟან რიბერო-გაიონმა საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა იმის ასახსნელად, თუ რატომ კარგავს ფერს წითელი ღვინოები. მისი თვალსაზრისით, ღვინის დაძველების პროცესში წითელი საღებავის (ანთოციანის) მოლეკულას სწყდება მეთოქსილის ჯგუფი და ამის გამო წითელი პიგმენტი უფერულდება. ამ ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ საკავშირო პრესაში რამდენიმე შრომა გამოვაქვეყნე. იმ დროს ყურძენსა და ღვინოში ანთოციანების განსაზღვრის მეთოდი არ არსებობდა და ამის გაკეთება პირველად მე მერგო წილად. მეთოდი ეყრდნობოდა ანთოციანიდინებში მეთოქსილის ჯგუფის განსაზღვრას. ასეთმა ხერხმა საშუალება მოგვცა გვეჩვენებინა, რომ წითელი საღებავის გაუფერულებისას არ ხდება მოლეკულიდან მეთოქსილის ჯგუფის მოწყვეტა, ე. ი. დემეთოქსილირება. საღებავის გაუფერულება დაკავშირებულია შიგამოლეკულურ ცვლილებებთან. როგორც აკადემიკოსმა ა. კურსანოვმა შემდეგ გამოაქვეყნა, ჩემი და ფრანგი მეცნიერის დავის გადასაწყვეტად ჰიპოთეზის ავტორმა ჩემი შრომები შესამოწმებლად ცნობილ შვეიცარიელ ორგანიკოსს კარერს გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა დავა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა.

გავიდა დრო და ჟან რიბერო-გაიონის შვილთან პასკალთან მომიხდა მეცნიერული კამათი. მან გამოაქვეყნა შრომების მთელი სერია,

რომლებშიც აჩვენა, რომ თუ ყურძენში ანთოციანიდინების დიგლუკოზიდები აღმოჩნდებოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ყურძნის წარმოშობაში უეჭველად მონაწილეობდა ამერიკული ვაზის „სისხლი“ — ამერიკული ვაზი. ამ დებულებას სწრაფად მოჰყვა პრაქტიკული შედეგი: როდესაც ღვინოში ანთოციანდიგლუკოზიდს ნახავდნენ, მის ღირებულებას 25—30%-ით ამცირებდნენ. გენეტიკური და კომერციული მიდგომები ერთმანეთს გადაეხლართა.

საქართველო მდიდარია ვაზის კოლექციებით და მე და ჩემმა თანამშრომლებმა (ნ. ნუცუბიძე, რ. სოფრომაძე) პასკალ რიბერო-გაიონის მოსაზრება შევამოწმეთ დიდძალ მასალაზე. აღმოჩნდა, რომ დიგლუკოზიდი შეიძლება იყოს წმინდა ევროპული ვაზის ყურძენში და, პირიქით, ევროპულ-ამერიკული ჰიბრიდის ყურძენი მას არ შეიცავდეს. ჩვენი ეს შრომები უცხოეთშიაც გახდა ცნობილი და მრავალი მიმდევარი გაგვიჩნდა. პაექრობა საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ფარგლებს გასცილდა. საჭირო იყო გადამწყვეტი გამოკვლევების შესრულება და მამა-შვილი რიბერო-გაიონები და მე ერთმანეთს შევხვდით მოსკოვში ბიოქიმიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე. მოვილაპარაკეთ, რომ ნიმუშებს გავცვლიდით და ერთმანეთს შევამოწმებდით; ჩვენ, ქართველი მკვლევარები, ფრანგი მეცნიერების გამოგზავნილ საღებავებს შევისწავლიდით, ფრანგები კი ჩვენს ნიმუშებს გააანალიზებდნენ. ეს პირობა შევასრულეთ, მაგრამ შეთანხმებას მაინც ვერ მივაღწიეთ: პასკალ რიბერო-გაიონმა ჩვენს მიერ გაგზავნილ ევროპული ჯიშის კანიდან გამოყოფილ ანთოციანებში დიგლუკოზიდი ვერ აღმოაჩინა, ჩვენ კი მის მიერ მოწოდებულ ასეთივე ნიმუშში დიგლუკოზიდი მოვნახეთ. შედეგთა სხვაობა მეთოდიკას მიეწერა და პაექრობა გაგრძელდა. საბჭოთა მეცნიერებიდან ჩვენი მოსაზრება პირველმა პროფესორმა ა. ნეგრულმა გაიზიარა, ფრანგებიდან კი პირველი პროფ. დეიბნერი მოგვემხრო. გავიდა ხანი და მსოფლიოს მრავალი მეცნიერის კვლევის წყალობით სასწორი ჩვენი შეხედულებისაკენ გადმოიხარა; კომერციული კანონიც შეირყა.

ჩვენს გართულებულ ურთიერთდამოკიდებულებაში ერთი უპირატესობა მაინც მქონდა: პასკალმა გვთხოვა, რომ მისი ერთი სტატია ყურძნისა და ღვინის მთრიმლავ ნივთიერებებზე ფრანგულიდან გვეთარგმნა და გამოყენებითი ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის საკავშირო ჟურნალში გამოგვექვეყნებინა. თხოვნა შევუსრულეთ. მიუხედავად ამისა, გულახდილად ვიტყვი, რომ მაინცდამაინც კარგ გუნებაგანწყობილებაზე არ ვიყავი, როდესაც ბორდოში მივემგზავრებოდი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ფრანგი მასპინძლები შესანიშნავად შემხვდნენ, როგორც ამბობენ ხოლმე, თან გადამყვნენ... პირველხარისხო-

ვან სასტუმროში მომათავსეს. ჩემს საპატივცემულოდ შესანიშნავ რესტორანში სადილი გამართეს, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მოიწვიეს. სადილს რიბერო-გაიონების მთელი ოჯახი ესწრებოდა: მამა, დედა, ორი ვაჟი, რძლები. წამოსვლის დროს ასეთივე შემადგენლობით გამომაცილეს. მათმა თბილმა ადამიანურმა დამოკიდებულებამ ისე დამატყვევა, რომ უხერხულობასაც კი ვგრძნობდი ჩვენი ძველი პაექრობების გამო.

ამ მცირეოდენი წიაღსვლის შემდეგ დავუბრუნდეთ ენოლოგთა მსოფლიო სიმპოზიუმს.

პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ენოლოგიაში 1963 წელს შედგა ქ. ბორდოში და მიეძღვნა პასტერის გამოკვლევების მეასე წლისთავს. სიმპოზიუმის ძირითადი საკითხი იყო ღვინის შენახვის ახალი ხერხები.

მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი პრობლემისადმი „დუღილი და მეღვინეობა", მოეწყო ქალაქებში ბორდოსა და კონიაკში 1967 წლის 13 ივნისიდან 17 ივნისამდე. სიმპოზიუმი ორგანიზებული იყო აგრონომიული და ენოლოგიური სადგურის (ბორდო) და ენოლოგიის ინსტიტუტის (ბორდო) მიერ, აგრონომიული კვლევის საფრანგეთის სახელმწიფო ინსტიტუტსა და ღვინის ტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად.

ჩვეულებრივი კონგრესებისა და კოლოკვიუმებისაგან განსხვავებით, ქ. ბორდოს ენოლოგიურმა ინსტიტუტმა თვითონ აირჩია მომხსენებლები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მოწვეული იყვნენ როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის სფეროში მომუშავე სპეციალისტები. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბიოქიმიკოსებმა, მიკრობიოლოგებმა, ქიმიკოსებმა და ტექნოლოგებმა.

სიმპოზიუმის პროგრამა შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: 1. ყურძნის გადამუშავების და სპირტული და რძემჟავა დუღილის ბიოქიმიისა და ტექნოლოგიის საკითხები და 2. განსხვავებული ტიპებისა და კატეგორიების ღვინოებისა და კონიაკების ტექნოლოგია.

13-დან 15 ივნისამდე სიმპოზიუმის სხდომები მოეწყო ქ. ბორდოში, ხოლო 16-დან 17 ივნისამდე ქალაქ კონიაკში.

სიმპოზიუმის გახსნისას საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ჟან რიბერო-გაიონმა შესავალ სიტყვაში ჩამოაყალიბა მეორე საერთაშორისო ენოლოგიური ფორუმის ძირითადი ამოცანები, მიზნები და სამუშაო პროგრამა.

პირველი ორი მოხსენება მიეძღვნა ნაერთებში მიმდინარე ფერმენტულ გარდაქმნებს, რომლებიც წინ უსწრებს სპირტულ დუღილს.

გ. მარტოს (საფრანგეთი) მოხსენებაში განხილულ იქნა ოქსიდაზებისა და პექტოლიზური ფერმენტების როლი ყურძნის გადამუშავების პროცესში. მომხსენებელმა აჩვენა რამდენიმე ტიპური სქემა, რომლებიც შედარებით უზრუნველყოფდნენ ტკბილის ექსტრაქციას და ყურძნის მაცერაციის განსხვავებულ ხარისხს. რეკომენდებულ იქნა ტექნოლოგიურ სქემებში არსებული ზოგიერთი ნაკლოვანების აცილების გზები.

ჩემი მოხსენება შეეხებოდა ყურძნის გადამუშავების დროს მიმდინარე ფენოლური ნაერთების, ორგანული მჟავებისა და ამინმჟავების ჟანგვით გარდაქმნებს. ნაჩვენები იქნა ჭაჭაში მიმდინარე ფერმენტული პროცესების როლი ყურძნის ტკბილის შემადგენელი ნივთიერებების გარდაქმნაში. გამოკვლევები განხორციელებული იყო ნიშანდებული ნაერთებით. პირველად იქნა ნაჩვენები, რომ ყურძნის დაჭყლეტის დროს წარმოიქმნება როგორც ღრმა გარდაქმნის — დაჟანგვის, ისე სინთეზის პროდუქტები.

პ. რიბერო-გაიონის და გ. რიბერო-გაიონის მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ვაშლის, ღვინისა და ლიმონის მჟავების მეტაბოლიზმისა და ბიოგენეზის შესწავლის შედეგები. ვაშლმჟავისა და ღვინომჟავის წარმოქმნის გზები განსხვავებული აღმოჩნდა. ავტორების აზრით, ვაშლმჟავა წარმოიქმნება ნახშირორჟანგიდან ფოტოსინთეზის პროცესში, ხოლო ღვინომჟავის წარმოქმნას განაპირობებს შაქრის განსაკუთრებული გახლეჩა ვაზის ნორჩ ნაწილებში. მათი მონაცემებით, ლიმონმჟავა გროვდება ფესვებში და იქიდან გადადის მიწისზედა ნაწილებში, სადაც ვაშლმჟავად გარდაქმნება. დამწიფებულ ყურძენში ვაშლმჟავა გადადის შაქრებში. აღსანიშნავია, რომ ცდები ტარდებოდა რადიოაქტიური შენაერთების გამოყენებით.

ტ. კასტელმა (იტალია) შეაჯამა ახალი გამოკვლევები ღვინის საფუვრების ეკოლოგიისა და სისტემატიკის სფეროში და გააკეთა საინტერესო განზოგადებანი.

პ. დიუპონმა, ჟ. მორომ და მ. უსიატმა (საფრანგეთი) აღწერეს მინერალური აზოტის და აზოტშემცველი ორგანული ნაერთების გარდაქმნა სპირტული დუღილის დროს და გააშუქეს საკითხები ღვინოების ხარისხზე საფუვრების აზოტური მეტაბოლიზმის გავლენის შესახებ.

ა. ულის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მოხსენებაში დადგენილ იქნა საფუვრის ზრდისა და გამრავლების აუცილებელი პირობები, კერძოდ, დადგენილ იქნა ნახშირწყლის აზოტისა და მინერალური მარილების წყაროები, ჟანგბადის, ტემპერატურისა და წყალბადიონთა კონცენტრაციის გავლენა. მოხსენებაში ხაზგასმულ იქნა აგ-

რეთვე ზოგიერთი ფიზიოლოგიურად აქტიური შენაერთის აუცილებლობა.

ტ. ვიკენმა (ნიდერლანდი) გვიჩვენა ჟანგბადის მოქმედების გავლენა საფუვრების მიერ სპირტის წარმოქმნაზე. ავტორმა თანამედროვე მონაცემების საფუძველზე გაარჩია პასტერის ეფექტის არსი და წარმოგვიდგინა ექსპერიმენტული მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებს საფუვრების მიერ სპირტის წარმოქმნის გაძლიერებას გაზოვანი ჟანგბადის თანამყოფობისას. ამ ფენომენის ასახსნელად მთელი რიგი მოსაზრებანი იქნა მოყვანილი.

მომდევნო სამი მოხსენება მიეძღვნა რძემჟავა დუღილის კვლევის შედეგებს.

ჯ. კარმა (ინგლისი) შემოგვთავაზა მორფოლოგიური მიდგომა რძემჟავა ბაქტერიების უამრავი ნაირსახეობის კლასიფიკაციისათვის და მისი შედარებითი შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გუანინ-ციტოზინის პროცენტულ შედგენილობას. მოხსენებაში აღწერილ იქნა აგრეთვე ლუდიდან, სიტროდან და ღვინიდან გამოყოფილი ბაქტერიები და განხილულ იქნა მათი მოქმედება ამ სასმელებზე.

პ. ბიდანმა (საფრანგეთი) თავისი გამოსვლა მიუძღვნა ღვინოში რძემჟავა ბაქტერიების ზრდის ფაქტორებს. მომხსენებლის მიერ შესწავლილ იქნა საკვები ნივთიერებების (ჰექსოზების, პენტოზების, ორგანული მჟავების, სპირტების, მინერალური და ცილის აზოტის, ამინომჟავების, ვიტამინების და სხვ.) ჟანგბადის, ტემპერატურის აღმდგენი ფაქტორებისა და ინჰიბიტორების გავლენა ბაქტერიების ზრდაზე. ნაჩვენები იქნა აგრეთვე საფუვრების და რძემჟავა ბაქტერიების ურთიერთგავლენა და მათი უწყვეტი სიმბიოზი.

ე. პეინომ (საფრანგეთი) სიმპოზიუმს წარმოუდგინა ღვინის რძემჟავა ბაქტერიებზე თავისი ახალი კვლევის შედეგები. მომხსენებელმა მოაგროვა რძემჟავა ბაქტერიის 750 შტამი როგორც საფრანგეთის მეღვინეობის რაიონებიდან, ისე სხვა ქვეყნებიდან. განსაზღვრულ იქნა მათი სახესხვაობანი. შეადგინა სრული კატალოგი. მოხსენებაში მოგვცა რძემჟავა დუღილის ბიოქიმიური შეფასება და განსაზღვრა ბაქტერიების სასარგებლო და მავნე სახეები, აგრეთვე დააზუსტა ზოგიერთი ბაქტერიის თვისებები, რომლებიც ღვინომჟავაზე მოქმედებენ.

რიგ' მოხსენებაში გაშუქებული იყო წითელი ღვინოების ტექნოლოგიის აქტუალური საკითხები. ვ. დიმოტაკი-კურაკუმ (საბერძნეთი) შეისწავლა ყურძნის გაცხელების გავლენა ნაყოფის კანის უჯრედების ზოგიერთ კომპონენტზე. ღვინის კომპონენტებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საღებავ ნივთიერებებს, ტანიდებსა და პექტინებს. მოხსენებაში ხაზგასმული იყო ყურძნის გათბობის მეთოდის ზოგიერ-

თი უპირატესობა, თუმცა ამავე დროს მითითებულ იქნა ამ პროცესის ტექნიკის სუსტი დამუშავება.

მარეკ კორტესის (ესპანეთი) შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა საღებავი ნივთიერებების დაგროვება და გარდაქმნა წითელი ღვინოების წარმოების პროცესში. ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ანთოციანები მონაწილეობენ ოქსიდატიური ლეიკოანთოციანების პოლიმერიზაციაში და რომ ეს შერეული პოლიმერები ძლიერ მოქმედებენ წითელი ღვინოების მოყავისფრო-წითელ შეფერადებაზე მათი დაყოვნების პერიოდში.

დ. მილისავლევიჩმა (იუგოსლავია) შეისწავლა წითელ ღვინოებში სპირტული დუღილის შემდეგ საფუვრების მოქმედება ფენოლურ შენაერთებზე. ღვინოს, რომელიც დიდხანსაა დატოვებული საფუვრებზე დუღილის შემდეგ, გააჩნია 25%-ით ნაკლები ინტენსიურობის მქონე შეფერილობა, ვიდრე საფუარმოცილებულ ღვინოებს. საფუვრები მოქმედებენ ღვინის ფენოლურ შენაერთებზე, პირველ რიგში, ადსორბციის გზით. ეს თვისება ძირითადად საფუვრის სახეობაზეა დამოკიდებული. მომხსენებელი რეკომენდაციას იძლეოდა მოვახდინოთ წითელი ღვინოების ცენტრიფუგვა საფუვრის მოცილების მიზნით.

ა. ლარეამ (ესპანეთი) დაწვრილებით აღწერა ესპანეთის წითელი ღვინოების დამზადების ტექნოლოგია. მ. ამერინმა (ამერიკა) მოგვითხრო კალიფორნიის მეღვინეობის შესახებ და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მათ შეიმუშავეს ადგილობრივი წითელი ღვინოების ხარისხის ასამაღლებლად. პ. სუდროს (საფრანგეთი) მოხსენება მიეძღვნა ბორდოს წითელი ღვინოების დამზადების მეთოდებს. ისტორიულ ასპექტში იქნა განხილული ამ ცნობილი ღვინოების დამზადების ტექნოლოგიური მეთოდები. დაწვრილებით იქნა აღწერილი აგრეთვე ბურგუნდიული ღვინის დამზადების მეთოდები (მ. ლეგლიზი — საფრანგეთი).

სიმპოზიუმზე არანაკლები ყურადღება დაეთმო თეთრი ღვინოების ტექნოლოგიის ზოგიერთ საკითხს.

კ. კანტარელიმ (იტალია) თავისი გამოსვლა მიუძღვნა მადერიზაციის პროცესის არსს და თეთრ ღვინოებში მისი თავიდან აცილების საშუალებებს. მომხსენებლის მიერ შესწავლილ იქნა გამუქების ზოგიერთი პროცესი, რომლებიც შესაძლოა განაპირობებენ მადერიზაციას. ესენია: პოლიფენოლების დაჟანგვა, რეაქცია ასკორბინმჟავასა და ამინმჟავებს შორის, პოლიფენოლებსა და ამინმჟავებს შორის და სხვა გარდაქმნები. მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი „რანციო“ სუნის წარმოქმნის შესწავლისას კარბონილურ შენაერთებსა და ამინმჟავებს. მადერიზაციის თავიდან აცილების მიზნით გამოცდილ იქნა აღ-

დგენითი ნაერთების დამატება, ფენოლურ ნაერთთა შემცველობის რეგულირება, პოლიამიდებით დამუშავება და სხვა საშუალებები.

კ. ვუხერპფენინგმა (გფრ) სიმპოზიუმს წარმოუდგინა მასალები გერმანიაში ღვინოების გადასამუშავებლად და დასამზადებლად გამოყენებული ახალი ტექნიკის შესახებ, და აგრეთვე საღვინე მასალების დამუშავების მეთოდები და საშუალებები.

ფ. პრილინგერმა (ავსტრია) სიმპოზიუმის მონაწილეებს მოუთხრო ავსტრიაში გამოყენებული თეთრი ღვინის ტექნოლოგიის შესახებ, ხოლო ჟ. შოპფერმა (შვეიცარია) აღწერა შვეიცარიაში თეთრი ღვინის დამზადების ტექნოლოგიური მეთოდები.

რამდენიმე მოხსენება მიეძღვნა მეღვინეობის ისეთ სპეციალურ საკითხებს, როგორიცაა ასტი პუმანტეს ტექნოლოგია (ს. ტარანტოლა, იტალია), პორტოს (მ. პაჩეკო დე აზევედო და ჟ. პერეირა — პორტუგალია), ხერესის (კასას ლუკასი — ესპანეთი) და სხვათა ტექნოლოგიები.

ა. ბრუჟირარმა და ჟ. როკმა (საფრანგეთი) მოგვაწოდეს ცნობები ფრანგული ნატურალური ტკბილი ღვინოების ტექნოლოგიური მეთოდების შესახებ. ნატურალური ტკბილი თეთრი ღვინოები საფრანგეთში, როგორც გვაცნობეს მომხსენებლებმა, მიიღება ისეთი ყურძნის წვენის ნაწილობრივი დუღილით, რომელიც განსაკუთრებით მდიდარია შაქრით. დუღილი ჩერდება სპირტის დამატებით. თავის ოპტიმალურ თვისებებს ტკბილი თეთრი ღვინოები აღწევენ ორწლიანი დაძველების შემდეგ, ხოლო წითელი ღვინოები სამი და მეტი წლის შემდეგ.

პ. ანდრემ და ს. ფლანზიმ (საფრანგეთი) მოხსენება გააკეთეს ყურძნის ანაერობულ პირობებში უჯრედშიგა დუღილისა და მაცერაციის გამოყენებით ნახშირმჟავის პირობებში ყურძნის გადამუშავების მეთოდების შესახებ. უჯრედშიგა მეტაბოლიზმი ხასიათდება ვაშლმჟავის შედგენილობის შემცირებით და ქარვის, შიკიმისა და ქინაქინმჟავის დაგროვებით. მოხსენებაში ნაჩვენები იქნა ყურძნის მაცერაციით ნახშირორჟანგის თანამყოფობისას ღვინოების დამზადების მეთოდების მნიშვნელობა.

ა. ფაჟეს-ბონერიმ (საფრანგეთი) განიხილა მეღვინეობის პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხები.

ჟ. ლაფონმა (საფრანგეთი) მოხსენებაში აღწერა შარანტის თეთრი ღვინოების დამზადებისა და კონიაკის წარმოების ტექნოლოგიური მეთოდები. ავტორის მიერ შესწავლილ იქნა ღვინოში ზოგიერთი შენაერთის ჟანგვითი გარდაქმნები და ალდეჰიდების, მჟავების, ეთერების და უმაღლესი სპირტების წარმოქმნა ახალგაზრდა კონიაკებში. ლაფონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელია თავი გავანებოთ

იმ თეთრი ღვინოების აერაციას, რომლებიც დისტილაციისათვისაა გამიზნული.

პ. რონკაინენმა, ს. ბრუმერმა, ჰ. სუოშალაინენმა (ფინეთი) მოგვახსენეს ღვინის, ლუდის, ვისკის, კონიაკის და დუღილის მრეწველობის სხვა პროდუქტების კეტონებისა და ალდეჰიდების კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ.

პ. კუიომ (საფრანგეთი) სიმპოზიუმის მონაწილეებს გააცნო ანალიზის ახალი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება კონიაკების შესწავლისას, და მოგვცა ღვინოების განსხვავებული დისტილატების ქიმიური დახასიათება. მოყვანილ იქნა მასალები, რომლებიც გვიჩვენებს მეღვინეობის ტექნიკისა და დისტილაციური მეთოდების გავლენას ქიმიურ შედგენილობაზე.

სიმპოზიუმის მუშაობა შეაჯამა პროფ. ჟ. რიბერო-გაიონმა და აღნიშნა, რომ სიმპოზიუმმა უდიდესი წვლილი შეიტანა დუღილისა და მეღვინეობის პრობლემების მეცნიერების განვითარებაში.

სიმპოზიუმმა გვიჩვენა ფიზიკის, ქიმიის, ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის სულ უფრო მზარდი გავლენა ღვინოებისა და კონიაკების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების შესწავლაზე. ენოლოგია თანდათან გამოდის ემპირიკის გავლენის სფეროებიდან და სულ უფრო და უფრო დიდად ეყრდნობა ბუნებისმეტყველების თანამედროვე მიღწევებს.

თანამედროვე ენოლოგიის ბევრი მიმართულება ვითარდება, პირველ რიგში, საბჭოთა მეცნიერების მონაწილეობით, რაც თვალსაჩინოდ გამოსჭვივოდა სიმპოზიუმის მრავალრიცხოვანი მოხსენებებიდან. ამ ასპექტში განსაკუთრებით აღსანიშნავია: ყურძნისა და ღვინის ფენოლური შემადგენლობის შესწავლა, აზოტშემცველი შენაერთების მეტაბოლიზმი, ღვინოების და კონიაკების არომატული ინგრედიენტების გამოკვლევა, ზოგიერთი ნაერთის წარმოქმნა და გარდაქმნა სპირტული დუღილის დროს, ფერმენტების როლი მეღვინეობის ტექნოლოგიაში, ახალი მეთოდების გამოყენება ღვინოებისა და კონიაკების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სიმპოზიუმი კარგად იყო ორგანიზებული; ყველა პირობა იყო შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისა და დასვენებისათვის. ფრანგების გულთბილმა მიღებამ და სტუმართმოყვარეობამ მეგობრული ატმოსფერო შექმნა. საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი თავისუფლად გრძნობდნენ თავს სიმპოზიუმის მუშაობის განმავლობაში.

სიმპოზიუმის დამთავრების დღეს პასკალ რიბერო-გაიონმა საპატიო სტუმართა ოთახში მიმიწვია. წინასწარ გაფრთხილებული არ ვიყავი, თუ რა ცერემონიალი უნდა შეესრულებინათ, ან ჩემგან რას მო-

ითხოვდნენ. ოთახის შუაგულში მწვანე მაუდგადაფარებული ძველებური მასიური მაგიდა იდგა; მაგიდაზე მხოლოდ ერთი ბროლის ზარხუფი იდო. მასპინძლებმა მთხოვეს მაგიდასთან ახლოს მივსულიყავი, ზარხუფი ამეხადა და შიგთავსი რამდენიმე წუთით ხელში დამეკავებინა. რიტუალი შეკასრულე: თითოეულ ხელში თითო მინის სინჯარა მეკავა, რომელშიაც ღვინომჟავის თითო დიდი კრისტალი იდო. მივხვდი: მე ახლა პასტერის სტუმარი ვიყავი, ხელში მქონდა პასტერისეული მარჯვენა და მარცხენა ღვინომჟავა... იმ ნივთიერებებს დავჩერებოდი, რომლებიც პირველად პასტერმა აღმოაჩინა და რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ნივთიერებათა აღნაგობის თეორიაში — ქიმიაში, ბიოქიმიაში, მიკრობიოლოგიაში, ფიზიკაში. არ მეგონა, თუ უსულო საგანს ასეთი მაგიური ზემოქმედება შეეძლო... ვიდექი დამუხტული და გაოგნებული. ერთ-ერთმა მასპინძელმა შემახსენა:

— უკვე დიდი ხანია ხელში პასტერის სინჯარები გიკავიათ და დროა თავის ადგილზე მოათავსოთო...

ქ. ბორდოში გორელი პეტრე ქიტიაშვილი გავიცანი. წინა წელს თბილისში ფრანგი პარტიზანების შეკრებაზე ყოფილიყო და ბევრი საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა. სახლში მიმიპატიჟა, მეუღლე ფრანგი ჰყავდა. დიდი პატივი მცეს. შვილებმა — 11-12 წლის გოგონამ და 7-8 წლის ვაჟმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. სულ მამის სამშობლოზე მეკითხებოდნენ. გორიდან თესლები ჩამოეტანა და ეზოში მშვენიერი პატარა ბოსტანი გაეკეთებინა. ცოლ-ქმარს სარკეების სახელოსნო ჰქონდათ; მათ ნახელავს ქ. ბორდოს სარკეების გამოფენაზე პირველი პრიზი მოეპოვებინა. სახელოსნოში სამუშაო მაგიდის უჯრებში მრავლად ეწყო ქართველი კლასიკოსების წიგნები. საიდუმლოდ გამენდო — ლექსებს ვწერო. რამდენიმე დაბეჭდილი ლექსიც მაჩვენა ქართულ და ფრანგულ ენებზე. მეორე წელს პ. ქიტიაშვილი კვლავ ეწვია ქ. თბილისს, მაგრამ მე ამ დროს ქალაქში არ ვიყავი და არ შევხვედრივარ. დიდთვალება პატარა ქიტიაშვილები ახლაც მაგონდება. მეორე მსოფლიო ომმა რამდენ ადამიანს აურია გზაკვალი...

ენოლოგიაში შემდეგი სიმპოზიუმის მოწვევა გადაწყდა 1970 წელს ქ. რომში.

1967

სიცოცხლის კარიბჭესთან

ადამიანს უხსოვარი დროიდან იზიდავდა სამი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: მატერიის ბუნება, სამყაროს რაობა და სიცოცხლის არსი.

სამივე მათგანის შესწავლაში თანამედროვე მეცნიერების მიღწევები მეტად დიდია, ამ გარემოებას დღეს ყველა ხედავს და გრძნობს, მისი პრაქტიკული შედეგებითაც მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანა სარგებლობს.

ბუნებისმეტყველების ყველა დარგში სულ უფრო იზრდება მეცნიერული კვლევის ტემპი და მასშტაბები. ამიტომაც არის, რომ ასე გახშირდა მეცნიერთა მსოფლიო ფორუმები: უნდა დროდადრო შეჯამდეს მოპოვებული შედეგები და დაისახოს მომავალი მუშაობის საერთო პერსპექტივები.

რამდენიმე თვის წინათ ტოკიოში გაიმართა ბიოქიმიკოსთა მეშვიდე საერთაშორისო კონგრესი. მსოფლიოს თიოქმის ყველა ქვეყნის ხუთი ათასამდე მეცნიერი-ბიოქიმიკოსი მონაწილეობდა მის მუშაობაში, რამაც ოთხ დღეს გასტანა. კონგრესის ოთხმოცდაათ სიმპოზიუმსა, კოლოკვიუმსა და სექციაში მოსმენილ იქნა რვაასამდე მოხსენება. აქ ერთად შეიყარნენ სულ სხვადასხვა ობიექტსა და პრობლემაზე მომუშავე ბიოქიმიკოსები. სიცოცხლის უთვალავ ნაირსახეობას ხომ ბევრი რამ საერთოც აქვს. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც სიცოცხლისათვის საჭირო ენერგიის მოპოვების გზები და მემკვიდრეობის ინფორმაციის მატარებელი ნუკლეინის მჟავები. სუნთქვა ხომ მიკროორგანიზმებშიც, მცენარეებშიც და ცხოველებშიც არსებითად ერთგვარად მიმდინარეობს. მათში ენერგიის მისაღებად ერთნაირი „წისქვილი" ტრიალებს და ენერგიის გადაცემის ერთგვაროვანი „სისტემა" მოქმედებს. მიკროორგანიზმებში, მცენარეებსა და ცხოველებში მემკვიდრეობის გადაცემაც ერთ უნივერსალურ გენეტიკურ კოდს ემყარება.

და აი ათასობით მკვლევარი მოხსენებებსა თუ პირად შეხვედრებში ერთმანეთს უზიარებდა, თუ რა აღმოაჩინეს, გამოიკვლიეს და შეისწავლეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ისეთი, რაც ადამიანს კიდევ მეტ საშუალებას მისცემს ნებისმიერად მართოს ბუნების მოვლენები.

სიცოცხლის რომელი მხარე გნებავთ, რომ კონგრესზე არ ყოფილიყო განხილული: რა ნივთიერებები წარმოიქმნება და გარდაიქმნება სიცოცხლის პროცესში, როგორია მათი მეტაბოლიზმის მთავარი გზები და ენერგეტიკა, რა პრინციპებზეა აგებული ნივთიერებათა ცვლის კონტროლი უჯრედში, როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ნივთიერებათა სტრუქტურა და ფუნქცია, რაში გამოიხატება გარემო პირობებთან სიცოცხლის შეგუების საფუძვლები, როგორ შეიძლება ემართოთ სიცოცხლის პროცესები მიკროორგანიზმებში, მცენარეებსა და ცხოველებში, რით ვებრძოლოთ ადამიანის სიცოცხლის უამრავ

მტერს, როგორ გავაჯანსაღოთ და გავახანგრძლივოთ ადამიანის სიცოცხლე და სხვ.

კონგრესის მუშაობამ ნათელი გახადა, რომ ბიოქიმიური კვლევა საოცარი სისწრაფით ვითარდება, რომ სულ უფრო იზრდება მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის მიღწევათა გამოყენება ბიოქიმიაში, ამასთანავე თანდათან ფართოვდება თვით ბიოქიმიის გავლენა ფიზიოლოგიაზე, მედიცინაზე, სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობაზე, ტექნიკაზე, თანდათან ძლიერდება სასიცოცხლო მოვლენათა მოლეკულურ დონეზე კვლევა.

უკანასკნელ სამ წელიწადში შესწავლილ იქნა ათეულობით ბიოპოლიმერის სტრუქტურა და ფუნქცია, დადგინდა მათი ბიოსინთეზის გზები. გაიშიფრა კიდევ ახალი და ახალი ცილები და ნუკლეინის მჟავები, გაირკვა ფერმენტთა მოქმედების მექანიზმი, პირველად იქნა მიღებული კრისტალური სახით ფერმენტ-სუბსტრატის კომპლექსი, დადგინდა არაერთი მყარი და დინამიკური სტრუქტურის როლი სასიცოცხლო პროცესებში, გაიკაფა გზა საცდელ მილაკში ბიოლოგიურად აქტიური ცილის მისაღებად; თანდათან ვუახლოვდებით სიცოცხლის ხელოვნურად შექმნას, კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ სულ მალე საბოლოოდ დამარცხდება ადამიანის მრავალი დაავადება და მათ შორის კიბოც.

მიკრობთა ბიოქიმიის მიღწევებმა გვიჩვენა, რომ ამ თვალით უხილავი სამყაროს შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არის ადამიანის მიერ სათანადოდ გამოყენებული.

კონგრესის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა დელეგაციამ, რომელშიც ოთხმოცამდე მკვლევარი შედიოდა. ჩვენი ქვეყნის სახელით კონგრესს ძიესალმა აკადემიკოსი ა. ოპარინი. საბჭოთა მეცნიერებმა კონგრესზე წაიკითხეს ოცდაორი მოხსენება, რომლებიც შეეხებოდა პოლიმერების ბიოსინთეზს, მათს სტრუქტურასა და ფუნქციას, ამინმჟავათა ცვლას, ენერგიის ტრანსპორტს, სისხლის ნივთიერებათა გამოკვლევას და სხვა აქტუალურ საკითხებს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პ. ქომეთიანის მოხსენება, რომელიც ნეიროქიმიის სექციის სხდომაზე იქნა მოსმენილი, განიხილავდა თავის ტვინის ცილების ამიდური აზოტის მონაწილეობას ამინმჟავათა გარდაქმნებში. როგორც ირკვევა, თავისუფალი ამინმჟავები თავის ტვინში ინტენსიურ ცვლას განიცდის, ხოლო ამინმჟავების ამინური აზოტი ცილებში ამიდურ ჯგუფებად გადაიტანება. ამ დროს წარმოქმნილი ამინმჟავების ნაშთები გამოიყენება როგორც ენერგეტიკული მასალა და ნერვული ქსოვილის მუშაობის უნარი მაღალ დონეზე რჩება.

ამ სტრიქონების ავტორმა მცენარეთა ბიოქიმიის სექციას მოახსენა ნახშირწყალბადების მეტაბოლიზმის შესახებ უმაღლეს მცენარეებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ პირველად იქნა დადგენილი, რომ უმაღლეს მცენარეებს შეუძლიათ შეითვისონ და გარდაქმნან ნორმალური ნაჯერი ნახშირწყალბადები. მცენარეთა ეს ახლახან გამოვლინებული თვისება ახლებურად აშუქებს მათი ურთიერთობის საკითხს, ატმოსფეროსადმი მცენარეთა დამოკიდებულებასა და ზოგიერთი კლასის ორგანულ ნაერთთა მეტაბოლიზმის მოვლენებს მცენარეულ უჯრედში.

კონგრესის მონაწილენი გაეცნენ ქალაქების ტოკიოს, ნაგოიას, კიოტოსა და ოსაკას სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებს. იაპონიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს კარგი ტექნიკური შეიარაღება და მეტად დახვეწილი კვლევითი თემატიკა. მჭიდრო კავშირი აქვთ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებებთან და კვლევით მუშაობაში ფართოდ ჩაბმულია სტუდენტობა. ყურადღებას იპყრობს ის, რომ იაპონიის მრავალი ცნობილი ინსტიტუტის კოლექტივი მცირერიცხოვანია. მაგალითად, ცილის ინსტიტუტში, რომელსაც გამოჩენილი მეცნიერი აკაბორი მეთაურობს, სამოცდაათი თანამშრომელია.

იაპონია ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც ადრევე მიექცა ყურადღება ბიოქიმიური მრეწველობის განვითარებას. იაპონიის ბევრ საწარმოში გაბედულად იყენებენ სხვადასხვა მიკროორგანიზმებს, როგორც ცოცხალ ქარხნებს სხვადასხვა ნივთიერებათა მისაღებად. განსაკუთრებით აღსანიშნავია კრისტალური ფერმენტების წარმოება.

მსოფლიოში დღითიდღე იზრდება ფერმენტების გამოყენება კვების მრეწველობაში, საფეიქრო წარმოებაში, მედიცინასა და მრავალ სხვა დარგში. ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ ეს ყოველმხრივ პროგრესული წარმოება განვითარდეს. იგი არ მოითხოვს დიდი რაოდენობით მუშახელს და ამავე დროს საჭირო და სარფიანია.

ერთ-ერთი ასეთი ქარხანა ქ. ოსაკაშია. ქარხანა „ნედლეულად“ იყენებს ბაქტერიებსა და ობის სოკოებს, ამზადებს ამილაზას, ცელულაზას, ლიპაზას, პროტეაზასა და სხვა ფერმენტებს. ქარხანაში სამოცდაათი კაცი მუშაობს, მათ შორის თხუთმეტი უმაღლესი განათლებით არის. ამ თხუთმეტიდან შვიდი საკვლევ ლაბორატორიაშია. ხელმძღვანელთა ჯგუფში მხოლოდ ოთხი კაცი შედის. ქარხანა ფერმენტებთან ერთად ამზადებს ყველა იმ პროდუქტს, რაც კი წარმოების ნარჩენები-

დან შეიძლება იქნეს მიღებული. მათი პროდუქციის ოცი პროცენტი საექსპორტოდ მიდის, დამკვეთთა შორის საბჭოთა კავშირიც არის.

კონგრესის სამუშაო შენობაში მოწყობილი იყო საკვლევი აპარატურისა და ხელსაწყოების გამოფენა, რომლის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ბიოქიმიური კვლევისათვის ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური წარმოებაა შექმნილი. ამ წარმოების განუვითარებლად ბიოლოგიაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და არაერთ სხვა დარგში მეცნიერული კვლევა-ძიება დღეს წინ ვერ წავა.

ამ მიმართულებითაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ჩვენს რესპუბლიკაში. ქართველ მეცნიერთა და ინჟინერ-კონსტრუქტორთა შემოქმედებითს მეგობრობას შეუძლია შექმნას ბიოლოგიური კვლევის ისეთი ორიგინალური აპარატურა და ხელსაწყოები, რომლებიც დიდად შეუწყობდა ხელს მეცნიერულ კვლევას მთელს საბჭოთა კავშირში.

კონგრესის მუშაობამ ცხადყო, რომ ბიოქიმია უკვე სხვადასხვა მეცნიერული დარგის გამაერთიანებელი, კრებადი მეცნიერებაა. იგი იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, მის შიგნით იმდენი დამოუკიდებელი მიმართულება გაჩნდა, რომ თანდათან რთულდება ურთიერთგაგება თვით ბიოქიმიკოსთა შორისაც კი. კონგრესის მონაწილეთა ერთი ნაწილი წინააღმდეგი იყო შემდგომში ბიოქიმიკოსთა საერთო კონგრესის მოწვევისა: ასეთი კონგრესის პერიოდი უკვე განვლილია და ამიერიდან მსოფლიო მასშტაბით შემაჯამებელი შეხვედრები უნდა მოეწყოს სპეციალურ საკითხებზეო. ზოგიერთმა გაზეთმა გამოაცხადა კიდეც, ტოკიოში ბიოქიმიკოსთა უკანასკნელი კონგრესი იმართებაო.

უმრავლესობის მხარდაჭერით მაინც გადაწყდა ბიოქიმიკოსთა შემდეგი კონგრესი გამართულიყო 1970 წელს ქ. რომში.

1967

სუნამოს საფლობელოში

1968 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიხსნა ეთეროვანი ზეთების სპეციალისტთა მე-4 საერთაშორისო კონგრესი. თბილისში შეიკრიბა 20-ზე მეტი ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც გამოჩენილი მეცნიერები, ისე კვების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები. კონგრესი გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ პ. ნაუმენკომ. საფრანგეთის დელეგაციისა და კონგრესის მონაწილე ყველა უცხო-

ელის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის ეთეროვანი ზეთების მწარმოებელთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა ჟან დე ბუტინიმ. კონგრესის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ზოტოვი.

კონგრესის მასალები გამოიცა ორ ტომად რუსულ ენაზე და ფრანგული რეზიუმეებით. პირველი ტომი მიეძღვნა ეთეროვანი ზეთებისა და სურნელოვან ნივთიერებათა ქიმიასა და ტექნოლოგიას, მეორე ტომში გაშუქებულია ეთეროვანი კულტურების მოვლა-მოყვანა და მასთან დაკავშირებული სელექციისა და ტექნოლოგიის საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობის ოთხივე სართულზე მოწყობილი იყო ეთერზეთოვანი, საპარფიუმერიო მრეწველობის სინთეზური და ნატურალური სურნელოვანი ნივთიერებების წარმოების მიღწევათა გამოფენა.

დილის პლენარულ სხდომაზე პ. ნაუმენკომ გააკეთა მოხსენება „სსრ კავშირის ეთეროვანი ზეთებისა და საპარფიუმერიო-კოსმეტიკური მრეწველობის მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები". პროფ. ი. სოკოლოვის მოხსენება ეხებოდა სსრ კავშირის ფლორას, როგორც ახალი ძვირფასი ეთერზეთოვანი მცენარეების წყაროს. საქართველოს ეთეროვანი ზეთების მრეწველობისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მცენარეული ზეთისა და ეთეროვანი ზეთების ტრესტის მმართველი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ნ. იაკობაშვილი. ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ეთეროვანი ვარდის სახეობათაშორისო ჰიბრიდიზაციის შედეგები" (ვ. სტაიკოვი) და „ეთეროვანი ზეთების კომპონენტების ბიოლოგიური როლი" (ა. ნიკოლაევი). საღამოს სხდომაზე მოხსენებებით წარსდგნენ ლ. ხეიფიცი, ვ. ტანასიენკო და დ. ივანოვი.

18 სექტემბერს ორივე სექცია განაგრძობდა მუშაობას. ქიმიურ-ტექნოლოგიურ სექციაში მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები ეთეროვანი ზეთების წარმოების პრობლემებზე, სასოფლო-სამეურნეო სექციაში მთავარი პრობლემა იყო ეთეროვანი მცენარეების მოვლა-მოყვანა. სექციის სხდომები მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში. სექციათა შრომების კრებულებში გამოქვეყნებულია 180 სტატია, მათ შორის 10 ქართველ მეცნიერებს ეკუთვნის.

სასოფლო-სამეურნეო სექციის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ორმა მოხსენებამ — „ტროპიკული და სუბტროპიკული ეთეროვანი მცენარეების კულტურის ბიოლოგიური საფუძვლე-

ბი საქართველოში“ (ე. ჩიქვანაია) და „ღია ჰიდროპონიკის პირობებში გერანის მოვლა-მოყვანა“. იმ ნივთიერებებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ პარფიუმერების პლიტრის გამდიდრებისათვის, ილაპარაკა ბულგარელმა მეცნიერმა რ. ვლახოვმა. მ. ბოკუჩავა თავის გამოსვლაში შეეხო ჩაის ეთეროვანი ზეთის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს — კარბონილურ ნაერთებს. დიდი ინტერესი გამოიწვია „ტოდ კომპანიის“ საკვლევი ცენტრის დირექტორის მ. მერიტმის (აშშ) მოხსენებამ პარფიუმერიისათვის მნიშვნელოვანი პიტნის ჰიბრიდებისაგან ახალი ეთეროვანი ზეთების მიღების შესახებ. საინტერესო ინფორმაციით გამოვიდნენ ტ. იოსიდა (იაპონია), ნ. პლოვატოროვი (ნიდერლანდები), რ. უემი (საფრანგეთი) და სხვ.

სექციები ყოველდღე დიდი დატვირთვით მუშაობდა. დღეში საშუალოდ 30-მდე მოხსენების განხილვა წარმოებდა.

სოფლის მეურნეობის სექციაში მოხსენებით გამოსვლა წილად ხვდა ამ სტრიქონების ავტორსაც. განსჯისათვის წარმოდგენილი იყო ახალი მოსაზრება ეთეროვანი ზეთების კომპონენტების შესაძლებელი მეტაბოლიზმის თაობაზე. რადიაქტიური ნაერთების მეშვეობით დამტკიცებულ იქნა, რომ ეთერზეთოვან მცენარეებს შეუძლია ეთეროვანი ზეთის მთელი რიგი ალიფატური და არომატული კომპონენტები შეითვისონ ფოთლებიდან, ყლორტებიდან და გარდაქმნან იგი. ამავე დროს მათ უნარი აქვთ არომატული ბირთვი გახლიჩონ და ღია ჯაჭვის ნაერთებში გარდაქმნან. ეთერზეთოვანი მცენარეების ფოთლის ერთი ნაწილიდან გარემოში გამოყოფილი ალდეჰიდები, კეტონები, სპირტები, მჟავები და სხვა ნაერთები შესაძლებელია შეითვისოს იმავე მცენარის იმავე ფოთლის სხვა ნაწილმა. ამ გამოკვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეთეროვანი მცენარეების დახურულ გრუნტში მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებით. მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ბულგარელმა და ფრანგმა მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ თვალსაზრისს, რომ ერთი სახეობის მცენარის მიერ გამოყოფილმა ნივთიერებამ, როდესაც იგი შეიჭრება მეორე სახეობის მცენარის ფოთლებში, ყლორტებში, შესაძლებელია შეასრულოს ბიოკატალიზატორის როლი, ააჩქაროს ან შეანელოს ნივთიერებათა მეტაბოლიზმის რომელიმე საფეხური.

ეთერზეთოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა მუშაობის შედეგები შეაჯამა საკავშირო გაერთიანება „სოიუზპარფიუმპრომის“ უფროსის მოადგილემ დ. ზიუკოვმა.

19 სექტემბერს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ივერია“. აქვე მოეწყო სსრ კავშირის კოსმეტიკურ საწარმოთა პროდუქციის დეგუსტაცია. დეგუსტატორები

იყვნენ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვანი პარფიუმერები, უცხოეთის ფირმების წარმომადგენლები, მაღალი შეფასება მისცეს თბილისელ პარფიუმერთა პროდუქციას.

20 სექტემბერს კონგრესის მონაწილენი ესტუმრნენ კახეთს. მათ დაათვალიერეს სოფ. ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში ეთეროვანი ზეთის ქარხანა. კონგრესის წევრების იქ ყოფნა დაემთხვა ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის შექმნის 30 წლისთავს, რამაც განსაკუთრებული ელფერი დასდო სტუმარ-მასპინძელთა ურთიერთობას.

დღის მეორე ნახევარში მოინახულეს წინ:ნდალი, თავისი შესანიშნავი პარკით და განუმეორებელი ღვინის სარდაფით, ღვინოების კოლექციებით.

დასკვნითი პლენარული სხდომა გაიმართა 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პ. ნაუმენკომ თავის გამოსვლაში მაღალი შეფასება მისცა კონგრესის მუშაობას. საზღვარგარეთის დელეგაციათა წარმომადგენლებმა სამადლობელი სიტყვებით მიმართეს საორგანიზაციო კომიტეტს კონგრესის შესანიშნავად მომზადებისა და მოწყობისათვის.

კონგრესის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტუმართა კულტურულ მომსახურებას. იყვნენ ოპერა „დაისის" წარმოდგენაზე; დაესწრნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტს, ნახეს ფერადი დოკუმენტური კინოფილმები საბჭოთა ეთეროვანი ზეთების მრეწველობის განვითარებისა და საბჭოთა საქართველოს შესახებ. კონგრესის მუშაობა სისტემატურად შუქდებოდა რესპუბლიკურ პრესაში.

კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება: ეთეროვანი ზეთების სპეციალისტთა მორიგი მე-5 საერთაშორისო კონგრესი გამართულიყო ქ. სანპაულოში (ბრაზილია) 1971 წლის მარტში.

1968

სერვანტესის სამშობლოში

წითელი პარასკევი იყო. ღამით მადრიდის ქუჩებში გარდამოხსნისადმი მიძღვნილი რელიგიური პროცესია მიემართებოდა. მდიდრულად მორთულ ბალდახინებში ძაძით მოსილი ფეხშიშველი ქალები შებმულიყვნენ. ბზითა და ვარდ-ყვავილით მოფენილ კვარცხლბეკზე ქრისტე იდგა. ქრისტე — ჯვარზე, ქრისტე — კუბოში... გამოკვეთილი თუ ჩამოსხმული ოცამდე ქრისტე წინ უძღოდა რიგებად ჩამწკრივებულ მამაკაცთა კოლონებს. ინკვიზიციის ჯალათთა სამოსელში გამოწყო-

ბილ პროცესიის მონაწილეთ სიცივისაგან გათოშილი ფეხის თითები და გრძელ მოსასხამებში სათვალთვალოდ ამოჭრილი ადგილებიდა მოუჩანდათ, მხარზე გადებულ უზარმაზარ ხის ჯვრებსა და ფეხის წვივებზე მიბმულ მძიმე ჯაჭვებს ისინი წელში მოედრიკა. თითოეული კოლონა სამხედრო პირთა კორტეჟით მთავრდებოდა. კათოლიკური ეკლესიის ბორკილებიანი მსახურნი და იარაღასხმული ჩინოსანნი სინქრონულად მიაბიჯებდნენ სამხედრო მუსიკის ჰანგზე.

ამ უჩვეულო თეატრალურ დადგმას, რომელმაც თითქმის ორ საათს გასტანა, ევროპის სახელმწიფოების ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების მე-6 კონფერენციის მონაწილენიც ესწრებოდნენ. ქვეყანაში, სადაც ინკვიზიციის განაჩენით ათეული ათასობით ადამიანი კოცონზე დაწვეს, ხოლო ასეული ათასობით საპყრობილეებში და გალერებზე გაგზავნეს, სადაც ახლაც ენერგიულად იღვწიან ეკლესიის ჯალათთა შთამომავალნი, ბიოლოგიის წარმატებების განხილვისადმი მიძღვნილი ფორუმი ეწყობოდა.

ბუნების რამდენი საიდუმლოება გაიხსნა ამ ორ უკანასკნელ ათწლეულში! გაშიფრულია გენეტიკური კოდი. ახლა უკვე ცნობილია, თუ მშობელი შვილს რა „ენაზე“ გადასცემს თავის მემკვიდრეობას, რა ხასიათის „ბრძანებებია“ ჩაწერილი უჯრედში, რომელთა შესრულებაც „სავალდებულოა!“ მომავალში ორგანიზმისათვის. გარკვეულია სიცოცხლისათვის უპირველესი ნაერთის — ცილის სინთეზის გზები და ადგილი. დადგენილია ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პრინციპები. აღარავის აკვირვებს ის, თუ რა აწესრიგებს, ან ვინ „ხელმძღვანელობს“ თვალით უხილავ უჯრედში ერთდროულად მიმდინარე ათასობით რეაქციას. თანდათან ირკვევა, თუ როგორ წარმოიქმნება ერთი უჯრედიდან მთელი ორგანიზმი.

თვალწინ იშლება ბიოლოგიური მეცნიერების ახალი ჰორიზონტები და ახლო მომავალში შესაძლებლობა მოგვეცემა ნებისმიერად ვმართოთ მიკროორგანიზმების, მცენარეების, ცხოველებისა და თვით ჩვენი, ადამიანის სასიცოცხლო პროცესები. რამდენი ბიოლოგიური „ძალაა“ ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუყენებელი! გააკეთა კი ბუნებამ ყველაფერი ის, რაც ადამიანს ამჟამად ესაჭიროება და მის სურვილს შეესაბამება? ბუნებრივი ძალების ახალი კომბინირების გზით ისიც უნდა შეიქმნას, რაც ბუნებას „დავიწყნია“, და ისიც გამოსწორდეს, რაც მან ზოგიერთ არსებათა მემკვიდრეობაში „შეცდომით“ ჩააქსოვა.

ბიოქიმია დღეს ბიოლოგიის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერული დისციპლინაა. რა ახალი ფაქტები მოიპოვეს ბიოქიმიკოსებმა, რა გამოარკვიეს, რა აღმოაჩინეს ან რა მნიშვნელოვანი იდეები დაებადათ უკა-

ნასკნელი წლის განმავლობაში — ყოველივე ამის ურთიერთგასაზიარებლად შეიკრიბა მადრიდში 36 ქვეყნის რამდენიმე ათასი წარმომადგენელი. 4 სიმპოზიუმზე, 4 კოლოკვიუმსა და 48 სექციაზე 1500-მდე მოხსენება იქნა მოსმენილი. უჯრედის ორგანიზაცია, მისი ორგანელების სტრუქტურა და ფუნქციები, ფერმენტთა მოქმედების მექანიზმი, ამინმჟავების, ნახშირწყლების, ცილებისა და ნუკლეინის მჟავების სინთეზი და გარდაქმნები, ჰორმონები და ვიტამინები, ნივთიერებათა მეტაბოლიზმის რეგულაცია, განვითარება და დიფერენციაცია, ანტიბიოტიკების მოქმედების მოლეკულური საფუძვლები, ბიოქიმიური ევოლუცია და გენეტიკა, ფოტოსინთეზი და მრავალი სხვა მიმართულება, პრობლემა თუ საკითხი იყო განხილული კონფერენციაზე. ნათლად ჩანდა, რომ ამჟამად ბიოლოგია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ინტენსიურად ვითარდება და რომ მის წინსვლაში მრავალი მეცნიერული დისციპლინა მონაწილეობს.

საბჭოთა კავშირიდან მადრიდის შეკრებაში 50 მეცნიერი მონაწილეობდა. ლედეგაციას მეთაურობდა აკადემიკოსი ს. სევერინი. დელეგაციაში შედიოდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც არიან აკადემიკოსები ა. ოპარინი, ვ. ენგელგარტი, მ. შემიაკინი, გ. ბუნატიანი, წევრ-კორესპონდენტები ვ. კრეტოვიჩი, ა. სპირინი და სხვ. მათთან ერთად მადრიდში მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი პ. ქომეთიანი, წევრ-კორესპონდენტი მ. ბოკუჩავა და ამ სტრიქონების ავტორი. ჩვენი რესპუბლიკიდან წარდგენილი მოხსენებები შეეხებოდა ამიდური აზოტის მეტაბოლიზმს ტვინის პროტეინებში (პ. ქომეთიანი, ნ. გვალია), ჩაის ფოთლის უჯრედში პოლიფენოლოქსიდაზას ლოკალიზაციას (მ. ბოკუჩავა, თ. შალამბერიძე, გ. სობოლევა) და ბენზოლისა და მარტივი ფენოლების არომატული ბირთვის ფერმენტული დაჟანგვის მექანიზმს მცენარეში (ს. დურმიშიძე, დ. უგრეხელიძე).

ყველა საბჭოთა მეცნიერის მოხსენებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მკაფიოდ გამოჩნდა სსრ კავშირში ბიოლოგიური მეცნიერების მაღალი დონე.

უაღრესად დიდი იყო ესპანელების ინტერესი საბჭოთა მოქალაქეებისადმი. სსრ კავშირს ესპანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, მაგრამ ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ მადრიდში მრავლად არიან ჩვენი კეთილისმსურველნი; ისინი, ვინც პირველსავე დღეს ჯვრით, ჯაჭვითა და იარაღით შეგვხვდნენ. ესპანეთის ხალხს არ წარმოადგენენ, მათ განწყობილებასა და სურვილებს არ გამოხატავენ. არაერთგზის მოგვეცა შემთხვევა, რომ ამაში დავრწმუნებულიყავით.

ბიოქიმიკოსთა კონფერენცია საუნივერსიტეტო ქალაქის ერთ-ერთ ინსტიტუტში მიმდინარეობდა. ჩვენთვის ყველაზე მოხერხებული

ტრანსპორტი ავტობუსი იყო, ბოლო გაჩერებაზე უნდა ჩამოვსულიყავით. ერთ დილას, როდესაც სხდომაზე მივემგზავრებოდით, მძღოლმა ავტობუსი უკანასკნელ გაჩერებამდე არ მიიყვანა, წრის შუაგულში დააყენა, კარი გადარაზა და კონდუქტორთან ერთად მოგვიახლოვდა. მათ გარდა, ავტობუსში მხოლოდ სამი საბჭოთა მოქალაქე ვიყავით. ისინი მკერდზე დაგვაცქერდნენ. კონფერენციის მონაწილის სამკერდე ნიშანზე გარკვევით ჩანდა „სსრკ". პირველად ერთმანეთს ვერაფერი გავუგეთ. მათ მხოლოდ ესპანური ენა იცოდნენ, ჩვენ კი ესპანურისა არაფერი გაგვეგებოდა. ძალიან გვეჩქარებოდა, მაგრამ ჩვენთან საუბრის უსაზღვრო წყურვილით შეპყრობილი მასპინძლები არ გვიშვებდნენ. უეცრად კონდუქტორმა ვ. კრეტოვიჩს ხელი სამკერდე ნიშანზე დაადო, შემდეგ კი ხელი თავის მკერდზე გადაიტანა და ენერგიულად წამოიძახა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ბელადების სახელები. ყველა ეჭვი და გაუგებრობა სწრაფად გაიფანტა, თითქოს ენის ზღვარიც წაიშალა და ისე მოგვეჩვენა, რომ უკვე ერთმანეთისათვის გასაგებად ვსაუბრობდით. მასპინძლებმა გვაგრძნობინეს, რომ ესპანეთში ახლაც მედგრად იბრძვიან თავისუფლებისათვის და რომ საბჭოთა ქვეყანას იქ მრავალი მეგობარი ჰყავს. ჩვენი უხუცესი ბიოქიმიკოსი ვ. ენგელგარტი წუხდა, რომ მათთვის სამახსოვროდ გადასაცემი არაფერი ჰქონდა თან. მდგომარეობიდან თბილისურმა სუვენირმა — შოთას ბეჭედმა — გამოგვიყვანა. იბერიისა და რუსთაველის ხსენებამ კიდევ უფრო აამაღლა და გაალამაზა ჩვენი ურთიერთობა. განშორებისას ორივემ ტუჩებზე თითები მიიდეს და გაგვაფრთხილეს, ყველაფერი ეს ჩვენ შორის დარჩესო.

კონფერენციის ორგანიზატორებმა ჩვენდამი განსაკუთრებული პატივისცემა და ყურადღება გამოიჩინეს. თითქმის ყველა საბჭოთა მეცნიერს ჰქონდა მოხსენება, ბევრი მათგანი თავმჯდომარეობდა სიმპოზიუმზე, კოლოკვიუმებსა და სექციებზე. საბჭოთა მეცნიერების გამარჯვების გვირგვინი იყო ალექსანდრე სერგის ძე სპირინის მიერ უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე გაკეთებული მოხსენება „ინფორმოსების", ანუ უჯრედის იმ წარმონაქმნების შესახებ, რომელნიც გენეტიკური ინფორმაციის ერთ-ერთი მატარებელნი არიან.

ა. სპირინს მოხსენების შემდეგ გადაეცა კრებსის სახელობის მედალი. კრებსმა — ბიოქიმიის ამ ცოცხალმა კლასიკოსმა, პირველმა მიულოცა ბრწყინვალე წარმატება მეცნიერებაში.

ა. სპირინის ცხოვრება და მოღვაწეობა შესანიშნავი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. იგი ოცდათექვსმეტი წლისაა და უკვე მსოფლიოში ცნობილი მეცნიერია. უშუალოდ ეწევა რა დიდ მეცნიე-

რულ კვლევას, ამასთანავე ჩინებულად ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცილის ინსტიტუტს.

კონფერენციის მონაწილეთა დაძაბულ მუშაობას ესპანური ეროვნული სანახაობანი ცვლიდნენ. მადრიდში სააღდგომო კორიდა იმართებოდა. დილიდანვე აფიშების გამყიდველთ ქუჩები აკლებული ჰქონდათ. დღეს საქვეყნოდ ცნობილმა სამმა მატადორმა ექვსი საუკეთესო ხარი უნდა მოკლასო, გაჰყვიროდნენ ისინი.

თითოეულ ქვეყანას აქვს მისთვის დამახასიათებელი ჩვეულება. როგორც ცნობილია, ესპანეთისათვის ასეთია კორიდა — ხარებთან ბრძოლა. სპორტისა თუ ხელოვნების ეს ძველი სახე ახლაც მეტად პოპულარულია ესპანეთში. იქ აქვთ სპეციალური საქონელსაშენები, სადაც კორიდისათვის ხარებს ზრდიან. არსებობს სასწავლებლები, სადაც ტორეადორები იწვრთნებიან და ხარისხებსაც კი იცავენ, სახელმოხვეჭილი ტორერო ესპანეთში დღესაც პოპულარული და ხალხისათვის საყვარელი გმირია.

კორიდას მე მხოლოდ ჰემინგუეის მიხედვით ვიცნობდი და მოუთმენლად ველოდი მას. ხარებთან მატადორების ბრძოლას მთელი კანონმდებლობა ჰქონია, სადაც მკაცრად განსაზღვრულია კორიდის ყველა ეტაპი და ილეთი. სანახაობის დასაწყისი მეტად ლამაზია. ქვიშით მოფენილ ფართო არენაზე ირემივით ლაღი და ამაყი, შავი ფერის ხარი შემოდის. პატარა თავი და ძლიერი ტანი, მოშვილდული რქები და ცეცხლივით ანთებული თვალები მას საოცარ ელფერს აძლევს. იგი ანაზდეულად მოსწყდება ადგილიდან და თავდავიწყებით ნავარდობს, მზესა და სივრცეს მოწყურებული. პირველად იწყება ხარის გახელება. პიკადორები მას რამდენიმე ღრმა ჭრილობას მიაყენებენ, ბანდერილიერები ნემსკავიან ისრებს ჩაასობენ ზურგში და ხარი უკვე „მზად არის“ ორთაბრძოლისათვის.

ხარის უხეში და შიშველი ფიზიკური ძალა, ძლიერი ტკივილი და თავდაცვის მხეცური ინსტინქტი უპირისპირდება მატადორის ცივ გონებასა და ელვისებრ რეაქციას, უზუსტეს და უნატიფეს მოძრაობებს. ტორერო ხარს ხან აანთებს და ააფორიაქებს, სასიკვდილო შერკინებისათვის იწვევს, ხან კი მონუსხავს და ილაჯგაწყვეტილსა და მორჩილს თავის გარშემო ატრიალებს. ბოლოს, როცა გონგის ხმა ყველას ამცნობს, რომ ბრძოლა უნდა დამთავრდეს, მატადორის მახვილის ერთი დარტყმით პირუტყვი უსულოდ ეცემა ძირს. კორიდა მკაცრი და საშიში წარმოდგენაა, არც მატადორის დაღუპვაა იშვიათი შემთხვევა, მაგრამ მაინც ლამაზი და ამაღელვებელია, როდესაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გონება იმორჩილებს ძალას. ექვსი ხარი მოკლეს იმ დღეს, ექვსჯერ განვიცადეთ ამ სანახაობის ავიცა და კარგიც, ოცი ათა-

სი მაყურებელი ზღვასავით ღელავდა და ბობოქრობდა. სტუმართა შთაბეჭდილებები სულ სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა: ზოგნი ტიროდნენ, ზოგმა კი იქვე შეიძინა ბილეთი, რომ მეორე დღეს კვლავ ენახა ბისხლიანი კორიდა.

მადრიდელებმა ფართოდ გაგვიღეს სამეცნიერო დაწესებულებათა კარები და ჩვენც ინტერესით ვეცნობოდით მათ. ჩვენი ჯგუფიდან რამდენიმე კაცი ვესტუმრეთ ორგანული ქიმიის ცენტრს. აქ ერთ ჭერქვეშ ოთხი ინსტიტუტია მოთავსებული: ორგანული ქიმის, პლასტმასების, ცხიმებისა და დუღილის ტექნოლოგიისა. ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ყაირათიანობა. ინსტიტუტებს ბევრი რამ აქვთ საერთო: ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, სამეურნეო ნაგებობანი და სხვ. ყოველ თემაზე დახარჯული დრო და თანხა ზუსტად აღრიცხება, რათა სწორად იქნას გაანგარიშებული ეკონომიკური ეფექტი. სახელშეკრულებო თემებიდან მიღებული დაფინანსება ინსტიტუტების ბიუჯეტის ნახევარს შეადგენს. დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერულ მიღწევათა დანერგვას. თვით ინსტიტუტშივეა ნახევრადსაწარმოო დანადგარები. აქვე ზუსტდება ის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც საჭიროა მეცნიერული მიღწევის წარმოებაში დასანერგად.

ინსტიტუტების უმრავლესობა საშუალო სიდიდისაა, თითოეულში დაახლოებით 70—100 კაცი მუშაობს. ზოგიერთი ინსტიტუტის ლაბორატორიები ნაკლებად არის აღჭურვილი თანამედროვე აპარატურით. მაგალითად, დუღილის ტექნოლოგიის ინსტიტუტში რამდენიმე პროფესორმა სინანული გამოთქვა, რომ მათ არ გააჩნიათ თეორიული კვლევის საშუალებები. ინსტიტუტებში გულთბილად მიგვიღეს, მეცნიერი თანამშრომლები გამოთქვამდნენ იმედს, ახლო მომავალში ჩვენი ურთიერთობა უფრო მახლობლური და რეგულარული იქნებაო.

მასპინძლებმა მადრიდის ცნობილი მოცეკვავის ლუჩიო ტენას კონცერტზე მოგვიწვიეს. ყველანი აღტაცებული ვიყავით ესპანური სულითა და ტემპერამენტით, რომელიც ხან მთის მდინარესავით მოვარდებოდა, ხან მდელოს ნაკადულივით მოწკრიალებდა და გვეალერსებოდა, ზოგჯერ კი ქანდაკებასავით იძერწებოდა და ისე მეტყველებდა. როცა შესვენებაზე ფოიეში ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით, ვიღაცამ ხმამაღლა იკითხა: „გენაცვალე, მოგეწონა?“ რამდენიმე წუთის შემდეგ ს. სევერინმა შუახნის ესპანელი ქალი გამაცნო, რომელიც რუსულად და ქართულად ლაპარაკობდა. პილარ დე ლა პაზ ჰერერა ფრანკისტების მიერ მადრიდის დაბომბვის დროს დაობლებულა. საბჭოთა მეომრებს იგი ყირიმში ჩამოუყვანიათ, იქიდან კი თბილისში მოხვედრილა და საფერშლო სკოლა დაუმთავრებია. ოთხ წელიწადს უცხოვრია მას ჩვენს დედაქალაქში და თბილისზე შეყვა-

რებული დარჩენილა. ჩვენი საუბრის დამსწრეთ აღტაცებით უმტკიცებდა, რომ არსად არ არიან ისეთი ვაჟკაცური და ამასთან სათნო გულის ადამიანები, როგორც საქართველოშიო. პილარი გახარებული იყო, რომ თბილისელები გვნახა და უნდოდა თავისი მადლობა ჩვენი ხალხის მშობლიური მზრუნველობის გამო საბჭოთა მეცნიერების მიმართ პატიეისცემით გამოეხატა, მაგრამ ჩვენ მისი თხოვნა ვერ შევასრულეთ, შინ ვერ ვეწვიეთ, ვინაიდან ექსკურსიაზე მივემგზავრებოდით.

ესპანეთი ტურიზმის ქვეყანაა. მისი მშვენიერი და მრავალფეროვანი ბუნება, მდიდარი ისტორიული წარსული, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, ამაყი და ლამაზი ხალხი ხარბად იზიდავს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოგზაურთ. გასულ წელს 19 მილიონი ტურისტი მიუღიათ. სახელმწიფო ბიუჯეტში ტურიზმს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ტურიზმისა და ინფორმაციის სამინისტროს კარგად მოუწყვია ტურისტთა მომსახურება. ესპანეთში ტურისტთა ყველა მარშრუტი საინტერესოა, მაგრამ დროის უქონლობის გამო ჩვენ კასტილიით შემოვიფარგლეთ. ვიყავით გვადარამის მთებში, დავათვალიერეთ ესკურიალი, დავესწარით ფიესტას, ვესტუმრეთ ტოლედოს.

თვალწინ გადაგვეშალა ისტორიული ბრძოლების ის ადგილები, რომლებიც მრავალ ჩვენგანს, ალბათ, თავისებურად ადრეც წარმოედგინა. აღდგნენ ერნესტ ჰემინგუეის გმირები და განახლდა ძველი ჭრილობები. გვადარამის ტრამალებში იდგა ბიოქიმიკოსთა მთელი არმია და მრავალ მათგანს კარგად ესმოდა, თუ ვის უხმობდა ზარი.

მკაცრი ნაგებობაა სასახლე-მონასტერი ესკურიალი. მრავალი ესპანელი მხატვრისა და ხელოვანის ნამუშევარი ამშვენებს ამ უზარმაზარ ციხესიმაგრეს. დარბაზები მთელ თვეს უნდა ათვალიერო, რომ ზოგადად მაინც გაეცნო მათ.

ესკურიალის მოშორებით, გვადარამის მთებში ფალანგისტებს მონუმენტი აუგიათ სამოქალაქო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით. ლოდებით ფაფარაყრილი მთების წვერიდან ამოდის 150 მეტრის სიმაღლის ჯვარი. ქვევით კლდეში გამოკვეთილია უდიდესი ბაზილიკა, რომლის კედლები დაფარულია მოზაიკით.

კვლავ კასტილიის გულში ვართ. ლამაზი ქალაქია მადრიდი, ამაყი და საინტერესო ხალხია მადრიდელები. თავისი შესანიშნავი სასახლეებითა და მოედნებით, ყვავილნარებითა და შადრევნებით, ბაღებითა და ისტორიული ძეგლებით განუმეორებელია ესპანეთის სატახტო ქალაქი. ბევრი ისტორიული ძეგლი დავათვალიერეთ, მაგრამ უფრო ხშირად მადრიდის მუზეუმის — პრადოს სტუმრები ვიყავით. ყველა ნახულობს აქ თავისი სულის საზრდოს. რამდენი ტანჯვა და სიხარული, სიძულვილი და სიყვარული, ოცნება და სინამდვილეა ამეტყვე-

ლებული ტილოზე. ხელოვნებათმცოდნენი ამბობენ, პრადოსთან შეჯიბრება მსოფლიოში მხოლოდ ლუვრსა და ერმიტაჟს შეუძლიაო.

ბრწყინვალეა მადრიდის მთავარი ქუჩა გრან-ვია, რომელსაც ახლა ფალანგის სულიერი მამის პატივსაცემად ავენიდა ხოსე ანტონიო ჰქვია. ათ დღეს ვიცხოვრეთ აქ. მადრიდის ამ ვიტრინას ევროპისა და ამერიკის დიდი ქალაქების ყველა ნიშან-თვისება აქვს, ოღონდ მისი მაჯისცემა ღამით უფრო გვიან ცხრება და ქუჩებში მომეტებულად შესამჩნევი ხდება პოლიციელთა პრიალა სამკუთხა ქუდები და მოხუცი მათხოვრები. მაღაზიები დაპყრობილი აქვთ სხვადასხვა ზომისა და ფერის დონ-კიხოტების, სანჩო-პანსებისა და ტორეადორების სუვენირულ არმიებს. მრავალი საუცხოო სასტუმრო და ბარია გრან-ვიაზე. უხვად ისმება აქ განთქმული ანდალუზიური ხერესი და ესპანური ლუდი „სან მიგელი“.

ამ ფეშენებელურ ცენტრს გარს არტყია მუშათა კვარტალები, სადაც ცხოვრებას სულ სხვა ელფერი დაჰკრავს...

მადრიდში ჩვენი ჩასვლისას საგანგებო წესები რამდენიმე დღის გაუქმებული იყო. ჯერ კიდევ შესამჩნევი იყო სტუდენტთა მღელვარების ნაკვალევი, მუქი საღებავის საფარქვეშ შენობებზე აქა-იქ მაინც იკითხებოდა „თავისუფლება“, სტუდენტთა ქალაქში პოლიციელები კვლავ შლიდნენ დარჩენილ ლოზუნგებს, თუმცა სააღდგომო არდადეგების გამო სწავლა კარგა ხნის შეწყვეტილი იყო. მრავალი სტუდენტი და მასწავლებელი უმსხვერპლია მანიფესტაციას. ხელისუფლება ველარ ახერხებს შეასუსტოს და შეაჩეროს დიდი დაძაბულობა მუშებსა და საუნივერსიტეტო წრეებში. ყველა გრძნობს, რომ თანდათან იზრდება დემოკრატიული ძალები. ესპანეთის ტრაგედია დავიწყებული არ არის, რესპუბლიკა მრავალი ადამიანის გულში ცოცხლობს.

მადრიდის ახალგაზრდობა ხშირად იკრიბება ესპანეთის მოედანზე სერვანტესის ძეგლის გარშემო. სამოქალაქო ომის დროს, როცა სერვანტესსა და მის ქალაქს გავარვარებული ლითონი თვეობით აწვიმდა, ძეგლი რესპუბლიკელებს ქვიშიანი ტომრებითა და აგურით დაუფარავთ და ასე გადაურჩენიათ. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მოწიწებით შესცქერის ესპანეთის უკვდავ მწერალს და ახლებურად ესმის მისი გმირის — მწუხარე სახის რაინდის გულისტკივილი: „რამდენი შეურაცხყოფილი ელის გამოსარჩლებას, რამდენი უსამართლობაა აღმოსაფხვრელი, რამდენი უფლება — აღსადგენი; ქვეყანას დაამძიმებდა მრავალი გადაუხდელი ვალი, დაუსჯელი დანაშაული და ბოროტმოქმედება“.

მადრიდის მშრომელებსა და მოწინავე სტუდენტობას სჯერათ, რომ ასრულდება ასტურიის მაღაროელთა ფიცი და რომ ის საათი, რომელიც სამი ათეული წლის წინათ გაჩერდა, კვლავ ამუშავდება.

1969

ადამიანმა შექმნა გენი

ათ დღეს გასტანა ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის VII საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობამ რიგაში. ორმოცი ქვეყნის ორი ათასი წარმომადგენელი კრიტიკულად აჯამებდა უკანასკნელი ორი წლის მუშაობის შედეგებს და გაბედულად სახავდა მომავალი კვლევის პერსპექტივას. მსოფლიო ფორუმის სახალხო მიზნები უაღრესად კეთილშობილური იყო: რა უნდა გააკეთოს მეცნიერებამ, რომ ადამიანი უფრო ჯანმრთელი და დღეგრძელი იყოს, რომ იგი უკეთეს პირობებში ცხოვრობდეს და მოღვაწეობდეს.

ამიტომაც მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერებსა და ახალგაზრდა მკვლევართა მთელ არმიას თანაბრად აღელვებდა ასეული მილიონი წლების სიღრმეში დაფარული ბუნების საიდუმლოებანი, მათი ამოცნობისა და გამოყენების უსაზღვრო სურვილი და მიზანი, ამ მიზნისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ბუნებისმეტყველთა ძირითადი ყურადღება ცოცხალი მატერიის მოლეკულურ დონეზე შესწავლამ მიიპყრო, ძირითადად გაირკვა ცილის წარმოშობის მექანიზმი უჯრედში, დადგინდა ნუკლეინის მჟავების როლი მასში, ამოცნობილ იქნა ზოგიერთი ცილისა და ნუკლეინის მჟავის აღნაგობა. ამჟამად მეცნიერები გამალებით მუშაობენ, რათა ხელოვნურად მიიღონ ცილები, ნუკლეინის მჟავები, ფერმენტები, ვიტამინები, ჰორმონები, ჩასწვდნენ ფერმენტებისა და სხვა ბიორეგულატორების მოქმედების მექანიზმს და ნებისმიერად მართონ სასიცოცხლო პროცესები, ხელოვნურად დაამზადონ ისეთი ნივთიერებებიც, რომელთა სინთეზი ბუნებას „დაავიწყდა“.

ასობით უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი ნაერთის სინთეზის გზები და ხერხები იქნა წარმოდგენილი სიმპოზიუმზე. მრავალი ბუნებრივი ნაერთის აღნაგობა, ბიოსინთეზის გზები და ფუნქციები იქნა გარკვეული. განხილული იყო პეპტიდები და ცილები, ნუკლეოტიდები და ნუკლეინის მჟავები, ლიპიდები და ნახშირწყლები, სტეროიდები და ტერპენოიდები, ალკალოიდები და ანტიბიოტიკები და სხვ.

პირველ პლენარულ სხდომაზე მოხსენებით ბიოორგანული ქიმიის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირში გამოვიდა სიმპოზიუმის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. შემიაკინი. ბიოორგანული ქიმიის დარგის საბჭოთა მეცნიერთა აღიარებულმა მეთაურმა თვალწინ გადაგვიშალა

ის პრინციპული ხასიათის მიღწევები, რაც ჩვენი ქვეყნის ქიმიკოსებმა, ბიოქიმიკოსებმა, ბიოფიზიკოსებმა და ფიზიკოსებმა ერთობლივად მოიპოვეს სიცოცხლის ქიმიური საფუძვლების შესწავლის საქმეში.

ჩვენში სინთეზირებულია მრავალი ახალი ორგანული ბიოპოლიმერი და ბიორეგულატორი, შექმნილია ნაეთი ნივთიერებები, რომლებიც ახდენენ მემბრანებში ნივთიერებათა გასვლის რეგულაციას. გამორკვეულია უჯრედთა გარსებსა და ბიოლოგიურ მემბრანებში მეტალის იონებისა და სხვადასხვა ნივთიერებათა შეღწევის მექანიზმი. უმნიშვნელოვანესი მიღწევებია მოპოვებული ფერმენტული კატალიზის ქიმიური საფუძვლების შესწავლაში.

ფიზიკისა და ქიმიის იდეებისა და მეთოდების დამკვიდრებამ ბიოლოგიაში, მეცნიერული კვლევის საერთო მაღალმა დონემ და ნიჭიერ ახალგაზრდა მკვლევართა კოლექტიურმა თავდადებულმა შრომამ ბუნებრივი ნაერთების ქიმია საბჭოთა კავშირში გარდაქმნა თანამედროვე ბიოორგანულ ქიმიად, რომლის პროგრესი დაკავშირებულია მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის მიღწევებთან. აკადემიკოს მ. შემიაკინის მოხსენებაში ნათლად ჩანდა ის პრინციპული ხასიათის წვლილი, რაც საბჭოთა მეცნიერებამ შეიტანა ბიოორგანული ქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის განვითარებაში მსოფლიო მასშტაბით.

მეორე პლენარული სხდომა გენის სინთეზს მიეძღვნა. რიგის სპორტის სასახლეში უჩვეულო განწყობილება სუფევდა. ფორუმის ყველა მონაწილე მოუთმენლად ელოდა მოხსენებას გენის სრული სინთეზის შესახებ. ნობელის პრემიის ლაურეატი ჰობინდ ქორანა პირველად გამოდიოდა საჯაროდ, რათა ეჩვენებინა, თუ რა გზითა და ხერხებით შექმნეს მან და მისმა თანამშრომლებმა გენი.

ჰობინდ ქორანა ინდოეთის უმაღლესი სკოლის აღზრდილია. იგი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ინგლისსა და კანადაში. ახლა საათავეში უდგას მეცნიერთა ჯგუფს ვისკონსინის უნივერსიტეტში (აშშ).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა საფუძვლიანმა გამოკვლევებმა შექმნეს წინაპირობები გენის სინთეზისათვის. გენის სინთეზი ლოგიკური შედეგი იყო იმ მრავალმხრივი გამოკვლევებისა, რომლებიც წარმატებით მიმდინარეობდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნუკლეინის მჟავებისა და ცილების ქიმიასა და ბიოქიმიაში, ორგანულ სინთეზსა და ენზიმოლოგიაში.

სწავლულთა ყოველი თაობა თავისებურად განიცდიდა მეცნიერების ამ მიღწევას. მრავალ ჩვენგანს ჯერ ისევ ცოცხლად ახსოვს, თუ განკითხვის რა მწარე დღეები მოუტანა გენის არსებობა-არარსებობის ისტორიულმა საკითხმა, რა წუხილი და სიხარულით აღსავსე გზა არ-

გუნა მეცნიერთა იმ პლეადას, რომელიც გენის „შერისხულ“ აჩრდილს მაინც მისდევდა კვალდაკვალ და ბოლომდე ერთგული დარჩა მისი. მოვიგონოთ ზოგი რამ დღეისათვის დადგენილი ფაქტებიდან. უჯრედის ძირითადი მემკვიდრული, გენეტიკური აპარატი მისი ბირთვებია. მათში მოთავსებულია ქრომოსომები, რომელთა ძირითად ხაწილს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავების გრძელი ჯაჭვები შეადგენს. დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის გარკვეული მონაკვეთი, თუ უბანი ამა თუ იმ ცილის სინთეზზე აგებს პასუხს. ასეთ მონაკვეთს, უბანს გენი ეწოდება. გენი განსაზღვრავს, თუ როგორი ცილა უნდა წარმოიქმნას უჯრედში. ცილებია სიცოცხლის ინდივიდუალურ თავისებურებათა ძირითადი მაჩვენებელი და განმაპირობებელი. „სიცოცხლე ცილოვან ნივთიერებათა არსებობის ფორმაა“.

თითოეული გენი აშენებულია ოთხი სახის რგოლისაგან — მონონუკლეოტიდისაგან. ამ ოთხი „ასოს“ მორიგეობის საშუალებით გენში ჩაწერილია ყოველი მემკვიდრული ნიშანი, ყოველი ინფორმაცია. რომელიმე გენის სტრუქტურა რომ ვიცოდეთ, უნდა გავიგოთ, თუ რამდენი ნუკლეოტიდისაგან შედგება გენი და რა მორიგეობით არის შეერთებული ეს ოთხი სხვადასხვა „ასო“ ერთმანეთთან.

ცილის მოლეკულა აშენებულია ოცამდე ამინმჟავისაგან, ოცამდე სხვადასხვაგვარი „აგურისაგან“. ყოველ ამინმჟავას ჰყავს თავისი გადამტანი, ცილაში ჩამრთველი მატრანსპორტირებელი რიბონუკლეინის მჟავა. მრავალი მატრანსპორტირებელი რიბონუკლეინის მჟავაა ცნობილი, მაგრამ ამჟამად მხოლოდ რამდენიმე მათგანის სტრუქტურაა დადგენილი. ერთ-ერთი ასეთი ამინმჟავაა ვალინის ტრანსპორტული რიბონუკლეინის მჟავა, რომლის სტრუქტურა გაშიფრა ცნობილმა საბჭოთა მეცნიერმა ა. ბაევმა. რამდენიმე წლის წინათ რობერტ ჰოლიმ დაადგინა ამინმჟავა-ალანინის ტრანსპორტული რიბონუკლეინის მჟავის აღნაგობა. ეს გამოკვლევა უშუალო საფუძვლად დაედო იმ გენის სინთეზს, რაც ჰ. ქორანამ და მისმა თანამშრომლებმა მოახდინეს. ეს არის სწორედ ის გენი, რომელიც განაპირობებს საფუვრის უჯრედში ალანინის გადამტანი რიბონუკლეინის მჟავის წარმოქმნას. ალანინის ტრანსპორტული რიბონუკლეინის მჟავა 77 ნუკლეოტიდისაგან შემდგარი ცალფაჯაჭვიანი, სწორხაზოვანი მოლეკულაა, ხოლო გენი, რომელიც მის ბიოსინთეზს განაპირობებს, წარმოადგენს ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ წრფივ მოლეკულას, რომელთაგან თითო ასევე 77 ნუკლეოტიდისაგან შედგება.

. თავდაპირველად ჰ. ქორანამ მოახდინა ერთ-ერთი ჯაჭვის რამდენიმე გრძელი ფრაგმენტის ქიმიური სინთეზი. ყველაზე რთული ამოცანა, რომელიც მის წინაშე იდგა, იყო ამ ფრაგმენტების ერთმანეთთან

ზუსტი დაკავშირება განსაზღვრული მიმართებით. მეტად ჭკუამახვილური და ნატიფი ექსპერიმენტებით მან ესეც დაძლია და ორი ფრაგმენტი შერჩეულ პირობებში ფერმენტ ლიგაზის საშუალებით „შეკერა". ასეთივე გზებით დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის ამ ძირითად ბირთვს დაუკავშირა დანარჩენი ფრაგმენტებიც და მიიღო სრულფასოვანი ორჯაჭვიანი დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის სპირალური მოლეკულა, რომელსაც გენის ყველა თვისება ჰქონდა: იგი განაპირობებდა ალანინის სპეციფიკური ტრანსპორტული რიბონუკლეინის მჟავის სინთეზს.

საათნახევარი დავყავით ჰობინდ ქორანას მეცნიერების თვალთუხილავ ლაბირინთებში. მის მიერ აღმართული სასახლის ყოველ კუთხეში ელავდა უნატიფესი ექსპერიმენტების ურიცხვი რგოლები, გაბედულად შენდებოდა და ინგრეოდა გენის სხვადასხვა ნაწილები, რომ ჩვენი რწმენა გენის საბოლოო სინთეზის შესახებ ურყევი ყოფილიყო.

გამარჯვებულ ინდოელს კარგად ესმოდა, რომ მისი მიღწევა წარმოადგენდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერთა გამოკვლევების ზედნაშენს და რომ იგი ყველაზე მეტად თვით ბუნებისაგან იყო დავალებული: პრინციპს, რომელიც მან გენის სინთეზისათვის გამოიყენა, ბუნება უხსოვარი დროიდან იყენებს.

მეცნიერების მრავალი ბრწყინვალე მიღწევა მოხსენდა მომდევნო დღეებში მსოფლიო ფორუმის მონაწილეებს, მაგრამ გენის სინთეზი მაინც დარჩა ყველაზე მაღალ მწვერვალად. სიმპოზიუმზე მოხსენებებით გამოვიდნენ ნობელის პრემიის ლაურეატები ინგლისელი ბარტონი და ამერიკელი ვუდვორდი. მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მსოფლიოს ცნობილი მეცნიერების გოშლანდის, შტრაუბეს, ჯერასის, ლედერერის, დეენენის, ნაკანისის, პრელოგისა და სხვათა მოხსენებები.

მათი ექსპერიმენტებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა, გარკვევით ჩანდა თანამედროვე კვლევის მთავარი გზა: პრინციპულად ახალი მეთოდების ძიება, ინფორმაციის ახალ საშუალებათა გამოვლინება და ერთი და იმავე პრობლემის სხვადასხვა მიდგომით კვლევა. აშკარა იყო აგრეთვე, რომ თანდათან ფართოვდებოდა სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ურთიერთკავშირი და განუხრელად იზრდებოდა საბჭოთა მეცნიერების გავლენა მსოფლიო მეცნიერებაზე.

პრესსიმპოზიუმებს, რომლებიც ტრანსპორტული რიბონუკლეინის მჟავის სტრუქტურასა და ფუნქციებს, ფერმენტული კატალიზის მექანიზმს, იონების ტრანსპორტს ბიოლოგიურ მემბრანებში და ანტიბიოტიკებს შეეხებოდა, ხელმძღვანელობდნენ მსოფლიოში გამოჩენი-

ლი საბჭოთა მეცნიერები ვ. ენგელგარდტი, ა. ბრაუნშტეინი, ლ. ბერგელსონი და ა. ხოხლოვი.

რიგის პრესსიმპოზიუმებისა და სიმპოზიუმების როლი ბუნებისმეტყველების შემდგომი განვითარებისათვის დიდია. იგი უეჭველად ეტაპური მოვლენაა ბიოლოგიის განვითარებაში. მას აგრეთვე უდიდესი ნატურფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს.

სიმპოზიუმზე საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა იყო წარმოდგენილი. საქართველოდან სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ პ. ქომეთიანი, მ. შიშნიაშვილი, ე. ქემერტელიძე, ა. სოფრომაძე, ჯ. ლაღიძე, რ. გახოკიძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვ.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ფორუმი ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში ყოველმხრივ კარგად იყო ორგანიზებული. სიმპოზიუმის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს რიგის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. მეცნიერული კვლევის მაღალი დონით განსაკუთრებით გამოირჩევა ორგანული სინთეზის ინსტიტუტი, რომელსაც ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. გილერი ხელმძღვანელობს.

სიმპოზიუმის მუშაობა მიიწურა. მის დახურვამდე ერთი დღე იყო დარჩენილი. ყველა საზეიმოდ ვემზადებოდით, როდესაც ჩვენს სიხარულში უეცრად მწარე ნაღველი გაერია. თითქოს ბუნებამ არ გვაპატია ამდენი საიდუმლოების ერთად გამოცნობა! თავიდანვე უჩვეულოდ გამოიყურებოდა სიმპოზიუმის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. შემიაკინი. შორეული მგზავრობიდან დაბრუნებულს, ღრმა შთაბეჭდილებებით დატვირთულსა და მოქანცულ არწივს ჰგავდა. გიყურებდა, გისაუბრებდა და თან თითქოს ძალიან შორს. უსასრულოდ შორეულ სივრცეში იმყოფებოდა. ამბობდნენ, რომელიღაც ნერვის ანთება აწუხებსო. საბედისწერო აღმოჩნდა მისი სულიერი სიმხნეე: რკინის ნებისყოფამ ისე ვერ სძლია ორგანიზმს, როგორც მას ეგონა, და მისმა უაღრესად კეთილმა გულმა ამჯერად უღალატა. სიმპოზიუმის დახურვის წინა დღეს იგი ჩვენს შორის აღარ იყო. საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 62 წლის ასაკში დავკარგეთ უდიდესი მეცნიერი, მეცნიერების დიდი ორგანიზატორი, ახალგაზრდობის დაუღალავი აღმზრდელი და მეგობარი.

სიმპოზიუმი საბჭოთა ბიოქიმიის პატრიარქმა აკადემიკოსმა ვლადიმერ ენგელგარდტმა დახურა. მან ღრმა რწმენა გამოთქვა, რომ აკა-

დემიკოს მ. შემიაკინისაგან მიღებულ მეცნიერულ ესტაფეტას ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა მტკიცე და გაბედული ნაბიჯით წაიღებს წინ.

1970

ვარნის დღიურებიდან

ევროპის ბიოქიმიური საზოგადოებების ფედერაციის („ფებსის") მე-7 კონფერენცია შედგა 1971 წლის 20—25 სექტემბერს ქ. ვარნაში (ბულგარეთი). კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 2000-მდე დელეგატმა. საბჭოთა დელეგაციაში 75 მეცნიერი შედიოდა. დელეგაციას მეთაურობდა ვ. კრეტოვიჩი. კონფერენციის დასაწყისში პლენარულ სხდომაზე ლექცია თემაზე: „პროსტოგლანდები — ბიორეგულატორები და მათი კლინიკაში გამოყენება" წაიკითხა ს. ბერგსტრომმა (შვეცია). კონფერენციის დახურვისას დ. ფილიპსი (ინგლისი) გამოვიდა მოხსენებით, რომელიც ეხებოდა ფერმენტების სტრუქტურასა და ფუნქციას შორის არსებულ კავშირებს.

კონფერენციის გეგმის მიხედვით მოეწყო სამი სიმპოზიუმი, ოთხი კოლოკვიუმი და 38 სექციის სხდომა. შედგა აგრეთვე საუბარი მრგვალი მაგიდის ირგვლივ. სიმპოზიუმები მიეძღვნა უჯრედის დიფერენციის ბიოქიმიას, ცილის ბოიქიმიას, ვირუსისა და უჯრედის ურთიერთობას.

კოლოკვიუმების თემატიკას წარმოადგენდა: ჟანგვითი ფოსფორილირება და მემბრანის ფენომენი; ცენტრალური ნერვული სისტემის ნუკლეინის მჟავები და ცილები; ლიპოამინების ცვლა უჯრედულ და მოლეკულურ დონეებზე; ნეიროქიმიის საკითხები, ანტიტელების წარმოქმნის მოლეკულური გენეტიკა.

სექციებში მოსმენილ იქნა მოხსენებები ცილების სტრუქტურაზე, ენზიმთა აქტივობის მექანიზმზე, მათ რეგულაციაზე, ნუკლეოტიდებსა და კოფაქტორებზე, ნუკლეინის მჟავებზე, რიბოსომების შესახებ, ქრომოსომების სტრუქტურაზე, მიტოქონდრიალურ დაჟანგვაზე, ანტიბიოტიკებზე და სხვ. ცალკეულ სექციებში იყო წარმოდგენილი აგრეთვე მცენარეთა ბიოქიმია, ფოტოსინთეზი, იმუნოქიმია, კლინიკური ბიოქიმია, ბიოქიმიური ტექნიკა, ანტიმეტაბოლიტები და სხვ.

ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების კონფერენცია 1964 წლიდან ყოველ წელს იმართებოდა. პირველად იგი ლონდონში შედგა. მომდევნო წლებში კი — ვენაში, ვარშავაში, ოსლოში, პრაღასა და მადრიდში მოეწყო. ვარნაში საბჭოთა დელეგატებიდან მოხსენებებით გამოვიდნენ გ. გეორგიევი, ა. სპირინი, ვ. სკულაჩევი, ა. კოტელნიკოვა, მ. ვალკენშტეინი, ც. ეგოროვი, ი. ზბარსკი, ვ. კრეტოვიჩი, ტ. ვენგს-

ტერი, ბ. სტეპანენკო, ა. პეტროვა, ი. ფილიპოვიჩი, მ. კრიცკი, ამ სტრიქონების ავტორი და სხვ.

კონფერენციაზე დისკუსია გაიმართა აგრეთვე ბიოქიმიის სწავლების შესახებ; გამოფენილი იყო სასწავლო პროგრამები. გვიჩვენეს ორი ფილმი: ბიოქიმიის კურსის დაუსწრებელი სწავლება ინგლისის უნივერსიტეტში და „გენეტიკური კოდი“.

კონფერენციის ყველა მონაწილეს აინტერესებდა, თუ რა მიღწევები მოიპოვა ბიოქიმიამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მოსკოვის ბიოქიმიის კონგრესის შემდეგ. სიმპოზიუმების, კოლოკვიუმებისა და სექციების სხდომებმა გვიჩვენა, რომ „საანგარიშო“ პერიოდმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, დიდი ძვრები არ მომხდარა. დადგენილ იქნა ანტიბიოტიკების მოქმედების მექანიზმი; გაირკვა, რომ ანტიბიოტიკები მოქმედებენ ან მემბრანებზე, ანდა რიბოსომებზე. გაძლიერდა ფერმენტთა სტრუქტურის გაშიფვრა, შესწავლილ იქნა რიგი ფერმენტის მესამეული სტრუქტურა. ყოველწლიურად მატულობს იმ ცილათა რიცხვი, რომელთა სტრუქტურაც ცნობილი ხდება. ნაჩვენები იქნა, რომ ვაკუოლის გარსში არის ფერმენტები. აშკარა გახდა, რომ ვაკუოლი და გარეთავსი ურთიერთკავშირშია. ა. ოპარინის ადრეული, თუმცა სქემატურად წარმოდგენილი შეხედულება, რომ პლაზმაში ხდება ფერმენტთა ადსორბცია, პრინციპში გამართლდა.

კონფერენციის ცენტრალური მოვლენა იყო ფილიპსის მოხსენება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი მოხსენება შეეხებოდა ფერმენტების სტრუქტურასა და ფუნქციას. მან რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგად გახსნა არა მარტო აქტიური ცენტრის ბუნება, არამედ დაადგინა აქტიური ცენტრის ცალკეული ნაწილების როლი და წარმოადგინა ფერმენტის მოქმედების მთელი მექანიზმი. როგორც ფილიპსმა განაცხადა, ახლა იგი მუშაობს გლიკოლიტური ფერმენტების სტრუქტურაზე და დარწმუნებულია, რომ ეს გამოკვლევა მას მისცემს საშუალებას მოახდინოს გლიკოლიტური პროცესების რეგულაცია.

კონფერენციის დასასრულს დ. ფილიპსს გადასცეს კრებისის სახელობის მედალი. ეს იყო რიგით მესამე. კრებისის პირველი მედალი მიიღო პერუტცმ, მეორე კი — ა. სპირინმა.

კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ვორტმანის შრომებმა. მან ყოველმხრივ შეისწავლა 55 ცილა. ასეთი რაოდენობით ცილების შესწავლა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ხომ ოცნება იყო.

ჩვენი შეკრების დასასრულს მე მიმართე აკად. ა. ბაევს, რათა გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები. მან უდიდეს საოცრებად მი-

იჩნია, რომ ადამიანმა დაინახა გენი (რა არ ჩანს ელექტრომიკროსკოპ-ში?!). მისი აზრით, კონფერენციაზე პრინციპულად ახალი არაფერი იყო, მაგრამ გროვდება ფუნდამენტური მნიშვნელობის ფაქტები, გროვდება კვლავ ძველი მიმართულებებით, ე. ი. იმ მიმართულებებით, რომლებიც 2 წლის წინ იყო დაწყებული. 2 წელი კი დღეს დიდი დროა მოლეკულური ბიოლოგიისათვის.

— სერგეი ვასილის ძევ, მე ხომ ბედმა რამდენჯერმე მარგუნა მეცნიერული კვლევის ხელახლა დაწყება და ვიცი, რა ძნელად, პრინციპულად ახლებურად იწყება ახალი საქმე. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რას აკეთებს ამდენი სხვადასხვაგვარი. რნმ-ი, როგორია მათი მოქმედების მექანიზმი. ახლა უაღრესად მნიშვნელოვანია გამოცნობის პრობლემა: ცილა — ცილა, ნუკლეინის მჟავა — ცილა. იქნებ ახლო ხანში გაიშიფროს კიდეც, თუ რომელი ამათგანი რას აკეთებს. მე ვიცი, რომ თქვენ მოგწონთ აინშტაინის მოსაზრება თეორიის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ, რომ თეორია 30 წელზე მეტს ვერ ცოცხლობს, ეს კი ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობაა მხოლოდ! რას ვიზამთ, ეს ხომ ბიოლოგიის სწრაფი წინსვლის ლოგიკური შედეგია.

ჩვენი საუბრის ერთ-ერთი დასკვნა ასეთი იყო: შრომები ნაადრევად არ უნდა გამოაქვეყნო; საკმარისია გაიგონ იდეა, რომ მას მეტად სწრაფად ახორციელებენ. თუ მეცნიერული კვლევის მთლიანი გაშლის საშუალება არ არის, მაშინ მეცნიერული კოლექტივიც აგებს და შესატყვისი სახელმწიფოც.

ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოებების კონფერენციამდე 18 და 19 სექტემბერს ქ. ვარნაში მოეწყო სიცოცხლის წარმოშობისა და ევოლუციური ბიოქიმიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი. მასში 11 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. სიმპოზიუმი გახსნა და დახურა ალექსანდრე ოპარინმა. მან დასაწყისშივე მკვეთრად ჩამოაყალიბა სიმპოზიუმის მიზანდასახულობა: „სიცოცხლის პრობლემა კომპლექსური პრობლემაა, მის გადაწყვეტაში მრავალი სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინა ღებულობს მონაწილეობას, დაწყებული ასტრონომიიდან გათავებული ბიოქიმიით. ვარნის სიმპოზიუმის მიზანი ვიწროა. ჩვენ უნდა შეეჯამოთ, თუ რა გაკეთდა — ერთი მხრივ ღია სისტემების მოდელური შესწავლისა და მათი ევოლუციის გამოკვლევის შედეგად და მეორე მხრივ — პრიმიტიული ორგანიზმების შედარებითი ბიოქიმიური შესწავლის დარგში, ნივთიერებათა ცვლისა და სტრუქტურის შესწავლის საფუძველზე. ჩვენი მუშაობა, როგორც ხედავთ, გვირაბის ორი მხრიდან მიმდინარეობს, ეჭვი არა მაქვს, რომ ბოლოს ერთმანეთს შეეხვდებით“.

სიმპოზიუმზე მართლაც გამოტანილ იქნა მოდელური ცდების შედეგები და ცოცხალ უჯრედში მიმდინარე გარდაქმნები თავისი ადგილსამყოფელოებით.

სიმპოზიუმის მუშაობაში ძველი თაობის მეცნიერებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდებიც.

ა. ოპარინის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის იყო, რომ სიმპოზიუმმა აჩვენა ცილის სინთეზის პირველადობა. ამ ასპექტში დიდი ყურადღება მიიქცია ლიპმანის მოხსენებამ. ლიპმანი თავის ცდებში იყენებს პოლიენზიმურ სისტემას, ყველგან ადარებს რიბოსომალურ და არარიბოსომალურ სინთეზს და აყენებს საკითხს: იქნებ უჯრედში მუშაობს პოლიპეპტიდების წარმოქმნის ორი სისტემა: რიბოსომალური და არარიბოსომალური.

სიმპოზიუმის დახურვისას ა. ოპარინმა ასეთი დასკვნა გააკეთა: ლიპმანმა დაამტკიცა, რომ ამინმჟავების გარკვეული თანმიმდევრობა შეიძლება განხორციელდეს ყოველგვარი ნუკლეინის მჟავების გარეშე; ადრე მან მიიღო გრამიციდინი — პოლიპეპტიდი, რომელიც არა მარტო ქიმიურად იყო იგივე, რაც ბუნებაშია, არამედ ბიოლოგიურადაც. ახლა მან კიდევ უფრო მაღალი მოლეკულური წონის პოლიპეპტიდის სინთეზი მოახდინა. მელერის წარმოდგენა, რომ პირველად წარმოიქმნება დნმ და შემდეგ სიცოცხლე, უკვე ინგრევა. მისი ასეთი მართლმორწმუნე მომხრე, როგორიც არის კრიკი, უკვე იწყებს ევოლუციის გზების ძიებას, დაწყებული მონოტონურად აშენებული ნუკლეინის მჟავებიდან. ასეთი ნუკლეინის მჟავები ხომ მოკლებული უნდა იყოს ინფორმაციას. კრიკის მოწაფე ორგელი, რომელიც ახლა სანტიაგოში მუშაობს, ჩემს მხარეზეა. ორგელს მე შეეხვდი ნანსის მახლობლად საფრანგეთში 1970 წლის გაზაფხულზე. მან ჩემი მოხსენების შემდეგ, რომელიც ნუკლეინის მჟავების ევოლუციას შეეხებოდა, განაცხადა, რომ სრული მომხრეა ჩემი. კრიკმა კი ადრე დაწერა: „რასაც ორგელი წერს, ეს ნიშნავს, რომ იმასვე ვწერ მე". თუ ეს ასეა, მაშინ კრიკს სხვა გამოსავალი არა აქვს, ისიც უნდა მე დამეთანხმოსო, იხუმრა ა. ოპარინმა.

ალექსანდრე ივანეს ძე უაღრესად კმაყოფილი ჩანდა სიმპოზიუმის შედეგებით, გამოჩენილ მეცნიერებთან შეხვედრებით, თავისი ჰიპოთეზის პოზიციის თანდათანობით გაძლიერებით. მას ჰქონდა სრული საფუძველი, რომ შემოქმედებითი სიხარულით ყოფილიყო აღვსილი... ა. ოპარინის ჰიპოთეზამ სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ჯერ უცხოეთში მოიპოვა ძლიერი მომხრეები და მხოლოდ ამის შემდეგ აღიარეს იგი საბჭოთა კავშირში.

სიცოცხლის წარმოშობისა და ევოლუციური ბიოქიმიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი ჟოლიო კიურის სახელობის მეგობრობის სახლში გაიხსნა. მე დილით ადრე მომიხდა მისვლა და ბაღში ვიცდიდი. ჩემგან მოშორებით ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერი აკადემიკოსი ვლადიმერ ვლადიმერის ძე ენგელგარტი სეირნობდა. მე ვიცოდი, რომ იგი იმ დილით ჩამოფრინდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან და აღარ შევაწუხე, შორიახლოდან ინტერესით ვუთვალთვალებდი ბიოქიმიის ამ უბერებელ პატრიარქს. რამდენიმე წუთის შემდეგ ბაღში მისი მეუღლე, ცნობილი მეცნიერი მილიცა ნიკოლოზის ასული ლიუბიმოვა გამოჩნდა. დაინახა თუ არა მეუღლე, მისკენ გაიქცა და ყელზე ჩამოეკიდა, ეტყობოდა აქ მის შეხვედრას არ მოელოდა. პირველივე მოკითხვისთანავე ქალბატონმა მილიცამ ვლადიმერ ვლადიმერის ძეს მიახარა — ვალოდია, შენ იცი, აქ ლიპმანია ჩამოსული. მათგან მე ისე ახლოს ვიმყოფებოდი, რომ კარგად შევნიშნე, როგორ გაეხარდა ეს ცნობა აკადემიკოს ვ. ენგელგარტს. წუთიც კი არ იყო გასული, რომ მილიცა ნიკოლოზის ასულმა დასძინა — ვალოდია, წარმოგიდგენია, ლიპმანი მოხსენებას ოპარინის სიმპოზიუმზე აკეთებს. ვლადიმერ ვლადიმერის ძეს სახე შეეცვალა და უსიამოვნოდ გამოსცრა — საოცარია, რა ემართებათ, ლიმპანიც ჭკუაზე გადავიდა?!

მე უხერხულად ვიგრძენი თავი და ბაღი სასწრაფოდ დავტოვე. თუმცა არ გამკვირვებია, რადგან ადრეც ვიცოდი, რომ ოპარინის ჰიპოთეზას საბჭოთა კავშირში ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავდა...

საღამოს ა. ოპარინმა რამდენიმე კაცი სასტუმროში მიიპატიჟა. მათ შორის მეც ვიყავი. საუბრის მთავარ თემას, რა თქმა უნდა, კვლავ სიცოცხლის წარმოშობა წარმოადგენდა. როდესაც უცხო სტუმრები წავიდნენ, მე ვისარგებლე მასპინძლების კეთილი განწყობილებით (ნინო პეტრეს ასული, როგორც ყოველთვის, აქაც თავის მეუღლესთან ერთად იყო) და სიცოცხლის წარმოშობის ჰიპოთეზის ავტორს ვკითხე, თუ რა გზა გაიარა მისმა ჰიპოთეზამ დაბადებიდან დღემდე, რა ეტაპებად შეგვიძლია დავყოთ ჰიპოთეზის ისტორია. ამასთანავე ვთხოვე უფლება მოეცა, რომ, რასაც იტყოდა, ჩამეწერა. გთავაზობთ მაშინდელ ჩაწერილ ტექსტს.

„სიცოცხლის წარმოშობის შესახებ ჩემი მუშაობა შეიძლება პირობითად შემდეგ საფეხურებად დავყოთ, ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე მეჩვენება.

პირველ ეტაპს შეგვიძლია დავარქვათ მოსამზადებელი, ინკუბაციური პერიოდი. ეს გრძელდებოდა 1922 წლიდან 1924 წლამდე ჩათვლით. 1924 წელს გამოქვეყნდა ჩემი პირველი წიგნი „სიცოცხლის წარმოშობა“.

შემდეგი ეტაპი მოიცავს 1924—1936 წლებს. 1936 წელს დაისტამბა ჩემი მეორე წიგნი სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ამავე პერიოდში გამოვაქვეყნე რამდენიმე სტატია ფილოსოფიურ ჟურნალ „პოდ ზნამენემ მარქსიზმაში". ამ დროს მე შევძელი ჩემი ჰიპოთეზის ფილოსოფიური გააზრება.

მესამე ეტაპად უნდა ჩავთვალოთ 1938 წელი, როდესაც 1936 წელს გამოცემული წიგნი გადაითარგმნა ინგლისურად და გამოიცა აშშ-ში. ამ თარგმანმა მსოფლიო მასშტაბით მიიქცია ყურადღება.

შემდეგი პერიოდია 1938—1946 წლები, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ჰიპოთეზის პოპულარობა და მრავალ ქვეყანაში გამოიცა ჩემი მონოგრაფიის თარგმანი.

მეხუთე ეტაპად მე ვფიქრობ ჩავთვალო 1946—1956 წლები. ალექსანდრე ოპარინის წიგნი სიცოცხლის წარმოშობაზე უკვე მსოფლიოს 52 ენაზე იქნა დასტამბული.

1957 წელს გამოიცა ჩემი მონოგრაფიის მესამე გამოცემა. ეს უკანასკნელი უკვე საკმაოდ გაფართოებული იყო. იგი ერთდროულად დაიბეჭდა რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ამავე წელს ქ. მოსკოვში მოეწყო პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი სიცოცხლის წარმოშობის პრობლემებზე. ამ პირველმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა დიდი როლი შეასრულა სიცოცხლის წარმოშობის თეორიის განვითარებაში. პრობლემის შესწავლაში ჩაებნენ მსოფლიო სახელის მქონე დიდი მეცნიერები.

მეექვსე ეტაპად მე მიმაჩნია 1957—1970 წლები. გაიზარდა არა მარტო სიცოცხლის წარმოშობის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოცემები, არამედ გამრავლდა მსოფლიო მასშტაბის შეკრებები, გაიზარდა სიმპოზიუმების რიცხვი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიმპოზიუმი ფლორიდაში, ქ. ტალახასში 1963 წელს. ორგანიზატორები იყვნენ ამერიკელები, მათ მეთაურობდა ფოქსი. მონაწილეობდნენ გაფრონი, ლიპმანი, პანამერუმა, ორო, პირე, ჰოლდეინი, შრამი, მე და სხვ. ამას მოჰყვა კონფერენციები საფრანგეთში 1966 და 1967 წლებში. შემდგომში ბიოქიმიკოსთა ყველა ყრილობასა და კონფერენციაზე, ყველა ქვეყანაში იყო სპეციალური სიმპოზიუმები სიცოცხლის წარმოშობის პრობლემებზე.

მეშვიდე ეტაპის დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ 1970 წელი, როდესაც ბიუვემ და პანამპერუმამ ჩამოაყალიბეს სიცოცხლის წარმოშობის საერთაშორისო საზოგადოება. პრეზიდენტად ამირჩიეს მე, ვიცე-პრეზიდენტებად ფოქსი და ფლორკენი, გენერალურ მდივნად იანგი, ხოლო ხაზინადრად — ბიუვე. ახლა არაჩვეულებრივად ფართოვდება სამეცნიერო გამოკვლევები ევოლუციურ ბიოქიმიაში. საბოლო-

ოდ დადასტურდა, რომ ორგანული ნაერთები შეიძლება წარმოიქმნან აბიოგენურად. გაფართოვდა მილერის ცდების არეალი. უკვე 1960 წელს დადგინდა, რომ აბიოგენურად წარმოიქმნება არა მარტო ამინმჟავები, არამედ პოლიპეპტიდები, პოლინუკლეოტიდები. ახლა ალექსანდრე ოპარინის ჰიპოთეზა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ მტკიცე ექსპერიმენტულ ნიადაგზე დადგა. ახლა შემიძლია ვაღიარო, რომ ჩემი აზრები 1924 წელს საკმაოდ მექანისტური იყო, მაგრამ მქონდა დიალექტური მიდგომაც. მე ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს გატაცებით ვუსმენდი ტიმირიაზევის პოპულარულ ლექციებს; მისი წყალობით გავხდი დარვინისტი. ერთი რამ ახლა ყველასათვის ცხადია: სიცოცხლის წარმოშობის თეორიის შექმნაში ჩემმა დებულებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. გაიხსენე, ვინ იყო ჩემს გვერდით 45 წლის წინათ და ვინ არის ახლა?!"

ალექსანდრე ივანეს ძე უაღრესად კმაყოფილი იყო თავისი ხანგრძლივი მეცნიერული კვლევის შედეგებით.

მე, ისევე როგორც მრავალმა სხვა საბჭოთა მეცნიერმა, მონაწილეობა მივიღე როგორც ევროპის ბიოქიმიკოსთა კონფერენციის, ისე სიცოცხლის წარმოშობის პრობლემისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მუშაობაში. მცენარეთა ბიოქიმიის სექციაში მოხსენება გავაკეთე თემაზე: „ქოლესტეროლის ტრანსფორმირება მცენარის ქსოვილში". საკითხი მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩნდა და გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ზოგი ჩემი დებულების მომხრე იყო, ზოგი წინააღმდეგი. სექციის მუშაობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბოლო დროს მცენარეთა ბიოქიმიაში თანდათან გაძლიერდა გამოკვლევები მოლეკულურ დონეზე.

საერთოდ, საბჭოთა მკვლევარები კონფერენციასა და სიმპოზიუმზე ახალი, საინტერესო ექსპერიმენტული მასალით წარსდგნენ.

1971 წლის 25 სექტემბერს, იმ დღეს, როდესაც მე ქ. ვარნაში მოხსენება მქონდა, მთელი საქართველო დღესასწაულობდა. ნიკო მუსხელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. საბჭოთა დელეგაციამ ბატონ ნიკოს ვარნადან მილოცვის დეპეშა გამოუგზავნა. მე ვგრძნობდი ჩემს დანაშაულს, მაგრამ ეს „შეცდომა" ბატონი ნიკოს დაჟინებით ჩავიდინე: — თუ თბილისში დარჩები და შენს მეცნიერულ მოვალეობას არ შეასრულებ, იცოდე, არც აქ მოგიშვებ იუბილეზეო, დამემუქრა პრეზიდენტი. ისღა მამშვიდებდა, რომ გაზეთ „კომუნისტის" ნ. მუსხელიშვილის იუბილესადმი მიძღვნილ ნომერში საქდესის ოფიციალურ ცნობასთან ერთად, მოთავსებულ იქნა ჩემი პატარა წერილი ბატონ ნიკოზე — „კაცთმოყვარე გული".

1971

სარჩევი

ოჯახსა და სკოლაში

დაუვიწყარი დღეები 3
მასწავლებელი 26
ოცნების სამყაროში 30
ქალბატონი ანიკო 32
უმაღლეს სასწავლებელში 35
ასტრონომ-გეოდეზისტი 40
ახალი წიგნი და ძველი ღვინო 42
დაუმსახურებლად დასჯილი 45
ანდერძი 49
მცნობი 51

მეცნიერთა სამყაროში

პირველი პრეზიდენტი 62
(დაბადების 90 წლისთავის გამო)
კითხვა-პასუხი 62
მეცნიერის თანაგრძნობა და ამაგი 76
ორი დღე თელავში 80
მეცხრე ათწლეულის პირველი დილა 83
ქამა 85
საბოლოო გადაწყვეტილება 87
მათემატიკის კიდევ ერთი ბურჯი 89
(ილია ვეკუა)
პატრიარქი 108
(ივანე ბერიტაშვილი)
ერის მეჯურჭლეთუხუცესი 116
(ექვთიმე თაყაიშვილი)
ყურძნის მტევანი 120
(დიმიტრი უზნაძე)
ორი ეპიზოდი 122
(შალვა ნუცუბიძე)
იუბილარი 126
(კორნელი კეკელიძე)
ბერმუხა 127
(ნიკო კეცხოველი)
ნატერა 154
(გიორგი ძოწენიძე)
სიცოცხლის მესაიდუმლე 157
(ალექსანდრე ოპარინი)

შეხვედრა ვლადიმერ ბრიუსოვთან 161
ინტერვიუ 164
ალექსანრე ოპარინის უკანასკნელი დღეები 168
ქართველი მეცნიერი ჰალეს უნივერსიტეტში 186
(სევერიანე ბუაძე)
მიწა 202
(თეოფანე დავითაია)
მოულოდნელი დაბრკოლება 207
რუს ბიოქიმიკოსებთან 210
ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობარი 216
(ანდრია კურსანოვი)
ანდრია კურსანოვის ინტერვიუ 218
ორი საყვედური 224
(ლევან ჯაფარიძე)
არისტოკრატი 228
(ალექსანდრე წულუკიძე)
კანონის ერთგულება 232
(ალექსანდრე ჯანელიძე)
მამის გული 233
(შოთა ძიძიგური)
გაელვება 236
(შალვა ცინცაძე)
ვაი ჩვენი ბრალიცა 237
(იულონ ლომოური)
სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე 240
(ვარლამ ღვალაძე)
დაუწერელი კანონი 246
(ნორაირ სისაკიანი)
ბედისწერა 248
(ვლადიმერ ასათიანი)
ქსოვილთა მეუფე 251
(ირაკლი ტატიშვილი)
მარშალი წინანდალში 253
(თედორე ტოლბუხინი)

შ ე ხ ვ ე დ რ ე ბ ი მ წ ერ ლ ე ბ თ ან დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს მ ო ღ ვ ა წ ე ე ბ თ ან

კონსტანტინეს დამოძღვრება 258
(კონსტანტინე გამსახურდია)
რამდენიმე წუთი გალაქტიონთან 262
(გალაქტიონ ტაბიძე)
ლექსის ბედი 264
(ირაკლი აბაშიძე)
შეუსმელი სადღეგრძელო 266
(გიორგი ლეონიძე)

სტუმარ-მასპინძელი 268
სოსოს სიყვარული 270
(იოსებ გრიშაშვილი)
ალვის ხეები 276
(გიორგი მდივანი)
ახალგაზრდა პროზაიკოსი 279
(გურამ რჩეულიშვილი)
ხასიათი 287
(ელენე ახვლედიანი)
სცენის ჯადოქარი 289
(ვერიკო ანჯაფარიძე)
შეხვედრები 295
(ეროსი მანჯგალაძე)

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე

ბუნების მესაიდუმლეთა შორის 301
მეცნიერების სასახლეში 309
მწვანე სამეფოს მეურვეებთან 319
ფრანგ მეევნახეებთან 328
ადამიანმა რომ დიდხანს იცოცხლოს 340
შენ ხარ ვენახი 344
მანჰეტენის კუნძულზე 349
პასტერის ნაკვალევზე 354
სიცოცხლის კარიბჭესთან 362
სუნამოს სამფლობელოში 366
სერვანტესის სამშობლოში 369
ადამიანმა შექმნა გენი 377
ვარნის დღიურებიდან 382

Сергей Васильевич Дурмишидзе

ЭПИЗОДЫ ПРОШЛОГО

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

«МЕЦНИЕРЕБА»

1985

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: გ. ციციშვილი, საქ. მეცნ. აკადემიის წევრ. კორესპონდენტი
თ. ონიანი, საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი.

რედაქტორი ლ. გაბუნია
გამომცემლობის რედაქტორები ვ. ძიძიგური, ნ. ავალიანი
მხატვარი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ე. ჩიხლაძე

გადაეცა წარმოებას 1.4.1985; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.5.1985;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 24,75;
პირ. საღებ.-გატ. 24.87; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21,0;
უე 01931; ტირაჟი 15000; შეკვეთა № 942;
ფასი 3 მან. 25 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19